

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი**



წიგნი გამოცემულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული პროექტით: „შეუსწავ-
ლელი საარქივო მასალები და აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადი-
ციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიე-
ბანი)“, გრანტი (FR/137/2)

ნინო დამბაშიძე

ქეთევან ალავერდაშვილი

**აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
ტრადიციული კულტურა
(გულამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები)**

**გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2018**

**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY
AND ETHNOLOGY**



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

**Publication of this book was made possible to
The Shota Rustaveli National Science
Foundation. Project “Unexplored Archive
Materials and the Traditional Culture of the
Eastern Georgia Highland (Ethnological
studies)”. Grant (FR/137/2)**

Nino Ghambashidze

Ketevan Alaverdashvili

**TRADITIONAL CULTURE OF THE EAST
GEORGIA HIGHLAND
(SHRINES OF GUDAMAKARI, KHEVI, TUSHETI)**

**PUBLISHING HOUSE “MERIDIANT”
TBILISI, 2018**

რედაქტორი

ნინო მაისურაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიზაინი

ნანო ზაზანაშვილი

დამგაბალონებელი

ანა რუაძე

EDITOR

Nino Maisuradze

Doctor of Historical Sciences, Professor

DESIGN

Nano Zazanashvili

IMPOSER

Ana Ruadze

© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2018

© ნინო ღამბაშიძე, ქეთევან აღავერდაშვილი, 2018

© Shota Rustaveli National Science foundation, 2018

© Nino Ghambashidze, Khetevan Alaverdashvili, 2018

ISBN

წიგნი ეძღვნება ყველა იმ არქიტექტორის და ტოპოგრაფის ხსოვნას, ვინც გრაფიკული ანაზომების სახით შემოგვინახა ქართული და ჩრდილო კავკასიური კულტურა.

წინათქმა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული სისტემატურად აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში. შედეგად, ინსტიტუტში თავი მოიყარა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის უმდიდრესმა ტექსტურმა და გრაფიკულმა მასალამ, რომელსაც თავისი მრავალფეროვნებისა და სიძველის გამო უნიკალური მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეში. ამ არქივში დაცული ტექსტური მასალის ნაწილი (აღექსი ოჩიაური, ნათელა ბალიაური და სხვ.) საბედნიეროდ გამოქვეყნებული და მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომია.

ინსტიტუტში დაცული ისტორიულ-ეთნოგრაფიული არქივის მნიშვნელოვან ნაწილს გრაფიკული მასალა (ანაზომები, ჩანახატები, და ა. შ.) წარმოადგენს. იგი ძირითადად წარმოგვიდგენს საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს – როგორც რელიგიური, ისე თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნივთებს.

ჩვენს ხელთ არსებული გრაფიკული ნიმუშები უნიკალურია, ვინაიდან ისინი გასული საუკუნის 30-80-იან წლებ-

შია შესრულებული, თანაც ცნობილი არქიტექტორებისა და მხატვრების მიერ (უჩა ჯაფარიძე, ნინო ბრაილაშვილი, მართა (მათიკო) კაკაბაძე, თენგიზ ალავერდაშვილი, გიორგი ზამთარაძე, ნანა თენგიშვილი...), ამ მასალის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მათზე ასახული ძეგლების დიდ ნაწილს დღეისათვის დაკარგული აქვს ათწლეულების წინ, ფიქსაციის დროს არსებული არქიტექტურული სახე და ფუნქცია. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს ინსტიტუტში დაცულ გრაფიკულ მასალას, რაც გადაუდებელს ხდიდა მათ დამუშავებას, შესწავლას, და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩვენმა ჯგუფმა (ნინო ღამბაშიძე, ქეთევან ალავერდაშვილი, ანა რუაძე, ანა მეკოკიშვილი, ნიკოლოზ გურგენიძე, ნანო ზაზანაშვილი, მარიამ თედორაძე) ამ საქმის განხორციელება და კვლევის შედეგების მონოგრაფიულად გამოცემა, რაც შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების მეშვეობით. კვლევისთვის შერჩეულ იქნა ის გრაფიკული მასალა, რომელიც ეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (გუდამაყარის, ხევის, თუშეთის) სალოცავებს.

ჩვენი მიზანი იყო ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცული შეუსწავლელი გრაფიკული მასალის საფუძველზე, რეკონსტრუქციის გზით, ძველი და ახალი ეთნოლოგიური მონაცემებისა და სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით შეგვექმნა მონოგრაფია ხსენებული რეგიონების იმ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც გარკვეულ საკულტო ძეგლებს უკავშირდებოდა. განსხვავებული რაკურსით დაგვეჩვენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (გუდამაყარის, ხევის, თუშეთის) სლოცავები და განგვეხილა მათთან დაკავშირებული უცნობი თუ საკამათო საკითხები. კვლევის ობიექტად შერჩე-

ული იყო ის სლოცავები, რომლებიც დამუშავებულ გრაფიკულ მასალაზეა ასახული.

ასევე, ჩვენს მიერ წარმართული სამუშაოს ფარგლებში მოხდა გრაფიკული მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანა და კომპიუტერიზაცია (მონაცემთა ბანკის შექმნა), რამაც შესაძლებელი გახდა უნიკალური საარქივო მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, მისი დაცვა.

ვიმედოვნებთ, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაუნჯებული შესწავლილ-დამუშავებული საარქივო გრაფიკული მასალა და წარმართული კვლევის შედეგად შექმნილი წინამდებარე ნაშრომი, წაადგება საქართველოსა და კავკასიის ისტორიით და ეთნოლოგიით დაინტერესებულ, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერებს.

მადლობას ვუხდით დახმარებისა და თანადგომისთვის ჩვენს გულითად მეგობრებს: ნანული აზიკურს, ალექო დაუშვილსა და შალვა გლოველს, დეა გიორგაძეს. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გადავუხადოთ ნინო მაისურაძეს, რომელიც ანაზომების შემსრულებელთა ვინაობის დადგენაში დაგვეხმარა.

ნინო ღამბაშიძე, ქეთევან ალავერდაშვილი

ბუღაგაძის, ხევის და თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა

ქართველთა განსახლების არეალი სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისგან – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებისგან შედგებოდა. ხევი, გუდამაყარი და თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილია და დღევანდელი ადამინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ყაზბეგის (ხევი), დუშეთის (გუდამაყარი) და ახმეტის (თუშეთი) რაიონებს მოიცავს.

ხევი მდ. თერგის ხეობაში მდებარეობს. მის ძველ მოსახლეობას ქართველი მთიელები-წანარები წარმოადგენდნენ. „მოქცევაი ქართლისაი“-ში ნახსენებია „ხევი წანარეთისა“ (VI საუკუნის ამბების თხრობისას). შემდგომ ხანებში „წანარეთი“ ქრება და რეგიონის სახელწოდებად რჩება „ხევი“, მოსახლეობის სახელწოდებად კი „მოხევეები“ (ტერმინი „მოხევე“ პირველად XII საუკუნეში გვხვდება).¹

ხევი მასზე გამავალი დარიალის გზის გამო ქართული სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის ობიექტი იყო. კავკასიონზე გამავალი გზის დაცვა ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემის საშუალებით ხორციელდებოდა, რომლის ცენტრი დარიალის კარი იყო. ჩრდილოეთიდან მოთარეშეთა უზარმაზარი ძალის შემოშვება-არ შემოშვებას შეეძლო მნიშვნელოვნად შეეცვალა პოლიტიკური კლიმატი არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთშიც კი. ამიტომ ამ გზის დაცვა სამეფო კარის მოხელეებსა და ქართველ მთიელებს ეკისრებოდათ. ხევი სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა. მოხევეთა ძირითადი მოვალეობა კი დარიალის დაცვა იყო.

¹ თ. დვალი, კაკაბაძე, არამიშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, II, (შემდგომში სძა) (თბილისი, 2004), 8; როლანდ თოფჩიშვილი, (რედ.), საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (თბილისი, უნივერსალი, 2010.), 118.

ხევზე გამავალი გზის მნიშვნელობა კარგად არის დაფიქსირებული წყაროებში, ისევე როგორც ადგილობრივ მთიელთა როლი მის დაცვაში (მაგ: ვახტანგ გორგასალმა შექმნა „კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მადალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა.“ დავით აღმაშენებელმა „აღიხუნა ... კარი დარიალისა და შექმნა ... გზა მშვიდობისა“ და სხვ.). ხევი მხოლოდ XVII საუკუნის 20-ანი წლებიდან აღმოჩნდა არაგვის ერისთავების გამგებლობაში. მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა არაგვის ერისთავებს. 1743 წ. ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს მოხვედრებმა აჯანყება მოაწივეს, ამოხოცეს ერისთავები და თეიმურაზ II მიიწვიეს. არაგვის საერისთავო გაუქმებულ იქნა და სამეფო სახლის კუთვნილებად გამოცხადდა. შემდეგში ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის გამგებლად უფლისწულები ინიშნებოდნენ.¹

XIX საუკუნიდან, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ქართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაც გაუქმდა და რუსული მმართველობა დამყარდა.

ხევი მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით, სხვადასხვა ტიპის საკულტო, თავდაცვითი თუ სამოქალაქო ნაგებობებით.

საკლესიო ხუროთმოძღვრების ადრეული ნიმუშებიდან აღსანიშნავია სოფ.სიონის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ამავე დროისა ახლციხის ბაზილიკა (აღდგენილი XIX საუკუნეებში) და გარბანის წმ. გიორგის ეკლესია.

¹ Ibid, სძა, II, 429.

ხევის მთავარი სალოცავია გერგეტის სამების გუმბათოვანი ეკლესია (XIV ს. 30-იანი წლები). ეკლესიის გარდა კომპლექსში გაერთიანებულია იმავე დროის სამრეკლო და XV ს. საბჭეო. გერგეტის სამება ითვლება მცხეთის საკათალიკოსოს ძვირფასეულობისა და წმ. ნინოს ჯვრის სახიზარ ადგილად. მყინვარწვერის ფონზე, მთის წვერზე აღმართული ტაძარი განსაკუთრებით შთამბეჭდავია.¹

ხევში, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა ნაწილებში, თავდაცვითი ნაგებობების დიდი სიმრავლეა. ვერ შევხდებით ხეობას ან სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზას, რომლის გაყოლებაზეც, საკვანძო ადგილებში რაიმე სიმაგრე ან სათვალთვალო კოშკი არ იყოს აგებული.

ჩრდილოეთიდან საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან მიმავალ გზას საუკუნეთა მანძილზე იცავდა დარიალის ციხე; გადმოცემით, ძვ.წ II ს. I ნახევარში დარიალის ხეობაში პირველი სიმაგრე იბერიის მეფე მირიან I-ს აუშენებია. მემპტიანეთა მიხედვით, დარიალის ხეობა ჩაკეტილი იყო სქელი კედლით, რომელშიც კოშკები იყო ჩართული და შებმული ჰქონდა რკინის კარი. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ძველი სიმაგრის ადგილას მძლავრი სათავდაცვო სისტემის მშენებლობა დაიწყო. თავდაპირველ ციხეს გარს ევლებოდა კოშკებით გამაგრებული მაღალი გალავანი. ამჟამად შემორჩენილ ციხის ნანგრევებში სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები ჩანს. ძირითადი ფენა ანტიკური ხანისა და ადრინდელი შუა საუკუნეებისაა. შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი ნაწილებიც.²

ხევის თავდაცვით ნაგებობათა შორის თავისი არქიტექტურული და მხატვრული გადაწყვეტით გამოირჩევა სნოს ციხე და არშის ციხე (XVI ს. ან XVII ს. დასაწყისი). ორივე ციხე – სიმაგრე მეტად პოპულარული იყო ხალხურ

¹ Ibid, 21.

² Ibid, 22.

სიტყვიერებაში და მათთან დაკავშირებით მრავალი საგმირო ბრძოლის ამსახველი გადმოცემაა მოღწეული. არშის ციხეში ინახებოდა რკინის კლიტე, რომლითაც კარს კეტავდნენ და რომელიც ქართველთა ლაშქარს განჯის აღების შემდეგ წამოუღია.

გვხვდება სხვადასხვა ტიპის კოშკები – სახიზარი, სათვალთვალო, სასიგნალო, საცხოვრებელი, რომლებიც ძირითადად XVI-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება.

შემონახულია გვიან შუა საკუნეების საცხოვრებელი სახლების საინტერესო ნიმუშები (დესი, ხურთისი, ფანშეტი, ყანობი, გაიბოტენი და სხვა.), განსაკუთრებით საინტერესოა ორსართულიანი ბანიანი სახლები, საცხოვრებელი კოშკები და ციხე-სახლები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს მთიანეთის ხალხური ხუროთმოძღვრების შესასწავლად.¹

ხევის საცხოვრებელი სახლებისთვის ნიშანდობლივია ერთ კომპლექსში სამსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და ოთხსართულიანი კოშკის დაკავშირება. აქ, ისევე როგორც მთიანეთის სხვა კუთხეებში, შენობა სიმაგრეს უფრო ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელს. სართულების ფუნქციური დიფერენციაცია აქაც იგივეა, რაც ხევსურეთსა და თუშეთში. პირველი სართული („ქოითაი“) პირუტყვისთვისაა განკუთვნილი. სიგრძივი კედლით იგი ორად იყოფა – ერთი ნაწილი მსხვილფეხა საქონლისთვისაა, მეორე წვრილფეხასთვის. მეორე და მესამე სართულები საცხოვრებელ სართულებს წარმოადგენს. მეორე სართულზე („შუა სახლი“) მოწყობილია კერა. ყოველი სართული კარითაა დაკავშირებული კოშკის სათანადო სართულთან. კოშკის მეოთხე სართული დაზვერვისთვის იყო განკუთვნილი („სათოლმარჯო“). გარდა ამისა, გვხვდება უკოშკო სამსართულიანი სახლებიც, რომლებშიც შერწყმულია ციხე-სახლისა და ტერასული სახლის მოტივები. პირველი

¹ Ibid, 22.

სართული აქაც საქონლისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ მას საკუთარი შესასვლელი არა აქვს. ასეთი სახლის ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულზეა, საიდანაც საქონელი საგანგებოდ მოწყობილი პანდუსით ჩადის თავის სადგომში.

პირველსავე სართულში გამოყოფილია პატარა საიდუმლო სათავსი (სამხედრო საჭურველის საცავი), რომელშიც მხოლოდ ჭერიდან შეიძლება ჩაძრომა. მეორე სართული საცხოვრებელია, მესამე სართულზე უკან ფარდულია, წინ კი დიდი ტერასაა, რომელიც ამავე დროს ქვედა სართულის ბანია.¹

მეურნეობის წამყვანი დარგი ხევში მეცხოველეობა და განსაკუთრებით მეცხვარეობა იყო. აქვე განვითარებულია მთის მიწათმოქმედება, თუმცა რეგიონი ამისათვის გამოსადეგი მიწების სიმწირეს განიცდიდა. დამხმარე შემოსავლის წყარო იყო შინამრეწველობა, მონადირეობა, საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა და ტვირთის გადაზიდვა.²

მარცვლეულიდან ხევში მოჰყავდათ ქერი, სვილი (ჭვავი), ქერსვილა, შვრია, თავთუხი, გაზაფხულის საადრეო ხორბალი დიკა და ხადური (ხადიდან შემოტანილი ცერცვი). ყველაზე დიდი რაოდენობით ქერი და ქერსვილა მოჰყავდათ.³

ხევის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო ხეობა ხევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრიისა შთასავლით გუელეთამდე. არა არს აქა ხილნი, თვინიერ მთის ხილთა; არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხუანიცა ბალახთა ხილნი.

¹ Ibid, 17.

² Ibid, თოფჩიშვილი, 2010; ვალერიან ითონიშვილი, მოხვევების ყოფა-ცხოვრება, (თბილისი, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი, 2015).

³ Ibid, ითონიშვილი.

არს ვარდი ჭაღათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი და სხუანიცა ყუავილნი მთისანი, მრავალი პირუტყუნნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი. არს ფრინველი შურთხი, გნოლი და ზაფხულს მწყერი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გუეღეთის ქუემოდან. ჰავით არს კეთილმშუენი. კაცნი არიან მებრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი.“¹

გუდამაყარი დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დუშეთის რაიონში შედის და შავი არაგვის ხეობაში მდებარეობს. იგი ხშირად მთიულეთთან ერთად მოიხსენიება, როგორც მთიულეთ-გუდამაყარი, მაგრამ მაინც ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. იგი ესაზღვრება მთიულეთს, ხევს, ხევსურეთსა და ფშავს.

გუდამაყარი მოხსენიებულია ლეონტი მროველის მიერ წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, სადაც ჩანს, რომ იგი სხვა მთიელებთან ერთად გუდამაყრელებსაც უქადაგებდა ქრისტიანობას: „წარვიდა წმინდა ნინო და ებისკოპოსი იოვანე და მათ თანა წარიყუანა მეფემან ერისთავი ერთი და მოვიდეს და დადგეს წორბნას და მოუწოდეს მთიულთა, ჭართლეღთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ ჯუარი ქრისტიანეთა ჭემშარიტი“

დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე გადის ჩრდილო კავკასიაში გადაშავალი სტრატეგიული გზის გარკვეული მონაკვეთი. ამ გზას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული სახელმწიფო გზის მოვლასა და დაცვას დიდ ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა მთელი არაგვის ხეობა მიმდებარე ტერიტორიებითურთ პირდაპირ ხელისუფლების გამგებლობის ქვეშ ყოფილიყო, მას დაქ

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, (თბილისი: მეცნიერება, 1973).

ვემდებარებოდა და სახელწიფო მოხელის ხელით ემართა. არაგვის ხეობა თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ფარნავაზიდან ერეკლე II-მდე მუდმივად პოლიტიკური მოვლენების ცენტრში იყო, მის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ სხვადასხვა დროს დამპყრობლები. ამის გამო რეგიონის ისტორია მდიდარია მთიულთა გმირული ბრძოლის ამსახველი ისტორიული ფაქტებით და გადმოცემებით. გარდა ამისა, არაგვის ხეობა საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ძნელბედობის ჟამს ბარის მოსახლეობისთვის საიმედო თავშესაფარს.¹

1831-1832 წლების კამერალური აღწერით გუდამაყარში ოცი სოფელი იყო (251 კომლი, 1955 სული): ათნოხი, ბაკურხევი, ბახანი, გამსი, გოგნაურთა, დიხნო, დუმაცხო, ზანდუკი, კიტოხი, ლუთხუბი, მაქართა, ფახვიჯი, ჩაბალაურთა, ჩოხი, ცუცქუნაური (საუხი), ჭოჭოხი, ხოზა.²

გუდამაყარი რომ ცალკე რეგიონი იყო და მთიულეთთან ერთად ერთ ერთეულს არ ქმნიდა, იქიდანაც ჩანს, რომ გუდამაყრელები არ ეყმობოდნენ საერთო მთიულურ სალოცავს-ლომისას. გუდამაყრელთა საერთო სალოცავი პირიმზე ფუძის ანგელოზი იყო. გუდამაყრის თანამედროვე მოსახლეობის უმეტესობა ხევესურეთიდანაა მიგრირებული. ადგილობრივი მოსახლეობა რამდენჯერმე შეცვლილა. ისინი ბარში გადასახლებულან. ხევესურეთიდან გუდამაყარში მოსახლეობის მიგრაციამდე, გუდამყრის მოსახლეობის მთავარი სალოცავი, საბურთველოს წმინდა გიორგი იყო. აქ ხდებოდა საერთო თავყრილობები. გუდამაყრისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „უემო ყმის“ ინსტიტუტი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებისთვის დამახასიათებელი არ იყო. პირიმზე ფუძის ანგელოზი წიკლაურ-ბექაურთა საგვარეულო სალოცავი იყო,

¹ Ibid, სბა, 184.

² როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, (თბილისი: საჩინო, 2017), 158.

მაგრამ როგორც ძლიერ სალოცავს, მას გუდამაყრის სხვა გვარებიც ასე ლოცულობდნენ: „გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზსა, ყმათა და უყმთ მშველელსა.“¹

გუდამაყრის მეორე ძლიერი სალოცავი ჩოხის წმინდა გიორგი იყო. მასაც სხვა გვარის წამომადგენლებიც უდგებოდნენ ყმად. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში ვაჟიმვილის მიცემისათვის ლოცულობდნენ.

მეტად საინტერესოა 1071-1080 წლების საისტორიო საბუთში ნახსენები „ჩაბალახი გუდამაყრული.“² ძველ ქართულში „ჩაბალახი“ იგივე მუხარადია, ასე რომ, XI საუკუნის საქართველოში ძალიან ფასობდა გუდამაყრული მუხარადი.³

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით კი „არს გუდამაყრის ხეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მზგავსნი მთიულთა, ხელოსანნი, მშვილდმოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“. ასე რომ გუდამაყარში კარგი ხელოსნები ყოფილან, ამზადებდნენ კარგ ყანწებს და მშვილდისრებს.

რეგიონებში განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მთის მიწათმოქმედება. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, თუმცა საკმარისი რაოდენობით არ მოდიოდა.

ტყეში აგროვებდნენ ხილს და ზამთრისთვის ინახავდნენ ჩალაში ან წყლიან ქვევრებში. შინდსა და პანტას აგროვებდნენ და მოხევეებს პურზე უცვლიდნენ. მისდევდნენ შინამრეწველობას. ქალები ქსოვდნენ შალის ქსოვილს, ფარდაგს, ხურჯინებს, მამაკაცები ღურგლობას, კალატოზობას, მჭედლობას მისდევდნენ.⁴

¹ Ibid, რ. თოფჩიშვილი, 2017, 157.

² ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II (თბილისი: მეცნიერება, 1965), 40.

³ Ibid, თოფჩიშვილი, 157.

⁴ სერგი მაკალათია, მთიულეთი (ტფილისი: სახელგამი, 1930).

გუდამაყრელები, მთიულებთან ერთად, დახელოვნებული იყვნენ ყანწების კეთებაში. ისინი ყანწს „ჯიხვს“ უწოდებდნენ. როცა ხარს ან მოზვერს დაკლავდნენ, რქებს ცუღით აჭრიდნენ, ის უნდა ყოფილიყო მაგარი და ლამაზი ფერის.¹

დღევანდელი გუდამაყარი ძირითადად ხუთი გვართაა დასახლებული, ეს გვარებია: ბექაური, წიკლაური, აფციური, ჩოხელი და ანთაური.

ამ გვარებს გარდა გუდამაყარში სხვა გვარებსაც უცხოვრიათ. რამდენიმე გუდამაყრული გვარი წიკლაურებს შეყრია, მათი გვარი მიუღია. 1774 წლის აღწერის დავთრის თანახმად ეს შეყრა ჯერ არ იყო განხორციელებული. წიკლაურის გვარი მიუღიათ სოფელ დუმაცხოში მოსახლე ხარხელაურებს, ბუბუნაურებს და ჭოჭოლაურებს, რომლებიც სოფელ ბოსელში მკვიდრობდნენ. წიკლაურის გვარზე არიან გადასული აგრეთვე ჩობალაურები, თამნიაურები და თლოშიაურები. ბექაურები გამხდარან ხითათიშაურები, ცუცქუნაურები. შატლიდან გადმოსახლებული ჯალაბაურები სოფელ დუმაცხოში აფციურებს შეკედლებიან და მათი გვარი მიუღიათ. რაც შეეხება ჩოხელის გვარს, ეთნოგრაფიული მასალებით, ის შედგენილი გვარია. ამ გვარში ოთხი დიდი მამიშვილობა გამოიყოფა: შუდლიანი, გამიხარდიანი, შიოზაურები და ხახანი. ამ მამიშვილობათა წინაპრები გუდამაყარში მოსვლისას ძმად გაფიცულან და ყველას ერთი გვარი – ჩოხელი მიუღია. დღევანდელი ჩოხელები ჩოხის წმინდა გიორგის მესამე ყმად მიიჩნევიან. პირველი და მეორე ყმანი ამოწვევტილან.²

თუშეთი კახეთის მთიანეთს ეკუთვნის და კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2800-4500 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ქვეყნის შიგნით თუშეთის საზღვარი ფშავსა და ხევსურეთთან

¹ Ibid, თოფჩიშვილი, 2017, 158.

² Ibid, 159-160.

აქვს. იგი აგრეთვე ესაზღვრება ჩრდილო-კავკასიელ მთიელებს – ჩაჩნებსა და დიდოელებს.

თუშეთის ტერიტორია გომეწრის, პირიქითის და ჭანჭახონის ალაზნის აუზებში, მათა კალთებზე და ხეობათა შესაყარ პლატოებზეა განლაგებული და ორმოცდაათამდე სოფელს მოიცავს. ისინი ერთიანდება 4 თემად და ამ თემებს შიგნით გამოყოფილ პატარ-პატარა საზოგადოებებად. ეს 4 თემია პირიქითის, ჩაღმის, გომეწრის და წოვა.¹

თუშეთი, როგორც ქართული სახელწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ფორპოსტი ჩრდ. კავკასიაში, განსაკუთრებით აინტერესებდა ყველა დამპყრობს, რის გამოც იგი ხშირად ზარადლებოდა.

ლევან კახთა მეფემ თუშებს ზამთრის საძოვრებად ალაზნის ველი უწყალობა, თუშებმა კი ბეგარის გადახდა და ლაშქრის გამოყვანა იკისრეს. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სიგელით ალაზნის ველი კვლავ თუშებს ებოძათ საძოვრებად. XVII-XVIII სს.-ში ლეკთა და სხვა ჩრდ. კავსასიელთა გახშირებული შემოსევების გამო თუშეთის როლი ისევ მნიშვნელოვანი გახდა, მან დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ თუშები განთავისუფლებული იყვნენ „მორიგე ლაშქრიდან“, რადგან ისინი ისედაც იცავდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებს.²

თუშები ორ ჯგუფად იყოფიან – ჩაღმათუშებად და წოვათუშებად. ეს ჯგუფები ეთნოგრაფიულად, ყოფითი და კურტურული თვალსაზრისით ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდებიან. მათ შორის მხოლოდ ენობრიბი განსხვავებაა. ჩაღმათუშები ერთენოვანნი არიან და ენის თუშურ დიალექტზე ლაპარაკობენ, რომელიც ლინგვისტური თვალ-

¹ გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე (თბილისი: მეცნიერება, 1990), 5.

² Ibid, სძა, 31.

საზრისით ფშაურ, ხევსურულ და მოხეურ დიალექტებთან ერთად ქართულ კილოთა ე. წ. ფხოვეურ ჯგუფში ერთიანდება. რაც შეეხება წოვათუშებს, ისინი ორენოვანნი არიან და მათ საშინაო სალაპარაკო ენას მთის კავკასიურ ენათა ნახური ჯგუფის წევრი წოვათუშური წარმოადგენს, გარეთ კი ისინი ქართული ენის კახური დიალექტის მსგავს კილოზე მეტყველებენ, რომელიც მისგან მხოლოდ თუშური ტრადიციული ყოფისა და მეურნეობის დარგთათვის დამახასიათებელი ლექსიკით და წოვათუშური ენისათვის ნიშანდობლივი ინტონაციით გასხვავდება.¹

დღეს ზემო ალვანის ზემო ნახევარში მცხოვრები წოვა თუშებისა და ზემო ალვანის ქვემო ნახევარში, ქვემო ალვანში, ღაღისყურში და სოფ. ფშაველის ერთ უბანში მცხოვრები ჩაღმათუშების ისტორიული სამკვიდრებელი თუშეთი იყო.

მართალია XX საუკუნის დასაწყისში თუშეთში ოთხი ტერიტორიული თემი იყო, მაგრამ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მათი რაოდენობა მეტი ყოფილა და მათი გამსხვილება მომხდარა. გომეწრის თემს ივანაურთა და ხეცუურთა თემები შეუერთებია, ჩაღმის თემს – ჭანჭახოვანის თემი, პირიქითის თემს კი სამციხის თემი. ამგვარად, ისტორიულ თუშებში რვა თემი არსებობდა: ჭანჭახოვანი, ჩაღმა, ხეცუურთა, ივანაურთა, გომეწარი, პირიქითი (აღმა), სამციხი, წოვათა.²

IV საუკუნეში თუშეთი გაქრისტიანების წინააღმდეგ მებრძოლი ფხოველების თავსებადარი იყო.

თუშეთის სოფლები და თემ-საზოგადოებები შემდეგნაირად იყო განაწილებული თუშეთის ტერიტორიაზე:

გომეწრის ალაზნის ხეობაში მდებარეობდა გამოწრის თემის ოცდაორი სოფელი: ბოჭორნა, დოჭუ, ბედელა, გუდაანთა, ჯვარბოსელი, ვერხოვანი, დადიკურთა, ალისგორი,

¹ Ibid, ცოცხანიძე, 4.

² Ibid, თოფჩიშვილი, 2010, 117.

კოკლათა ვეძისხევი, ციხე, ვაკისძირი, ბიჭუურთა, ბუხურთა, ილიურთა, სადარათ უბანი, ჩირდილი, გოგრულთა, საჩილოლო, საბუე, ვესტმო, ვესტომთა. ამათგან ხუთი სოფელი: ვესტმო, ვესტომთა, გოგრულთა, საჩილოლო, საბუე – იგანაურთად გამოიყოფოდა, ხოლო სამი – ილიურთა, ბუხურთა და სადარათ უბანი–ხეცუურთად იწოდებოდა.

პირიქითელთა თემს პირიქითის ალაზნის აუზში მდებარე შემდეგი სოფლები შეადგენდა: ჩილო, დართლო, კვაკლო, დანო, ჭეშო, ფარსმა, გირევი, ბასო, დაქიურთა, ნაკუდურთა, ჰელო, ჭონთიო. ამათგან პირველი ხუთი სოფლის მცხოვრებთ სამციხელებს ეძახდნენ, დანარჩენებს – აღმაწელებს.

ჩაღმის თემში შედიოდა სოფლები: ომალო, დიკლო, შენაქო, აგეურთა, ქუმელაურთა, ცოკალთა, ხისო, ხისოს ჭალა, შტროლთა, ვეველურთა, ჩიგლაურთა, ნაციხარი, ხახაბო. ამათგან ბოლო ხუთი აგრეთვე ცალკე – ჭანჭახოვნის საზოგადოებად გამოიყოფოდა.

წოვათის თემს გომეწრის ალაზნის ერთი მოზრდილი შენაკადის – წუათის წყლის აუზში მდებარე ექვსი სოფელი შეადგენდა: წარო, ეთელთა, ინდურთა, საგირთა, მოზართა, შავწყალი.

ამ სოფლების ერთი ნაწილი, კერძოდ წოვათის ექვსივე სოფელი, გომეწარში – ციხე, სადარათ უბანი, საბუე, ჩირდილი, ჩაღმაში – აგეურთა, პირიქითში – ჰელო, ჭონთიო, ნაკუდურთა, დიქიურთა, ბასო თუშეთის დაცლამდევე ნასოფლარად იქცა.

თუშეთის სოფლების პირველმაშენებელნი, „თოხბარის დამკრავნი“, როგორც ჩანს, ადგილის ამორჩევისას რამდენიმე აუცილებელ გარემოებას ითვალისწინებდნენ: სოფელი ისეთ ადგილას უნდა აშენებულიყო, სადაც მას თოვლის ზეავი და მეწყერი ვერ დააზიანებდა, სასმელი წყალი ახლოს ექნებოდა და რაც შეიძლება მეტი სახნავსათიბი ფართობი იქნებოდა თავისუფალი, რაც ადგილობ-

რივი კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარეობდა.

სოფლებში ჩვეულებრივ თხუტმეტი-ოცი კომლი სახლობდა. ოცდაათ – ორმოცკომლიანი სოფლები დიდ სოფლებად ითვლებოდა და ასეთი მთელ თუშეთში სულ რამდენიმე იყო. სოფელში სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იყო აშენებული, ისე რომ მათ შორის გასასვლელებში ორი ბარგიანი ცხენი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის, ზოგან კი ცხენიც ვერ გაეტევა.

შენობების კედლები ლურჯი ფიქალის მშრალი წყობითაა ნაშენი. ზოგან დუღაბის მაგივრად ტალახია ნახმარი, რომელსაც სიცივის დაჭერის დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე ქვათა შემაკავშირებელი. სწორზედაპირიან ფიქალს ყორის ოსტატი ისე აწყობდა ერთმანეთზე, რომ დუღაბი საჭირო არ იყო, ქვები თვითონ იჭერდა ერთმანეთს. სახურავადაც ფიქალისვე სიპები იყო გამოყენებული. ფიქალი ქვის ფერის გამო, მთელ სოფელს მოლურჯო ელფერი დაჰკრავდა.¹

თუშური ციხე-სახლი ახლოს დგას ხევსურულ ციხე-სახლთან, მხოლოდ აქ პირველი სართული („ბაშტე“) გამოიყენება საქონლისთვის. შუა ორი სართული („შუა“ და „ხედშუა“) საცხოვრებელი ნაწილია, სახლის ზედა-მეოთხე სართულს („ჭერხო“) ჩარდახი აქვს. სართულშუა გადახურვა ბრტყელია. სართულები ერთმანეთს მისადგმელი ხის კიბით და ჭერში მოწყობილი ხვრელით უკავშირდება.²

აქაური საცხოვრებელი ნაგებობის ტიპს არც თუ ისე დიდი ხნის განმავლობაში, სულ ცოტა სამჯერ მაინც უცვლია სახე: თავდაპირველი თუშური სახლი საცხოვრებელიც ყოფილა და საბრძოლო-თავდაცვითი ნაგებობაც. იგი სამ და ოთხსართულიანი იყო, ერთობ ვიწრო და მაღალი, პირველი სართული – „ბაშტე“ – პირუტყვის სადგომად გა-

¹ Ibid, ცოცანიძე, 5-6.

² Ibid, სძა, 17.

მოიყენებოდა. იგი უსარკმლო იყო, ჰქონდა დაბალი და ვიწრო შესასვლელი ერთფრთიანი ხის მასიური კარით. კარი შიგნიდან იკეტებოდა ან განივი ურდულით – „კედით“, რომელიც გაეყრებოდა კარის იქით-აქეთ კედელშივე გამოყვანილ ხვრელებში – „საკედურებში“, ან ვერტიკალური ურდულით „საგდოლით“, რომელიც ჩამოეყრებოდა ამ კარის ასწვრივ ზედა სართულში დატანებული ხვრელიდან – სასაგდვლედან.

მეორე სართული – „შუა“ – ხალხის სამყოფს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა ისეთივე ვიწრო და მაგრად საკეტი კარი. ბაშტეს, როგორც წესი, ქვემოთა სამხრეთის მხრიდან შეუდიოდა კარი, შუას კი – აღმოსავლეთის მხრიდან. შესასვლელის მხარეს შუას სარკმლები არ ჰქონდა სამხრეთისაკენ, ბაშტის კარის ასწვრივ, იქით და აქეთ პროპორციულად გადიოდა ორი სარკმელი. ისინი შიგნიდან ფართო იყო, ხოლო გარეთა მხარეს იმდენად ვიწროვდებოდა, რომ კაცის თავი ძლივს გაეტეოდა შიგ. სარკმლები მალღითა მხრიდან მომრგვალებული, უჩარჩო და უმიწო იყო. უჩარჩო იყო კარიც. იგი კარის ძირსა და თავზე დადებულ ერთიან მსხვილ ხეებში ან სიპებში – „საკარძილებში“ – ამოხვრეტილ საყუნწურებში იყო ჩასმული ზედ კარებზევე გამოყვანილი „ყუნწებით“. სარკმლებს შორის აღმაცერად დატანებული ჰქონდა ერთი სათოფური, რომელიც ბაშტის კარებს უპირდაპირდებოდა. მესამე სართულიც ხშირად აგრეთვე „შუას“ წარმოადგენდა და „ზეთშუად“ იწოდებოდა. ამასაც ისეთივე კარ-სარკმლები და სათოფურები ჰქონდა, ოღონდ ერთი სათოფური „ქვეთშუის“ კარებსაც უყურებდა.

მეოთხე სართული წარმოადგენდა სიბის ორფერდა სახურავით გადახურულ „ჭერხოს“, რომელსაც სამ მხარეს კედელში დატანებულ და გარეთ გაშვებულ დიდ ქვებზე – „იხანებზე“ – გამართული ჰქონდა საომარი ჩარდახები, მეოთხე – ფერდობის ზედა მხრიდან, კარი შეუდიოდა. ჩარ-

დახებიდან კარის ახლოს მოსულ მტერს ჭერხოში წინასწარ შეზიდულ დიდრონ ქვებს, „ხეხებს“ ესროდნენ ან მღუღარე წყალს ასხამდნენ.

ბაშტის იატაკი ფიქალის ბრტყელი სიპებით – „ხღეებით“ – იყო მოგებული, ხოლო დანარჩენი სართულების იატაკები მიწისა იყო. მიწის იატაკს „ბანი“ ეწოდებოდა. ბანი გამართული იყო სქელ მორეზზე – „ხიდებზე“. სართულებს შორის გადებულ სამ ხიდზე გარდიგარდმო მჭიდროდ დააწყობდნენ არყის ან ფიჭვის წვრილ, ქერქგაცლილ ძელებს – „ყავრებს“, მერე კი დააყრიდნენ და მაგრად მოტკეპნიდნენ მიწის სქელ ფენას, რომელსაც ზემოდან „მორღენიდნენ“ – მოადებდნენ ტალახის ხსნარს.

იმ ადგილებში, სადაც არყის ხის სიმცირის გამო ჩხლაკვი არ იშოვებოდა, ყავრეებზე ჯერ წვრილ ფიჩხს გაშლიდნენ, ზემოდან – ხავსს და მერე მიწას. ფიჭვის სამორე ხეებით ღარიბ სოფლებში იატაკს ერთ ხიდს უდებდნენ შუაში. გვერდითა ხიდების მაგივრობას კი ხიდის ღონეზე კედლიდან გამოჭარბებული ქვების წყობა – თარხნები“ – ეწეოდა.

სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა თითო კუთხეში გამართული ასადრომი ხვრელებით – „ერდოებით“. ერდოში ადიოდნენ ან კედლიდან გამოშვერილი ქვის საფეხურებით, ან სქელი ხის მისადგმელი კიბით.

ამნაირი „ციხესახლები“ მხოლოდ ნანგრევებადაა შემორჩენილი.

ბაშტის კარების წინ პატარა ეზო – „ბაშტიკარი“ – შემოზღუდული ყოფილა ქვის მაღალი გალავნით, რომელსაც შიგნიდან საკეტი მაგარი კარი ჰქონია. ეს „ქავი“ იყო – პირუტყვის სადგომი ზაფხულში და მოძალადის ხელყოფისაგან მისივე დამცავი ნაგებობა. სახლის სათავე მხარეს, ჭერხოს კარის წინ შემოზღუდული ჰქონიათ ცხვრის სადგომი ბაკი.

რაკი სოფლები უმეტესწილად ფერდობზე იყო გაშენებული, ბაშტისა და შუის უკანა კედლები მთლიანად, ხოლო გვერდითა კედლები ნახევრად მიწაში იყო ამოყვანილი. „ზეთშუასაც“ და „ქვეთშუასაც“ კარების წინ თავ-თავისი „კართანები“ – ბოლოზე ყორით გამაგრებული და სიპის ფილაქნით მოგებული პატრ-პატარა ეზოები ჰქონდა, რომლებსაც შესაბამისად „ზეთკართანასა“ და „ქვეთკართანას“ ეძახდნენ. ამ კართანებს შორის ყორეში ერთიდან მეორეში ასასვლელ-ჩასასვლელად „ქვაკიბა“ იყო ჩაშენებული.

როგორც ჩანს, ამნაირი სახლები XIX საუკუნის შუა წლებამდის შენდებოდა, სანამ თუშეთში მოძალადეთა სააღყო თავდასხმები იყო მოსალოდნელი.

გასული საუკუნის ბოლოს ძველებურ სახლებს, შუა კარის წინ, გაუჩნდა მინაშენი უსარკმლო ოთახები – „უჩინა კარსები“. შუაში შემსვლელი ჯერ ამ კარსეს შეივლიდა, მერედა შევიდოდა საცხოვრებელ ოთახში. კარსემ შუა განტვირთა სურსათის შესანახი გოდორ-კიდობნებისა და რძის სადღვები და საგროვებელი ჭურჭლისაგან. იგი ზამთარში ხელს უწყობდა ოთახის დათბუნებასაც. ჭერხოს საომარი ჩარდახების ადგილას გაჩნდა ფიცრით ამოკედლილი დიობები – „სანიოები“ და თვით ჭერხოც ყველმატყელისა და სხვა ხასიათის პროდუქტის შესანახ სათავსოდ იქცა. გაჩნდა „საცხორა ჭერხოს“ ტიპი – ოჯახის საზაფხულო სამყოფი ტახტებითა და მეხ-კიდობნებით გაწყობილი. ოთახებში შუაცეცხლის ასანთები კერა შეცვაალა კედელზე მიდგმულმა ხის ბუხარმა, საიდანაც კვამლი კედელში ან ჭერში დატანებულ ხვრელში – „საბოლაში“ გადადიოდა.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან ჩნდება ახალი თუშური სახლი – „ახალ შინაი“, რომლის პროტოტიპი ბარული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია.

სოფლებში ან მათ სიახლოვეს კლდოვან შემაღლებებსა თუ ციცაბოთა თავზე დღესაც დგას ფიქალი ქვისაგან ნაგები, არაჩვეულებრივად სწორი კედლებითა და წახნაგებით, ხუთ-ექვსსართულიანი კოშკები. ჩაღმისა და გომეწრის ხეობებში ისინი სახურავმოშლილებია, პირიქითში კი უმეტესობა პირამიდულადაა შეწვერილი და გარეგნულად ჯერაც საღად გამოიყურება, თუმცა სართულებს შორის იატაკი ჩაქცეულია. ეს საგვარეულო ან სასოფლო ციხეებია, რომლებიც საიმედო თავშესაფარი იყო მტერთა ძალობის უამს.

ციხეები, ჩვეულებრივ, მიუვალ ადგილას შენდებოდა და მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა მასთან მისვლა ვიწრო ბილიკით, რომელსაც ყველა სართულიდან გამომავალი სათოფურები უთვალთვალებდა. პირველი სართული აქაც პირუტყვის შესახიზნად ყოფილა გამოყენებული. ციხეს სულ ორი მაგრად საკეტი კარი ჰქონდა – ერთი პირველ სართულზე და ერთიც – მეორეზე. მეორე სართულზე მისადგმელი კიბით შედიოდნენ, რომელსაც ხალხის შეხიზვნის შემდეგ ციხეში შეიტანდნენ. სართულები ერთმანეთს შიდა ერდოებით უკავშირდებოდა. ციხეში წინასწარ იმარაგებდნენ საჭმელსა და წყალს. სულ მადლა სართულში შეზიდული ჰქონდათ აგრეთვე ქვები, რომლებსაც ჩარდახებიდან უშენდნენ ციხის კედლებთან მოსულ მტერს. მტრის თავდასხმისას შეხიზნული ხალხი ციხეებში რჩებოდა მანამ, სანამ გარედან მაშველი თანამოძმენი მტერს არ გააბრუნებდნენ ან თვით მომხდური არ მოხსნიდა რაიმე მიზეზით ალყას. ასეთი გარემოცვები სულ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, შემდეგ ან ციხე „გატყდებოდა“ – დამორჩილდებოდა, ან მოძალადე უკუიქცეოდა.

ციხეები ზოგან ორი-სამი და მეტიც იღვა ერთად. უფრო მოზრდილი, განიერი ციხეები დიაც-ყმაწვილთა და საქონლის თავშესაფრად იყო განკუთვნილი და „სადიაცო

ციხეებს“ ეძახდნენ, მეორე – მამაკაცთა საომარი ციხეები თავისი სათოფურებით ამ „სადიაცო ციხეებსაც“ იცავდა.

ემაყებოდა და თითქმის სალოცავად მიაჩნდა ძველ თუშს მტერშეუვალი, გაუტყეხელი ციხე. დღემდეა შემორჩენილი ხალხში ციხეთა შენების, მომხვედურ-დამხვედურთა შერკინების, ციხის გატყვისა თუ გამაგრების შესახებ ლექსები, გადმოცემები, ლეგენდები.

დღესდღეობით თუშეთის დიდი ნაწილი დაცლილია მოსახლეობისაგან, რომელიც კახეთის ბარშია ჩამოსახლებული. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ჯერ წოვები ჩამოსახლდნენ, შემდეგ კი ჩაღმა თუშები. წოვებისგან განსხვავებით ჩაღმა თუშებს თუშეთში ცხოვრება არ შეუწყვეტიათ, ბარშიც ცხოვრობდნენ და მთაშიც. ეწოდნენ ხენა-თესვას მთაშიც და ბარშიც. შეიქმნა საქართველოში მხოლოდ თუშეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა – ორგანბინადარი მოსახლეობის ტიპი, რის აღსანიშნავად სათანადო ტერმინებიც შეიქმნა, „კახურაები“ – საზამთროდ კახეთში მიმავალნი და „თუშურაები“ – ზამთარ-ზაფხულ მთაში მცხოვრებნი. გაჩნდა ამ რეგიონისათვის ნიშანდობლივი ყოფითი მოვლენა: „კახეთ-თუშეთობა“ – მთაბარობა, მოსახლეობის სეზონური მიმოქცევა კახეთსა და თუშეთს შორის.¹

თუშეთის მოსახლეობისაგან დაცლის პროცესი შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა და XX საუკუნის 50-იან წლებიდან თუშეთის მოსახლეობისაგან დაცლის და პირუტყვის საძოვრებად მისი გადაქცევა დაიწყო.

სოფლების გარშემო ფერდობებს ასდევდა სახნაფსათესი მიწის პატარ-პატარა ნაკვეთები, რომელთა შორის უძრავი ბუჩქები ერთგვარ ბუნებრივ ტერასებს ქმნიდა. სოფლის ქვემოთ და მის დონეზე აქეთ და იქით ქერი ითესებოდა, ზემოთ კი სვილი. ციცაბო კლდიან ადგილებზე გაშენებულ სოფლებს ყანები მოშორებით ჰქონდა. ყანებსა და

¹ Ibid, ცოცანიძე, 27.

სათიბებს შორის გაფანტვით იდგა ოჯახისა და პირუტყვის საზამთრო სადგომები – „ბოსლები“, აქ გადმოსახლდებოდა ხოლმე ოჯახი დაზამთრების ხანს და გაზაფხულამდე რჩებოდა, პირუტყვს აქ გამოაზამთრებდა.

რელიგიური სახალხო დღესასწაულები – „დღეობათნიგენობები“, „ჯარობა-ჯვარისკრობები“, „სამხდო-შიყარაები“, რომლებიც იმართებოდა ზამთარშიც და ზაფხულშიც სასოფლო, სათემო და საგვარეულო ხატ-სალოცავებში თუ სოფლის საჯარეებში, ხატის კარზე გაუსვლელად, ძველი თუშეთის ყოფის უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო.

ერთი მხრივ, თუშთა სამეურნეო ყოფა, შრომა-საქმიანობა და მეორე მხრივ, სახალხო რელიგიური დღესასწაულები, უქმეები თუ მიცვალებულთა ხსოვნისა და ნიშნობაქორწილისათვის განკუთვნილი დღეები ისეა ერთიმეორესთან გადაჯაჭვული, რომ მათ შესახებ ცალ-ცალკე საუბარი ძნელია. სამეურნეო ცხოვრების ეტაპებიც ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულებითაა გამიჯნული.

ერთ მთლიან სამეურნეო წელს თუშები „გიორგობიდან გიორგობამდე“ ანგარიშობდნენ. ერთ ნახევარწლიურს – „გიორგობიდან ამაღლებამდის“ და მეორეს „ამაღლებიდან გიორგობამდის“. წლის მეოთხედები ასე იანგარიშებოდა: „გიორგობიდან ოცობამდის“ – ერთი, „ოცობიდან ამაღლებამდის“ – მეორე, „ამაღლებიდან ათნიგენობამდის“ – მესამე, „ათნიგენობიდან გიორგობამდის“ – მეოთხე. ოღონდ ეს იყო შინამეურნის დროის ანგარიში. მეცხვარე სამეურნეო წელს სხვაგვარად ანაწილებდა: „ყოჩვარევიდან (იგულისხმება დედა ცხვრის ფარაში მწარმოებელი ყოჩის შეშვება) დოლამდის“. თვეობრივად ეს მოიცავს პერიოდს ოქტომბრიდან თებერვლამდის, „დოლიდან დარჩევამდის“ – თებერვლიდან მაისის ბოლომდის, როცა დედა ცხვარსა და ბატკანს დააცალკეებენ და ცხვრის წველას იწყებენ, დარჩევიდან პარსვებამდის“ (ე.ი. მაისიდან აგვისტო-სექტემ-

ბრამდის), როცა პარსავენ ბატკანსა და ცხვარს, „გაპარსვიდან ყოჩგარევამდის.“¹

თუშებმა გამოიყვანეს ადგილობრივ პირობებს, მთაბარულ, გადარეკვით მეცხვარეობას შეგუებული ცხვრის ჯიში – თუშური ცხვარი, აგრეთვე ადგილობრივი თუშური ცხენი.

განთქმული იყო თუში მეცხვარეების მიერ დამზადებული თუშური ფარდაგები, ტილოები, შესანიშნავი ნაქსოვი ჩითები, წინდები, ქუდეები და სხვ.

¹ Ibid, ცოცხანიძე, 44-45.

ბრაზიკული ანაზომები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში, სხვა მასალათა შორის, ინახება გრაფიკული ანაზომები, რომლებიც 1930-1980-იან წლებშია შესრულებული. მათზე მოცემულია შესაბამის წლებში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს მოძიებული და დაფიქსირებული მასალა. ესენია: რელიგიური, თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნივთები. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „მუუს-წავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი)“ შევარჩიეთ გრაფიკული ანაზომები სამი რეგიონიდან: გუდამაყარი, ხევი, თუშეთი. მათზე ძირითადად მოცემულია საკულტო, მცირე რაოდენობით კი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. არის ტოპოგრაფიული რუკები. შემუშავებული პარამეტრების მიხედვით, დამუშავდა და ციფრულ მატარებლებზე განთავსდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცული 275 ერთეული გრაფიკული საარქივო მასალა (გუდამაყარი 23 ანაზომი, ხევი 82, თუშეთი 170). მოძიებული, შერჩეული და დამუშავებული გრაფიკული ანაზომები, ფოტოგრაფირების გზით, გადატანილია ციფრულ მატარებლებზე. შეიქმნა მონაცემთა ბაზა. მუშაობის პროცესში მასალა დამუშავდა მოწვეული კონსულტანტის, არქიტექტორის, ნანო ზაზანაშვილის აქტიური მონაწილეობით. აგრეთვე, მასალა შედარდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინტერაქტიულ რუკასთან. გრაფიკული მასალის მონაცემთა ბანკი ინახება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის

ინსტიტუტში. მასალის დამუშავების პროცესში დადგინდა ორი ანაზომის კუთვნილება. ძველი აღწერილობით იგი მიკუთვნებული იყო თუშეთის რეგიონს, აღმოჩნდა რომ ანაზომებზე ფშავის ლაშარის ჯვარია ასახული. გრაფიკული მასალის მოძიების, კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის და აღწერის პროცესში გამოვლინდა ორი დამატებითი, უცნობი გრაფიკული მასალა.

გრაფიკული ანაზომები შესრულებულია შავი ტუშით ან ზოგჯერ ფერშიც, შემდეგი ზომების მუყაოზე: 30.3X59.5სმ., 39.5X59სმ., 39X59.5სმ., 39.5X59.5სმ., 40.5X59სმ., 40.5X59.5სმ., 41X60სმ., 41X64სმ., 41X59.5სმ., 41X59სმ., 41.5X60სმ., 41.5X59.5სმ., 42X59სმ., 42X60სმ., 42.5X59.5სმ., 43X60სმ., 44.5X60სმ., 45X59.5სმ., 45X60სმ., 45.5X60სმ., 46X61სმ., 46.5X64.5სმ., 46.5X61.5სმ., 46X59.5სმ., 46.5X59.5სმ., 46.5X61სმ., 46.5X60სმ., 46.5X67სმ., 47X60სმ., 47X61სმ., 47X62სმ., 47X67სმ., 49X58.5სმ., 49.5X59სმ., 55X70სმ., 58.5X59სმ., 58.5X60სმ., 58.5X58.5სმ., 59X59სმ., 59X59.5სმ..

გრაფიკული ანაზომის მასშტაბი ძირითადად პირობითია. შესრულებულია 1945, 1965, 1966, 1967, 1969 წლებში გიორგი/გოგი ზამთარაძის, მართა/მათიკო კაკაბაძის, ც.თ-ს (თეონა ცუხიშვილის ან თამაზ ციტაიშვილის) (პლანშეტს უკანა მხრიდან აქვს მიწერილი), ენუქიძის, დავითაშვილის, ა.მ-ს, ა.შ-ს,¹ ნოდარ ჭადაშვილის, კოტე წულაიას მიერ. ზოგიერთ ანაზომს არ აქვს შემსრულებელი მითითებული.

შესრულებულია შემდეგი ნაგებობების ანაზომები:

გუდამაყარი – ფუძის ანგელოზი (სოფ. ახალი კიტოხი), მთავარ ანგელოზი (სოფ. ზანდუკი), დგოთისმშობელი ანუ ყველაწმინდა და მაჩაგნის წმ. გიორგის ეკლესია, კვირია (სოფ. მაქართა), დედაღვთიშობელი, ცაბაურაშვილების სახლი და ნენე გიგაურის სახლი, პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატი, ეკლესია (სოფ. ჩოხი).

¹ ა. მ-ს და ა.შ-ს ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ხევი – არშის ციხის კომპლექსი, წმ. გიორგის ახალი ხატი (სოფ. არშა), მამაწმინდა (სოფ. გორისციხე), ელიას ნიში, კობალა/ვაჟების სალოცავი (სოფ. ახალციხე), ნიშთა-ნა, კვირეღეთისშვილის ეკლესია, კვირეღეთისშვილის ხატის ციხე (სოფ. გაბოტენი), მინდვრის წმ. გიორგის ხატი, საუფროსო გარბნის წმ. გიორგის ეკლესია, მინდვრის წმ. გიორგის ხატი, კვირეღეთისშვილის ხატი, ციხისმცავი ანგელოზი, ბახტრის ციხე, მთავარანგელოზი (სოფ. გარბანი), ყველაწმინდა/ქალების ხატი, ოხარეშის წმ. გიორგის ხატი, ნინოწმინდა (გერგეტი), სემლისა (?) (სოფ. გველეეთი), თამარის ციხე (დარიალი), იოანე ნათლისმცემლის ხატი (სოფ. ვარდისუბანი/ტორნისა), წმ. გიორგის კომპლექსი (სოფ. კობანი), წმ. გიორგის ეკლესია, ათენგენობის ნიში, სამების ნიში, სამრეკლო (სოფ. სიონი), დარყის წმ. გიორგი მიმდებარე კომპლექსთან ერთად, კვირეს ხატი, წვერის სპარსანგელოზი/ნადარბაზევი (სოფ. სნო), ქალების ხატი, კვირაძლის ხატი, თავ-მამაწმინდის ხატი და ციხე (სოფ. ტყარშეთი), კავთის წმ. გიორგი, ყველაწმინდა (სოფ. ფანშეთი), ოქროს ბურთუსოვანი, ქუშენის წმ. გიორგის ხატი, წმ. გიორგი/აღდგომის ხატი, ხედენიშის წმ. გიორგი, ქოფ-ციხე/თარგმნისციხე, სასანთლე, სემლისა (?) /ამლის ნათლისმცემელი, სპარსანგელოზის ნიში, წითელი ეკლესია, იოანე ნათლისმცემელი, რიყის წმ. გიორგის ხატი, ახალწლის ნიში, კვირიკეს ხატი, თამარ მიხეილის ას. ღუდუშაურის სახლი, ივან-წმინდის ნიში (ყაზბეგი/იგულისხმება სტეფანწმინდა-ნ.დ.), წმ. გიორგი, ქალების ხატი (სოფ. ფხელშე), აკლდამა (სოფ. ღუდა), წმ. გიორგის ხატი და ეკლესია, არყონის წმ. გიორგის ხატი (სოფ. ყანობი), კვირიას ხატი, გივარგობის ხატი, ჟამის ხატი (სოფ. ცდო), აკლდამა, ხატის კომპლექსი (ძველი გველეეთი), ქაშეთაი, პეტრეპავლობის ხატი, წმ. გიორგის ეკლესია (სოფ. ხურთისი).



**თუშეთის ექსპედიცია. ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ
არიან: გიორგი ზამთარაძე, ვერა ბარდაველიძე, გიორგი ჩიტაია
და ნოდარ ჭადაშვილი**

თუშეთი – კარატიონი, ბატონი იახსრის ხატი (სოფ. ალისგორი), წმ. გიორგის ხატი, კვირაცხოვლის ხატი, ხურხვის ჯვარი, ხინჭრიკვა ბოჭორნის თავისა, (სოფ. ბოჭორნა), მარიამწმინდის ხატი, წიეთეს ხატი (სოფ. გირვეი), ზედხახა და ქვედხახა (სოფ. გოგრულთა), ანგელოზთავი, ჯვართანა ანუ ბატონცვარიელის ხატის კომპლექსი, კოშკი ანგელოზის ხატი (სოფ. დადიკურთა), წმ. გიორგი წყარო-გორისა, აშტო, მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი, კარატეს ჯვარი, ხახმატის ჯვარი, და ახალი ხატი, (სოფ. დანო), იახსრის ხატი, მარიამწმინდა, კარატეს ჯვარი, ხინჭრიკვა, მაღალოელის ხატი, სოფლის წისქვილი, ხიდი, ცხვრების საბანაო, იდოიძის საცხოვრებელი სახლი, ქავი (სოფ. დართლო), ხახმატის ჯვარი, ბიჭეხის ხატი, სანების

ხატი, წმ. გიორგის ხატი (სოფ. დიკლო), წმ. გიორგი შავ-
გერემანის ხატი (სოფ. დოჭუ), ჯვართანა [დედა მარიამ
წმინდა], ხახმატიონი (სოფ. ვესტმო), სანების ხატი, მარიამ
წმინდას ხატი, მიქელ-გაბრიელის ანუ მთავარანგელოზის
ხატი, ციხე კესელოს ტოპო ანაზომი (სოფ. ზემო ომალო),
ჯვრისკრის ხატი, საფლავის ძეგლი, ბეღვა (სოფ. ილიურ-
თა), მარიამ ღვთისმშობელი, ბერის სამება (სოფ. ინდურ-
თა), კოპალეს ხატი (სოფ. მოზართა), ჯვართშუა, ხახა/ხეც-
სურთ სალოცავი (სოფ. კეველო), ბატონი მთავარანგელო-
ზი, (სოფ. კოკლათა), აკლდამა (სოფ. აღისგორი), ლაშა-
რის ჯვარი (ლაშარის გორი, მთა-თუშეთი), ტასო იჭირაუ-
ლის სახამთრო ბოსელი, იჭირაულის სახლი, ბოსლები,
წასნეს ხატი, (სოფ. ომალო), კარატე, დავითოს ჯვარი
(სოფ. ჟველურთა), ხახმატის ხატი, გიორგი წმინდას ხატი,
(სოფ. საჩილოლო), დედა მარიამ-ღვთისმშობელი, საგინწყა-
როს ხატი, როსტომ იოსების ძე აშაძის სახლი, წმ. ნინოს
ხატი, წმ. გიორგის ხატი, კარატის ჯვარი (სოფ. ფარსმა),
ხახმატის ჯვარი, ფილო გულოხაიძის საცხოვრებელი სახ-
ლი, შაფურთა (სოფ. ქუმელაურთა), სანების ხატი, წასნეს
ხატი, თუშური საცხოვრებელი სახლი (აგეურთა (ნასოფ-
ლარი), სოფ. შენაქო), დავით მუხროვნის ხატი, გიორგი ბა-
ლაურთისა, გიორგი წყაროსთავისა, (სოფ. შტროლთა), ჩი-
გილაურთა ხევისურთ სალოცავი, ხახმატი, ჩიგილაურთა
კარატე (სოფ. ჩიგილაურთა), კარატის ჯვარი, ქავთარის
მილიონაი, ქავთარსაგირის ხატი (სოფ. ჩილო), აკლდამა,
სამების ნიში, მარიამწმინდა (სოფ. წარო), წმ. გიორგის ნი-
ში (სოფ. ინდურთა), ივანე ნათლისმცემლის ხატი (წოვა-
თა), იახსრის ჯვარი, კოპალეს ხატი, სამარხი ქვაყუთი, მა-
ტურა [ანუ საფლავის ძეგლი-ნ.დ.], საცხოვრებელი სახლი
(სოფ. ჭემო), თურსიეხის ხატი, მადოლის ხატი (სოფ. ჭონ-
თიო), ხითანას წმ. გიორგის ხატი, ჯვარბოსლის ორციხე
(სოფ. ჯვარბოსელი), სოფელ ხახაბოს უცნობი ნაგებობა,
სოფელ ხახაბოს ჯვარის ბორტვი (სოფ. ხახაბო), წმ. გი-

ორგი [ხახა] (სოფ. ხისო), ხახმატის ჯვარი (სოფ. გოგ-რულთა), პლატონ იდოიძის საცხოვრებელი სახლი, (სოფ. დართლო), კ. ოსორაულის საცხოვრებელი სახლი (სოფ. დიკლო), ლაღმთავარი ანგელოზი (სოფ. ვესტომთა), ბატონი მთავარანგელოზის ხატი, კარატეს და ხახმატის ხატები (სოფ. კოკლათა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანზომების შემსრულებელი არქიტექტორები არიან: გიორგი/გოგი ზამთარაძე, მართა/მათიკო კაკაბაძე, კოტე წულაია, ა. მ., ა.შ., თ. ც. (თეონა ცუხიშვილი ან თამაზ ციციშვილი) (პლანშეტს უკანა მხრიდან აქვს მიწერილი) და ტოპოგრაფი ნოდარ ჭადაშვილი.

ბუღალტერი

პირიმზე ფუძის ანგელოზი – ბუღალტერის მთავარი სალოცავი

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ გრაფიკულ ანაზომებს შორისაა ცხრა ანაზომი (An. Gud. 15, An. Gud. 16, An. Gud. 17, An. Gud. 18, An. Gud. 19, An. Gud. 20, An. Gud. 21, An. Gud. 22, An. Gud. 23), რომლებზედაც დაფიქსირებულია პირიმზე ფუძის ანგელოზი – გუდამაყრის მთავარი სალოცავი.

An. Gud. 15¹ – გამოსახულია პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატის კომპლექსის (პირიმზის ხატი, ეზო, გალავანი, საზარე, სალუდე, სასაკლაო, ხმელი ხე საკადრისებით, ზარები, ქვის საჯდომები, ქვა შენაწირაგებისათვის) ოთხივე მხრის სქემატური გეგმა და ფასადები. ანაზომი 47X60 ზომის თხელ მუყაოზეა შესრულებული გიორგი/გოგი ზამთარაძის მიერ 1966 წელს.

An. Gud.16 – გამოსახულია პირიმზე ფუძის ანგელოზის გრძივი და განივი ჭრილი, აგრეთვე, ბრტყელი სახურავის დეტალი ექსპლიკაციითურთ.

An. Gud.17 – სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის ეკლესიის ზედხედი.

An. Gud.18 – დატანილია სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის ეკლესიის გრძივი და განივი ჭრილი, აგრეთვე, ბრტყელი სახურავის დეტალი ექსპლიკაციითურთ.

An. Gud. 19 – ამ ანაზომზე სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის ეკლესიის ჩრდილოეთის და დასავლეთის ფასადებია გამოსახული.

¹ ანაზომები არქივში ამგვარადაა გატარებული. ლათინური ასოები An. ნიშნავს ანაზომს და Gud. გუდამაყარს.

An. Gud. 20 – გამოსახულია სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის საბერო (გეგმა და დასავლეთის ფასადი), An. Gud. 21 – ანაზომზე სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის საბერო (გვერდის (სამხრეთის) ფასადი) გამოსახული.

An. Gud. 22 – გამოსახულია სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზი (გეგმა, ჭრილი, დასავლეთის ფასადი).

An. Gud. 23 – გამოსახულია სოფ. ჩოხის პირიმზე ფუძის ანგელოზის ნიში ეკლესიის გალავნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (გეგმა, ჭრილი, დასავლეთის ფასადი). ყველა ანაზომი 46,5X61,5 ზომისაა და 1967 წელს ტუშით დააკვარელით მუყაოზეა შესრულებული გოგი/გიორგი ზამთარაძის მიერ.¹

გუდამაყრის ხეობა „არს მაგარი, მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქაღნი მზგავსნი მთიულთა, ჳელოსანნი, მშუკლდთ-მოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და კართაგან“ – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.²

„...მთიულეთი მოიცავს მდ. თეთრი (მთიულეთის) არაგვის ტერიტორიას ფასანაურიდან ჯვრის უღელტეხილამდე, ხოლო გუდამაყარი მდებარეობს მდ. შავი (გუდამაყრის) არაგვის ხეობაში, რომელიც თეთრ არაგვს უერთდება ფასანაურთან.“³

¹ ანაზომები An. Gud. 15, An. Gud. №16, An. Gud. №17, An. Gud. №18, An. Gud. №19, An. Gud. №20, An. Gud. №21, An. Gud. №22, An. Gud. №23 ინახება თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, (თბილისი: მეცნიერება, 1973), 358.

³ როლანდ თოფჩიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2(1985), 87.

1890 წელს გუდამაყრელი მღვდელი იობა ყრუაშვილი ივერიაში წერდა: „... ფასანაურიდან ჩრდილოეთის მხარეს, კავკასიონის მთების კალთების ძირში, იწყება ვიწრო ხეობა გუდამაყრისა. ამ ხეობაზე აქა-იქ გაფანტულად სცხოვრობს სამასი კომლი ქართველის ტომის ხალხი, წოდებული გუდამაყრელებად.

გუდამაყრის ხეობა, როგორც საზოგადოდ სუყველა მთის ადგილები, ძლიერ მწირი და უნაყოფოა, დიდი სიცივეებისა და ქარის გამო აქ არა მოდის რა. ამას დაუმატეთ სახნავ-სათესის ადგილების სიმცირე, ისეთი სიმცირე, რომ ზოგს მეკომურს ორი დღის სახნავი მიწაც არა აქვს. გუდამაყრელებს საძოვარი მთები ბლომად აქვთ და ამის გამო მკვიდრნი საქონლის ყოლას უფრო მისდევენ. გუდამაყარში ბლომად მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომელსაც ორი ათას სულზე მომეტებული ცხვარი ჰყავდეს და ოცზე მომეტებული სხვილ-ფეხი საქონელი.

თუმცა, სახნავი მიწები მწირია გუდამაყარში, მაგრამ გუდამაყრელნი ნივთიერად კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან; იმათნი დიაცნი, ანუ დედაკაცნი, თანასწორ მამაკაცებისა, ერთგულად მუშაობენ სახლისათვის. გუდამაყრელებს გაყრავანცალკეევებით ცხოვრება არ უყვართ და ერთ დიდ ოჯახად ყოფნას ამჯობნიებენ; აქ იშვიათი არ არის, რომ ერთს სახლში ოცი, ოცი-და-ათი სული ითვლებოდეს.“¹

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, გუდამაყარი, მართალია ხშირად მთიულეთთან ერთად მოიხსენიება და ბევრი საერთო აქვს მასთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეცნიერთა თქმით, იგი დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა და ისტორიულ წყაროებში მთიულეთზე ადრე მოიხსენიება.² როლანდ თოფჩიშვილის მართებული შენიშვნით, ის, რომ გუდამაყარი მთიულეთის-

¹ იობა ყრუაშვილი, დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი), ივერია, 76(1890), 2.

² Ibid, თოფჩიშვილი, 101.

გან ცალკე მდგომი რეგიონი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ გუდამაყრელების მთავარი სალოცავი ღომისას ნაცვლად *საბურთველოს წმინდა გიორგი* იყო, ხოლო მოგვიანებით კი პირიმზე *ფუძის ანგელოზი* გახდა. გუდამაყრის ადრინდელი მოსახლეობა ბარში გადასახლებულა. დღეს აქ უმეტესობა ხევსურები არიან. სწორედ მათ მოიტანეს ხევსურეთიდან *პირიმზე ფუძის ანგელოზი*, რომელიც თავდაპირველად წიკლაურ-ბექაურების საგვარეულო სალოცავი იყო. მოგვიანებით, მას, როგორც „უყმო ყმები“ (ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს გუდამაყრელები ხსენებულ სალოცავთან მიმართებაში) გუდამაყრის სხვა გვარებიც ღოცულობდნენ და ღოცულობენ: ჩოხელები, აფციაურები, ანთაურები.¹ ზოგიერთი მოხრობელი ტერმინ „უყმო ყმას“ ასე ხსნის: ვინც ყმა არ არის, ის უყმოაო.² ანუ ამ ხატის ყმები წიკლაურები და ბექაურები იყვნენ. დანარჩენები (ჩოხელები, აფციაურები და ალბათ, ის სხვა გვარებიც, რომელთათვისაც პირიმზე მთავარი სალოცავი იყო), ვინც ასევე ღოცულობდა ხსენებულ სალოცავს, ფუძის ანგელოზის უყმო ყმები იყვნენ.³ *პირიმზე ფუძის ანგელოზი* გუდამაყრის უმთავრეს სალოცავად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვათა, კერძოდ ხევსურ წიკლაურთა და ბექაურთა ფუძის ანუ მათი სოფლის (უკანახოს) ანგელოზი იყო.

¹ როლანდ თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თბილისი: მემატიანე, 2002), 57-58; როლანდ თოფჩიშვილი (რედ.), საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (თბილისი: უნივერსალი, 2010), 120.

² სოფ. გამსი, მოხრობელი სანდრო ივანეს ძე ბექაური, 68წ. და ქეთო თედოს ას. აფციაური, 62წ., 1989 წ. ნინო დამბაშიძე, გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 1989, ხელნაწერი.

³ Ibid, თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, 99; ზურაბ კიკნაძემ, ღვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა, ჯვარ-ხატთა სადიდებლები, (თბილისი: ნეკერი, 1998), 149.

გუდამაყარში ძირითადად ბექაურები, წიკლაურები, ჩოხელები და აფციაურები მოსახლეობენ. ისინი ხევსურეთიდან არიან გადმოსახლებულები. როლანდ თოფჩიშვილის თქმით, აქ ისინი ადგილობრივი გუდამაყრელების ადგილას უნდა დასახლებულიყვნენ, მკვიდრი გუდამაყრელები კი მათ მოსვლამდე, მთისწინეთსა და ბარში უნდა გადასახლებულიყვნენ. გუდამაყარში უცხოვრიათ: ბუბუნაურებს, ჭოჭოლაურებს, თოთიაურებს, ჩობალაურებს, თამნიაურებს, თლოშიაურებს, ცუცქუნაურებს, მიგრიაულებს, ხითათიშაურებს და სხვ., რომელთაგან ნაწილი წიკლაურებს, ბექაურებს და სხვ. შერევიან, ზოგიც, მაგალითად, ხითათიშაურები, თავიანთ გვარზე დარჩენილან.

როგორც ითქვა, ბექაურები და წიკლაურები, რომლებსაც ბექამ და წიკამ დაუდეს სათავე, სოფ. უკანახოდან გადმოსახლდნენ.¹ სოფ. გამსში მცხოვრები ბექაურების ნაწილი გორზამაშვილები ყოფილან და ბარიდან, სოფ. მარტყოფიდან ამოსულან. ვინაიდან ისინი იმ სოფელში ჩასახლებულან, სადაც ბექაურები ცხოვრობდნენ, მათი გვარი მიუღიათ. ჩოხელებს და აფციაურების ნაწილს ოსეთიდან გადმოსახლებული თაგაური ჰყოლიათ წინაპრად. ამ გვარიდან ორს კაცი შემოკვდომია ქისტეთში და მესისხელობის გამო გამოქცეულან გუდამაყარში. მათი საერთო წარმომავლობის საბუთი ისიცაა, რომ ეს ორი გვარი ქორწინების გზით არ ნათესავდება. აფციაურების მეორე ნაწილი, მესისხელობის გამო, ხევსურეთიდან, სოფ. შატილიდან, მოსული ჯალაბაურები არიან. ისინი ამანათად შესულან აფციაურების გვარში, რის გამოც ხსენებულ გვარზე იწერებიან.² სერგი მაკალათიას თქმით, სოფ. ჩოხის ფერდობ-

¹ უფრო დაწვრილებით საკითხთან დაკავშირებით იხ. თინათინ ოჩიაურის მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1967).

² Ibid, თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, 93-96, 98.

ზე, ბოსლისა და ბურსაჭირის წყლების შესართავთან მდებარე პირიმზე ფუძის ანგელოზი ერთ-ერთი მთავარი ხატი მთიულეთში. სერგი მაკალათიას თქმით, პირიმზის ხატი პატარა ქვიტკირის ეკლესიაა, რომელიც სიპი ქვით იყო მის დროს გადახურული და მასზე ქვის ჯვარიც იყო აღმართული. ეკლესიას გარს ხატის ტყე ეკრა. ეკლესიაში მაკალათიას უბრალო, ფაბრიკული ხატები დახვედრია. თავად პირიმზის ხატი, რომელსაც წმ. გიორგის გამოსახულებიანი ვერცხლით მოჭედილი და მხედრულწარწერიანი ჯვარი წარმოადგენდა, ჩოხის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახებოდა. როგორც მის მიერ მოხმობილი წარწერიდან ირკვევა, ეს ყოფილა წიკლაურ-ბექაურების პირიმზის ბოვრაციის თავი, რომელიც სახლთუხუცეს იასონ ერისთავის შვილს, თეიმურაზს (მოგვიანებით, 1724-1735 წლებში არაგვის ერისთავს) 1707 წ. ფუძის ანგელოზისთვის შეუწირავს. პირიმზეში 9-10 ხატობა სცოდნიათ, რომელთაგან მთავარი ფუძის ანგელოზობა ყოფილა. მის თარიღად სერგი მაკალათია 30-31 აგვისტოს ასახელებს. როგორც ითქვა, პირიმზე წიკლაურ-ბექაურებმა ხევსურეთის სოფელ უკანახოდან გადმოიტანეს, როდესაც გუდამაყარში გადმოსახლდნენ. ამდენად, სალოცავი მათი ფუძის ანგელოზია.¹ ალბათ, გეოგრაფიული მდებარეობის სახელწოდებიდან გამომდინარე, პირიმზე ფუძის ანგელოზობა *ახლობადაც* მოიხსენიება. ფუძის ანგელოზის დღესასწაული ორი ნაწილისაგან შედგება, რაც ერთგვარად მოსახლეობის და, შესაბამისად, მისი სალოცავის მიგრაციის ისტორიას განასახიერებს. როდესაც დღესასწაული გუდამაყარში მთავრდება, მლოცველი სოფ. უკანახოში გადადის და იქ აგრძელებს დღესასწაულს. უფრო სრულად ამ საკითხს ოდნავ ქვემოთ შევეხებით.

ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ პირიმზე ფუძის ანგელოზი, ცნობილი ტრიადის მეორე წევრია, რომელსაც

¹ სერგი მაკალათია, მთიულეთი (ტფილისი: სახელგამი, 1930), 159-160.

ხევსურეთში მზე/დღე დღესინდელი ჰქვია.¹ შესაძლოა ეს აზრი მას 1962-1963 წლებში სოფ. უკანახოში ჩაწერილმა ხუცობამაც განუმტკიცა, რომლის დროსაც ჯერ ღმერთს იხსენიებდნენ, შემდეგ კვირავს და მესამე ადგილზე პირიმზე ფუძის ანგელოზს, რომელსაც სხვა ჯვარ-ხატები მოსდევდა.² როგორც ცნობილია ვერა ბარდაველიძის მიერ გამოვლენილი ცნობილი ტრიადა შედგება მორიგე ღმერთის, კვირიასა და მზე ქალის/დღე დღესინდელისაგან.

ხალხის თქმით პირიმზე ფუძის ანგელოზი ძლიერი სალოცავია. არიან და-ძმანი და ერთი დროშა აქვთ.³ ზოგის თქმით, პირიმზე ფუძის ანგელოზი ლომისას დარად, ახალგაზრდა, პირტიტველა ჯეელი, კარგი ყმაა.⁴ ზოგის თქმითაც, პირიმზე ქალია, ფუძის ანგელოზი კაცი. ხალხის თქმით სალოცავები ერთმანეთთან დადიან. ფუძის ანგელოზი, იახსარი და კოპალა მოძმეები არიან. ფუძის ანგელოზი გუდამაყრისაა, იახსარი ხევსურეთის და კოპალა ფშავის. გუდამაყარში სწორედ ამ კონტექსტში ყვებდნენ გადმოცემას დევებთან ბრძოლის შესახებ, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ფშავ-ხევსურეთში. თინათინ ოჩიაურმა ამ საკითხს სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა. იგი აღნიშნავს, რომ ფშავ-ხევსურეთის, ხევსურეთის მოსაზღვრე გუდამაყრის, არაგვისა და ივრის ფშავის გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე დევ-კერპების განადგურებასთან დაკავში-

¹ როგორც ცნობილია, ვერა ბარდაველიძემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოავლინა დვთაებათა ტრიადა: მორიგე ღმერთი, მზე ქალი/დღე დღესინდელი და კვირია. Вера Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен (Тбилиси: Caucasian House, 2007), 26.

² ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, ხევსურეთი (თბილისი: მეცნიერება, 1982), 43.

³ Ibid, ღამბაშიძე, გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური.

⁴ Ibid, თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, 102.

რებული მითოლოგიური გადმოცემები ერთ-ერთი ყველაზე გაგრძელებული მოტივი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. იგი მოკლედ ასე აღწერს ხსენებული თქმულების შინაარსს: დიდი ფიზიკური ძალის მქონე დევები მესაქონლეები, მიწათმოქმედები და მჭედლები ყოფილან. ისინი საშინელ დღეში აგდებდნენ მოსახლეობას, შეურაცხყოფას აყენებდნენ სალოცავებს. შეწუხებულმა ხალხმა დახმარებისთვის თავიანთ სალოცავებს მიმართა. მათაც შეისმინეს ხალხის ვედრება და სათათბიროდ მორიგე ღმერთის კარზე შეიკრიბნენ. მორიგე ღმერთმა გადაწყვიტა ხალხს დახმარებოდა. საამისოდ მან ჯერ ღვთისშვილები, სალოცავები, გამოცადა ძალაში. შეჯიბრში კოპალამ და იახსარმა გაიმარჯვეს. ღვთისშვილები მათი თაოსნობით შეებრძოდნენ დევ-კერპებს და გაანადგურეს კიდეც. ხილული დევები უხილავ არსებებად გადაიქცნენ და სამუდამოდ მიატოვეს ის ტერიტორია, რომელზედაც ოდესღაც სახლობდნენ. გუდამაყრელი დევების სოფელ საკერპოდან განდევნაში პირიმზე ფუძის ანგელოზს კოპალა და იახსარი დაეხმარნენ. გადმოცემის მიხედვით, დევებისაგან შევიწროვებული ხალხის დასახსნელად პირიმზეს კოპალა მიუწვევია, ასევე იახსარი. შეყრილან ფხიტურზე.¹ პირიმზეს უთქვამს, ახლა მე ჩავალ დევებთან საბრძოლველად და თუ დამჭირდა თქვენი დახმარება, მომეშველეთო. ფუძის ანგელოზს დევები ლახტით დაუხოცავს, მაგრამ შეგვიანებია. მაშინ, კოპალა და იახსარი მისკენ წასულან და ფუძის ანგელოზი გზაში შეხვედრიათ. მათი შეხვედრის ადგილს ხალხი სასადილოს ეძახის. აქ, ამ ადგილას, ხატიონი ისვენებდა, ქაღებს სერავდა, ხატს ადიდებდა.² ხალხის თქმით, პირიმზე,

¹ უღელტეხილი გუდამაყრის ქედზე.

² სავარაუდოდ, ეს სწორედ ის ერთ-ერთი ადგილი იყო, სადაც ახლობისკენ მიმავალი მლოცველი და ხატიონი ჩერდებოდა.

იქ დაბინავდა, სადაც დევების ნასახლარია. დასახლდი, რომ კიდევ არ გამრავლდნენო – უთქვამს იახსარს.¹

1989 წლის საველე მასალის მიხედვით, საკერპოსა და ხევესურების სოფელ გორულში დევები იყვნენ დასახლებულები. დევები საკერპოსა და ამ დევების გზაზე მლოცველს არ უშვებდნენ. მლოცველი სხვა გზით დადიოდა. იმ გზაზე იყო ტბა. მთხრობელი ყვება: „ღამე დაინახეს, რომ ცხენიანი კაცები იძირებოდნენ და ერთი თეთრ ცხენიანი კაცი დაიძირა და გაჩერდნენ. „დევების შვილთა“ გააკეთეს ფხიტურზე ყრილობა. „რა ვქნათ ეხლა? ვინ ჩახვალთ საომრად კერპებთან? ვერავინ ეწევა ლახტს (დევებს ლახტით უნდა შებრძოლებოდნენ – ნ. დ.). ფუძის ანგელოზმა ასწია. მერე კიდევ ასწია იახსარმა, მერე კოპალემ“. შეება ფუძის ანგელოზი კერპებს და 8 იქვე მოკლა. ერთი გაიქცა. გაქცეულს იახსარი დაედევნა. კერპი აბუდელაურის ტბაში ჩაძვრა და იახსარი იქ დაედევნა. თურმე, სხვა კერპებიც ცხოვრობდნენ იმ ტბაში და იახსარი დაატყვევეს. მთხრობლის (ილო წიკლაური, სოფ. კიტოხი) თქმით, ხუცესმა სიზმარში ნახა კოპალა, რომელმაც უთხრა, ოთხყურა და ოთხრქა ბატკანი დამიკალით, რომ ამოვიდყო.

მთხრობელთა თქმით, ფუძის ანგელოზი შეიძლება დიდი ხარის სახითაც შეხედეს ადამიანს.²

გუდამაყარში დღემდე ერთი სინტერესო ისტორიაა შემორჩენილი. სოფელ ჩოხის მკვიდრის, 80 წლის ნინო ქუმსას ასულ წიკლაურ-აფციაურის თქმით ურწმუნოებს ქართველი კაცი აუყვანიათ მთაზე და რომ ურჯულოება ვერ მიაღებინეს, მთაზე ატანილ, აღმასებდამაგრებულ ურემზე დააკრეს და დააგორეს. ეს კაცი სულ ნაწილებად

¹ თინათინ ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1967), 20-21, 44-45.

² ელისო ჩუბინიშვილი, გუდამაყარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 1989, ხელნაწერი.

დაიჭრა. ეს კაცი წმ. გიორგი იყო, რომელიც 363 ნაწილად დანაწევრდა. ხალხმა ნაწილები არ დაკარგა და სალოცავებში ჩააყოლა. ჩოხის წმ. გიორგიში ენაა და პირიმზეში – მკლავი, მაჩაგანში თავიო. პირიმზეში ხალხმა ძალიან იცის ჩხუბი, ეს კი ხდება სწორედ იმიტომ, რომ აქ მკლავია ჩატანებული, თქვა მთხრობელმა. ჩოხის წმ. გიორგი ენის გამყოლიაო. წმინდანის ენის წვერი, ხალხის თქმით, სამ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი ჩოხშია, მეორე წიფორის წმ. გიორგიში. მესამის შესახებ მთხრობელს აღარ ახსოვდა. თუ ჩოხელის ქალი დაქვრივდებოდა, არ გათხოვდებოდა, კაცი ცოლს არ ითხოვდა, ჩოხის წმ. გიორგი დასწყევლის, ენაა ჩაყოლილიო. ჩოხელის ქვრივს სხვა აღარაეინ ითხოვდა.¹

ხალხში პირიმზე ფუძის ანგელოზის მიერ მოხდენილი სასწაულების ხსოვნაცაა შემორჩენილი. ხატის მოედანზე 1989 წლისთვის ჯერ კიდევ იყო ნაყაზარმალი. აქ რუსი სამხედროები იდგნენ. ერთხელაც მათ ხატის ტყეში შეშა მოჭრეს. როდესაც მოჭრილი ხე ჩამოქონდათ, ჯარისკაცებს მოეჩვენათ, რომ მტერი დაესხათ თავს და ერთმანეთი დახოცეს. ხალხმა ამ ამბავზე ასეთი ლექსი გამოთქვა:

„დიდია ჩვენი პირიმზე
ხმაღს ირტყამს ლერწამ ტანზედა.
არ მოიხდინა მოძალე,
მისული თავის კარზედა.“

მთხრობლის თქმით, ეს ხშირად იმდერება ჩონგურზეო.²

სერგი მაკალათიას აღწერილობით, გუდამაყარში, ფუძის ანგელოზობაზე მრავალი მლოცველი მიდიოდა. გუდამაყრელებისა და ხევსურების გარდა, აქ მიდიოდნენ: ფშაველები, მოხევეები, დუშეთის სხვადასხვა კუთხის მაცხოვ-

¹ Ibid ღამბაშიძე; Ibid, ჩუბინიშვილი.

² Ibid ღამბაშიძე, გუდამაყარი.

რებლები. ხატობა ღამისთევით და სამი დღის განმავლობაში სცოდნიათ. მაკალათიას აღწერილობის მიხედვით, რომელიც XX ს. I ნახევარში თავად დაესწრო ხსენებულ დღესასწაულს, როდესაც დეკანოზი პირიმზის ხატს პირველად გამოაბრძანებდა ეკლესიიდან, მის კართან მყოფი ავადმყოფები პირქვე წევბოდნენ. უხუცესი დეკანოზი ავადმყოფებს ხატის დროშით ჯვარს სამჯერ გადასახავდა, დროშის ტარს თავზე, წელზე, ორივე მხარზე (ანუ ჯვრის ფორმით) დააჭერდა და სამჯერ იქით-აქეთ გადახტებოდა. ამას *ხატით გალახვა* ეწოდებოდა. ამის შემდეგ, დეკანოზი ხატს (როგორც ჩანს ხსენებულ ვერცხლით შეჭედებულ ჯვარს) ღუდში ამოაგლებდა და „მის ნაბანს“ ავადმყოფს დააღვინებდა,¹ ნაკურთხი წყლის მსგავსად. მაკალათიასვე თქმით, მისი ხატობაში ყოფნის დროს მრავალი კურატი და ცხვარი დაიკლა და შეეწირა სალოცავს. სამსხვერპლო საქონელს დეკანოზი ხანჯლით კლავდა. მას თავზე თეთრი ხილაბანდი (დროშა) ჰქონდა წაკრული და გულზე მრავალი ჯვარი ეკიდა. მის გვერდით იყვნენ დასტურები, რომლებიც წესრიგს იცავდნენ. ხალხი იდგა და დამწყალობების რიგს ელოდა. დამწყალობებისას მლოცველი დეკანოზთან ხელადა არყით, საკლავით, ნაზუქით და კელაპტრით მიდიოდა. დეკანოზი მლოცველს კელაპტარს გამოართმევდა და დალოცავდა.² ორი ახალგაზრდა დეკანოზი პირიმზე ფუძის ანგელოზის ეკლესიის გალავანში მლოცველებისგან საწირს იღებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვისაც სურდა რაიმე შეეწირა პირიმზესათვის, მივიდოდა ამ ორ დეკანოზთან, თან შესაწირს მიაყოლებდა, ქადას, რომელშიდაც ვერცხლის აბაზიანი იქნებოდა ჩარტობილი, ერთ ხელადა არაყს და კელაპტარს. დეკანოზი იღებდა საწირს, ანთებდა კელაპტარს და დაილოცებოდა. დალოცვას რომ მორჩებოდა, ქადიდან აბაზიანს ამოიღებდა და ინახავდა,

¹ Ibid, მაკალათია, 11.

² Ibid, 161-162.

ქადებს გაღავანში აწყობდა. შარნას, ანუ ჯვარს ან გახერეტილ აბაზიანს, რომელიც შეხვეწილს მხარზე ექნებოდა მიკერებული, მოაჭრიდა და ნიშში დებდა. შეხვეწილს შესაძლოა ყელზე ხატის უღელი ჰქონოდა. დეკანოზი უღელსაც შეხსნიდა და მასაც ხატის ნიშში დებდა. თავის მხრივ მლოცველი დეკანოზს ყანწით არაყს მიაწოდებდა. დეკანოზი დაილოცებოდა და დაღევედა. სერგი მაკალათიას თქმით, ხატობისას პირიმზის ეკლესიაც ღია იყო და ხუცესი ასრულებდა მღვდელმსახურებას: „ბავშვებს ნათლავს, მლოცავების შეკვეთით პარაკლისს იხდის და სხვა.“¹ სავარაუდოდ სერგი მაკალათია ხუცესში საეკლესიო მსახურს გულისხმობს,² რაც იმას ნიშნავს, რომ პირიმზე ფუძის ანგელოზობას ხატის მსახურ დეკანოზს და ეკლესიის მსახურ მღვდელს თავთავიანთი მსახურებისთვის განკუთვნილი ტერიტორია ჰქონდათ. პირიმზე ფუძის ანგელოზის დღესასწაულზე, რომელსაც ს. მაკალათია არაუგვიანეს 1930 წლისა დასწრებია, ხალხური და ოფიციალური ქრისტიანობა გვერდიგვერდ თანაარსებობდა. როგორც ჩანს, ამ ორ მხარეს შორის შექმნილი უთანხმოება 1888 წლის დაპირისპირებისას მოგვარებულა, რასაც ოღნავ ქვემოთ შევხებით.

სერგი მაკალათიას თქმით, პირიმზის მინდორი სავსე იყო მლოცველების ჩარდახიანი ურმებით და კარვებით, ასევე, ხურჯინიანი ურმებით, ეკლესიის გაღავანი კი შეწირული ქადებით, საკლავების ტყავებით და ბეჭებით. ხალხის მიერ შეწირული ფული, პირიმზის სალოცავის საჭიროებისთვის, დეკანოზებს მიჰქონდათ.³

¹ Ibid, 164.

² ადგილობრივი სალოცავების ღვთისმსახურს დეკანოზი ჰქვია, ხოლო ხუცესს ეკლესიის მსახურსაც უწოდებდნენ. ეს გვაფორებისებს, რომ ხუცესში მაკალათია საეკლესიო მსახურს უნდა გულისხმობდეს – ნ. დ.

³ Ibid.

1989 წლის მონაცემებითაც, პირიმზე ფუძის ანგელოზი გუდამაყრელების მთავარი სალოცავი იყო, თუმცა წიკლაურები და ბექაურები აღნიშნავდნენ, რომ ხსენებული სალოცავი მათი სალოცავია. პირიმზე ფუძის ანგელოზობა მარიამობის თვეში, მარიამობას, 28 აგვისტოს მოდის. მის სწორზე დღეობა გრძელდება ხევსურეთში, სოფ. უკანახოში, იქ, სადაც პირიმზე ანგელოზის ფუძე იყო და ჰქვია *ახლობა*. ხსენებულ წელს გუდამაყრელები პირიმზე ფუძის ანგელოზის საბერეს აშენებას აპირებდნენ. მთხრობელმა ასევე დასძინა, რომ გუდამაყრელებს სახატო დღესასწაულების აღნიშვნას უკრძალავდნენ, მაგრამ მათ ისინი არ დაუთმიათ. ხატის „ბაგრაყს“, ანუ დროშას, ბაღდადების გარდა, თავზე ბრტყელი ჯვარი ჰქონია დამაგრებული და ზარებიც ეკიდა. მთხრობლის თქმით, „პარტიულმა არამზადა ხალხმა“ ზეგარდობის დღესასწაულზე (რომელიც, სერგი მაკალათიას თქმით 5-10 აგვისტოს იმართებოდა),¹ მოიპარეს ბორაყის ჯვარი. მთხრობელს მამამთილის ნათქვამი ახსოვდა, რომლის მიხედვით იმ ჯვარში „კაცის ნაწილი“ ანუ, სავარაუდოდ, წმინდანის წმინდა ნაწილი იყო ჩატანებული. როგორც ჩანს, შემდეგ ორჯონიკიძეში კვლავ გააქეთებინეს ჯვარი და მთხრობლის მამამთილი თურმე ჯავრობდა, მაგ ჯვარში „კაცის ხორცი უნდა იყოს ჩატანებული“. გუდამაყარში დაცული გადმოცემის მიხედვით, ურჯულოებმა ქართველს თავისი სარწმუნოება რომ ვერ მიადებინეს, მთაზე აიყვანეს და აწამეს. ეს წმ. გიორგი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი აღმასებთან ურემზე დაკრული და ნაწამები სხეული ნაწილებად რომ დაჭრილა, ეს ნაწილები ხალხს არ დაუკარგავს და ისინი საქართველოს სხვადასხვა სალოცავშია მოთავსებული. ჩოხის წმ. გიორგიში, ხალხის თქმით, წმინდანის ენა ყოფილა, ხოლო პირიმზე ფუძის ანგელოზში, მკლავი. ამიტომაც, რომ პირიმზეში, დღეობისას ხალხმა ძალიან იცოდა ჩხუ-

¹ Ibid, 158.

ბიო, ამბობენ ადგილობრივები.¹ პირიმზე ფუძის ანგელოზს არა მარტო საბჭოთა პერიოდში ებრძოდნენ. 1888 წლის ივერია იუწყება, რომ მთავრობის განკარგულების მიხედვით მლოცველი ახლობაზე, იგივე პირიმზე ფუძის ანგელოზობაზე, ტრადიციულ ადგილას არ უნდა მიეშვათ და თავად დღესასწაული აეკრძალათ. მთავრობის მოხელეები ხალხს არ უშვებდნენ და იმუქრებოდნენ. ხალხი გაბრაზებულა, ჩვენ ჩვენს ტრადიციას არ მოვიშლითო და გაწეულან მთავრობის წარგზავნილი ხალხის წინააღმდეგ. რომ არა ადგილობრივი სასულიერო პირი, დაპირისპირება შესაძლოა შეტაკებაში გადაზრდილიყო.² მომდევნო სტატია მომხდარს უფრო ახუსტებს. ხალხის სარწმუნოებასთან დაკავშირებით მღვდელ ი. ყ-ს (სავარაუდოდ იობა ყრუაშვილის – ნ. დ.) მოხსენების შედეგად, მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ მლოცველები „ახოში აღარ უნდა გაეშვათ და საჩაღის ჭაღის მოედანზედ უნდა ედღესასწაულებინათ, სადაც იმავე ხატის ნიშია აშენებული“. მთავრობას ფასანაურის „ურიადნიკი“ ცილოევი გაუგზავნია იქ. სადაც ხალხს რიტუალები უნდა შეესრულებინა. ცილოევიდან ერთად იყვნენ პოლიციის მოხელეები და ოთხი სასულიერო პირი, მღვდლები: ი. ყ-ლი (სავარაუდოდ იობა ყრუაშვილი – ნ. დ.), გ. ს-ძე, იაკობ კაიშაუროვი და ბლალოჩინი გ-ძე. სასულიერო პირებმა და მოხელეებმა ხალხს მიუთითეს საჩაღის ხევის ნიშთან შეესრულებინათ ახლობის სადღესასწაულო რიტუალები. კაიშაუროვს ხალხისთვის მიუმართავს, უსაუბრია ხატობის მნიშვნელობაზე და მისი გაუქმება ურჩევია. პასუხად ხალხს უთქვამს, ჩვენ ჩვენს ტრადიციას ვერ გადავაღწოთ და ძალით მოუნდომებიათ ახოსკენ წასვლა. ხალხი აღელვებული იყო. მაშინ მღვდელმა კაიშაუროვმა აიღო მათი ჯვარი/ბოგრაყი მივიდა დეკანოზ შიო

¹ მოხრობელი ნინო ქუმსას ას. წიკლაური-ავციანურისა, 80 წლის, სოფ. ჩოხი. Ibid, დამბაშიძე, გუდამაყარი.

² ა. ს-ი, ტფილისი, 24 სექტემბერი, ივერია, 201(1888), 1.

წ-სთან (სავარაუდოდ წიკლაურთან-ნ.დ.) და მას გადასცა, თან ხალხს მიმართა: „მეც მთის შვილი ვარ და გთხოვთ წესი და რიგი დაიცვათ“. ხალხი დამწვიდდა. მოხელეებმა და მღვდლებმა იქაურობა დატოვეს, ხალხი კი ახლობის აღსანიშნავად გაემართა. როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, ამ საქმის ზოგიერთი მონაწილე სასამართლოსთვის გადაუციათ.¹ 1888 წლის ივერიაში არის მესამე სტატია, რომელიც იმავე საკითხს ეხება. სტატიიდან ვიგებთ, რომ პირიმზე ფუძის ანგელოზობაზე ესწრებოდნენ ანანურის ბლადოჩინი მ. გ-ძე და მღვდელი მ. კ-შვილი. ისინი ეცადნენ, რომ ხალხს ტრადიციული წესი არ შეესრულებინა. ბლადოჩინმა ხალხს უთხრა, რომ დეკანოზებს უფლებას არ მისცემდა წესი შეესრულებინათ. ხალხმა უპასუხა, ხელმწიფეც კი ვერ შეძლებს ამასო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მ. გ-ძე იძულებული იყო ხალხისთვის ნება დაერთო აღენიშნათ დღესასწაული. ამ ამბავთან დაკავშირებით, სტატიის ავტორი აღნიშნავს: „ზოგი ძველი ჩვეულება მაგნე და მაზარალებელია, მაგრამ ამნაირად ბრძოლა ამ ჩვეულებასთან, როგორც ჩვენში იციან ხოლმე, უფრო მანება, ვიდრე თვით დაწუნებული ჩვეულება.“²

ვნახოთ, რა ვითარება იყო გუდამაყარში ფუძის ანგელოზობაზე 1989 წლისთვის, სერგი მაკაღათიას მიერ ნახი და აღწერილიდან თითქმის 40 წლის შემდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, პირიმზე ფუძის ანგელოზობა ბოლო დრომდე აგვისტოში, მარიაშობას აღინიშნება. სწორზე, აუცილებლად შაბათ დღეს, ხევსურეთში, სოფ. უკანახოში იმართება ფუძის ანგელოზობა. ხატიონი და მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში გადადის სალოცავად. გვიშლიდნენ, მაგრამ, ჩვენ ხატები არ დაგვითმიაო, გვითხრა 80 წლის მთხრობელმა, ნინო ქუმსას ას. წიკლაურ-ავციურმა. როგორც ცნობილია, დღეობის მოსამზადე-

¹ გუდაური (დუშეთის მაზრა), (უავტორო), ივერია, 201(1888), 2.

² გუდამაყარი, (უავტორო), ივერია, 195(1888), 2.

ბელი პერიოდი ძალზე მნიშვნელოვანია და ფაქტობრივად, დღეობა/დღესასწაულიც სამზადისით იწყება. შეუთქვამდნენ კურატს, სამი წლის მოზვერს და პირველშობილ მამალ ცხვარს. ხალხი მას უფალას ეძახდა.¹ ელისო ჩუბინიშვილის მასალების მიხედვით მამალ ბატკანს დოლის დროს ფუძის ანგელოზის სახელზე აყენებდნენ. მას ვერ გაყიდდნენ. ხშირად საკლავი უსაბელოდ წინ მიუძღვოდა პატრონს ხატში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც საკლავი ხატის კარებზე დაწოლილი უნახავს პატრონს და გარშემო მყოფებს. საკლავი რომ სალოცავში თავისი ფეხით მიდის, გუდამაყარში ამაზე ერთი გადმოცემაცაა დადასტურებული. გადმოცემის მიხედვით, ერთმა მონადირემ მოკლა ირემი. ამასობაში დადამდა და მონადირეს ადგილზე დარჩენა მოუწია. „ჩამოატყავა“ ირმის ერთი ფეხი და როდესაც მწვადი ცეცხლზე შემოდო, ვიღაც ჩამოუჯდა. ამ ვიღაცამ აიღო ხორცი, შეჭამა და დაიხა: კინკინშიგა კიდევ შემწვარა, კიდევ დამწვარაო. გაოცდა მონადირე, ეს რა მეჩვენებაო. მოსულმა უთხრა, რას მიყურებ, მე ქალი ვარ, ახლა კაცი მოვაო. გაისმა ფეხის ხმა. მონადირემ დაიხა: ფუცი, ფუციო. ფუძის ანგელოზიო უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაიხსენა. ახლად მოსულმა გაიღიმა და გამოაჯავრა: ფუცი, ფუციო. უცბად რაღაც გასკდა და მთხრობლის თქმით, ამ კერპისგან ნაველის გორა დადგა. ამ უცნობს სანთლები დაენტო ხეზე და მონადირეს უთხრა: ნუ გეშინია, დაწექიო. ისიც დაწვა და დაიძინა. ამ მონადირეს ბევრი საქონელი ჰყავდა. მონადირემ გაუჩინარებულ უცხო სტუმარს მიმართა: „ოღონდაც გამაგებინე საქონელში რომელი მოგეწონება და ცხვარში რომელიო“. „რქაზე რამე ფრინველი დაასვიო“ – უთხრა უცხო სტუმარმა. ხარსაც და ყოჩსაც დააჯდა მტრედი. მონადირემ არც ის იცოდა, როდის იყო ფუძის ანგელოზობა და სად. როდესაც ხატობის დრო მოვიდა, ხარი ადგა და თავად მიდის. ხარს მოაბრუნებენ, მაგრამ

¹ Ibid, ღამბაშიძე, გუდამაყარი.

ის ისევ მიდის. მიხვდა პატრონი, ხარი იმიტომ მიდის, რომ ფუძის ანგელოზობა ახლათ. აიღო მონადირემ საგზალი, ჩაიწყო გულაში და თავის ხარსა და ყოჩს გაჰყვა. იარეს და როდესაც კიტოხში მივიდნენ, ხალხი დროშებით შეხვდა. მაშინ მიხვდა მონადირე, სად მივიდა. იკითხა მაინც და უთხრეს, რომ ფუძის ანგელოზობათ. მაშინ, მონადირემ ხარიც და ყოჩიც ხატს შესწირა.¹

პირიმზეში, დღესასწაულზე, ღამისთევით მიდიოდნენ. დასტურ-დეკანოზებიც ხატში ათენებდნენ. მლოცველი მზით მიიყვანდა საკლავს დასაკლავად. დეკანოზები საკლავის დაკვლას სხვაგვარად კრძალავდნენ. ამბობდნენ საკლავი მზით უნდ მოიყვანოთო. უსაკლავოდ ხატში არავინ მივიდოდა. შეიძლებაო საში წლის ჭედილაც. ფურნეში ცხვებოდა ხავიწის, მხლის ქადები. ზოგიერთი ხავიწის ქადებს ერთი ფურნის ოდენობით აცხობდა. ერთ სამწყალობნოს, ანუ ქადას, 2 სანთელს მიაყოლებდნენ. საკლავთან ერთად მათ დეკანოზებს მისცემდნენ. დეკანოზი კლავდა საკლავს, ანთებდა სანთელს, ჭრიდა სამწყალობნოს. დეკანოზი გამოაბრძანებდა ბაურაყს (ბორაყს) ანუ დროშას. მას ძვირფასი ბაღდადები, დროშები ჰქონდა გაკეთებული. ბორაყს თავზე ბრტყელი „ჯორო“ (ჯვარი) ჰქონდა დამაგრებული და ზარები ეკიდა. ძველად ბევრი დეკანოზი ყოფილა. „ახლა აღარ დგებიან, ბაღლობიდან აიყვანდნენ წინათ. გაგიჟდებოდა, მკითხვის პირით გაიგებდნენ, რომ დამიხეხებულაო. ესლაც უფრო მოხუცები დგებიან“ – თქვანინო წიკლაურმა. საკლავის დაკვლისას წალმა უნდა დამდგარიყვნენ. დეკანოზი საკლავს სანთლით ბალანს შეუტუსავდა და დაილოცებოდა, გრძლად, როგორც მღვდლებიო, თქვა მთხრობელმა. ამ დროს, მთელი ხალხი ფეხზე იდგა. საკლავს მარცხენა ხელით იჭერდნენ, საკლავის თავს კი მარჯვენათი. დასტური ფეხებს დაუჭერდა. დეკანოზს ხანჯალი ჰქონდა, რომლითაც საკლავს ყელს გამოჭრიდა. დე-

¹ Ibid, ჩუბინიშვილი.

კანოზი დაიყვირებდა, გაუმარჯოსო და სხვებიც აჰყვებოდნენ. რამდენჯერაც საკლავი დაიკვლებოდა, იმდენჯერ რეკავდნენ ზარებს. ქადა-სანთელი მთლიანად ეძლეოდა დასტურ-დეკანოზებს. ასევე მათ 1 აბაზსაც (20 კაპიკს) აძლევდნენ. ქალებს იქ არ უშვებდნენ. მთხრობლის თქმით, *მრეცხელი* ანუ ქალები, ვისაც დედათ წესი ჰქონდათ, ხატიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით იდგნენ. ნინო წიკლურის თქმით, მას უკვე შეეძლო ხატთან მიახლოება. ამის შემდეგ ხალხს, დასტურ-დეკანოზებს ბინაზე პატიუებდნენ. ხალხი რომ დაჯარდებოდა (მოგროვდებოდა) იწყებოდა ქეიფი.

თუ შეძლებდნენ, ახალ წელს პირიმზეში მიდიოდნენ და 3 ადლიან სანთელს წაიღებდნენ. ახალ წელს, შობას და სხვა დღესასწაულებშიც მიდიოდნენ პირიმზეში. მასალის ჩაწერის დროსაც სრულდებოდა ზემოთ აღწერილი წესები.

ხატს თავისი მიწები ჰქონდა. ძველად იქ ვერც ქალი გაივლიდა და ვერც მხედარი მამაკაცი.

როგორც ითქვა, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღესასწაული ერთი კვირის თავზე გუდამაყრიდან ხევსურეთში, სოფ. უკანახოში გრძელდებოდა. ეს დღეობის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. სერგი მაკალათიას თქმით, ბექაურები და წიკლაურები დეკანოზების წინამძღოლობით, პირიმზეს ხატით და დროშებით გუდამაყრიდან ხევსურეთში გადადიოდნენ. იქ პირიმზეს ნიშთან იმართებოდა სადღესასწაულო რიტუალები. სერგი მაკალათიას თქმით, რამდენიმე წლის წინ, სავარაუდოდ 1920-იან წლებში, თურმე, ამ გზაზე, უკანახოში მთიულეთის ყველა თემი მიდიოდა. მაგრამ, მთიულებს ხევსურეთში, ჩხუბში, ხევსური შემოკვდომიან და შურისძიების შიშით მას მერე წასვლას ვეღარ ბედავენ. მიდიან მხოლოდ ბექაურები და წიკლაურები და ისინიც უჩხუბრად არ ბრუნდებიან უკანო.¹

¹ Ibid, მაკალათია, 160-161.

2016 წელს, ველზე, 70 წლის მარო ბექაურისგან ჩაწერილი მასალების მიხედვითაც, გუდამაყრის მთავარი სალოცავი ჩოხის პირიმიზე ჩანს. იგი ძლიერი სალოცავი იყო და ხალხს სწამდა მისი. ეს ხატობა სამი იყო და სამ ადგილას იმართებოდა: ჩოხში, ოსაგის ხევში და პირიქით ხევსურეთში. ხატს დეკანოზი ჩოხში ჰყავდა და სალოცავს ის პატრონობდა. 28 აგვისტოს მარიამობა რომ დამთავრდებოდა, პარასკევს ახლობა დაიწყებოდა. „პირიმიზე რომ წაბრძანდებოდა ხევსურეთში, ხატიონი გაჰყვებოდა, საკლავები, კურატები მიჰქონდათ. იქ ხევსურეთში „ბოჭკები“ იდგაო. ერთში ლუდი იყო, მეორეში არაყო. ბექაურები და წიკლაურები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს“. რომელ კასრსაც თავისკენ გადმოსწევდნენ, ის კასრი მათი იყო. „ხატიონს დროშა მიჰქონდა, სულ წკრიალით მიდიოდნენ (დროშებს ზარები ჰქონდათ შებმული – ნ.დ.), მლოცავი მიჰყვებოდა“. ხევსურეთიდან უკან მობრუნებულ ხატიონს ოსაგში მლოცველები უერთდებოდნენ და ყველანი ერთად ბრუნდებოდნენ უკან.¹

ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან, ახლობის ანუ პირიმიზე ფუძის ანგელოზობის მეორე ნაწილის, რომელიც ხევსურეთში, სოფ. უკანახოში სრულდება, ყველაზე სრული აღწერილობა ვერა ბარდაველიძემ შემოგვინახა. პირიქით ანუ ბუდე ხევსურეთში, კერძოდ უკანახოში მან 1962-1963 წლებში იმუშავა და ქვემოთ მოტანილი მასალა, სვარაუდოდ, ამ წლებით თარიღდება. იგი დღეობის უშუალო თვითმხილველი იყო.

მარიამობის (28 აგვისტო) სწორზე, მთხრობელთა თქმით, ყოველთვის შაბათ დღეს,² სოფ. უკანახოში ახლობა ანუ ფუძის ანგელოზობის მეორე ნაწილი იმართებოდა. ეს ცნობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვისაც

¹ ნინო ღამბაშიძე, მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 2016, ხელნაწერი.

² Ibid, ღამბაშიძე, გუდამაყარი.

დასტურდება. 1962-1963 წლებშიც, როდესაც მას თავად ვერა ბარდაველიძე დაესწრო და აღწერილობაც დაგვიტოვა, მთავარი მლოცველები უკანახოში, ტრადიციისამებრ, გუდამაყრელები ყოფილან (პირიმზის ხატიონი და მლოცველი). თუმცა, დღეობას სოფელ ჩირდილისა და ბუჩუკურთას მოსახლეობაც ესწრებოდა. ფუძის ანგელოზი სოფლიდან მოშორებით, მთის ფერდობზე, უკანახოსა და სოფ. უბანს შორის მდებარე ტყეშია. მის კომპლექსში 1963 წლისთვის შედიოდა: 1. დარბაზი საკოდით, დარბაზის კარით, 2. საქვაბე, საქვაბის კარით, 3. სახარე, 4. ეკლესია, 5. სასაკლავო სიბი, 6. სასანთლე სიბი, 7. სადროშე კოშკი, 8. მუხის ტყე.

ვერა ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით, ახლობამდე ერთი კვირით ადრე გუდამაყრელებმა უკანახოს პირიმზე ფუძის ანგელოზის ნიშში სალუდე ქერი და ლუდის გამოსახველად საჭირო ყველა მასალა მიიტანეს, გამოხადეს ლუდი და სადღეობოდ იქვე შეინახეს. დღეობაზე, დილით, გაიხსნა კოდი. წესის მიხედვით კოდი ხევესურმა ხუცესმა გახსნა.¹ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ლუდის დაღვევა. კოდის გახსნის შემდეგ დაირეკა ზარი და დაიწყო საკლავების დაკვლა. საკლავებს ერთად კლავდნენ გუდამაყრელი დეკანოზი და ხევესური ხუცესი. ისინი ფუძის ანგელოზის კოშკის წინ, ერთმანეთის გვერდით იღვინენ და ხუცობდნენ, საკლავს თავს ჭრიდნენ. გუდამაყრელ დეკანოზს სხვა გუდამაყრელი დეკანოზი ენაცვლებოდა ხოლმე, ხევესურს კი არა.² ჯერ იკვლებოდა გუდამაყრელების საკ-

¹ თინათინ ოჩიაურის მასალების მიხედვით, გუდამაყრელებს ლუდს ხატობისთვის ხევესურები ახვედრებდნენ. იხ. მისი მითლოგიური გადმოცემები, გვ. 14.

² შესაძლოა, ეს საკლავთა რაოდენობის გამო იყო. ანდა, იმ გრძელი სავალი გზის გამოც, რომელიც გუდამაყრიდან მოსულეებმა გამოიარეს და კვლავ გასავლელი ჰქონდათ უკანა გზაზე. გუდამაყრელი ხატიონი ამ გრძელ გზაზეც, გარკვეულ პუნქტებში, ასრულებდა მსახურებას.

ლავები, შემდეგ კვლავ ირეკებოდა ზარი და იკვლებოდა ხევსურების საკლავები.

იმ დღეს, როდესაც ვერა ბარდაველიძე დასწრებიან დღეობას, უკანახოში მრავალი საკლავი დაკლულა. ძირითადად, როგორც პირიმზისთვის იყო დამახასიათებელი, კურატები (დაუკოდავი ხარები) და წელგამოვლილი ცხვრები, ჭედილები. მლოცველს ასევე მიჰქონდა: დიდი ზომის ქადები, ქადისკვერები, ტოშოლები (პატარა კვერი), არაყი, ლუდი, სანთელი, ვერცხლის წვრილი ფული. ხატიონი მათ აკურთხებდა, თითო ქადას დაიტოვებდა, არაყს დაღვედა და დანარჩენს პატრონს უბრუნებდა. ხევსურებიდან მეზღვნეები მხოლოდ უკანახოელები იყვნენ.¹ ვერა ბარდაველიძის თქმით, მის თვალწინ რვა კურატი და ორმოცზე მეტი ცხვარი დუკლავთ, რომელთაგან ერთ-ერთს (კურატს) წითელი ლენტი ჰქონდა ყელზე მოხვეული. ხარის დაკვლის შემდეგ ეს ლენტი ხუცესს წელზე შემოუხვევია და მთელი დღეობა კეთებია.

როდესაც მეზღვნე ხუცესთან და დეკანოზთან შესაწირ საკლავს მიიყვანდა, მათ ბოთლით არაყს (ზედაშეს) და ყანწს მიაწოდებდა. ხუცესი არაყს ყანწში ჩაასხამდა, დაილოცებოდა, მოსვამდა, ანთებული სანთლით საკლავს მარჯვენა ბეჭზე და შუბლზე ბალანს შეუტრუსავდა, ანთებულ სანთელს ან სხვა ჯვარიონს გადასცემდა, ან საზარეკოშკის წინ დააკრავდა და ხანჯლით სკლავს ყელს გამოჭრიდა. დასტურებს მის წინ საკლავი ფეხებგაკრული, გვერდზე ჰყავდათ გადაქცეული. საკლავის დაკვლის დროს პატრონი იქვე ცალ მუხლზე იდგა, „...ფუძის ანგელოზს

¹ როგორც თინათინ ოჩიური აღნიშნავს, გუდამაყრელ წიკლაურებს და ბექაურებს უკანახოელ ხევსურებთან ნათესაური კავშირი აღარ ჰქონდათ, ვინაიდან მათ ადგილას ჭინჭარაულები იყვნენ დასახლებულები. იგი იქვე დასძენს, რომ როდესაც გუდამაყრელები უკანახოში თავიანთ სალოცავთან მსახურებას ატარებდნენ, იქ, იმ დროს, ხევსურების მისვლა არ შეიძლებოდა. იხ. მისი მითოლოგიური გადმოცემები, გვ. 13.

თავის გასაჭირში დახმარებას შესთხოვდა და გულმხურვალედ პირჯვარს იწერდა.¹ ხევისბერი საკლავს რომ დაკლავდა, მის სისხლს პატრონს ჯვრის ფორმით შუბლზე წაუსვამდა, საკლავის თავს კოშკისკენ გადაისროდა, ტანს წინ დააგორებდა ან გადაისროდა. ხატიონს საკლავის თავი და შეწირული ქადა-სანთელი რჩებოდა. ზოგიერთი ხატის მსახურს საკლავის ბეჭსა და ბარკაღსაც უტოვებდა ხოლმე. როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, დღეობაზე იგი ამგვარ შემთხვევებსაც შეესწრო: „1) საკლავის დაკვლის შემდეგ დეკანოზმა ლუდიან ყანწში საკლავის სისხლი ჩააწვეთა, ლუდი და სისხლი ერთმანეთში შეურია და შემდგომ ამ ნარევით მოასხურა, როგორც თვით შემწირველი, ისე ფუძის ანგელოზის კოშკი და მისი არემარე, ე.ი. ყველა ისინი „განათლა“; 2) როდესაც კოდის გახსნის შემდეგ გუდამაყრელის ოჯახმა საქვაბიდან ლუდი თავისთან მიიტანა, ლუდის პატრონის მანდილოსანმა ლუდი ყანწში გადმოასხა, შემდეგ მას თავისი საკლავის სისხლი შეურია და ეს ნარევი ფუძის ანგელოზის მიდამოს და თავის ოჯახის სადგომ ადგილს მოაპკურა, ე. ი. ამ მანდილოსანმა ისინი „განათლა“; 3) ფუძის ანგელოზის ნიშთან (კოშკთან) ახალგაზრდა გუდამაყრელმა საკლავი დააკვლევიანა და ამის შემდგომ მან კოშკის წინ დაიჩოქა, დეკანოზმა კოშკზე მიყუდებული დროშა „წამოაბრძანა“ და გუდამაყრელის თავთან რამდენჯერმე შეარხია და თან ეს ყმაწვილი დაამწყვალაობნა. ეს ე.წ. „დაკოჭვის“ წესი ჩატარდა იმის გამო, რომ გუდამაყრელი დაავადებულია, მას ცალი ხელი და მუხლი უხმება“.

ვერა ბარდაველიძის თქმით, ახლობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ შემადგენელ ნაწილს წიკლაურების „კოდის დათრევა“ წარმოადგენს. როდესაც საკლავი დაიკვლებოდა,

¹ დეკანოზის სადიდებელი უკანახოს ფუძის ანგელოზში იხ. ზურაბ კიკნაძე, ღვთისო მამისიმედიშვილი და ტრისტან მახაური, 149-152.

წიკლაურების გვარის ერთ-ერთი ოჯახის წარმომადგენელი სალუდედან ქვაბით, ანუ კოდით, ლუდს გამოიტანდა და ფუძის ანგელოზისთვის განკუთვნილი ნაგებობის წინ მდებარე ბებერი ხის ძირში დადგამდა. ამ კოდს ოთხი კაცი შემოუსხდებოდა, რომლებსაც იარაღს ჩამოართმევდნენ. ისინი ხელებს და ფეხებს შემოახვევდნენ კოდს და ამგვარად ამაგრებდნენ ქვაბს. ძველად ოთხივე წიკლაური უნდა ყოფილიყო, მოგვიანებით ადგილობრივ ხევსურსაც ირჩევდნენ. თავდაპირველად კასრთან, ვერა ბარდაველიძის თქმით, „კეთილგანწყობილი“ მამაკაცები მივიდნენ, შემდეგ კაცები ქვაბის გარშემო დაჯარდნენ, შეიქნა ჩოჩქოლი, ყველას უნდოდა ლუდი. ამასობაში მათ შორის ზოგიერთს კოდის გატაცება უნდოდა, კოდის დამცველები კი ხელებით და წიხლებით იგერიებდნენ. იქმნებოდა ორი ჯგუფი: კოდის დამცველები და კოდის გამტაცებლები. ამგვარ ჭიდილში ერთ-ერთი ჯგუფი იმარჯვებდა, მიჰქონდა კოდი იქით, სადაც იყო დაბანაკებული და იმართებოდა ლუდის სმა, კაფიაობა.

ვერა ბარდაველიძის თქმით, ხევსურები, განსაკუთრებით ქალები, განზე, ხატის საქვაბის მხარეს იდგნენ და მოსულ გუდამაყრელებში არ ერეოდნენ. მათ ცალ ხელში ქადისკვერები და ტომოლები ეჭირათ, მეორეში არყიანი ტიკტორა – „ქინთი“, წინ საკლავი „ეგდოთ“ და გამვლელს არაყს სთავაზობდნენ. როდესაც მზე დასავლეთით გადაიწვევებოდა, ირეკებოდა ზარი და ყველა უკანახოს მახლობლად მდებარე მინდორზე, რომელსაც „წინცხვირას“ ეძახდნენ, წავიდოდა. აქ იხარშებოდა საკლავი, იმართებოდა ლხინი, ათევდნენ ღამეს და მეორე დღეს ბრუნდებოდნენ თავთავიანთ სახლებში.¹

1980-იანი წლების ბოლოს ახლობასთან დაკავშირებით ამგვარი მასალა იყო შემორჩენილი. გუდამაყრელები კვლავ დადიოდნენ ახლობაზე. ვინაიდან, უკანახოში აუცილებლად მარიაშობის სწორზე, ოღონდ შაბათ დღეს უნდა

¹ Ibid, ბარდაველიძე, ძეგლები, ტ. II, ხევსურეთი, 42-45.

დაიკლას საკლავი, გუდამაყრელები პარასკევს გადადიოდნენ ხევსურეთში. მთას რომ გადაივლიდნენ, ხევსურეთში სალოცავს კარის ანგელოზი ჰქვია, და იქ დაისვენებდა დროშა და ხალხიც იქ ჩერდებოდა. გზაზე კიდევ ისვენებდნენ ნიშებთან. მთხრობლის თქმით, ქვის ჯვარია იმ ნიშებზე გამოსახული. მიქონდათ თითო სანთელი და თითო კვერი და დეკანოზი გასერავდა ამ კვერებს. მაგრამ, პირიმიზიდან წამოსული ხატის დროშა და მასთან ერთად ხატიონი და მლოცველი, ჯერ კიტოხზე, წყაროსთან შეისვენებდა, შემდეგ ოსაგის ხევზე და ბაკურხევზე გადავიდოდა. შემდეგ, ერთი ქედია, რომელსაც სასადილოს ეძახიან, სადაც დასტურ-დეკანოზები საჭმელს ჭამდნენ, მარხვას,¹ თევზს სჭამდნენო, თქვა მთხრობელმა. სასადილოდან ფხიტურზე გადავიდოდნენ, ფხიტურიდან კი კარის ანგელოზში და ბოლოს ფუძის ანგელოზში. იმავე მთხრობელმა აღნიშნა, რომ აქედან როდესაც მივდივართ, სანთლებს ვანთებთ ხოლმეო, იქიდან კი ქადასაც ვჭრითო.²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თინათინ ოჩიაურის მასალების მიხედვით გუდამაყრიდან უკანახოში მისული ჯვარიონი და მლოცველი სოფლის ახლოს გაათენებდა. ადგილობრივები ვაღდებულნი იყვნენ მათთვის მიეტანათ 4-5 საკლავი, პური, თაფლი, საგებ-სახური და ყოველივე, რაც საჭირო იყო, დილით კი ხატში ღუდს დაახვედრებდნენ. ეს ყოფილა ერთგვარი ბეგარა, რომლებსაც ადგილობრივი

¹ ჩვენი აზრით, ვინაიდან ახოობა აუცილებლად შაბათ დღეს უნდა გამართულიყო, გუდამაყრელები გუდამაყრიდან ხევსურეთში პარასკევს გადადიოდნენ. ამას მთხრობლებიც აღნიშნავენ. ამდენად, დასტურ-დეკანოზები პარასკევს მარხვას ინახავდნენ და მარხულობდნენ. ხსენებული ადგილი აღსანიშნავი იმითაა, რომ იგი ის ადგილია, სადაც მითოლოგიური გადმოცემის მიხედვით პირიმზე ფუძის ანგელოზი მის დასახმარებლად მომავალ იახსარსა და კოპალას შეხვდა.

² Ibid, ღამბაშიძე, გუდამაყარი.

ხევისურები გადასახლებულებს ანუ ყოფილ მესაკუთრეებს უხდიდნენ.¹

სანდრო ივანეს ძე ბექაურის თქმით, პირიმზე ფუძის ანგელოზში ორი დროშა იყო, ერთი პირიმზის და მეორე ფუძის ანგელოზის. დღეობა რომ მთავრდებოდა, ერთს, რომელსაც ადგილზე ნამყოფ დროშას ეძახდნენ, დაკეცავდნენ, შეფუთავდნენ და ინახავდნენ. ხალხი საკადრისებს რომ სწირავდა ამ დროშებს, დასტურ-დეკონოხები ეტყოდნენ, ვისთვის გინდა, მთარულისთვის თუ ადგილზე ნამყოფისთვისო. მთარული დროშა ხევისურეთში გადადიოდა. იყო ხელით სატარებელი ჯვარიც, რომელიც წინ მიუძღოდა დროშას. დროშა უფროს ხატის მსახურს ეკავა, ერთ-ერთ დეკანოზს კი ხელის ჯვარი და მესამე, ვისაც საკლავი უნდა დაეკლა, მათ მიჰყვებოდა. საკლავის დაკვლა უკანახოში დღის 12 საათზე უნდა დაიწყო, ვინაიდან იქ მლოცველს დარჩენა არ შეუძლიაო, დაამატა მთხრობელმა.²

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ თავში შევეცადეთ თავი მოგვეყარა ჩვენ და სხვათა მიერ შეგროვილი მასალისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხის, გუდამაყრის შესახებ, რომელიც სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ამავე დროს, ელისო ჩუბინიშვილისა და ჩემ მიერ 1989 წელს გუდამაყრის ექსპედიციაში მოპოვებული მასალები პირველად ქვეყნდება, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს რეგიონის უკეთ შესწავლას.

რაც შეეხება ჩემი კვლევის უშუალო ობიექტს, პირიმზე ფუძის ანგელოზს, რომელიც გუდამაყრის საერთო სალოცავია, მარიამობას, 28 აგვისტოს იდღესასწაულება, რაც ჩვენი 1989 წლის ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. თუმცა, ს. მაკალათია, რომელიც არაუგვიანეს 1930 წლისა

¹ Ibid, ოჩიაური, 13-14.

² Ibid, ღამბაშიძე, გუდამაყარი.

დაესწრო ამ დღესასწაულს გუდამყარში, აღნიშნავს, რომ ხსენებული დღეობა 30-31 აგვისტოს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული დღესასწაულის სრული დასახელება ამგვარია: პირიმზე ფუძის ანგელოზობა-ახობა. სათაურიდან, დღესასწაულის ციკლიდან და ამ ციკლთან დაკავშირებული რიტუალიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს იმ ხალხის მიგრაციის ისტორია, რომელიც ხსენებულ სალოცავს ღოცულობს. როგორც ითქვა, ხევსურეთის სოფლის, უკანახოს ფუძის ანგელოზის ნიში ამ სოფლის მცხოვრებმა წიკლაურებმა და ბექაურებმა გუდამყარში გადმოსვლისას თან წამოიღეს და სოფ. ჩოხში დააარსეს. დროთა განმავლობაში ხსენებულ ორ გვარს ადგილობრივი გვარების ნაწილი შეუერთდა, ნაწილმა დატოვა გუდამყარი და ძირითადად ბარში გადასახლდა, რამაც, ჩვენი აზრით, ადგილობრივი ხევსურული სალოცავი საერთო გუდამყარულ სალოცავად აქცია. დღესასწაულმა თავისი წარმომავლობის და საყმოს მიგრაციის ისტორია შეინარჩუნა, რაც ყოველ წელს, ერთი და იგივე დროს, რიტუალის გზით ხორციელდება. შთამომავლები წინაპართა გზას რეალურად გადიან, მაგრამ მას ასევე, მკვეთრად რიტუალური ხასიათი აქვს. ხსენებულ დღესასწაულში, როგორც მითში, რიტუალშია შემონახული სოციუმის ისტორია, მისი დაარსების ისტორია. ამ გზაზე, რეალური, გეოგრაფიული პუნქტითაა გაცხადებული მითოლოგიური, საკრალური გეოგრაფია, რომელსაც საზოგადოების არსებობის მითოსურ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და რომელსაც მნიშვნელოვან მითიურ მოვლენასთნ ჰქონდა უშუალო კავშირი. საუბარია სასადილოდ წოდებულ ადგილზე, რომელიც პირიმზეს მიერ დევების დამარცხების შემდგომ, მისი, კოპალასა და იახსრის შებენდრის ადგილი იყო, სადაც გაჟღერდა გუდამყარის დევებისაგან განთავისუფლების ამბავი; სადაც ყოველ წელს,

ხატონის წინამძღოლობით, გუდამაყრელ მლოცველთა ჯგუფი ჩერდებოდა.

ხალხის წარმოდგენებში პირიმზე ქალური ბუნების ღვთაებაა, ფუძის ანგელოზი მამაკაცურის. თითქოს, ამ სალოცავის მამაკაცური ბუნება სოფლის ფუძეს იცავდა ხეცურეთში, ხოლო მთიულეთში ქალური ბუნება გამოავლინა. თარიღითაც დღეობა ღვთისმშობელს უკავშირდება. პირიმზე ფუძის ანგელოზი ხალხს ხარის სახითაც ჰყავს წარმოდგენილი.

მოცემული მასალიდან გამომდინარე ამ სალოცავის შესაწირავებისთვის ძალზე ნიშანდობლივია, რომ ისინი თავად, საკუთარი ნებით მიდიან სამსხვერპლოზე, საკუთარი ნებით ეწირებიან ღვთაებას. ჩემს ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით, პირიმზე, წესისამებრ, კურატი და ცხვარი ერთად უნდა შესწირვოდა. მართალია, ასეთი რამ სხვა რეგიონებშიც გვხვდება, მაგრამ, აქ ეს წესი თვალშისაცემი ჩანს.

პირიმზე აღმოსავლეთ საქართველოში დაცული ძალზე ცნობილი მითოლოგიური გადმოცემის ერთ-ერთი აქტიური პერსონაჟია. კერძოდ, ღვთისშვილების დევ-კერპებთან ბრძოლის. ამ კონტექსტში პირიმზე ფუძის ანგელოზი ძლიერი, მებრძოლი, მამრობითი ფიგურაა. გადმოცემა გარკვეული სახით 1989 წელსაც იყო ხალხში შემორჩენილი, მაგრამ იგი აშკარადაა შერწყმული იახსრისა და აბუდელაურის ტბასთან დაკავშირებულ ისტორიასთან.

დღეს, ჩემს ხელთ არსებული მასალიდან გამომდინარე, პირიმზე ფუძის ანგელოზი გამორჩეულად სინკრეტული ხასიათის სალოცავი ჩანს. აქ ძალიან ბევრი ფენა ერთმანეთთან ისეა შერწყმული, რომ საკმაოდ ჭირს მათი გამოიჯენა. ერთი მხრივ, როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავდა, პირიმზე ქალური ბუნების ღვთაებაა და ქრთულ პანთეონში ცნობილი ტრიადის მესამე პირია. გუდამაყარში მისი დღესასწაული ღვთისმშობლობას ემთხვევა. მას ქა-

ლადაც აღიქვამდნენ, თუმცა ზოგჯერ ფუძის ანგელოზს მისგან გამოყოფდნენ, რომელიც კარგ ყმად, მამრობით, მებრძოლ, კოპალასა და იახსრის ძმობილ ღვთაებად წარმოედგინათ. არადა, სალოცავის სრული სახელწოდება პირიმზე ფუძის ანგელოზია. ვფიქრობთ, პირიმზე ფუძის ანგელოზის რაობის საკითხი მომავალი კვლევის საქმეა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პირიმზე ფუძის ანგელოზის დღესასწაული, როგორც მეფის რუსეთის დროს, ასევე საბჭოთა პერიოდში, ეკლესიასა და მთავრობასთან სეროზული დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა. XIX საუკუნის ბოლოს ხალხმა შეძლო დაეცვა იგი (ადგილობრივი სასულიერო პირების გარკვეული ხელშეწყობითაც) და ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30-იანი წლებისთვის ქრისტიანობის წიაღში არსებულ ორ სივრცეში – ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის და ხალხური სარწმუნოების – ერთდროულად, გვერდიგვერდ, მშვიდობიანად თანაარსებობდა. საბჭოთა პერიოდში, ათეისტური პოლიტიკის შედეგად, მთავრობის მხრიდან ოფიციალურად დაზიანდა მისი სიწმინდე, ჯვარი, თუმცა, ხალხმა შეძლო სალოცავის და დღესასწაულის შენარჩუნება.

სპი

სოფელ გერგეტის საგი სალოცავი

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ გრაფიკულ ანაზომებს შორისაა ოთხი ანაზომი, რომელზეც დაფიქსირებულია სოფ. გერგეტის (ხევი) სალოცავები: ოხარეშის წმ. გიორგის ხატი, ნინოწმინდა და ყველაწმინდა, ქალების სალოცავი.¹ ვინაიდან ხსენებული სალოცავები სოფ. გერგეტთანაა დაკავშირებული, საჭიროდ მივიჩნით, საკითხზე საუბარი გერგეტის სამებით და სოფ. გერგეტით დაგვეწყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ეთნოგრაფიული კუთხე, ხევი, ოდიდგან დასახლებული კუთხე იყო, რაზედაც, თუნდაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, I ათასწლეულით დათარიღებული, საყოველთაოდ ცნობილი „ყაზბეგის განძი“ მეტყველებს. იგი არა მარტო ოდიდგან დასახლებული კუთხე იყო, არამედ ყოველთვის საქართველოს „ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა“.² როგორც ცნობილია, თერგის ხეობა ერთ-ერთი ქართველური ტომებით, წანარებით, იყო დასახლებული, რომლებსაც VIII-IX სს. დიდი წვლილი მიუძღვით კახეთის სამთავროს შექმნაში. იმის გამო, რომ ისინი კახეთში გადასახლდნენ, თერგის ხეობის ზემო წელი მოსახლეობისაგან, წანარებისაგან დაიცალა. ამდენად, ფიქრობენ, რომ ხსენებულ ტერიტორიას წანარეთის ხევის ნაცვლად, ხევი შემორჩა სახელად. ხევი XVII ს. 20-იანი წლებიდან საქართველოს სამეფოს გამგებლობაში იყო³

¹ ანაზომები An. Xev. 15, An. Xev. 16, An. Xev. 7, An. Xev. 18 ინახება ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

² ვალერიან ითონიშვილი, ხევი, გზამკვლევი (თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1984), 3.

³ როლანდ თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თბილი-

ხოლო არაგვის საერისთაოს გაუქმების გამო, სხვა მიმდებარე ტერიტორიების მსგავსად (თრუსოს ხეობა, მთიულეთ-გუდამაყარი), 1743 წ. საუფლისწულო მამულებად გამოცხადდა და მეფე ერეკლეს შვილებს გადაეცათ, მათ გამგებლობაში გადავიდა. საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ხევი ჯერ ანანურის მაზრაში, ხოლო მოგვიანო გარდაქმნების შედეგად, დუშეთის მაზრაში აღმოჩნდა.¹

„აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის, არშას ქუეით, აჩხოტის ჳევი. აქ არს ციხე ღუდუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ ჳევიდამ გარდავაღს გზა გუდამაყარს. ამის ჩრდილოთ არს სტეფან-წმიდა, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გერგეთი, არაგუს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესუენა ნინოს ჯუარი, შუენიერ ნაშენი, შუენიერს ადგილს“ – წერს, როგორც კარგადაა ცნობილი, ვახუშტი ბატონიშვილი.² მოგვიანებით, XIX საუკუნეში ბატონიშვილი თეიმურაზის ივერიის ისტორიაში ვკითხულობთ, რომ ანდრია მოციქული არშესული მცხეთას, ავიდა მთაზე, იქ, სადაც დღევანდელი ჯვრის მონასტერია, აღმართა ჯვარი და ქართლიდან გადავიდა კახეთში, გრემში. იქაც აღმართა ჯვარი, გადავიდა დიდოეთში, დაღესტანში, მრავალი ადგილი მოიარა, ქისტეთის გზით „მოვიდა ჳევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსა აწ სახელსდებენ თერგად) და ადვიდა ძირსა საშინელისა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი (რომელსაცა ზედა ჰგიან საუკუნითგანნი მყინვარნი და თოვლნი განუზომელ-

სი: ენა და კულტურა, 2002), 52-53; ვალერიან ითონიშვილი, მოხვევების ყოფა-ცხოვრება (გამოცემის ადგილი არ არის მითითებული, 2015), 130.

¹ Ibid, ითონიშვილი, გზამკვლევი, 3.

² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV (თბილისი: მეცნიერება, 1973), 357.

ნი) მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა მას დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმიდამან ამან მოციქულმან აწ არს მასზედა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი.¹ გერგეტის მიდამოებში არის ქვიშაქვიანი უდაბნო „ნაბერაღნი“. ეს ადგილი საძოვარი ყოფილა. გადმოცემით აქ ყოფილა მცირე ეკლესია, საცხოვრებელი ქოხები და ქვის ჯვარი. საინტერესოა, რომ სოფ. გერგეტში დაცული გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრია მოციქულს ჯვარი აქ აღუმართავს.² ვალერიან ითონიშვილიც თავის ხევის ტოპონიმიკაში აღნიშნავს, რომ ეს ადგილი საძოვარი იყო. იგი იქვე დასძენს, რომ სახელწოდებიდან გამომდინარე, ეს ადგილი ბერების სამყოფელი უნდა ყოფილიყო. აქ, შემორჩენილ პატარა ეკლესიასთან, საცხოვრებელი ქოხების ნანგრევებთან ერთად არის 1 მ. სიგრძის და სივანის ქვის ჯვარი, რომელიც ხალხის გადმოცემით წმ. ანდრიას აღმართულია.³ ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ახსოვს ხევის ჩრდილოეთით არის დაბა, კარგი, სტეფან-წმინდა. სტეფანწმინდის დასავლეთით, არაგვს გადაღმა, მეორე კიდეზე არის გერგეთი. ანუ, ვახუშტის მიხედვით, მდინარის ერთ მხარეს არის დაბა სტეფან-წმინდა, მეორეზე კი გერგეთი, რომლის თავზე, მყინვარის კალთაზე, სამების გუმბათიანი მონასტერია, წმ. ნინოს ჯვრისა და მცხეთის სამკაულის სახიზარი. თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ისტორიაში იმე-

¹ თეიმურაზი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი ვიორგოსა, რომელ არს სრულიად საქართველოსა (სანქტ პეტერბურგი: სამეცნიერო აკადემიის სტამბა, 1848), 143.

² კ. კახაძე, თ. ჩიმაკაძე, გერგეთი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2 ტ. (თბილისი, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთ. სამეც. რედაქცია, 2004), 444.

³ ვალერიან ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა (თბილისი: მეცნიერება, 1971), 130.

ორებს ვახუშტის ლოკალიზაციას. მისი თქმით ანდრია მოციქულმა მყინვარის ჩამოსწვრივ, მის ძირში, მაღალ მთაზე, სადაც იქვეა დაბა, აღმართა ჯვარი. ამ ჯვრის ადგილზე, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, დღეს (ანუ XIX საუკუნეში, როდესაც დაიწერა მისი ისტორია) დიდი ეკლესია და წმ. სტეფანე პირველმოწამის მონასტერია. თუ გავითვალისწინებთ მოცემულ ლოკალიზაციას და იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთადერთი დიდი, გუმბათიანი ეკლესია წმ. სამებაა, მაშინ ხსენებული ეკლესია გერგეტის სამება უნდა იყოს. ამ ეკლესიის სახელწოდება სოფ. გერგეტთან სიახლოვემ, მისდამი კუთვნილებამ¹ და ამ სოფლის მოსახლეობის საყდრიშვილობამ განაპირობა. მიუხედავად სხვადასხვა წყაროში მითითებული ცნობისა, ზოგიერთი მკვლევარი, მაგ. თამაზ სანიკიძე, გამოთქვამს ეჭვს, რომ გერგეტის სამებასთან იყო მონასტერი. იგი აღნიშნავს, რომ გერგეტის სამება მონასტერი არ ყოფილა, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მას მუდმივი მცველი, „მეკარე“, ჰყოლია. მონასტრებსაც თავიანთი კარის მცველები ჰყავდათ. გერგეტის მეკარეც განსაზღვრავდა ვინ უნდა შეეშვა ტაძარში. მეკარის სამყოფელი სამრეკლოს პირველი იარუსი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სამების ანსაბლის ტერიტორიაზე მისი საცხოვრებელის ადგილი არსად ჩანს. იმავე ნაშრომში თამაზ სანიკიძე აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ტაძარში მრევლის შეშვება არ შეშვების საკითხი არაალოგიკურია, შესაძლოა სამებას მონასტრის რაღაც ელემენტები ჰქონდა.²

ხალხური გადმოცემის მიხედვით სამება საყარაულოდ ოთხი გერგეტელი დეკანოზისთვის ჩაუბარებიათ. სამებას ისინი მორიგეობით დარაჯობდნენ. გადმოცემის მიხედვითაც მორიგე დეკანოზი სამრეკლოში იყო. იგი დიდასაღამოს სამშვიდობო ტონში, თითოჯერ რეკავდა ზარს.

¹ თამაზ სანიკიძე, გერგეტი, (თბილისი: მეცნიერება, 1975), 5.

² Ibid, 65, 69.

თუ მტერი გამოჩნდებოდა, ზარების რეკვით განგაშს ტყე-
და.¹ სერგი მაკალათიას თქმით, სამებას გერგეტელი ყარა-
ულები 1930-იან წლებშიც ჰყავდა. ძველად მოხევეები გერ-
გეტელებს ამ სამსახურისთვის გასამრჯელოდ ერთ კომ-
ლზე მათარა (ფუთნახევიარ, 12 კილოგრამ) ქერს აძლევ-
დნენ. შემოდგომაზე, გერგეტის დეკანოზები მთელ ხევს
დაივლიდნენ და გასამრჯელოს კრეფდნენ. ყველა სოფელს
თავისი მასპინძელი ოჯახი ჰყავდა. მაგ. ხურთისში ტუნაშ-
ვილები, ყანობში ტატიშვილები, ფხელშეში ელოშვილები,
გორისციხეში ჩქარეულები და სხვა. ანუ, სოფელში მისულ
დეკანოზებს ამ გვარის ოჯახები მორიგეობით ხვდებოდნენ
და საპატიო სტუმრებს მასპინძლობდნენ. ამის შემდეგ, მას-
პინძლები სტუმრებს გაუძღვებოდნენ, დაივლიდნენ სო-
ფელს და ქერს აგროვებდნენ.² ვალერიან ითონიშვილი აღ-
ნიშნავს, რომ ეს მოგვიანო პერიოდის მასპინძლები გერგე-
ტის სულთა მატთანეში („მატიანე მოსაჯსენებელი სულთა“)
მოსხენიებული მძეველები უნდა ყოფლიყვნენ.³ „ესე მზე-
ვლები ამათ [გერგეტელებს] საყდრის შვილობისათჳს მიე-
ციოთ, რომე მეფესა შეეწყაღნეს და ებრძანა ჩუნ თანა.“⁴

სამებასთან მონასტრის არსებობას, გარდა ზემოთ
მოტანილი ისტორიული წყაროებისა და მეკარისა, რომე-
ლიც ბოლო დრომდე განაგრძობდა თავისი მოვალეობის
შესრულებას, ჩვენ ხელთ არსებული კიდევ ერთი წყარო
ამტკიცებს. მცხეთის ქართლ-კახეთ-მცხეთის საკათალიკო-
სო მამულების 1392 წლის სითარხნის გუჯარში ვკითხუ-
ლობთ: „არაგვის თავს ჰვეს: სოფელი გერგეტი, მონასტერი

¹ Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 133.

² სერგი მაკალათია, ხევი (ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1934), 229.

³ Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 149.

⁴ ქრისტინე შარაშიძე, გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 30(1954), 245-246.

წმიდის სამებისა და უდაბნო მისის ეკლესიებითა, წმიდა ნინოს მოცემულითა ჯუარითა ცხოველ ვაზითა და თმანი, თვისითა სოფლებითა; არაგუზე ციხე გერგეტაული.“¹ როგორც ვხედავთ ამ დოკუმენტის მიხედვით წმ. სამება მონასტრად იწოდება და რაც აგრეთვე საინტერესოა, სოფელი გერგეტი სხვა სოფლებისგან განსხვავებით, სახელდებით და გამოყოფილად მოიხსენიება. ვფიქრობთ, უფრო სავარაუდოა, რომ სამებასთან მონასტერი უნდა არსებებულიყო.

წმ. ნინოსთან და წმ. ანდრიასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროების თუ ლეგენდა-გადმოცემების შეჯერების შედეგად შესაძლოა ამგვარი სურათი დავინახოთ. I საუკუნეში წმ. ანდრია არ შედის რა მცხეთაში, მის პირდაპირ, მდინარე მტკვრის გადაღმა მდებარე ბორცვზე აღმართავს ჯვარს და რგავს ხეს,² რომლიდანაც IV საუკუნეში ითლება ჯვრები. ამ ხეთაგან ერთ-ერთი, მოგვიანებით სხვათაგან მეტად განთქმული და სასწაულმოქმედი, წმ. ნინოს, მეფის და ეპისკოპოსის მიერ იმავე მთაზე აღმართება. ხსენებულის შემდგომ, წმ. ანდრია გადადის კახეთში და გრემის ტერიტორიაზე აღმართავს ჯვარს, მოივლის ჩრდილო კავკასიის გარკვეულ ნაწილს და კვლავ ბრუნდება საქართველოში, იმდროინდელი ქართლის სამეფოს საზღვრებში. ფაქტობრივად, მის ჩრდილოეთ საზღვართან. აქაც დასახლებული პუნქტის, დღევანდელი სტეფანწმინდის, მოპირდაპირედ, მდინარის გადაღმა, მაღალ მთაზე აღმართავს ჯვარს. მოგვიანებით, აქ აიგება ტაძარი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინ-

¹ ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III (თბილისი: მეცნიერება, 1970), 178.

² ხელმოუწერელი (პეტრე გელეიშვილი), ჯაჭვის-წმ. ჯვრის მონასტერი, „მოგზაური“, იანვარი, I(1901), 24; Антон Натроев, Мцхета и его собор Светицховели (Тифлис, Типография К. П. Козловского, 1900), 122.

დის, ნინოს ჯვრის სახიზარი იქნება. სოფ. გერგეტში, რომელიც უშუალო კავშირშია გერგეტის სამებასთან, არსებობს წმ. ნინოს ნიში და ხალხში დაცული გადმოცემის მიხედვით, ამავე სოფლის შემოგარენში, წმ. ანდრიას, ნაბერაღად წოდებულ ტერიტორიაზე, აღუმართავს ჯვარი. ანუ, ორივე წმინდანი – წმ. ანდრია და წმ. ნინო – გადმოცემის მიხედვით, ჯვრების აღმართვის თუ დავენების ადგილებად მცხეთის გოლგოთას და მყინვარის ძირში მდებარე მაღალ მთას ირჩევენ. ამას გვეუბნებიან წყაროში და ხალხში დაცული გადმოცემები. ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის მიხედვით, რომელიც მთის ლეგენდის სახელითაა გამოქვეყნებული გასული საუკუნის დასაწყისის პრესაში, წმ. ნინომ კავკასიონზე აიტანა ჯვარი, იქადაგა და იქ აღმართა. მის მიერ ჯვრის აღმართვამ ხალხს შორის მანამდე არსებული დაპირისპირება შეწყვიტა. სტატის ავტორის მიერ მხატვრული ფორმით გადმოცემული ლეგენდა გვეუბნება, რომ მას მერე წმ. ნინოს მიერ კავკასიონზე აღმართული ჯვარი დღესაც გადმოჰყურებს თავის ხალხს.¹ 1669 წლით დათარიღებულ წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელში ამგვარი ჩანაწერია: „ხევი ნინოს მოქცეულია“.² არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ მცხეთის საკათალიკოსო მაღალ მთაში, შედარებით უსაფრთხო ადგილას ხიზნავს ქვეყნის, ეკლესიის დიდ სიწმინდეებს და განძს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ლეგენდა მოცემული ისტორიული ფაქტის გამოძახილიც იყოს და იმისაც, რომ ხევი ნინოს მიერ არის მოქცეული. ისიც ცნობილია, რომ თავდაპირველად წმინდა ადგილებზე ჯვრებს აღმართავდნენ ხოლმე, რაც ჩვენი აზრით ტერიტორიის სულიერად მონიშვნასაც უნდა უკავშირდებოდეს. ამასთანავე, ჩვენ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ქრისტიანები სალოცავებს იმ ადგილებში აშენებდნენ, რომლებიც ხალხს

¹ Н. ски, Горская легенда, Кавказ, 99(1905), 2.

² Ibid, დოლიძე, III, 558-560.

წმინდად მიაჩნდათ. „ძველი რწმენა ებმებოდა ახალი რწმენის სისტემაში.“¹ ამ კონტექსტში, ვფიქრობთ სინტერესოა, რომ მკვლევარების აზრით მცხეთის გოლგოთაზე, ქრისტიანობის გავრცელებამდე, კერპი უნდა ყოფილიყო აღმართული.² ზემოთხსენებული ორი გეოგრაფიული ლანდშაფტი ჰგავს ერთმანეთს. სიწმინდე ორივეგან დასახლებული პუნქტის მოპირდაპირე მთაზე არსდება. ორივე შემთხვევაში დასახლებული პუნქტისა და წმინდა მთის გამყოფია მდინარე, ერთგან მტკვარი, მეორეგან თერგი. რატომ დაუკავშირა სულიერად და ქრისტიანობის გავრცელების, მისი დაცვის კუთხით, საისტორიო წყაროებში თუ ხალხში დაცულმა გადმოცემებმა ხსენებული ორი მთა და აქ განვითარებული სულიერი მოვლენები ერთმანეთს? და თუ გერგეტზეც იყო კერპი აღმართული, ისიც დაეცა, ქართლის სამეფოს სხვა კერპების მსაგესად, როდესაც მცხეთის ჯვარი აღემართა? ამ საკითხებზე დღეს მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ერთი რამ კი ფაქტია, ხსენებული ხალხური თუ წყაროში დაფიქსირებული გადმოცემები წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს მიერ ერთი და იმავე გეოგრაფიულ წერტილში ჯვრების აღმართვას და ამით მოცემული ტერიტორიის სულიერად მონიშვნას, მის საკრალიზაციას უსვამენ ხაზს. ამ მიმართულებით დღეისათვის ჩვენთვის მხოლოდ ორი ადგილია ცნობილი: მცხეთის გოლგოთა და გერგეტი. დღევანდლამდე მოღწეული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მცხეთას და გერგეტს კახეთიც უნდა ემატებოდეს. აქ ძელიცხოველობა, 7 მაისობა, ერთი მხრივ, მცხეთის ჯვარს, ჯვრის გამოჩინებას, ხოლო მეორე მხრივ

¹ გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია (თბილისი: სახელგამი, 1936), 23-24.

² გურამ ყიფიანი, წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2004), 16.

წმ. ანდრიას უკავშირდება.¹ თუმცა, ხსენებულ საკითხზე უფრო ღრმად საუბარი ჭირს, ვინაიდან, აშკარაა, რომ დღეისათვის სათანადო ეთნოგრაფიული მასალა უკვე დაკარგულია.

გადმოცემასა თუ ლეგენდაში დაცული ჯვრების აღმართვის შემდეგ, რომლებიც წმ. ანდრიას და წმ. ნინოს მიეწერება, გერგეტის წმ. სამების აგებამდე ცნობა ამ ადგილას რაიმე სახის სალოცავის არსებობის ანდა მისი საკრალიზაციის შესახებ, ჩვენთვის უცნობია. თუმცა, ხალხური გადმოცემის მიხედვით, გერგეტის სამება V ს. დასაწყისში ვახტანგ გორგასალმა ააშენა.² თამაზ სანიკიძის კვლევის მიხედვით გერგეტის სამება XIV საუკუნის 30-იან წლებში აშენდა. მისი აგების მოთავე მცხეთის საკათალიკოსო იყო, რომელმაც ეს საქმე XIV ს. 10-იან წლებში წამოიწყო. იგი განვითარებული შუა საუკუნეების ბოლო პერიოდის ძეგლია. თამაზ სანიკიძის თქმით „ტაძრის გეგმა მარტივია. მას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის მკლავებს შორისი მონაკვეთების შევსებით მიღებულია კვადრატთან დაახლოებული სწორკუთხედი... ამგვარი გეგმის მქონე, შედარებით მარტივი და კომპაქტური გუმბათოვანი ტაძრები ჩნდება ჯერ კიდევ VIII-IX სს. ...საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს იგი იღებს X-XI საუკუნეებში“. ამ ტიპის ტაძრები წრომიდან იღებს სათავეს.³ ასმათ ოქროპირიძე სამებას ფაქტობრივად იგივეს, ჯვარ-გუმბათურ ტაძარს, უწოდებს.⁴ წმ. სამებას ვახტანგ ბერიძეც XIV საუკუნით

¹ ნინო ღამბაშიძე, მცხეთის ჯვარი და საქართველოს გაქრისტიანების საში ეტაპი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1/2008, 452-453.

² გ. ბედოშვილი, „მწყემის“ კორესპონდენცია, სოფ. გერგეტოდან, ჟურ. მწყემი, 22(1898), 6; ბ. ლუღუშაური, წერილი ხევიდგან, ივერია, 224(1900), 3.

³ Ibid, სანიკიძე, 103, 32.

⁴ ასმათ ოქროპირიძე, გერგეტის სამების სახისმეტყველებისათვის, ლოგოსი, 7(2013), 107.

ათარიღებს და აღნიშნავს, რომ იგი XIII-XIV სს. ძველებთან ავლენს სიახლოვეს.¹ ხალხური თქმულება, წმ. სამების აგებას თამარ მეფესაც მიაწერს,² წერილობითი წყაროებისა და ხალხში დაცული გადმოცემების მიხედვით წმ. სამების გარშემო დაკრძალულნი იყვნენ ტაძრის „მოსაენი“ და „მადიდებელნი“. ტაძრის ტერიტორიაზე ჭავჭავაძეების ქვევრები იყო ჩაფლული, რომლებსაც ისინი ყოველ წელს ღვინით ავსებდნენ.³ გამოდის, რომ ფაქტობრივად, ეს ჭავჭავაძეების ზედაშეები იყო და შესაბამისად, წმ. სამება მათი საგვარეულო წმინდა ადგილიც უნდა ყოფილიყო. ამ კონტექსტში, ალბათ, სხვაგვარ ნიუანს იძენს ბეთლემისა და მისი ბერის შესახებ არსებულ გადმოცემაზე ილია ჭავჭავაძის მიერ პოემის შექმნა.

გუმბათიანი ტაძრისა და სამრეკლოს გარდა გერგეტის კომპლექსში არის მესამე ნაგებობა, რომელსაც საბჭუო ჰქვია და ტაძრის სამხრეთის ფასადზეა მიშენებული. საბჭუო, როგორც ცნობილია, ხევის უხუცესთა საბჭოსთვის განკუთვნილი ნაგებობაა. თ. სანიკიძე მიიჩნევს, რომ საბჭუო XV ს. დასასრულს ან XVI ს. პირველ ნახევარში უნდა აშენებულიყო, რადგან XVI ს-დან ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში სხვა ეტაპი იწყება და საბჭუოს მშენებელიც ხსენებული პერიოდის ტრადიციების მიმდევარია.⁴ საბჭუოში ქვის გრძელი „სასხდომი ყადები“ იყო შემორჩენილი.⁵ აქ სათემო ყრილობები, სახალხო სასამართლოები იმართებოდა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები მიიღებოდა. ყველა ვალდებული იყო ამ გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა. სამების საბჭუოში ინახებოდა

¹ ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (თბილისი: ხელოვნება, 1974), 169.

² Ibid, მაკალათია, ხევი, 15.

³ Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 134-135.

⁴ Ibid, სანიკიძე, 68, 69-70.

⁵ Ibid, მაკალათია, ხევი, 221.

სათემო დროშა *ორუყი*. საბჭოს წევრები ამ დროშაზე მეთემეებს ერთგულების ფიცს ადებინებდნენ.¹ ალექსანდრე ყაზბეგის თქმით, ხევი საერო კრებით, ერობით, იმართებოდა. საკითხი, რომელიც მთელ ხევს ეხებოდა, თემობით უნდა გადაწყვეტილიყო. ხალხის გადაწყვეტილებას ერობის დეკანოზები უწევდნენ მეთვალყურეობას, მათ ხელმძღვანელობდა ხევისბერი, მთელი თემობის უფროსი.²

სამებაში *კუბოს კარად* წოდებული ორი, როგორც სერგი მაკალათია აღნიშნავს, კარის ფორმის ხატი ინახებოდა. ფიცარზე ნახატი ხატები ვერცხლის პერანგით იყვნენ შემოსილები. როგორც ცნობილია, ერთი მათგანი იყო სადარო, მეორე კი საავდრო. საავდროზე გამოსახული ყოფილა: ღვთისმშობელი, ხარება, შობა, მირქმა და ნათლისღება. სადაროზე გამოსახული ყოფილა: ჯვარცმა, წმ. სამება, აღდგომა, თომას გვერდის განხილვა, ლაზარეს აღდგინება და იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლა. როდესაც ხევში გვალვა იყო, საავდრო ხატი გამოქონდათ და წყაროს წყალში გაბანდნენ, ავდრის დროს კი სადარო ხატს გამოიტანდნენ.³ 1988 წელს გერგეტელი არჩილ სუჯაშვილი გვიამბობდა, რომ წმ. სამებაში, რომელსაც დიდი ძალა აქვს, შევერცხილი, მატერია გადაფარებული დროშები ინახებოდა. ახლა ეს მატერია დაძველებულიაო. უფროსი კაცები, მაგალითად, გვალვის შემთხვევაში, საკლავს სიმღერით აიტანდნენ (სოფ. გერგეტიდან სამებაში-ნ.დ.), გადავიდოდნენ წყალზე, ხატის წყაროზე, როგორც მას ეძახიან და საავდრო ხატს წყალში გაავლებდნენ. იქ რომ გაავლებდნენ, სოფ. გერგეტში უკვე ავდარი იყოო. სასურველი

¹ რუსუდან ხარაძე, თემური მართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 2, 1959, 174.

² ვალერიან ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები (თბილისი: მემატიანე, 2006), 201.

³ Ibid, მაკალათია, ხევი, 222-223.

ამინდის გამოსათხოვად წინასწარ იკვლებოდა საკლავი. როდესაც პურმარილი გამოზადდებოდა, ხატებსაც მაშინ გამოაბრძანებდნენო.¹

გერგეტის სამების აშენებასთან დაკავშირებით ამგვარი ცნობილი თქმულებაა შემორჩენილი: ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფეები დაობდნენ, თუ სად უნდა აშენებულიყო წმ. სამება. მცხეთაში, მათ წინაშე დამდგარა ერთი მოხუცი და უთქვამს, „ფურბერწი“ დაეკლათ და მისი მენჯის ნაწილი (სამგორველი) სოფლის ბოლოს დაეგდოთ. ამ დაგდებულ სამგორველს სადაც შავი ყორანი წაიდებდა და გამოხრავდა, იქ აეშენებიათ სამება. მეფეები ასეც მოქცეულან. მართლაც, ყორანი მოსულა, დაუვლია ნისკარტი სამგორველისთვის და გაფრენილა. მას ხალხიც გაჰყოლია. ყორანს ანანურის თაგზე შეუსვენია. მოგვიანებით ამ ადგილზე ხალხს სამების ნიში აუგია. ამის შემდეგ, ყორანს ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) შეუსვენია. აქაც ჯვარი აღუმართავეთ. ბოლოს გერგეტში მიფრენილა, აქ „ელოგემის“ ნიშთან (სოფ. გერგეტის ბოლოს) შეუსვენია და საბოლოოდ სამების წვერზე შეჩერებულა, ძვალი გამოუხრავს და იქვე დაუგდია. გადაწყდა, წმ. სამების ტაძარი აქ უნდა აშენებულიყო, მაგრამ მეფეებს შორის ახლა დავა იმაზე გაიმართა, თუ ვის უნდა ჩაეყარა მომავალი ტაძრის საძირკველი. აქაც ერთი კაცი წამომდგარა და მოკამათე მეფეებისთვის ურჩევია, ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარი იყო აღმართული, მისულიყვნენ და იქიდან სირბილით, ვინც პირველი ავიდოდა სამებაზე, მას გაეჭრა საძირკველი. მართლაც, ცხენით თუ ფეხით ბიდარის მთიდან სამებისკენ ყველანი (როგორც ჩანს იგულისხმება ხალხიც, რომლებიც ყორანს უკან მისდევდა) გაქცეულან. მეორე ვა-

¹ ნინო დამბაშიძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური (შავი ხელნაწერი), 1988.

რიანტიის მიხედვით¹ საძირკველის გაჭრაზე მოხვევებს შორის გაიმართა შეჯიბრი. ხალხს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად თემის ბჭეებმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს, მათ სოფლები დააჯგუფეს: გერგეტ-სტეფანწმინდა, სიონ-გარბანი, ფხელშე-გორისციხე, ხურთის-ყანობი და სნოს ხეობის სოფლები. ამ დაჯგუფებულ სოფლებს თითო ახალგაზრდა უნდა შეერჩიათ, რომლებიც შეჯიბრში მიიღებდნენ მონაწილეობას. „ჯორთვაკიდან“ (ჯვრის უღელტეხილიდან) ელოვანთ ქედამდგ, ვინც პირველი მივიდოდა, ანუ ვისი წარმომადგენელიც იყო გამარჯვებული, საძირკველსაც ის ორი სოფელი გაჭრიდა. ამ ხალხს შორის ყოფილა ერთი ხურთისელი კაცი, კოჭლი ბახხიძე. იგი ხურთის-ყანობის სახელით გამოდიოდა. ბახხიძეს მთებზე, მოკლე გზებით, უფლია და სამებაზე ცხენოსნებზე წინ ასულა. ბახხიძეს თოხით პირველი დარტყმის, ხურთის-ყანობლებს კი სამების საძირკველის გაჭრის ნება ხედომიათ წილად. ამის შემდეგ თემის საბჭოს სამწყალობლო დაუდგენია: „სამების ეკლესიის საძირკველი ხურთიელ-ყანობელთ გათხრილია, სულთ იმათას შაუნდნეს და დამრჩომს სწყალობდეს.“² თქმულება გვეუბნება, რომ ამის შემდეგ გერგეტელები ახალ წელს პირველად ხურთისელ ბახხიძეს ამწყალობნებნო.

დაიწყო ტაძრის მშენებლობა, რომელშიც ხალხი იყო ჩაბმული. თქმულება ასევე გვეუბნება, რომ დევ-წიქარა ხარებს ქვა ყანობ-ხურთისიდან მოჰქონდათ. ხალხში ბოლო დრომდე შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით, ამ დევ-წიქარა ხარების გაქონილი *ყდელი* (ჭაპანი) სამებაში ინახებოდა. ვალერიან ითონიშვილის მონაცემებით, სამებისთვის სამშენებლო ქვა 2 კილომეტრის დაშორებიდან, სოფ. ღეჭიდან, მოჰქონდათ. მთის ფერდობებზე ხარ-მარხილის გზაც

¹ ეს ვარიანტი თავის ნაშრომში, მოხვევების ყოფა-ცხოვრება (გვ. 146-147) მოცემული აქვს ვალერიან ითონიშვილს.

² Ibid, ითონიშვილი, მოხვევების ყოფა, 147.

გაუყვანიათ. ხალხის თქმით, ღეჭიაში დღემდე ყოფილა შემორჩენილი ქვის მჭრელთა ნასახლარები და დამუშავებული ქვის ნარჩენები. სამშენებლო ხსნარის დასამზადებლად ზაფხულობით 30 ფურ-კამეჩი იწველებოდა და კვერცი ბარიდან მოჰქონდათ. ზამთარში ფურ-კამეჩი ისევ ბარში მიჰყავდათ.¹ სერგი მაკალათიას თქმით, ვინმე მეცხვარეს კალატოზებისთვის გერგეტის წყაროდან მიჰქონდა წყალი და რძე. როგორც სერგი მაკალათია აღნიშნავს, ამ წყაროს დღესაც კალატოზის წყარო ჰქვიაო. გადმოცემის თანახმად, ამ წყლითა და რძით იზილებოდა ტაძრისთვის ლამკირი. თქმულება აგრეთვე გვეუბნება, რომ ამ მეცხვარეს თავისი სახე სამების სამრეკლოზე გამოუსახავს. მისი ფარა უმწყემსოდ ისე ძოვდა მთაზე, რომ ნადირი არ ერჩოდა. გადმოცემის მიხედვით, ამ მეცხვარესაც ახალ წელს სამების დეკანოზები პირველად ამწყალობებდნენო.² სხვა გადმოცემის მიხედვით, როდესაც მწყემსისთვის ხალხს უკითხავს, რითი დაგაჯილდოვოთ ამდენი ხნის განმავლობაში წყლის ზიდვისთვისო, მას მიუგია: სოფ. გერგეტში მცხოვრებლებმა ყოველ აღდგომას, ჩემ მოსაგონრად „რიგით კომლზე“ თითო ქადა გამოაცხონ და ჩემ ტოლ ახალგაზრდებს დაურიგონო.³ გერგეტის სამების აგებასთან დაკავშირებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ იყო ხალხში ამგვარი ლეგენდა შემორჩენილი. ხალხის თქმით სამებას ამგვარი წარწერა აქვს: „ღმერთო შეიწყალე ბერი თევდორე და ხარი ღომა“. თურმე, ვინმე ბერ თევდორეს ჰყავდა ხარი ღომა. ეს ბერი თავის ხარს მთის ძირას აჰკიდებდა ქვას, ღომას კი მთის წვერზე აჰქონდა.

¹ Ibid.

² Ibid, მაკალათია, ხევი, 222-223, 225, 226-227; Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 147.

³ Ibid, ბედოშვილი, 7.

მთაზე მას ხელოსანი ხვდებოდა, რომელიც ხარს ტვირთს ჩამოსხნიდა ხოლმე.¹

XIV საუკუნის წმ. სამების ტაძრის ინტერიერი და კანკელი რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ ზეთის საღებავებით გადახატა. 2006 წელს, კანკელის შელესილობის ქვეშ აღმოჩნდა მხატვრობა, რომელიც XVI საუკუნით დათარიღდა. აქ ღვთისმშობლის, მაცხოვრის, იოანე ნათისმცემლის გამოსახულებების გარდა, წმ. ნინოს გამოსახულებაც გამოჩნდა. როგორც ცნობილია, ჩვენში მისი ძალზე ცოტა გამოსახულებაა შემორჩენილი.² გერგეტის სამებაში წმ. ნინო წითელი მოსახამითაა გამოსახული და აქვს წარწერა: „წმინდა ნინო-დედაჲ ქართლისა“. ასმათ ოქროპირიქე მიიჩნევს, რომ გერგეტის სამებად წოდება ფერისცვალებასა და თაბორის ნათელთან უნდა ავლენდეს კავშირს; ფერისცვალებისას გაცხადებულ სამებასთან და პეტრე მოციქულისეულ სამ კარავთან ანუ ტაძართან. ასმათ ოქროპირიქე პარადელს ავლებს თაბორის მთაზე აგებულ სამ ბაზილიკასა და გერგეტის კანკელის სამ დამაგვირგვინებელ ეკლესიას შორის. ასევე, მისი აზრით ის, რომ ტაძარი XIV საუკუნეშია აგებული, ეს სამების იკონოგრაფიის გრიგოლ პალამასეული თაბორის ნათლის ღვთისმეტყველური გააზრებიდანაც ჩანს. წითელ მოსახამში გამოსახულ წმ. ნინოს იგი გაიაზრებს, როგორც „სვეტიცხოველში დაფარულ – გაცხადებულ“ საქართველოს ეკლესიის სახე-სიმბოლოდ. იგი ასევე აღნიშნავს, რომ „ტაძარი ნაკურთხი იყო ფერისცვალების სახელზე. აქედან გამომდინარე მისი შეცვალება მიძინების ტაძრად უფრო გვიან უნ-

¹ ნინო დამბაშიძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური №1, 1988, 2.

² ძეგლთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, 2006.

და მომხდარიყო. მაგრამ, ტაძრის სახელი „სამება“ ძველია.“¹

„გერგეტი ისტორიული ხევის ერთ-ერთი ძველი და სახლებაა. გაშენებულია დარიალის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთის გასწვრივ. იგი ჩართული იყო ხევის სათავადაცვო სისტემაში, იცავდა დარიალის გზას. აქა-იქ დღესაც შემორჩენილია XVII-XVIII სს. კოშკური სახლები.“² წმ. სამების აშენებისთანავე სამეფო ხელისუფლებამ მისი მოვლა – პატრონობა გერგეტელებს ჩააბარა და უბოძა საყდრიშვილობა,³ რაც უფრო ადრე სტეფანწმინდელების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. ვაჟა მარსაგიშვილი, საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გერგეტელები საყდრიშვილებთან ერთად მცხეთისშვილებიც იყვნენ. და რომ ისინი „არა საეპისკოპოსო საყდრის, არამედ მცხეთის საკათალიკოსო საყდრისშვილები“ იყვნენ.⁴ სოფ. გერგეტში დაცული გადმოცემის მიხედვით, წმ. სამების დაცვა თამარ მეფეს და ბაგრატს გერგეტელებისთვის მიუნდვიათ, რაც სიგელითაცაა დადასტურებული. ბაგრატ V თავადაა ამ სიგელში მოხსენიებული. სიგელი განახლებულია, ხელმეორედაა დაწერილი და როგორც ითქვა, მასში მოხსენიებულია ბაგრატ V, რაც მეცნიერებს აძლევს საფუძველს საბუთი XIV ს. დაათარიღონ. საბუთს თავდაპირველად სამების დეკანოზები ინახავდნენ, შემდეგ იგი თბილისში, მ. სუჯაშვილის ოჯახში იყო, დღეს კი სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია. სამწუხა-

¹ Ibid, ოქროპირიძე, 109, 110-111, 112.

² კ. კახაძე, თ. ჩიშაკაძე, გერგეტი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 444.

³ Ibid, თონიშვილი, მოხვევების ყოფა, 146.

⁴ გერგეტის სამების მატთანე მოსაზრებები სულთაფ. დოკუმენტები ხევის ისტორიისათვის. ხელახლა გამოქვეყნებული ვაჟა მარსაგიშვილის მიერ, (თბილისი: მწიგნობარი, 2009), 101-103.

როდ საბუთს ბოლო აკლია. მასში აღნიშნულია, გერგეტელების საყდრისშვილობის შესახებ. აქვეა მითითებული მათი პრივილეგიების შესახებაც.¹ მეორე მხრივ, XVI-XVII სს. მიჯნით დათარიღებული გერგეტელებისადმი უცნობი კათოლიკოსის მიმართვიდან ირკვევა, რომ გერგეტელებს ქრისტიანული სჯულის და მცნების დაცვაც მოეთხოვებოდათ.² გერგეტელ საყდრისშვილთა გამორჩეული პოზიცია XIV ს. შემდეგაც იყო ქართველი მეფეების, ფეოდალების, ეკლესიის და ხალხის მიერ აღიარებული.³ ხსენებული საბუთის მიხედვით ერთი გერგეტელის სისხლი, ოფიციალურად, სამ სისხლად უნდა ზღვეულიყო.⁴ უფრო მეტს ამის შესახებ საბუთის დაზიანების გამო ვერ ვიგებთ. ხალხში კი ასეთი ცოდნაა შემონახული: „სუფრა უწევარი, ქალი უთხოვარი და შვიდი მამის შემდეგ სისხლს აღარ აიღებდნენ, მეძრ გაბათილდებოდა.“⁵ ეს იმას ნიშნავს, რომ გერგეტელი ყველა სუფრაზე მივიდოდა, სადაც არ უნდა მისულიყო, ყველას სუფრა უნდა გაეშალა, ქალის თხოვაზე ვერავინ უარს ვერ ეტყოდა და ერთი გერგეტელის სიცოცხლე შვიდი კაცის სისხლად ფასობდა. სისხლის აღების დროს გერგეტელის მკვლელობისთვის შვიდი კაცი უნდა მოეკლათ და მესისხლეობის ვალი შვიდი თაობის შემდეგ წყდებოდა. დღემდე გერგეტელები თავიანთ თავს ღვთისშვილებს უწოდებენ – აღნიშნავს ვაჟა მარსაგიშვილი.⁶ „დიდია წმინდა სამება ცისკიდურამდე ელავსო, თავის ყმის გამჯავრებელსა, ნაბადივითა სთელავსო“-ასე მღე-

¹ Ibid, მაკალათია, ხევი, 228.

² Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 135-137.

³ Ibid, 142.

⁴ Ibid, შარაშიძე, 248.

⁵ ნინო დამბაშიძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური (შავი ხელნაწერი), 1988.

⁶ Ibid, მარსაგიშვილის, 103.

როდნენ მოხვევები გერგეტულას შესრულების დროს.¹ როგორც ქრისტიანე შარაშიძე წერს, „...საყდრიშვილები ფეოდალურ იერარქიაში ჩართულ ერთ-ერთ გავლენიან, პრივილეგიურ ჯგუფად გვესახებიან. თავისი საქმიანობით ეს ჯგუფი ყოველ ცალკე შემთხვევაში გარკვეულ ეკლესიასთან, უკეთ რომ ვთქვათ, საეპისკოპოსო საყდართან, არიან დაკავშირებული (მაწყვერელთან, თბილელ-მანგლელთან).“²

როგორც ცნობილია, წმ. სამების ძირითადი დღესასწაული 28 აგვისტოს, მარიამობას, ღვთისმშობლის მიძინების დღესაა. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ გერგეტის სამების ეკლესიის დღესასწაული წელიწადში სამჯერ იყო: ე. წ. სამებობას, აღდგომის მესამე დღეს, ფერიცვალებას და ღვთისმშობლის მიძინებას.³ თუმცა, ახალი წელი, გერგეტის სამებასთან დაკავშირებული რთული რიტუალური სისტემისგან შემდგარი, ასევე დიდი დღესასწაული იყო. მისი სირთულე დიდწილად მდიდარი ისტორიული ფაქტების თუ ისტორიულ პიროვნებებთან დაკავშირებული მოვლენების შედეგადაა განპირობებული. ძალზე საინტერესოა, რომ დღესასწაული, მისი რიტუალური, მხარე ინახავს ამ ხსოვნას და ყოველ ჯერზე, როდესაც ის სრულდება, მასში მონაწილეს კვლავ და კვლავ ახსენებს ან აცნობს მას. ამ შემთხვევაში, ღვთის თაყვანისცემის გარდა, დღესასწაული, მისი რიტუალი, ცოცხალი მატრიანეა, რასაც საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი და შესაბამისად საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ფუნქცია ჰქონდა. იმავედროულად, მიჩნეულია, რომ კულტი ტრადიციის გადაცემის საუკეთესო და უპირველესი საშუალებაა.⁴ გერგეტული ახალი წლის შესახებ მხოლოდ ამ მცირედით შემოვი-

¹ Ibid, მაკალათია, ხევი, 223.

² Ibid, შარაშიძე, 249.

³ Ibid, ღუდუშაური, 3.

⁴ Ю. Чернявская, Народная культура и национальные традиции, http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Chern/15.php, 26.02.2011.

ვარგლებით, ვინაიდან, მისი დეტალურად აღწერა და განხილვა ძალზე გასცდება ამ ნაშრომის ფორმატს. შემოვივარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სამეხის დეკანოზების მეთაურობით, გერგეტის დეკანოზები, მეთემეების გარკვეულ რაოდენობასთან ერთად, აკურთხებდნენ და ამწყალობნებდნენ მთელ გერგეტს და სტეფანწმინდაშიც ჩადიოდნენ. დროშებით, ხატებით, სიმღერით, რიტუალებით გერგეტიდან სტეფანწმინდაში ჩამოსული დეკანოზები უკან აღმა, მდ. ჩხეროს მხრიდან ადიოდნენ. გერგეტის წყალზე დაღმა ჩამოვლით და უკან დაბრუნებისას მდ. ჩხეროს მხრიდან ასვლით, მომავალი წლისთვის გერგეტი სრულად იყო დამწყალობნებული.¹

ფერისცვალება, მარიმობისა და ახალწლის მსგავსად სათემო დღესასწაული იყო. თემის მასპინძლები გერგეტელები იყვნენ. სტუმრები გერგეტში სუჯაშვილების ბანზე 5 აგვისტოს იკრიბებოდნენ. ამას *გამყოფელთ* დამე ერქვა. ასე იმიტომ ერქვა, რომ ამ ბანზე მოდიოდნენ დეკანოზები და სტუმრებს კომლების მიხედვით ანაწილებდნენ. მხოლოდ ორ ოჯახს (მარკოზიანთ სუჯაშვილებს და თადიეთ არაბულებს) არ ევალებოდათ სტუმრების მიღება. მათ ისედაც ბევრი სტუმარი ჰყავდათ გათხოვილი ქალიშვილების და დიშვილების სახით. სამებაში, საკურთხეველის მარჯვნივ იყო საკუჭნაო. აქ იყო ქვევრები, რომლებსაც მორიგე დეკანოზები ახალწლიდან ახალწლამდე წყაროს წყლით ავსებდნენ.

მარიამობის დამეს გერგეტელები და სხვებიც, ვისაც სურვილი ჰქონდა, ადიოდნენ სამებაზე, სადაც მათ ოთხი დეკანოზი ხვდებოდა. ამავე დამეს სუჯაშვილები და ხუციშვილები აცხობდნენ *ქობობს*, ანუ დიდ ქადას. იგი საუბნო ღომელში 10 გირვანქა ერბოთი ცხვებოდა. სიდიდის გამო იგი *გუთნეულის ღვედით (ყდე)* გამოქონდათ. მას ჯერ სანახევროდ აცხობდნენ. გამოიღებდნენ, ჭრიდნენ და

¹ Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 202.

ყველა ოჯახს უნაწილებდნენ. ამ მონაჭერი ქადის გულისაგან აცხობდნენ ქადებს, ქერქისგან კი ხარშავდნენ ატრიას. ამ წესს *დიდქალობა* ერქვა. ვალერიან ითონიშვილის თქმით, იგი 1850 წლამდე სრულდებოდა. შემდეგ კი პატარა ქადებს აცხობდნენ. სერგი ს. მაკალათიას თქმით, *დიდქალობას* სამების დეკანოზები აღდგომის მესამე დღეს იხდიდნენ (ანუ გერგეტის სამების ერთ-ერთ დღესასწაულზე – ნ. დ.). ცხვებოდა დიდი ქადა, რომელსაც 5 ლიტრი ერბო ჭირდებოდა. გამომცხვარი ქადა აჰქონდათ სახლის ბანზე, ჭრიდნენ და ყველა კომლს ურიგებდნენ.¹

მარიამობას სამებაში აღგილობრივების გარდა, ხევს გარეთ მცხოვრები დიდძალი მლოცველი მოდიოდა. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძნები, ოსები, სომხები, ქისტები.² განსაკუთრებით ბევრნი ყოფილან რუსები.³ 1988 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით, მოხუცი რუსის ქალები ფეხშიშველი აღიოდნენ სამებაზე (1980-იან წლებშიც – ნ. დ.). მთხრობლის თქმით, მანქანა რომ გაუჩერო, არ ჩაჯდებიანო. მლოცველი სამებაში მარიამობას ღამისთევით მიდიოდა. იყო წირვა, დაახლოებით 50-100 საკლავი იკვლებოდა. თუ ვინმეს მარცხი მოუვიდოდა, ხარსაც დაკლავდაო. შეთქმული თუ ვინმეს ქონდა, ქვას დაიდებდა თავზე და ფეხშიშველი ისე ავიდოდა. არჩილ სუჯაშვილის თქმით, თუ ძველად ვინმეს ავადმყოფი ჰყავდა ან რამე ასეთი, ჯაჭვს დაისვენებდა კისერზე და ისე მუხლისკვერა შემოუვლიდა ტაძარს გარშემო. ამას ქალებიც აკეთებდნენ და კაცებიც. იგივე მთხრობლის თქმით, სამებობას დილით მლოცველი დაკლავდა საკლავს. საკლავი ხარი, ცხვარი, ბატკანი იქნებოდა, ვის რა შეეძლო და ვის როგორ ჰქონდა შეთქმული. ამას ერთ ქადას და ერთ ან სამ სანთელს მიაყოლებდნენ. საკლავს დაკლავდა დეკანოზი, აანთებდა სანთლებს, გაჭ-

¹ Ibid, მაკალათია, ხევი, 229.

² Ibid, 230.

³ Ibid, ბედოშვილი, 6.

რიდა ქადას, შეახვეწებდა ოჯახს. დაკლული საკლავის სისხლს ბავშვს ჯვრის ფორმით წაუსვამდა შუბლზე. გაჭრილი ქადის ნახევარი დეკანოზის იყო. საკლავის პატრონი თავისი ნებით, დეკანოზს დაკლული საკლავის იმდენ ხორცს აძლევდა, რამდენიც ენდომებოდა. საკლავის ნაწილისგან პურმარილი სამებაშივე კეთდებოდა, სადაც ქეიფობდნენ. დანარჩენი სახლში მოქონდათ, სადაც ასევე პურმარილობდნენ.¹

მარიამობა დილით სამებიდან გამოაბრძანებდნენ ხატებს და მთელი პროცესია წმ. ნინოს ნიშში (სოფ. გერგეტე) მიდიოდა. ადრე ბეთლემის ნიშში დადიოდნენ, მაგრამ სიშორის გამო, წმ. ნინოში დაუწყიათ სიარული. აქ ხალხს წმ. ნინოს დეკანოზები ამწყალობებდნენ. დეკანოზები მორიგეობით სუჯაშვილები და ხუციშვილები იყვნენ. ეს მათი ნიში იყო. დეკანოზები დაკლავდნენ საკლავს, გაჭრიდნენ ქადას. პატრონი საკლავს ატყავებდა, რომლის ნახევარი დეკანოზის, მეორე ნახევარი კი საერთო მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. ეს ნახევარი დეკანოზთან ინახებოდა და იქ არ მზადდებოდა. ნინოწმინდაში მხოლოდ მწვადებს წვავდნენ. აქვე ალოცვინებდნენ პატარძლებს და ქალ-რძალს. ნინოწმინდის დეკანოზი ხატში რჩებოდა. დანარჩენები ისევ სამებაში ბრუნდებოდნენ. ხატებიც სამებაში ბრუნდებოდა. ზოგიერთი სამებაში *სამხდოს* იხდიდა. კლავდა საკლავს. *სამხდოში* ერთმანეთს ეპატიუებოდნენ. აქვე მოიხმარდნენ ჭავჭავაძეების შეწირულ ღვინოს. მათ ეს ღვინო, რომელიც სამებისთვის ჰქონიათ შეთქმული, ერთი კვირით ადრე მოჰქონდათ და იქ ჩაყრილ ქვევრებში ასხამდნენ. სამებაში საღმრთოების დაკვლის შემდეგ, ნინოწმინდის დეკანოზი, თავის დაკლულ ჭედილასთან ერთად, საღმრთოების ხორცს წამოიღებდა, დაუმატებდნენ ქალ-რძლის საწულეს (ასევე საკლავია) და გაღმა-წყლისპირას

¹ ნინო ღამბაშიძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური (შავი ხელნაწერი), 1988.

მართავდნენ პურობას, რომელსაც *ნინოწმინდის სამხედრო* ეწოდებოდა.¹

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ გრაფიკულ ანაზომებს შორისაა ოთხი ანაზომი, რომელზეც დაფიქსირებულია სოფ. გერგეტის (ხევი) სალოცავები: ოხარეშის წმ. გიორგის ხატი, ნინოწმინდა და ყველაწმინდა, ქალების სალოცავი. ოხარეშის წმ. გიორგის ხატი ორ (როგორც თავად ანაზომის სათაურში ვკითხულობთ), An. X. 16 და An. X. 17 პლანშეტებზეა გამოსახული. ოთხივე ანაზომი ხაზოვან მასშტაბშია შესრულებული თ. ც.-ს მიერ (თეონა ცუხიშვილი ან თამაზ ციციანიშვილი – ნ.დ.) და ოთხივეს ზომაა 46X61. An. X. 15 ანაზომზე გამოსახულია ყველაწმინდა/ ქალების ხატი. მოცემულია გენგეგმა. სამხ.-დას. და სამხ.-აღ. ფასადი. როგორც აღვნიშნეთ, An. X. 16 და An. X. 17 ანაზომზე ოხარეშის წმ. გიორგის ხატია გამოსახული; მისი გეგმა და ჭრილები. სავარაუდოდ ეს ორი პლანშეტი ერთიანია. №16 პლანშეტზე გამოსახულია წმ. გიორგის ეკლესია. An. X. 17 პლანშეტზე მოცემულია სალოცავის საქაბის ზედხედი, აკლდამის ჭრილი და გადახურვის სქემა. An. X. 18 ანაზომზე გამოსახულია სოფ. გერგეტის სალოცავი ნინოწმინდა. პლანშეტზე მოცემულია სამხ. და დას. ფასადები. სალოცავს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსი.²

ნინოწმინდას ნიში სოფ. გერგეტის დასავლეთით და გერგეტის სამების ჩრ.-დას. მდებარეობს. სპეციალისტების აღწერილობით იგი ფიქალით ნაშენი და კირით შეთეთრებული, ოთხკუთხა სვეტის ფორმის მასიური ნაგებობაა, ფასადით ჩრ.-დას.-კენ. კედელში არის ღრმა და მადალი თა-

¹ Ibid, ითონიშვილი, მოხევეების ყოფა, 209-210.

² იდენტიფიცირებულია კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინტერაქტიური რუკიდან: <http://myherita.ge>.

ლოვანი თაღჩა. მის შიდა მხარეს აქვს ორნამენტი და წარწერა, რომელიც არ იკითხება.¹

ეს ის ნინოწმინდაა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც, ვალერიან ითონიშვილის ზემოთ ხსენებული მასალების მიხედვით, გერგეტის წმ. სამების სადღესასწაულო რიტუალებში იყო ჩართული.

რაც შეეხება An. X. 16 და An. X. 17 პლანშეტებზე გამოსახულ ოხარეშის (ადგილი სოფ. გერგეტში-ნ.დ.) წმ. გიორგის სალოცავს, აქ შემდეგი ვითარება გვაქვს: An. X. 16 პლანშეტზე გამოსახულია ეკლესია, თუმცა ანაზომში მას ხატი ეწოდება. ოხარეშის წმ. გიორგის ეკლესია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, სოფ. გერგეტის დასავლეთით, ტყეში მდებარეობს. გეგმით მოკლე ოთხკუთხედის ფორმისაა. ეკლესია მოზრდილი ქვებითაა ნაგები და ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფიქალი. კირით შელესილი აღმოსავლეთის კედელი დაზიანებულია, სახურავი და კედლების დიდი ნაწილი ჩაქცეულია. ეკლესიას კარი დასავლეთით აქვს. თუმცა, ვიწრო კარი სამხრეთიდანაც ყოფილა გაჭრილი და შემდგომ ამოშენებული. „იგი გადახურულია ქვით, რაზეც წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული“. ეკლესიას შიგნიდან, აღმოსავლეთის კედლის გაყოლებით მთელ სიგრძეზე, თარო აქვს, რომელიც სასანთლედ გამოიყენებოდა. თარო „წყოზიდან გამოშვერილი ფიქლის ორი რიგით არის გამოყვანილი“. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებში თაროა. „საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურითაა ამაღლებული.“²

¹ თ. რუსიშვილი, ნინოწმინდის ნიში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 446.

² თ. რუსიშვილი, ოხარეშის წმ. გიორგის ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 446.

An. X. 17 პლანშეტზე მოცემულია წმ. გიორგის სალოცავის აკლდამა და საქვებე, როგორც ამას ანაზომზე დატანილი წარწერა გვეუბნება.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივის ხსენებულ An. X. 15 ანაზომზე ყველაწმინდა /ქალების ხატია გამოსახული. იგი სოფ. გერგეტის დასავლეთით, მაღალი მთის დაგაკებაზეა. ხატი ოთხკუთხა სვეტის ფორმის ორი, ერთმანეთის გვერდით მდგომი, პატარა ნაგებობისგან შედგება, რომელთაგან ერთი უფრო დიდია. ისინი ფიქალის მშრალი წყობითაა ნაშენები. მოზრდილ ნაგებობას ფასადი დასავლეთით აქვს. ფასადის კედელში, მიწის პირას სასანთლე თახჩაა გამოღებული. მეორე ნაგებობის შემორჩენილი კედლები ყრუა.¹ „სოფლის მახლობლად (ადგილი „სათიკნიაი“) ორი კოშკი მდგარა. მათ ნანგრევებზე შემდეგ ქალთა სალოცავი მოუწყვიათ.“² ვფიქრობთ, ამ ორი კოშკის ნანგრევზე მოწყობილი ქალთა სალოცავი უნდა იყოს An. X. 15 პლანშეტზე გამოსახული სოფ. გერგეტის ყველაწმინდა /ქალების ხატი.

სოფ. სიონში, ტყეში, წმ. სამების ნიში არსებობდა. სერგი მაკალათიასთან ვკითხულობთ: სოფ. სიონშია „მშვენიერი ხატის ტყე წმ. სამების ტყედ წოდებული. შიგ ტყეში აგებულია ხატის ნიში, რომელიც გერგეტის წმ. სამების საბრძანისად ითვლება. ამ ტყეში ხის მოჭრა აკრძალულია და ვინც ამას ჩაიდენს ხატი მას დაამიზეხებს, გაშტერდება და მოკვდებაო... სიონის ხატის ტყეში 28 აგვისტოს იმართება სამების ხატობა, რომელიც გერგეტის სამების

¹ თ. რუსიშვილი, ყველაწმინდა (ქალების ხატი), საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 449.

² კ. კახაძე, თ. ჩიშაკაძე, გერგეტი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 446.

„მარიამობის“ ხატობასთანაა დაკავშირებული“. ამ ხატობას *ვარდობის* დღესასწაულს უწოდებდნენ და კეთილ მგზავრობას, ცხვარის ნადირისგან დაცვას, ნახნავ-ნათების ბარაქას, ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, მადლს, შესთხოვდნენ. აქ ყველას შეეძლო ლოცვა. მეცხვარეები შესთხოვდნენ ცხვრის კეთილად ყოლას. მაგრამ, სერგი მაკალათია ერთგვარად გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ხატში ლოცულობდნენ ქალები. თუმცა, დეკანოზთან დასამწყალობნებლად მხოლოდ მცირეწლოვან და გაუთხოვარ ახალგაზრდა ქალებს შეეძლოთ მისვლა. დეკანოზი დალოცვას ასე იწყებდა: „დიდება ჰქონდეს შენს ვარდის დღეობას, გაუმარჯოს რჯულსა საქისტიანოსასა“ და შემდეგ ყველა სიკეთის გამოთხოვას მოჰყვებოდა.¹

როგორც ვხედავთ გერგეტის წმ. სამებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დღესასწაული, *ვარდობა*, ჩნდება. რა დღესასწაულია ვარდობა და რა კავშირში შეიძლება იყოს იგი წმ. სამებასთან? იმისთვის, რომ თუნდაც სავარაუდო პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას, განვიხილოთ გერგეტის სამებობის ყველა თარიღი. კერძოდ, *ფერისცვალება*, აღდგომის მესამე დღე – ე.წ. *სამებობა*, მარიამობა და ვარდობა.

როგორც აღვნიშნეთ, გერგეტის წმ. სამების იკონოგრაფიის თაბორის ნათლის გრიგოლ პალამასეული ღვთისმეტყველური გააზრება კიდევ ერთხელ იძლევა საშუალებას, რომ ხსენებული ტაძარი XIV ს. დათარიღდეს. ამასთანავე, ამ პერიოდში ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული, *ფერისცვალება* წინა პლანზე გამოდის.² ამ კონტექსტში, როდესაც ხევი წმ. ნინოს მოღვაწეობასა და მოცემულ წმინდა ადგილთან მის მჭიდრო კავშირზე ვსაუბრობთ, რასაც წმინდანის ფრესკაც უსვამს ხაზს, ძნელია არ გაგვახსენდეს მოციქულთასწორის *ფერისცვალების* დღესასწაულთან

¹ Ibid, მაკალათია, ხევი, 217-218.

² Ibid, ოქროპირიძე.

განსაკუთრებული კავშირი; 6 აგვისტო, როდესაც მისი ლოცვით, ზადენის, გაცის და გაიმის კერპები დაიმსხვრა. როგორც ცნობილია, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მცხეთის პირდაპირ მდებარე მთას თაბორი ჰქვია. კორნელი კეკელიძის თქმით აქ ფერისცვალების ეკლესია იდგა. დავით ხოშტარია თაბორის ფერისცვალების ეკლესიად მიიჩნევს მთაქართლის ერთ-ერთ წვერზე მდგარ წმ. ნინოს ეკლესიას, რომელიც, მისი თქმით, არქიტექტურული მონაცემებით V-VI სს. თარიღდება. ამავე მთის ძირში XII ს. ღვთისმშობლის სახელზე აშენდა მონასტერი, რომელსაც 1890 წლიდან ოლღას მონასტერი ჰქვია. სამთავროს ეკლესია მცხეთაში თავდაპირველად ღვთისმშობლის სახელზე აგებულა. XVIII საუკუნიდან იგი მაცხოვრის (ღვთაება) სახელობის ხდება. დღეს იგი ფერისცვალების სახელს ატარებს. იქვე, მაყვლოვანთანაა წმ. ნინოს სახელობის მცირე, გუმბათიანი ეკლესია. როგორც ცნობილია, მცხეთის გოლგოთის მთის ფერდზე, რომლის წვერზე მცხეთის ჯვარია აღმართული, არის ძუძუს წყარო, რომლის გვერდით ღვთისმშობლის მიძინების სამლოცველოა. იგი ნახევრად დანგრეულია.¹ ამდენად, ერთი მხრივ, წმ. ნინო თაბორს და ფერისცვალებას უკავშირდება, მეორე მხრივ, მცხეთაში წმ. ნინოსა და ღვთისმშობლის, კერძოდ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის, წმინდა ადგილები თანაარსებობენ.

წმ. ნინოსა და ღვთისმშობელთან დაკავშირებული სალოცავები თუ წმინდა ადგილები გერგეტშიც თანაარსებობენ. თავად წმ. სამების ადგილზე, ლეგენდის მიხედვით, წმ. ანდრიამ და შემდგომ წმ. ნინომ აღმართეს ჯვარი. ტაძრის მთავარი დღესასწაული 28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინების და ფერისცვალების გარდა აღდგომიდან მესამე დღესაც არის. იქვე, სოფ. გერგეტში წმ. ნინოს და დედახთვისას ხატებია.

¹ დავით ხოშტარია, ადრეული შუასაუკუნეების ეკლესიები მცხეთაში, ACADEMIA, I(2001), 27-28, 31.

ფერისცვალება და სამება, რომ ძალზედ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფერისცვალების ღვთისმსახურებაზე წმ. სამება განსაკუთრებით მოიხსენიება. მსახურების მიზანია მამა ღმერთის გამჟღავნებასთან ერთად, იესო ქრისტეს საღმრთო ბუნება იქნას ნაჩვენები; რომ „ქრისტე თავისი საღმრთო ბუნებით განუშორებელია მამისა და სულიწმიდისაგან“. ამ დღის საგალობლებში ხაზგასმითაა გამოკვეთილი სამების თაყვანისცემა. სამების თაყვანისცემა ასევე ძლიერადაა სულთმოფენობისა და განცხადების საუფლო დღესასწაულებში გადმოცემული. იმდენად, რომ რუსეთში ხალხმა სულთმოფენობას სამებობა უწოდა. არადა, როგორც ექვთიმე კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, ხსენებული დღესასწაულები ქრისტესადმი მიძღვნილი დღესასწაულებია და ქრისტიანულ ეკლესიას წმ. სამების ცალკე, საგანგებო დღესასწაული არ დაუწესებია.¹ განიხილავს რა გერგეტის წმ. სამების ეკლესიის მონატულობას ასმათ ოქროპირიძე მართებულად მიდის დასკვნამდე, რომ XIV ს. გერგეტის სამება ფერიცვალების სახელზე იყო აგებული.² ჩვენი მხრიდან დავსძენდით, რომ შესაძლოა, შემდგომ, რუსული ეთნოგრაფიული სინამდვილის მსგავსად და ფერიცვალების დღესასწაულის წმ. სამებასთან მჭიდრო კავშირის გამო, ხალხმა ტაძარს სამება უწოდა, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. ეს მხოლოდ ვარაუდია. ჩვენთვის უცნობია, რომ გერგეტის ტაძარი XVIII საუკუნემდე, ანუ ვახუშტიმდე, წყაროში ვინმეს სამებად მოეხსენიებინოს. თუმცა, მას არც ფერისცვალების სახელით იხსენიებენ.

გერგეტის სამების სადღესასწაულო ციკლთან კიდევ ერთი დიდი კითხვის ნიშანია. რატომაა ღვთისმშობლის მი-

¹ ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, სულთმოფენობა თუ სამებობა? ჯვარი ვახისა, 2(1991), 23, 24-25.

² Ibid, ოქროპირიძე, 109.

ძინება ტაძრის მთავარი დღესასწაული? რა იყო ამ წმინდა ადგილზე XIV საუკუნეში ტაძრის აგებამდე? ამის შესახებ მხოლოდ გადმოცემები და თეიმურაზის ივერიის ისტორია გვეუბნება, რომელთა მიხედვით ერთი მხრივ აქ წმ. ანდრია ამ და წმ. ნინომ ჯვრები აღმართეს და მეორე მხრივ სამების აგებას ხალხი ვახტანგ გორგასალს და თამარს უკავშირებს. გავეყვით იმ ხაზს, რომლის მიხედვითაც წმ. ნინოს და ღვთისმშობელს გერგეტთან და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ. როგორც ითქვა, გერგეტის სამების ერთ-ერთი დღესასწაული აღდგომიდან მესამე დღე ანუ აღდგომის მომდევნო სამშაბათი იყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ დღეს საქართველოს ეკლესიის კალენდარშიც სამებობა იყო მითითებული. იოანე-ზოსიმეს კალენდრით, რომლის მიხედვითაც წარმართავდა ლიტურგიულ პრაქტიკას საქართველოს ეკლესია V-X სს, ვკითხულობთ: „ჭსენებად წმიდათა დედათაჲ მარიამ ღმრთისმშობელისაჲ: და მარიამ მაგდანელისაჲ და მარიამ იაკობისი: და სალომქსი და იოჰ[ანა]დისი] და ღაზარქს დათაჲ. და მათთანა სსუათაცა წმიდათა დედათაჲ.“¹ ფაქტობრივად, ეს ღვთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღე იყო. თანამედროვე ქართული კალენდრით ამ დღეს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია.²

რატომ იწოდება სოფ. სიონის სამებობა, გერგეტის სამების ნიშის დღესასწაული, *ვარდობად?* პირველ რიგში ვნახოთ რა დღესასწაული იყო *ვარდობა?* პავლე ინგოროყვას კვლევის მიხედვით, დღესასწაული *ვარდობა* წარმართობის დროის, დიდ დედასთან დაკავშირებული დღესასწაული იყო, რამაც გაზაფხულის ერთ-ერთი თვის სახელიც

¹კორნელი კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.), ეტიუდები 5 (თბილისი, 1957), 279.

² ედიშერ ჭელიძე (რედ.), მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, I გამოცემა (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2001), 66.

(*ვარდობისა* – 21 აპრილი-20 მაისი) განაპირობა. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ *ვარდობა*მ ერთგვარად იცვალა სახე და ღვთისმშობელს დაუკავშირდა. ახლა ამ დღესასწაულს *სატფურების* ანუ *განახლების* დღესასწაული დარქმევია, მაგრამ ძველი სახელი, *ვარდობაც* ძალიან დიდხანს შერჩენია. სინას მთის საგალობლების კრებულში 15 მაისს ასე ეწოდება: „*ვარდობა ღმრთისმშობლისა*, მაისისა იე (-15 სა) დღესა“. ძველ ქართულ კალენდარში 1-7 მაისი ჯვრების დღესასწაულები (მათი გამოთლა – აღმართვის) იყო, რასაც ღვთისმშობლის ერთკვირიანი (8-15 მაისი) დღესასწაული მოსდევდა. ჯვრის დღეობას, არა მარტო საქართველოში, ღვთისმშობლის მოხსენება რომ მოსდევდა, და არა მარტო საქართველოში, ამისათვის პავლე ინგოროყვა კირილე იერუსალიმელის სიტყვებს იშველიებს: „და რავდენი აღასრულებდენ სადხსენებელსა წ~დისა ჯვარისასა, ყოველნივე ღირს იქმნენ მიღებად ნაწილისა წ~დისა მარიისსა.“¹ ამ საკითხთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძე დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. გარდა იმისა, რომ *ვარდობა* ვარდობისთვის 15 მოდიოდა, იგი მოძრავიც იყო და სხვა დროსაც აღინიშნებოდა. მაგალითად, პეტრე-პავლობის მარხვის პირველი ორშაბათი, რაც თავისთავად მოძრავი თარიღია.² რატომ შეიძლებოდა ღვთისმშობლის ხსენება ჯვრის დღესასწაულებს დაკავშირებოდა? ამის მიზეზი ვფიქრობთ, შემდეგშია: ქრისტიანული ეკლესიის სწავლების მიხედვით მიჩნეული იყო, რომ იესო წელიწადის ერთი და იმავე დღეს ჩაისახა და ეცვა ჯვარს. ანუ ნისანის 14-ში და რომაული კალენდრის მი-

¹ პავლე ინგოროყვა, ძველქართული წარმართული კალენდარი მე-5 – 8 საუკუნის ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6 (1931), 442, 444-445, 446; Ibid, კორნელი კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.), 248.

² კორნელი კეკელიძე, ქართული ერა და ეორტოლოგიური წელიწადი, ენიკის მოამბე V-VI (1940), 99.

ხედვით 25 მარტს¹ ანუ ხარება და ჯვარცმა ერთ რიცხვში მოხდა.

ამგვარად, სოფ. სიონის სამების ნიშის *ვარდობის* დღესასწაული არის ღვთისმშობლის დღესასწაული, რომელიც გერგეტის წმ. სამების მსგავსად 28 აგვისტოს, მიძინებას იღღესასწაულება და რომელიც გერგეტის სამების ერთ-ერთი დღესასწაული იყო. ამ ერთ დღესასწაულში ღვთისმშობლის ორმა დღეობამ მოიყარა თავი. ხომ არ შიძლება ვივარაუდოთ, რომ *ვარდობა* სამებასთან დაკავშირებული ადრეული დღესასწაულის, მცხეთის ჯვრის, რომელსაც ღვთისმშობლის ვარდობა მოსდევდა, გამოძახილია? და აქ ღვთისმშობლის დღესასწაულთა ორ ფენასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ადრეულთან და გვიანდელთან?

გერგეტის წმ. სამებასთან დაკავშირებით სხვათაგან კიდევ ერთი საკითხია ბუნდოვანი. რატომ იყო აქ წმ. სტეფანე პირველმოწამის მონასტერი და რატომ ეწოდა ხევის მთავარ დასახლებას სტეფანწმინდა?

ხალხში დაცული გადმოცემის მიხედვით, სტეფანწმინდელებს ძველად ყუროს დავაკებაზე უცხოვრიათ. ყოფილა ვინმე ღრუბელა ფიცხელაური, რომელიც დაქვრივების შემდეგ, სტეფანეს სახელით, ბერად შემდგარა. ჯერ ბეთლემში უღვაწია, შემდეგ ყუროს გამოქვაბულში. აქ ხალხს მისთვის „წითელი ეკლესია“ აუშენებია. ერთ დღეს, ყუროდან, ნიაღვრის გამო, ტალახი წამოსულა. სტეფანე ბერი გარეთ გამოსულა, კოშკში შესულა და ხალხის გასაფრთხილებლად ზარების რეკვა აუტეხია. სოფელსაც ღროზე მოუსწრია გახიზვნა. მოვარდნილ ტალახს სოფელი წაუღეკავს. ამის გამო ხალხს სოფელი დღევანდელი დაბის ადგილას გაუშენებია და ბერის საპატივცემულოდ სტეფანწმინდა უწოდებია. სერგი მაკალათია გამოთქვამს

¹ Andrew McGowan, Bible History Daily, 08/12/2014, How December 25 Became Christmas, <http://www.biblicalarchaeology.org/daily/biblical-topics/new-testament/how-december-25-became-christmas>, 20.02.2015.

ვარაუდს, რომ სტეფანწმინდა შესაძლოა სტეფანე ხირსელის სახელს უკავშირდებოდეს¹, რაც, ვფიქრობთ, არ არის სავარაუდო. საისტორიო წყაროები გერგეტის წმ. სამების მონასტერს სტეფანე პირველმოწამეს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ სტეფანწმინდელები წმ. სამებასთან დაკავშირებით, გერგეტელებზე ადრე ყოფილან პრივილეგირებულები. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხევის მთავარ დასახლებულ პუნქტს წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელი ამ წმინდანთან დაკავშირებული სალოცავის თუ მონასტრის გამო ეწოდა? ასეთი მაგალითები ცნობილია. თუნდაც, გარეკახეთის სოფელ ნინოწმინდის სახელი. როგორც ცნობილია, აქ, ყოფილი საეპისკოპოსო ტაძარი დღემდე არსებობს. ამ ადგილის ერთ-ერთ რელიგიურ ცენტრად დაფუძნება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ვფიქრობთ, სტეფანწმინდასთან დაკავშირებული ხსენებული საკითხი თუ მოსაზრება ცალკე კვლევას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, წმ. სტეფანე ქალაქის განაპირას, ქალაქგარეთ ჩაქოლეს. სტეფანე პირველმოწამის ეკლესიები საქართველოში არ არის ბევრი. მათ შორის ყველაზე ადრინდელი მცხეთის უნდა ყოფილიყო და ანტიოქიის სახელით ცნობილ, მცხეთის განაპირა სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდგარ, IV–V სს. მცირე ეკლესიას უკავშირდება და მის სამხრეთ კედელზეა მიშენებული. საისტორიო წყაროები სტეფანწმინდის აშენებას სტეფანოზ II-ის ვაჟს, მეფე არჩილს უკავშირებენ. სტეფანწმინდის ეკლესია მან არაგვის კარზე ააგო, სადაც მტკიცე საბრძოლო კოშკები იდგნენ². ანუ, ეს იყო მცხეთის ერთ-ერთი კარი, რომელიც გამაგრებული იყო და ქალაქს მტრის შემოსევებისგან იცავდა. როგორც გურამ ყიფიანი აღნიშნავს, ანტიკური კარიბჭეების მსგავსად, სადაც აღმართული ტაძრით, სამლოცველოთი, ქანდა-

¹ Ibid, მაკალათია, ხევი, 130-131.

² Ibid, ხოშტარია, 31.

კებით გამოხატავდნენ მოქალაქეთა აღმსარებლობას, ქრისტიანებიც ქალაქის კარიბჭეებთან აგებდნენ ეკლესიებს. ასე იყო მცხეთაშიც.¹ თუმცა, ამგვარი ნაგებობები არც ანტიკურ ხანაში, არც ქრისტიანულში მხოლოდ გაცნობით ხასიათს არ ატარებდნენ. უპირველესად ისინი სულიერი გოდოლები იყვნენ და მტრისგან თავდაცვის მიზნით შენდებოდნენ. ცნობილია, რომ მცხეთა, მოგვიანებით თბილისიც, იერუსალიმის მოდელს იმეორებდა. ჩვენი ღრმა რწმენით, ქალაქ იერუსალიმის საკრალური გეგმარება მთელ ქართლის სამეფოს უნდა დადებოდა საფუძვლად. ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების მკითხველისათვის გაცნობას სამომავლოდ, სხვა ნაშრომის სახით ვაპირებთ. ახლა კი მივუბრუნდეთ ხევს, რომელიც ქართლის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი იყო და ამ საზღვრის გამაგრებას მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ ქართველი მეფეები. ვახტანგ გორგასალს, რომელსაც ხალხი გერგეტის წმ. სამების აგებას მიაწერს, დიდი წვლილი მიუძღვის ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრების საქმეში. დარიალის ხეობა, თერგისა და არაგვის კარი მან ახალი სიმაგრეებით გაამაგრა. მანამდე კი, როდესაც წმ. ნინომ კერპები დაამსხვრია და ხალხი გაქრისტიანდა, აღიარა ქრისტე ძე ღვთისად და მარიამისგან განხორციელებული, "... შემუსრან შემდგომად მირიან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თვისსა და მათ წილ აღმართნა ცხოველსმყოფელნი ჯუარნი ქრისტეს მეუფისა დასამკობელად მტერთა."² საინტერესოა, რომ ქართლის სამეფოს ცენტრის, მცხეთის, არაგვის კარად წოდებულ კარს VIII ს. მცველად უშენებენ წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიას. ქართლის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვართან, არაგვის კარის გამაგრება ვახტანგ გორ-

¹ გურამ ყიფიანი, წმინდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2004), 27.

² Ibid, ბატონიშვილი ვახუშტი, 25.

გასაღიანი დაკავშირებული. ამ საზღვართანა დასახლება სტეფანწმინდა, რომელსაც გერგეტის წმ. სამება დაჰყურებს, სადაც წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის მონასტერი უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ წმ. სტეფანეს ქართლის სამეფოში ქალაქისა და ქვეყნის განაპირა მხარეების, მათი კარიბჭეების დაცვას შესთხოვდნენ. ამას გარდა წმ. სტეფანე იმ ქართლის მთავართა მფარველი იყო, რომლებიც სხვებთან ერთად მცხეთის ჯვარს აშენებდნენ (სტეფანოზ I და II). სტეფანოზ II საბოლოოდ გაასრულა ტაძრის მშენებლობა და სამი დღესასწაულით გაამდიდრა საქართველოს ეკლესიის ლიტურგიული პრაქტიკა. ყოველ პარასკევს მცხეთის ჯვარში დაადგინა დიდი პარასკევის კრება, ხუთშაბათს სვეტიცხოველში დიდი ხუთშაბათის, ხოლო სამშაბათს, სამთავროში წმ. სტეფანესი, წმ. აბბოს ნეკრესელის და სხვა წმინდანების.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ გრაფიკულ ანაზომებს შორის ოთხი ანაზომია, რომელზეც დაფიქსირებულია სოფ. გერგეტის (ხევი) სალოცავები: ოხარემის წმ. გიორგის, ნინოწმინდის და ყველაწმინდის/ქალების სალოცავები. ისინი ხაზოვან მასშტაბშია შესრულებული თ. ც-ს მიერ (თეონა ცუხიშვილი ან თამაზ ციციანიშვილი) და ოთხივეს ზომაა 46X61. ოხარემის წმ. გიორგი ორ (როგორც თავად ანაზომის სათაურში ვკითხულობთ), An. X. 16 და An. X. 17 პლანშეტებზეა გამოსახული. სავარაუდოდ ეს ორი პლანშეტი ერთიანია. მოცემულია გეგმა და ჭრილები. პლანშეტებზე სალოცავი ხატადაა მოხსენიებული, თუმცა, An. X. 16 ანაზომიდან ჩანს, რომ ის მცირე ზომის ეკლესიაა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა დადასტურებული. An. X. 17-ზე საქვანის ზედხედი, აკლდამის ჭრილი და გადახურვის სქემაა მოცემული. An. X. 15 ანაზომზე გამოსახულია ყველაწმინდა/ ქალების ხატი. მოცემულია გენგეგმა. სამხრეთ-

დასავლეთი და სამხრეთ – აღმოსავლეთი ფასადები. სოფ. გერგეტის მახლობლად არის ადგილი „სათიკნიაი“. აქ ორი კოშკი მდგარა. მათ ნანგრევებზე შემდეგ ქალთა სალოცავი გაუკეთებიათ. ვფიქრობთ, ამ ორი კოშკის ნანგრევზე მოწყობილი ქალთა სალოცავი უნდა იყოს An. X. 15 პლანშეტზე გამოსახული სოფ. გერგეტის ყველაწმინდა /ქალეზის ხატი. An. X. 18 ანაზომზე გამოსახულია სოფ. გერგეტის სალოცავი ნინოწმინდა. პლანშეტზე მოცემულია სამხ. და დას. ფასადები. სალოცავს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსი. იმ მასალების მიხედვით, რომელთა მოძიებაც შეუძლებელი, ხსენებული სამივე სალოცავი გერგეტის წმ. სამების და შესაბამისად სოფ. გერგეტის ერთიან სადღესასწაულო ციკლში ჩართული სარიტუალო ობიექტებია.

ხალხური და საისტორიო გადმოცემების შეჯერების შედეგად გერგეტის წმ. სამებასა და სოფ. გერგეტთან დაკავშირებით შემდეგი სურათი იკვეთება: მას მერე, რაც წმ. ანდრია მცხეთის გოლგოთაზე რგავს ხეს, აღმართავს ჯვარს, გადავა კახეთსა და ჩრ. კავკასიაში, მიდის გერგეტის მთაზე და იქაც აღმართავს ჯვარს. ხალხური გადმოცემა სოფ. გერგეტშიც მიუთითებს ანდრიას მიერ აღმართულ ჯვარზე. წმ. ნინო, მას მერე, რაც ანდრია მოციქულის მიერ დარგული ხიდან გამოთლიან ჯვრებს, მეფესთან, ეპისკოპოსთან და ხალხთან ერთად მცხეთის გოლგოთაზე აღმართავს ჯვარს. როგორც ქართლის მოქცევა გვეუბნება, ჯვრის აღმართვის შემდეგ ქართლის სამეფოში დაიქცნენ კერპები, რომლებიც ძირითადად მთებისა თუ გორაკების წვერზე იდგმებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, მირიანმა მის სამეფოში ანუ ქართლში ყველა კერპი შემუსრა და მათ ადგილას ჯვრები აღმართა. წმ. ნინო ქართლის სამეფოს მთიანეთის გაქრისტიანებას შეუდგა. მან ხევშიც მიაღწია და გააქრისტიანა ეს მხარე. ჯვარი გერგეტის წვერზე წმ. ნინომაც აღმართა. ორივე წმინდანი

– წმ. ანდრია და წმ. ნინო – გადმოცემის მიხედვით, ჯვრების აღმართვის თუ დავანების ადგილებად მცხეთის გოლგოთას და მყინვარის ძირში მდებარე მაღალ მთას ირჩევენ. ორივე გეოგრაფიული ლანდშაფტი ჰგავს ერთმანეთს. სიწმინდე ორივეგან დასახლებული პუნქტის მოპირდაპირე მთაზე არსდება. ორივე შემთხვევაში დასახლებული პუნქტის (მცხეთისა და სტეფანწმინდის¹) და წმინდა მთის გამყოფია მდინარე, ერთგან მტკვარი, მეორეგან თერგი. ვფიქრობთ, ჯვრების აღმართვით სულიერად მოინიშნა ქართლის სამეფო. ამ შემთხვევაში მისი ცენტრიდან ჩრდილოეთ საზღვრამდე აღმართული ჯვრები სულიერი სიმაგრეები იყო, რომლებსაც ქვეყანა მტრის შემოსევისა და განსაცდელებისაგან უნდა დაეცვა.

ვახტანგ გორგასალი აარსებს მცხეთის ჯვრის დღესასწაულს, რომელიც ქართლის სამეფოს ეროვნული ქრისტიანული დღესასწაულია.² ამაგრებს სამეფოს საზღვრებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთისას, თერგისა და არაგვის (დარიალის) კარს. ხევში დაცული ხალხური გადმოცემა წმ. სამების აგებას მას უკავშირებს.

VII ს. სტეფანოზ II საბოლოოდ ასრულებს მცხეთის ჯვრის მშენებლობას, სამი დღესასწაულით ამდიდრებს ეკლესიის ლიტურგიულ პრაქტიკას, სხვა წმინდანებთან ერთად განადიდებს წმ. სტეფანეს, რასაც ხაზს უსვამს საისტორიო წყარო. ალბათ მცხეთის ჯვრის, წმ. სტეფანე პირველმოწამის და სტეფანოზის კონტექსტში უნდა განვიხილოთ იმერეთის სოფ. იანეთში არსებული დღესასწაული სტეფიანეობა, რომელიც აღდგომიდან მერვე დღეს, კვირაც-

¹ მცხეთის ჯვრის ამშენებელი, მცხეთის ერისმთავრების, მფარველი ანგელოზის სახელობაზე.

² ლელა პატარიძე, „ცხოვრება წმიდისა ნინოისა“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ – ისტორიული საკითხები) (თბილისი: მეცნიერება, 1993), 59.

ხოვლობის მომდევნო ორშაბათს აღინიშნებოდა,¹ რაც მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი დღესასწაული ყოფილა ნატროვეის მიხედვით. მისი თქმით, ეს დღე წმ. ნინოს მიერ მცხეთის გოლგოთაზე ჯვრის აღმართვის მოსაგონარი იყო.² ასევე, აღდგომიდან მერვე დღის ანუ წმ. ნინოს მიერ მცხეთის გოლგოთაზე ჯვრის აღმართვის ცნობილი დღესასწაულია მარტვილის რაიონის, სოფ. ბანძის ჭვენიერობა, რომელიც ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების დღესასწაულია.³

VIII ს. სტეფანოზ II-ს ვაჟი, არჩილი, ქართლის სამეფოს ცენტრის, მცხეთის ერთ-ერთ შესასვლელთან, მცხეთის არაგვის კართან, აშენებს წმ. სტეფანე პირველმოწამის ეკლესიას, რომელიც საფორტიფიკაციო ნაგებობებთან სიახლოვეში მდგარა. ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვართან, სადაც ასევეა არაგვის კარი, ამ კუთხის მთავარი დასახლებული პუნქტი სტეფანწმინდის სახელს ატარებს. საისტორიო წყაროდან იმასაც ვიგებთ, რომ XVIII ს. გერგეტის მთაზე, სამეხასთან წმ. სტეფანეს მონასტერი ყოფილა. ჩვენი აზრით, გარკვეულ პერიოდში, წმ. სტეფანე საზღვრის, კარის თუ კარიბჭის მფარველ წმინდანად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ცნობილია, რომ იერუსალიმის ლომის კარიბჭეს, რომელთანაც ახლოს ჩაქოლეს წმ. სტეფანე, წმ.

¹ კ. იანეთელი, სოფელი იანეთი, მოგზაური, 8/9(1901), 853.

² Ibid, ნატროვეი, 17.

³ იხ. რუსუდან წურწუშია, იოსებ ჟორდანიას (რედ.) ნინო ღამბაშიძე, ნინო კალანდაძე-მახარაძე, ჭვენიერობის დღესასწაული და მასთან დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა, ტრადიციული მრავალხმიანობის მექესე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები (თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2014); ნინო ღამბაშიძე, კიდევ ერთხელ ალილოსა და ჭონას ურთიერთკავშირის შესახებ, ანალები, 11(2015); ნინო ღამბაშიძე, ქრისტიანობის წარმართობასთან ბრძოლის ამსახველი ქართული ხალხური დღესასწაულები სამეგრელოში, Bulletin of AGBAS, Amrican-Georgian Institute of Biblical and Archeological Studies, 7(2009).

სტეფანეს კარიბჭეც ეწოდება. ძველად მას წმ. ქალწულის და ცხვრის კარიბჭესაც უწოდებდნენ.¹ აქვეა მისი სახელობის მცირე ეკლესიაც. ასევე ვფიქრობთ, რომ არა მარტო მცხეთა და თბილისი უნდა ყოფილიყო მოწყობილი იერუსალიმის მიხედვით, არამედ მთელი ქართლის სამეფო, რომელიც ჯერ ჯვრებით მოინიშნა სულიერად, ხოლო შემდგომ კი ეკლესიები აშენდა მათ ადგილას.

თუ რა ხდებოდა გერგეტზე, V-VIII სს-დან XIV საუკუნემდე (თუნდაც ვარაუდის სახით), როდესაც გერგეტის წმ. სამება აიგო და რომელიც დიდწილად ქვეყნის ჩდილოეთ საზღვრის და ქრისტიანობის გაძლიერებას ემსახურებოდა, ტრადიცია თუ საისტორიო წყარო დუმს.² ერთი რამ ალბათ შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ხევი და გერგეტის წმინდა ადგილი ქვეყნის ერთიან რელიგიურ მსოფლხედველობაში იყო ჩართული, რაც თავის მხრივ ქვეყნის უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხებს ეხმებოდა.

ვიზიარებთ რა ასმათ ოქროპირიძის შეხედულებას, ვფიქრობთ, რომ გერგეტის წმ. სამება ფერისცვალების სახელზე უნდა აგებულიყო. შესაძლოა ფერისცვალების დღესასწაულში, წმ. სამების ძლიერი ფიგურირების გამო, ტაძრისთვის სამება ეწოდებინათ. თუმცა, მანამდე, ფრთხილი ვარაუდის საფუძველზე, შესაძლოა, ეს წმინდა ადგილი ღვთისმშობელსაც უკავშირდებოდა. გარკვეულწილად, ჯვრის თაყვანისცემასთან ღვთისმშობლის და მისი დღესასწაულების სიახლოვემ შესაძლოა სამება წმ. მარიამთან დააკავშირა, რაზედაც ალბათ სოფ. სიონის სამების ნიშის

¹ Архимандрит Никифор, Библийская энциклопедия (Москва, 1891), 332; Wikipedia, Old City (Jerusalem), ძველი იერუსალიმის რუკა, [https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/e/eb/Map_of_Jerusalem - the old city - EN.png](https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/e/eb/Map_of_Jerusalem_-_the_old_city_-_EN.png), ამოღებულია 6.04.2016.

² თუმცა, კიდევ ერთი ხალხური ტრადიცია თამარ მეფეს უკავშირებს გერგეტის სამების აგებას.

დღესასწაულის სახელი (ვარდობა) მიგვანიშნებს. ასევე, აღდგომის მომდევნო სამშაბათი, რაც ღვთისმშობლისა და მენელსაცხებლუ დედების დღე იყო. შესაძლოა მოგვიანებით ხსოვნა სამების ღვთისმშობელთან კავშირის შესახებ მიძინების დღესასწაულით გამოისახა. ამდენად, დღესასწაულების თვალსაზრისით, ვარაუდის სახით, შესაძლოა შემდეგი ფენები გამოიყოს: ჯვრის აღმართვა და მისი თაყვანისცემა, ღვთისმშობელთან დაკავშირებული დღესასწაული, შესაძლოა ვარდობა, აღდგომის მესამე კვირა, ფერიცვალება და მარიამობა.

ქალების სალოცავები ხევში*


ქალებისთვის განკუთვნილი სალოცავები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში გვხვდება, მაგრამ ერთი შეხედვით, მათი რაოდენობა თვალშისაცემია ხევში. ველზე მუშაობამ და საკითხზე დაკვირვებამ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქალის რელიგიურ პრაქტიკაში ჩართულობა ხევში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ერთგვარად განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. სწორედ ეს საკითხი, რომელიც დღემდე შეუსწავლელი იყო, წარმოადგენს წინამდებარე თავის განსჯის საგანს.

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ გრაფიკულ ანაზომებს შორისაა ხუთი ანაზომი, რომელზედაც დაფიქსირებულია: სოფ. ახალციხის ელიას ნიში/ქალების სალოცავი (An. X.5), ოხარემის, სოფ. გერგეტის ყველაწმინდა/ქალების ნიში (An. X.15), სოფ. ტყარშეტის ქალების ნიში (An. X.38), სოფ. ფხელშეს ქალების ხატი (An. X.47, An. X. 48).

ხუთივე ანაზომი შესრულებულია ტუშით და რასაკვირველია ხელით, მუყაოს პლანშეტებზე (46X61 სმ), პირობით მასშტაბში. ანაზომები მოიცავს შენობა-ნაგებობის გეგმებს, ჭრილებს, ფასადების განშლებს. თუმცა არ მოიცავს სიტუაციურ გეგმებს, რაც მათი ზუსტი ლოკალიზაციის საშუალებას არ იძლევა. ანაზომებზე გამოსახული ყველა ნაგებობა ქვისაა და აქვს საკულტო დანიშნულება. ყველა ანაზომის შემსრულებელია თეონა ცუხიშვილი ან თამაზ ციტაიშვილი. სალოცავები, როგორც ამას პლანშე-

* მადლობას ვუხდით, ჩემს კოლეგას, ქეთევან ალავერდაშვილს, დახმარებისთვის.

ტებიდან ვიგებთ, აზომილია 1966 წლის 19 (An. X. 38, An. X. 47, An. X. 48), 20 (An. X. 5), 27 (An. X.15) აგვისტოს (ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ხელმძღვანელი ვერა ბარდაველიძე).



სოფ. ახალციხის ელიას ნიში/ქალების სალოცავი (An. X. 5)

სოფ. ფხელშე მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე, დაბა ყაზბეგიდან 13 კილომეტრში მდებარეობს. ამ სოფლის „ერთ ძველ კოშკში მოთაფსებულია „კვირადეთის“ შვილის ხატი“, რომელსაც ქალების ხატს უწოდებენ“¹. მას *კვირაცხოველს, კვირადახლს, ქალთა ხატს*, „დაყაჭულ“¹-საც უწოდებენ.

¹ სერგი მაკალათია, ხევი (ტფლისი: სახელმწიფო გამომცემლობა), 1934, 212.

ბენ. იგი კლდეზე, სოფლის სამხრეთით მდებარეობს და ფიქალის მშრალი წყობითაა ნაგები. არქივში დაცული 1966 წლის ანაზომის (An. X. 47) მიხედვით, ძეგლი იმ დროისათვის უკვე საკმაოდ დანგრეულია. სალოცავი სხვადასხვა დონეზე მდებარე ორ ნაგებობას წარმოადგენს. ქვედა ნაგებობა ზედას აღმოსავლეთის კედელზე ებჯინება და მართკუთხა ფორმისაა. ანაზომის მიხედვით, ქვედა ნაგებობის აღმოსავლეთის კედელი ინტერიერში ნახევარწრიული ფორმისაა. ზედა ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კედელს წრიული მოყვანილობა აქვს, როგორც ექსტერიერში, ასევე ინტერიერში. ნაგებობაში შესასვლელი სამხრეთიდან არის მოწყობილი. თ. რუსიშვილის მიხედვით ქვედა ნაგებობის მომრგვალებული კედლის ძირში, მთელ სიგრძეზე ქვის სკამები იყო განთავსებული, ხოლო ინტერიერში ორი ოთხკუთხა ქვა იდო. სალოცავს ბაზალტის ქვებისაგან ნაგები გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც მჭიდროდ ეკვროდა კლდეს. ამ გალავნის შიგნით ხატის სათიბი იყო. რუსიშვილი ასევე ვარაუდობს, რომ ქვედა დონეზე მდებარე ნაგებობა შესაძლოა ეკლესია ყოფილიყო.¹ მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენს ხელთ არესბულ ანაზომზე ნაგებობის სტრუქტურა იმდენადაა დაზიანებული, რომ ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს ნაგებობა მართლაც ქრისტიანული სამლოცველო.

მაკალათიას თქმით, ამ ხატში 54 სმ-ის თეთრებში შემოსილი დედოფალა იყო, რომელსაც სახეზე მაცხოვრის, ლითონის პატარა ხატი ჰქონდა მიკრული. სწორედ მას ეწოდებოდა „კვირადვთისშვილის ხატი“. იგი შემკული ყო-

¹ თ. რუსიშვილი, კვირედვთისშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 482-483.

ვილა „მძივის ყელსაბამით, დილებით, საყურეებით, ბეჭდებით და სხვ.“ ვფიქრობთ, ეს იმ წესის გამოძახილი უნდა იყოს, როდესაც ხატებს თუ წმინდანთა გამოსახულებებს ძვირფასეულობებით ამკობდნენ და ამშვენებდნენ.¹ ამ ხატს, ანუ ფაქტობრივად მაცხოვრის გამოსახულებას თუ ასე ვთქვათ, „ქანდაკს“, ყელზე ზანზალაკიც ჰქონია შებმული. ამ ხატის დღესასწაული ამადლებას სცოდნიათ და აქ მხოლოდ ქალები დადიოდნენ სალოცავად. აქ ქალებს თავიანთი, *ქალ-დეკანოზი* ჰყოლიათ. იგი გაუთხოვარი და ქალწული უნდა ყოფილიყო. ამადლებას ამ ხატში მისულ ქალებს მიჰქონდათ *გასტეხელი* და სანთელი და ხატს შვილიერებას, გამრავლებას, კარგად ყოფნას ევედრებოდნენ. მისულ მლოცველს ხატში თეთრებში გამოწყობილი *ქალ-დეკანოზი* ხედებოდა. მლოცველს საწირს გამოართმევდა, სანთლებს დაანთებდა, დაილოცებოდა და ქალებს ამწყალობნებდა. ამის შემდეგ, ქალები ხატის ნიშთან სუფრას შლიდნენ და მხიარულებაში ატარებდნენ დროს. ზოგიერთი ქალი, თუ ავად იყო, კვირაცხოვლის სალოცავს დედოფალს შეუთქვამდა. ამ მიზნით იგი სოფელს დაივლიდა. ყველა ოჯახი მას რაღაცით შეეწეოდა. ზოგი მძივს მიცემდა, ზოგიც ხურდა² ფულს, ქსოვილს, სამკაულს და სხვ. ამის შემდეგ შეხვეწილი ხისგან ადამიანის ფორმის თოჯინას გამოთლიდა, ქალის ტანსაცმელს ჩააცმევდა და იმ სამკაუ-

¹ როგორც ჩანს, აქ ორი ტრადიციული მსოფლმხედველობა უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ერთი, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალური ბუნების ღვთაებებს სამკაულებით ამკობდნენ (იხ. ნათია ჯალაბაძე, ღია მელიქიშვილი, ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ანალები, 11(2014) და მეორე, საეკლესიო.

² მაკაღათიას თქმით თეთრ ფულს.

ლებით შეამკობდა, რაც ექნებოდა. გამზადებულ თოჯინას ხატში მიიტანდნენ და დატოვებდნენ. თურმე ძველად კვირადვითისშვილს ზოგადად ხევში სცემდნენ თაყვანს, მაგრამ მოგვიანებით ეს წესი უფრო სოფ. ფხელშეში და გორისციხეში შემოუნახავთ.¹ ფხელშე-გორისციხეში ავსაჯანიშვილებს და ჩქარეულებს თურმე თავთავიანთი ქალების ხატი ჰქონდათ.²

კვირას ხატი, რომლის დღესასწაულიც აღდგომიდან მესამე კვირას მოდის, სხვა ხატებთან ერთად სოფ. ახალციხეშიც აქვთ. სოფელი მდ. სნოსწყლის მარცხენა ნაპირზე, 1800 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.³ ხალხის თქმით, მას *კვირაძლობა/კვირა ზლობაც* ჰქვია. მლოცველი საკლავით მიდის ხატში. უფრო თიკანი უყვარს კვირიასო. ვალერიან ითონიშვილის მასალების მიხედვით ახალციხელ დასაოჯახებულ ვაჟებს და გასათხოვარ გოგონებს თავთავიანთი ხატი ჰქონიათ. ქალების დღეობად *ელთობა* ითვლებოდა, ვაჟების კი *კოპალობა*. დღეობაზე ქალებს მიძევბასხმული დროშა მიჰქონდათ, რომელსაც ხატს სწირავდნენ. საერთო ფულით ყიდულობდნენ თიკანს. ხატში დეკანოზობდა გასათხოვარი ქალი, მაგრამ ციკანს თანასოფლელ კაცს აკვლევინებდნენ. თუ დღეობისთვის ვინმეს ვაჟი შეეძინებოდა, ციკანი მას უნდა დაეკლა. ბიჭების და გოგონების სალოცავების ხატები IX-X საუკუნეების ახალციხის ეკლესიაში ინახებოდა.⁴ ხსენებული ხატი მესუთე ანაზომზეა მოცემული (An.X. 5).

¹ იქვე, გვ. 213-214.

² ვალერიან ითონიშვილი, მოხვევების ყოფა-ცხოვრება (თბილისი: ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი), 2015, 180.

³ ზ. ჯამბურია, კვირადვითისშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 483.

⁴ Ibid, ითონიშვილი, 229-230.


სოფ. ტყარშეტი მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და არქეოლოგიური გათხრების მიხედვით და მოპოვებულ არტეფაქტებზე დაყრდნობით, ეს ტერიტორია მტკვარ-არაქსის პერიოდშიც [ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანები- ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები] იყო დასახლებული. XV ს. იგი ისტორიულ საბუთებში და XVIII ს. წყაროებშიც მოიხსენიება. სოფლის განაპირას მდებარე კვირას (კვირიას) ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების, ქვის მოზრდილი კვადრებით ნაგები დარბაზული (6X4.5 მ.) ეკლესიაა. ეკლესიას არ აქვს აფსიდი და აღმოსავლეთით სწორი კედლით მთავრდება.¹ მას, ქართული ეკლესიებისათვის ტრადიციულად სამხრეთიდან აქვს შესასვლელი. ვიზიტრობთ, კვირას (კვირიას) ეკლესია An. X. 38-ზე მოცემული ქალების ხატი უნდა იყოს.

ხსენებულ An. X.15 ანაზომზე *ვევლაწმინდა /ქალების* ხატია გამოსახული. იგი სოფ. გერგეტის (შეუერთდა სტეფანწმინდას 1966 წ.) დასავლეთით, მაღალი მთის დავაკებაზეა. ხატი ოთხკუთხა სვეტის ფორმის ორი, ერთმანეთის გვერდით მდგომი, პატარა ნაგებობისგან შედგება, რომელთაგან ერთი უფრო დიდია. ისინი ფიქალის მშრალი წყობითაა ნაშენები. მოზრდილ ნაგებობას ფასადი დასავლეთით აქვს. ფასადის კედელში, მიწის პირას სასანთლე თახჩაა გამოდებული. მეორე ნაგებობის შემორჩენილი კედლები ყრუა.² „სოფლის მახლობლად (ადგილი „სათიკნიაი“) ორი

¹ გ. ბაგრატიონი, ბ. მაცაბერიძე, კვირას (კვირიას) ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი:ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 477.

² თ. რუსიშვილი, ვევლაწმინდა (ქალების ხატი), საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბი-

კოშკი მდგარა. მათ ნანგრევებზე შემდეგ ქალთა სალოცავი მოუწყვიათ.⁴¹ ვფიქრობთ, ამ ორი კოშკის ნანგრევზე მოწყობილი ქალთა სალოცავი უნდა იყოს An. X.15 პლანშეტზე გამოსახული სოფ. გერგეტის ყველაწმინდა / ქალების ხატი.



ოსარემის, სოფ. გერგეტის ყველაწმინდა/
ქალების ნიშნი (An. X. 15)

ღისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 449.

¹ კ. კახაძე, თ. ჩიშაკაძე, გერგეტი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 446.

იმის გამოძახილი, რომ კვირალეთის შვილს ზოგადად ხევში სცემდნენ თაყვანს, შესაძლოა, სოფ. სნოში *კვირალის* ეკლესიის არსებობაც იყოს. პატარა მთიდან სოფელს ეკლესია და ზურგიანი ციხე დაყურებს. ეს ეკლესია 1987 წელს ძველი ეკლესიის საძირკველზე ააშენეს. ზურგიან ციხეში კი გადმოცემის მიხედვით, დავით აღმაშენებელს უთენებია ღამე. კვირალის ეკლესიის დღეობა აღდგომის წინა კვირას, ბზობასაა. აქ ახალი რძლები გაყავთ. ზოგადად კი ხსენებულ ადგილს *კვირა* ჰქვია.¹

ნასოფლარ ყანანაზის მოპირდაპირედ, სოფ. კარკუჩის გაღმა, უბნის სათავეში *კვირესძლობა/კვირურძლობა-კვირედეთის შვილის* სალოცავია. აქ დღეობა, მთხრობლის თქმით, უფრო მაისში იცის, შესაძლოა ამადლებას. მართალია. ამადლება მოძრავია, მაგრამ ხშირად იგი მაისში მოდის. ამ სალოცავს თვალის სინათლეს შესთხოვდნენ და ციკანს ის დაკლავდა, ვისაც თვალები აწუხებდა. მას ასე შესთხოვდნენ – „ღმერთო, მოგვე თვალის სინათლეო, კვირადლობის მადლო“.² ვალერიან ითონიშვილის თქმით, ხატობაში სოფლის ყველა ოჯახი მონაწილეობდა. ქალები, სალოცავში ასეღის წინ, ჭალაში, თავზე *ჭაჭს* ანუ ფიქალს დაიდებდნენ და ხატში ღამისსათევად ფეხშიშველები ადიოდნენ. ამ სალოცავს *კვირეს ხატიც* ერქვა. მიჰქონდათ სანთლები, ქაღები, ზედაშე (1 ბოთლი ღვინო). თიკანს ისიც კლავდა, ვინც უქმის გატეხვის გამო ხატისგან პატიებას ითხოვდა. კვირეს ხატში პატარა კოშკი ყოფილა, რომლის სარკმელში მლოცველი შესაწირად ფულს და ყელსაბამებს (უღლებს) დებდა. აქ მხოლოდ თიკანი იკვლებოდა. და-

¹ ნინო ღამბაშიძე, ხევის (ყაზბეგის რ.) 1988 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რეგული №1, გვ. 3.

² ნინო ღამბაშიძე, იქვე.

მისმთევლები ქადას იქვე ჭრიდნენ, დაკლული თიკანი კი სოფლის სასაფლაოსთან ჩამოჰქონდათ, აქვე ასუფთავებდნენ, ამზადებდნენ და სადღესასწაულო სუფრასაც სასაფლაოსთან ახლო შლიდნენ. იცოდნენ ბავშვებისთვის პატარა კვერების, ცხრეულების გადმოყრა.¹

კვირელეთის შვილის/კვირესძლობის სალოცავების ხე-ში ფართოდ გაგრცელების მაგალითებს გვაძლევს 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ტექსტური მასალა. იმ ექსპედიციის მასალა, რომლის დროსაც ჩვენი საკვლევი გრაფიკული ანაზომებია შესრულებული და რომელიც ასევე დაცულია ინსტიტუტის არქივში. ასე მაგალითად, ხსენებული მასალების მიხედვით *კვირელეთის შვილის/კვირესძლობის* სალოცავები გორისციხის გარდა გვხვდება: ხურთისთან, გაიბოტენში.

სოფ. გორისციხიდან დასავლეთის მხარეს მთაზე, მდებარეობს სრულიად ჩაშლილი, უზარმაზარი ნაგებობები, რომლებიც ციკლოპურ ნაგებობებს მოგვაგონებს, მათ გვერდითაა აკლდამებიც. სწორედ ამ ნაგებობებს შორისაა მოთავსებული გორისციხის ქალების ხატი. ქალების ხატი წარმოადგენს ლოდს, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან დაბალი ყორით არის შემოზღუდული. ყორეს შესასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან კლდე ამოშენებულია. ქალების ხატში ექსპედიციის წევრებმა თეთრი და ფერადი მძივები ნახეს. ლოდს ეტყობოდა სანთლის ნამწვის კვალი. ქალების ხატობა აღდგომიდან ექვსი კვირის შემდეგ მოდიოდა. ხატში სანთელ-

¹ ვალერიან ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 232-233.

გასტყეხელი და კანფეტი მიჰქონდათ. აქაც იცოდნენ ხატი-დედოფალა, რომელსაც პატარა ზარები ეკიდა.¹

სხვა ცნობით, გორისციხელები აღდგომის სწორზე, კვირაცხოველობას აღნიშნავდნენ *კვირედლობას*. XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის სოფლის მოსახლეობა აღარ აღნიშნავდა ამ დღეს, მხოლოდ უქმობდა. ყაზბეგელი მთხრობლის თქმით, აღდგომის მესამე კვირას ანუ მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით მენელსაცხებლედ ედათა კვირიაკეს, იცოდნენ *კვირადლობა*. მისივე თქმით, *კვირადლობა* და *კვირადღობის შვილი* სხვადასხვა დღესასწაულებია, მაგრამ ორივე კვირას მოდის.²

ხურთისის ჩრდილო-დასავლეთით დიდი კლდის ძირში მდებარეობს კვირადლის ხატი. 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით, იგი ოთხკუთხა ფორმის, ბასრით, ჭაჭითა და წითელი ქვით მშრალად ნაგები ნიშია, სამი მხრიდან კირით შეთეთრებული. მთავარი ფასადის (სამხრ.-აღმ.) მხარეს დატანებული აქვს ოთხკუთხი ფორმის, წყობაში დრმად შესული შუკუნა, რომელშიც სანთლის ნაღვენთებია. შუკუნის თავზე გარჭობილია რკინის ჯოხი, რომელზეც ორი ზარია ჩამოკიდებული. ერთი ზარი ძალიან პატარაა, მეორე, შედარებით მოზრდილი, დაზიანებულია. შუკუნის თავზე მთავარი ფასადის მხარეს წყობაში ჩატანებულია ქვაში გამოთლილი ჯვარი. *კვირედლობაში* დღეობა აღდგომიდან მესამე კვირას მოდის. აქ მიყავდათ პატარძლები და ბავშვები. კვირედლობა ღამისთე-

¹ ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

² ნინო ღამბაშიძე, ხევის (ყაზბეგის რ-ნი) 1988 წ. ექსპედიცია. შავი ხელნაწერი.

ვით იყო. აქ დამიზღვრებული ბავშვებიც მიყავდათ. იცოდნენ ქერის შეკრება და სასოფლო საკლავის ყიდვა.¹

სოფ. გაიბოტენის კვირე დეთისშვილის ეკლესია მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით. იმავე 1966 წლის ექსპედიციის მასალების მიხედვით ეკლესიის ქვითკირით ნაგები შენობა შეთეთრებული იყო კირით. მას სამხრეთით მოგრძო, ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი აქვს. ღია კარის აღმოსავლეთით, შუა ნაწილში, ვიწრო სამკუთხა სარკმელია დატანებული. აღმოსავლეთის კედელში ეკლესიას ვიწრო, გრძელი სარკმელი აქვს, რომლის მარჯვენა მხარეს პატარა ოთხკუთხა ნიშია. ამავე აღმოსავლეთ მხარეს ეკლესიის სახურავის ორი ფერდის გადაკეთაზე, ნაპირას აღმართულია ქვაჯვარა ადამიანის გამოსახულებით. მის თავსა და ორივე მხარეს პატარა ჯვრებია ქვაში ამოკვეთილი, ამასთან თავთან გამოკვეთილი ჯვარი რგოლშია ჩასმული და მზის შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩრდილოეთით ეკლესია გორაკს ებჯინება, ამიტომ ამ მხარეს კედელი დაბალია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ცენტრისაკენ აზიდულია, რაც ორფერდა გადახურვას ქმნის. ეკლესია გადახურულია დიდი ბრტყელი ფიქალი ქვებით. ეკლესიის შიდა სივრცე გაყოფილია ორ ნაწილად ქვითკირით ამოყვანილი კანკელით. მისი მარჯვენა მხარე უფრო განიერია, ვიდრე მარცხენა. ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში ე.ი. საკურთხეველში, შუა ადგილას, სამი დიდი ბაზალტის (კერკენის) ქვისაგან ტრაპეზია აგებული. ფუძის ქვა დაბლა უფრო ვიწროა, ზევით შედარებით ფართოვდება. საკურთხეველი მთლიანად შეთეთრებულია კი-

¹ ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.


რით. შუაში ადევს ბაზალტის ქვისაგან ნათალი ჯვარი, ერთი შანდალი, ერთი ზარი და ორი ბოთლი არყის და ღვინის ნარჩენებით. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში კერკუნის ქვით ამოშენებულია სამკუთხა ფორმის მაგიდა, რომელზეც დეკანოზი თავის წილ გასტეხლებს აწყობდა. კანკელზე დამაგრებულია გრძელი ხის სასანთლე, რომელიც შემკულია გეომეტრიული ორნამენტით, გარდა ამისა მზის სამი გამოსახულებაა, შუაში მზე წრეშია ჩასმული. ხევში გავრცელებული ხალხური სამშენებლო ტექნიკის შესაბამისად, წყობაში გასამაგრებლად ჭაჭის (სიპი) სარტყლებია ჩატანებული. ხალხი თავისი შესაწირავებით შედიოდა ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, სადაც დეკანოზები მათ არყით უმასპინძლებოდნენ. ამ ეკლესიაშიც *კვირეძლობას* აღდგომის მესამე კვირას აღნიშნავდნენ. გაჰყავდათ ბავშვები და პატარძლები.¹

მართალია ქალებისთვის განკუთვნილი სალოცავები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში გვხვდება², მაგრამ ერთი შეხედვით, მათი რაოდენობა თვალშისაცემია ხევში. საყურადღებოა, რომ ხალხი კვირიას ხშირად *კვირაძლობასთან/კვირასძლობასთან/კვირაზლობასთან* კავშირში მოიხსენიებდა და ფაქტობრივად, მათი ერთად მოხსენიებით ერთ რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავდა. ს. მაკალათიას ნიშანდობლივი შენიშვნით *კვირადღეთის შვილს*, იგივე *კვირიას* და ვალერიან ითონიშვი-


¹ ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, ხევის 1966 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

² საკითხთან დაკავშირებით იხ. ნათია ჯალაბაძე, რელიგიური სინკრეტიზმის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ადგილის დედა ღვთისმშობელი), 1988 წ., დისერტაცია, ხელნაწერი.

ლის თქმით კვირეღეთის შვილის/კვირესძლობის სალოცავებს „ზოგადად“ ხევში სცემდნენ თაყვანს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კვირაღეთის შვილის/კვირას/კვირადლის/კვირასძლის/კვირაზლის სალოცავის გარდა ქალებს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა სალოცავი უკავშირდებოდა. მაგალითად: სოფ. ახალციხის ელიას ნიში/ქალების სალოცავი (An. X. 5), ოხარემის, სოფ. გერგეტის ყველაწმინდა/ქალების ნიში (An. X. 15), სოფ. ტყარშეტის ქალების ნიში (An. X. 38).




სოფ. ტყარშეტის ქალების ნიში (An. X. 38)



სოფ. ფხელშეს ქალების ხატი (An. X. 47)

ძნელია გაქრობის გზაზე დამდგარი ტრადიციის რეალური არსის დადგენა. როგორც წესი, ტრადიციებს ნელ-ნელა, დროთა ვითარებაში, ეკარგებათ გარკვეული შემადგენელი ნაწილები, ანდა მათ სხვა მსგავსი ტრადიციები ეკვრიან, რომლის შედეგადაც შესაძლოა, პირვანდელი არსი და კონტექსტი დაიკარგოს ან სულაც გაქრეს, ჩანაცვლდეს ახლით. შესაძლოა, სხვასთან შერევის შედეგად ტრადიცია ერთგვარად „ჩაიხლართოს“ მასში.



სოფ. ფხელშე, ქალების სატი (An. X. 48)

ჩვენ შემთხვევაშიც ათეიზმგამოვლილი საეკლესიო-ხალხური დღესასწაულებიც დაკნინდნენ და მათი პირვანდელი მნიშვნელობის გარკვევა გართულებულია. ამის მიუ-

ხედავად, ვფიქრობთ, რომ საადღომო ციკლის სამი დღე-სასწაული, რომლებიც ერთმანეთს მოსდევენ: *კვირაცხოვლობა*, *მენელსაცხებლუ დედათა კვირა* და *ამაღლება* ერთმანეთს გარკვეულ წილად დაუკავშირდა, რის ხატოვან მაგალითს ჩვენი აზრით, თუნდაც ზემოხსენებული სოფ. ფხელშეს *კვირაცხოველის/კვირაძალის/ქალთა ხატის/„და-ყაჭულის“/ კვირადეთისშვილის* ხატი წარმოადგენს. ეს იყო ქალების სალოცავი, მას მართალია კვირაცხოველი ერქვა, მაგრამ დღეობა აღდგომის მომდევნო კვირის ნაცვლად, *ამაღლებას*, ასევე საუფლო დღეს იმართებოდა. ეს დღე, *ამაღლება*, ხალხური ტრადიციების მიხედვით ქალებთან დაკავშირებული დღეც იყო. ვფიქრობთ, პატარძლის წყალზე პირველად გაყვანის რიტუალი ხალხმა მენელსაცხებლუ დედების ხსენების დღეს დაუკავშირა და *კვირაძლობა/კვირასძლობა/კვირა ზლობა* შეარქვა. ეს სახელწოდება არაჩვეულებრივად კომპაქტურად აერთიანებს ხალხურ და საეკლესიო დღესასწაულებს. ერთი მხრივ, ეს არის რძლების ანუ დედების, ქალების, მენელსაცხებლუ დედების კვირა და მეორე მხრივ, რძლების, პატარძლების კვირა. რელიგიური დღესასწაულების ხალხური სახელწოდებები სხვადასხვა ენაში ხშირად ასახავს მოცემული დღის წესებს თუ რიტუალებს. მაგალითად ქართული წყალკურთხევა, რომელშიც ნათლისღებისთვის დამახასიათებელი წესია ასახული. სულთმოფენობის ინგლისური სახელი Witsun/White Sunday, რომელსაც თეთრი კვირა მოსახანათლი კათაკმეველების თეთრი კვართების გამო შეერქვა და სხვ.

ვფიქრობთ, *კვირასძლობა* და *ამაღლება* ურთიერთკავშირში რომ იყო ხალხისთვის, ამის საბუთად *ამაღლების* თარიღის გამოთვლაც გამოდგება. როგორც წესი, საეკლესიო კალენდრის და საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, *ამაღლებას* სხვა კუთხეებში აღდგომიდან ითვლიან. ხევში

კი მისი გამოთვლა კვირასძღობიდან ხდება. ძირითადად, ხალხის თქმით, ამადლება კვირასძღობის მესამე-მეოთხე კვირას მოდის. ამადლება აღდგომიდან მე-7 კვირის ხუთშაბათია, ხოლო მენელსაცხებლუ დედათა კვირიაკე მესამე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ამადლება ქალების დღედაც ითვლებოდა. როგორც ითქვა, *კვირასძღობის* სალოცავი ხევში თითქმის ყველა სოფელში იყო. მენელსაცხებლუ დედებისადმი მიძღვნილი დღის ასეთი თაყვანისცემა ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, საქართველოს სხვა კუთხეში არსად გვხვდება. ხევში ამგვარი თაყვანისცემა უშუალოდ ქალებთან და პატარძლებთან დაკავშირებული რიტუალის გამო უნდა ყოფილიყო, რასაც გარკვეული წანამძღვრები და განმაპირობებელი გარემოებები უნდა ჰქონოდა. ალბათ, ეს საკითხი ცალკე უნდა იყოს განხილული. თუმცა ხსენებული რიტუალი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ, რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ქალთა პოზიციები ხევში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

ხსენებულ *კვირაცხოველის/კვირაძაღობის/ქალთა ხატის/„დაყაჭულის“/ კვირადღეთისშვილის* ხატში, სადაც ქალები იესო ქრისტეს გამოსახულებას, *კვირადღეთისშვილის ხატს, ამადლებას* სცემდნენ თაყვანს, ჰყავდათ *ქალ-დეკანოზი*. ასევე ქალი დეკანოზობდა სოფ. ახალციხის ქალების ხატში. ანუ სალოცავში, ხატში მსახური ქალი იყო, რაც ქართულ სინამდვილეში იშვიათი მოვლენაა. ასევე, დღემდე ჩვენთვის ცნობილი მაგალითებიდან, მხოლოდ ხევის იოანე ნათლისმცემლის ხატშია შესაძლებელი დედათწესიანი და ფეხმძიმე ქალის მისვლა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სალოცავებში არამც თუ დედათ-

წესიანი, არამედ ზოგადად ქალის ახლოს მისვლაც კი იკრძალება.

ცალკე დგანან ქალთა ისეთი ხატები, რომლებიც ძირითადად ნაყოფიერების მიმნიჭებლად მიაჩნდა ხალხს და *კვირასძლობა/კვირადვითის შეილთან* არ იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად სოფ. გერგეტის *ვეელაწმინდა/ქალების ნიში* (An. X. 15).

ვფიქრობთ, ხევში ქალების სალოცავების არსებობა და ამ სალოცავებთან დაკავშირებულ რელიგიურ პრაქტიკაში ქალთა ჩართულობა, შესაძლოა იმის ნიშანი იყოს, რომ ამ კუთხეში ქალებს მეტად ჰქონდათ უფლებები რელიგიურ ცხოვრებაში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, შესაძლოა ხევში წმ. ნინოს აქტიური მოღვაწეობის შესახებ არსებული, ხალხში დაცული ცოდნა ყოფილიყო.¹

¹ იხ. Nino Ghambashidze, Women's Position in Religious Life of Georgia and Its Peculiarities, in USA Journal of Literature and Art Studies, Volume 7(2017).

თუშეთი

ლაშარობა და ქართველთა სარწმუნოების ისტორიის ერთი გამოტოვებული პერიოდი

„ჰოდ, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო
ჯუარო უფლისაო, შეგუეწიე ჩუენ ყოვლად წმიდისა
ქალწულისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა
წმიდათა, თანა, უკუნისამდე. ამინ.“¹

„ლაშარელაის ღურჯასა
ასხავ ფაფარი გიშლისა,
რახან სამცხეთოდ წავიდეს,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
საჩქაროდ შემოჩინდება,
ხან რომ არ იყოს მისვლისა.“

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნო-
ლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულია ათი ანაზომი
(An. Tush 77, An. Tush 78, An. Tush 79, An. Tush 80, An. Tush 81,
An. Tush. 166, An. Tush. 167), რომელზეც თუშეთის მთავარი
სალოცავი-ლაშარია გამოსახული. ლაშართან ერთად თუ-
შეთის მთავარ სალოცავებად ხითანა და სამებაც ითვლება.²

როგორც ცნობილია, თუშეთი კავკასიონის მთავარი
ქედის გადაღმა, მდებარეობს. ხევსურეთთან ერთად, სამ-
ხრული ფერდობის მეზობელი რეგიონებისაგან იგი „უფრო
მაღალმთური და რთული რელიეფით, მშრალი ჰავით, მცე-
ნარეულობის სიმწირითა და განსხვავებული შედგენილო-

¹ ლოცვანი, ლოცვაჲ ნათელ არს სულისა (თბილისი: აღილო, 2013), 215-216.

² ლევან მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (თბილისი: ცოდნა, 1964), 203.

ბით განიხილეთ“. კავკასიონის ფარგლებში მდებარე საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით თუშეთი, ხეცურეთთან ერთად, გამოირჩევა ფიჭვნარი და არყნარი ტყეების რაოდენობით.¹ მდინარეები: გომეწორის ალაზანი და პირიქითი ალაზანი, რომელთა აუზშია მთელი თუშეთი მოქცეული, სამ ხეობად ჰყოფს მას: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა.² ამ დაყოფას გიორგი ბოჭორიძე არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ თუშეთი ისტორიულად რვა თემად (ჭანჭახოვანი, ჩაღმა, ხეცურთა, ივანაურთა, გომეწარი, წოვათა, პირიქითი, სამციხი) იყოფოდა, რაც კარგად ახსოვთ მოხუცებს.³

თუშური დღეობების ციკლი, რომელიც ივლისის პირველ ნახევარში იწყება და ერთი თვე გრძელდება, „ათნიგენობების“ სახელითაა ცნობილი. ეს ციკლი ჩიღოს ღაშარის ჯვრის დღეობით იწყება. იგი აღდგომიდან მეთოთხმეტე კვირა დღეს დგება.⁴ სოფ. ჩიღო დღეს ნასოფლარია. იგი ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის,⁵ მდებარეობს სოფ. ომალოდან 7-8კმ. დაშორებით, პირიქით ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, მაღალ მთაზე, 500მ. სიმაღლეზე, სოფ. ჩიღოდან 2კმ. დაშორებით. ხატის კომპლექსი შედგება სასანთლე კოშკის (მილიონა), საკურთხეველის, სამსხვერპლოს (ანუ „სასაკლაო“ – ვერა ბარდაველიძის მიხედვით), დარბაზის, დარბაზის (ჯვარის) კარის, სადროშეს, საზარეს, კოშკებიანი გალავანისა და საბეროსაგან. ვ. ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით, დარბაზის კარის წინ გარ-

¹ Ibid, 200-202.


² სერგი მაკალათია, თუშეთი, (თბილისი: ნაკადული, 1983), 9-10.

³ გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი (თბილისი: მეცნიერება, 1993), 14, 302.

⁴ Ibid, მარუაშვილი, 208; გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1987), 132.

⁵ Dzeglebi.ge, http://www.dzeglebi.ge/mxareebi_qalacebi/tusheti/tusheti_chigo.html, ამოღებულია ინტერნეტიდან 3.10.2017.

კვეული ადგილი ყორის გაღავნით ყოფილა შემოსაზღვრული. ხატს ეკუთვნოდა საყანე მიწა და ტყე. ყველა ეს ნაგე-




თუშეთი, ლაშარის ჯვარი (An. Tush. 77)

ბოზა მშრალად, ფიქალითაა ნაშენები და უსაძირკველია. როგორც ლ. მოწონელიძე აღწერს, სწორკუთხა გეგმარების სასანთლე კოშკი ჯვრის კარის მისასვლელთან დგას. მას აქვს ორი ნიშა, სამხრეთის კედლის ზედა ნაწილში და მეორე დასავლეთის კედლის ქვედა ნაწილში. სასანთლეს ხუთსაფეხურიანი პირამიდული გადახურვა აქვს, რომლის ზედა საფეხურზე *ხინჭრიკვა* ანუ მთის ბროლია მოთავსებული. სასანთლე, სადაც ლაშარობის დროს სანთლებს და რიტუალურ შესაწირავებს აწყობდნენ, სასანთლე კოშკის დასავლეთი კედლის წინ მდებარეობს. სა-

კურთხეველის¹ გვერდით სამსხვერპლო, იგივე სასაკლაო, მდებარეობს. აქედან 3-4-მ. მკვეთრი დაქანება იწყება. დაკლულ შესაწირს აქედან აგორებდნენ. ტაფობში ზვარაკს ატყავებდნენ და ამ ტყავებით ლაშარობის ჯირითში გამარჯვებულებს აჯილდოვებდნენ. სწორკუთხა გეგმის მქონე დარბაზი სასანთლეს სამხრეთის მხრიდან აქვს მიდგმული და შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ინტერიერში, დასავლეთის კედელში სამკუთხა ნიშია, ჩრდილოეთისაზე სამი საფეხურია მოწყობილი. აქედან ზედაზე, რომელიც სასანთლეა, ლაშარობისას სანთლებს ანთებდნენ და ხმიადებს (რიტუალური პური) აწვობდნენ. ქვედა სკამია. სამხრეთ კედელთან მერხი დგას, დარბაზის შუაში მოჩუქურთმებული ხის სკამია, რომელზედაც ხელოსანი იჯდა. ეს მისი „საბძანი“ იყო. აღმოსავლეთის კედელთან სიპით ნაგები სკამი მდებარეობს. იატაკი ფიქალითაა მოპირკეთებული, როგორც დარბაზის ორფერდა სახურავი. ყორეთ ამოყვანილი კედლის მეშვეობით წარმოქმნილი მოგრძო ბაქანი სახურავის წინ წამოწეული ნაწილითაა გადახურული და ქმნის დარბაზის კარს, რომელიც დარბაზის მთავარი ფასადის (სამხრეთის) წინაა. სადროშე სასანთლე კომკსა და სასანთლეს შორისაა მოთავსებული. აქ ამაგრებდა ხელოსანი დარბაზიდან გამოტანილ დროშას ლაშარობაზე. დარბაზის კარის დასავლეთით დგას საზარე. ეს არის თაღებით დაკავშირებული ოთხი ბოძი, რომელიც ორსაფეხურიანი პირამიდული სახურავით ყოფილა გადახურული. ღ. მოწონელიძის თქმით, მას ორფერდა სახურავი აქვს, რომელზედაც ჯიხვის, ირმის, ყოჩის, ვაცების რქებია მოთავსებული. ბოძებს შორის გადებულ ძელზე სპილენძის ორი

¹ როგორც ჩანს ავტორი სასანთლეს, სადაც სანთლებს ანთებდნენ და რიტუალურ პურებს აწვობდნენ, არქმევს საკურთხეველს, რაც, ვფიქრობთ არ უნდა იყოს ზუსტად ნახმარი ტერმინი, თუ, რა თქმა უნდა, მას ასე ხალხი არ უწოდებდა. ეს კი, თითქოს, მასალიდან არ ჩანს. ალბათ, ამ ტერმინის ბრჭყალებში ჩანს უფრო გამოხატავდა ავტორის სათქმელს.


ზარია ჩამოკიდებული. ჯვარის ეზო დარბაზის კარის წინ მდებარეობს და სამი კოშკი აქვს ჩაშენებული ე.წ. ხატი, როგორც ამას ლ. მოწონელიძე აღნიშნავს, რომელიც ვერა ბარდაველიძის მასალებსაც ეყრდნობა. გალაენის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულია ღვთისმშობლის ხატი, სამ-



თუშეთი, ლაშარის გორი (An. Tush. 79)

ხრეთში „დროშათ საბრძანისია“, დასავლეთში კი იოანე ნათლისმცემლის ხატი. ამ სამივე კოშკს პირამიდული სახურავი აქვს. კედლის პირას, საზარეს ჩრდილო-დასავლეთით დგას საბერო. იგი სწორკუთხა გეგმარებისაა და ცალფერდა სახურავი აქვს. შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. ინტერიერში, დასავლეთი კედლის გასწვრივ, ფიქალისგან მშრალად ნაგები მერხია და იატაკიც ასევე ფიქალითაა მოპირკეთებული. დარბაზიდან 200მ. დაშორებით, ვაკე ადგილზე, მდებარეობს საჯარე, სადც მედლეობე მამა-

კაცები იკრიბებოდნენ. ქალების მისვლა აქ იკრძალებოდა. საჯარის შუაში, 1მ. ქვა, „საწდეა“ ჩადგმული, რომელზედაც ანთებდნენ სანთლებს. ღაშარის დასაველეთით გორაა ხატის ტყით. ამ გორაზეა ე.წ. საბინაო ადგილები, სადაც დღეობაში მხოლოდ სოფ. ჩილოს ქალები ათევდნენ ღამეს.




თუშეთი, ღაშარის გორი (An. Tush. 80)

საბინაოში ღამით კაცებს ღამის თევა და ღამე მისვლაც ეკრძალებოდათ. ყველა გვარს თავისი საბინაო ჰქონდა. არსებობდა საერთო საბინაო, სადაც სხვა სოფლებიდან მისულებს შეეძლოთ ღამისთევა. მთის კალთაზე, საბინაოს დასაველეთით საჯირითოა. აქ ღაშარობას ჯირითი იმართება.¹

¹ ლ. მოწონელიძე, ღაშარის ჯვარი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2 ტ. (თბილისი: ქართუ-

ვერა ბარდაველიძის 1931, 1949, 1957, 1965, 1966 წლების ექსპედიციის მასალების მიხედვით, ლაშარის ჯვრის კომპლექსი იგივე ნაგებობებისგან შედგება. ვერა ბარდავე-



თუშეთი, ლაშარის ჯვარი, საბერო (An. Tush. 81)

ლიძის აღწერილობის მიხედვით ლაშარის ჯვრის ეს კომპლექსი სოფ. ჩილოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 2კმ. დაშორებით, მაღალ გორაზე მდებარეობს. მის დასავლეთით სხვა გორაა, რომლის ტყე ლაშარის ტყედ ითვლება. ამ ტყის ჩრდილო-დასავლეთით „საბინაოდ“ წოდებული ადგილებია, რომლის დასავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით ფართოდ გაშლილი მთის კალთა ლაშარობაზე სადღეობო ჯირითისთვის გამოიყენებოდა. საჯირითოს ახლოს, ვაკეზე, იყო საჯარე. ამ მთის კალთას ჩრდი-

ლი ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთ. სამეც. რედაქცია, 2004), 159-160.

ლო-დასავლეთით ემიჯნება კლდე, რომელზედაც აგებული იყო საბერო. ამ ორ გორას შორის თავმონგრეული მილიონა იყო, რომელიც აქვე დაღუპული თუშის მოსაგონრად გაკეთდა. ხატის სამსხვერპლო – „სასაკლავოსთან“ იწყება მკვეთრი დაქანება. ვერა ბარდაველიძე მილიონას განმარტებისას აღნიშნავს, რომ თუშები მილიონას უწოდებენ იმას, რასაც ფშავ-ხევსურები სატაძრო არქიტექტურაში კოშკს ანუ სწორკუთხა გეგმის მქონე, მომაღლო და ხშირად თახჩიან საკულტო ნაგებობას და საზარეს.¹ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცულ ანაზომებზე, რომელიც ვერა ბარდაველიძის ხელმძღვანელობით წარმართულ 1965-1966 წლების თუშეთის ექსპედიციაშია შესრულებული, მოცემულია ლაშარის ჯვრის დარბაზი (დასავლეთის ფასადი, გეგმა, ჭრილი, გეგმისა და ჭრილის მასშტაბი), დარბაზი და დარბაზის კარი (სამხრეთის ფასადი), დარბაზი და საზარე (აღმოსავლეთის ფასადი, გენგეგმა), დარბაზი (ჭრილი 2-2), დარბაზის ინტერიერი, ხის თასები დარბაზიდან, საბერო (გეგმა, ჭრილი), ლაშარის ჯვრის ტოპოგრაფიული რუკა, 1964 წელს კოტე წულაიას მიერ შესრულებული ლაშარის ჯვარი, საჯარე და საზარე (სამხრეთის ფასადი, საჯარის ჭრილი 1-1, საჯარეს გეგმა, საზარის ჭრილი 1-1) და უცნობი ავტორის მიერ 1947 წელს შესრულებული ლაშარის ჯვრის საზარე, მარანი, საჯარე (გეგმა, ჭრილი ა-ა). კოშკი მილიონა დატანილია მხოლოდ ტოპოგრაფიულ რუკაზე.² ანაზომებზე არ ჩანს არც ღვთისმშობლის და არც იოანე ნოლისმცემლის ხატები.

¹ ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, თუშეთი (თბილისი: მეცნიერება, 1985), 3, 15,16-17.

² ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, An. Tush. 77, An. Tush. 78, An. Tush. 79, An. Tush 80, An. Tush. 81, An. Tush. 166, An. Tush. 167.

როგორც აღინიშნა, თუშეთში ლაშარობა აღდგომიდან მეთოთხმეტე კვირას ანუ მეასე დღეს, კვირა დღეს მოდიოდა და ათენგენობების პირველი დღესასწაული იყო. სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ საყოველთაო თუშური დღეობა იციან 19-20 ივლისს ახალი სტილით.¹ ვერა ბარდაველიძის მიხედვით ეს დღე 28 ივლისია ძველი სტილით.² ორივე შემთხვევაში თხრობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დღესასწაულის აღნიშვნის თარიღები უძრავია. ამ პირობით ორივე შემთხვევაში რიცხვები აშკარად არ ემთხვევა ერთმანეთს და ლაშარობის დღესასწაულის რეალური თარიღი გაუგებარი ხდება. მაგრამ თუ ამ საერთო სათუშო დღესასწაულის თარიღის ყველაზე მისაღებ და ზუსტ თარიღად აღდგომიდან მეთოთხმეტე კვირა დღეს³ ანუ აღდგომიდან მეასე დღეს⁴ ავიღებთ, ხსენებული თარიღები სრულიად ადეკვატური აღმოჩნდება. მოძრავი ათვლის წერტილი, ანუ აღდგომა, მოძრავს ხდის ლაშარობის დღესასწაულსაც.

თუშური ლაშარობის დაარსების შესახებ არსებობს გადმოცემა. თუშებს ფშავლებთან მტრობა ჰქონდათ. ვაჟა-ფშაველა, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, გვიამბობს, რომ ერთხელ გიორგი თილისძის მეთაურობით თუშები ფშავს გამოემართნენ დასარბევად. ამ საბრძოლო ლაშქრობაში თუშები მთლიანად დახოცილან, მხოლოდ თილისძე გადარჩენილა.

„თილისძემ უთხრა მამასა:
„მამავ, შავყართ ჯარიო,
ჩავიდეთ უკვენა ფშავსა,
ამოვირეკოთ ცხვარიო...“

¹ Ibid, მაკალათია, თუშეთი, 208.

² Ibid, ბარდაველიძე, 19.

³ Ibid, ცოცანიძე, 132.

⁴ Ibid, მოწონელიძე, 159.

„ვერ ჩავალთ უკვენა ფშავსა,
ეგეცა ჩვენნი არიო!“
„მაშ, ხოშარაში ჩავიდეთ,
ვარჩიოთ ქალი-რძალიო...“
„ვერც ჩავალთ ხოშარაშია,
ეგ არის ჩვენი მხარიო!“
„მაშ, მათურაში ჩავიდეთ,
მოკლედ ჩაუვლენ გზანიო,
გოგოლაურთას ჩავიდეთ,
ჩაკიბული ჰქონ გზანიო...“
„კიბურთ არ ჩავგაცილებენ
ლომ-ხუზაურა ძმანიო!“
„მაშ, ციბაურთას ჩავიდეთ,
ეუმტვრიოთ ბეღლის კარიო!“
ჩავიდეს ციბაურთასა,
უმტვრიეს ბეღლის კარიო,
პირ-და-პირაით გადმოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს თილისძის კაცებს,
ბეღელს აკერეს მკვდარიო.
თილისძე გამაიპარა, გადმაიარა მთანიო,
როცა თუშეთში მოვიდა,
გამოეგება რძალიო:
„მამამთილ, შვილი რა უყავ,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?“
„თინიბექ ფშავში გავწირე
სისხლისა ღვინით მთვრალიო...“
ქალი ციხეში შევიდა,
წელთით დაკეტა კარიო,
სანამ წელ შესრულდებოდა,
სამჯერ დაიჭრნა თმანიო.
მამამთილმ გამაუგზავნა
სამხევეწროდ თეთრი ხარიო:

„გთხოვ, გამოხვიდე, ლელაო,
ციხეში ნუღარ ხარო“...
მამამთილს შემოუთვალა:
„წელზედ შამარტყი ხმალიო,
იქისაკ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო...
ქმრის სისხლი თუ ვერ ვიძიო,
ლელაიმც ნუღარ ვარო!“¹

ამ ამბავზე ხალხმა სიმღერაც, „თუშო ნუ წახვდ
ხოშარას“, შექმნა. ერთხელაც, თილისძე ფშავში, ერთ-ერთ
ლაშარობაზე მისულა, თეთრი კურატი მიუყვანია, იქვე და-
უკლავს და თუშების და ფშავლების შერიგება უთხოვია.
მართლაც, თუშები და ფშავლები ლაშარში ძმად გაფიცუ-
ლან. ამ ამბის და ძმობის სიმტკიცის ნიშნად თილისძემ
ლაშარის დროშა ჩილოს მთაზე, თუშეთში აღმართა, სა-
დაც ლაშარის აწინდელი ხატიც აუშენებიათ.² მთავარ ლა-
შარში კი, შერიგების ნიშნად, საზარის სამხრეთით,³ სამა-
ნი ჩაუსვამთ.⁴ თუ რატომ მივიდა თილისძე ლაშარში ლა-
შარობას, ამას ვაჟა-ფშაველა საინტერესოდ ხსნის. მას ხო-
შარის ამბის ამსახველი ერთ-ერთი ხალხური ლექსი მოჰ-
ყავს:

„თუშო, ხოშარას ნუ ჩახვალ,
ხოშარა ეკლიანია;
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ,
სამივე ლეკვიანია;
თუ ჩახვალ, ვეღარ ამოხვალ.“

¹ ქართული ხალხური პოეზია, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4318/1/Qartuli_XalxuriPoezia.pdf, 6.02.2018.

² Ibid, მაკალათია, თუშეთი, 210-211.

³ Ibid, ბარდაველიძე, 36.

⁴ სერგი მაკალათია, ფშავი (თბილისი: ნაკადული, 1985), 216-217.

გიორგი ეტლიანია (წმიდა გიორგი).“¹

ვაჟა აღნიშნავს, რომ სწორედ ბოლო სტროფშია დამალული, თუ რატომ მივიდნენ ისინი უძვირფასესი საკლავით, რქათეთრი ხარით ღაშარში და რატომ ითხოვეს შერიგება და ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რატომ გაიხადეს ის მთავარ თუშურ სალოცავად. ორივე მოქიშპე მხარემ მიიჩნია, რომ ბრძოლაში ფშავლებს წმ. გიორგიმ, ღაშარის წმ. გიორგიმ გაამარჯვებინა.² ამდენად, ერთი მხრივ თუშებმა პატიება სთხოვეს წმ. გიორგის და მეორე მხრივ ყმობა. ღაშართან არხოტელ ხევსურებსაც ჰქონდათ შუღლი. ერთხელ, ღაშარობას, როდესაც არხოტელებს სურდათ ფშავლებს თავს დასხმოდნენ, ეს ამბავი დროულად შეუტყვია ღაშარის თავხვეისბერ ფოცხვერა მახინცაურს და ფშავლებს ხევსურები შეუპყრიათ. თუმცა, ღაშარის ქადაგს მოშუღლარები შეურიგებია. „ფიცის გაუტყხლობის“ ნიშნად ხევსურებს ღაშარისთვის 12 ცხვარი და ხარი დაუკლავთ. ამ შემთხვევის აღსანიშნავადაც ჩაუსვამთ სამანი.³ მაკალათია არ მიუთითებს ხევსურების სამანის ადგილს და აღნიშნავს, რომ იგი იქვეა, სადაც თუშების. ბარდაველიძის აღწერილობით, თუშების სამანის ახლო მდებარე მეორე სამანი (სულ ორს მოიხსენიებს) საზარის დასავლეთით მდებარე სამანია.⁴

ვერა ბარდაველიძის მასალების მიხედვით, ღაშარობის წინა დღეს შულტებს სოფ. ჩილოდან ხატში სასოფლო ღუდი მიჰქონდათ და სასოფლო საკლავი მიჰყავდათ. დღეობაში მისულ მამაკაცებთან ერთად ჯვარის კარზე იყრიდნენ თავს და ელოდნენ ხელოსნის ჯვარიდან გამოსვლას.

¹ ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული ნაწერები, IX (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964), 58, 235.

² Ibid, 58-59.

³ Ibid, მაკალათია, ფშავი, 216-217.

⁴ Ibid, ბარდაველიძე, 36-37.

მთავარ ღვთისმსახურს თუშეთში *ხელოსანი* ჰქვია, რომელსაც ჰყავს თანაშემწე *შულტა*. მას სოფელში რამდენი გვარიც იყო, იმდენს ირჩევდნენ, ანუ თითო გვარიდან თითოს და ეს მორიგეობით ხდებოდა. შულტას არჩევა კენჭისყრით ხდებოდა. შულტა იანვრიდან მომდევნო იანვრამდე მსახურობდა. მას ევალებოდა: ლუდის დუღება, ერთი საკლავის დაკვლა და ხალხის – სოფლის და სოფლის სტუმრების გამასპინძლება. საერთო სუფრისთვის სანოვაგის აკრეფა და სუფრის მომზადებაც მას ევალებოდა. უმაშულო ხატის შულტა ხალხს სთხოვდა სალუდში ლუდისთვის საჭირო, თავიანთი წილი, ფორი, შეშა და წყალი მიეტანათ. შულტას თავისი დამხმარეც ჰყავდა, *მგოლაგო*, რომელიც მას ლუდის დამზადებაში ეხმარებოდა.¹

სერგი მაკალათიას გადმოცემით ჩილოს ლაშარში მლოცველი დამისთევით მიდიოდა. 1931 წლისთვის, როდესაც ხსენებულმა მეცნიერმა თუშეთში იმოგზაურა, ლაშარის ხატის შესასვლელი კარი ხატის დროშებით და აღმებით იყო მორთული. მისივე აღწერილობით, ხატის დროშა იყო ოთხკუთხა ფორმის, თეთრი მიტკლის და სამყურაზე მიკერებული ჰქონდა გრძელი წითელი საღტე. დროშა გრძელ, დაახლოებით 2მ. სიგრძის ჯოხზე იყო შებმული, რომელსაც წვერზე ზანზალაკი ჰქონდა დამაგრებული. ზოგჯერ რამდენიმეც. ზოგიერთი შეხვეწილი მლოცველი წითელ და თეთრ ნაჭრებს, ხილაბანდებს სწირავდა დროშას. ამ ხილაბანდებს გადასცემდნენ ხელოსანს და ის ჰკიდებდა მათ დროშაზე. დროშა ხატში ან ძველ ციხეში ინახებოდა. მას „ხატობის წინ დეკანოზი (ანუ ხელოსანი-ნ. დ.) გამოიტანს და ხატის ნიშთან მიაყუდებს.“ გიორგი ცოცანიძე აღნიშნავს, რომ ხელოსანი მანამ, სანამ დროშას შეეხებოდა, *წმინდობდა* ანუ სუფთად ინახავდა თავს. ქაღს

¹ Ibid, ბარდაველიძე, 19; Ibid, მაკალათია, თუშეთი, 204-205; Ibid, ცოცანიძე, 29; ვაღერიან ითონიშვილი, თუშეთი და თუშები (თბილისი: უნივერსალი, 2012), 23-24.

არ გაეკარებოდა, სხვის სახლში არ შევიდოდა და არც საკუთარ სახლში შემოუშვებდა ვინმეს, რომ უწმინდურს (*მრიოშს*, როგორც თუშეთში უწოდებენ) ანუ დედათაწესიანს არ შეედგა ფეხი. დროშის გამობრძანებამდე ხელოსანი ცივი წყლით განიბანებოდა. ადგილი, სადც ეს რიტუალი სრულდებოდა, უცვლელად დადგენილი იყო. ხელოსანი ღამეს ხატში ათენებდა, რის შემდეგაც შეეძლო, რომ დროშას შეხებოდა. სანამ დროშა გარეთ იყო გამობრძანებული, ხელოსანი მას ვერც დღე და ვერც ღამე ვერ მოცილდებოდა. თუშები თვლიდნენ, რომ დროშასთან ერთად თავად ჯვარი იყო გამობრძანებული და რომ დროშის ყარაული თავად ხატის, დეთაების საპატიო ყარაულია.¹ მზე რომ გადავიდოდა, ხელოსანი და შულტა ხატის ნიშთან დგებოდნენ, ანთებდნენ სანთლებს და ხელოსანი იწყებდა დამწყალობნებას. ხატის მოედანზე დღეობაზე მისული მლოცველები (მამაკაცები, ბავშვები, მოხუცი ქალები, რომლებსაც დედათაწესი აღარ ჰქონდათ) იდგნენ. ქალები მოშორებით იყვნენ. მლოცველს ხელოსანთან საწირი (კვერები, სანთლები, ხელადა საზედაშე არყით) მიჰქონდა. საწირს შულტა გამოართმევდა, ხელოსანი სანთელს აანთებდა, მხვეწარის სახელს იტყოდა და დაილოცებოდა: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე წმ. გიორგის ღაშარისას, დიდად სადიდებელსა, ძვირად საჯსენებელსა, მუხის წვერის ანგელოზთა, დიდად სადიდებელსა, ძვირად საჯსენებელსა! წმ. გიორგი, შენ შეგვეწიე, შენ გეხვეწებიან სამსახურის მიმღებნი თავი დაბლითა, გული მართლითა, ნაძახევს გაუგონებდი, ნაქადებს არ გიმტყუნებენ. შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, დაიცავი, დაიფარე ზვავისგან, წყლიდან, სენიდგან, სასჯლიდან. მწარე სიკვდილსა თავ თქვენ შეუქციდიითა. ზამთარ მშვიდობისა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა. ჯოხ აიღონ, ვაჭშამ მისციითა, სახელ სარგებლიან მიატანიითა, საე-

¹ Ibid, ცოცანიძე, 135-136.

ნებელ მოაშორეთა, მტრის ჳელით ჳმალ ახჳადითა, სიკვდილობას აუსუბუქით. მტერთან ჳირს ნუ დაუკარგავ, სწორთან სამართალს, მჳარ-გუთან წადმ წავგარეთა. ყანამკა მოგვარეთა, ღონესა, ჳონესა უმატითა. ცხვარ-ცხვრის მკრავს უმატეთა, პურსა და პურის მჳამელს უმატეთა! დიდო ბედნიერო ანგელოზო, შენ გეხვეწებიან თავი დაბლით, გული მართლითა! მეშველი, მწყალობელიმც არის თქვენი! გაუმარჯოს ჩვენ სალოცავებს, გაუმარჯოს ყმებს ღამარის გიორგისას!“ დამწყალობნების შემდეგ, ხელოსანი შემწირველს არაყს გამოართმევდა, ერთ ყანწს დაღევდა და დანარჩენს თუნგში ასხამდა. რიტუალური კვერის ნაწილსაც იტოვებდა. ვისაც ბავშვი ჳყავდა შეხვეწილი, ხელოსანთან ბავშვით მიდიოდა. ვინც საკლავით იყო შეხვეწილი, ცხვარს მიუყვანდა ხელოსანს, რომელიც რქაზე სანთელს მიაკრავდა და ისე დაილოცებოდა.¹ საკლავის დამწყალობნების ერთ-ერთი ვარიანტი ამგვარია: „დიდებულო ღმერთო, ღმერთო და კვირაეო, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელია, სამწყალობნო (მაგალითად-ნ.ღ.) იორამისა, იმის სახლ-ჯალაფობისა.

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე წმინდა გიორგისა ღამარისასა, დიდათ სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა მუხის-წვერის ანგელოზსა, ხალისით ჳარავნით მკრეფალსა, ოქროს სკამ მჯდომარეთა, ღვთის პირით მეღვინეთა, ღთის მესამსახურეთა.

დიდო ბედნიერ ანგელოზო წმინდა გიორგი, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელია მოყენებული სანათლავი. მორიგე ღმერთს შასწირიდი, წყალობა გამოუთხოვე, ნურას ჩამაგდე მგათ სახლშია, მტრის ხელი და ჳმალ აჳადიდი, სიკვდილობას აუსუბუქიდი, მტერსთან ჳირს ნუ დაუკარგიდი, სწორთან-სამართალსა; ჳარ-გუთან წადმ წადგვარიდი, ყანა კა მოღგვარიდი, შვიდობას აჳმიდი, ღო-

¹ Ibid, მაკალათია, თუშეთი, 4, 208-210.

ნესა-დ' ქონეს მიუმატიდი, პურსა პურის მჭამელი მიუმატიდი, ცხვარსა ცხვარის კრავი მიუმატიდი.

დიდო ბედნიერო ანგელოზო წმინდაო გიორგი, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელი მოყენებული სანთელი სამწყალობნეა იორამის, მეშველი, მწყალობელი იმის სახლჯალაბობისა, ადიდოს იორამი.“ დამწყალობნების დასრულების შემდეგ იქ მყოფები დაიძახებდნენ: ადიდოს!¹ დამწყალობნების შემდეგ ხელოსანი საკლავს სანთლით შუბლზე ბალანს შეუტუსავედა და შულტას გადასცემდა. შულტა ზვარაკს ხანჯლით ყელს გამოჭრიდა და ზემოთ ნახსენებ დაღმართზე დააგორებდა. ამ დროს ხალხი დაიძახებდა: წყალობა ხატისა! დაკლულ ცხვარს დაღმართში ბავშვები იტყვრდნენ. ვინც პირველი „შეავლებდა ხელს“, ცხვარის ჯიგარიც მისი იყო. ამასობაში მზის ჩასვლის დროც დგებოდა. ხელოსანი დროშით ხელში, შულტასთან ერთად, მადლობზე დადგებოდა. ერთ-ერთი მათგანი ხალხს მიმართავდა და მოუწოდებდა, ღაშარობა ისე გაეტარებინათ, რომ ერთმანეთისთვის არ ეწყენინებინათ, არ ეჩხუბათ, „ძველი შურისძიება სხვაგან და სხვა დროს ეძიათ“, ვინაიდან ღაშარი და ღაშარობა სალოცავი ადგილია და არა ჩხუბისო. ღვთისმსახური ასევე თხოვდა იქ მისულ მლოცველს, დარბაზში, ხელოსანთან მიეტანათ, თუ რაიმე ნივთს იპოვნინდნენ დაკარგულს; რომ ხალხში სიტკბო და მხიარულება ყოფილიყო. ასევე, მიუთითებდა, თუ საით იყო ქალების ჯარი ანუ სადგომი და რომელ მხარეს კაცების. იგი მკაცრად უკრძალავდა კაცებს ღამით ქალების ჯარში გადასვლას, განსხვავებით ფშავის ღაშარობისა, სადაც წაწლობა დაშვებული და მიღებული იყო.² მამაკაცებს ევალებ

¹ ზურაბ კიკნაძე, ხვთისო მამისიმედიშვილი და ტრისტან მახაური, ჯვარ-ხატთა სადიდებლები (თბილისი: ნეკერი, 1998), 173.

² საკითხთან დაკავშირებით იხ. სერგი მაკალათია, ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ეთნოგრაფიული მასალები) (ტფილისი: ს.მ.უ.ს. პოლიგრაფიკის განყოფილება მე-3

ბოდათ შეშის მოტანა. წესების მკაცრად დაცვის მიზნით, ხატის მსახური თემიდან თითო კაცს ირჩევდა. ამის შემდეგ ახალგაზრდა კაცები მოიტანდნენ შეშას და დიდ ცეცხლსაც დაანთებდნენ. იწვებოდა მწვადი, იხარშებოდა ხორცი, იშლებოდა სუფრები, მღეროდნენ ჩონგურზე. შუაღამეს შულტა კოდის ლოცვაზე მიიწვევდა მამაკაცებს. იდგებოდა დიდი ლუდიანი კოდი, რომლის კიდეზე ინთებოდა სანთლები. მლოცველები ორ-ორ მრგვალ პურს და ცხვრის ხორცს მიიტანდნენ. ეს ლაშარის წმ. გიორგის სამღვთო იყო. სამღვთოს შულტა ამზადებდა. ლუდს სოფელში შებროვილი ქერისგან ადუღებდა, საკლავს ყიდულობდა, პურს კი აცხოვდნენ. ეს ჩილოელი მლოცველების სამღვთო იყო. აქვე იქნებოდნენ სხვა სოფლიდან მისული მლოცველები. ერთ მხარეს იდებოდა ჩილოელების სამღვთო, ხოლო მეორე მხარეს არა ჩილოელების, სტუმრად მოსულების. მამაკაცები კოდის გარშემო განიერ წრეს აბამდნენ და „კოდის ლოცვას“ ამბობდნენ ანუ აბამდნენ ფერხულს და მღეროდნენ. „კოდის ლოცვას“ ქალები ვერ დაესწრებოდნენ. ვერა ბარდაველიძის თქმით ხსენებული სიმღერა სამწყებად იმღერებოდა. ჯერ იმღერებდნენ ხელოსანი და შულტები, შემდეგ იგივეს გაიმეორებდნენ ჩილოელები და ბოლოს სხვა სოფლებიდან მოსული სტუმრები.

„სიმღერა უთხრათ ერთსაო,
შევეხვეწენით ღმერთსაო,
ღმერთო გვიცოცხლე ესენი,
ღვინოს გვახლიან გვერდსაო.
ქალ-წყალზე დაგვიანდება
დაბანას ხელ-პირისაო,
ვაჟ დარბაზთ დაგვიანდება
შესმასა ბარძიმისაო.

სტამბა, 1925) და ნინო ღამბაშიძე, კიდევ ერთხელ სწორფრობა-
წაწლობის წესის შესახებ, ანალები, №5(2009).

ცხვარსა უმატე, გიორგი,
თუ გინდა კოდი საესენი,
ყმათა უმატე, გიორგი,
თუ გინდა მოსახელენი.
წმინდის გიორგის კარზედა
ხე ალვა ამოსულიყო,
იმას დეესხა ყურძენი,
საჭმელად მოწეულიყო,
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულიყო.“¹

სიმღერის დასრულების შემდეგ დაიძახებდნენ: გაუ-
მარჯოს ლაშარის წმ. გიორგისო. კოდიდან ხალხს ხის
თასებით ლუდი ურიგდებოდა. ვახშმით იმ დღის წესები
მთავრდებოდა. დილით დეკანოზი დროშებს ააჟღარუნებდა.
იშლებოდა სუფრები და ლხინი, რასაც მოჰყვებოდა „ქორ-
ბელელა“, რომელზედაც ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ. „ქორ-
ბელელას“ წესის შესრულების შემდეგ, ხატობა მთავრდე-
ბოდა და ყველა სახლში ბრუნდებოდა. იცოდნენ ქადაგად
დაცემის წესი. ქადაგი ხატის ნებას უმჟღავნებდა ხალხს.²

ვერა ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით, ჩილო-
ელ შულტაებს დღესასწაულის წინა დღეს ხატში მიჰქონ-
დათ სასოფლო ლუდი, მიჰყავდათ სასოფლო საკლავი,
მედღეობე მამაკაცებთან ერთად, იყრიდნენ თავს და ხე-
ლოსნის დარბაზიდან გამოსვლას ელოდნენ. დარბაზიდან
გამოსული ხელოსანი სასოფლო ლუდს დალოცავდა, შემ-
დეგ სასოფლო საკლავს ბალანს შეუტუსავდა, შულტა კი
ყელს გამოსჭრიდა და დააგორებდა. ამის შემდეგ ხელოსა-
ნი ჯერ ჩილოელების საკომლო ზედაშეებს დალოცავდა,
შემდეგ დართლოელების საწირს და ბოლოს ყველა და-
ნარჩენისას. საკომლო ზედაშე, ვერა ბარდაველიძის თქმით

¹ სტილი დაცულია-ნ.დ.

² Ibid, მაკალათია, თუშეთი, 210-212.

იყო: 3 ხმიადი (სამკუთხედის ფორმის პური), 1 ბოთლი არაყი, ყველის კოკორა და კენტი რაოდენობის თაფლის სანთელი. ვისაც სახლში ლუდი ჰქონდა გამოხდილი, ამ ლუდის ნათაურსაც, ანუ პირველად ამოღებულსაც დაუმატებდა. პირად საკლავს ყველა თვითონ ატყავებდა. საკლავის მხარს საერთო სასოფლო საკლავთან დებდა. ტყავებს ძველად ხატში ტოვებდნენ. ზოგის თქმით, დოდში გამარჯვებულებს ტყავებით აჯილდოვებდნენ. როდესაც ხელოსანი სასოფლო ლუდის და საკლავის დალოცვას დაასრულებდა, იღებდა ვერცხლის თასს-ბარძიმს და ჩილოელების შესაწირი ზედაშედან ცოტა არაყს ჩაასხამდა და დაილოცებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ლოცავდა ის სხვა სოფლებიდან მისული მლოცველის ზედაშეებს. სასოფლო საწირის ხორცს შუღტები იმავე სადამოს საჯარეში ხარშავდნენ. ამზადებდნენ „სუფრებს“. თითო ასეთ სუფრაზე ორ ხმიადს, ხორცის ნაჭრებს და თაფლის სანთლებს დებდნენ. ამგვარ სუფრას ზვარაკით მისული მლოცველიც აკეთებდა. საჯარეში ხელოსანი დროშას მიაბრძანებდა, შუღტები საჯარეს ქვაზე სანთლებს დაანთებდნენ და ხელოსანი სასოფლო კოდს ლოცავდა. დალოცვას „სალაშარო სიმღერა“, ქორბედელას საგალობელი მოსდევდა, როგორც მას ვერა ბარდაველიძე უწოდებს, რომელიც იგივე ქორბედელას საგალობელია და რომელიც მეორე დღესაც იმღერებდა ქორბედელას რიტუალის შესრულებისას. ვერა ბარდაველიძე სიმღერის შესრულების წესს ამგვარად აღწერს. მისი თქმით, „...შუღტები და ახალგაზრდობა სამწყებად მღერიან: ჯერ პირველი სამი დაიწყებს, იმღერებს ქვემოთ მოტანილი ლექსის პირველ სტრიქონს, გაიმეორებს მეორედ და იმის დამთავრებისას თავიდან იწყებს მეორე სამი მწკრივი, ახლა მესამე, შემდეგ კვლავ პირველი წყება და ასე სხვა. ქორბედელას ლექსი შემდეგია:

„დღესამ დღეობა ვისია,
წმიდისი გიორგისია,
წმიდა გიორგის კარზედა
ხე აღვად ამოსულიყო,
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულიყო.
ყმათად უმატე გიორგი,
თუ გინდა მოსახელენი,
ხალხსად უმატე გიორგი,
თუ გინდა კოდნი საესენი,
ცხვარსად უმატნე გიორგი,
თუ გინდ რქა-ჯანგიანნი.
ქალ წყალზე დაგვიანდება,
დაბანას ხელ-პირისასა,
ვაჟ დარბაზ დაგვიანდება
შესმასა ბარძიმისასა.
მთა-მთა მოვალის ქავთარი,
ნაპრალს მოარღვევს მთისასა,
ბარზე მოვალის გიორგი
აღთოს მოანჩქლევს წყლისასა.“¹

„სალაშარო სიმღერის“ დასრულების შემდეგ, ხელოსანი ღოცავდა სუფრებს და ღხინიც იწყებოდა, რომლის დროსაც საგმრო ლექსებს მღეროდნენ. ხელოსანი დროშას დიდი სისწრაფით წაიღებდა დარბაზისაკენ. მეორე დღის შუადღეს სრულდებოდა ქორბედელას წესი.²

გიორგი ცოცხანობის თქმით, მეორე დღეს დროშის გამობრძანების შემდეგ მთავარი კოდის დალოცვაზე ყველა ოჯახიდან ზემოთსენებულ ტრადიციულ შესაწირს მიიტანდნენ. ხელოსანი ღუდიან კოდს მოხდიდა თხლეს, ცალკე ჭურჭელში გადაიღებდა, რომ ჯვარში გაეტანა.

¹ Ibid, ბარდაველიძე, 20.

² Ibid.

შემდეგ კოდზე სანთლებს დაამაგრებდა გარშემო, აავსებდა თასს ლუდით, დაიჭერდა ხელში და სადიდებელს იტყოდა, სოფელს დალოცავდა. შულტა იქ მყოფებს ერთ-ორ თას ლუდს დაალევინებდა, რის შემდეგაც იქ მყოფები დაიშლებოდნენ. ამასობაში ჯვარის კარიდან ზარების რეკვა სოფელს ხატისკენ მოუხმობდა. კაცები საკლავს წაიყვანდნენ და ლუდის (თუშურად ალუდი) ნათაურს წაიღებდნენ. საკლავი დაუკოდავი ცხვარი, 1 წლის ჭედილა ან 3 წლის ნაყოჩარი, თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო. პირით აღმოსავლეთისკენ მდგარ საკლავს ხელოსანი შუბლზე ბალანს სანთლით შეუტუსავდა, გამოსჭრიდა ყელს, სისხლს ხატის ნიშის ყორეს მიასხამდა და დაქანებაზე დააგორებდა შეძახილით: სწყალობდეს! ასევე შესძახებდნენ, ოღონდ სამჯერ, იქ მყოფი მამაკაცები. საკლავის ხორცის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, მარჯვენა მხარს დაუჭრელად აგდებდნენ ქვაბში მოსახარშად. სანამ ხორცი მოიხარშებოდა, ხატის კარზე ქაღები და ბავშვებიც მივიდოდნენ და სახლში გამზადებულ საჭმელსა და სასმელს მიიტანდნენ. ბავშვებს ხელსახოცში გახვეულ 3 ხმიადს, 1 ან 3 სანთელს და არყის ზედაშეს მიატანინებდნენ. „ხელოსანი ხმიადებს ყურებს წაამტვრევდა, ხატის ყორეში შეყრიდა, ორს ხატის ნიშაში დადებდა, მესამეს კი – „თაენაქცევიარას“¹ – ხელსახოცშივე დატოვებდა უკან წასაღებად, სანთლებს აანთებდა და ზედაშის პატრონს დალოცავდა, ჯვარს შეავედრებდა“. ხატში ყმის ჯვარში გაყვანის წესიც სრულდებოდა. ახალშობილ, „საყმე“ ვაჟებს ოჯახში „ყმის კოტორს“ ანუ დიდ ქადას გამოუცხოებდნენ. ოჯახის „მეკვლე“ კოტორთან, 1 სანთლით და არყის ზედაშით ახალშობილს ჯვარის კარზე ხელოსანს მიუყვანდა. ხელოსანი მიტანილ სანთელს აანთებდა და ზედაშით სალოცავს შეავედრებდა ყმას, შენთან საწირით მოსულან და იყმეო. მას სხვა იქ მყოფებიც დალოცავდნენ. კოტორს დაჭრიდნენ. ნა-

¹ უკან გატანებულს.

წილს შეჭამდნენ და ნაწილს ახალ პატარძლებს გაუგზავნიდნენ, მომავალ წელს თქვენგან ელის სალოცავი კოტორსო. სოფ. ხისოში გზაში ამ კოტორს ვინმე ქალებისკენ გაიტაცებდა, მას დაედევნებოდნენ, ატყდებოდა ძიძგილაობა და კოტორიც გზაში შეიჭმებოდა. ეს წესები რომ მოთავდებოდა და საკლავის ხორცი მოიხარშებოდა, კაცების საჯარეში დასალოცი სუფრა იშლებოდა. ძირს, მიწაზე დააფენდნენ თეთრ ტილოს ნაჭერს და ზედ დააწყობდნენ: 3 პურს, რომელსაც დაადებდნენ „სითეთრეს“ ანუ კალტის კვერს ან ყველის ნაჭრებს, მარჯვენა მხრის თითო ნაჭერს. აქვე იყო 3 სანთელი და ლუდის ნათაურით სავსე თასი. ხელოსანი ყველა პურზე თითო სანთელს დაანთებდა და ლუდიანი თასით ხელში სადიდებელს იტყოდა. იწყებოდა პურობა. ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ, ისე, რომ შუაში საცეკვაო ადგილი რჩებოდა. შულტას ქალებთან ხორცი და ლუდი მიჰქონდა, ქალები თავიანთ მამაკაცებს საჭმელ-სასმელს უგზავნიდნენ. ამასობაში „მეკოდე“ სოფელთა ახალგაზრდებიც მივიდოდნენ. მათ ცხენებს ჩამორთმევდნენ და სუფრასთან მიიწვევდნენ. ღხინი დიდხანს გრძელდებოდა, მრავალი სადღეგრძელოც შეისმებოდა. თუ სოფელში ისეთი მიცვალებული იყო, რომლის წლისთავი ჯერ არ იყო გასული, იქ მყოფთაგან ორი ხანდაზმული მამაკაცი, ლუდიანი თასებით, ხალხის წინ გამოვიდოდა და ამ გარდაცვლილის შესანდობარს დალევდა. ამასთანავე, იქ მყოფთ ბოდიშის მოხდით მიმართავდნენ და ეტყოდნენ: მართალია სოფელს ჯერ კიდევ გლოვის პერიოდი აქვს, მაგრამ ათენგენობაზე ღხინის გარეშე არ შეიძლებაო და ახალგაზრდებს ღხინის უფლებას მისცემდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა ცეკვა, გარმონზე სიმღერა. ამასობაში, მზეც „ჩასასვლელად დაქანდებოდა“ და ქორბეღელას რიტუალის შესრულების დროც დგებოდა.¹ ვერა ბარდაველიძის თქმით, ეს დრო შუადღეს დგებო-

¹ Ibid, ცოცანიძე, 135-137, 139.

და. იმართებოდა ქორბელელას სახელით ცნობილი ორსართულიანი ფერხული. ქვედა რიგში იდგა ხელეზგადაჭდობილი ექვსი მამაკაცი, რომლებსაც ასევე ხელეზგადაჭდობილი ექვსი მამაკაცი ედგა მხრებზე. შუაში დგებოდა ერთი მამაკაცი, რომელიც სალაშარო სიმღერის ანუ „ქორბელელას¹ საგალობლის“ სიმღერას იწყებდა. გიორგი ცოცანიძის თქმით, ხუთი მამაკაცი ქვედა რიგში იდგა, ზემოდან კი ოთხი იყო მოქცეული. ჩვენი აზრით, როგორც ჩანს, ვინაიდან ქორბელელას შესრულებას ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები ჭირდებოდა და ქვედა წრეს არამარტო უნდა დაეჭირა მხრებით ზედა სართულზე მყოფები, არამედ ფერხულს ისე უნდა ემოდრავა, რომ ის არ დაშლილიყო, ქვედა რიგში მეტი დგებოდა ხოლმე. ქორბელელას მომღერალს „მეციხოვნე“ ჰქვია. ქორბელელა ერთხმიანი სიმღერაა² და

¹ ქორბელელას მნიშვნელობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. გიორგი ცოცანიძის აზრით, იგი ციხეს უნდა განასახიერებდეს [ოთარ კაპანაძე, ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი (თბილისი, 2014), 43.] ქეთევან ალავერდაშვილი აღნიშნავს, რომ ქორბელელა შეიძლება განხილული იყოს, როგორც მაღალი, მრვალსართულიანი ნაგებობა, კოშკი, რაც თავის მხრივ სამყაროს ცენტრში აღმართული ხის სიმბოლოცაა. იშველიებს რა ქართულ ფოლკლორულ მასალას, იგი ასევე აღნიშნავს, რომ ციხის დანგრევა, წაქცევა ადამიანის სიკვდილს უკავშირდებოდა, რაც ქორბელელას რიტუალში უნდა იყოს ასახული [ქეთევან ალავერდაშვილი, საკრალური გეომეტრია, (თბილისი: უნივერსალი, 2007), 73-74] ვერა ბარდაველიძის მიხედვით „ქორბელელად დაწყობა“, „დაბღვლა“ რიტუალური ბედლისთვის სახურავის დახურვის გარკვეულ ტექნიკას გულისხმობს [ვერა ბარდაველიძე, აღმოსვლეთ საქართველოს ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.1, ფშავი, (თბილისი: მეცნიერება, 1974).]

² ნინო მაისურაძე, ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება. ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ურთიერთმიმართება და მათი ერთობის პრობლემა (თბილისი: ემ-პი-ჯი, 2015), 45.

ფანდურის თანხლებით იმღერებოდა. ფერხული საჯარედან ხატის კარისკენ დაიძრებოდა. გზა დამრეცი და ძნელად სავალი იყო. ფერხული ხატის კართან, ნელი ტრიალით და სიმღერით, ისე უნდა მისულიყო, რომ არ დაშლილიყო. ფერხულის დაშლა სოფლისთვის უბარაქო, ზარალიან წყლიწადს და ლაშარის ჯვრის გაწყრომას გულისხმობდა. ქორბელელას შესრულების წინ შულტა არციან ტიკტორას დებდა ჯვარის ნიშთან. როგორც კი ქორბელელა დაიშლებოდა, ყველა ტიკისკენ გარბოდა და ვინც მიასწრებდა, ტიკიც მას რჩებოდა და სასმელსაც დანარჩენებს ის ასმევდა. სერგი მაკალათიას თქმით, ქორბელელას ხალხიც მიჰყვებოდა, ვინაიდან მათი რწმენით, მას, ვინც არ ჩაებმება ქორბელელას რიტუალში, ხატი დაამიზეხებსო. ხატის კართან ქორბელელა სამჯერ დატრიალდებოდა, რითიც რიტუალი მთავრდებოდა.

როგორც ნინო მაისურაძე აღნიშნავს, საფერხულო სიმღერების ტექსტებს შორის ერთ-ერთი, თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული. ეს ტექსტი წმ. გიორგის თუ ჩვენი ბატონის კარზე ამოსულ და ზედ გასულ მალღარ ვაზს ეხება, რომლის ნაყოფის უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ იღუპება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტექსტი ქორბელელას საგალობელშიდაცაა. ფიქრობენ, რომ „საწესო საცეკვაო საგალობელი“ ქორბელელა ყველა ქართველური ტომისთვის იყო დამახასიათებელი. ნინო მაისურაძის თქმით, „ამ ვარაუდს ესატყვისება ქორბელელას მუსიკალური ტექსტების რეტროსპექტული ანალიზის შედეგები, რომლის მიხედვით საფერხულოს უძველესი ინტონაციური შრე ქართული მუსიკალური ფუძემენის ინტონაციურ არეში შედის“, რაც „საფერხულო საგალობლის უძველესი დროიდან მომდინარეობაზე მეტყველებს“.¹

ოთარ კაპანაძის კვლევის მიხედვით, თუშეთში ერთადერთი საფერხულო ჰანგია და ამ ჰანგზე იმღერება ქორ-

¹ Ibid, მაისურაძე, 32.

ბელელა. თუმცა, დოჭუური ქორბელელა, მისი ტექსტიდან და მისამდეროდან გამომდინარე, ოთარ კაპანაძის აზრით, საფერხულო სიმღერის რეფრენი უნდა ყოფილიყო. ამდენად, სიმღერაც უწინ განსხვავებულ ჰანგზე უნდა ემღერათ. ამჟამად ტექსტი დოჭუში აღარ იმღერება, მხოლოდ, გარკვეული შეძახილებით გამოითქმება. დოჭუური ქორბელელას ტექსტი კი ამგვარია:

„გიორგი სახეოსას გაღმარჯვებია,
ჰოდ ღი, ღი, ღი, ღი;
გმირ კოპალე კარატისას გაღმარჯვებია,
ჰოდ ღი, ღი, ღი, ღი;
ფიწალე დოჭუსთავისას გაღმარჯვებია,
ჰოდ ღი ღი ღი, ღი;
დედა მარიაშს გაღმარჯვებია,
ჰოდ ღი, ღი, ღი, ღი;
გიორგი გომეწრისას გაღმარჯვებია,
ჰოდ ღი, ღი, ღი, ღი.“¹

ოთარ კაპანაძე ასევე აღნიშნავს, რომ ფერხულებში საკრავის თანხლება უკიდურეს იმივიათობას წარმოადგენს და ამდენად, მისი აზრით, ფანდური ქორბელელაში გვიან უნდა გაჩენილიყო. გიორგი ცოცნიძის თქმით, ქორბელელა ორპირულად სრულდება, ხოლო ვერა ბარდაველიძის აღწერით, რაც ზემოთ იყო მოტანილი, სამპირულად. სამპირული შესრულება ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში იმივიათი შემთხვევაა. ქორბელელას მღერიან ხმამაღლა, დაძაბულად, დაჭიმული მანერით, დაღმავალ ერთხმიან მელოდიაში.² ნინო კალანდაძე-მახარაძე მიიხნევს, რომ ქორბელელა იმიტომ არ ხასიათდება საფერხულო სიმღერების სტილური ნიშნებით და იგი იმიტომ იმღერება უნისონურად,

¹ Ibid, ბარდაველიძე, 140.

² Ibid, კაპანაძე, 41-43.

ბანის გარეშე, რომ ორსართულიანი ფერხულის მოცემულ რელიეფზე გადაადგილება სირთულეებთან იყო დაკავშირებული.¹

ქორბელელას დასრულების შემდეგ, შულტას სადეკანოზოდან ლუდი გამოჰქონდა და ქორბელელას მონაწილეებს ასმევდა. მაკალათიასა და ბარდაველიძის თქმით, ახალგაზრდები ცხენებს აჯირითებდნენ. ქორბელელას წესის შესრულების შემდეგ ხალხი იბარგებოდა და შინ ბრუნდებოდა. მხოლოდ, ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ქორბელელას დასრულების შემდეგ ქეიფი იწყებოდა. ვერა ბარდაველიძე წერს, რომ ქორბელელას დასრულების დროს, რომელიმე მლოცველი ქადაგად ეცემოდა და „ხალხს ღაშარის „ბრძანებებს“ აცნობდა“. სერგი მაკალათიაც აღნიშნავს, რომ ღაშარობაზე ქადაგობაც იცოდნენ.²

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ სოფ. ჩილოს ღაშარის ჯვრის გრაფიკული ანაზომები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში ინახება, იმ აღწერილობას ეხმიანება, რომელიც ხსენებულ სალოცავზე ტექსტური მასალის სახით სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება. ხსენებულ შენობა-ნაგებობათა ვიზუალური მხარე ამ სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოგვეპოვება. ის, რაც ხსენებულ ანაზომებზე არ გვაქვს, ეს არის თუშეთის ღაშარის ჯვრის კომპლექსში არსებული ღეთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ხატები.

ფშავის ღაშარი ძირი ხატია ღაშარის წმ. გიორგის. მისი ნიშები უხვად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, განსკუთრებით თიანეთის რაიონსა და კახეთში. ისინი

¹ Nino Ghambashidze, Nino Makharadze, St. George in Georgian Mythology, Religious and Musical Traditions, ხელნაწერი, გადაცემულია დასაბუჯდად.

² Ibid, ბარდაველიძე, 20-21; Ibid, ცოცანიძე, 139-140; Ibid, მაკალათია, 213.

თვალსაჩინოდ გამოხატავენ ლაშარის ჯვრის ყმების მიგრაციის, გადასახლების მარშრუტს. ამ მარშრუტის ნათელი მაგალითია XX ს-ში ლაშარის ნიშის გადმოტანა ივრის ხეობის სოფ. არტაანსა და ყვარას შორის და აქედან ნიშის კახეთის სოფ. ყვარულში გადატანა. ყვარლის სოფელ ყვარადან წარმომავლობაზე თავად ვაჟა-ფშაველა¹ და ვერა ბარდაველიძე, მთხრობელთა გადმოცემებზე დაყრდნობით,² მიუთითებენ. ვფიქრობთ, როლანდ თოფჩიშვილი საეცებით მართებულად მიიჩნევს, რომ ტოპონიმი ყვარელი ყვარადანაა – ელ სუფიქსის მეშვეობით ნაწარმოები.³ ჩვენს ხელთ არსებული მასლებიდან გამომდინარე, ფშავიდან ძირი ხატის ნიშის გადმოტანის შემდეგ ლაშარობა თიანეთის რაიონის მთავარი დღესასწაული ხდება. ფშავის ლაშარის მსგავსად, თიანეთის ლაშარსაც აქვს თამარის სალოცავი. როგორც აღვნიშნეთ, თიანეთის ლაშარი თამარის ხატი-თურთ თიანეთის სოფ. არტაანსა და ყვარას შორის, ხატხევად წოდებულ ადგილას მდებარეობს. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ხატხევიდან უკანაფშავის ლაშარამდე ოქროს შიბია გაბმული. ჩარგალში ხატის იფანია, რომელის წვერხედაც გზად გადის ეს ოქროს შიბი, სადაც ხალხის წარმოდგენით ანგელოზი ისვენებდა.⁴ ვერა ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით⁵ სოფ. არტნიდან ლაშარისაკენ მიმავალ გზაზე მგზავრი თავდაპირველად იორის გასწვრივ

¹ Ibid, ვაჟ-ფშაველა, 235.

² ვერა ბარდაველიძე, ივრის ფშავლები (თბილისი: კვირიონი, 1941-2003), 39.

³ როლანდ თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XXსს. (თბილისი: მეცნიერება, 1984), 58, 69-70, 79-83, 89.

⁴ ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საემო (ქუთაისი: ნეკერი, 1996), 106.

⁵ მოცემული აღწერილობა ვერა ბარდაველიძეს 1939 წლის ექსპედიციის დროს აქვს გაკეთებული, რომელიც 1941 წელს ივრის ფშავლების სახელით ცნობილ მის ნაშრომში გამოქვეყნდა.

გაშლილ თამარის ხატის ხეივანთან აღმოჩნდება. იორი ამ ხატის ხეივანს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. დასავლეთით ხატხეურხის გორაკია, სადაც თამარის ხატი მდებარეობს. თამარის ხატის გასწვრივ, ჩრდილოეთით, 1კმ. დაშორებით, ასევე გორაკზე, მდებარეობს ლაშარის ხატი. ვერა ბარდაველიძის თქმით, იგი „მოთავსებულია მთის ფართო დავაკებაზე, რომელსაც თხელი ტყე სარტყელივით აკრავს... ლაშარის ხატს აღმოსავლეთიდან მდინარე იორი და მის გადაღმა აზიდული მაღალი მთები საზღვრავს, ხოლო სამხრეთიდან – მცირე ხევი და ტყით დაფენილი მთა. ტყიანი მთით არის იგი შემოზღუდული აგრეთვე დასავლეთიდანაც... ლაშარის ხატი ანუ ჯვარი ეწოდება „საზარესა“ და „სასანთლე“ ნიშებს გარშემოვლებული გალავნითა და ტყით.“ გალავანი ოთკუთხა ფორმისაა და მშრალად ნაგებია. ბარდაველიძის იქ ყოფნის დროს გალავანი მორღვეული, მიწის პირამდე დასული ყოფილა. ამ გალავნის მხოლოდ ზოგიერთი ადგილი დაახლოებით ნახევარ მეტრამდე ყოფილა შემორჩენილი. ამ მორღვეული ქვებით იქვე რძის ფერმა აუშენებიათ.

საზარე შუამდე ოთხკუთხედი ფორმის, კირითა და ქვით ნაგები შენობა იყო, რომელიც კირითვე ყოფილა შელესილი. მას, ამ ოთკუთხა შუაწელზე, ოთხი სვეტი ჰქონდა დადგმული, რომლებიც კამართა და მათზე დადგმული სახურავით ბოლოვდებოდა. სახურავი „ოთხწახნაგოვანი“ და თუნუქით გადახურული ყოფილა. იგი ჯვრით და მის თავზე თეთრი ლითონის მოეღვარე ბურთით ბოლოვდებოდა. სვეტებს შორის ეკიდა ზარი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, რომელიც 2004 წელს გამოცა, ხატი, რომელსაც ავტორი XIX ს. ათარიღებს, შედგება ოთკუთხა ნიშისა და სამრეკლოსაგან, რომლებსაც რიყის ქვის ყორე აქვს შემოვლებული. როგორც ჩანს ეს ნიში ვერა ბარდაველიძის მიერ აღწერილი სასანთლეა. მოცემული

აღწერილობის მიხედვით, ნიში სალოცავის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთითაა და მას დასავლეთის წახნაგებში სანთლისთვის განკუთვნილი თახჩები აქვს. სახურავი ცალფერდა და თუნუქისაა. აგურით და ნატეხი ქვით აგებულ სამრეკლოს კვადრატული გეგმარება აქვს (2.2X2მ.). 1.5მ. ოთხკუთხა პოსტამენტზეა ოთხი ბურჯი, ასევე ოთხკუთხა ფორმის. ამ თაღებს ნახევარწრიული გუმბათი ეგრდნობოდა, რომელიც თუნუქის, პირამიდული სახურავითაა გადახურული. სახურავს რკინის ჯვარი აქვს. „გუმბათში სპილენძის ორი დიდი და ერთი მთმცრო ზარი კიდია. პოსტამენტის დას-იდან მიდგმული აქვს ქვის კიბე.“¹ ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს რომ ხატხევი ზემო არტნიდან დაახლოებით 5კმ. მანძილითაა დაშორებული, ადგილობრივების თქმით კი, 3, 3,1/2კმ-ით². ძველთა აღწერილობაში მითითებულია ზემო არტნის თემის საკრებულოს, სოფ კვერნაულადან სამხრეთით, 2კმ-ით დაშორებული ლაშარის ეკლესია, რომელიც საყდარასგორაზე, ტყეში დგას და გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება. „ეკლესია დარბაზულია (7.2X5.1მ.), ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ჩამოქცეულია გადახურვა. დანგრეულია ჩრდ., სამხრ. და დას. კედლების დიდი ნაწილი. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ფართო, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია.“³ როგორც ცნო-

¹ ა. ნუცუბიძე, ლაშარის ხატი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძველთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 383.

² ვერა ბარდაველიძე, ივრის ფშავლები, დღიური (თბილისი: კვირიონი, 1941-2003), 38.

³ ნ. ნაკაიძე, ლაშარის ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძველთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004), 388.

ბილია, 1614 წლის შაჰ-აბასის შემოსევის შედეგად სპარსელებმა 30000 ტყვე წაიყვანეს ამ რეგიონიდან ირანში, რის შედეგადაც რეგიონი თითქმის დაცარიელდა.¹ ადგილობრივი მოსახლეობა მცირე რაოდენობით მაინც დარჩენილა. ისინიც (ალბათ მათი ნაწილი, ვინაიდან 1980-იან წლებში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა აქა-იქ მათი რეგიონში არსებობა-ნ.დ) დღევანდელი თელავისა და ახმეტის მიდამოებში გადასულან საცხოვრებლად. ითვლება, რომ XVII ს. II ნახევრიდან იწყება და XX ს. 20-იან წლებამდე გრძელდება ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში ჩასახლება, თუმცა, როგორც თოფჩიშვილი მიიხნევს, რომ ეს პროცესი უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. იგი იმავდროულად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან XX ს-მდე ივრის ხეობაში ლაშარის სალოცავი არ არსებობდა, ამის გამო კახეთში გადასახლებული ფშავლები სალოცავად ფშავში დადიოდნენ.² მაგრამ, როგორც ირკვევა, ზემო არტნის თემის სოფელ კვერნაულასთან ლაშარის სახელობის, გვიანი შუასაუკუნეების ეკლესია ყოფილა. სამწუხაროდ ამ ეკლესიაზე ზემოთ მოტანილი მასალის მეტი ჩვენთვის არაფერია ცნობილი. არადა, მის გარშემო მრავალი შეკითხვა ჩნდება. გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიას (როგორც ხსენებული წყარო ათარიღებს) ლაშარის ეკლესია ჰქვია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურშია მიხნეული, ფშავლებმა ერწო-თიანეთში დასახლება XVII ს. II ნახევარში, ფაქტობრივად, გვიან შუასაუკუნეებში დაიწყეს. რეგიონიც ამავე საუკუნის 10-იან წლებში მოსახლეობისაგან დიდწილად დაიცალა ძალადობრივად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა ეს ეკლესია რეგიონში დასახლებული ფშავლების აშენებული

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 182, [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevbi Tomi IV 1973 Nacili I.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevbi%20Tomi%20IV%201973%20Nacili%20I.pdf), 15.02.2018.

² Ibid, თოფჩიშვილი, 26, 10, 11,18, 82.

სალოცავიც კი იყო. საინტერესოა ისიც, რომ ლაშარის სახელობის ეკლესია ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით იშვიათობას წარმოადგენს. ეკლესია აშენებული იყო თავად მთავარი ლაშარის კომპლექსში, ერწო-თიანეთშიც და ყვარლის რაიონის, სოფ. შილდაშიც, სადაც მას ლაშარის ნიში-ნაეკლესიარი ეწოდება.¹ ჩვენი საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით იგი ლაშარის ჯვრის სადროშო იყო. მთხრობელი მას ეკლესიას უწოდებს.² მართალია, მასალის სიმწრის გამო რაიმეს დაბეჭდვით მტკიცება ძნელია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფშავი, ერწო-თიანეთი, კახეთი, კერძოდ ყვარელი და მისი რაიონი ზუსტად იმეორებს ფშავლების მთიდან მთისწინეთსა და შემდეგ ბარში მიგრაციის მარშრუტს.

რატომ აშენდა ერწო-თიანეთში ზემო არტნის თემის სოფელ კვერნაულასთან, საყდარას გორაზე ლაშარის სახელობის, გვიანი შუასაუკუნეების დარბაზული ეკლესია? ძეგლთა აღწერილობა ამ გორაზე აგებულ სხვა ეკლესიის, ნანგრევის თუ ნაშაღის არსებობას არ აღნიშნავს. ტოპონიმიდან გამომდინარე, გორაზე საყდარი უნდა მდგარიყო. ტერმინი საყდარი (ეკლესია, ნაგებობა წირვა-ლოცვისთვის, როგორც ამას არქიტექტურული ლექსიკონი განმარტავს) არის „ეკლესიის სინონიმი, XIV საუკუნეში შემოდის. XIV საუკუნემდე საყდარი იმ ეკლესიას ეწოდებოდა, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა.“³ ძველ ქართულში საყდარი ერქვა ტახტს, საჯდომს. ამდენად, ჩვენი აზრით, ეკლესიას, მთავარ, გამორჩეულ ეკლესიას, სადაც იჯდა პატრიარქი, ეპისკოპოსი, ქორეპისკოპოსი,

¹ ყვარლის რაიონის ისტორიული ძეგლები, <http://saunje.ge/index.php?id=326&lang=en>, 15.02.2018.

² სიმონ სოლომონის ძე ლომაური, 85 წლის, ნინო ღამბაშიძე, კახეთის ეთნოგრაფიული მივლინების დღიური, 2008.

³ არქიტექტურული ლექსიკონი, [Zeglebi.ge, http://www.dzeglebi.ge/leqsikoni/leqsikoni_s.html](http://www.dzeglebi.ge/leqsikoni/leqsikoni_s.html), 16.02.2018.

სადაც იყო მისი საყდარი ანუ ტახტი,¹ დაერქვა საყდარი; ანუ იმ ეკლესიას, სადაც იდგა იერარქის საყდარი, ტახტი და რომელზეც იჯდა ეს იერაქი. როგორც ცნობილია, ამასთანავე, სკამს, ტახტს, საყდარს თანამდებობის, ძალაუფლების აღმნიშვნელი საგნის მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ძალიან ხშირია, როდესაც პატარა ეკლესიებს სოფლებში ან მათ შემოგარენში საყდრებს უწოდებენ. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ეკლესიები მოცემული საზოგადოებისთვის, მათთვის ვინც იქ ღოცულობდა, საკათედრო ტაძრის ფუნქციას ასრულებდა?

მიუვბრუნდეთ თიანეთის ლაშარის ეკლესიას. იყო თუ არა გვიანი შუასაუკუნეების ამ ეკლესიაზე ადრე საყდარასგორაზე რაიმე ეკლესია, ესეც უცნობია. მაგრამ, როდესაც გეოგრაფიულ ადგილს სალოცავის აღმნიშველი ტოპონიმი ერქმევა, ჩვენი აზრით, ეს ამ სალოცავის მნიშვნელობაზე მეტყველებს გარკვეული ჯგუფის მოსახლეობისთვის, რომელიც მას ღოცულობს. მით უფრო, თუ ტერმინი საყდარიც სოფლის გარემოში იგივე მნიშვნელობის გამომხატველია. ამასთანავე, ვფიქრობთ ნიშანდობლივია, რომ ტოპონიმის სემანტიკაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ გორა ეკუთვნის საყდარს ანუ სიწმინდე, ვისი საყდარიცაა მოცემულ გორაზე, ანუ ლაშარი, ამ გარემოს განმგებელი, ბატონია. ამასთანავე, როგორც ვერა ბარდაველიძე თავის საარქივო მასალაში აღნიშნავს, „ყოველი ჯვარ-ხატი მოთავსებულია შესაფერისი თემის საუკეთესო ადგილას.“² იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ხსენებული ეკლესია ფშავიდან გადმოსახლებულ ფშავლებს უნდა აე-

¹ Ibid; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://www.ena.ge/explanatory-online>, 16.02.2018.

² ივ. ჯავახიშვილი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, ვ.ბ. 661, გვ. 81.

შენებიათ, ან მათთვის უნდა აშენებუდიყო, ვფიქრობთ, ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ გარკვეულ სალოცავში ღოცვის მოთხოვნილება და საჭიროება აქვს მის ყმას. ეს მისი ვალია. ფშაველისთვის ასეთი სალოცავი ღაშარია. კერძოდ, ფშაველისთვის, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში გადმოსახლდა ფშავიდან ერწო-თიანეთში; და რომ არ დარჩენილიყო ამ მთავარი სალოცავის გარეშე, რომლის წინაშეც უპირველესი ვალი, სასოება და იმედი აქვს, თან გამოიყოლა.

თიანეთის ღაშარის სასანთლე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გალავნის შიგნით, საზარის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობდა; იყო ოთხკუთხედი ფორმის აგურით და კირით ნაშენები, საზარეზე გაცილებით მცირე ზომის ნაგებობაა. ჰქონდა ორწახნაგოვანი გადახურვა. სასანთლეს ორი თახჩა ჰქონია, სადაც ხევისბერები და დასტურები მლოცველის სანთლებს ანთებდნენ „და მათ წინ ქადებსა „კლავენ“ (შესაწირავი ქადა ფშავლების გამოთქმით „დაიკვლის“, ე.ი. ხტის მსახურის მიერ დანით დაიჭრება შესაფერისი ღოცვა-ვედრების შესრულების შემდეგ) – წერს ვერა ბარდაველიძე. სასანთლის გვერდით კუნელის ტოტებზე თეთრი ფერის ნაჭრები, ირმის რქები და რკინის უღელი ყოფილა ჩამოკიდებული.

ხატის გალავანში მდგარა რამდენიმე ხე, რომლებზედაც მლოცველებისგან შეწირული თეთრი, წითელი, ვარდისფერი საკადრისები (მიტკლის, მარლის, ნაჭრის) ეკიდა. გალავნის შიგნით შესვლა მხოლოდ ხევისბერებს, დასტურებს, ხატის მონებს, ხატისგან დაჭერილებს შეეძლოთ.¹ ვერა ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით კახეთში გადასახლებული ფშავლები საკლავებით, სანოვაგით, ოჯახთან ერთად პეტრე-პავლობის (29 ივნისი/12 ივლისი) მომდევნო ხუთშაბათს მოდიან და ორშაბათმდე, სამი დღე

¹ Ibid, ბარდაველიძე, ივრის ფშავლები, 38-41, 79.

დღესასწაულობენ.¹ ხუთშაბათ საღამოდან შაბათ დილამდე თამარის ხატთან რჩებოდნენ, შემდეგ კი ლაშარში გადადიოდნენ. ივრის ფშავლები და ერწოელები ლაშარობას პეტრე-პავლობის მომდევნო შაბათსა და კვირას აღნიშნავდნენ.² ისინი შაბათ საღამოს თამარის ხატში მიდიოდნენ, ათევდნენ ღამეს, სწირავდნენ სკლავს, ქადებს, ქეიფობდნენ და მეორე დღის ნაშუადღევს გადადიოდნენ ლაშარში, სადაც საღამომდე რჩებოდნენ. გაშლილი ჰქონდათ ორივეგან სუფრები, ერთმანეთს ეპატიუებოდნენ, სვამდნენ, გარმონზე უკრავდნენ. კვირას, თამარის სალოცავიდან ლაშარში რომ მოვიდოდა პროცესია, ხევისბერი გალავანში შევიდოდა, საზარეზე ავიდოდა და ზარის რეკვას იწყებდა. პროცესიას, რომელსაც ხატის დროშა მიუძღოდა და ფერხისულის სიმღერით მოძრაობდა, ხატს სამჯერ შემოუვლიდა და ხატის წინ გაჩერდებოდა. ხატის კართან ფერხისას მომღერლები ნახევარ წრედ იდგნენ და სიმღერას განაგრძობდნენ. მათ წინ, ხატის კარზე დროშით მედროშე იდგა, შუაში კი დასტური, არყიანი ბოთლით და ჭიქით ხელში. დასტური მღეროდა და როგორც ვერა ბარდაველიძე წერს: „თან მომღერლებს პირში არაყს ასხამდა.“ სიმღერის დასასრულს ყველა ვაშას შესძახებდა და მედროშე დროშას საზარეზე აიტანდა და „მიგნიდან სვეტზე დააყუდებდა.“ იმლებოდა სუფრები. მლოცველს პერიოდულად ხატის მსახურებთან მიჰყავდა საკლავი, მიჰქონდა ქადა და არაყი. თვითონ ხატის გალავნის გარეთ იდგა ქუდმოხდილი. დასტურები ჭედილას ხევისბრის წინ მიიყვანდნენ. ხევისბერი იტყოდა სადიდებელს და ხუცობას, მსხვერპლს შუბლზე სანთლით

¹ თიანეთის მუზეუმის თანამშრომლის, ისტორიკოს ნუკრი ფასურიშვილის ცნობით, თიანეთის ლაშარობა პეტრე-პავლობას, 12 ივლისს იწყება და ერთი კვირა გრძელდება. მადლობა მას და ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ბაიაშვილს ცნობის მოწოდებისთვის.

² თიანეთის ლაშარობაზე 1991 ეთნომუსიკოლოგმა ჰუგო ზემპმა გადაიღო ფილმი: „თამარისა და ლაშარის დღესასწაული“, რომელსაც თან ერთვის გამოკვლევა (Study guide).

ბალანს შეუტუსავედა, დასტურები მსხვერპლს ფეხებს გაუკოჭავდნენ და ხევისბერს წინ წაუქცევდნენ. ხევისბერი მარცხენა ხელით თავს გადაუწევდა, მარჯვენათი კი ყელს გამოჭრიდა. დასტურები დაიძახებდნენ: „გწყალობდეთ!“ ქალებს დასტურები „კლვენ“, დანით სერავენ ჯვრის ფორმით. ტრადიციული წესის მიხედვით ცხვრის ბეჭი ან კანჭი და ქადის ნაოთხალი ხატიონს რჩებოდა. ხატის გაღვანთან მისვლა მხოლოდ ისეთ ქალებს შეეძლოთ, ვისაც დედათწესი აღარ ჰქონდათ.

კახელ მლოცველთა უმრავლესობა ფეხშიშველი, თეთრებში ან წითლებში იყო ჩაცმული ან სამოსის რაღაც ნაწილი ჰქონდა ამ ფერებიდან ერთ-ერთი. ხსენებული აღწერილობის მიხედვით. მკითხავეები მიტკლის თეთრ სამოსს ატარებდნენ, „ხატის დაჭერილები“ კი მხოლოდ ზედატანს. ჩვეულებრივ მლოცველს მიტკლის ან მარლის თეთრი თავშლები ჰქონდათ წაკრული. მამაკაცების ნაწილი წითელ თავშალს ატარებდა. წელზე კი უმრავლესობას ქამრად ან ქამართან ერთად მიტკლის თეთრი ნაჭერი ჰქონია შემოკრული. „ახალგაზრდა ქალებს და ბავშვებს მხრებზე გადავლებული და მკერდსა და ზურგზე ცერად გაყოლებული აქვთ წითელი ან ვარდისფერი ლენტები, რომლებიც თეძოს თავთან გაუნასკვამთ. ზოგ შუახნისა და მოხუც მანდილოსანს კაბის გულისპრზე სამკუთხი მოყვანილობის წითელი ან თეთრი ნაჭერი, ან ზოლებად დაჭრილი და ბადის მსგავსად მოწნული ამავე ფერის „სამკაული ამკობს“ ...ამ სამოსს და „სამკაულებს“ მლოცველები ხატში სტოვებენ. დღეობის განმავლობაში ვისაც როდის უნდა, მაშინ მოიშორებს მათ და წმინდად მიჩნეულ ხეებს ტოტებზე დაჰკიდებს.“¹ ვერა ბარდაველიძეს აღწერილი აქვს გარკვეული ხნის ცეკვის შემდეგ, როგორ დაეცა ორი დამიჯეხებული და გაქადაგდა. ერთ-ერთი ქადაგად დაცემულის დედამ ფანდურით ანგელოზების გამხიარულება სცადა (ასე სწამ-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 41, 55, 56-57, 65-66.

და ხალხს), რომ შვილი წამოეყენებინა და ისიც, კვლავ, აცეკვებულებო, მაგრამ დატყერილი არ წამომდგარა. მაშინ, როგორც ბარდაველიძე აღნიშნავს, დედამ დაბალი და ნაზი ხმით დაიწყო გალობა. ბარდაველიძეს იქვე მოჰყავს საგალობლის ტექსტი, რომელსაც მისივე თქმით, ძველად ქადაგის დაცემის დროს მღეროდნენ. მას თიანეთის ლაშარობაზე მესამე ქადაგის დაცემაც აქვს აღწერილი. გარკვეული ხნის შემდეგ, იქ მყოფი მონა მთვარეულივით, როგორც ამას ვერა ბარდაველიძე აღწერს, წავიდა ხატისკენ, გადააბიჯა ზღურბლს, სასანთლე-ნიშის თაროდან გამოიღო სანთელი, დაანთო, პირჯვარი გადაისახა, უკანა სვლით წამოვიდა და გალავანს გადმოაბიჯა, გადაიწერა პირჯვარი და გალავანთან გაჩერდა, თეთრი თავსაფარი წაიკრა, რომელიც მიაწოდეს და მიწაზე გართხმული ერთ-ერთი დატყერილი წამოაყენა. შემდეგ ლეკური დაუარა, შეჩერდა ნიშის მოპირდაპირედ, პირჯვარი გადაისახა, შევიდა გალავანში, დაიხოქა, ბარდაველიძის თქმით, თავი მიწას დაახეთქა, გასწორდა, პირჯვარი გადაისახა, წამოდგა, გარეთ გამოვიდა, გალავანთან გაჩერდა, მიმოიხედა და ურმებისკენ გაიქცა. მალე დაბრუნდა. თან საკლავი: ხბო და ცხვარი მოჰყავდა, უკან მამაკაცი მოჰყვებოდა. შეჩერდა სასანთლე ნიშთან. მამაკაცის დახმარებით საკლავს ბალანი შეუტუსეს, გალავანს სამჯერ გარს შემოავლევინეს. ბოლოს მონამ საკლავი მამაკაცს გადასცა და მიუთითა, ხატის გალავანის გარეთ, სამხრეთისკენ, მთის დაგაკების კიდეზე დაეკლა. თვითონ იქაურობას გასცილდა. ხალხმა დაიწყო ლაშარისთვის საკლავის შეწირვა. ეს იმ ადგილას ხდებოდა, სადაც მონა ქალის საკლავი დაიკლა.¹

ლაშარის ხატი სოფ. ზემო-თიანეთში, ტუშურებშიცაა. 1939 წელს იგი აგურით და ქვა-კირით ნაშენები, ოთხკუთხა ფორმის, ორწახნაგოვანი, ქართული კრამიტით გადახუ-

¹ თიანეთის ლაშარობაზე ფილმი, შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევით გაკეთებული აქვს ეთნომუსიკოლოგ ჰუგო ზემპს.

რული, გალავნიანი ნიში ყოფილა, ფასადით დასავლეთის მხარეს. ფასადზე ჯვრის გამოსახულება ჰქონია. მის თავზე ადამიანის თავი ყოფილა გამოქანდაკებული, რომელსაც ხალხი ლაშა გიორგის უკავშირებდა. ნიშზე ჯვარიც იყო აღმართული. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ნიშის ადგილას ძველად სხვა ნაგებობა ყოფილა. ერთხელაც აქ ლაშას და მის მხლებლებს შეუსვენიათ. ამის გამო და მეფის სპატივცემულოდ, ხალხს აქ მისი სახელობის ნიში აუგია. ადგილობრივთა თქმით, „ლაშარი“ „თამარ-დედოფლის“ შვილია. დედოფალი გათხოვებას არ აპირებდა. ვეზირები შემფოთებულან, რომ ტახტს მემკვიდრე არ ეყოლებოდა და გადაუწყვტიათ წილის ყრით ერთ-ერთი შესულიყო დედოფალთან. მართლაც, ვეზირი, რომელსაც წილი შეხვდა, შეიპარა მძინარე დედოფალთან და ამგვარად გაჩნდა „ლაშარი“. გადმოცემის მიხედვით ის ძალიან უშნო იყო, დიდი ლაშები ჰქონდაო. დედას უბრძანებია, სადმე გადააგდეთო. უფლისწული ჩუმად გაუზრდიათ და კვლავ დედასთან მიუყვანიათ. დედოფალს იგი მიუღია. ხალხური გადმოცემა მას ახოვან და ვაჟკაც პიროვნებად ახასიათებს¹.

თუ თუშურ გადმოცემას დავეყრდნობით, თუშური ლაშარობა ერთგვარი ხალხური სამართლის ნორმის მოშველიების გზით არსდება. იგი ორ დაპირისპირებულ მხარეს (ფშავლებსა და თუშებს), ფაქტობრივად ორ ეთნოგრაფიულ რეგიონს შორის, გამრჯულავი, მომრიგებელი ბჭე აღმოჩნდა. მორიგების შედეგად ფაქტობრივად, მისი საყმოს საზღვრები გაფართოვდა. თუშებიც ლაშარის ჯვრის ყმები გახდნენ, თუმცა, შეინარჩუნეს „დამოუკიდებლობა“; ლაშარობა საერთო სათუშო დღესასწაულად ჩამოყალიბდა და ინდივიდუალური, ადგილობრივი ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ლაშარობას თუშეთში თამარ დედოფლის თავყვანისცემა არ გადმოყოლია, რაც ვფიქრობთ გასაგებია,

¹ Ibid, ბარდაველიძე, 93-95.

ვინაიდან, თუმები უშუალოდ წმ. გიორგის ეყმნენ, მის წინაშე თვლიდნენ თავს დამნაშავედ და მისგან ითხოვეს პატიება. ლაშარის წმ. გიორგის საზღვრების თუ საყმოს გაფრთოებას წინ უძღოდა ქართულ ხალხურ სამართალში მოშუღლართა შერიგების არსებუღი და ნაცადი ხერხი, მათი ძმადგაფიცვა, რაც ზემოთხსენებუღი თუშური გადმოცემის მიხედვით ჯგუფურ ხასიათს ატარებდა. ძმადგაფიცვას წინ უსწრებდა თიღისძის მიერ იშვიათი და შესაბამისად ძვირფასი მსხვერპღის ლაშარისთვის შეწირვა, კერძოდ თეთრი ქორა ანუ რქათეთრი ხარის შეწირვა. ვფიქრობთ, ეს ღვთაების თაყვანისცემის გარდა, შერიგების პროცესში გაღებუღი ტრადიციუღი, ნორმით დაღგენიღი ჯარიმაც იყო; და ვინაიდან, შუღღი ორ თემს შორის იყო მომხდარი, ჯგუფურ ხასიათს ატარებდა და რაც მთავარია, იგი თემის გამგებელი ღვთაების, ლაშარის წმ. გიორგისთან შერიგების და მისდამი ყმობის მიზნით იქნა გაღებუღი. აი რას წერს ამის თაობაზე ვაჟა-ფშავეღა: „მთის ხალხს ჩვეულებად აქვს, რომ როღესაც ერთს მეორესთან მძიმე დანაშაუღი მიუძღვის და დამნაშავე „სახვეწრით“ – საკღავით, სასმელით მიღის და შეურაცხყოფიღს სთხოვს შეწყნარებას, პატიებას, უეჭვეღად მიიღებს. ეს ჩვეულება დღესაც მოქმედებს მთის ხალხში. ხასიათი, შინაარსი ამ ჩვეულების ისაა, რომ დამნაშავე შეურაცხყოფიღს საკღავს რომ უკღავს, პატარა ხატად ჰხადს. საკღავის შეწირვა ხომ ღვთისა და ღვთისშვიღების (ხატები) მოსამადღიერებელი საშუაღებაა. საკღავით შეხვეწყნა დიდი ხვეწყნაა, რომღლითაც სისხლიც კი დაიურვების. თიღისძეს არამც თუ ცხვარი, ხარი მოჰყავს „სამხვეწროდ“ ხატთან და თემთან შესარიგებღად, აღბათ იმიტომ, რომ დიდ დამნაშავედ ჰგრძნობს თავს“.¹ ყოვეღივე გადმოცემაში მოთხრობიღი რეაღობის ამსახვეღია, თუმიცა, საკითხთან დაკავშირებუღი ისტორიუღი სინამღვიღე ჩვენთვის უცნო-

¹ Ibid, ვაჟ-ფშავეღა, 59.

ბია. უნდა ასევე აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სალოცავს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. იგი დავის მოგვარების უკანასკნელი ინსტანცია იყო და ერთგვარად უზენაესი სასამართლოს ფუნქცია ენიჭებოდა. საბოლოო და მტკიცედ შერიგება სალოცავში ხდებოდა.¹

როგორც ცნობილია, ლაშარის წმ. გიორგის მთავარი ხატი მდებარეობს უკანა ფშავში, შავი არაგვის ზედა წელში, ე. წ. ხმელგორზე ანუ ლაშარის გორზე. იგი ხოშარისა და წითელაურის თემებს შორის მდებარეობს. როგორც ვერა ბარდაველიძე აღწერს: „ამ გორის ფერდობები შეფენილია მუხის, იუნისა და ადგილ-ადგილ ცაცხვის ხეებით. იქ, სადაც არაგვის მარჯვენა მხარეს ხმელგორი ჭლას უახლოვდება, მის ოდნავ დაეკებულ ადგილზე ლაშარის ჯვარია გაშენებული.“ როგორც კი ლაშარის გორს მლოცველი აათავებს, აღმოჩნდება ე.წ. ჯვარის კარზე. ბარდაველიძის აღწერილობის მიხედვით, ჯვარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომლის გარეთაც მდებარეობდა ჯვრისკარი, სადაც დიდი იუნის და ქორაფის ხეები იდგა. იუნის ერთ ხეზე თეთრი საკადრისები ეკიდა: თეთრი ჩითის თავსაფრები, გრძელი თეთრი, ხანზალაკებ მიბმული ნაჭრები, მეორეზე ე.წ. ჯალამბარი ანუ ჯალაბაურის ჯაჭვი. იგი მასიური, 10-11 მმ. დიამეტრის რგოლების მქონე, 3.62მ. დიდი ჯაჭვი იყო. ამ ჯაჭვს ხალხში გავრცელებული ერთი ცნობილი გადმოცემა უკავშირდება. გადმოცემა გვიამბობს, რომ თურმე, ერთხელ თამარ მეფეს მისრეთში გაუვლია და ცხენი „დაუნაღვინებია“. გადმოცემა მჭედელს

¹ ლიანა ბერიაშვილი, ლია მელიქიშვილი (რედ.), ნათია ჯალაბაძე, ხალხური (ჩვეულებითი) სამართალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კრ. ქართველები (თბილისი: პალიტრა, 2016), 435; ნათია ჯალაბაძე, რელიგია და ჩვეულებითი სამართალის ურთიერთმიმართების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ლოგოსი, N2(2004), 155, 156.

ორი სახელით იხსენიებს: მისრია და ჯალაბაური. მეფეს უნახავს მისი გრდემლზე დაკრული ღურსმანი, როგორ ჩასულა გრდემლში და მისივე გაკეთებული ხმალი, როგორ გაშლილა ჯიბიდან ამოღების შემდეგ. მჭედელი თამარს მოწონებია და სდომებია მისი წაყვანა. მჭედელს უარი უთქვამს. მაშინ მეფეს მისრა მისივე გამოჭედილი ჯაჭვით წამოუყვანია მჭედელი. მეორე ვარიანტის მიხედვით, ლაშარის ჯვარში დაუბამს, მას მერე რაც თამარს გამოქცევია. დაბმული მისრია დათანხმებულა თამარის მჭედელი გამხდარიყო. მაშინ, მჭედელი მეფემ აუშვა და მისრიანთკარში დაასახლა, სადაც გააგრძელა თავის საქმიანობა. ითვლება, რომ ფშაველი მისრიაშვილები ამ მისრადან მომდინარეობენ. ითვლებოდა, რომ მისრიაშვილებში აუცილებლად გამოერეოდა ერთი კარგი მჭედელი და ერთი ხევისბერი. „ეს ორივე მოდენილობით აქვთ მილოცვილი თამარ-ნეფისა და ლაშარის ჯვარისაგან“ – უთხრა ცნობილმა ხევისბერმა ბიტურ ბადრიშვილმა ვერა ბარდაველიძეს, როდესაც ის 1964 წელს ფშავში იყო ექსპედიციაში.¹ ვფიქრობთ, გადმოცემა აშკარად გვიამბობს რჩეულობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ამბავს. იმას, თუ როგორ იჭერდა თავის რჩეულ ყმას სალოცავი და აყენებდა სამსახურში. ჯალაბაურის ჯაჭვიც ამდენადაა ღვთაების ყმობის ნიშანი და ეს ფუნქცია აქვს სალოცავში მისული მლოცველისთვის, რაც კარგად ჩანს მისი მსრებზე დადების და ჩოქვით სალოცავის შემოვლის რიტუალში. თავად ვერა ბარდაველიძე ჯალაბაურის ჯაჭვის მსგავს ჯაჭვებად მოიხსენებს ლომისის, გერის, გორის ჯვრის აწყურის თეთრი გიორგის საქედურ ჯაჭვებს.²

¹ ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.1, ფშავი (თბილისი: მეცნიერება, 1974), 21-23.

² Ibid, 25-29.

ლაშარის ჯვარის კარზე, ფიქალი ქვისგან და ლამით ნაშენი კვრივი, სასანთლე კოშკი, იდგა. დასავლეთის მხრიდან დატანებული ჰქონდა შუკუქმები. კოშკი სამიარუსიანი-სანაწეთებიანი სახურავით იყო გადახურული, რომლის თავზე ბროლის ქვის ნაჭერი იყო მოთავსებული. ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ მას ლაშარში ყოფნისას, სასანთლის ზედა შუკუქმაში რუსული, პატარა, მართლმადიდებლური ხატი, ზარაკები და შუშის ქილით ზედაშე დახვედრია შედგმული.¹ ქვედა შუკუქმაში ბარდაველიძეს უნახავს პატარა ყანწები, „იაფფასიანი შანდალი“, ბოთლები, „შუშის ნამსხვრევები, ხისა და თუნუქის ნამტვრევები, პატრუქის ნაგლეჯი, ცვილის ნაჭრები,² ურიცხვი სანთლის ნამწვები.“ ლაშარის ჯვრის სასანთლე ბიჭუა და გიორგი ხახაშვილების გაკეთებული ყოფილა.³ მლოცველს, ქალს თუ კაცს, ვისაც თხოვნა ჰქონდა ხატისადმი, კისერზე ჯაღამბარს/„ჯაღაბაურის ბორკილს“ დაიდებდა და სასანთლეს ჩოქვით, მაქსიმუმ სამჯერ, შემოუვლიდა. სამსხვერპლო ცხოველზე, ამ შემთხვევაში ჭედილაზე, შებმულ ნაჭერს/საკადრისს იფნის ხეებზე შეაბამდნენ, ზარაკებს კი, რომელიც ასევე ჰქონდა მსხვერპლს შებმული, სასანთლეზე აწყობდნენ.⁴

მშრალად ნაგები ფიქალი ქვის სწორკუთხა ქვა, რომელზედაც ბრტყელი სიპი იდო და სასანთლეს აღმოსავლეთიდან ეკვროდა, როგორც ბარდაველიძე აღნიშნავს, იყო საკურთხეველი. მისივე განმარტებით „ესაა ერთ-ერთი სახეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ცენტრებში შემონახული ნაირგვარი საკურთხეველებისა. მათ ქადა-კვერის საწირი, ანუ სასუფეველი ეწოდება.“ აქ

¹ Ibid, 21, 29.

² ფშავლების სალოცავებში ჩამოუქნელი სანთლები მიჰქონდათ-ნ.დ.

³ Ibid, ბარდაველიძე, 1974, 29.

⁴ Ibid, ბარდაველიძის საარქივო მასალა, გვ. 54, 137.

ხევისბერი, მლოცვევლებსაგან შენაწირ „ქადა-პურებს“, ჯვრის ფორმით სერავდა, მათ თავს ლაშარის ჯვარს ავედრებდა და ნაოთხალს თავისთვის იტოვებდა.

იქვე, აღმოსავლეთით იყო *სახაკლო* ანუ სამსხვერპლო. ეს იყო სწორკუთხა ორმო. მისი კედლები ფიქალი ქვით იყო ამოყვანილი. აქ იკვლებოდა სამსხვერპლო საკლავი: კურატები, დიდი ნაყოჩრები, ჭედილები, ცხვრები, ბატკნები. საკლავი ისე იკვლებოდა, რომ მათი სისხლი ორმოში ჩადვრილიყო. თურმე, *სახაკლოზე* ანუ სამსხვერპლოზე ორი დიდი ფიქალი ყოფილა გადაფარებული, რომელთა შორის ოთკუთხედის ფორმის ნაჩვრეტი იყო დატოვებული.¹ სწორედ ამ ნაჩვრეტიდან ჩაედინებოდა თურმე საკლავის სისხლი ორმოში. ბარდაველიძის იქ ყოფნისას, ეს ფიქალები უკვე დაზიანებული იყო და ნაწილობრივ ფარავდა ორმოს. სასანთლე, საკურთხეველი და სამსხვერპლი ჯვრის კარის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.

ასევე, ფიქალისაგან, მშრალი წყობით ნაგები იყო სწორკუთხოვანი სალუდე, რომელიც ჯვრისკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ჩრდილო-დასვლეთის მხარეზე გადიოდა. სამი კედელი მიწაში იყო ჩამჯდარი და სახურავი ჩაქცეული იყო. ვერა ბარდაველიძე ფიქრობს, რომ სალუდე ორქანობიანი სახურავით იყო გადახურული. სალუდის ჩრდილო-დასვლეთ კუთხეში მშრალი წყობით ამოყვანილი ფიქალის საცეცხლური, რომელშიც ჩადგმული იყო სპილენძის ფურცლებისა და ლურსმნებისგან გაკეთებული სალუდე ქვები. ბარდაველიძეს აქვე უნახავს „დიდი ზომის ნავი – *ისარნა*, რომელშიც თავის დროზე, სადღესასწაულო ლუდის დამზადებისას მის ზემოთ დამაგრებულ ბაღნის ტომრებში ჩასხმულ ფორის და ქერის ფქვილის გამონახარში წვენი იწურებოდა.“

სალუდესთან ახლოს იყო საყეინო ანუ საყეენო. ეს იყო მიწაზე დაგებული ბრტყელი სიპი, რომელზედაც დი-

¹ ცნობა XIX ს. 90-იან წლებს ეხება. Ibid, 30.

დი სპილენძის გობი (როგორც მას ბარდაველიძე უწოდებს) იდგმებოდა. მას კახეთიდან მოტანილი ღვინით, კულუხით, ავსებდნენ.

ჯვარისკარის ირგვლივ, დიდ ფართობზე 12 საჯარო იყო მოწყობილი, რომელიც ფშავის 12 თემისთვის იყო განკუთვნილი. უფრო ზუსტად, ფშავის ძირითადი 11 თემისა და ხახაბოელ ხევსურთ მეთორმეტე თემისთვის, რომელიც ლაშარის ჯვარში იყო გაფიცული. ლაშარის ტერიტორიაზე არსებობდა კიდევ ერთი საჯარო, გეგმარებაში მოგრძო, დაახლოებით მართკუთხა ფორმის და დიდი ფართობის მქონე, მშრალად, ფიქალით ნაშენები, რომელსაც ზამთრის დღეობებში, განსაკუთრებით ახალ წელს იყენებდნენ. აქ ყველა თემის მამაკაცი იკრიბებოდა. ვერა ბარდაველიძის აღწერილობით, ლაშარს შიდა გალავანიც აქვს, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში არის საზარე-მარანი. ასევე, ბჭე ხევისბერების საბჭოს კედელი, საკურთხეველით და ქვის, გრძელი მერხი. მას დასავლეთიდან საბეროს კედელი ესაზღვრება.

საზარე-მარანი ფიქალისგან აშენებული, ოთხსვეტიანი, კვადრატული შენობა იყო. ამ სვეტებზე გადაყვანილი იყო ცრუ თაღები, რომელსაც „ათიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავი“ ეყრდნობოდა. მის წვერზე მთის ბროლის ქვა იდო. ვერა ბარდაველიძეს აქ სვეტებს შორის არსებული სივრცე აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ამოვსებული დახვდა. სვეტებს შორის დატანებულ ორ ძელზე გადებულ ხარისაზე ეკიდა წარწერიანი ზარი. მასზე ეწერა: „ქ. ესე. ზარი, შემოგწირე. მე. ერისთავმა. რევაზი.¹“ შენ წმინდას გიორგის ლაშარეს. ღმერთო. ად-

²²² იგი ზურაბ ერისთავის შვილიშვილი ყოფილა. ზურაბ ერისთავის ოჯახი, მას მერე, რაც ზურაბმა ლაშარის წმინდა მუხა მოაჭრევირა, დამიზღუდა და შვილიშვილმაც ამის გამო შესწირა ზარიო, ამბობდა ხალხი. ვერა ბარდაველიძის თქმით, ეს რევაზი, ისტორიული წყაროების მიხედვით, შესაძლოა ყოფი-

დეგრძელ: „მისი დამწერი.“ აქვე იყო ჩაფლული, მიწაში, ოთხი ქვეერი, სადაც, ბიჭურ ბადრიშვილის განმარტებით, ახმეტიდან, ლაშარის ვენახებში მოწეული საზედაშე ღვი-
ნო ინახებოდა, რომელიც რიტუალური მსვლელობის გზით აქტონდათ ფშავში და უმთავრესად სერობასა და ახალ
წელს მოიხმარდნენ.

ვერა ბარდაველიძის თქმით, ფშაური საბერო ხევეს-
რულ დარბაზს ემთხვევა. და რომ ფშავში საბეროს საბე-
როსაც ეძახიან და დარბაზსაც. მაგრამ, ლაშარის ჯვარის
საბეროს განსაკუთრებული ფუნქციაც ჰქონია. კერძოდ,
როდესაც ლაშარში გარკვეული საქმე ირჩეოდა, ბჭე-ხევის-
ბერები თავდაპირველად საბეროში იკრიბებოდნენ, რათა
საქმეს წინასწარ გაცნობოდნენ და იქვე ემსჯელათ. საბე-
რო ფიქალი ქვის, მშრალად ნაგები მოგრძო, სწორკუთხა
შენობა იყო. ვერა ბარდაველიძეს დახვედრია ნაწილობრივ
შემორჩენილი სახურავის კოჭები და ზედ გაწყობილი ორ-
ფერდად კოჭები. სახურავის დანარჩენი ნაწილი ჩაშლილი
იყო. აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი იყო კარი. დასავ-
ლეთის კედელს მთელ სირძეზე გრძელი სიპის სკამები
გასდევდა. ვერა ბარდაველიძე ვარაუდობს, რომ იგივე უნ-
და ყოფილიყო სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლების
გასწვრივ, სადაც იმჟამად ქვის რამდენიმე სკამი მოჩანდა.
კედლებში დატანებული იყო თახჩები.

საბეროს კარს და ვიწრო ფართობს, რომელიც ზამ-
თრის საჯარეს და საზარე-მარანს შორის იყო, საბჭოს
ეძახდნენ. აი რას წერს ამის თაობაზე ვერა ბარდაველიძე:
„აქ, საბეროს კარის ღიობიდან ვიდრე საზარე-მარნამდე
აგებულია ყორის სქელი კედელი, კედელში დატანებულია
სიპის სკამები, სკამების აღმოსავლეთით სიპებისაგან
მშრალად ნაგები ბაქანია, რომელსაც ბიჭურმა „ქადავე-

ლიყო ზურაბ ერისთავის ძმის, ნუგზარის შვილი, ანდა ნუგზა-
რის მეორე შვილის, ზაალის, შვილიშვილი. 1720-ანები მისი
მოხსენიების წლებია. Ibid, 37.

რის დასაჭრელ-დასამწყალობნებელი სიპი“ უწოდა. ამ ბაქანზე გამართულია ქორედი საკურთხეველი-ზემო ნაწილში ვერცხლის თასების გასარიგებელი ნიშით. ქვემოთ უფრო დიდი ნიშით სანთლების ასანთებად და ქადა-კვერის გასაწყობად. ბიჭური გვიხსნის: აქ ჯერ სანთლებს დაანთებდნენ, თასებს დადგამდნენ, ქადა-კვერს დააღაგებდნენ. თავკვეისბერი დალოცავდა. იმათ გაადიდებდა, მამჩივარნი აქ დაიფიცებდნენ და მერე იმათ გაასამართლებდნენ. თორმეტი თავკვეისბერი ასამართლებდა. მოსაკვეთს მოიკვეთდნენ, გასაძეველებს გააძევებდნენ, თუ დიდი დამნაშავე იყო, ჩაქოლავდნენ. კვეისბრები დანიშნავდნენ დროს და დამნაშავესაც დაიბარებდნენ. იმათ მუდმივ შეეძლოთ იქ მისვლა. ჩემობას მოკვეთა იყო. არც წისკვილში, არც თავის სახლში შეეძლო მისვლა-მოიკვეთავდნენ. სისხლის ადების რჯული ჩემსობას აღარ იყო. ბჭე სხვაა, კვეისბერი სხვაა. შესაძლებელია ბჭე არც ყოფილიყო კვეისბერი. ყველა კვეისბერი ბჭე ვერ იქნებოდა. თემი ბჭედ გონიერ კვეისბერს ირჩევდა. ბჭენიც თორმეტი იყვნენ; ბჭენი არჩეულნი იყვნენ ფშავის თორმეტი თემისგან და ისინი აქ კვეისბერებთან ერთად მუშაობდნენ. ბჭე-კვეისბერნი არჩევდნენ საქვეყნო საქმეებს, ბჭობდნენ ამ საქმეებზე და გაღწევეტილებებს იღებდნენ. საბჭო იყო ღაშარის ჯვარში, აი აქ ამ ადგილას, ამას საბჭო ჰქვიან.“

საბეროს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მის მახლობლად, მიუთითებდნენ ბერმუხის „საფენს“, ადგილს, სადაც წმინდა მუხა, ბერმუხა მდგარა. მის ახლოს მდებარე ნანგრევებს ვერა ბარდავლიძე საუნჯედ, სალოცავის თას-განძის საცავად მიიხნევს.¹ ბერმუხაზე უფრო ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით.

ჯვარის კარის მთავარ, ასე ვთქვათ ობიექტებს, წმინდა ივნების ქვეშ მდებარე სასანთლე კოშკი, საკურთხეველი და სამსხვერპლო წარმოადგენდა.

¹ Ibid, 29, 30-32, 33, 35, 37-38, 40.

გალაუნის შიგნით იდგა საზარე კოშკი, მართკუთხა მოყვანილობის ბაქანი, კუთხეებში ოთხწახნაგოვანი სვეტებით. აღმოსავლეთით, ამ სვეტებს შორის, ზარებამდე მისასვლელი სამი საფეხური იყო. სვეტებზე ფიქალის ქვები იყო გადაებული, რაც ოთკუთხედ ჩარჩოს ქმნიდა. მასზე „დადგმულია გუმბათი სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სპილენძისავე ლურსმნებით და შემკული ამობურცული ორნამენტებით. გუმბათს თავზე აქვს ბუშტი, ბუშტზე დამაგრებულია სპილენძის ჯვარი, ჯვარის სამ მხარეზე – ზემო და გვერდით მხრებზე, კვლავ სინით ჩამოკიდებული წვრილი ჯვრებია და სპილენძის ბუშტები, გვერდით მხრებზე თითო-თითო ზარაკიც ჰკიდია; ამათგან ერთი ზარაკი წარწერიანია. საზარე გარედან ღამკირითაა შელესილი. გუმბათის გარშემო „მზიდავი“ ჩარჩოს ნაპირზე შემოწყობილია წვრილი ფიქალის ნაჭრები. სპილენძის გუმბათზე შიგნიდან დამაგრებულია სპილენძისავე კეტი, რომელზეც ყურებით ჩამოკიდებულია დიდი ზარი. ზარზე შემდეგი წარწერაა: „ქ. ესე ზარი შემოგწირეთ ღაშარის წმინდა გიორგისათვის ჩუენ ერთობლივ თერთმეტ თემთა თავისი სამწყალობნით და თავის სასულიეროთ მამუკამა და ელისბარმა და ბერიძემა. ვითავეთ და ვიყიდეთ ჩუნ სამწყალობნოთ წელსა ჩემს-სა.“ გუმბათის მომცრო ზარზე კი ამგვარი წარწერაა: „ქ. შემოგწირე შენ ღაშარის ჯვარსა და გედესურმა ციხლკამ (ვერა ბარდაველიძის ვარაუდით ციხელამა-ნ.დ.) მის შვილმა ნადირამა და მამისიმედამა შენი წყალობა დაგვადევნე.“¹ საზარის დასავლეთით, სვეტებს შორის, დამაგრებული იყო ძელები, რომლებზეც ორი ზარი ეკიდა. ერთ-ერთს, რომელიც მეორეზე პატარა იყო, ჰქონდა წარწერა: „ქ. შეწევნითა: ღათ: შენითა: მე: სახლთუხუცესმა ბებერი: შვილის: პაუას: შემომიწირავს: ზარი: ესე: ფშავს: ღაშა: გიორგისათვის: მოსახსენე:

¹ Ibid, 35-36.

ბლად.: და.: შესანდობლად.: ცდვათ.: ჩვენთ.: ამინ.: ქკ.: ტპვ.“¹ ვერა ბარდაველიძე აქვე აღწერს თუ რა დახვდა მას საზარის ბაქანზე: „ისრისწვერიანი დროშა ჭრელი, წითელი და რამდენიმე თეთრი საკადრისი, სპილენძის ჯვარი, თუნგულა, სპილენძის გრძელი სუფრა ოთხ ფეხზე შეყენებული და ორი ფურცლისგან შემდგარი, ფურცლები გადაკერებულია ვიწრო ნაპირებიდან შუა ადგილზე სპილენძისავე ლურსმნებით. საზარესთან მიწაზე ეწყო: ცილინდრული ფორმის სახორცე ქვაბი სპილენძის ფურცლებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი, სპილენძის ზარფუში, სპილენძის ხელქვაბი, სპილენძის მოკალული სინი წარწერით: „ანტონ თილიძე 1960 წ.“ ქართული ზარი, ორი ფაიფურის ჭიქა, ზარფუშის მილი, ორნამენტიანი რკინის კერა და რკინის ჩირახი სასანთლეებით, რომელიც წინ დაფარებულ საჯარეში მდგარა.“²

საზარესთან ახლოს ვერა ბარდაველიძეს ორი სამანი დახვდა, ერთი დასავლეთით, ამოგდებული და მეორე სამხრეთით. მას ბიჭურ ბადრიშვილის ნათქვამი მოჰყავს და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი სამანი თუშების ძმობის ნიშნად ყოფილა ჩასმული. მთხრობლებს ბარდაველიძისთვის ისიც უთქვამთ, რომ სამანები ლაშარში ბევრი ყოფილა ჩაყრილი, მაგრამ პატივცემულ მეცნიერს ხსენებული ორის მეტი ვერ უნახავს. როგორც თავად აღნიშნავს, შესაძლოა ისინი იმ დროისთვის უკვე „მიწის ქვეშ იყვნენ მოქცეული.“

საზარის ჩრდილო-დასავლეთით, ბიჭურ ბადრიშვილის თქმით, სიპით გადახურული დარანი იყო. მას ვერა ბარდაველიძე ე. წ. დარანს უწოდებს.³

ლაშარის ჯვრის კომპლექსში, ანაზომების მიხედვით არის ეკლესია. შეისწავლა რა ლაშარის ჯვრის კომპლექსი

¹ Ibid.

² Ibid.

³ Ibid, 36-37.

ვერა ბარდაველიძემ, მივიდა დასკვნამდე, რომ „...ლაშარის ჯვარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო არა მარტო ფშავლებისა და საერთოდ მთიელებისათვის. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბარის საქართველოსთან როგორც რელიგიური ხაზით, ისე პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით.“ ამის საბუთად, მას მოჰყავს გვიანფოდალური ხანის ქართული საისტორიო დოკუმენტები.

როგორც აღვნიშნეთ, ლაშარის კომპლექსში არის ეკლესიაც. „...ხევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშავი, რომელს შუაში უდის თეთრი არაგვ, და მოერთვიან ჰეფნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯუარს, და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავნი, ვერცა ჰევსურნი, უკეთუ იშოვოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იკმარებენ თავისად, არამედ მიუძღვის ლაშას ჯუარსა. და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და დადადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვს, სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა“ – წერს ვახუშტი ბატონიშვილი.¹ ირკვევა, რომ არაუადრეს XII ს. ბოლოსი და არა უგვიანეს XIII სს. 20-იანი წლების დასაწყისისა, გიორგი IV ლაშას ხმელგორზე აუშენებია ეკლესია და უხვად დაუსაჩუქრებია სიწმინდეებით, კერძოდ, ჯვარ-ხატებით და როგორც ჩანს, ღვთისმსახურებისთვის საჭირო წიგნებით და ჭურჭლით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჭურჭელი ბარძიმი, ფეშხუმი და ღვთისმსახურებისთვის საჭირო სხვ. ნივთები იყო. ამდენად, ლაშა-გიორგის მოცემულ ადგილზე ყველა პირობა შეუქმნია

¹ Ibid, ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 353.

ლიტურგიული პრაქტიკისა და რეგიონის ქრისტიანული ცენტრის შესაქმნელად. როგორც ჩანს, ლაშარის ეკლესიაში იმგვარი განძი იყო, რომ ვაჟა-ფშაველა გვიამბობს, ფშაური გადმოცემის მიხედვით, შაჰ-აბასს ფშავის დაპყრობის გარდა ხსენებული განძის ხელში ჩაგდებაც სდომებია. მან, ერთ-ერთი ქვეშევრდომი ხანი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოაგზავნა ამ განძის ხელში ჩასაგდებად. ნაწვეთად წოდებულ არაგვის ვიწრო გასასვლელში ფშაველები დახვედრიან ლაშქარს და დაუმარცხებიათ. გადმოცემის მიხედვით, ორი კვირა არაგვი არ დაილეოდაო.¹

როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, ლაშარის ჯვარი აღმოსავლეთ საქართველოს როგორც მთაში, ასევე ბარში მნიშვნელოვანი კულტურულ-რელიგიური ცენტრი იყო, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. ვფიქრობთ, ამ პროცესს ხელი დიდწილად ლაშა-გიორგის მოღვაწეობამ შეუწყო. მაგრამ რატომ აირჩია მან ლაშარის ჯვარის გაძლიერება, ჩვენთვის უცნობია. თუმცა, იოანე ბატონიშვილი თავის „ისტორია ქართლისაში“ აღნიშნავს, რომ ვინაიდან ფშაველებს „რიგიანი“ ქრისტიანობა არ ჰქონდათ: ქურდობდნენ, იყვნენ მრავალცოლიანები და სხვ., მეფე გიორგი IV გადაწყვიტა ჭეშმარიტების გზაზე მოებრუნებინა ისინი. ააშენა პატარა ეკლესია, ამ ეკლესიაში დაასვენა მის მიერ ფშაველებისათვის ნაჩუქარი, წმ. გიორგის ნაწილიანი, მოჭედილი ჯვარი, დაუდგინა მღვდელებიც და რჯულის მქადაგებლებიც, მონათლა, როგორც ჩანს ნაწილი. აჩუქა ბორაყი ანუ დროშა. მეფის ნაჩუქარ, ნაწილიან ჯვარს ფშაველებმა ლაშარის ჯვარი უწოდეს.² ხსენებულის თაობაზე ხალხური გადმოცემა შემდეგს გვიამბობს: ერთხელ, ლაშა-გიორგის დროს, როდესაც ლაშარის დღეობა იყო, მეფე

¹ Ibid, ვაჟ-ფშაველა, 236.

² გვანცა აბდლაძე, ლაშა-გიორგი-ხევსურთა შვილობილი, ცისკარი, 4(1999), 119.

ამალით მისულა დღეობაზე. სტუმრად მისული მეფისთვის და მისი ამალისთვის ფშავლებს პატივი უციათ. შინ დაბრუნებულ მეფეს ფშავლებისთვის საჩუქრად ვერცხლით დაფერილი ოქროს ჯვარი გაუგზავნია. გადმოცემის მიხედვით ჯვარი დიდი ყოფილა და ლაშარის ჯვარში ინახებოდა. მას შემდეგ დაერქვა ლაშარის ჯვარი ამ სალოცავსო, გვეუბნება გადმოცემა. ხალხის თქმით, ლაშარს ნაწილიანი ჯვარი ჰქონდა, რომელიც ფშავლებს ლაშქრობისას მიჰქონდათ. ნაწილიანი იმას ნიშნავს, რომ ის მუდამ იმარჯვებს. ლაშა გიორგის ნაჩუქარი დიდი ჯვარი ახადელ მღვდელ ილარიონს წაუღია და აღარ დაუბრუნებია. ხალხი მას ენდო და ის კი ასე მოიქცაო.¹ თუმცა, ნიკო ხიზანიშვილი არ ეთანხმება ლაშა-გიორგიდან სალოცავის სახელის მომდინარეობას და აღნიშნავს, რომ ლაშარი მოლაშქრეს ნიშნავს, ვინაიდან ფშავლებს მუდამ უხდებოდათ ლაშქრობა,² რასაც ვერ გავიზიარებთ. მეფის მიერ სალოცავის ჯვრით დასაჩუქრების თაობაზე ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ „ეს ჯვარი არის შეწირული ლაშა გიორგისაგან ალბათ ეკლესიისთვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულებისა: მეფისა ფშავლების მიმართ და ფშავლებისა მეფის მიმართ.“³ ლაშა გიორგი, რომ ლაშარის ჯვართან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ზრუნავდა მასზე, იქიდანაც ჩანს, რომ დედოფალი სუსანაც ჰყავდა ჩართული მათზე ზრუნვის საქმეში. იოანე ბატონიშვილიდან ვიგებთ, რომ ერთხელაც, როდესაც კვლავ შექმნილა მთაში არეულობა, მეფეს დედოფლისთვის წერილის მეშვეობით, შფოთის დაშოშმინება უთხოვია. იოანე ბატონიშვილი და-

¹ ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი) (თბილისი: მეცნიერება, 1991), 199-200.

² ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები (თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1940), 103-106.

³ Ibid, ვაჟა-ფშაველა, 28.

ვით ლაშას ძის დედას დედოფლად მოიხსენიებს. მთაში ასულ დედოფალს ფშავე-ხევსურები პატივით მიგებებიან და მის ბრძანებებს დამორჩილებიან. ამისთვის მეფემ დედოფალი დააჯილდოვა და ფშავეის ერთი სოფელი უბოძა, რომელიც სუსანას საჯოგე ულაცს ინახავდა. მთაში დედოფალს 3 თვე დაუყვია. მას გზების სივიწროვის გამო ფეხით უვლია. ერთხელაც გაცივებულა და გარდაცვლილა, თიანეთის მხარეს. მეფეს იგი 1207 წ. 20 აგვისტოს ხარჭონის ეკლესიაში დაუკრძალავს. დედოფლის გარდაცვალების ადგილზე, იოანე ბატონიშვილის თქმით, იყო 12 არყის ხე, სადაც ფშაველები ყოველ წელიწადს მიდიან, კლავენ საკლავს, უხდიან დედოფალს აღაპს, ავედრებენ მის სულს ღმერთს, სვამენ ღვინოს და ლუდს და სადილობენ.¹ ანუ იოანე ბატონიშვილის დროს ამგვარი წესი სრულდებოდა.

დავით მჭედლური მიიჩნევს, რომ ლაშარი წარმართობის დროიდან მომდინარე ღვთაებაა და იგი მთვარის კულტს უკავშირდება.² ქეთევან ლომთათიძეც, ივანე ჯავახიშვილის ცნობილ მოსაზრებაზე დაყრდნობით, იზიარებს ზემოთქმულს და როგორც მეცნიერთა უმრავლესობა, მიიჩნევს, რომ ლაშარი ლაშქრობის სალოცავია. ის აღნიშნავს, რომ ლაშა გიორგის ჯვრით და ლაშარის ჯვრით (ანუ ხატით-ნ.დ.) და მისი დროშით მიდიოდნენ ფშაველები მტერზე და ამის წყალობით იმარჯვებდნენ. ამის საბუთად, მას ვაჟა-ფშაველას ლექსი მოჰყავს. პატივცემულ მეცნიერს იმის საბუთად, რომ ლაშარი ლაშქრობის ღვთაებაა და მოლაშქრეს ნიშნავს, ასევე მოჰყავს ლაშარში სალაშქროდ წასვლის გადაწყვეტილების მიღების წესი.³ თუმცა, სალაშქროდ წასვლის წინ შეკრება და გადაწყვეტილების მიღება,

¹ Ibid, აბდალაძე, 119-120.

² დავით მჭედლური, ჩარჩოებს ნუ დავავიწროებთ, ცისკარი, 1(1985), 118-119.

³ ქეთევან ლომთათიძე, კვლავ „ლაშარის ჯვარის“ შესახებ, მნათობი, 8(1985), 143, 144.

მხოლოდ ლაშარში არ ხდებოდა. მაგ. იგივე ხდებოდა ხევის სამებაშიც. ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ლაშარობა, ლაშარის ჯვარი ფუძით სიტყვა ლაშქრობას უკავშირდება და არ იზიარებს ალექსი ჭინჭარაულის მოსაზრებას. ალექსი ჭინჭარაული აღნიშნავს, რომ ლაშარი წმ. გიორგის სალოცავია და სახელწოდებით მეფე გიორგი IV ლაშას უკავშირდება. იგი ასევე აღნიშნავს, რომ სალოცავის სახელწოდების ამოსვალ ფორმაში „ლაშა-ობა“ („ლაშა-რ-ობა“), **-რ-** თანხმოვანი ჩართულია თამარ მეფისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღმნიშვნელი სახელის ანალოგიით: თამა-რ-ობა || ლაშა-რ-ობა.¹ სიტყვა „ლაშარობა“ ნაწარმოებია **-ა-** ხმოვანფუძიანი სახელისაგან **ლაშა**, რომელსაც დაერთვის რთული შედგენილობის **-ობა-** სუფიქსი (ზმნის თემის ნიშანი **-ობ + ა-** ზმნის საწყისის მაწარმოებელი). ქართულში **-ობა-** სუფიქსი დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს (სახელებს, ზმნიზედას, ნაწილაკს, ასევე საწყისსა და მიმღებობას), რის შედეგადაც იწარმოება სხვადასხვაგვარი შინაარსისა და დანიშნულების განყენებული თუ კონკრეტული სიტყვები და ცნებები, მათ შორის, რელიგიური დღესასწაულებისა და რიტუალების სახელდება² სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება **ლაშარ-ობა-ა**.

დოდო-მარიამ ღლონტის თქმით, ყურადღებას იქცევს „ლაშარობასა“ და „თამარობაში“ არსებული **-რ-** თანხმოვნის განსხვავებული მორფო-ფონეტიკური წარმომავლობა: „თამარობა“ ნაწარმოებია თანხმოვანფუძიანი საკუთარი

¹ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969), 167.

² გოგოლაშვილი გიორგი, არაბული ავთანდილ (რედ.), ახალი ქართული ენა. წიგნი I – სალიტერატურო ენის მორფოლოგია: ზოგადი. სახელი (თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016), 296-298.

სახელისაგან **თამარ-ი**, რომელშიც **-რ-** თანხმოვანი განეკუთვნება ამ სახელის ფუძეს: თამ-არ.

ამისგან განსხვავებით, „ლაშარობაში“ იგივე **-არ-** ერთ მორფოლოგიურ მთლიანობას არ შეადგენს, არამედ ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ წიაღში **-ა-** და **-რ-** აღმოჩნდნენ ლექსიკურ-სემანტიკური ანალოგიის შედეგად, როგორც სამართლიანად გვითითებს ბატონი ალექსი.

დოდო-მარიამ ღღონტისავე აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, შესაძლებელია დასახელდეს იმავე **-რ-** თანხმოვნის ჩართვის კიდევ ერთი მოტივი: **-რ-** თანხმოვანი ამოსავალ ფორმაში ***„ლაშაობა“** სმოვანთაგაყრის ფუნქციით ჩაერთო: ***ლაშ-ა-ო-ბა** ლაშ-ა-რ-ო-ბა. ასე რომ, „ლაშარობა“ ამგვარად უნდა გავიაზროთ:

ლაშა-რ-ობა =(სმოვანფ.საკ.სახ.) ლაშა + რ (ანალოგია, სმოვანთაგაყრის ფუნქცია) + **ობა** (სუფიქსი).¹

ვერა ბარდაველიძის საარქივო მასალების მიხედვით, ფშაველთა მთავარი სალოცავი, ლაშარის ჯვარი, ლაშქრის მფარველი და წინამძღოლი ხატია. ლაშქრის წინამძღოლი ლაშარის უფროსი თავხევისბერი იყო. ბრძოლაში მას ეჭირა ლაშარის ჯვრის დროშა და წინ მიუძღოდა მებრძოლებს. ამავე დროს, ლაშარის ჯვარი, რომელიც ფშაველებისთვის ლურჯი ფერის, შავ ფაფრიან და კუდიან ცხენზე შეიარაღებული იყო, უხილავად, ამხედრებული, თან სდევდა მებრძოლებს, მის ყმებს და მფარველობდა.

„ლაშარელაის ლურჯასა,
ასხავ ფაფარი გიშლისავე,
რახან სამცხეთოდ წავიდეს,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
საჩქაროდ შემოჩინდება,

¹ მადლობას ვუხდით დოდო-მარიამ ღღონტს გაწეული კონსულტაციისა და დახმარებისთვის.

ხან რომ არ იყოს მისვლისა.“¹

საერთოდ, ფშაველთა წარმოდგენით, სალოცავები ღამე, ნათლის თოკზე, ზეციდან თავიანთ საბრძანისში ჩამოდიდოდნენ, ნათლის ბურთის სახეს იღებდნენ და მთავარ სალოცავსა და ნიშებს შორის მოძრაობდნენ. ნათლის თოკზე გასრიალდებოდნენ ხოლმე.² ხატ-სალოცავები ხალხური გადმოცემის მიხედვით, ოქროს ჯაჭვითაც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც ერთმანეთის ძმობილები იყვნენ. ეს გზა მოკვდავთათვის უხილავია, მაგრამ ჯვარჩენის შემთხვევაში ადამიანს ცეცხლის სახით, ხოლო მისი ნაკვალევი კი ოქროს ჯაჭვის, შიბის სახით ეცხადება.³ თუმცა, ღაშარის წმ. გიორგი ზეცაშიც აღიოდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ღაშარობის (იგულისხმება მთავარი სალოცავი ფშავეში) ალბათ, ყველაზე კომპეტენტური აღწერილობა ალექსი ოჩიაურმა დადგვიტოვა. ვერა ბარდაველიძეც, საკუთარ მასალასთან ერთად, დიდწილად მას ეყრდნობა. თავისი თხრობის დასაწყისში, ღაშარის ჯვრის შესახებ, ალექსი ოჩიაური გამოთქვამს წუხილს, რომ მიუხედავად კომპეტენტური მთხრობლების (ჭრელ ჯიხვიაშვილის, ბიჭურ ბადრიშვილის, ბიჭუა ხახაშვილის, ივანე ნაკვეთაურის და ჭრელ გოდერძაულის) გამოკითხვისა, ვერ შეძლო ღაშარზე და თამარ ნეფეზე სათანადო მასალის შეგროვება. „არ ვიცი, მთხრობლებმა არ იცოდნენ, თუ მართლა არაფერი იყო“ – წერს იგი.⁴ ღაშარობა რამდენჯერმე იმართებოდა:

¹ Ibid, ალექსი ოჩიაური, 194.

² ვერა ბარდაველიძე, საარქივო მასალა, ვ.ბ. 661, საერთო სალოცავები ფშაველებისა, ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გვ.1-2, 4.

³ Ibid, კიკნაძე, ჯვარი და საყმო, 106.

⁴ ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი) (თბილისი: მეცნიერება, 1991), 189.

სერობას ივლისში (პეტრე-პავლობის ანუ 12 ივლისის მომდევნო ორშაბათს), მარიამობას, 28 აგვისტოს, ახალკირას მაისში („აღდგომის სწორის სწორი“ ანუ აღდგომის მესამე კვირა, ზატიკის ზატიკი) და გიორგობას. ალექსი ოჩიაური არ აზუსტებს, ეს გიორგობა რომელია. ამდენად, იგი სავარაუდოდ 23 ნოემბრის გიორგობას უნდა გულისხმობდეს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მთავარ დღეობად ღაშარში სერობა ითვლებოდა,¹ ხოლო, როგორც ჩანს, ყველაზე სადღესასწაულოდ და პომპეზურად ახალკვირის ღაშარობა აღინიშნებოდა.

სერგი მაკალათიას აღწერილობით სერობა ახალი სტილით 18-19 ივლისს იციან. საინტერესოა, რომ 1932 წელს, როდესაც პატივცემული მეცნიერი ფშავის ექსპედიციაში იყო და რომლის მასალები დაედო სფუძვლად მის ცნობილ წიგნს, 18 ივლისი პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათი დღე იყო² და 19, შესაბამისად, თამარ-ღელეობა. ანუ, ღაშარობა-თამარობა უძრავი დღესასწაული კი არ არის, როგორც ამას სერგი მაკალათია აღნიშნავს, არამედ მოძრავი და დამოკიდებულია პეტრე-პავლობის დღესასწაულზე.

სერგი მაკალათიას თქმით, თურმე, ღაშარობის დღესასწაულამდე ღაშარიდან ხევისბრები და დასტურები, დროშებით, გადადიოდნენ ხევსურეთში, თუშეთსა და გუდამაყარში, რათა ღაშარის ბეგარა მოეგროვებინათ. ხახაბოელი და არდოტელი ხევსურების ბეგარას 3 საკლავი, 12 მანეთი და 1 ქვაბი ლუდი შეადგენდა. ზოგჯერ ხატიონი ხევსურეთიდან ქისტეთშიც გადადიოდა, იქაც აგროვებდა

¹ ibid.

² 1932 წლის კალენდარი, [172](https://www.google.ge/search?q=1932+calendar&rlz=1C1CHBD_enGE721GE721&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=k7XbTV_FQDtWBM%253A%252Ce1ud3ErBe_XWsm%252C_&usg=__g5ozeMfV3TJW6G_ty-9MZh4-vCI%3D&sa=X&ved=0ahUKEwi62ZT7gM7ZAhUS16QKHtpDxcO9QEIUDAG&biw=1008&bih=467#imgrc=ZkCCUENdITaHeM; .02.03.2018.</p></div><div data-bbox=)

ბეგარას, კომლზე 1 ცხვარს. ხალხის თქმით, ქისტებს ლაშარის ჯვრის ძალიან ეშინოდათო. ანუ, როგორც ჩანს, მას ძლიერ სალოცავად მიიჩნევდნენ.

იოსებ ციგროშვილის თქმით, „ლაშარი რჯულიანთ ურჯულთ სალოცავია, როგორც ხევსურეთს ხახმატი. ლაშარში ხევსურებიც მოდიან და ხახმატში ფშავლებიც მიდიან. ლაშარში ყველა რჯულის კაცს შეუძლია მისვლა. ლაშარია ფშავში ყველაზე დიდი სალოცავია. ლაშარი მაგას მოგვიანებით აქვს შერქმეული. როგორც უფროსი ხალხისგან გამიგია, – წინათ ერქვა ლაშქართ გორი. ალბათ XII საუკუნემდე. ომში რომ მიდიოდნენ, იქ დებდნენ ფიცს: ფშაველი, თუში, ხევსური, კავკასიის სხვა ურჯულო ხალხიც მოდიოდა. ფიცს დებდნენ და ამბობდნენ: ან დავბრუნდებით, ან არაო და უღვაშს იძრობდნენ და დებდნენ. ერთ ხევისბერს ვკითხე, ვისაც უღვაში არ ჰქონდა, რასა ტოვებდა თქო. ისეთი კაცი არც ქართველდ არ ითვლებოდაო – მიპასუხა. ეს იმ კაცობას ნიშნავდა, რომ სამშობლოსათვის თავდადებული უნდა ყოფილიყო... მანდიდან წასულმა ლაშქარმა აიღო ბახტრიონი.“¹

მლოცავს ლაშარში 1 მუჭა ქერიც მიჰქონდა ლაშარის ლურჯასთვის. თავხევისბერი ამ ქერს თურმე თესავდა, ლაშარობისთვის ლაშარის ლურჯას მოუნდებო. ამასთანავე, ფშავის ყველა თემის, ყველა ოჯახს ევალებოდა ახალკვირის ხუთშაბათს ლაშარში 3 აბაზის მიტანა. ვინც ბეგარას დროზე არ მიიტანდა, ლაშარის იასაულები მის ოჯახს არბევდნენ და ნარბევი ლაშარში მიჰქონდათ. თუ დარბეული ოჯახი სადამომდე ვერ მიიტანდა სალოცავში ბეგარას, ყველაფერი ხატს რჩებოდა საკუთრებაში.²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთის გარდა ლაშარის ჯვარს ხევსურეთთანაც ჰქონდა კავშირი. ვერა ბარდა-

¹ ნინო ღამბაშიძე, ფშავის 2010 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ხელნაწერი.

² Ibid, მაკალათია, ფშავი, 118, 220.

ველიძე ხევსურეთის სალოცავების ჩამოთვლისას, ხახმატის წმ. გიორგის ხსენების შემდეგ, რიგით მეორე ადგილზე ლაშარის გიორგის-გიორგი მუხის ანგელოზს ასახელებს და მიუთითებს, რომ იგი ფშავშია. ასევე, სოფ. ხახაბოს ჰქონდა ლაშარის ჯვრის ნიში. წყალსიქითის ხეობის სოფ. ბლოს ჰქონდა მუხის გიორგის ჯვარი.¹ ჩნდება ვარაუდი, ხომ არ იყო ეს ჯვარიც ლაშარის სალოცავი. თუმცა, ძნელია ამაზე დაბეჯითებით საუბარი. არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვით ლაშა გიორგი ხევსურეთში გაიზარდა. გადმოცემის მიხედვით, ერთხელაც ფშაველი და ხევსური მონადირე ერთად ნადირობდნენ. დაინახეს ირემი და ფრთხილად დაედევნენ. მიახლოებულებმა ნახეს, რომ ირმის ძუძუს ბავში სწოვს. მონადირეებმა ისე გააკეთეს, რომ ირემი გააქციეს და ბავში დაიტოვეს. ყარეს წილი, ვის დარჩებოდა ჩვილი. წილი ხევსურს ერგო. წაიყვანა ხევსურმა მონადირემ ბავში ხევსურეთში, დაარქვა გიორგი და გაზრდა. გამოხდა ხანი. გიორგი გაიზარდა. გაირკვა, რომ იგი თამარ მეფის შვილი ყოფილა. თამარმა შვილის დაბრუნება მოისურვა, მაგრამ ხევსურებმა გიორგი არ დაანებეს. თამარი ჯარით შეესია ხევსურებს, სადაც დამარცხდა.² მისრიანები/მისრიაშვილები, იგივე ჯალაბაურები, რომლებიც ზემოთ ხენებული ჯალამბარის მჭედლის შთამომავლები არიან და ვაჟა-ფშაველას თქმით, ლაშარის ჯვარში მეთორმეტე თემად გაფიცულ ფშავის მეთორმეტე თემს წარმოადგენენ,³ ხევსურეთიდან გადმოსახლდნენ და გაფშავლებული ხევსურები არიან. ბიჭურ ბადრიშვილის ცნობაზე დაყრდნობით, ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ლაშარის ჯვრის მეთორმეტე თემი ხახაბოელი ხევსურ-

¹ ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ხევსურეთი, ტ. III (თბილისი: მეცნიერება, 1982), 175, 137, 102, 112.

² Ibid, აბდალაძე, 120-121.

³ Ibid, ვაჟა-ფშაველა, 28.

რები იყვნენ, რომლებსაც ლაშარის ჯვრისკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორაკის თავზე ჰქონდათ საჯარე.¹ ალექსი ოჩიაურის მასალების მიხედვით, პირიქითა ხევისურეთის ხახაბოელები გაფიცულები იყვნენ ლაშარში. მათ ხევისბერობაც მოუდიოდათ და 12 თემის ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად ხევისურეთიდან გადმოდიოდნენ. თუმცა, იქვეა აღნიშნული, რომ სიშორის გამო დღესასწაულში დასტურებად ვერ დგებოდნენ. ხახაბოელები 4 გვარისაგან შედგებოდნენ: მინდიკაურები, მამიაურები, ხახიაურები და ხოსიტაურები.²

ლაშარობაზე მლოცავს მიჰყავდა სამსხვერპლო: ბატკნები, ცხვრები, ჭედილები, დიდი ნაყოჩრები, კურატები. ნაყოჩრებს და კურატებს საკადრისები და ზარაკები ჰქონდათ შებმული, დანარჩენებს კი ზანზალაკებშებმული გრძელი და ვიწრო ნაჭრები. მათი მსხვერპლად შეწირვის შემდეგ ხევისბერი შეხსნიდა ყველაფერს და ხეზე ჩამოკიდებდა. ხევისბერის დამწყალობების შემდეგ, საკლავს სპეციალურ ორმოსთან მიიყვანდნენ. ხევისბერი შუბლს შეუტრუსავდა, ზარს მოხსნიდა და ყორეზე შედებდა, დასტურები კი ისე დაკლავდნენ, რომ სისხლი ორმოში ჩადენილიყო. ჯალამბარს მლოცველი კისერზე დაიდებდა, შემოუვლიდა ხატს და ევედრებოდა. თუ ავადმყოფს ლაშარის მკითხავი ეტყოდა, რომ იგი ლაშარის გამოა დამიზეხებული, მას რკინის უღელი და რკინის სარტყელი უნდა ეტარებინა. ზოგი რკინის უღლის ნაცვლდ ხისას ანუ წნელიას ატარებდა. მაკალათიას თქმით, ასეთი უღლიანი მლოცველები უფრო კახეთიდან მოდიოდნენ. უღელი განკურნებამდე უნდა ეტარებინათ. უღლიანი და სარტყლიანი მლოცველი ლაშარში ხევისბერთან საწირით მივიდოდა.

¹ Ibid, ბარდაველიძე, ფშავი, 23, 32.

² ალექსი ოჩიაური, რელიგიური ამბები ფშავში, რვ. 30, ხელნაწერი, X, 1947 წ., გვ. 259, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

ხევისბერი მას ამწყალობნებდა, შეხსნიდა უღელს ან სარტყელს და ნიშზე ჰკიდებდა. ზოგს, ლაშარში თეთრებში და ფესშიშველი მისვლა ჰქონდა შეთქმული. დამწყალობნების შემდეგ, ისინიც იხდიდნენ თეთრებს და ხატის გალავანში ტოვებდნენ. მონადირეები ხატს ნანადირევის რქებს სწირავდნენ. მაკალათიასვე თქმით, ლაშარში ხევისბრები ხშირად ეცემოდნენ ქადაგად. ხალხი ღოცულობდა, შემდეგ, ქადაგად დაცემული ქადაგობდა. ხალხი ჩუმად იდგა, პირჯვარს იწერდა და „გულზე მჯიდს იცემდა“. საღამოს მლოცველი არაგვის ჭალაში ჩავიდოდა, ლაშარობის დამეს იქ გაათენებდა, რომ მეორე დღეს თამარ-ღელეში ასულიყო. ცნობილია, რომ ლაშარი წაწლობის ნებას რთავდა თავის კარზე. ლაშარი თავად იყო მოქეიფე და ქალების მოყვარულიო, ამბობდა ხალხი.¹

ვერა ბარდაველიძის თქმით „ლაშარის ჯვარში ამოსული მედღეობე მეთემენი თავ-თავის საჯარეში ჯარდებოდნენ. გარდა სათემო თუ სასოფლო საკლავისა (ასე ეწოდებოდა თემის წევრებისაგან საკუთარი ოჯახებიდან მორიგეობითი წესით, ერთ წელს ერთი ოჯახიდან, მეორე წელს მეორისა და ასე შემდეგ, გამოყოფილ საუკეთესო ცხვარს ან ჭედილას), რომელიც დღეობაზე პირველად დაიკვლებოდა ლაშარის ჯვარში, – ფშავლებს თავ-თავისი სახლებიდან შეთქმული საკლავები მოჰყავდათ, საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ და მათ თავის სათემო საჯარეში აბინავებდნენ. აქედან წარეკავდნენ საკლავებს სამსხვერპლოზე დასაკლავად, თავის სათემო საჯარესთან მოხარშავდნენ საკლავის ხორცს და იქვე, საჯარეს სიგრძეზე გაშლიდნენ სადღესასწაულო სათემო სუფრას. ჯერ ერთი თემის სუფრა გაიშლებოდა და ყველა საჯარიდან ხალხს იქ მიიპატიჟებდნენ, შემდეგ მეზობელ საჯარეში გაშლილ სუფრაზე გადაიპატიჟებდნენ ყველას და ასე გრძელდებოდა დღეების განმავლობაში ერთმანეთის გადაწვევა-გამას-

¹ Ibid, მაკალათია, ფშავი, 218-220; ბარდაველიძე, ფშავი, 26.

პინძლება სათემო სუფრებზე. საჯარეში ჭამა-სმას თან სდევდა ღვინო, ფშაური სიმღერებისა და ფერხულის შესრულება და ასე შემდეგ.“¹

აღექსი ოჩიაურის მასალების მიხედვით, ლაშარის ჯვარს სანადო მამულები არ ჰქონდა, ვინაიდან იგი ისეთ ადგილას დაარსდა, სადაც არც მამულია და არც სოფელი. მისივე თქმით, აქ ბერები ცხოვრობდნენ, რაზედაც მათი საფლავები მეტყველებენ. ლაშარის ბერ მუხის მოჭრამდე ხმელ გორზე ბერების გარდა ვერავინ ადიოდა. ხალხი ქვემოდან ლოცულობდა. ლაშარს ხევისბრები სხვადასხვა სოფლებიდან ემსახურებოდნენ. ქერი და სვე ხალხში გროვდებოდა, სხვაგან დუღდებოდა და შემდეგ მიჰქონდათ დღეობაში. განძი და დროშა ხევისბრებს ებარათ. ლაშარს კახეთში ჰქონდა ვენახები, რომელსაც მეზურე უწელიდა. ღვინის „ნაფასური“ კვლავ ვენახის მუშებს ხმარდებოდა. იყო ხევისბერი, რომელიც ყველა დღესასწაულზე მიდიოდაო, წერს ალ. ოჩიაური. როგორც ცნობილია ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ მეფემ მთიელებს კახეთში მიწები და დასახლება შესთავაზა. თუშები ალვანში დასახლდნენ, ფშაველებმა და ხევსურებმა სალოცავებისთვის ზურები აიღეს. გადმოცემის მიხედვით, აი რა უთქვამთ მათ მეფისთვის: „ჩვენ მთის ხალხი ვართ და ბარის სიცხეს ვერ ავიტანთ. ამ ომის მოსაგონებლად და თქვენ სადღეგრძელოდ მოგვეცით ვენახები, დავამუშავებინებთ, ღვინოს დავაყენებთ და ყველა თავ-თავის ხატში წავიდებთ კულუხსო. ხატსაც ვადიდებთ იმის ზედაშით, ჩვენც წელიწადში ერთხელ მაინც დავლევთ კახურ ღვინოს და თან მოვიხსენიებთ ამ ბრძოლაში დახოცილ პირებსაო... კახეთში აქედან ათენგენას, საღმურთობას და სერობას... კულუხზე იგზავნება რამდენიმე კაცი... მოაქვთ ღვინო და დაიდგმება საყვინო.“ საყვინო იყო დიდი თასი, რომელსაც ავსებდნენ კახეთიდან მოტანილი ღვინით და ვინც დაღვედა, შიგ ფულს

¹ Ibid, ბარდაველიძე, ფშავი, 32-33.

აგდებდა.¹ ამ წესზე ოდნავ მოგვინებით ვისაუბრებთ. ფშავ-ხევსურები ბახტრიონის ბრძოლაში ხატების დროშების ქვეშ იბრძოდნენ. მათ თითო ვენახი ითხოვეს ახმეტასა და მის შემოგარენში იმ ხატებისთვის, ვისი დროშებიც იბრძოდნენ, ანუ: გუდანის, არხოტის, კარატეს, კოპალას, ლაშარის, თავარმოწამესა და იახსრისათვის. 98 წლის დავით ჭრელას ძე თურმანაულს, რომელიც ქმოდის წმ. გიორგის თავხვევისბერი იყო, ვერა ბარდაველიძისთვის უთქვამს: „იმას (ლაშარს-ნ.დ.) მამული რად უნდა. ლაშარის ჯვარის მამული არსად არაა. მარტო ახმეტას აქვს სასახლავი.“ ბარდაველიძისავე მასალაში ვკითხულობთ, რომ „ლაშა გიორგის, ანუ ლაშარის ჯვარს მიწები არ ჰქონდა ფშავში. ხევსურეთში კი, პირიქითში, მუცოში.“²

2010 წელს ჩვენი სამკაციანი ექსპედიცია (წევრები: ნინო დამბაშიძე, თამარ წერეთელი და სალომე ციგროშვილი), ჯარჯი ფხოველის თანხლებით, ლაშარობის მთავარ დღესასწაულს სერობას ესწრებოდა. ექსპედიცია თხილიანაში, ირაკლი და ბელა ციგროშვილების სტუმართმოყვარე ოჯახში იყო დაბინავებული. დღეობამ 19 ივლისს მოუწია. ხმელგორზე გაკვალული საცალფეხო ბილიკით ავიარეთ. ბოლოსკენ გზა ოდნავ დაციცაბოვებულა. ჩვენს უკან ჭედილა და ორი ცხვარი მოჰყავთ. წინა დღეს თხილიანაში ყოფნისას ვხედავდით, როგორ მიჰყავდათ საკლავები ლაშარისაკენ მანქანებით. როგორც მეორე დღეს ხვეისბერმა თქვა, საკლავმა ღამე ხატში უნდა გაათენოსო. გორაზე ასული ქალები ხელ მარჯვნივ გაგვიშვეს, სადც ასევე გორა იყო. ქალების ხატთან მისვლა იკრძალება. აქაურ ხვეისბერს ლაშა ჰქვია, ძებნიაურია და იმ დროისთვის კახეთიდან მოდიოდა. ჯარჯის ვთხოვეთ, ეკითხა რამდენად შეიძლებოდა ჩვენი ხატთან მისვლა და გადაღება. რიტუალის

¹ Ibid, აღ. ოჩიაური, 38-39.

² ვერა ბარდაველიძე, ვ.ბ. 664, ხელნწერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

გადაღება არ შეიძლება, ანგელოზი კრთებაო, მოგვივიდა ხევისბერის პასუხი. თუ ნაგებობების გადაღება უნდათ, დღეობის მერე დარჩნენ და გადაიღონო. ჯარჯის ხელით ხევისბერს ლაშარის წმ. გიორგისთვის ხის ჯვარზე დაკრული ჯვარცმა გადავეცი. თუ სანთელიც აქვს, მოაყოლოსო, შემომითვაღა ხევისბერმა. 3 სანთელი გავატანე. ხევისბერს სანთელი დაუნთია და ჩემს სახელზე ულოცია. ჯვარს აქ, ხელმწიფე ლაშარისათვის ვაკურთხებ და დავდებო. ქალებმა ჩვენთვის მიჩენილ გორაზე დავიკავეთ ადგილები და დღესასწაულს თვალს იქიდან ვადევნებდით. საქალებო გორაზე მოსული მედღეობეები ერთმანეთს ესალმებიან: წყალობა, წყალობა მოგცეთ აქ მდგომმა ანგელოზებმა! წყალობა მოგცეთ ხატმა, წყალობა ხატისა! მედღეობეთა შორის სანათა ალექსის ასული მაჩურიშვილი-ნაყურისაც არის. მისი თქმით, იგი ლაშარის ყმაა. სანათა ხელ-მკადრე ხევისბერის, ფრიდონ ბურაშვილის შვილიშვილია. თამარ მეფის შვილს, რომლის სალოცავი გადაღმაა, ლაშა ერქვა-გვითხრა სანათამ. ერთხელაც ძიძამ დაკარგა ლაშა, რომელიც ირემმა იპოვა, აწოვა ძუძუ და გაზარდა. ამის შემდეგ არც თამარი და არც ლაშა ირმის ხორცს არ ჭამდნენ. სანათას თქმით, მან ბიბლიიდან იცის, რომ რაც უფალი მოვიდა, ჩვენი ცოდვები იმან წაიღო და საკლავი აღარ უნდა დავკლათ. მე მაინც მეშინიაო, მითხრა სანათამ. ამ სალოცავებს ვერ ველევით. საკლავი რო არ დავკლათ, გვეშინია. თუ რამეს ვცოდავთ, გვაპატიოს. დედაჩემი ხელ-მკადრე ხევისბერის შვილი იყო და იმისგან ვიცი, რომ ქადას ღვინის ზედაშე მოჰყვება. ღვინო ნაკურთხია, არაყი ეშმაკისაა. ამასობაში 12 საათმაც მოაწია. მლოცველები ცხენებითაც მოვიდნენ. ამოიტანეს სანოვაგე, მოიყვანეს საკლავები. მათ შორის კურატი და მოზვერი. მლოცველთა შორის ეროვნულ ტანსაცმელში (ჩოხასა და ხევსურულ ტალავარში) გამოწყობილი ხრიდოლის ბიჭებიც არიან. მლოცველებს შორის ბევრია ახალგაზრდა. ერთ ბიჭს

ბალაიაკაც აქვს. ხმელგორზე საკლავების რაოდენობა ნელ-ნელა მატულობს. დროშის ზარიც დაირეკა. ქალების მხარეს მსხდომი კაცები ხატისკენ დაიძრნენ. 13 საათზე და 40 წუთზე მლოცველებმა საკლავი წაიყვანეს დასაკლავად. დადგა რიგი. ხევისბერმა დაიძახა: კურატები ვისაც ჰყავს, მოვიდესო. ჯერ ისინი უნდა დაიკლან. იქვე ბავშვიც ჰყავთ ამოყვანილი ხატში მისაბარებლად. კურატიც მისამბარეოდ ჰყავთ. ხევისბერმა ზარი დარეკა. ყველა ფეხზე წამოდგა. ზოგმა დაიჩოქა. ხევისბერი ლოცულობს, ადიდებს, ჯვრით ხლხს ამწყალობნებს. ჩვენ, ქალებს, დიდების ტექსტი არ გვესმის. ლოცვისას ხევისბერთან მდგომმა კაცებმა ერთხმად შესძახეს: გაუმარჯოს...! სხვა სიტყვები ქალებამდე აღარ აღწევს. ექსპედიციის წევრი თამრიკო წერეთელი შორიდან იღებს, მაგრამ ხევისბერმა დაინახა. დიდებისას ბავშვი გამოაგზვნა და შემოუთვალა, ნუ იღებო. დაკლული კურატი ოთხ ჯანღონით სავსე მამაკაცს მოაქვს და გვერდით გაჰყავს, რომ ცხვრებთან ერთად გაატყაონ. დაკლული საკლავები ხეზე დაკიდეს და ატყავებენ. გაისმა ბატკნის ხმა. სანათამ, რომელიც ჩემს გვერდით ზის, მითხრა: ეს ჩვენი ბატკანია, ხმაზე ვცნობ. 14 საათისა და 30 წუთისთვის საკლავები უკვე დაიკლა. დაიწყო სამზადისი სუფრისთვის: შეშის ჭრა, გატყავება, ცეცხლის დანთება. ქვაბები და ხორცი დააქვთ, ნაწილს საკლავი ჯერ არ გაუტყავებია, ხალხი მოლოდინშია. ახლა ქალებიც მოანთეს. ლაშარში ქორმაც შემოიფრინა. ხალხის ნაწილმა ქვემოთ, მთის ძირისკენ დაიწყო ჩასვლა, სადაც საქეიფოდ უნდა დასხდნენ. ზოგმაც აქვე, ხმელგორზე დაიწყო პურობა. ბოლოს საყეინო და დროშა უნდა გამოაბრძანონ, რითითაც მთავრდება დღეობა. მლოცველი გვიან საღამომდე მოდიოდ ლაშარში, ადიოდა მაღლა ხმელგორზე ქადაპურით და საკლავით. ყველა, ნაცნობ-უცნობი ერთმანეთს ხატის წყალობას და წყალობის გატანება-გაყოლას უსურვებდა.¹

¹ ნინო ღამბაშიძე, ფშავის 2010 წლის ეთნოგრაფიული ექსპედი-

სანამ საყეინოს რიტუალის განმარტებაზე ვისაუბრებდეთ, გვინდა კულუხსაც შევეხოთ. ანუ როგორ მოქონდათ კახეთიდან ხატის ვენახებიდან დაყენებული ღვინო ხატობებისთვის. სამწუხაროდ, უშუალოდ ლაშარის კულუხის შესახებ მასალას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ, ალექსი ოჩიაურს კულუხის წესი იახსრის მაგალითზე მოჰყავს. როგორც ითქვა, ბახტრიონის ომის შემდეგ ფშავლები და ხევსურები, მეფემ მათივე თხოვნით, ვენახებით დაასახუქრა, რომლიდანაც მოწეულ ღვინოს ისინი ჯვარ-ხატების დღესასწაულებზე მოიხმარდნენ. ახმეტაში მარანი ქვის კედლით იყო შემოღობილი, ჰქონდა მარანი, ხატის დროშის საბრძანისი კოშკი, მეზურის სადგომი. ვენახს მიჩენილი ჰყავდა მეზურე, რომელიც მუდმივად ადგილზე იყო და მას უვლიდა. კერძოდ: ინახავდა სახატო ქონებას, ხელმძღვანელობდა მუშებს, ყარაულობდა ვენახს. ალექსი ოჩიაური აღნიშნავს, რომ ქვერებს შორის ერთ-ერთი კაჟისგან იყო დამზადებული. როდესაც მასში დაწურული ყურძნის ტკბილს ჩაასხამდნენ, იფუვლებდა და რამდენიმე თვე, სერობამდე, გადაღების გარეშე იდგა ერთ ჭურჭელში. ქვევრი ერთი კოჭლი კაცის გაკეთებული ყოფილა და ამის გამო მას (ქვევრს) „კოჭლაური“ ერქვა. ამ კოჭლ ოსტატთან დაკავშირებით, რომელიც გადმოცემის მიხედვით, კარგი მჭედელიც ყოფილა, ალექსი ოჩიაურს მითოლოგიური გადმოცემა მოჰყავს. თურმე, იგი დევებს ჰყავდათ დატყვევებული და თავიანთ სასარგებლოდ ამუშავებდნენ. მისულა იახსარი კოჭლ ოსტატთან და შეპირებია დაგიხსნი დევებისგან, თუ კაჟის ქვევრს გამიკეთებო. ოსტატს გახარებია, შენ ოღონდ დამიხსენი და ისეთს გაგიკეთებ, მისი ბადალი არ იყოსო. გადმოცემა გვეუბნება, რომ დევები იორზე ცხოვრობდნენ. ერთხელაც, როდესაც სახლში მისულან, იახსარი თავს დასხმია და ოსტატიც დაუხსნია. წამოუყვანია კოჭლი მჭედელი ახმეტაში და თავის მარანში დაუსახ-

ცია, ხელნაწერი.

ლებია. ოსტატს საუცხოო იარაღები გამოუჭედია და კაუჩის უბადლო ქვევრიც გაუკეთებია. თანაც, სიკვდილამდე აქ დარჩენილა და ვენახს უკლიდა.

თავხვეისბერი და ორი დასტური, შეკრებდნენ „სამგზავროდ საიმედო“ და მორწმუნე კაცებს, იშოვნიდნენ კარგ ცხენებს. საცალო სახატო ტიკები თუ არ ეყოფოდათ ხალხში ითხოვდნენ და გაემართებოდნენ კულუხის წამოსაღებად და მასთან დაკავშირებული რიტუალის შესასრულებლად. საამისოდ ხელმხარს გაინათლავდა (საკლავს დაკლავდა), რომ დროშა აება. დროშის გარეშე კულუხზე ვერ წავიდოდნენ. იახსრის ხატიონს სამი დროშა ჰქონდა. ერთს ზარი და ვერცხლის ჯვარი ჰქონდა შებმული, დანარჩენ ორს რკინის შუბები. აბრეშუმის თავსაფრები, ანუ დროშის ბაღდადები, ხალხისგან იყო შეწირული. იყო წმინდა სიპი, ანუ მასთან მხოლოდ წმინდა კაცებს შეეძლოთ მისვლა. ხვეისბერი ამ სიპზე აწყობდა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს. „პირველად აიღებდა ხელში მგზავრი დროშის ტარს, მოახვევდა წვერზე ერთ ბაღდადს, ჩამოაცმევდა ზედ ვერცხლის ბურთს, დაიწერდა პირჯვარს და იტყოდა: „დალოცვილო ჩემო სალოცავო იაგსარო, ნუ შამიწყინდები ჯორციელსა შენი წმიდა ხატის ხელის კადრებისათვის შემინდევე, დალოცვილო, რასაცა გცოდავ ჩემის ჯორციელობითა „აიღებდა ხელში ჯვარს, ემთხვეოდა და გაუკეთებდა ბაღდადმოხვეულ წვერზე. მერე თითოობით შეაბამდა ბაღდადებს დროშის ტარზე; შემდეგ მიაბამდა პატარა ზარს. ასევე მორთავდა სხვა ორ დროშის ტარსაც, ოღონდ წვერში უკეთდებოდათ შუბები რკინისა. კულუხზე წამსვლელნი ყველანი გაბანილ-გასუფთავებულები წმიდად მივიდოდნენ და გამგზავრებისთვის ყველაფრით მომზადებულნი იდგნენ, როცა ხვეისბერი დროშათ ააბამდა.“ ამ დროს ლუდით ან არაყით იტყოდნენ სადიდებელს. პირველად სასმელს ხვეისბერს მიარმევდნენ. ის სანთლებს დაანთებდა და მოკლედ დაილოცებოდა: „დიდება ძალსა

ღვთისასა, დიდება შენდა, კვირაჲ ცხოელო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო ღაღო იაჴსარო, მოგზაურო ანგელოზო. გვეედრებით და გეხვეწებით, ღაღო იაჴსარო, უშველე შენ ყმათა და ყმათაში შენის წმიდა დროშაის თნამყოლთა კულუხის მომტანთა, შენთა წამებულთა. შაიხვეწენ, ჩვენო სალოცაო, ღაღო იაჴსარო, მგზავრობა მშვიდობისა მიეც და მოსულთა ხიზან-ჯაღაფობა მშვიდობით დაახვედრე. შენდა სასახელოდ იყოს ეს სანთელ-კელაპტარი და ეს ზედაშე და ამ მგზავრთა სამწყალობნოდ.“ ხევისბერის დიდების შემდეგ ყველა იტყოდა: „ამინ, დალოცვილო ჩვენო სალოცავო, გვიშველე და გვიმგზავრნე მშვიდობითა.“¹ თასიანი სასმელით ყველა დაილოცებოდა, ხევისბერი დროშას ააბრძანებდა, გადაიწერდნენ პირჯვარს და გზას გაუდგებოდნენ. ერთ დღეში უკვე ზემო თიანეთში იქნებოდნენ, სადაც იახსრის ნიში და დროშის საბრძანისია. აქ გაათევენდნენ ღამეს. ადგილობრივები, ვინც ვერ ახერხებდა იახსრობას ფშავში გამგზავრებას და საკლავის შეწირვას, აქ მივიდოდა ხატიონთან, უხვდებოდნენ იახსრის დროშას, როგორც ალექსი ოჩიაური აღნიშნავს და სწირავდნენ საკლავს. მეკულუხე ხატიონი ზემო თიანეთში ღამეს ქეიფით და დროსტარებით ათევედა, დილით კი გეზს ახმეტისკენ აიღებდა. როგორც ალექსი ოჩიაური აღნიშნავს, „საღამო ხანზე ახმეტაში თავის მარანზე იყო იახსრის დროშა.“ ახმეტაში მეკულუხეები აუცილებლად ორშაბათს უნდა ჩასულიყვნენ. ახმეტაში იახსრის დროშის მიბრძანებასაც ბევრი ხალხი უხვდებოდა. „...ხევისბერი დროშას გადმოიღებდა, დაიჭერდა ორივე ხელში და მარცხნიდან მარჯვნივ ზარის წკარუნით მარანს შემოუვლიდნენ გარშემო. იყო შემთხვევა, როდესაც ვენახსაც შემოუვლიდნენ, თუ ეს იახსარისგან იქნებოდა ნაბრძანები. შემდეგ ხევისბერი დროშას მიაბრძანებდა თავის საბრძანის კოშკზე, მობრუნდებოდა და დაამწყალობნებდა იქ მყოფთ: „გწყალობდესთ ღაღი იაჴ-

¹ Ibid, ალექსი ოჩიაური, 65-66.

სარი, დროშისათვის მყოფი მოგზაური ანგელოზი იმის მლოცავთ: ყმათა და თანმყოფთა. ამ თავის საბრძანებლის და მისი მარნის კარის ლოცვა ნუ შეგანანასთ, სიხარულად გაგიჭადოსთ, და კვლავ უკეთესის გულით მიგაგებოსთ ამ დღესა.“ ხალხი ამ დროს ქუდმოხდილი იდგა პირ-ხევისბრისაკენ და პასუხობდნენ: „თქვენმც მწყალობელია“.¹ ფშავიდან მეკულუხეებს საკლავი ჰყავდათ წამოყვანილი, რომელსაც აქ კლავდნენ. საკლავის დაკვლის დროს ედგათ თასი, რომელშიც საკლავის სისხლი გროვდებოდა. ერთ-ერთი ხატიონი, ბალახით ასხურებდა სისხლს მარანს, შიგნით და გარეთ მიდამოს. მეზღვნეებიც, ვისაც საკლავის ამგვარად შეწირვა ჰქონდათ შეთქმული, სთხოვდნენ, რომ მათი საკლავის სისხლითაც გაენათლათ მარანი და მისი შემოგარენი. მეზღვნეებს საკლავთან ერთად ღვინო და საჭმელ-სასმელიც მოჰქონდათ მოსულებისთვის. ამავე სუფრებით ლოცავდნენ მიცვალებულებსაც. იწირებოდა სანთელი. საჭმლის ჭამისა და შესვენების შემდეგ, ერთ-ერთი დასტური, წამოდგებოდა სუფრიდან და შეწირულ სანთელს ჩამოქნიდა. ხევისბერიც და დასტურებიც დროებით ადგებოდნენ სუფრიდან. ხევისბერი „პირჯვრის წერით და მადლის თხოვით მარანში შევიდოდა, დასტურნიც თან შეჰყვებოდნენ, აუნთებდნენ სანთლებს, ამოიღებდნენ შუაფხოდან თანწადებულ საწირავთ, სანთელს ქვევრის (კოჭლაურას) პირზე დააკრავდნენ (ქვევრს წინასწარ ახდიდა ხევისბერი და გადაასუფთაებდა მის მიდამოს), საწირავთაც ქვევრის პირზე დააწყობდნენ, ერთ კოშ ღვინოს ამოიღებდნენ და ჩაასხამდნენ ნათავარს იმ ტიკში, რომლითაც შუაფხოში უნდა წაეღოთ ზედაშე, მეორედ სამ პატარა ვერცხლის თასს ავსებდნენ და იქვე ქვევრის პირთან პატარა სუფრაზე დადგამდნენ საწირთან ერთად. ხევისბერი შეუდგებოდა ლოცვა-დიდებათ.“² პირველად იახსარზე ილოცებ-

¹ Ibid, 66-67.

² Ibid, 67.

და. ბოლოს იტყოდა: „დიდება ღმერთსა, ქვეყნის დამაარსებელსა, რომელმაც გააჩინა კმელნი და გადახურა ცარვალნი, ამუშავნა კმელთა ზედა მწვანილნი და მცენარენი, გააჩინნა პურნი და ღვინონი თავისი დიდებითა ცხოველთა და კაცთა საარსოდ და თავის დიდი სახელის სადიდებად. დიდება შენდავ, კვირავ ძალიან-მადლიანიო, ხთის მადლის მოკარვეო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო დიდო იაჰსარო. თქვენამც იდიდებით ამ ქვეერ-მარანზე, დადგმულ ჭიქა-ბარძიმზე და დაჭვრეთილ სეფისკვერთაზე. ლალო იაჰსარო, მოგზაურო ანგელოზო, ქვეერისა და მარნის მცველო-მფარველო, თქვენ სწყალობდეთ იაჰსარის საყმთა, საყმთაში იახსარის ქვეერ-მარანზე მოსულთა, შენის სახელის მლოცავთა. გეხვეწებიან და გევედრებიან, ჩვენო სალოცავო, ლალო იახსარო, დღეს შენს ქვეერ-მარანზე დროშისად თანამყოლთა, ქვეერ-მარანზე მოსულთა, შენის სახელის მლოცავთა. გეხვეწებიან და გევედრებიან, ჩვენო სალოცავო, ლალო იახსარო, დღეს შენს ქვეერ-მარანზე მოსულნი-შენის სახელის მლოცავნი, წესისა დ რიგის მყენნი. ხვეწნა-ვედრება სასიხარულოდ გაუხადე, სასინანულოდ ნუ გაუკდი, დაეკმარე, დალოცვილო, ველთაცა და შინაცა' გზაში და მგზავრობაშიცა.“¹ დიდების შემდეგ ჯერ ხვეისბერი, შემდეგ დასტურები დაილოცებოდნენ და თითო თას ღვინოს დაღვედნენ. დასტური რიტუალურ პურს ჯვარედინად, დანით გასერავდა და კელავ შემსებული თასით მოიხსენიებდა, შენდობას ეტყოდა კოჭლაურის გამკეთებელ კოჭლ ოსტატს და ყველა იმას, ვისაც წვლილი ჰქონდა გაღებული იახსარის ვენახის მოვლა-პატრონობაში. ყველა შესვამდა შესანდობარს ამის შემდეგ, დაანთებდნენ კელაპტრებს, მარნის ყველა კუთხეში. ამ დროს უკვე ღამე იყო. დილით მეკულუხეები უკვე უკანა გზაზე უნდა წსულიყვნენ. კულუხი ხატში დღეობისთვის უნდა მისულიყო, რომლის გადადება არ შეიძლებოდა. კულუხის

¹ Ibid, 68.

მარშრუტიც დაგეგმილი იყო. ეს ხალხმა იცოდა და მეკუ-
ლუხეებს გზადაგზა ხედებოდა და წყალობას ითხოვდა.
ჯვარიონს ახმეტაში დილისთვის ბევრი საქმე ხედებოდათ
მოსასწრები, ამიტომ ღამის გათენება უწევდათ. ტიკებს
ოცდახუთი ჩაფით ავსებდნენ, საპალნეებად კრავდნენ და
ცხენებზე ამაგრებდნენ. ოცდახუთივე ხატში უნდა მიეტა-
ნათ. მეკულუხეებს პატარა ტიკებში სახარჯო ღვინოც
ჰქონდათ. როგორც ითქვა მლოცველი იმ ღამეს მისული
იყო და სუფრები, ღამისთევა იმართებოდა. გამთენიისას
ცხენებს ღვინოს აჰკიდებდნენ, ხევისბერი დროშას ააბძა-
ნებდა, მარნის შიგნით დროშით შემოუვლიდა, გამოსვლი-
სას ღვინიანი თასით დაილოცებოდა და გამოემგზავრე-
ბოდნენ. ხალხი საჭმელ-სასმელით და სიმღერებით შორ
მანძილზე გააცილებდა. ახმეტიდან მეკულუხეები კვლავ
ზემო თიანეთში, იახსრის ნიში სადაც იყო, იქ მივიდოდ-
ნენ. აქ მათ ბევრი მლოცველი ხედებოდათ. ხევისბერი
დროშით ხელში კოშკთან გაჩერდებოდა და ხალხს დალო-
ცავდა. დროშას კოშკთან დააბრძანებდა, დაისვენებდა. იკ-
ვლებოდა საკლავები, იშლებოდა სუფრები. ხატიონი ხალ-
ხთან ერთად ღამეს გაათევდნენ და დილით მეკულუხეები
ფშავისკენ გამოემართებოდნენ. მეკულუხეები იორს გამო-
უყვებოდნენ და მისელურზე, შუაფხოს პირდაპირ მდებარე
მაღალ მთაზე გაჩერდებოდნენ. შემდეგ, თოფების სრო-
ლით, შუაფხოს ხევისკენ გამოემართებოდნენ. ხალხი თო-
ფის ხმას იგებდა და მეკულუხეებს გარკვეულ ადგილას
ხედებოდა. შუაფხომდე კულუხის პროცესია კიდევ ჩერდე-
ბოდა რამდენიმე ადგილას. კოპალას ხატის მეკულუხეები
იახსარში დროშით უნდა მისულიყვნენ და იახსრის დრო-
შას შუაფხოში დახვედროდნენა, გზაში მიეგებებოდნენა.
ჯერ დროშები შეხვედებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ ხევის-
ბრები ხელს ჩამოართმევდნენ ერთმანეთს და გადააკოცნიდ-
ნენ. შემდეგ ორივე დროშას საბრძანისში დააბრძანებდნენ.
იკვლებოდა საკლავი, იშლებოდა სუფრა, ხევისბრები ლო-

ცავდნენ ხლხს. კოპალას მეკუღუხეები სადამომდე რჩე-
ბოდნენ შუაფხოში.¹ 2010 წელს იახსარისა და კოპალას
ხევისბერებმა გვითხრეს, რომ მათ ისევ აქვთ კახეთში
ზვრები და ისევ მოაქვთ კუღუხი. უდაოა, რომ ძველებური
წესები გამარტივებულია. იოსებ კოჭლიშილმა, კოპალას 84
წლის ხევისბერმა, გვითხრა, რომ იგი 2005 წელს იყო კუ-
ღუხე. მისთვის ამ წესის შესრულება იოლი არაა, ვინაი-
დან ცხენით ვერ მიდის და დროშას, როგორც თავად აღ-
ნიშნა, მანქანით ვერ წააბრძანებს. საბჭოთა პერიოდში,
როგორც იახსარის ხევისბერმა გვიამბო, კომუნისტები მეკუ-
ღუხეებს არბევდნენ და ისინიც დიდხანს და წვალებით
ჩადიდოდნენ ახმეტაში ღვინის წამოსადებად.²

საყეინოს და მასთან დაკავშირებული ტრადიციის
წარმოშობის შესახებ განსხვავებული გადმოცემები არსე-
ბობს. ზოგის თქმით, ყეენობის დროს,³ ყაენისთვის თასში
გროვდებოდა ფული, რის გამოც ამ თასს საყეინო დაერ-
ქვა. ყაენს მიჰქონდა საქართველოში შეგროვილი ქონება
და ხალხიც დამონებული იყო. მთხრობელ ლევან თათა-
რაშილის მონათხრობის მიხედვით, ერთხელ, როდესაც
თათრები საქართველოს შემოესიენ, ყაენის ბრძანებით,
როდესაც ფშავი დაარბიეს, სხვა მძევლებთან ერთად, ვინ-
მე სახელოვანი ფშაველის, ლუხუმის ორი ვაჟი გაიტაცეს.
ერთ-ერთი, დაჭაური ყეენს ძალიან მოეწონა და იშვილა.
მანაც, წლების განმავლობაში, მამობილს ერთგულება და-
უმტკიცა. თუმცა, ნახა რა მთიელთა და მათ შორის ფშა-
ველთა გასაჭირი, მოსახლეობასა და სხვა ქართველ ტყვე-
ებთან ერთად, დაამარცხა თათრები და ყაენი. მისი ნადავ-

¹ Ibid, 70-75.

² ნინო ღამბაშიძე, ფშავის 2010 წლის ეთნოგრაფიული ექსპედი-
ცია, ხელნაწერი.

³ ყაენი იყო მეფის ტიტული ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, [http://www.ice.
ge/liv/liv/ganmartebiti.php](http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php), 08.03.2018.

ლი თან წამოიღო და სურდა ხალხისთვის დაერიგებინა. ხალხმა იუარა, ეს ნადავლი შენ გეკუთვნისო. მაშინ დაჭაურმა განძი ხატებს შესწირა. აფხუშოს წმ. გიორგის, რომლის ყმაც დაჭაური იყო, ყაენის მუხარადი შესწირა, რომელიც საყეინოდ იხმარებოდა. მართალია ლაშარის ჯვარს ბევრი შესწირა, მაგრამ იგი მაინც გამწყრადა. მოლაშქრე ვარ და მუხარადი მე მეკუთვნოდაო. ლაშარმა დაჭაურს მუხარადი მიატანინა და უშვილობით დასაჯა. როდესაც საყეინოს დღეობის ბოლოს გამოიტანდნენ, ავსებდნენ ღვინით და ყველას, ვისაც მისი დაღევა უნდოდა, თასში ფულს აგდებდა. დაჩოქილებს ისე უნდა დაეღიათ, რომ ხელით არ შეხებოდნენ. ერთხელ ჩაგდებულნი თანხა ერთი დაღევის საფასური იყო. ხალხი ერთმანეთსაც პატიუბდა. ვერცხლის ფულს ღვინიან თასში აგდებდნენ, ქაღალდისას სხვა ცარიელ თასში. ფულს ხატის მსახურები ინახავდნენ და ხატის საჭიროებებს ახმარდნენ. ხევისბერი შეგროვილ ფულს სახალხოდ თვლიდა, და დასტურებს გადასცემდა შესანახად. საყეინოს წესი ლაშარის პიროფლიანთა შესანდობარი იყო. პიროფლიანებში იგულისხმებოდნენ ის მეომრები, რომლებიც ლაშარის დროშის ქვეშ, ასევე სამშობლოსათვის იბრძოდნენ და დაიღუპნენ. ანდა ქისტებთან და თათრებთან მებრძოლები. პიროფლიანები იმიტომ იყვნენ, რომ გამეტებით და თავდადებით იბრძოდნენ. „დადლილები და ოფლიანები დაიხოცნენო.“ იახსრობის საყეინოს წესის შესრულების წინ ხევისბერი დროშას მიიტანდა იქ, სადაც საყეინო იყო. მარჯვენა ფეხზე დაიბჯენდა დროშის ტარს. საყეინოს თასში ჩაასხამდნენ ღვინოს, მიაკრავდნენ ანთებულ სანთელს და ხევისბერი იტყოდა დიდებას. ამის შემდეგ შენდობას ეტყოდნენ ლაშარის პიროფლიანთა. „შეიწყალოს ისინი ღმერთმან, ნათელი დააყენოს იმათ სულს საიქიოსა“ – უპასუხებდა ხევისბერს შესანდობრის დასრულების შემდეგ. ხევისბერი დროშას თასზე რამდენჯერმე გაარხევდა, მუხლზე დაჯდებოდა, რამდენიც უნდოდა იმ-

დენს დალევდა საყეინოდან ისე, რომ დროშა ხელში ეჭირა. ადგებოდა, დროშას კვლავ გაარხევდა და მისთვის განკუთვნილ ადგილზე დააბრუნებდა. ამის შემდეგ, ერთი კაცი ტიკს ზურგზე მოიკიდებდა, საყეინოსთან ახლოს დაჯდებოდა და ტიკის პირს მარჯვენა მხრიდან „საყეინოსკენ გამოუშვებდა.“ ამის შემდეგ იწყებოდა საყეინოში ჩასვლა. როგორც ითქვა, მსურველი საყეინოს წინ მუხლს მოიყრიდა, ლაშრის პიროფლიანთ შენდობას ეტყოდა, ღვინით სავსე თასში ფულს ჩააგდებდა და ღვინოს ისე დალევდა, რომ თასს ხელს არ მოკიდებდა. ღვინის დაძალებაც იცოდნენ და ამ წესის შესრულებას მხიარულებაც სდევდა თან. აღექსი ოჩიაური არ ეთანხმება მთხრობლის მოსაზრებას, რომ საყეინო იმიტომ დაერქვა თასს, რომ ყაენისთვის იყო წართმეული. თავად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს საყეინო ყველიერის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ყეენს უკავშირდება; როდესაც თასში ფული გროვდებოდა, რომლითაც ამ მხიარული დღეობის მონაწილეები სანოვაგეს ყიდულობდნენ და იღებდნენ.¹ ხევესურეთში, ხახაბოს ერთ-ერთ ჯვარშიც სცოდნიათ საყეენოს შესრულების წესი. მლოცველები წესის შესრულებისას ასე იტყოდნენ: „შაუნდნას, მააჰმარას ღმერთმა ლაშარის ჯვარის ლაშქარში დაჯოცილთ, მუჭლით მაშვრალთ, პირით მწყურვალთ.“²

საყეინოს წესთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა ხათუნა იოსელინმა. იგი თეიმურაზ II დაყრდნობით ვარაუდობს, რომ *საყეინო*, *საყენი* და *საყანი* ერთი საერთო ქართული „რიტუალის ან დღეობის საფუძველზე აღმოცენებული სახვადასხვა ფორმით ჩამოყალიბებული წესებია. საყენი რელიგიური დღესასწაულების, ქორწილის და სამგლოვიარო სუფრის წესი იყო; კერძოდ, სადღევრძელოს შესმის გარკვეული წესი, რომელიც „სადღევრძელ-

¹ Ibid, აღ. ოჩიაური, დღეობები, 150-154, 77-80.

² Ibid, ბარდაველიძე, ფშავი, 32.

რიტუალის“ სახით მოვიდა ჩვენამდე. ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ხათუნა იოსელიანი აღნიშნავს, რომ *საყენი* ყენებას, დგომას, დაყენებას ნიშნავს. ფაქტობრივად ლინგვისტური მასალა მის მიერ მოხმობილ ეთნოგრაფიულ მასალაშიდაც ჰპოვებს დასაყრდენს. *საყენი*, *საყ-იანი* (სვანური) ფეხზე დგომით, გარკვეული წესის მიხედვით შესასრულებელი სადღეგრძელოა. გარდა ეთნოგრაფიული მასალისა ხათუნა იოსელიანს თეიმურზის დღე-ღამის გაბაასებიდანაც მოჰყავს ნაწყვეტი.

„დრო მოვა საყენოსი,
ყველა ადგება ფეხზედა,
ასე ასმევენ ზემდგომთა,
თასს არიგებენ მსმელზედა,
გაათავებენ თავისს მსმელს,
პირს აკოცებენ ზეზედა“¹

ფშაური საყენო *საყიანს* და *საყენს* იმით ჰგავს, რომ სამივე რიტუალური სადღეგრძელო, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ერთი და იგივე რიტუალების დასასრულს ისმება (დღეობები, ქორწილი, სამგლოვიარო სუფრა). თავად ტერმინი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დგომას ნიშნავს და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უნდა დაილიოს სადღეგრძელო. ფშაური საყენო მუხლზე ჩოქით და ხელშეუხებლად ისმება. თუმცა, ეს საერთო წესის კუთხური ნაირსახეობაც შეიძლება იყოს. შესაძლოა ფშაური საყენო საერთო ქართული წესის ამსახველი ტრადიციაც იყოს, მაგრამ მასში, ჩვენი აზრით, აშკარადაა არეკლილი ბახტრიონის ომთან დაკავშირებული მოვლენებიც. ვფიქრობთ, პიროფლიანთა შესანდობარი ღვინით ბახტრიონის ომის შემდგომ უნდა დაწესებულიყო, როდესაც ფშავ-ხევსურებს კა-

¹ ხათუნა იოსელიანი, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში (თბილისი: მემატიანე, 2005), 102-115.

ხეთში მეფისგან ზვრები ებოძათ. პიროფლიანთა შორის ალბათ, მეტადრე ბახტრიონის გმირები უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან ჩვენთვის არ არის ცნობილი სხვა იმაზე სახელოვანი ბრძოლა, ვიდრე ბახტრიონის, რომელშიც ლაშარის დროშა იბრძოდა. და ბოლოს, ბახტრიონი ბრძოლასთან კავშირში საყეინო ალავერდობის დასასრულს დალაობის წესის შესრულებას გვაგონებს. გვაგონებს თავისი მიზანდასახულობით. როგორც ცნობილია, ალავერდობის დღესასწაულს თავისი სპეციფიური რიტუალური დასასრული ჰქონდა. ალავერდის ეზოში 200–300 ცხენოსანი თუში იკრიბებოდა და ომში განსაკუთრებით ბახტრიონის ომში, დადუპულთა სულეებისათვის დალაის სიმღერით გარს უფლიდა ალავერდის ტაძარს. ჩვენი მთხრობლის თქმით ცხენოსანი თუშები ზემო, ქვემო ალვანიდან და სოფელ ლალისყურიდან იკრიბებოდნენ, სამჯერ უგლიდნენ ალავერდის ტაძარს და „ადალავებდნენ“.¹ როგორც ცნობილია, დალაობა მიცვალებულის სულისთვის გამართული რიტუალური დოღია, რომლის დროსაც ამ რიტუალისთვის განკუთვნილი ნატირალი-დალაი სრულდება. საყეინოს შემთხვევაში, დადუპულ მეომართა მოსაგონებლად და მათი სულეების შესანდობრად განსაკუთრებული და სავალდებულო სადრეგრძელო ისმება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული პომპეზურობით, რიტუალურობით და სადღესასწაულო განწყობით ახალკვირის ლაშარობა გამოირჩეოდა. ადგომის მესამე კვირას ანუ ადღგომის სწორის სწორზე ფშავის თორმეტივე თემი სათემო დროშებით ლაშარში იყრიდა თავს.

¹ ნინო ღამბაშიძე, 2008 წლის კახეთის ეთნოგრაფიული მივლინება; მგოსანნი გლოვისანი, ტექსტები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნანული აზიკურმა (თბილისი: მეცნიერება, 1986), 74; კარბელი, ალავერდობა (14 სექტემბერი), „სახალხო ფურცელი“, 383(1915), 4; მათე (მათე იანქოშვილი), დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი), „ივერია“, 203(1900), 3.

აღექსი ოჩიაურის აღწერილობის მიხედვით¹ რიტუალი ასე იწყებოდა: სოფ. გომეწორის კოპალას ხევისბერი ხელ-მხარს გაინათლავდა, დროშას ააბრძანებდა და შუაფხოსკენ გაემართებოდა. მას ლაშარის ჯვრის მლოცველები გაჰყვებოდნენ. მათ დაახლოებით 30კმ. უნდა გაეელოთ, რომ ლაშარში მისულიყვნენ. მლოცველებს საკლავებიც მიჰყავდათ. გზად ისვენებდნენ, სვამდნენ და ილხენდნენ. პროცესია, რომელსაც წინ ხატის დროშა მიუძღვოდა, მივიდოდა სოფ. შუაფხოში. ხალხი ჭალაში დაბინავდებოდა, დროშა კი იახსრის ხატში მიბრძანდებოდა. დროშის ხმაზე ხატის მსახურები გამოვიდოდნენ, მედროშე დროშას ააბრძანებდა და კოპალას დროშას გზაში მიეგებებოდა. ხატის მსახურები წინ წადგებოდნენ, უხმოდ მხრებიდან დროშებს გადმოიღებდნენ და ერთი დროშის ჯვარს მეორისას ისე დაადებდნენ, თითქოს ადამიანები ეამბორებიანო. შემდეგ განზე გადგებოდნენ, ერთმანეთს სიტყვიერად მიესალმებოდნენ, ხელს ჩამოართმევდნენ, გადაკოცნიდნენ და ეტყოდნენ: „ბწყალობდეთ ჩვენი სალოცავები. ბევრი ეს დრო მშვიდობისა მოგვგაროსთ დალოცვილმა, მშვიდობისა და კარგად ყოფნისი.“ ანთებდნენ სანთლებს, მიაკრავდნენ ლუდიან კოშხე და იახსრის ხევისბერი ფშავის სალოცავებს ადიდებდა. დიდებას ლაშარით იწყებდა, რასაც თორმეტივე სათემო სალოცავის გადიდება მოჰყვებოდა. ყოველ ჯერზე ლაშარის ყმებს ამწყალობნებდა. ბოლოს მოსვამდა ლუდს და კოშხს მოსულ ხევისბერს გადასცემდა. ახლა ის დაამწყალობნებდა ლაშარის ჯვრის ყმებს. ისიც ცოტას მოსვამდა, გადაულოცავდა დასტურებს და ბოლომდე მანამ ჩამოარიგებდნენ, სანამ ლუდი მთლიანად არ დაილეოდა. ამ პროცესიას აქვე, შუაფხოში, თუ უძილაურთას კოპალას დროშაც შემოესწრებოდა ხოლმე, მაშინ დროშებისა და ხევისბრების შეხვედრა იგივე წესით ხდებოდა. იახსარში სტუმრად მოსულ ხატის მსახურებს გაუმასპინძლდებოდ-

¹ ჩვენ მისი აღწერილობის მიხედვით მოვიყვანთ მასალას.

ნენ, რის შემდეგაც დროშებს ააბრძანებდნენ და ლაშარისაკენ წავიდოდნენ. პროცესიას წინ მიუძღვოდა ის დროშა, რომლის ხევისბერიც უხუცესი იყო. პროცესიას გზაში ცაბაურთა თემის მთავარანგელოზის დროშა შეხვედებოდათ. დროშები ერთმანეთს ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით ხვდებოდნენ. ჯერ დროშის ჯვრებს დაამთხვევდნენ, შემდეგ ხევისბრები გადაკოცნიდნენ ერთმანეთს. მისალმების შემდეგ პროცესია გზას აგრძელებდა. ამ გზაზე პროცესიას ხვდებოდა: გოგოლაურთ წმ. გიორგის, მუქუს ღვთისმშობლის, მათურის მთავარანგელოზის, ხოშარის თამარწვის, ჭიხოს პირცეცხლის, ახადის პირქუმის, წითელაურთის კოტიას წმ. გიორგის, უკანაფშავის წყაროსთაურის და ხახაბოს წმ. გიორგის დროშები, თუ ხახაბოდან მთაზე გადმოსასვლელი გზა გახსნილი იქნებოდა. მისალმება ხსენებული წესით სრულდებოდა. გზადაგზა ყველა სალოცავში სანთლებს დაანთებდნენ და გაადიდებდნენ. გადიდება თურმე, ძველად მხოლოდ ღვინოზე ან ლუდზე შეიძლებოდა, არაყზე არა. თუ ღვინო და ლუდი არ იქნებოდათ გაადიდებდნენ თაფლ-წყალზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, წყალში პურს ჩაყრიდნენ და ისე. ბოლოს ყველა თავს ლაშარში მოიყრიდა და ყველა დროშას ლაშარის განიერ კოშკში დააბრძანებდნენ. ყველა დროშას, რომელიც ხმელგორზე მივიდოდა ლაშარის დროშა და სხვა, იქ მყოფი, უფრო ადრე მისული დროშები გამოეგებებოდნენ და აღწერილი წესის მიხედვით მიესალმებოდნენ მისულს. ლაშარში 12 თემის დროშას მეცამეტე ლაშარის დროშა ხვდებოდა. რიგითობის მიხედვით, მარჯვნივ ჯერ ლაშარის ჯვარის დროშა დაბრძანდებოდა, შემდეგ კოპალასი, იახსრის და ა.შ. ცოტახნის შემდეგ ლაშარის ხევისბერი სასანთლესში ჯერ ლაშარს დაუნთებდა სანთლებს, შემდეგ კი ყველა თემის მოტანილ სანთლებს აანთებდა მათი სალოცავების სახელზე. სანთლების დანთებას დიდი სამღვთოობა მოსდევდა. იგი „დაწესებულია ჭირვეულობის, ქარ-სეტყვის და

მიწისძვრის თავიდან ასაცილებელ სახვეწრად. ამით სთხოვდნენ ღაშარის ჯვარს და ყველა ხთიშვილს, რომ იშუამდგომლონ იმ ანგელოზთან ან ღთისშვილთან, რომელთაც აქვთ მოლოცვილი ისეთი მოვლენების მოვლენა ქვეყნად, რომ თავიდან ააცილონ ქვეყანას ზარალი...“¹ ყველა თემი მიიყვანდა საუკეთესო საკლავს ღაშარისთვის, თავისი სალოცავისთვის და „კვირაისათვის“, რომელსაც მეორე დღეს „საკვირაოში“ გადაიხდიდნენ. კიდევ ერთი საკლავი ჰყავდათ, რომელსაც უკანა გზაზე დამასტურს უკლავენ. აქ ყველა დროშას უნდა გამოეწყო. ღაშარისთვის განკუთვნილ საკლავს მხოლოდ ღაშარის ხევისბერი დაკლავდა. თუ რაიმე მიზეზის გამო ის აქ არ იქნებოდა, მისი შეცვლა მხოლოდ კოპალასა და იახსრის ხევისბერებს შეეძლოთ. სათემო საკლავებს თავიანთი ხევისბრები დაკლავდნენ. ყველა საკლავი დღეობაში მოიხარშებოდა. ღაშარში, როგორც აღინიშნა, ყველა თემს თავისი საჯარე ჰქონდა, სადაც ხატის მსახურები და მლოცველი იკრიბებოდნენ. მლოცველი ბევრი სცოდნია ამ დღეობასაც. ყველას სახლიდან საჭმელ-სასმელი მოჰქონდა და თავიანთ სათემო საჯარეში მართავდა სუფრას. მედღეობები ერთმანეთს თავიანთ საჯარეებში ეპატიჟებოდნენ. იმართებოდა ღვინი. მდგროდნენ ფერხისულ სიმღერებს, ძირითადად ღაშარის ჯვარსა და ფშავლების გმირობაზე. მეორე დღეს, მლოცველები ღაშარის პირდაპირ, არაგვის მეორე ნაპირზე მდებარე საკვირაოს ხატში გადიოდნენ, მანამდე კი ღაშარის ცნობილი საბჭო იმართებოდა, სადაც ირჩეოდა, როგორც საერთო საფშავლო, ასევე, ცალკეული სათემო საკითხები. საბჭო ძირითადად ხატობისას იმართებოდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სხვა დროსაც. საბჭო რომ დამთავრდებოდა, ღაშარის ხევისბერი სანთელზე და თასზე აღიდებდა ღაშარს და ფშავის ყველა სიწმინდეს. დიდებისას ყველა თემის ხატის მსახურს თავის დროშა

¹ Ibid, აღ. თხიჯური, ფშავი, 191.

ეჭირა და ზარს ნელა აუღარუნებდა. თასზე ყველა ხევისბერი ამწყალობნებდა ლაშარის ყმებს. დროშებს საკვირაოსკენ ლაშარის ჯვარი გაუძღვებოდა. ხალხი ფერხისას სიმღერით გაჰყვებოდა ხატიონს. კვირაში მსახურობდნენ ლაშარის ხევისბრები. ეს ხატიც საერთო საფშავლო ხატი იყო და ყველა თემს ეკუთვნოდა. აქაც ხსენებული წესით შესრულდებოდა სადიდებელი. მწყალობნდებოდა ყველა. ხალხი პირით ხატისკენ იდგა და ევედრებოდა კვირას მათთვის ეშუამდგომლა. ლაშარის ხევისბერი ყველას მოტანილ კელაპტრებს ანთებდა სასანთლეში. ამის შემდეგ, აქაც სათემო საკლავები დაიკვლებოდა ლაშარის ხევისბერის წინამძღოლობით. „აქაც ზღვნობა-სანთლობას დიდი სამხთო ანუ ფშაველთა სამხთო ეწოდებოდა.“ ამის შემდეგ, ხალხი საკუთარ საკლავებს სწირავდა. იმართებოდა ღვინი. სათემო სუფრაზე ისმებოდა ძველი ხევისბრების, დასტურების, მიცვალებულების სადღეგრძელო. ხატიონი ცალკე იჯდა, ხალხი ცალკე. მეორე დილით კვლავ ღვინი იმართებოდა. შუადღეს ლაშარის ხევისბერი ისევ ანთებდა სანთლებს, დარეკავდა ზარს და ლაშარის ყმებს დაამწყალობნებდა. ხატიონი დროშებით წინ გაუძღვებოდა თავიანთ ყმებს. გამოემშვიდობებოდნენ ლაშარის დროშას და შინისკენ გამოემართებოდნენ. ამჯერად, უკანაფშავის, წითელაურთის, ახადის, ხოშარისა და ჭიჩოს დროშები სხვა გზით დაბრუნდებოდნენ, ისე რომ დამასტურს ვეღარ გაივლიდნენ¹.

ვფიქრობთ, ლაშარის წმინდა გიორგის მთავარი სიწმინდეები ცნობილი წმინდა მუხის ხე და გიორგი IV ლაშას მიერ სალოცავისთვის ნაჩუქარი ჯვარი (სხვა სიწმინდეებთან ერთად) და ეკლესიაა, სადაც ეს ჯვარი და დანარჩენი სიწმინდეები ინახებოდა. მუხის ხე, რომ უპირველესი სიწმინდე იყო ლაშარის, ეს მის სრულ სახელწოდებაშიდაც ჩანს. მას ვერა ბარდაველიძე, როგორც ზემოთ

¹ Ibid, 189-192,194-197.

აღვნიშნეთ, ლაშარის გიორგი-გიორგი მუხის ანგელოზად მოიხსენიებს. ამას გარდა, ლაშართან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ ეს წმინდა მუხაა ნახსენები. ალექსი ოჩიაურის მასალების მიხედვით, მუხაზე ციდან სვეტი იყო ჩამოსული. ეს დიდი მუხა ცას ოქროს შიბით იყო მიბმული, როგორც ხევსურეთში ხმალას მირონმდინარი ალვის ხე. ბერმუხის უცნაური ფოთოლი ზურაბ ერისთავმა ჟინვალში ნახა და აქედან შეიტყო სასწაულებრივი და წმინდა მუხის შესახებ, რომელიც ცას ოქროს შიბით იყო მიბმული; და რომ წმ. გიორგი (თიანური ვერსიით ლაშა გიორგი) ზეცაში, ღმერთთან ამ მუხის მეშვეობით ადიოდა.

წმიდა გიორგი მეც ვიყავ,
ცას ვები ოქროს შიბითა,
ხმელგორზე მედგა ბერმუხა,
ზედ ავდიოდი კიბითა,
ჩემს საყმით შემონადღვენი
ღმერთთან ამქონდა იქითა.

ანდა

დიდი ვარ ლაშარის ჯვარი,
ცას ვები ოქროს შიბითა,
ბევრ-ბევრმა მურგვლით მიარა,
ვერვინ დამწონა შიშითა...
სულერულმა ერისთვიშვილმა
ამამაბრუნა ძირითა.
სულერულმა აფციაურმა
გამყიდა თავის პირითა,
სანამ იმისი ძე არის,
მე ამოვაგებ ჭირითა,
უკულმ ჩაუდევ საყელო

თავის ქალ-ქალიშვილითა.¹

ზურაბმა მუხის მოჭრა მოინდომა. მოისყიდა ვინმე აფციური, მაგრამ ხე ნაჯახის დაკვრაზე ისევ მთელდებოდა. ზოგის თქმით, მოჭრისას ნაფოტი მუხას ისევ ეკვროდა.² თიანური ვერსიის მიხედვით კი, რაც მეტად მოხვედებოდა ხეს ცული, მით მეტად სქელდებოდა მისი ტანი. ზურაბი სასტიკად გაბრაზდა ფშავლებზე, იცით, რატომ არ იჭრება და არ მეუბნებითო. ერთხელაც, ახადელმა აფციურმა მოსყიდულს ასწავლა: ციცა ანუ კატა უნდა დაკლა მუხის ძირში, ხეს ანგელოზი ვეღარ მიუდგება³ და მოიჭრებაო. ამ წესით მუხა მართლაც მოიჭრა. თიანური ვერსიის მიხედვით, ზურაბმა საწადელს რომ ვერ მიაღწია, გაბრაზებული ფშავლებს დაერია. ერთ-ერთ მოხუც ფშაველს ვერ გაუძლია ხალხის ტანჯვისთვის და ერისთავისთვის ხის მოჭრის საიდუმლო გაუნდვია. მოჭრილი ხის შიბი ზეცაში წუილით ასულა, მუხა გადაქცეულა და წვერით გაღმა დაცემულა, იქ, სადაც საკვირაოს ხატია ახლა.⁴ თიანური ვერსიით, ბერმუხას 3 ნაფოტი გავარდნია. ერთი ადგილზევე დარჩენილა, მეორე ხატხევში გადმოვარდნილა, მესამე წყალში ჩავარდნილა და მისი ბედი აღარავინ იცის. აი რას წერს ვერა ბარდაველიძე ბერმუხაზე: „ბიჭურ ბადრიშვილი აღნიშნავს: „ლაშარის ჯვარის ბერმუხას დიდი სახელი ჰქონდა. ეს მუხა ისეთი მაღალი და გამხვივებული ყოფილა, რომ მზის ამოსვლისას ის ხოშარაში ფორის საფენს ჩრდილავდა (მანძილი ლაშარიდან ხოშარამდე სწორი ხაზით დაახლოებით 2კმ. იქნება). ზურაბ ერისთავი

¹ ხალხური პოეზიის ანთოლოგია, შედგენილი ზურაბ კიკნაძისა და ტრისტან მახაურის მიერ (თბილისი: მემკვიდრეობა, 2010), 15.

² ნინო ღამბაშიძე, ფშავის 2010 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ხელნაწერი.

³ Ibid.

⁴ Ibid, აღ. ოჩიაური, ფშავი, 200-201;

ედავებოდა ფშავს. ხალხი არ ეყმო ზურაბს და მოჭრა მუხა... აფციური ვერ ჭრიდა ბერმუხას და – შალიგაურები რომ იყვნენ, იმათ შავშალვამ, აჯადელმა შავშალიკამ ასწავლა: ციცა დაკალი, იმის სისხლი მოასხი, ხე მოიჭრებო. ამის მერე მოლაღატეს ვწყველიდით: ახალწელიწადს ჰვეისბერი დაიძახებდა – „შაუნდე შავშალიკას შავი ბაღლითა, შავი სანთლითა, შავი ციცაითა და შავი ძაღლითაო!“ და ხელუკუღმა თასს გადააყუდებდა, ლუღს გადაღვრიდა.“... ბერმუხა რომ მოუჭრიათ, იმისი წვერი ლაშარის გორის პირდაპირ, ჰვეს გაღმა კლდეს დასცემია და იქ ფშავლებს ბერმუხის სახელზე კოშკი აუგიათ. ჰვეის გაღმა კლდეზე დღესაც მოსჩანს სახატო კოშკიო.“ თვით ლაშარის ჯვარში, იქ, სადაც ბერმუხა მდგარა, ამჟამად სიპი ქვებია დაწყობილი „საფენად“. ბიჭურის თქმით, ეს „საფენი ჩაბრუნებულია“ და საფენის კიდევებზე გარშემოვლებულ ნაყარ ქვებთან ერთად იგი იცავს ბერმუხის ფესვებს ზედმეტი ნამისა და დაღპობისაგან.“¹

დღესასწაული, მით უფრო ხალხური, ისევე, როგორც ტაძარი, ფენებისა და შრეებისაგან შედგება. არქეოლოგიური გათხრების დარად, დღესასწაულების შესწავლისას, მკვლევარს ჩაღრმავება და ძიება გიწევს. ზოგჯერ ბედი გაგიღიმებს და შემორჩენილი, თუნდაც მცირე ფაქტობრივი მასალა, საშუალებას გაძლევს მიუახლოვდე მიკარგულ ფენებს. ამგვარმა, ასე ვთქვათ, „ეთნოლოგიურმა არქეოლოგიამ“ ლაშარობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, სამი ფენა გამოავლინა. აქედან ორი უკავშირდება ქრისტიანულს და ერთი წინაქრისტიანულ პერიოდს.

გვიანდელ პერიოდს, რომლის შესახებაც უფრო მეტი ვიცით, ბუნებრივია, მისი ჩვენთან სიახლოვის გამო, წმ. გიორგის პერიოდს დავარქმევდით. იგი არაუგვიანეს X ს.

¹ Ibid, ბარდაველიძე, ფშავი, 38-39; მისივე, Ibid, ივრის ფშავლები, 37-38.

უნდა იღებდეს სათავეს. როგორც ირაკლი სურგულაძე აღნიშნავს, წმ. გიორგის საქართველოში იმთავითვე სცემდნენ თავყვანს, მაგრამ IX საუკუნიდან ქართველებისთვის იგი იმდენად მნიშვნელოვანი წმინდანი გამხდარა, რომ მის სახელს ქართველ მეფეებს არქმევდნენ.¹ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, გიორგი მეომარი წმინდანია და მისი შემწეობა ბრძოლებში საქართველოს ძლიერ სჭირდებოდა. ეს შემწეობა ქართველებმა მომდევნო საუკუნეებში არა ერთხელ გამოსცადეს, რაზედაც ქართული საისტორიო წყაროებიც საუბრობენ. თუმცა, პირველ ქართველ მეფეს გიორგი XI საუკუნის დასაწყისში (1002 წ.) დაარქვეს (გიორგი I მეფობდა 1014-1027 წწ.), რაც ჩვენი აზრით ლაშარობის დღესასწაულის ფენების გამოყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ რატომ, ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღბათ, საქართველოში არ მოიპოვება ისეთი სალოცავი, რომელიც ლაშარზე მეტად იყოს ლაშქრობასთან დაკავშირებული. ვიფიქრობთ, ეს არცაა გასაკვირი. იგი სამმაგად უკავშირდება ძლიერ, პოპულარულ, მეომარ წმინდანს. ლაშარი წმ. გიორგის სახელობისაა, აქ ინახებოდა წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი, რომელიც ქართველი მეფის, გიორგი IV ნაჩუქარი იყო და რომლის პატრონაჟის ქვეშაც უნდა ყოფილიყო ლაშარის წმ. გიორგი. ეს წმინდა ნაწილი აღბათ, წმ. გიორგის ფიზიკურ მყოფობასაც განაცდევინებდა მთიელებს ბრძოლების დროს. ვიფიქრობთ, ზემოთქმულის გამო, ლაშარი ძლიერ მებრძოლ ღვთაებად ითვლებოდა.

ამგვარად, მოსახრება, რომ ლაშარი მოლაშქრე ღვთაებაა, ჩვენი აზრითაც, სიმართლეს შეეფერება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ სალოცავის წმინდა გიორგის პერიოდს. მხოლოდ ვერ გავიზიარებთ იმ მოსახრებას, რომ

¹ Давид Мухелишвили (ред.), Иракли Сургуладзе, Святой Георгий в грузинских религиозных верованиях, в “Очхари“ (Тбилиси: Мематiane, 2002), 370.

ლაშარის ეტიმოლოგია მოლაშქრეს ნიშნავს. ჩვენ ვემხრობით იმ შეხედულებას, რომ მისი ეტიმოლოგია გიორგი IV ლაშას სახელს უკავშირდება, მით უფრო, რომ ლაშარი თამარ მეფეთამარ დედეს სალოცავთან ერთად ქმნის დღესასწაულის ერთიან ციკლს და მითოლოგიურად ეს ორი სალოცავი ხალხის წარმოდგენაში მოდებოდა. მას გარდა, ხალხი სალოცავს მეფის სახელითაც მოიხსენიებდა და მას ლაშას უწოდებდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, მაგალითად ქეთევან ლომთათიძე, ივანე ჯავახიშვილის ცნობილი მოსაზრებიდან გამომდინარე, მიიხსენებს, რომ ვინაიდან ლაშარი წმ. გიორგის სახელობისაა, ის წინაქრისტიანულ პერიოდში მთვარის სალოცავი იყო. წარმართული საქართველოს უპირველესი ღვთაება მთვარე შეერწყა წმ. გიორგის კულტს და მოგვიანებით მექანიკურად დაუკავშირდა მეფე ლაშა-გიორგის.¹ ცნობილი ქართველი ეთნოლოგი ირაკლი სურგულაძე ღრმად იყო დაინტერესებული წმ. გიორგისთან დაკავშირებული საკითხებით. ერთხელაც პირად საუბარში გაეუზიარე ჩემი მოსაზრება, რომ ეთნოგრაფიული მასალების საგულისხმო ნაწილი არ გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ წმ. გიორგი მთვარის კულტს უნდა ჩანაცვლებოდა თუ შერწყმოდა. აღმოჩნდა, რომ ბატონ ირაკლის იგივე მოსაზრება ჰქონდა. მან მითხრა, ბატონმა ივანემ მოგვიანებით თავად უარჰყო ეს შეხედულებაო. ღრმად პატივცემული მეცნიერის ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ მივაგონით. ივანე ჯავახიშვილის გამოქვეყნებულ ნაშრომებში იგი არ ჩანს. თუმცა, ბატონმა ივანემ დიდი საარქივო მასალა დაგვიტოვა და შესაძლოა, სწორედ აქ მიაკვლიოს დაინტერესებულმა მკვლევარმა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ გარკვეულ მოსაზრებას.

¹ Ibid, ლომთათიძე, 146.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით წინაქრისტიანული კულტები ქართლის სამეფოში პირდაპირ არ გადაზრდილა წმ. გიორგის თაყვანისცემაში. მაშ რა პერიოდი გამოიარა წარმართობასა და წმ. გიორგის თაყვანისცემას შორის ქართველთა სარწმუნოების ისტორიამ? მივუბრუნდეთ ლაშარობის მეორე თარიღს, რომელიც ფაქტობრივად ბოლო დრომდე ძალზე პომპეზურად აღინიშნებოდა და რომლის აღწერილობა ზემოთ გვაქვს მოტანილი. ეს თარიღია აღდგომის მესამე კვირა, ზატიკის ზატიკი, რომელიც დღეს ლაშარში აღარ აღინიშნება. ეს თარიღი ლაშარობის, იგივე სერობის, თანამედროვე დღესასწაულის მთავარ თარიღთან კონტექსტში საჩინო ხდება, რის ჩვენებასაც ქვემოთ შევეცდებით. იოანე ზოსიმეს კალენდრის მიხედვით, რომელსაც ძირითადად საფუძვლად „იერუსალიმის განჩინება“ დაედო და რომელსაც V-X სს. საქართველოს ეკლესიის ლიტურგიული პრაქტიკა ეფუძნებოდა, ზატიკის ზატიკს, „კვირიაკესა მესამესა ზატიკთა იოსებ და ნიკოდიმოსისი და მცხეთისა ჯუარისაღს“ ხსენება იყო. ისევე, როგორც ქაშუეთის წმ. გიორგის თავდაპირველი ეკლესიის, რომელიც მცხეთის ჯვრის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული. ხშირად ქაშუეთობის სახელით ცნობილ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სალოცავებს სწორედ ამ დღეს აქვთ დღეობა.¹ აღდგომის მესამე კვირა იოანე ზოსიმეს კალენდარში აღნიშნულია დამისთევის ნიშნით, რაც დიდ დღესასწაულს ნიშნავს.² გავიხსენოთ ცნობილი ადგილი „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“, რომელიც ჯვრების აღმართების სახელითაა ცნობილი. იოანე ეპისკოპოსმა და წმ. ნინომ ითხოვეს ქართლში ჯვრების აღ-

¹ ნინო ღამბაშიძე, წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები, საქართველოს სიძველენი, 4-5(2003), 49, 48.

² კორნელი კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი (X ს.), ეტიუდები V (თბილისი: საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის გამომცემლობა, 1957), 244, 279, 249.

მართება. საამისოდ, მცხეთის გადაღმა მდებარე ბორცვზე მდგარი სასწაულმოქმედი, კურნების მიმნიჭებელი ხე მოიჭრა, რომელიც 37 დღის განმავლობაში, სანამ მისგან ჯვრები გამოითლებოდა, მარადმწვანე ფოთლებით იყო გაფურჩქნილი. როდესაც ხის მოსანახულებლად მისულ მთავარ დიაკონს და უფლისწულ რევს მთაზე მარტისთვის უჩვეულოდ გაფურჩქნილი ხე დახვდათ, მთავარ დიაკონს დავით მეფსალმუნის სიტყვები უთქვამს: „ესე ხმ არს თანა წარსავალისა კლდისასა ზეგარდამოთა ცუართა მორწყული და ფურცელნი მისნი არაჲ დასცვვნენ უკუნისამდე.“ ეს ხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხური გადმოცემის მიხედვით, I საუკუნეში წმ. ანდრია მოციქულის მიერ იყო დარგული.¹ ხე მოიჭრა, რომლისგანაც სამი ჯვარი გამოითალა. ერთი ჯვარი აღმართეს მცხეთას, მეორე აღმართა „მირიანვე მეფემან მთასა შინა მადნარსასა, რომელსა პრქჳან თხოთისაჲ, და ერთი იგი მახლობელად პატოსნისა ჯუარისავე.“² სხვა წყროების მიხედვით იგი კახეთში უნდ აღმართულიყო. ანტონ ნატროევი სამის ნაცვლად ოთხ გამოთლილ ჯვარს ასახელებს,³ შატბერდის კრებულის მიხედვით კი მხოლოდ ერთი ჯვარი გამოითალა და ის აღმართა მცხეთის გადაღმა ბორცვზე, აღვსებისა ზატიკის ზატიკს.⁴ როგორც ცნობილია, მცხეთის ჯვრის დღესასწა-

¹ ნინო ღამბაშიძე, წმიდა ანდრია მოციქულთან და მცხეთის ჯვართან დაკავშირებული ქართული ხალხური დღესასწაული, საქართველოს სიძველენი, 13(2009), ხელმოუწერელი (პეტრე გელეიშვილი), ჯაჭვის-წმ. ჯვრის მონასტერი, მოგზაური, 1(1901), 24.

² ზაზა ალექსიძე, მოქცევაჲ ქართლისაჲ, ახლადდმოჩენილი სინური რეაქციები (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2007), 14; შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა ვიუნაშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1979), 322-323.

³ Ibid, ნატროევი, 17.

⁴ Ibid, შატბერდის კრებული, 351.

ულთან სამი თარიღია დაკავშირებული: აღდგომიდან მესამე კვირა, ჯვრების გამოთლის დღე, რომელიც 326 წ. ანუ ქართლის მოქცევის წელს 1 მაისს ემთხვეოდა. 7 მაისს, შაბათს, 25 მარტს, პარასკევ დღეს მოჭრილი, 1 მაისს სასწაულებრივი ხისგან გამოთლილი, სამი ჯვარი აღმართეს ეკლესიაში, კერძოდ, სვეტიცხოველში, „ხელის დადებითა მეფეთა“. საღამოს ამ ჯვრებს ვარსკვლავთა გვირგვინი და ადგა გარიჟრაჟამდე. ამ გვირგვინს სამი ვარსკვლავი გამოეყო და დადგა იმ ადგილებში, სადაც ჯვრები უნდა აღმართულიყო. მართლაც, ერთი მეორე დღეს, 8 მაისს,¹ მცხეთის გადაღმა ბორცვზე აღმართეს, ხოლო დანარჩენი ორი, ამ დღიდან, მომდევნო კვირას² თხოთზე და კახეთში.

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ჯვრის აღმართვის თარიღი 7 მაისია და იგულისხმება სასწაულმოქმედი ხისგან სამი ჯვრის სვეტიცხოველში აღმართვა.

² დავით მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, (თბილისი: მემატიანე, 2003), 21-26; ნინო აბაკელია, მარიამ ჩხარტიშვილი (რედ), ლელა პატარიძე, ქართველთა გაქრისტიანება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით“, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ ეთნოლოგიური გამოკვლევები (თბილისი: მემატიანე, 2000), 13; კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1991), 351; Ibid, ალექსიძე, 57. სამწუხაროდ წყარო არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, მომდევნო კვირას ანუ 14 მაისს ორივე ჯვარი აღიმართა თუ კვირა გამოშვებით. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორი ჯვარი კვირა გამოშვებით აღიმართა, რაც, ვფიქრობთ ერთი ჯვრიდან გამოთლილი სამი ჯვრის, ერთარსება საძევის მოდუღება და ჯვრის თაყვანისცემის ციკლს ქმნის. საგულისხმოა, რომ რიგ დღესასწაულებს საქართველოში ორი სწორი აქვთ. ანუ დღესასწაული აღნიშვნა ერთი და ორი კვირის თავზე ხდება, რაც ამ დღესასწაულებსაც ციკლურ ხასიათს ანიჭებს. ასეთი დღესასწაულებია მაგალითად ღომისა, ალავერდი, რომლებიც თავის მხრივ მცხეთის ჯვარს უკავშირდებიან, იხ. ნინო ღამბაშიძე, ღომისობის დღესასწაულის თარიღის რაობისათვის, საქართველოს საპატრიარქო, 1(1998) და ალავერდობა და

ამდენად, 7 მაისი, ჯვრების სვეტიცხოველში აღმართების დღეა. ამასთანავე, ერთკვირიანი პერიოდი 8-დან 15 მაისამდე ღვთისმშობლის მოხსენიებას, მის დღესასწაულს დაეთმო.¹ თუ მცხეთის გოლგოთაზე 8 მაისს აღმართეს ერთი ჯვარი და დანარჩენი ორი ერთი კვირის თავზე, მაშინ ამ ჯვრების აღმართვა ღვთისმშობლის ვარდობას უკვშირდება. აღსანიშნავია, რომ შატბერდის კრებული აღდგომის მესამე კვირას ჯვრის აღმართვის დღედ ასახელებს, რაც მირიან მეფემ *ძლევით შემოსილი ჯვრის* დღესასწაულად დააწესა. „და ვითარცა აღემართა ნიში ჯუარისაჲ ქუეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მას ეამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუხსნეს, და საკერპონი დაირღუეს. ვითარცა იხილეს ესე საკვირველი საქმჳ და სასწაული, რომელი ქმნა ძლევის-მყოფელმან მან ნიშმან ჯუარისამან კერპთა ზედა, უფროდს გნუკვირდებოდა საქმჳ ესე და ადიდებდეს ღმერთსა და სიხარულით თავყუანის-სცემდეს პატიოსანსა ჯუარსა. და ყო მირეან მეფემან და ყოველმან ერმან მცხეთისამან შესაწირავი დიდი მას დღესა შინა პატიოსნისა ჯუარისა. და დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღესებისა ზატიკის ზატიკსა, დღესა კვირიაკესა, ყოველმან ქართლმან, ვიდრე დღენდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდე.“²

მცხეთის ჯვრის დღესასწაულის მესამე თარიღია სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათი, როდესაც მცხეთის ჯვარი დიდი სასწაულებით განდიდდა. სასწაული იმდენად დიდი და საკვირველი იყო, რომ ამ დღემ მცხეთის

მასთან დაკავშირებული ქართული ტრადიციები, ACADEMIA, 1(2010).

¹ პავლე ინგოროყვა, ძველქართული წარმართული კალენდარი მე-5 – 8 საუკუნის ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6 (1931), 445-446; Ibid, კეკელიძე, ეტიუდები, 248.

² Ibid, მრავალთავი, 351.

ჯვრის დღესასწაულებს შორის წამყვანი ადგილი დაიკავა. საისტორიო წყაროს მიხედვით, ამ დღეს მცხეთის ჯვარს ჯვრის სახით ნათლის სვეტი დაადგა. თორმეტი ანგელოზი, და ასევე, თორმეტი ვარსკვლავი გვირგვინად ედგა გარემოს, იდგა გვირგვინად. ჯვრის ბორცვი კი სურნელებას გამოსცემდა. ლეონტი მროველი ოდნავ სხვაგვარად აღწერს ხსენებულ სასწაულს. მისი თქმით, ჯვრის ფორმის ნათლის სვეტი დაადგა მცხეთის ჯვარს, გარემოს კი თორმეტი ვარსკვლავი გვირგვინის სახით. ბორცვი სურნელს გამოსცემდა. ამ სასწაულს, მეორე მოჰყვა. მცხეთის ჯვარს დაადგა ცეცხლი, რომელიც შვიდჯერ უფრო ბრწყინვალე იყო ვიდრე მზე. ამ ცეცხლზე, მოგიზგიზე ქურაში (საჯამილში) გაცვენილი ნაპერწკლების დარად, ღვთის ანგელოზები აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ბორცვი კი ძლიერ იძვროდა. როდესაც სასწაული გაქრა, ბორცვიც დადგა თავის ადგილზე.¹ ამ დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ახლავს. მცხეთის ჯვრის სასწაული მჭიდროდ უკავშირდება 351 წ. 7 მაისს (ქართული წყაროს მიხედვით 352 წ.) იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებას, რაც იმ წელიწადს სულთმოფენობის დღეებს დამთხვევია. ამ ორი მოვლენის მჭიდრო და მრავალმხრივ კავშირს არაერთი არგუმენტირებული სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა.²

საგულისხმოა რომ ანტონ ნატროევი უთითებს მცხეთის ჯვრის დღესასწაულის განსხვავებულ თარიღს. მისი თქმით მცხეთის ჯვრის დღესასწაული აღდგომიდან მერვე დღეს ანუ კვირაცხოვლობის ორშაბათს აღინიშნებოდა.³

¹ Ibid; ლეონტი მროველი.

² Ibid, Ккекелидзе, канонар, 249; Ibid, მგალობლიშვილი, 151; ედიშერ ჭელიძე, მცხეთის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულის შესახებ, მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაული და მსახურება (სულთმოფენობის შემდგომი ოთხშაბათი) (თბილისი: საპატრიარქოს გამომცემლობა, 2002).

³ მოქცევის თარიღთან დაკავშირებით იხ. დავით მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, (თბილისი: მემატიანე,

ქართლის ცხოვრება აღნიშნავს, რომ ჯვრების აღმართვის შემდეგ ქართლის სამეფოში კერპები დაეცნენ. მცხეთის გოლგოთაზე აღმართული ჯვარი, მცხეთის ჯვარი, VII ს-ში ამავე სახელობის, მისთვის აგებულ ჯვრის ფორმის, ტაძარში მოთავსდა. განიხილავს რა მცხეთის ჯვრის ტაძარს, ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს: „ჯვრის გარეგნული სახე ნათლად ასახავს სივრცის შიგა დანაწევრებას, მაგრამ აქ მხოლოდ პასიური განმეორება კი არ არის იმისა, რასაც შიგნითა კონტურები კარნახობდა, არამედ გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული შესაბამისობა. ეს პირველი მაგალითია შუასაუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, რომ ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული, მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან ეს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანი იქნება, ერთი იმ მრავალთაგანი, რომლებიც მკვეთრად განასხვავებს მას ბიზანტიურისაგან. საკმარისია გავიხსენოთ სერგისა და ბაქოს ან წმ. ირინეს ეკლესიები კონსტანტინოპოლში, წმ. სოფიო – ბიზანტიური ხუროთმოძღვრების უმაღლესი მონაპოვარი, რავენის ეკლესიები, და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ბიზანტიაში ხუროთმოძღვართა ყურადღებას (ხელოვნების აყვავების პერიოდშიც) მთლიანად იპყრობდა დიდებული შიგა სივრცის შექმნის ამოცანა, ფასადები მათ არ აინტერესებდათ.“¹ ამდენად, მცხეთის ჯვარი და მისი დღესასწაული საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის პირველი ნაციონალური

2003), 21-26; ნინო აბაკელია, მარიამ ჩხარტიშვილი (რედ.), ლეკლა პატარიძე, ქართველთა გაქრისტიანება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით“, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ ეთნოლოგიური გამოკვლევები (თბილისი: მემატიანე, 2000), 13.; კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1991), 150-151; Ibid, Натроев, 17.

¹ ვახტანგ ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრება, (თბილისი: ხელოვნება, 1974), 31.

ფორმებისა და შინაარსის ტაძარი და დღესასწაულია. მას *ჯვარის საყდარს/ჯაჭვის საყდარსაც* უწოდებდნენ.¹ ცნობილი გადმოცემის მიხედვით ჯვრის მონასტრის გუმბათიდან სვეტიცხოვლის გუმბათამდე რკინის ჯაჭვი იყო გაბმული. ამ ჯაჭვით ჯვრის მონასტრიდან მონაზონთა შორის ღვთისმოსავეები, ანუ სიწმინდით გამორჩეულები, ჩადიოდნენ სვეტიცხოველში მსახურების წინ ზარის დასარეკად და იმავე გზით ბრუნდებოდნენ უკან. მაგრამ, რაც უფრო სუსტდებოდა ხალხში სარწმუნოება, ჯაჭვიც სუსტდებოდა და ბოლოს გაწყდა და სამუდამოდ დაიკარგა, ზეცაში ავიდა.²

ფაქტობრივად, ხსენებული პერიოდი, მარადმწვანე ხის მოჭრიდან მისი სასწაულების ჩათვლით, რომელსაც უშუალოდ თან სდევდა 8-15 მაისამდე ღვთისმშობლის ერთკვირიანი დღესასწაული, *ძლევით შემოსილი ჯვრის* ანუ მცხეთის ჯვრის სადღესასწაულო ციკლია, რომლის ცენტრალურ დღესასწაულად, წყაროზე დაყრდნობით, აღბათ ზატიკის ზატიკი, აღდგომიდან მესამე კვირა უნდა ყოფილიყო. იგი ქართველთა მიწაზე სამების თეოფანიის ისტორიაა (მოჭრა-გამოთლა-აღმართვა-სასწაულები), რამაც ჩვენი ქრისტიანობის ხასიათი და ისტორია განსაზღვრა; რამაც უდაოდ დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაში ამ ახალ ეტაპზე. თუ თეოფანიის ქართული დღესასწაულის, რომელიც ქრისტიანობის მიღება-დაფუძნების დღესასწაულიცაა, უძრავ ნაწილს შევვებით, იგი 25 მარტს იწყება და 15 მაისამდე გრძელდება. ფაქტობრივად იწყება ხარებას და მთავრდება ღვთისმშობლის ვარდობას. მოძრავი ფენა კი, მოიცავს აღდგომიდან მესამე კვირას და სულთმოფენობიდან მომდევნო ოთხშაბათს. თუ ამ ორივე ნაწილს გავაერთიანებთ, გამოდის პერიოდი, რომელიც 25 მარტიდან იწყება და სულთმოფენობის მომდევნო ოთხშა-

¹ Ibid, Харпов, 17, 21.

² Ibid, 21.

ბათს მთავრდება. ეს ციკლი ხალხურ დღესასწაულებში განგრცობილი ჩანს. იგი აღდგომიდან მე-100 დღის დღესასწაულით, ვარდობა-ათენგენობით უნდა მთავრდებოდეს. ამგვარად, ჯვრების აღმართების შედეგად დაცემული კერპების ნაცვლად ქართლის სამეფოში თავდაპირველად ჯვრები უნდა აღმართულიყო, მოგვიანებით კი მცხეთის ჯვრის სახელობის სალოცავები დაარსებულიყო. ამის დასტურად ჩვენამდე მოღწეული ხალხური სალოცავები (ლომისი, ქაშუეთი, სოფ. ქვემო ჭალის ჯვარპატიოსანი, ალავერდი და სხვ.)¹ და მათთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალაც გამოდგება. ჩვენი ღრმა რწმენით, მათ რიცხვს ლაშარის წმინდა გიორგიც მიეკუთვნება. როგორც ზემოთ ვნახეთ, აღდგომიდან მესამე კვირა ლაშარში ყველაზე პოპულარულად, დიდი ზემით, მთელი ფშავის სათემო სალოცავების დროშებით, ყველა თემის მონაწილეობით აღინიშნებოდა. ვინაიდან ხალხის რწმენით სალოცავის დროშა ღვთაების საბრძანებელია, ფაქტობრივად ამ დღეს, ლაშარობას ანუ *ძღვევით შემოსილი ჯვრის*, იგივე *მცხეთის ჯვრის* მთავარ დღესასწაულზე, ლაშართან, როგორც ღვთის კარზე, სათემო ღვთაებები იკრიბებოდნენ. ამ კონტექსტში, ამ ახალმა სისტემამ, რომელიც ქრისტიანობამ, მისმა დაფუძნება-განვითარებამ მოიტანა საქართველოში, ახლებური გააზრება მიანიჭა ხეთა თაყვანისცემის წინაქრისტიანულ ხედვას. ლაშარის ბერძენსაც ამ სისტემის, მოცემული კულტურულ-რელიგიური კონტექსტის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. სწორედ ბერძენსაა ლაშარის სალოცავის მახასიათებელი, სწორედ მის

¹ იხ. ნინო ღამბაშიძე, ლომისობის დღესასწაულის თარიღის რაობისათვის, საქართველოს სპატიარქო, 1(1998); ნინო ღამბაშიძე, წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები, საქართველოს სიძველენი, 4-5(2003); ერთი ხალხური დღესასწაულის შესახებ ქართლში, რელიგია, 1(2008); ნინო ღამბაშიძე, ალავერდობა და მასთან დაკავშირებული ქართული ტრადიციები, ACADEMIA, 1(2010).

გამო დაერქვა სალოცავს გიორგი მუხის ანგელოზი, სწორედ ის იყო სალოცავის ყველაზე დიდი სიწმინდე, რომელიც შეუვალს ხდიდა საზოგადოებას გარეშე მტრისთვის. ლაშარის ბერძუხის მითოლოგიური ხატი საოცრად ჰგავს ხის იმ არქექტიპულ ხატს, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებას, დასაბამი მისცა ეროვნული, ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, არქექტიპულ ხეს, რომელიც პირველ საუკუნეში მოციქულის ხელით დაირგო, აღმოცენდა, კერპთა შემშუსვრელ, ერის მომაქცეველ ჯვრებად გამოითალა და ბოლოს ტაძრებში დაივანა. ახ. წ. აღ. I ს-დან VII ს. ჩათვლით იგი ფაქტობრივად ქადაგებდა, ავრცელებდა ქრისტიანობას და ინსტიტუციურად დააფუძნა ეკლესია. რით ემსგავსება ლაშარის ბერძუხა ხის ამ საერთოქართულ ქრისტიანულ არქექტიპს? მცხეთის სასწაულმოქმედ ხეს განსაკუთრებული ფოთოლი ჰქონდა, როგორც ამას საისტორიო წყაროები აღნიშნავენ. იყო მარადმწვანე და სურნელოვანი, მაშინაც კი როდესაც გარშემო არცერთი ხე არ იყო შეფოთლილი და მაშინაც, როდესაც მოჭრილი მიყუდებული იყო სვეტიცხოვლის კედელზე 37 დღის განმავლობაში, სანამ მისგან სამი ჯვარი არ გამოითალა 1 მაისს და 7-ში არ აღიმართა სვეტიცხოველში; სანამ ხის სიწმინდე და სასწაული ჯვრებში არ განსხეულდა. ჯვრებში განსხეულებული ხის პირველი სავანე, სვეტიცხოველი, დედა ეკლესია, კათოლიკე ეკლესიის ქართული სიმბოლო გახდა. პირველი ეკლესია, რომელშიდაც ეს ჯვრები მოექცნენ, მანამ სანამ საკუთარ ეკლესიებში დაივანებდნენ. სიმბოლურ-ხატოვნად რომ ვთქვათ, სვეტიცხოველმა აკურთხა ისინი და გზა დაულოცა ქართლის სამეფოში „მისიონერული“ მოღვაწეობისათვის და ქვეყნის, „ყოვლისა ქართლის“ დასაცავად. ლაშარის ბერძუხაც განსაკუთრებული ფოთლებით გამოირჩეოდა. „ამ მუხას ფოთოლიც სხვანაირი ჰქონდა. ზურაბ ერისთავმა ამ მუხის ფოთოლი ჟინვალ-

ში ნახა და გაიგო, რომ ამაზე ოქროს შიბი იყო“ – ვკითხულობთ ალექსი ოჩიაურის მასალებში.¹ ოქროს შიბიც, ანუ ჯაჭვიც აკავშირებს ბერძენებს არქექტიპულ ხესთან. ამ ხიდან გამოსული ერთ-ერთი მთავარი ჯვრის, მცხეთის ჯვრის სავანე ჯვრის მონასტერი, იგივე ჯაჭვის საყდარია, რომლის გუმბათიდან სვეტიცხოვლის გუმბათამდე რკინის ჯაჭვი იყო გაბმული და მხოლოდ წმინდა ბერებს შეეძლოთ მასზე მოძრაობა. გადმოცემის მიხედვით, როდესაც სარწმუნოება შესუსტდა, ჯაჭვიც გაწყდა და ზეცაში სამუდამოდ დაიკარგა. მცხეთის ჯვრის კავშირი სვეტიცხოვლის დედა ეკლესიასთან ჯაჭვის სახით, ბუნებრივი და ორგანულია. იგი ერთგვარი „ჭიპლარია“, რომლითაც შეიღია დედასთან მიბმული.

„ცისა და მიწის დაშორიშორების შემდეგ (იგულისხმება კოსმოგონიური აქტი – ნ. დ.) რჩება მათ შორის უხილავი კავშირი, ე. წ. სამყაროს დიდი ღერძი, რომელსაც მსოფლიო მითოლოგიაში სხვადასხვანაირი ხილული განსახება აქვს: მთა, ხე, კვერთხი, ტაძარი, კიბე, ჯაჭვი... ნებისმიერი ვერტიკალურად აღმართული საგანი... რამდენადაც საკრალურია (ლაშარის ჯაჭვი/შიბი-ნ.დ.), მასზეა მიბმული წმიდა გიორგი, ამდენად ოქროსია. ამგვარი ოქროს უხილავი შიბები აკავშირებს ერთმანეთთან ფშავ-ხევსურეთის ღვთისშვილებს, მათი საშუალებით ისინი სტუმრობენ ერთმანეთს. შემონახულია ვაჟა-ფშაველას დედის ხილვა, რომელიც მას უხილავს ახალგაზრდობაში:

„მე და ჩემ ბიძაშვილს ქალს სხლოვანს (სოფელია თიანეთში, ზ. კ.) დერეფანში გვეძინა. შუალამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევას. შეშინებული წამოვჯე ლოგინში, გავიხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო

¹ Ibid, ოჩიაური, ფშავი, 200.

წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორითა, გადაბმულები, ზედ ცეცხლის ბაღლები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ და ისეთ წმინდა ხმაზე გალობდნენ, ისე ტბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო“ – წერს ზურაბ კიკნაძე.¹

თუმცა, ეს ხილვა ალბათ, მცხეთის ჯვრის სასწაულს უფრო აგონებს მკითხველს. სიმბოლური აზროვნებისთვის სვეტიცხოვლის და მცხეთის ჯვრის კავშირი ცისა და მიწის კავშირია.

ბერძენის ფოთლის განსკუთრებულობა და მისი ოქროს შიბი ფატალური აღმოჩნდა მუხისთვის. ერისთავმა ფშავის მცავი ანგელოზი უწმინდური რიტუალის გზით მოაკვეთინა. გადმოცემა გვეუბნება, რომ შიბი წუილით ავიდა ცაში, ხოლო მოჭრილი ბერძენის წვერი გაღმა მხარეს საკვირაოს დაეცა ანუ ამ ადგილზე საკვირაოს სალოცავი დაარსდა, სადაც ასევე ღოცულობდნენ ფშავლები.

როგორც აღექსი ოჩიაური აღნიშნავს, ლაშარში მთავარი დღეობა იყო სერობა, შემდეგ მარიამობა, ახალკვირა (აღდგომის მესამე კვირა), გიორგობა. საერთო საფშავლო დღესასწაული ლაშარში იყო სერობა. დღესაც იგი უმთავრესი დღესასწაულია, თუმცა, ჩვენი აზრით, პომპეზურობიდან და ხაზგასმული საყოველთაობიდან გამომდინარე, გარკვეული ხნის განმავლობაში ახალკვირა უნდა ყოფილიყო მთავარი დღესასწაული.

სერობა, რომლითაც ათენგენობები იწყება, უშუალოდ უკავშირდება პეტრე-პავლობას. როგორც ითქვა, სერობა პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათს აღინიშნება. ანუ ლაშარობის ათვლის წერტილია პეტრე-პავლობა 29.06/12.07. საგულისხმოა, რომ სვეტიცხოველი, რომელიც თავდაპირ-

¹ ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია (თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), 56-57.

ველად მაცხოვრის სახელობის იყო, ვახტანგ გორგასლის მიერ, V საუკუნეში ხელახლა აგების შემდეგ მოციქულებს დაუკავშირდა და მათი სახელობის ტაძარი გახდა.¹ ლაშარობის დღესასწაულის კონტექსტიდან გამომდინარე, *ძღვრებით შემოსილი ჯვრის/მცხეთის ჯვრის* დღესასწაულის (აღდგომის მესამე კვირა/*ახალკვირა*) სვეტიცხოველთან კავშირი საღმრთო ისტორიაზე დაფუძნებული საეკლესიო კალენდრის ნაწილია, რომელიც ხალხურ კალენდარში გარკვეული სახით დამკვიდრდა. ქრისტიანული ქართლის მთავარი დღესასწაული ფშავის და მოგვიანებით მისი რელიგიური გავლენების გავრცობის შედეგად, თუშეთის, ერწო-თიანეთის და ნაწილობრივ ხევსურეთის სალოცავი და დღესასწაული გახდა. ფშავის ლაშარი, როგორც ჩანს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მეფეთა პატრონაჟის თუ მფარველობის ობიექტიცაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერა ბარდაველიძე წერდა: „...ლაშარის ჯვარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო არა მარტო ფშავლებისა და საერთოდ მთიელებისათვის. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბარის საქართველოსთან, როგორც რელიგიური ხაზით, ისე პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით.“

ათენგენობა კორნელი კეკელიძის თქმით ჩვენში იერუსალიმური კანონარის შემოსვლისა და სომხური გავლენის საფუძველზე დამკვიდრდა. მას ლიტურგიულ პრაქტიკაში თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. იოანე ზოსიმეს კალენდრის მიხედვით, სულიწმინდის მოფენობის მეშვიდე კვირას. წმინდანის ხსენების სხვა თარიღებს შორის ეს ყველაზე მიღებული ყოფილა ჩვენში. ამდენად მისი დღესასწაული მოძრავი იყო. გიორგი მთაწმინდელი დიდ

¹ Ibid, მგალობლიშვილი, 43-44, 179-181; დავით ხოშტარია, ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში, ACADEMIA, 1(2001), 27.

სვინაქსარში 17 ივლისს¹ უთითებებს.² იონანე ზოსიმე 13 ივლისსაც უთითებს. ათინოგენობა ორი პერიოდის, სულიწმინდის გარდამოსვლის და ენკენიის გამყოფი იყო.³ მართალია, ათინოგენობა, როგორც საეკლესიო დღესასწაული დიდ დღესასწაულად ითვლებოდა, მაგრამ, ჩვენი კვლევის ფარგლებიდან გამომდინარე, წმ. ათინოგენი საქართველოში, სომხეთისგან განსხვავებით, დიდად პოპულარული წმინდანი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ცნობების მიხედვით, საქართველოს არცერთ მთავარეპისკოპოსს და კათოლიკოსს არ რქმევია ათინაგე, ათინაგენე თუ ათინოგენი. ჩვენთვის არ არის ცნობილი არცერთი ქართველი წმინდანი, რომელიც წმ. ათინოგენის სახელს ატარებდა. თავად 24 დეკემბრს მოხსენიებულ ყოველთა ქართველთა წმინდანთა ვრცელ სიაშიც კი ვერ დავადასტურეთ ამ სახელის მატარებელი წმინდანი. ამ სახელის მატარებელი პირები ვერც პირთა ანოტირებულ ლექსიკონში მოვიძიეთ. არც მისი სახელობის ეკლესია-მონასტრები ჩანს. გიორგი ბრწყინვალის გაცემულ ბოძების სიგელში მხოლოდ ერთგანაა ნახსენები სოფ. კოჯორთან არსებული წმ. ათინოგენის სახელობის მონასტერი. სამწუხროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენთვის მიუკვლეველი აღმოჩნდა ცნობები ხსენებული მონასტრის შესახებ. ვახტანგ ბერიძე აღწერს კოჯორთან არსებულ მხოლოდ ორმოცთას, ანუ ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ტაძარს.⁴

¹ წმინდანის უძველეს ქართულ მარტვილობაში მისი წამების თარიღად 17 ივლისია მითითებული. იხ. კეკელიძე, ეორტოლოგიური კალენდარი, 97.

² გიორგი მთაწმინდელი, დიდი სვინაქსარი (თბილისი: გამომცემლობა არაა მითითებული, 2017), 295.

³ Ibid, კეკელიძე ეორტოლოგიური კალენდარი, 96-98;

⁴ ვახტანგ ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება (თბილისი: კანდელი, 1994), 31.

აქვე ყოფილა XIII ს. I ნახევრის კაბენის ეკლესია.¹ როგორც წესი, პოპულარული წმინდანების სახელები ხალხშია ხოლმე გავრცელებული, მაგრამ საქართველოში სახელი ათინოგენი არ ჩანს.² არც ის ჩანს, რომ ქართული ხალხური დღესასწაული ათენგენობა წმ. ათინოგენთან იყოს დაკავშირებული. ათენგენობა შესაძლოა იყოს კალენდარული პერიოდების გამყოფი ტერმინი, რომლის უკან რაღაც დღესასწაულია.³

ძველი ქართული თვე, რომელსაც „ვარდობისაჲ“ იმავე სახელწოდების დღესასწაულის გამო ერქვა, 21 აპრილს იწყებოდა და 20 მაისს სრულდებოდა. დღესასწაული „ვარდობისაჲ“ წარმართობის ხანიდან მომდინარე დღესასწაულია. წარმართულ ხანაში იგი ბუნების აღორძინების, ვეგეტაციის, დიდი დედისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო. ასევე უკავშირდებოდა მომაკვდვ და აღდგენად ღვთაებას აღონისს და აფროდიტას. ქართლის ცხოვრება გვაწვდის ცნობას, რომ მეფე რევაზ მცხეთის შესასვლელთან აფროდიტეს კერპი აღმართა, მეფე საურმაგმა (237-162) კი, უკვე არსებულ სამ კერპს აინინა და დანანა შემატა, რომლებიც

¹ საქართველოს ეკლესიის ნარკვევები, ტ. 3 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 484.

² ნინო ღამბაშიძე, მღვდელმოწამე ათინოგენის თავჯანსიციების საკითხისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI(2004), 120-121.

³ თუმცა, კორნელი კეკელიძე თვლის რომ ვარდავარი „მარტიროლოგიურ გვირგვინს“ ნიშნავს, რომლითაც წმ. ათინაგე შეამკეს, ამდენად, თავდაპირველად ვარდავარი ათინაგეს დღესასწაული იყო. თავის მხრივ კეკელიძე აღნიშნავს, რომ ვარდობა ვარდავარის ექვივალენტურია. *ibid*, კეკელიძე, ეორტოლოგიური კალენდარი, 98.

მცხეთის გზაზე აღმართა.¹ ნატროვეის თქმით ეს კერპები იგივე ვენერა, დიანა არიან.²

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ვარდობა ღვთისმშობლის დღესასწაულსაც დაუკავშირდა. როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს ვარდობას რამდენიმე სახელი ჰქონდა: ვარდობისაჲ, ყუავილობისაჲ, ახალთაჲ ანუ ახალთაჲსა, რომელთაგან ბოლო ორი მოგვინებითაა შემოსული. იგი ასევე აღნიშნავს, რომ „ღღესასწაული „ვარდობაჲ“, რომელმაც სახელი მისცა „ვარდობის-თთუეს“ წარმართული ხანიდნ მომდინარეობს, და თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ვეგეტაციის დღესასწაულს და დაკავშირებული იყო წარმართული ღვთაების „დიდი დედის“ კულტთან. შემდეგ მოხდა „ვარდობის“ ნაწილობრივი ქრისტიანიზირება და იგი „ღვთისმშობლის“ კულტს დაუკავშირეს. კიდევ უფრო გვიან ამ კულტმა ეორტოლოგიური ცვლილება განიცადა, მისი ვადებიც გადაიწია, ხოლო ის შვიდეული, როცა ძველად სრულდებოდა „ვარდობის“ დღესასწაული (8 მაისიდან – 15 მაისამდე) „სატფურების“ ანუ „განახლების“ დღესასწაულად აქციეს.“ მისი გამთავლით ვარდობის თვის დასასრული 1 მაისსზე მოდიოდა და ღვთისმშობლის მოხსენიება, არა მარტო ჩვენში, ჯვრის დღეობასთან იყო დაკავშირებული. ამის საბუთად მას კირილე იერუსალიმელის სიტყვები მოჰყავს: „და რავედენნი აღასრულებდენ სახსენებელსა წმინდისა ჯუარისასა, ყოველნივე ღირს იქმნენ მიღებად ნაწილისა წმიდის მარიამისსა.“ პავლე ინგოროყვა ასევე აღნიშნავს, რომ სინას მთაზე დაცულ ძველ ქართულ საგალობელთა კრებულში 15 მაისი მოხსენიებული იყო, როგორც „ვარდობაჲ ღვთისმშობლისაჲ“ ანუ დღესასწაულს დიდხანს შერჩენია ვარდობის სახელი, რაც მისი

¹ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი, 1955), 58.

² Ibid, ნატროვეი, 78.

„წარმართული ვეგეტაციის კულტთან“ კავშირს ავლენს. იგი პარაფელს ავლებს სირო-ფინიკიურ „თთუენტან“, სადაც დღესასწაულს „ღვთის-მშობლისად თავთავთა ზედა“ ჰქვია, რაც მისი აზრით წარმართული პურის თავთავთა და ვეგეტაციის მფარველი დიდი დედის ატრიბუტია.¹ ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ვარდობა საქართველოში რომ ღვთისმშობლის დღესასწაულს დაუკავშირდა, ხალხში დაცული მასალიდანაც ჩანს. ხევსა და გუდამაყარში მარიამობას „ვარდის დღეობაც“ ერქვა.² სულთმოფენობის წინა დღეს, სულთაობის შაბათს, საქართველოში „ვარდის შაბათს“ ეძახდნენ, გადიოდნენ საფლავებზე და სხვა ყვავილებთან ერთად ვარდებსაც დებდნენ.³ ვარდობას კორნელი კეკელიძე სომხური ვარდავარის ექვივალენტად მიიჩნევს; აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი „უნდა ნიშნავდეს ვარდისგან გაკეთებულს ან შეთხზულ სამკაულს, იგულისხმება მარტიროლოგიაში „მოწამებრივი გვირგვინი“, რომლითაც შემკული იქნა ათენაგე. ამდენად იტვი არ არის, თავდაპირველად სომხური „ვარდავარი“ იყო ათენაგე მოწამის დღესასწაული.“ კეკელიძე აღნიშნავს, რომ ვარდობა შეიძლება ყოფილიყო მაისშიც, ივნისშიც და ივლისშიც. ღვთისმშობლის ვარდობის ერთ-ერთი ქართული დღესასწაული, რომელიც ვარდობის სახელით თითქმის ბოლო დრომდე ზემო იმერეთის სოფ. გეთსიმანიაში იყო შემორჩენილი, პეტრე-პავლობის მარხვის ორშაბათს იმართებოდა. ექვთიმე ათონელი აღნიშნავს, რომ ქართველები პეტრე-პავლობის მარხვას ვარდობას უწოდებენ.⁴ ანუ ვარდობის დღესასწაული უკავშირდებოდა პეტრე-პავლობის მარხვას და ალბათ გარკვეულწილად, პეტრე-პავლობასაც. ზოგადად მოწამეებსაც, ქრისტიანობის გამავრცელებლებს, მქა-

¹ Ibid, ინგოროყვა, 441, 442, 445, 446.

² Ibid, მაკალათია, ხევი, 217-218.

³ Ibid, თოფურია; ibid, გიორგაძე.

⁴ Ibid, კეკელიძე, ეორტოლოგიური წელიწადი, 99.

დაგებლებს. ვარდავარი, როგორც ითქვა, მარტიროლოგიურ ვარდის გვირგვინს ნიშნავდა. ქართველები პეტრე-პავლობის მრხვას რომ ვარდობას უწოდებდნენ, ამის დასტურად ვფიქრობთ, ზემო იმერეთის სოფ. გეთსიმანიის დღესასწაული ვარდობაც გამოდგება. ეს დღეობა პეტრე-პავლობის მარხვის ორშაბთს იმართებოდა, ამდენად ხან მაისში მოდიოდა, ხან ივნისში. სამი სოფლის მლოცველი იმ ეკლესიაში მიდიოდა, რომელიც სოფ. გეთსიმანიაშია. მიჰქონდათ შესაწირი: ფული (თეთრი), პური, სანთელი. მღვდელი მათ დალოცავდა, რის შემდეგაც, ეკლესიის მოშორებით, მდინარის პირზე, ხეებით დაჩრდილულ მინდორზე იყრიდნენ თავს და, როგორც პატრიარქი ქრისტეფორე წერს, „აქ ატარებდნენ დროს“.¹ სამწუხაროდ იგი არ გვაწვდის სხვა ინფორმაციას. როგორც აღვნიშნეთ, ხევსა და გუდამაყარში მარიამობას „ვარდის დღეობაც“ ერქვა, ხოლო საქართველოს მთიანეთში თიბვის დაწყების ზემის ვარდობასაც უწოდებდნენ.² სულთმოფენობის წინა დღეს, სულთაობის შაბათს, საქართველოში „ვარდის შაბათს“ ეძახდნენ. იგი მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე იყო. ზოგან ამ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, აკაცის ყვავილის გარდა, შეძლებისდაგვარად, ყველა სახეობის ყვავილს აგროვებდნენ: იასამანს, ვარდს, მინდვრის, ასევე კაკლის, ფშატის, ვაშლის, თუთის და სხვა, რათა მიცვალებულის საფლავზე დაეფინათ. ხალხის თქმით „მიცვალებულებს მათი სუნი სიამოვნებთ“. ზოგან შეგროვილ ყვავილებს გარეთ ან თონეში აწყობდნენ და დილით ადრე გადიოდნენ საფლავზე. თან მიჰქონდათ ყვავილები, სანთლები, კოკით წყალი. ყველაფერს საფლავზე ალაგებდნენ და წყალს ასხამდნენ. ამ

¹ მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი, დღეობანი და ხატობანი ხევისნიხევში, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 2100, №1, საქ. 60.

² მზია მაკალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1985), 116-118.

დღეს ოჯახში წანდილს ან კორკოტს აკეთებდნენ და მეზობლებს ურიგებდნენ. ყვაილებით ოჯახიც, ეზოც და გზაჯვრედინებაც უნდა ყოფილიყო მორთული.¹

ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილი ვარდობის დღესასწაული უხვად იყო გაჯერებული სატრფიალო მოტივებით. ფიქრობენ, რომ ვარდობის დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს ცნობილი ქართული ხალხური სატრფიალო ლექსი: „აქედან და შენამდე, ვარდი მასხია ყელამდე, რომ ვინმე გამომიშვებდეს, სულ ფრენით მოვალ შენამდე.“² ძველად, გაზაფხულზე ჩამოვლითი ხასიათის მსგეფლობა იმართებოდა. სოფლის ახლგაზრდებისაგან შემდგარი რამდენიმე ჯგუფი, როგ-რიგობით ყველა ოჯახში, სადაც გასათხოვარი გოგონა იყო, მიდიოდა და „მხიარული გაზაფხულის“ სახელით ცნობილ სიმღერას უმღეროდა. გოგონებს ამ დღისთვის, წინასწარ სხვადასხვა სახის ნივთი ჰქონდათ დამზადებული: ქისა, წინდა და სხვა. გოგონას მომღერლების ყველა ჯგუფისთვის მის მიერ დამზადებული ნივთი უნდა ეხუქებინა. მომღერალთა სტუმრობა გარკვეულ წილად იმის ნიშანიც იყო, რომ გოგონა მზადყოფილიყო მომავალი ბედნიერებისთვის. სიმღერის ტექსტი სხვადასხვაგვარი იყო, თუმცა სატრფიალო ხასიათისა ჭარბობდა. მომღერლები გასათხოვარ გოგონას უსურვებ-

¹ დალი გიორგაძე, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ხელნაწერი, პირადი არქივი, 1985; ნინო თოფურია, 1947წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ნინო თოფურიას პირადი ფონდი, ნ.თ. 39; Ibid, შველიძე, 209-210.

² ელენე ვირსალაძე, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 8 (1953), 284.

დნენ ბედნიერებას, მომავალ საპატარძლოს მოუწოდებდნენ „ვარდის სუნის“ ნობათი დაემზადებინა სასიძოსთვის.¹

როგორც ვთქვით, კეკელიძე თვლის, რომ სომხური ვარდავარი, რომელიც იგივე ათენგენობაა, ქართული ვარდობაა. ვარდობა, როგორც ათენგენობა, თავის მხრივ დაკავშირებული იყო მოციქულთა მარხვასთან.² ანუ, კეკელიძის მიხედვით, ვარდობა-ათენგენობა პეტრე-პავლობის მოძრავ თარიღთან ყოფილა დაკავშირებული. მზია მაკალათია აღნიშნავს, რომ ხევსურული მასალის მიხედვით, ჯვართ ენაზე ვარდობას ათინაგენა ეწოდება. იგივეს აღნიშნავს ალექსი ჭინჭარაული.³ გამოდის რომ მთაში, კერძოდ ხევსურეთში, ვარდობას სხვაგვარად ათინაგენა ეწოდებოდა. ანუ ათენგენობა არის ვარდობის დღესასწაული. რა არის ვარდობის დღესასწაულის ქრისტიანული ფენა? თუ ვარდობა ვარდავარიდან გამომდინარე „მოწამეობრივ გვირგვინს“ ნიშნავს, ხომ არ არის იგი მარტვილთა/მოწამეთა, წმინდანთა და მოციქულთა დღესასწაული ერთი მხრივ და მეორე მხრივ ღვთისმშობლის, რომელსაც ქრისტიანობის მიღებამდე წინ უძღვოდა ნაყოფიერების, დიდი-დედის დღესასწაული? წმინდანთა (მოწამეთა, მოციქულთა), რომლებიც ჯვრით ავრცელებდნენ და ქადაგებდნენ ქრისტიანობას და რომელთა შორის უპირველესად ქრისტიანებში ღვთისმშობელი ითვლება.

¹ გიორგი სვანიძე, ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი (თბილისი: სახელგამი, 1957), 21-24.

² Ibid, კეკელიძე, ქართული ერა, 98-99; ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე (რედ.), ზურაბ კიკნაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, <http://saunje.ge/index.php?id=1435&lang=ka>, 24.03.2018.

³ მზია მაკალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1985), 116-118; ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი (თბილისი: „ქართული ენა“, 2005), 356.

ვარდი სიმბოლურად სამოთხის ყვავილია, რომელიც თავის მიწიერ გამოვლინებაში ეკლებით ხარობს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ რომის იმპერიაში სასიხარულო თუ სამგლოვიარო შემთხვევებში და რელიგიური დანიშნულებით ყვავილებისაგან კეთდებოდა გვირგვინი, რომელსაც ადამიანები და სამსხვერპლო ცხოველები ატარებდნენ. ასევე ცნობილია, რომ იგი იყო დიდების ნიშანი. გვირგვინებს ვარდისგანაც წნავდნენ.¹ ითვლებოდა, რომ წითელი ვარდები აღონისის სისხლიდან წარმოიშვნენ.² ერთ-ერთი ქრისტიანული ფოლკლორული გადმოცემის მიხედვით, ევამ სამოთხეში სეირნობის დროს თეთრ ვარდს აკოცა, ის კი სირცხვილისაგან გაწითლდა. ქრისტიანობაში წითელი ვარდი ჯვარზე დაღვრილი ქრისტეს სისხლის სიმბოლოა.³ სომხური გადმოცემის მიხედვით, ფერისცვალებამდე (ვარდავარამდე) იესო ვარდის კოკორს ჰგავდა. რომელიც ფერისცვალებაზე გაწითლდა და ვარდის ნათებით აინთო, რომელიც ადამს სამოთხეში ჰქონდა და რომლითაც ქრისტემ ღვთის დიდება და სიღიაღე გვიჩვენა. სამოთხის ვარდს ჯვარსაც უკავშირებენ, რომელზეც მაცხოვარი აწამეს.⁴ „...ადრექრისტიანული ხანის ხატოვან ლექსიკონში ხშირად ჯვარი და ვარდი გაიგივებულია ერთმანეთთან და გამოიყენება ერთნაირ კონტექსტში ან ერთმანეთის შემცვლელა-

¹ Реальный Словарь Классических древностей по Любкеру, Роза, Венец (С-Петербург: Тип. А. С. Суворина, 1885); В. Н. Топоров, Роза, Мифы народов мира, т. 2 (Москва: Советская энциклопедия, 1992); А. Н. Великовский, Избранные статьи (Ленинград: ~Художественная литература~, 1939), 386-387, 133; А. Стрижов, Цветы и храм (Москва:1996).

² პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნის ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6, 1929-1930, 442-446; Ibid, კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, 264; Мифы народов мира, т.1 (Москва: Советская энциклопедия, 1991).

³ Ibid, Топоров; ibid, Великовский; Ibid, **СТРИЖОВ** .

⁴ Ibid, Великовский, 136, 137.

დაც კი¹ და ვინაიდან ვარდი ადრე შუასაუკუნეებში სიცოცხლის ხედ გაიაზრებოდა, ვფიქრობთ, ამდენად იგი ჯვრის ერთ-ერთ მცენარეულ სიმბოლოდ იქცა, რომელმაც თავისთავში წამების, მკვდრეთით აღდგომისა და მარადიული სიცოცხლის სემანტიკა მოიცვა. უფრო მეტიც, ამგვარ სემანტიკას კონკრეტულად წითელი ვარდი უნდა ასახიერებდეს. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული ტაძრების დიდ უმეტესობაზე, მათ შორის საქართველოში, გვხვდება ე. წ. რვაფურცლა ვარდული, რომელიც, როგორც ცნობილია, ტერმინ როზეტის შესატყვისია. ვფიქრობთ, ტერმინი ვარდს უნდა გულისხმობდეს და მისი სიმბოლიკის ამსახველი უნდა იყოს. როზეტით სწორედ ვარდი უნდა იყოს ტაძრებზე გამოსახული, ხოლო მისი მრგვლოვანი ფორმა, გარშემოწერილობა და 8 ფურცელი მარადიული, ნეტარი იმქვეყნიური სიცოცხლის სიმბოლური შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს. ამგვარი შეხედულებები ნათლად აისახა მიცვალებულებთან დაკავშირებულ რწმენაწარმოდგენებში. ამდენად, ვარდი იმქვეყნიური მარადიული სიცოცხლის, მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოცაა. რომში ვარდების გირლანდებით რთავდნენ მიცვალებულთა საფლავებს, რის გამოც ამ რიტუალს Rosaria ან Rosalia ეწოდებოდა.² მოზაიკურ ეპიტაფიებზე გამოსახულია ვარდები, მის ტოტებზე გვირგვინი და მტრედი. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, ვარდებში აღმართული ჯვარი. ვარდი უხვადაა კატაკომბებში გამოხატული. საქართველოში, საფლავის ქვების მცენარეულ ორნამენტებში, ვარდულებიც გვხვდება.³ ვფიქრობთ, ვარდის ძირითადი ქრისტიანული სიმბო-

¹ კიტი მაჩაბელი, ძველი ქრისტიანული სიმბოლიკა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე, ლიტერატურა და ხელოვნება, 6(1991), 92, 93.

² Ibid, Великовский, 134.

³ ელდარ ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001), 473, 234.

ლიკა რომელიც III ს. ბოლოს კვიპრიანე კართაგენელის თხზულებაში მოწამეთა შესახებ ჩნდება (Ad Marteyares, მოწამეთათვის) არის დასისხლიანებული მოწამე,¹ ხოლო ვარდისაგან დაწნული გვირგვინი, მოწამის სამკაული, ჯილდო ღვთის სიტყვის დამოწმებისა და ბოროტზე გამარჯვების ნიშნად. თავად პირველ მოწამის, წმ. სტეფანეს სახელიც ხომ გვირგვინს ნიშნავს. მოგვიანებით სავარდი ანუ ქრისტიანული სკვნილი, რომელიც ლოცვების დასათვლელად იხმარება, სიმბოლურად სწორედ ამ გვირგვინს დაუკავშირდა.² ამას მისი ერთ-ერთი ბერძნული სახელწოდებაც, კერძოდ, *ροδινοσ στεφανοζ*, ანუ ვარდის გვირგვინიც ნათლად ასახავს. მასვე ასახავს რიგი ლოცვები. მაგალითად: „ვითარცა ვარდთაგან ეკალთასა აღმოცენდი წმიდაო ბარბარე...“. წმ. მამაის წამება, როდესაც ცეცხლში მყოფი მოწამე „...ველსა ზედა მრავალ ყუავილცვაროვანსა, ესრედ იქცეოდა აღსა მას შინა“;³ წმ. ელიზბარ და წმ. შალვას კონდაკი: „გიხაროდენ მოწამენო, რომელთა მეორედ მიიღეთ ნათლისღება სისხლითა თქვენითა და განსწმინდეთ სუღნი თქუენნი, და სუნნელ იქმნ ყუავილნი შვენიერნი და ბრწყინვალეებანო მორწმუნეთაო ელიზბარ შალვა მეოხნო და მცველნო სულთა ჩვენთანო“ და სხვ. ვარდის გვირგვინი ზეციური სიხარულის, სათნოებისათვის მიღებული ჯილდოს სიმბოლოა. ფაქტობრივად, ქრისტიანობაში ვარდი ჯვარს, იესო ქრისტეს, ჯვარცმას, მარადიულ სიცოცხლეს და მეორე მხრივ ღვთისმშობელს უკავშირდება.

¹ Dictionnaire D'Archeologie chretienne at de Liturgie, 15 (Paris: Letouzey et Ané, 1950), 11, 12; Dictionnaire D'Archeologie chretienne at de Liturgie, 13 (Paris: Letouzey et Ané, 1939), 1409-1410.

² იხ. ნინო ღამბაშიძე, სკვნილის გენეზისი და განვითარების ისტორია, რელიგია, 7 – 8 – 9(2001).

³ საქართველოს ეკლესიის კალენდარი, გამომცემლობა არ არი მითითებული, 1997.

ქრისტიანულ სამყაროში ვარდი შრომანთან ერთად ღვთისმშობლის სიმბოლო გახდა. ევროპაში *როზარი/ხავარდი*, *სკვნილი* თავადაპირველად, XIII ს. წერილობით წყაროებში, წმ. მარიამის მისტიკური ვარდების ბაღის მნიშვნელობით იყო ნახმარი.¹ *როზარის/ხავარდის* ეტიმოლოგია ვარდს უკავშირდება. კერძოდ ვარდების გირლანდებს, რომლებითაც ღვთისმშობელს რთავდნენ. ინგლისში ზღვის ნაპირებთან იზრდება მარადმწვანე ყვავილოვანი ბუჩქი *როზმარი*, ანუ ზღვის ვარდი (ზოგჯერ მას მარიამის ვარდსაც უწოდებენ). ინგლისური ფოლკლორი მას ღვთისმშობელს უკავშირებს.² შრომანთან ერთად ვარდის და სხვა მცენარეთა, განსაკუთრებით თეთრი ფერის ყვავილთა კავშირი ღვთისმშობელთან საყოველთაოდაა ცნობილი. სექტემბრის საკითხავეებში ღვთისმშობელი შესხმულია როგორც: ბაღი, წყარო, ვაშლი, სამოთხე, შრომანი, ყვავილი და სხვა. მათ შორის, როგორც ვარდი: „გიხაროდენ ვარდო დაუჭნობელო, რომელი ეგე ჰფუჴ სიწმიდესა ყოვლად შეუხებელსა, რომელი იყნოსა უფალმან და განისუენა, და რომლისგან იგი თავადი აღყუავილნა დააჭნო სიმრავლე ცოდვისა სოფლისათა“.³

შუასაუკუნეების ცნობილი გადმოცემის მიხედვით, იერიქონის გამხმარი ვარდები, რომლებიც შობის ღამეს იფურჩქნებოდნენ, პირველად ღვთისმშობლის ფერხთით გაიშალნენ, როდესაც ეგვიპტისაკენ მიმავალ გზაზე, იესოსთან ერთად, მან ვარდების ბუჩქს ჩაუარა. იერიქონის ვარდი ქვიშიან სტეპებში იზრდება, მისი უხეში ფოთლები მშრალ მდგომარეობაში იხვევა და ამგვარად ჭკნება. რო-

¹ The Encyclopedia Britanica, 14th edition, v. 19 (1929), 554.

² Ad de Vries, Dictionary of Symbols and Imagery (Amsterdam, London: North-Holland Publishing Company, 1981), 302; Ibid, Великовский, 137.

³ ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავეები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ნ. გოგუაძემ (თბილისი მეცნიერება, 1986), 110.

დესაც მათ ქარი ამოგლეჯდა, ხშირად ისინი მთელ სტეპს გადაივლიდნენ და ტენიან გარემოში ხვდებოდნენ, სადაც იშლებოდნენ და კვლავინდებურად ცოცხალ სახესღებულად¹ ასევე ცნობილი იყო სარონის (იერუსალიმის დასავლეთით მდებარე ნაყოფიერებით განთქმული ველი) ვარდი – „ხავაცელეთ ჰაშარონ“,² რომელსაც „ქებათა ქებაში“ სასძლოს შესამკობად უხვად ხმარობს ავტორი. ამ მიმართებით ნიშანდობლივია პატარძლის მოსართავად ვარდის გამოყენების ებარული ტრადიცია. ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მიხედვით, რომელზედაც თალმუდიც მიუთითებს, იერუსალიმში, სადაც ხეების დარგვა იკრძალებოდა, ჯერ კიდევ პირველი წინასწარმეტყველების დროიდან, ვარდის პლანტაციები არსებობდა. ფიქრობენ, რომ იერუსალიმში ვარდი ბიბლიაში ნახსენებ სამეფო ბაღებში იყო მოშენებული. შესაძლოა, ხსენებული ფაქტი გარკვეულწილად, სხვა მითოლოგიურ პლასტებთან ერთად, ქართულმა ხალხურმა სარწმუნოებამ და ფოლკლორმაც შემოგვინახა. „ბატონების ნანა“-ს ტექსტში³ კარგად ჩანს, რომ ვარდი იასთან ერთად ქაღალღთაების, ნაყოფიერება-გამრავლების, სიცოცხლის მიმნიჭებელი დიდი დედა ნანას ყვავილია. მისი საბრძანებელი, რომელიც ფაქტობრივად სამოთხის მი-

¹ Еврейская Энциклопедия, т. 8, (СПБ: Издательство Брокгауз-Ефрон, 1911), 637; Толковая библия, т. 1, Петербург, 1904-1907 (Стокгольм: Второе издание Института перевода Библии, 1987), 447; Толковая библия, т. 2, Петербург, 1908-1910 (Стокгольм: второе издание Института перевода Библии, 1987), 194; Библейская энциклопедия (Москва Типография А. И. Спетиревой, 1891), 608; 328-329.

² Еврейская Энциклопедия, т. 8, (СПБ: Издательство Брокгауз-Ефрон, 1911), 637; Толковая библия, т. 1, Петербург, 1904-1907 (Стокгольм: Второе издание Института перевода Библии, 1987), 447; Толковая библия, т. 2, Петербург, 1908-1910 (Стокгольм: второе издание Института перевода Библии, 1987), 194; Библейская энциклопедия (Москва Типография А. И. Спетиревой, 1891), 608; 328-329.

³ როგორც ცნობილია, „ბატონების ნანა“-ს სახადით დავადებულ ბავშვებს უმეღეროდნენ .

თოლოგიური სურათია, ია-ვარდითაა მოფენილი. ქართული მითოლოგიური გადმოცემების, ზღაპრების და რიგი საწესო სიმღერების მიხედვით, ქართველთა წარმოდგენებით სამოთხის ერთ-ერთი სურათი დიდი დედა ნანას საბრძანებელს განასახიერებს. ღეგენდების მიხედვით მას ბატონების ქვეყანა ჰქვია, სიმღერებში ბატონების ბაღი, ხოლო ზღაპრებში – მზის ბაღი. ამ ბაღში სხვა მითოლოგიური პერსონაჟებიც ჩნდებიან: მზისა და მთვარის დედა, სამი მზის ქალი, ჭექა-ქუხილის ღმერთი ელია, მგელი და ოქროს ვერძი/ოქროს ერკემალი. ამ ბაღში ერთდროულად ზოგი ხე ყვავის, ზოგს მწიფე ნაყოფი ასხია, ზოგის ფოთოლი კი ცვივა.

ბატონების ქვეყანა ძნელად მისასვლელ ადგილას, ცხრამთასა და ცხრაზღვას იქით, ეკლიანი ტყის მიღმა მდებარეობს. ზოგიერთი ღეგენდის მიხედვით, ბატონები თეთრი ზღვის მხრიდან მოვიდნენ. მათი ქვეყანა ან კლდოვან ნაპირზე მდებარეობს, რომელიც ზღვას გადაჰყურებს, ანდა ზღვაში მდებარე კუნძულზე. ამ ქვეყანას დიდი გალავანი აკრავს. მას დიდი კარიბჭეები აქვს შებმული, რომლებიც იკეტება. გალავნის მიღმა, ბატონების ქვეყანაში ბროლივით წყაროები მოჩუხჩუხებენ, მდინარედ მოედინება თაფლი და რძე, გადმოჩქევენ ჩანჩქერები. მზე აქ ყოველივეს ცისარტყელას ფერებით ამკობს. ამ ქვეყანაში კოშკები და დიდი ბატონების სასახლეებია აღმართული. პატარა ბატონები კარვებში ცხოვრობენ. ხიდთან ბაღია, სადაც სუფრებია გაშლილი. აქ, ამ ქვეყანაში და ბაღში ბატონებთან ერთად იმ გარდაცვლილთა სულები ცხოვრობენ, რომლებიც ბატონების ანუ ინფექციური დაავადებების შედეგად გარდაიცვალნენ. სვანური ვერსიის მიხედვით, კლდეზე, სადაც ბატონების ქვეყანაა და რომელიც გადაჰყურებს ზღვას, ყვავილებით მოფენილი მინდორია. ამ მინდორზე დიდი მდინარეა, სადაც დიდი დედაა, ბატონების დედა. იგი შიშველია. აქვს ქათქათა თეთრი სხეული და ძალიან დიდი

მკერდი. სიმღერების ტექსტის მიხედვით დიდი დედა ნანა ბატონებთან ერთად იის, ვარდის და თეთრნაყოფა თუთის ბაღში ცხოვრობს. ამ ბაღში, ვერა ბარდაველიძის აზრით ღია მარანი იყო, რომელთანაც ალვა იყო ამოსული. ამ ალვაზე ჩიტები სხედან და ჭიკჭიკებენ.¹ „ქართული მითოლოგიური წარმოდგენით ალვის ხე სამოთხეში დარგული სიცოცხლის ხეა („ვით ედემს ალვა რგულია“ – ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“). ხალხური ლექსის თანახმად იგი წვერში ისხამს ყურძენს და რომლის ჭამის შემთხვევაში ყოველგვარი უბედურებისაგან იცავს ადამიანს“ – წერს ზურაბ კიკნაძე.² ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით დიდი დედა ნანას და ბატონების ალვის ხე ღია მარანთანაა ამოსული, მაგრამ მას მალღარი ვაზი არ აქვს შემოხვეული. როგორც ცნობილია, ორივე სახის მარანი ქეიფისა თუ დროსტარების საყვარელ ადგილად ითვლებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე ტიპის მარანში თავსდებოდა სახედაშე ქვევრები, სადაც სალოცავისა თუ წმინდანისთვის განკუთვნილი საუკეთესო ღვინო ისხმებოდა. ბატონების ქვეყნის მარანი და ალვის ხე დიდი დედა ნანასია, რომელშიც სხვადასხვა სახის: წითელი, თეთრი და ვარდისფერი ღვინო ასხია. თითქოსდა, ამ ღია მარნის ქვევრებში ალვის ხეზე გამოსხმული ყურძნის ღვინოა ჩასხმული. „ჩვენი ბატონის კარი“ აშკარად უფალი უნდა იყოს, მაგრამ დიდი დედა ნანას და მისი ღვთაებების ქვეყანასაც ხომ ბატონების ქვეყანა ეწოდება? თავის მხრივ, „ბატონის კარი“, ხომ იგივე სამოთხეა? მითოლოგიური გადმოცემა აშკარად გვეუბნება, რომ ბატონების ქვეყანაში სიცოცხლის ხე (ალვა)

¹ Вера Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен (Тбилиси: Caucasian House, 2007), 76-78.

² თამარ შარაბიძე (რედ.), ზურაბ კიკნაძე, ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში, კრ. ვაზი სიცოცხლის ხე (თბილისი: ასოციაცია ქართული ღვინო, 2014), 78.

და ასევე სიცოცხლის ხის (ვაზის) ნაყოფიდან შექმნილი უკვდავების მიმნიჭებელი სასმელი, ღვინო, დიდი დედა ნანას კუთვნილებაა და მის გამგებლობაშია.

ერთ-ერთი ფოლკლორული გადმოცემის მიხედვით უცოლო მეფე სოლომონი სანადიროდ წავიდა. გზაზე ვარდი ნახა და მოწყვიტა. ვარდი ქალად იქცა, რომელიც მეფემ ცოლად შეირთო, როგორც აღმოჩნდა, ქალი-ვარდი მზისა და მთვარის ქალიშვილი და ვარსკვლავების და ყოფილა.¹ როგორც ქართული მასალიდანაც ჩანს, ვარდი მითოლოგიურად ჩვენთვისაც ასტრალური წარმოშობის ქალღვთაების მცენარეული იპოსტასი იყო. ამ საკითხს ოდნავ ქვემოთ შევეხებით, ვარდობის წინაქრისტიანული ფენის გნხილვისას.

ჯვარი და ღვთისმშობელი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთმანეთს უკავშირდება. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესაძლოა შემდეგი იყოს: როგორც ვიცით, სახარებაში ქრისტეს შობის თარიღი არ არის მითითებული. შობისა და აღდგომის დღესასწაულების მჭიდრო თეოლოგიური კავშირის შესახებ ენდრიუ მაკგოვანი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. იზიარებს რა Louis Duchesne-ისა და Thomas Talley-ს შეხედულებას, იმავდროულად აღნიშნავს, რომ ქრისტეს შობის თარიღის გამოანგარიშება უკავშირდება ქრისტეს პასექის პერიოდში გარდაცვალებას. ჯერ კიდევ II ს-ში ტერტულიანე აღნიშნავდა, რომ იოანეს სახარების მიხედვით, როდესაც იესო ქრისტე ჯვარს ეცვა, იყო ნისანის 14, რომაული მზის კალენდრის მიხედვით კი 25 მარტი. ამ თარიღიდან მოყოლებული, ზუსტად ცხრა თვის შემდეგ დგება 25 დეკემბერი. მოგვიანებით 25 მარტი ხარების დღესასწაულად დადგინდა. „ამგვარად, მიჩნეული იყო, რომ იესო წელიწადის ერთი და იმავე დღეს ჩაისახა და ეცვა ჯვარს“ – წერს მაკ-

¹ М. В. Глушаков, Памятники народного творчества Кутайской губернии, Имеретинские сказки, СМОМПК, отд. III, 33(1904), 62.

გოვანი და ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით აგრძელებს: „უფალი ჩაისახა 25 მარტს, იმავე დღეს, როდესაც ევნო. ამგვარად, ყოვლადწმინდა ქალწულის საშო, რომელშიდაც არ ჩასახულა არცერთი მოკვდავი, არის ახალი საფლავი, რომელშიც იესო დაეფლო. ამ საფლავში, არც მანამდე და არც იესოს შემდეგ, არ დაფლულა ძეხორციელი. მაგრამ, ტრადიციის მიხედვით იგი 25 დეკემბერს იშვა.“¹ ამდენად, დედა ღვთისა მაცხოვრის საშოცაა და საფლავიც, შობის და აღდგომის ადგილიც. შესაძლოა, სწორედ ამის გამო ითვლება, რომ ბოროტ ძალას ჯვრისა და ღვთისმშობლის სახის მიღება არ შეუძლია. შესაძლოა, სწორედ ზემოთხსენებულმა განაპირობა, რომ ქართლის სამეფოში ჯვრის დღესასწაულებს უშუალოდ მოსდევდა და უკავშირდებოდა ღვთისმშობლის ხსენებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ციკლი. ვფიქრობთ, ქართლის მოქცევის ისტორიაში, სწორედ ამის გამო იგივე რამ მოხდა, რაც ჩვენეული ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. როგორც ცნობილია, როდესაც მცხეთის გოლგოთაზე სასწაულმოქმედი ხე მოიჭრა, რომლიდანაც შემდგომ ჯვრები გამოითალა, დაემთხვა პარასკევს, ქრისტეს ჯვარცმის დღეს და ხარებას, 25 მარტს. დაემთხვა ისევე, როგორც იესო ქრისტეს იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარცმისას.

ვფიქრობთ, ქართული ეკლესიის დაარსების ხსენებული საღმრთო ისტორიიდან გამომდინარე, როდესაც ჯვრების პერიოდში ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში მცხეთის ჯვრის დღესასწაულები არსდება, სწორედ ამ მოვლენიდან გამომდინარე ჩნდება ტერმინი ჯვარ-ხატი. ანუ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მნიშვნელოვანი სალოცავების დღესასწაულები ჯვრის სახელობის სალოცა-

¹ Ibid, Andrew McGowan.

ვების დღესასწაულებია, რომლებიც მცხეთის ჯვრის ერთგვარი ხატებია.¹

პალეოლითის ხანას მოჰყვა ის, რასაც ელიადე ადამიანსა და მცენარეულ სამყაროს შორის მისტიურ ურთიერთობას უწოდებს. ამ მისტიურ ურთიერთობაში ქალი მთავარი პერსონაჟი ხდება; ქალია მცენარის მომშინაურებელი, რაც მას, როგორც ელიადე აღნიშნავს, „მინდვრის გამგებელს“ ხდის, სოციალურ ცხოვრებაში წამყვან პოზიციას ანიჭებს. პალეოლითის ქალური და დედობრივი საკრალურობა გაცილებით ძლიერდება ნეოლითში. ნაყოფიერება ქალის ნაყოფიერებას უკავშირდება. „...მოსავალზე პასუხისმგებლები ქალები ხდებიან, ვინაიდან იციან „საიდუმლო“. შესაქმის საიდუმლო, ვინაიდან იგი სიცოცხლის, კვების და სიკვდილის წარმოშობას ეხება. ქალი ნიადაგს ემსგავსება. მოგვიანებით, როდესაც სახნისს გამოიგონებენ, მიწათმოქმედება სექსუალური აქტის მსგავსი ხდება. თუმცა, ათასწლეულის განმავლობაში დიდი დედა პართენოგენეზის გზით შობდა შთამომავლობას“ – წერს ელიადე. ყოველივე თქმულმა დასაბამი მისცა იმგვარი წესების გაჩენას, როგორცაა მაგალითად: მიწაზე მშობიარობა, ახალშობილის მიწაზე დაწვენა და სხვ. „მიწიდან შობილი კვლავ ბრუნდება მიწაში დედასთან.“² რელიგიური აზროვნება მცენარეთა ვეგეტაციის რიტმში დაბადების, კვდომის და კვლავდაბადების საიდუმლოს ხედავს. ელიადეს თქმით, ადამიანი ფსიქოლოგიურად რომ გამკლავებოდა ბუნებრივ მოვლენებს, რომლებიც მოსავალს საფრთხეს უქმნიდნენ, მათი მითოლოგიზირება მოახდინა. ეს მითოლოგიური შეხედულებები და მათთან დაკავშირებული რიტუალები რე-

¹ ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ჯვარ-ხატი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური სალოცავის სახელწოდება, ქრისტიანული წარმოშობისაა.

² ალბათ, ამ შეხედულებამ გააჩინა ემბრიონის პოზაში დაკრძალვის წესი, როდესაც ადამიანი გარდაცვლილი კვლავ დედის საშოს უბრუნდება.

ლიგიურ ცხოვრებაში ათასწლეულების მანძილზე აღმოჩნდნენ წამყვან რიტუალებად და მსოფლმხედველობად. ამ მითოლოგიურ შეხედულებებსა და რიტუალებში ერთ-ერთი უმთავრესი მომაკვდავი და აღდგენადი ღმერთის თემაა. და ვინაიდან მიწათმოქმედთა კულტურა ძირითადად, მარადიული განახლების საიდუმლოზე ფოკუსირდება, ელიადე მიწათმოქმედთა სარწმუნოებას *კოსმიურ რელიგიას* უწოდებს. ადამიანის სიცოცხლე და კოსმიური რიტმები, მცენარეთა სიცოცხლესთან დაკავშირებული ტერმინებით იხსნება. „კოსმიური საკრალურობის სიმბოლო სამყაროს ხეა“ – წერს ელიადე. სამყარო ორგანიზმია, რომელიც ყოველწლიურ განახლებას საჭიროებს. ელიადეს თქმით, სამყაროს განახლება კოსმოგონიური აქტის რიტუალური განახლების მეშვეობით, უდაოდ წინასამიწათმოქმედო პერიოდის კუთვნილებაა¹.

ქალური საკრალურობის, ბუნების განახლება-აღორძინების მისტიური საიდუმლოს ცენტრში „მინდვრის გამგებელი“, მიწის დიდი დედა იდგა, რომელიც თავდაპირველად პართენოგენეზის გზით ანიჭებდა სამყაროს სიცოცხლეს, ხოლო მოგვიანებით, მამაკაცურ ღვთაებასთან მისტიური, ღვთაებრივი ქორწინების გზით.

„სუბიექტური ნიშნებაკარგული, შორეული ღმერთის საპირისპიროდ, ეს ქალური ღვთაება სრულიად კონკრეტულად და დაუცხრომლად ზრუნავს ადამიანებისთვის. იგი ტყეთა და ზღვათა განმგებელია, ნადირობისას ხელის გამმართავი და ნაყოფიერების მიმნიჭებელი. ამ რწმენაში განხორციელდა ბუნების მისტიურობის განცდა, მთელი სამყაროს გასულიერება“ – წერს ალექსანდრ მენი. დიდი დედა,

¹ Мирче Елиаде, История веры и религиозных идей, т. 1, Женщина и произрастание. Сакральное пространство и периодическое обновление мира [https://www.e-reading.club/chapter.php/86513/15/Eliade - Istoriya ver y i religioznyh ideii. Tom 1. Ot kamennogo veka do elevsinskih misterii.html](https://www.e-reading.club/chapter.php/86513/15/Eliade_-_Istoriya_very_i_religioznyh_ideii._Tom_1._Ot_kamennogo_veka_do_elevsinskih_misterii.html), ამოღებულია 29.03.2018.

„ის, ვინც შობს მიწის ნაყოფს,“ მართავს ბუნების პროცესებს. „აღვივებს მარცვალს, უნერგავს სიყვარულს ადამიანსა და ცხოველს, მას უგალობენ ჩიტები საგაზაფხულო დაწყვილებიანს. მისი ხელის ერთი აქნევით იშლებიან ყვავილები და ნაყოფში დგება წყალი. მისი სიხარული-ყოველი არსების სიხარულია. მისი თვალები ზეცის ლაჟვარდით გვიმზერენ, მისი ხელი თბილად ეაღვრება ფოთლებს. იგი გაზაფხულის ნიაგია დედამიწას რომ გადაუქროლებს.“¹

საქართველოში, ადრეპალეოლითის, ადრესამიწათმოქმედო კულტურაში არქეოლოგების მიერ უკვე ფიქსირდება ქაღვთაების თაყვანისცემა. ნეოლითის ეპოქა (ძვ.წ. აღ. VI-V ათასწლეული) მკვეთრად გამოხატული ქალური ღვთაების, დიდი დედის, ეპოქა ხდება. ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეული) წინა პლანზე მამაკაცური ღვთაება მოდის. მტკვარ-არაქსის კულტურით ცნობილი ეს ხანა დაწინაურებულ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა კულტურაა. ამ პერიოდში საოჯახო კერის კულტი ძალზედ გავრცელებული ჩანს. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით კერა, თავისი გავარვარებული ნაკვერჩხლებით მზის სიმბოლოა, რომლის შარავანდედს ბორდიური წარმოადგენს. კერის შეღესილობაში ჩატანებული და გათხრებისას ნაპოვნი ხორბლის მარცვლები, მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ კერა ნაყოფიერების იდეის გამომხატველი იყო და უზენაეს ქაღვთაებას – მზეს განასახიერებდა. გათხრების შედეგად მრავლად აღმოჩნდა კერასთან მჯდომი მამაკაცის ფიგურა ხარის რქებით. ზოგან მათთან ქვის ფალოსიცაა ნაპოვნი. ფიქრობენ, რომ ყოველივე მამაკაცის მიერ განაყოფიერებული დიდი დედა უნდა იყოს, რომლის

¹ Александр Мен, История религии. т. 2, http://www.alexandrmn.ru/books/tom2/2_gl_01.html, ამოღებულია 29.03.2018.

სიმბოლოს კერა წარმოადგენს.¹ ნეოლითსა და ენეოლითში ჩვენში უკვე კარგადაა განვითარებული სოლარული კულტი და დიდი დედის თაყვანისცემა. მრავლადაა ნაპოვნი ქალის ფიგურები, რომლებსაც აქცენტირებული ბიუსტი და ტორსი აქვთ.²

„ქართველი“ დიდი დედის მითოლოგიური ფიგურა, დიდი დედა ნანას სახით, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გარკვეული ფორმით, ფაქტობრივად დღემდეა შემორჩენილი. ვერა ბარდაველიძემ ზღაპრებისა და ლეგენდების მოშველიებით ფუნდამენტურად განიხილა ნანების ტექსტის სიმბოლიკა და მნიშვნელობა. იგი კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიერ განხილული ლეგენდები, ზღაპრები, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალი წარმოგვიჩვენებს დიდ დედა ნანას, როგორც ნაყოფიერებისა და აღორძინების ქალღვთაებას; რომ მისი თანმხლები ბატონები დიდი დედა ნანას ანუ ღვთაება მზის შვილები არიან და იგივე ბუნება აქვთ.³ ჩანს დიდ დედა ნანას, „ია და ვარდი, რომ ფენია“, და მის თბილ, მზრუნველ სხივებს, უმადლოდა ქართველი ბუნების აღორძინებას, ჯანმრთელობას, მცენარეული სამყაროს აყვავებას. ვარდობაც ხომ მისი დღესასწაული უნდა ყოფილიყო. თუ უზენაესი ღმერთი მთელ კოსმოსს ქმნიდა წელიწადის პირველ დღეს, რათა სამყარო მოსალოდნელი ქაოსისაგან გადაერჩინა, დიდი დედა გაზაფხულ-ზაფხულში მცენარეული სამყაროს შობა-აღორძინებით, მიწისგან ანუ მისი სიმბოლური საშოდან

¹ ოთარ ღორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002), 64-65, 80-81.

² იაზო კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) (თბილისი: მეცნიერება, 1976), 154, 157-158.

³ Вера Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, изд. ~Caucasian House~, Тб., 2007, ცვ. 86, 96.

ნაყოფის გამოღებით, ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მიმნიჭებელი ხდებოდა. ამდენად, შესაძლოა, ვარდობა, იგივე ათენგენობა მცენარეული სამყაროს დაბადება-აღორძინების წინაქრისტიანული დღესასწაული ყოფილიყო, რაც უდაოა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ადამიანისთვის. თანამედროვე ტერმინები რომ მოვიშველიოთ, დიდი დედა ეკოსისტემის მფარველი და მასზე მზრუნველი ღვთაებაა. შესაბამისად, რამდენადაც ბუნების კვლავ დაბადება-აღორძინება უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის, იმდენად დიდია ამ პროცესის მამოძრავებელი ღვთაების დღესასწაულიც.

„შალვა ასლანიშვილი ნაშრომში – „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“ – განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „იავნანას“ მელოდიას. მკვლევარი ვრცლად განიხილავს ამ ჰანგის ადგილსა და როლს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში და მას ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული ფონდის ძირითად ნაწილად მიიჩნევს. თამარ მამალაძის აზრით, „მზე შინას“, „იავნანას“ და ბევრ შრომის სიმღერას ერთი ინტონაციური ფორმულა უდევს საფუძვლად. საყურადღებოა, რომ „იავნანას“ ჰანგი გამოყენებულია აგრარულ კულტებთან დაკავშირებულ ისეთ ჟანრებში, როგორცაა მაგ., გონჯა-ლაზარე, დიდება, დათოს ფერხული, ზემყრელო, ლაშარის სიმღერა და სხვ.“ – წერს ნინო კალანდაძე-მახარაძე თავის დისერტაციაში.¹ ნინო მაისურაძე მიიჩნევს, რომ მრავალი საწესო, შრომის თუ საყოფაცხოვრებო სიმღერა „იავნანას“ ინტონაციურ არეში ექცევა. „მუსიკალური ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა აკვნის ნანები გენეტიკურად დაკავშირებულია ნატირლებთან, საფერხულელებთან და ნაწილობრივ-ისტორიულ-საგმირო სიმღერებ-

¹ ნინო კალანდაძე-მახარაძე, ქართული „ნანა“: ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები, დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი, 2009, 22-31.

თან, რომლებიც ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპების,“ საერთო ქართული მუსიკალური ფუძე ენის ამსახველია.¹ ამდენად, თუ შალვა ასლანიშვილს დავესესხებით, იავნანას მუსიკალური ჰანგი ზოგადქართული მუსიკალურ-ფოლკლორული ფონდის ძირითადი ნაწილია. დიდ დედა ნანასთან დაკავშირებული საწესო-რიტუალური ჰანგი, ასე ვთქვათ, ერთგვარი „დედა ჰანგია“. ჩანს დიდი დედა ნანა იმდენად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ქართველთათვის, რომ მისდამი თაყვანისცემა მათ მუსიკალურ აზროვნებაშიც აისახა. რატომ შეიძლება ასე მომხდარიყო? გარდა იმისა რომ დიდი დედა ნანა ვეგეტაციის, სიცოცხლის კვლავგანახლება-აღორძინების ღვთაება იყო, იგი გაცილებით ღრმა ფესვებით უნდა იყოს ქართველთა მითოლოგიურ მსოფლადქმასთან დაკავშირებული.

გავისხენოთ, რას გვიამბობენ ბატონების ნანები? ბატონებიანი ავადმყოფის ოჯახში, იქ, სადაც ავადმყოფი წევს, ნანას შემსრულებელი გვიამბობს თუ რა მოხდა. მოხდა ის, რომ ოჯახს, კერძოდ ავადმყოფს ბატონების სახელით ცნობილი საპატიო სტუმრები ესტუმრნენ, რომლებიც ოჯახმა სიხარულით მიიღო. მათ შორის ბატონების მამიდაცაა, რომელსაც ოჯახი განსაკუთრებული პატივით მასპინძლობს: ხალიჩას უფენს. ამასაც არ ჯერდებიან და ორხოსაც,² რბილ საფენსაც ამატებენ. რიტუალის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი, მთხრობელი, მუსიკალური ფორმით გვიამბობს საკრალურ მითოლოგიურ ამბავს. ბატონების დედაზე, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე იგივე პერსონჟია, რაც ბატონების მამიდა. ჩვენი რწმენით,

¹ Ibid, მაისურაძე, 64-65, 284.

² იგივე ორხოვა – ხაოიანი საფენი, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (თბილისი: მერანი, 1991), 607.

ეს ერთი ღვთაებრივი პერსონაჟის, დიდი დედა ნანას, ბატონების დედის ერთ-ერთი ეპითეტია. ბატონების დედა-მამიდას და ბატონებს წინ ოქროს აკვანი უდგათ, რომელშიც ძვირფას საფენებში გახვეული, მთვარითა და ვარსკვლავებით გაწყობილ პერანგში, ოქროსქოჩრიანი ღვთაებრივი გმირი წევს. მის აკვანს ლალის ჩანჩხურა აქვს შებმული. აკვანს ღვთაებრივი სტუმრები თან არწევენ და თან საამური ხმით ნანას მღერიან. ტექსტი, რომელიც ამ აღწერილობას მოსდევს, ვფიქრობთ, არის იმ ნანას ტექსტი, რომელსაც ღვთაებრივ ჩვილს ბატონები უმღერიან და რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოედნენ სოფელს შვიდი დამა ბატონები, როგორც ჩანს, შვიდი ძმა წითელ ჩოხიანია, შვიდი და კი შვიდი მზე, დედა ბარბარეს-მზის ქალღვთაების შვილები. ისინი აღწერენ თუ, როგორ აყრიან 7 სოფელს 7 თევზ მარგალიტს ანუ ინფექციურ დაავადებას და შემდგომ ისევ კრეფენ ანუ მიაქვთ დაავადება მარგალიტის სახით. თავიანთ საკრალურ ნანაში ბატონები იმასაც აღნიშნავენ, რომ 7 სოფელში კარავი დასცეს და მოიღხინეს. რა თქმა უნდა ამ გამონათქვამში ძნელი არ არის დავინახოთ ის რიტუალური გამასპინძლება, ჩონგურზე ტკბილხმიანი დამღერება, რომელიც სახადიანი ავადმყოფისთვის სრულდება. აღსანიშნავია, რომ ბატონების ნანა, დიდ დედა ნანასთან დაკავშირებული მითოლოგიური გადმოცემები, სარკისებურ ასახვას პოულობს იმ რიტუალში, რომელიც სახადიან ავადმყოფთან სრულდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მითი რიტუალში სარკისებურადაა ასახული, როდესაც მითი სააქაოში იჭრება და სახიერი ხდება.

„შვიდი ბატონი და-ძმანი,
იაგ, ნანინაო,
შვიდ სოფელს მოვეფინეთო,
ვარდო, ნანინაო,
შვიდნი წითელჩოხიანნი,

იავ, ნანინაო,
შვიდნი დანნი, შვიდნი მზენი,
ვარდო, ნანინაო,
დედა ბარბარეს შვილები,
იავ, ნანინაო,
შვიდი თეფში მარგალიტი,
ვარდო, ნანინაო,
შვიდ სოფელს გადავაშაღეთ,
იავ, ნანინაო,
მერე ისევ წამოგკრიფეთ,
ვარდო, ნანინაო,
შვიდგან დავციოთ კარავი,
იავ, ნანინაო,
შვიდგანვე მოვილხინეთო,
ვარდო, ნანინაო“.

ამით სრულდება საკრალური „იავნანას“ ტექსტი და მთხრობელი განაგრძობს თხრობას: იგი ბატონების საბრძანებელს, მათ ქვეყანას აღწერს, იავარდით მოფენილ ქვეყანას, სადაც მარადიული ნათელია, იავუნდის მარანს, მასთან ამოსულ ალვის ხეს, მასზე შემომჯდარი ბუღბუღითა და შევარდნით. როგორც კარგადაა ცნობილი, ზოგიერთ ვარიანტში ძალზედ გავრცელებული საკრალური ტექსტიცაა ალვაზე შემოხვეული მაღლარი ვაზით, რომლის ნაყოფი უკვდავების მიმნიჭებელია და ის ქალ-ვაჟი, ვინც მას არ იხმევს, უდროოდ კვდება. დღემდე შემორჩენილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხატობათა რიტუალების ყველაზე გავრცელებული, დამახასიათებელი და მდგრადი არქაული ტექსტი, რომელიც ასევე საერთო ქართული იავნანას მუსიკალური ჰანგის, მუსიკალურ-ფოლკლორული ფონდის ძირითადი ნაწილის შემცველია.

იავნანას ტექსტის ბოლოს, რიტუალში მონაწილე მომღერალი – მთხრობელი ტექსტს იმით ამთავრებს, რომ

წინ უშლის ბატონების დედა-მამიდას და ბატონებს იისა და ვარდის ხალიჩას, რაც რიტუალურადაც სრულდება. იმის გამო, რომ ვერა ბარდაველიძეს ზღაპრებისა და ლეგენდების მოშველიებით ფუნდამენტურად აქვს განხილული ნანების ტექსტის სიმბოლიკა და მნიშვნელობა, აღარ შეეჩერდებით მათზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ვერა ბარდაველიძე კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიერ ამ კონტექსტით განხილული ლეგენდები, ზღაპრები, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალი წარმოგვიჩვენებს დიდ დედა ნანას, როგორც ნაცოფიერებისა და აღორძინების ქალღვთაებას. ბატონები დიდი დედა ნანას ანუ ღვთაება მზის შვილები არიან და იგივე ბუნება აქვთ;¹ რომ, თუ სხვა ხალხების დედა ღვთაებებს ღვთაებრივი ჩვილი ხელში უჭირავთ, ქართულ არქეტიპულ ხატში დიდი დედა აკვანთანაა და უმღერის ჩვილს. ის, რომ ჩვენ მიერ მოტანილ ტექსტში დიდი დედა ნანა ბარბარეს სახელითაც მოიხსენიება, იგივეს უნდა ამტკიცებდეს. როგორც ძალიან კარგადაა ცნობილი, ვერა ბარდაველიძემ ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ბარბარესა და მზის კავშირს. ისიც ძალზე ნათელია, რომ დედა ნანას ნაცვლად ბარბარეთი ჩანაცვლება, მხოლოდ ქრისტიანობის შემდგომ გახდებოდა შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ ქალის სახელი ბარბარე საქართველოშიც წმინდა ქალწულმოწამე ბარბარეს უკავშირდება; რომ ბატონების ნანაში ქალღვთაება ნანას ნაცვლად ნახმარი ბარბარე წმ. ბარბარე უნდა იყოს. ამგვარი ჩანაცვლება სრულიად კონტექსტშია, რამეთუ, ღვთაება ნანას მსგავსად, წმ. ბარბარე ინფექციური დაავადებების მკურნალადაა მიჩნეული. ამგვარი ჩანაცვლება წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია; გამოვლინებაა იმ ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობის, რომელმაც უარჰყო ერთი სარწმუნოება და შეითვისა მეორე. მაგალითია იმისა, თუ

¹ Ibid, Бардавелидзе, 86, 96.

როგორ ქრისტიანდება წინაქრისტიანული მსოფლმხედველობა. ასევე, ფიქრობთ, სიტყვა ბაბარ არ უნდა იყოს წმ. ბარბარესთან დაკავშირებული. იგი ღვთაების ეპითეტი უნდა იყოს და არა ღვთაება თავად. იგი შუმერული სიტყვა უნდა იყოს და ნიშნავდეს მანათობელს. ქალის სახელი ბარბარე კი, რაც უცხო, ბარბაროსს ნიშნავს, ჩვენში შუმერიდან ბერძნული სამყაროს გავლით უნდა იყოს შემოსული. შესაძლოა, ვერა ბარდაველიძის მიერ შესწავლილი სოლარული, კერძოდ, მზის ნიშნების მქონე ქალღვთაება ბაბარ/ბარბალ ჩვენში არსებული მზის ქალღვთაება ნანას ეპითეტია, რომლის კულტის კვალი, საქართველოში, მათ შორის სვანეთში, კარგად აქვს ნაჩვენები ხსენებულ მეცნიერს.¹

მაგრამ, რა არის ის საერთო, რაც ცნობილ ქართულ ფოლკლორულ ლექსს „მზე შინასა“ და ბატონების ნანებს აკავშირებს ერთმანეთთან?

რა არის იმის მიზეზი, რომ ისინი, როგორც ტექსტუალურად ასევე მუსიკალურად იმდენად გამძლე აღმოჩნდნენ, რომ ჩვენამდე მოაღწიეს? ხსოვნა იმის შესახებ, რომ რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილ რიტუალებში ისინი ფერხულითა და სიმღერით სრულდებოდა,² დღემდე შემორჩენილი და ზოგიერთი მადგანი ვგონებ დღესაც სრულდება. მაგალითად ქორბეღელა. „ძლიერ განვითარებული სოლარული რელიგიისა და დიდი დედა ნანას კულტის გაფურჩქვნის ხანაში, რამდენადაც შესაძლებელია ამაზე მსჯელობა გადმონაშთების მეშვეობით, იგრძნობა სწრაფვა დმერთების გენიალოგიის შექმნისკენ, მა-

¹ Nino Ghambshidze, Nana Bakhsoliani, Migration of the Cultural Phenomenon and its Influence on Different Traditions (Ethno-Historical Research) in Modern Tendencies of Forming the Global Community (Tbilisi:Universal, 2016), 33-34.

² ნინო მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები (თბილისი: მეცნიერება 1989), 31-32.

თი ერთმანეთთან, დიდ დედასთან და სხვა უმაღლეს ღმერთებთან დაკავშირებისა და ერთიან სისტემაში მოქცევისა. სიმღერის ვარიანტებში ვხვდებით 7 და-ძმა ბატონებს, 7 დას და 7 ძმას და სხვ. შესაძლოა ამ შვიდეულში იგულისხმებოდნენ „დიდი ბატონები“, 7 მნათობი, რომლებიც კოსმიურ პროცესში მონაწილეობდნენ დიდი დედა ნანას მეთაურობით „- წერს ვერა ბარდაველიძე.¹

ითვლება, რომ ქართულ მითოლოგიაში კოსმოგონიური მითოსი თავისი პირვანდელი სახით არ არსებობს.² მაგრამ ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ქართულ მითოსში სხვადასხვა სახით გვევლენა მისა და ხარის ბრძოლის სიუჟეტი გვხვდება, რომელიც „ზღვის სტიქიისა (ქაოსი) და ხმელეთის (კოსმოსის) დასაბამიერ ბრძოლას განასახიერებს.“³

„მითში მოცემული თხრობა წინარე დროში მომხდარ მოვლენებს აღადგენს, რომლებიც ღრმა რელიგიური მოთხოვნილებების, ძლიერი მორალური სურვილების დაკმაყოფილების, საკრალური წარმოდგენების, მტკიცებების და თავად პრაქტიკული მოთხოვნილებების გამოა მოთხრობილი“ – წერდა ბ. მაღინოვსკი. „მითები ტრანსცენდენტული ისტორიებია, რომლებშიც აღწერილი, მოთხრობილი ამბები სინამდვილედ, რეალობად აღიქმება. ისინი პარადიგმატული, რომელთა მეშვეობით ადამიანები იგებენ თუ რა არის ის დიდი ისტორიები, რომლებშიდაცაა მათი ცხოვრება მოთავსებული. ისინი აცნობენ ადამიანს თუ რა არის ნამდვილი, მარადიული და მყარი“. პოლ გ. ჰიბერტი, დანიელ შო, ტაიტ ტიენე თვლიან, რომ ავტორიტეტის მქონე მეტანარტივების გარეშე ადამიანი ვერ პოულობს აზრს, ადგილს

¹ Ibid, 97.

² ქართული კოსმოგონიური მითის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი სტატია: „მზე შინა და მზე გარეთა“ (ეთნოლოგიური ძიებანი), ანალები, 11(2015)

³ Ibid, კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, 60.

და დანიშნულებსა თუ რატომ უნდა იარსებოს სამყაროში, რის გარეშეც გაუცხოებულა ერთმანეთისაგან და რეალობისგან. „მითის ენა საზოგადოების მეხსიერებაა“, იმ საზოგადოების, რომელიც ინარჩუნებს კავშირებს და დგას ერთად, ვინაიდან იგი „რწმენის საზოგადოებაა“.¹ მითები ადამიანური არსებობის არქეტიპებია, რომლებიც ამბების სახითაა მოყოლილი. ადამიანური ისტორიები იცვლება, მაგრამ მითები ცხოვრობენ, არსებობენ და სიცოცხლეს გვანიჭებენ. გარდა იმისა, რომ მითები ღვთაებრივი, მიღმა სამყაროს, კოსმოსის ისტორიას წარმოადგენენ და გვისახავენ გზებს ამასოფლის რეალობაში საცხოვრებლად, მითი მსმენელს მყისიერად განაცდევინებს ტრანსცენდენტულს, მაშინ, როდესაც ემპირიული სიმართლე დროითა და ენითაა დასაზღვრული. მითები შობენ, აჩენენ, ბიძგს აძლევენ ისტორიას. ეს არის გზა, რომლითაც ღვთაებრივი რეალურ სამყაროში შემოდის, რაც აჩენს, აფუძნებს ამასოფელს, მას და ადამიანურ ისტორიას აძლევს საზრისს, აკავშირებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. მითი ადამიანს აძლევს საშუალებას ურთიერთობა ჰქონდეს კოსმოსთან. მითს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადამიანური ცივილიზაციისთვის. ისინი არ არიან უბრალო მოთხრობები, არამედ აქტიური, ძლიერმოქმედი ძალები. ისინი არ არიან ინტელექტუალური განმარტებები თუ მხატვრული სახეები, ცხოვრებისეული პერსონაჟები და ზნეობრივი სიბრძნე,² ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მეტანარატივებია.

¹ Antoine, Robert. 1975. Rama and the Bards: Epic Memory in the Ramayana. Calcuta, Tompson, წელი და გვერდი არ არის მითითებული. პოლ ჰიბერტის, დანიელ შოს და ტაიტ ტიენუს მიხედვით, Paul G. Hiebert, R. Daniel Shaw, Tite Tienou, Understanding Folk Religion, A Christian Response to Popular Beliefs and Practices, (Michigan: Baker Books, 1999), 258.

² Ibid, Hiebert, Shaw, Tienou, 259-260.

ნუთუ მართლაც არ არის ქართულში კოსმოგონიური მითი? სწორედ ასეთი მეტანარატივი, რომელიც პასუხობს კითხვაზე თუ როგორ გაჩნდა სამყარო და ვინ არის ჩვენი წინაპარი, საიდან მოვდივართ ჩვენ. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მეტანარატივი არის და იგი „მზე შინას“ და მზესთან დაკავშირებულ ფოლკლორულ ტექსტებშია მოცემული, რასაც ერთგვარად განვითარებული სახე ბატონების ნანაში უნდა მივლო. ვფიქრობთ, ამის ნათელ მაგალითს „მზე შინას“ მესხური ვარიანტი გვიჩვენებს.

„მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
ჩვენ ვაჟი შეგვმატებია მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
შინ არ არის ვაჟის მამა, მზე შინ შემოდო.
ქალაქშია აკვნისათვის, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
მოგვივიდა ვაჟის მამა, მზე შინ შემოდო.
მოიტანა ხარატული, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
გაშალეს ოქროს ქსოვილი, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
დააბრძანეს ვაჟის დედა, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.
მოულოცეს ჩახატული, მზე შინ შემოდო.
მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო.“

ყველასათვის ცნობილია, რომ დროის წინაქრისტიანული განცდა წრიული ხასიათისაა. რომ ბუნება იბადება, იზრდება, აღწევს ზენიტს და იწყებს კვდომას. სამყაროს გადასარჩენად კი საჭიროა კოსმოგონიური აქტის განხორციელება, რათა იმ ზედროული აქტის განახლება მოხდეს,

რომელმაც უდიდესი ძალისხმევით შექმა სამყარო ყველა თავისი კომპონენტით.

ქართველისათვის შესაძლოა სამყარო ამგვარად შეიქმნა: მზე (იხვი) ჯდება ბუდეში, დებს ოქროს კვერცხს, რაც იმავდროულად ჭუჭყული (იხვის ნაშიერი) მარგალიტია.

მზე ჩაღმა ჩამავალია,
ჩავა, ჩაჯდება ბუდესა;
ოქროსი კვერცხი დაუდევს,
ჭუჭყული მარგალიტისა.

ეგვიპტურ მითოლოგიაში დიდი ბატი თუ იხვი ქაოსიდან ამოზრდილ ბორცვზე დებს კვერცხს, საიდანაც მზის ღმერთი – დემიურგი იჩეკება. აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც კვერცხია, იქვეა ქაოსური წყლები და ეს ორი რამ ერთად გვხვდება კოსმოგონიურ მითებში.¹ იგივე ეგვიპტურ კოსმოგონიურ მითზე სიმბოლოთა ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ მზე თავდაპირველად ქაოსიდან ოქროს კვერცხის სახით გამოჩნდა, რომელიც ქაოსის იხემა დადო.²

ეგვიპტური მითის მზგავსად, როგორც ჩანს ჩვენთვისაც, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით კოსმოგონია კვერცხს უკავშირდება. ჩვენ მითშიც მზე ოქროს კვერცხის სახით იბადება. კვერცხის, რომლის ყვითელი გული ასე ჰგავს მზეს და რამაც, სავარაუდოდ, ამგვარ მითო-ასოციაციას დაუდო საფუძველი. როგორც ჩანს, ჩვენ ტექსტშიც ეს კვერცხი ქაოსის იხემა დადო, რადგანაც იგი მითო-პოეტურმა ასოციაციამ მარგალიტის მეშვეობით, ყოვლად სრულ, მშვენიერ³ იხვის ჭუჭყულს შეადარა. ხდება განწვა-

¹ ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 62-69.

² Aibid, Ad de Vries, 448.

³ მარგალიტი – ადამიანი ანდა სავანი, ყოვლად სრული, სიმშვენიერით მოსილი, ნატიფი, ძვირფასი. თედო სახოკია,

ლება და ჩნდება ცა და მიწა, ნათელი და ბნელი. ჯერ კოსმიური იხვი დებს მზეს ოქროს კვერცხის სახით, შემდგომ მზე წვება და მთვარეს შობს. მზე და მთვარე თავის მხრივ და-ძმა არიან, კოსმიური იხვის შვილები, რასაც მათ მიერ მომავალი გმირის/ღმერთის/მეფის გაჩენა მოსდევს. ვარსკვლავების სახით გმირსაც ჰყავს და-ძმები. ახალშობილი ოქროსთმიანი ჩვილია. ბატონების ნანას ოქროსთმიანი ჩვილისთვის, სწორედ იმიტომაა ბატონების დედა იგივე მამიდაც, რომ დიდი დედა ნანა, მზე ქალი, მთვარის ცოლიცაა და დაც.

სიტყვები „მზე შინა და მზე გარეთა, მზევე შინ შემოდით“, როგორც ჩანს მზის ცის თაღზე მოძრაობას განასახიერებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იგი მზის დღე-ღამურ მოძრაობას კი არა, არამედ წლიურს განასახიერებს. როგორც ცნობლია, ეკლიპსი ის ასტრონომიული მოვლენაა, რომლის დროსაც ასტრალური სხეული დროებით ქრება ან მეორის ჩრდილში ექცევა, ანდა სხვა ასტრალურმა სხეულმა ჩაიარა მასა და დედამიწას, ადამიანს შორის, რომელიც ამ სხეულს უყურებს. ეკლიპტიკა კი არის ის ხილული გზა წლის განმავლობაში, რომელსაც მზე ცაზე გაივლის და რომელიც დედამიწიდან ჩანს. როდესაც ამ გზაზე მზეს საესე ან ახალი მთვარე ხვდება, ხდება ეკლიპსი ანუ მზის დაბნელება. ანუ მზე ან შინ, სამზეოშია, სადაც სიცოცხლეა ან გარეთ, სიბნელეში, სადაც სიკვდილია. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით, წლის განმავლობაში მზე ნელ-ნელა იღევა და სიკვდილის პირას მიდის, სამყაროც იღუპება და რომ კატასტროფა თავიდან იქნეს აცილებული, შესაქმის დღესასწაულზე, ახალ წელს, სრულდება რიტუალი, რომლის დროსაც კოსმოგონიური აქტი აქტუალიზდება. ამ დროს რიტუალის საშუალებით მითიური, კოსმოგონიური აქტი

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (თბილისი: მერანი, 1979), 372.

ნამდვილება. „განმეორება გახსენებაც არის და ცეკვა-სიმღერით იმ ძირითადი მითიურის რიტუალური განამდვილება, რომლებიც შესაქმის დროიდან მოხდა“ – წერს ელიადე.¹ როგორც ცნობილია, ფერხულით, რიტუალური სიმღერით, ცეკვით ახლდებოდა პრაიმორდიალური დრო, მტკიცდებოდა მიწისა და ცის კავშირი, მყარდებოდა ჰარმონიული მდგომარეობა. მკვლევართა აზრით ფერხულები თავდაპირველად წრიული ფორმის უნდა ყოფილიყვნენ. წრებრუნვა, ტრიალი, რაც ქმედების საშუალებით ხაზავს წრეს, რიტუალის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, წარმოშობს მაგიურ ძალას, რომელიც ქმნის წრის შიგნით დამცავ ძალას. ანუ რიტუალური, წრიული ფერხული და სიმღერა წრის შიგნით ქმნის დაცულ, საკრალურ სივრცეს, რომელიც შესაქმის, კრეაციის აქტუალიზაციას წარმოადგენს.² მკვლევართა აზრით „მზე შინაც“ ხომ თავდაპირველად საფერხულო რიტუალური სიმღერა იყო, რომლის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნიმუშს მეგრული ვარიანტი წარმოადგენს. ვფიქრობთ, თავდაპირველად „მზე შინა“ წლის დასაწყისის, მზის დაბადების, ახალი წლის დღესასწაულის რიტუალის საფერხულო სიმღერა უნდა ყოფილიყო, რომლის, როგორც მუსიკალური, ასევე ენობრივი ტექსტით დღესასწაულის შინაარსი გამოიხატებოდა, რიტუალის მონაწილეებისთვის, საზოგადოებისთვის საცნაური ხდებოდა თუ როგორ შეიქმნა ყოველივე თავდაპირველად. საზოგადოება ამგვარად მეტანარატივს ეზიარებოდა. „მზე შინა“ ბოლო დრომდე სამეგრელოში ჭვენიერობის დღესასწაულზე კირიელეისონთან ერთად სრულდებოდა. თავის მხრივ, ჭვენიერობა კაპუნობის დღესასწაულთანაა კავშირში. კაპუნობის დღესასწაული უზენაეს წარმართულ ღვთაებას ეძღვნებოდა და შაბათს, კვირას და ორშაბათს ანუ კრონო-

¹ მირჩა ელიადე, მითის ასპექტები (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009), 25.

² Ibid, ალავერდაშვილი, 130-134, 27, 67.

სის, მზისა და მთვარის დღეებს ემთხვეოდა. კაპუნობა ახალწლის დღესასწაული უნდა ყოფილიყო, რომლის დროსაც მზეს/ღვთაებას შინ დაბრუნებას სთხოვდნენ. აქ 1 წლის ბავშვებს სწირავდნენ კერძს, რომლებიც მაშინ დაიბდნენ, როდესაც წინა წლის რიტუალის გზით მზე შინ შემოვიდა. სამსხვერპლო ჩვილი თურმე თავად დედას მიჰყავდა შესაწირად.¹ და უნებლიედ გვახსენდება: „ცხვარს დაგიკლავ მაკესაო, მზევ, შინ შემოდო“.

ამგვარად, ქალური ბუნების მზის ღვთაება, ქართველისთვის სამყაროს, მისი და მისი საარსებო გარემოს, „სამზეოს“ დამბადებელმა სიცოცხლე დიდ დედა ნანაში გააგრძელა. გააგრძელა ქალების ისეთ ქართულ სახელებში, როგორებიცაა: მზია, მზექალა, მზევინარი, მზისავარი... ჩვენთვის ნაცნობ ენებში, მზე ქალის სახელებში არ უნდა ფიგურირებდეს.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

ლაშარის წმ. გიორგის დღესასწაული, რომელიც აგრეთვე, ფშავის, თუშეთის და ერწო-თიანეთის მთავარი სალოცავის დღესასწაულია, სამი ისტორიული ფენისგან შედგება. ორი ქრისტიანულის და ერთი წინაქრისტიანულის.

წინქრისტიანულ პერიოდში, შესაძლოა იგი დიდი დედა ნანასთან დაკავშირებული მცენარეული სამყაროს დაბადება-აღორძინების გაზაფხულ-ზაფხულის დღესასწაული ყოფილიყო, რომელსაც ვარდობა ერქვა და რომელსაც ქრისტიანობის პერიოდში, საეკლესიო კალენდრის ორი პერიოდის გამყოფი დღესასწაულის, ათენგენობის სახელი დაუკავშირდა. შესაძლოა ვარდობა-ათენგენობა მზის ქალ-

¹ М. Машурко, Предания основание Мартвильского монастыря, СМОМПК, , от. III, 18(1894), 376, 377; გივი ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა) (თბილისი: ცოდნა, 1962), 15.

ღვთაება დიდი დედა ნანასადმი მიძღვნილი ქართლის სამეფოს საერთო გაზაფხულ-ზაფხულის დღესასწაული იყო.

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, „*ჯვრის პერიოდში*“ იგი ძლევეთ შემოსილი *ჯვარის* დღესასწაული ხდება, რომელიც იდღესასწაულებოდა აღდგომიდან მესამე კვირას. როგორც ჩანს, მოგვიანებით, იგი პეტრე-პავლობასთან დაკავშირებული, სერობის სახელით ცნობილი დღეობა ხდება. პეტრე-პავლობა საქართველოში, ძირითადად სვეტიცხოველთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც მოციქულთა სახელობის უმნიშვნელოვანეს ტაძართან. ლაშარობა, მაშინ, როდესაც პეტრე-პავლობა, 29.06/12.07 კვირას მოდის, მეორე დღეს, ორშაბათს, სვეტიცხოველობას, 30.06/13.07 აღინიშნება.

ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ მთიანეთის სალოცავების ზოგადი სახელწოდება – *ჯვარ-ხატები-ჯვრის პერიოდს* და მცხეთის *ჯვარს* უნდა უკავშირდებოდეს, რომლის სახელობისაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მთავარი სალოცავების უმრავლესობა. მთიულეთის მთავარი სალოცავი ლომისის წმ. გიორგი, რომლის დღესასწაულია სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათი¹ ანუ მცხეთის *ჯვრის* სასწაულის დღესასწაული; ფშავის, თუშეთის² და ერწოთიანეთის მთავარი სალოცავი ლაშარი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული იყო *ახალკვირე*, აღდგომის მესამე კვირა, ძლევეთ შემოსილი *ჯვრის* ანუ მცხეთის *ჯვრის* აღმართების დღესასწაული და პეტრე-პავლობა-სვეტიცხოველთან დაკავშირებული სერობა/საღმურთობა. გერგეტის სამება, რომელიც გადმოცემის მიხედვით, წმ. ან-

¹ იხ. Ibid, ღამბაშიძე, ლომისობა.

² მართალია, ლაშარობა მას მერე გახდა თუშეთის მთავარი სალოცავი, რაც წმ. გიორგის სახელს დაუკავშირდა, მაგრამ თუშურ გადმოცემებსა და სალოცავთა სისტემაში ჯერ კიდევ შეინიშნება ქრისტიანობის გავრცელების კვალი. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ კვლევამ *ჯვრის პერიოდის* სალოცავიც გამოავლინოს.

დრია პირველწოდებულის და წმ. ნინოს მიერ ჯვრების აღმართვის ადგილად იყო გამორჩეული; სადაც ბოლო დრომდე ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ღვთისმშობლის ვარდობის კვალი (სოფ. სიონის სამების მარიამობას ვარდობა ერქვა) და აღდგომის მესამე კვირა, რომელიც საეკლესიო კალენდრის გვიან ფენაში მენელსაცხებლედ დედების დღეა და რომელიც ძალზედ პოპულარული იყო მთელ ხევში, და ქალებს უკავშირდებოდა. თუმცა, შესაძლოა იგი მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი დღესასწაული, ძლევიტ შემოსილი ჯვრის, ანუ ჯვრების აღმართების დღესასწაული იყო თავდაპირველად, ისევე, როგორც ლაშარობა.

თავის მხრივ, აღდგომის მესამე კვირას, მენელსაცხებლედ დედათა მოხსენიებით, ეკლესია იმ სახარებისეულ ამბავს იხსენებს, როდესაც იესო ქრისტე მენელსაცხებლედ დედებს გამოეცხადა. იხსენებს მკვდრეთით აღმდგარი იესოს პირველ გამოცხადებას, რაც მისი მკვდრეთით აღდგომის მოწმობა იყო.¹ ანუ ეს არის ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის იდეის გამომხატველი, მაცხოვრის აღდგომის დამოწმების საერთო სამართლმადიდებლო დღესასწაული. როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის იდეას ძლევიტ შემოსილი ჯვრის ანუ მცხეთის ჯვრის დღესასწაულები? როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მრავალ სიწმინდეს შორის საქართველოს საქრისტიანოსთვის უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები უკავშირდება. ესენია, ებრაელების მიერ მცხეთაში მოტანილი ელიას ხალენი და მაცხოვრის კვართი, კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის მიერ გამოგზავნილი უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, ორი ხელთა სამსჭვალე, ფერხთა ფიცარი და მაცხოვრის ხატი. როგორც ცნობილია, კვართი, უფლის სიმბოლური სხეული, კვიპრია-

¹ С. В. Булгаков, Настольная книга для священно-церковно-служителей (Москва: Издательский отдел Московского Патриархата, 1993), 654-655.

ნე კართაგენელის თქმით, განუყოფელი, ერთიანი კათოლიკე ეკლესიის ხატი და ნიშანია. ფაქტობრივად, ქრისტიანობაზე მოქცეული საქართველოს ეკლესია ჯვარცმასთან და შესაბამისად, მეკედრეთიდ აღდგომის სიმბოლოებთან დაკავშირებულ წმინდა ნაწილებზე ფუძნდება: კვართზე ანუ უფლის სხეულზე, ხელთა ორ სამსჯავალზე, ფერხთა ფიცარზე და წმ. ჯვრის ნაწილზე. ყოველი სიწმინდე თავის ადგილს იკავებს და იკვეთება ერთიანი, ნათელი სურათი ჯვარცმისა, რომელიც აღდგომით გვირგვინდება და რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ეკლესიის არსის გამომხატველი და ქართველთა ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველი ხდება. ახალი შინაარსით ავსებს ეროვნულ ხასიათს. ჯვარცმა – აღდგომა და მარადიული სიცოცხლე ყველა ქრისტიანი ხალხის რელიგიური აზროვნების საფუძველია, მაგრამ ქართველი ხალხისთვის იგი კარდინალური და განმსაზღვრელი გახდა. შესაძლოა ამ მსოფლმხედველობამაც ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს თავისი ცნობილი სიტყვები: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“.

როგორც ვიცით, უმთავრესი სიწმინდე, რომელზედაც ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლობა და პირველი ტაძარი აღმოცენდა არის კვართი, მაცხოვრის სიმბოლური სხეული, ხოლო მცხეთის ჯვრის გეგმა, რომელზეც ეს ტაძარი აიგო, სიმბოლურად არის ვნებული ქრისტე მისი ხუთი ჭრილობით. ამდენად, საქართველოს ეროვნული ეკლესიის სიმბოლური ტრაპეზი (სვეტიცხოველი-ჯვარი) ქრისტეს ვნებულ სხეულზე და ხუთჯვრიან ნიშანზე აიგო, ხოლო სასწაულების ხასიათმა და მათი აღსრულების თარიღმა ჩვენი ეკლესია კათოლიკე ეკლესიასთან თანაზიარი გახადა, ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-სიმბოლური არსი გააღრმავა და მისი მომავალი განსაზღვრა. ჩვენი აზრით, ის ძირითადი სიწმინდე, რომელსაც ამა თუ იმ ქრისტიანი ქვეყნის პირველი ტაძარი უკავშირდება, განმსაზღვრელია

ამ ხალხის რელიგიური აზროვნებისა და ეროვნული ხასიათის. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს და მას სხვა ნაშრომში განვიხილავთ.

ის, რომ ჯვარცმის, აღდგომის, სიმბოლიკამ ქართული ხასიათი ჩამოაყალიბა, კარგად ჩანს სხვადასხვა ფაქტში. საადღვომო ჭონა, რომელიც ალილოს მსგავსი რიტუალური მსვლელობაა, იმართება საქართველოს მხოლოდ იმ რეგიონებში, რომლებიც ქართლის სამეფოში შედიოდნენ.¹ გამორჩეული სტუმართმასპინძლობა, და რომ სტუმარი ღვთისაა (რაც მართალია სხვა ქრისტიან ერებშიც გვხვდება, მაგრამ ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებით ხაზგასმული ჩანს), მარადისობასთან აკავშირებს ქართველს.² ქართული ხუროთმოძღვრებიდან გამომდინარე დიმიტრი თუმანიშვილი ძალზე საინტერესოდ მსჯელობს ქართულ ღვთისმოსაობაზე და აღნიშნავს, რომ ქართველი ხუროთმოძღვრების ენით არ უარყოფს ამა სოფელს, არ უსვამს ხაზს მის დაცემულ ბუნებას, არამედ „მის ღვთიე ქმნილობას“. და რაც მთავარია, ქართველი „ქართულ ტაძარში შესვლისას თვალს მაშინათვე ზესთაზეცის განმსახოვნებელ გუმბათ-კამარასა თუ საკურთხეველს მიაპყრობს და მათგან დაცილებას მანძილად კი ხედავს, არაოდეს კი – სიშორედ, დიდი-ხნის-სავალისა და ძნიად გადასალახავი გზის საბოლოო მიზნად“ – წერს იგი,³ ქართველი მარადი-

¹ იხ. რუსუდან წურწუშია, იოსებ ჟორდანი (რედ.), ნინო ღამბაშიძე, ჭონას ტრადიცია და მისი გენეზისის ზოგიერთი საკითხი, ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2005).

² ნინო ღამბაშიძე, სტუმარი ღვთისაა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXV(2005). ესაა საკითხის რელიგიური მხარე, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი საერო, ყოფითი მიზეზებიც აქვს.

³ დიმიტრი თუმანიშვილი, წერილები, ნარკვევები (თბილისი: „წმიდა ნინო“, 2001), 213-214.

ული მერვე დღისათვის ცხოვრობდა და მისი ამქვეყნიური მზერა ზეციური იერუსალიმისკენ იყო მიპყრობილი. შესაძლოა, ჩვენი უდარდებლობა, სულიერ საფუძველგამოცლილ თვისებად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობაა, რომელიც ალბათ მარადიული მერვე დღისთვის ცხოვრებამ განაპირობა. მერვე დღეს კი გოლგოთა და აღდგომა უსწრებს წინ.

ამგვარად, ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის იდეა ხორცს სვეტიცხოველსა და აღმართულ ჯვრებში ისხამს. შესაბამისად, მენელსაცხებლე დედათა დღესასწაულისა და ძღვეით შემოსილი ჯვრის ანუ მცხეთის ჯვრის დღესასწაულები, რომლებიც აღდგომიდან მესამე კვირა დღეს იდღესასწაულებიან, მკვდრეთით აღდგომის თეოლოგიური აზრით ერთიანდებიან. შესაძლოა, ჯვრის, მცხეთის სამეფოს საყოველთაო დღესასწაულის, და მენელსაცხებლე დედათა კვირის (საერთო სამართლმადიდებლო დღესასწაულის) საერთო თარიღმა გახადა ეს უკანასკნელი დღე ძალზედ პოპულარული ხევი. გახადა პოპულარული იმდენად, რამდენადაც, შესაძლოა, ჯვრის დღესასწაული და მისი პოპულარობა წინ უსწრებდა მენელსაცხებლე დედათა კვირას.

ლაშარობის დღესასწაულში მესამე პერიოდი *წმინდა გიორგისია*, როდესაც ლაშარი ამ წმინდანის სახელობის ხდება.

ვუიქრობთ, პერიოდების მონაცვლეობა და დღესასწაულის გარკვეულ წმინდანთან თუ მოვლენასთან კავშირი, უმთავრესად ღვთისმახურების ხასიათზე უნდა იყოს დამოკიდებული.

საქართველოში მე-X საუკუნემდე იერუსალიმური ან ქრისტეს საფლავის ტიპიკონი იხმარებოდა და შესაბამისად, წლიური ლიტურგია წმ. მიწის მსგავსად აღესრულებოდა. როგორც ცნობილია, ჩვენში იერუსალიმური ტიპიკონი VII ს. ბერძნული რედაქციით და VIII ს. ნათარგმნი

ბეგლით არის ცნობილი, რომელსაც „იერუსალიმური კანონარი“ ეწოდება და რომელიც კორნელი კეკელიძემ აღმოაჩინა და გამოიკვლია.¹ სწორედ მე-X საუკუნიდან უნდა გაძლიერებულიყო საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა, რაც ჩვენი აზრით მეფის სახელშიც აისახა. გიორგი I-ს სახელი 1002 წელს XI ს. დასაწყისში დაერქვა. ამდენად, ძნელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მთვარის ღვთაებას წმ. გიორგის თაყვანისცემა ჩაენაცვლა, იმ მიზეზის გამო, რომ წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებსა და წმ. გიორგის თაყვანისცემას (*წმ. გიორგის პერიოდი*) შორის რელიგიის ისტორიაში არსებობს „ჯვრის პერიოდი“, რომელიც გამოტოვებული პერიოდია და არცერთ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ფიგურირებს, როგორც რელიგიის ისტორიის ერთ-ერთი ეტაპი. ფაქტობრივად, იგი საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებიდან გაქრისტიანებული საქართველოს რელიგიურ ცხოვრებაში პირველი პერიოდია.

¹ იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский канонар (грузинская версия), (Санкт Петербург: Типография императорской академии наук, 1912).

**წმინდა გიორგისთან დაკავშირებული
სალოცავები გუდამაყარში,
ხევსა და თუშეთში**

საქართველოში წმინდა გიორგის თაყვანისცემის შესახებ არა ერთი ნაშრომია დაწერილი. წმინდა გიორგის განსაკუთრებულ პოპულარობას საქართველოში აღნიშნავენ როგორც უცხოელები, ისე ქართველები, ძველი ავტორებიდან, პილიგრიმებიდან თუ მოგზაურებიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომებით დამთავრებული. საქართველოში წმ. გიორგის სახელობის უამრავი დიდი თუ მცირე ეკლესია და სალოცავი არსებობს. ცნობილია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ჩვენთან 363 წმინდა გიორგის სახელობის სალოცავია ანუ ყოველ დღე სადღაც, მისი სახელობის რომელიმე ეკლესიაში აღევლინება ღოცვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა გიორგის სალოცავები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. აქ ცენტრალური სალოცავები სწორედ წმ. გიორგის სახელს უკავშირდება. ასეთია მაგალითად გუდანის და ხახმატის წმინდა გიორგის სალოცავები, ლაშარის წმ. გიორგი, ლომისის წმ. გიორგი. ამ მხრივ გამონაკლისს არც ხევი, გუდამაყარი და თუშეთი წარმოადგენს.

ხევში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში, თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს, მაგრამ მთავარ სალოცავებად ითვლება გერგეტის წმინდა სამება და სპარსანგელოზი, რომელიც სწორედ წმინდა გიორგის სახელობის სალოცავია. გარდა ამ მთავარი სალოცავისა, არსებობს წმინდა გიორგის სახელობის მრავალრიცხოვანი ეკლესიები, სალოცავები და ნიშები. მისი სახელობის სალოცავები არის თითქმის ყველა დასახლებაში ან მათთან ახლოს.

ანალოგიური ვითარებაა გუდამაყარშიც. აქაც სალოცავთა უმრავლესობა მისი სახელობისაა და უპირველესი ადგილი უჭირავს მოსახლეობის რწმენაში. გუდამაყარის ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი, გუდამაყრელთათვის საერთო სალოცავებიც სწორედ წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა აღინიშნოს პირიმზე ფუძის ანგელოზი ჩოხში, ზეგარდის წმინდა გიორგი დუმაცხოში და ჩოხის წმინდა გიორგის ხატი.

თუშეთის მთავარი სალოცავი ლაშარის წმინდა გიორგის ჯვარია (სოფელ ჩილოს ჩრდილო აღმოსავლეთით), გარდა ამისა არსებობს წმინდა გიორგის მრავალრიცხოვანი დიდი თუ მცირე სალოცავი მთელი თუშეთის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თუშეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხევსურულ სალოცავებს. განსაკუთრებით სწამდათ კარატისა და ხახმატის ჯვრების ძალისა. ამ ხატებს თუშეთში თავიანთი სალოცავი ნიშები ჰქონდათ. დღესასწაულების დროს კარატისა და ხახმატის ჯვრების დეკანოზები ხევსურეთიდან გადმოდიდნენ თუშეთში, თავიანთი ხატის ნიშთან დგებოდნენ და ხალხს ამწყალობებდნენ. ომის შემთხვევაში კი თუშები ხახმატის წმინდა გიორგის ხატის დეკანოზებს იწვევდნენ, რომლებიც ლაშქარს წინ მიუძღოდნენ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგობის დღესასწაულს, რომელსაც უფრო ხშირად წელიწადში ორჯერ აღნიშნავდნენ. სალოცავებს ხშირად თავისი ყანა და სათიბი ჰქონდათ, რომელსაც რიგ-რიგობით ამუშავებდნენ.

თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს.

ხევში წმინდა გიორგის სახელობის სალოცავებია თითქმის ყველა დასახლებაში ან მათთან ახლოს: ბახტრის წმინდა გიორგის ხატი, სემღისას წმინდა გიორგის ხატი გველეთში, გივარგობა ანუ წმინდა გიორგის ხატი ცდოში, სპარსანგელოზი სათარგმანოში, ოხარემის წმ. გიორგის ეკლესია გერგეტთან ტყეში, სტეფანწმინდასთან: სპარსან-

გელოზი, ოქროს ბურთუსოვანი, ხედენიშის წმ. გიორგი, რიყის წმ. გიორგი, ქუშენის წმ. გიორგი, ფანშეტთან კალთის წმინდა გიორგი, სნოში დარყის წმ. გიორგის კომპლექსი, წვერის სპარსანგელოზი, ღალანგურის წმ. გიორგი ახალციხეში, კარკუჩაში ყანანაზის წმ. გიორგის ნიში, ნადარბაზევის და ღალანგურის წმ. გიორგის ნიშები, წმინდა გიორგის ხატი არშის ციხის ტერიტორიაზე არშიდან ჩრდ-დასავლეთით, წმინდა გიორგის ახალი ხატი, ბერის წმინდა გიორგის ეკლესია ტყარშეტში, გარბანის მინდვრის წმინდა გიორგის ხატი, ოქროს ბებერი წმ. გიორგის ეკლესია, წვერის (სემღისას) წმ. გიორგის ხატი, ქუშენის წმ. გიორგის ეკლესია, სიონში წმ. გიორგის ეკლესია, ყანობთან არყოვნის წმ. გიორგის ნიში, წმ. გიორგის ხატი, გიორგიწმინდის კომპლექსი კომში, წმ. გიორგის ეკლესია ცოცოლთაში და ა.შ.

გვინდა წმინდა გიორგის სახელობის რამდენიმე მნიშვნელოვან სალოცავზე შევჩერდეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ის მასალა, რომელიც მათ შესახებ არსებობს.

ბახტრის წმინდა გიორგის ხატი ზღვის დონიდან 2385 მეტრზე მდებარეობს. ეს ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სალოცავია ხევის ტერიტორიაზე. იგი წარმოადგენს ქვა-კირით ნაგებ მასიურ კედელს ჩრდილოეთის მხრიდან და მდებარეობს მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე. ადრე ეს ციხე-სამლოცველო არასწორი ნახევარწრიული ფორმის ყოფილა, მისი ნაშთები კლდის ფორმებს მიუყვება და თერგს გადაჰყურებს. გადახურვა არ შერჩენია. ციხე ქიმისგან წაგრძელებული ყოფილა. ციხის სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები დიდი ღოდებითა და კირით ყოფილა ნაგები. სამხრეთის კედლები კლდეც ავსებს; კლდის წვერსა და კედლის ძირს შუა ხვრელია გაყვანილი, რომელიც ნაწილობრივ ჩამონგრეულია, სამხრეთიდან კლდის ფერდი ასევე შესწორებულია ქვა-კირით ამოყვანილი კლდით და აღმოსავლეთის კედლის გამაგრებას წარ-

მოადგენს – ოვალისებურად გარს უვლის მას. ხატის ჩრდილოეთით მდებარეობს „გიგიაის სათიბი“, სამხრეთის ფერდს კი „სათრევი რუი“ ეწოდება. ნაგებობა დავითის ციხესა და თამარის ციხეს გადაჰყურებს. ეს ყველაზე ვიწრო ადგილია დარიალის ხეობაში და ხატიც ძნელად მისასვლელია.¹ დარიალის ხეობაში აღმართული ბახტრის ციხე (კოშკი) სალოცავად იქნა გადაკეთებული სახელწოდებით ბახტრის წმინდა გივარგი. მოხვევებში დღემდე დაცული რწმენით, ბახტრის წმ. გიორგი კარგი ჯვარის მფარველი და ომში გამარჯვების მედროშე,² აგრეთვე მგზავრთა პატრონი იყო.

არშის ციხის კომპლექსში შედიოდა წმინდა გიორგის სალოცავი. არშის (სოფელი ეკუთვნის სიონის თემის საკრებულოს) ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე, პლატოზე. ციხე აგებული იყო XVI-XVII საუკუნეებში. მოხვევები მტრის შემოსევისას ამ ციხეს აფარებდნენ თავს. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით კაცთაგან შეუვალი ეს ციხე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო და თერგისა და სნოს ხეობებს აკონტროლებდა. არშის ციხეს ხევის ციხესაც უწოდებდნენ. არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ არშის ციხეს კვლავ სამეფო ხელისუფლება დაეუფლა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არშის ციხეს ლეკთა თავდასხმებისაგან თავდასაცავად. მოთარეშეებს ციხე არასდროს დაუპყრიათ. ციხე XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

¹ ვერა ბარდაველიძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ხელნაწერი (1966), ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვ. ბარდაველიძის ფონდი, 231.

² ვალერიან ითონიშვილი, მოხვევების ყოფა-ცხოვრება (სტეფანწმინდა: ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნ. ცენტრი, 2015), 211.

ციხე (300 X 150 მ) ბუნებრივი სიმაგრე იყო და გალავანი არ ჰქონია, ადგილები, საიდანაც მტერს ციხეში შეღწევა შეეძლო, ნატეხი ქვით ამოშენებული სქელი კედლებით იყო გამაგრებული და სათოფურები ჰქონდა დატანებული. ციხეში გაყვანილი იყო გვირაბი და წყალსადენი, რომლის საშუალებითაც წყლით მომარაგება ხდებოდა.¹

არშის ციხეში ინახებოდა რკინის კლიტე, რომელიც გადმოცემის თანახმად ქართველთა ლაშქრის მიერ განჯის აღების შემდეგ არშელ ღურმა ბაზალს წამოუღია – „განჯას მადტყლიუნა კლიტენი, ჩვენს არშას მოუხდებოა“. არშის ციხეს მოხრობელთა გადმოცემით რკინის კარი ჰქონდა. კარი 60-იან წლებში ჩამოგდებული იყო და იქვე ეგდო. ეს იყო მუხის კარი, რომელსაც ზედ დაკრული ჰქონდა ერთკეცად რკინა.²

ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში IX-X საუკუნეების ეკლესიაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან მთელ სიგრძეზე გვიანდელი მინაშენი ეკვროდა (დანგრეულია). შენობა ნაგებია თლილი ქვებით, რომლებიც ფასადის მხრიდან უკეთესადაა დამუშავებული. ეკლესია დაზიანებულია, ჩამონგრეულია სახურავი და კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდანაა. ეკლესია უაფსიდოა და აღმოსავლეთით სწორი კედლითაა დასრულებული. სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან არ არის გამოყოფილი. დარბაზის შუაში შემორჩენილია ქვიშაქვის ოთხწახნაგა ქვასვეტი 1,3 მ. სიმაღლისა, რომელიც კუთხეებმომრგვალებულ მოზრდილ ქვაზეა დადგმული. ქვასვეტი დასრულებულია ნალისებრი კბილანებით დამუშავებული მაღალი კაპიტელით. ქვასვეტი დაგვირგვინებული ყოფილა ქვის ჯვრით (დაკარგულია). ციხის ტერიტორიაზე შემორ-

¹ თ. დვალი, კ. კახაძე, ა. რამიშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (თბილისი: მეცნიერება, 2004), 438.

² Ibid, ბარდაველიძე.

ჩენილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნანგრევები.¹

ციხის ტერიტორიაზე აგებული წმინდა გიორგის ხატი ოთხწახნაგა მასიურ ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც დიდი ზომის ფიქალი ქვებით, მშრალი წყობითაა ნაშენი. მთავარი ფასადი ჩრდილოეთითაა. კედელში დიდი ოთხკუთხა თახჩაა დატანებული. ხატი გადახურულია ფიქლით. ქვებში ჩამაგრებული იყო ორი პატარა დროშა თეთრი საწირებით. 60-იან წლებში ნაგებობას გარშემო შემოვლებული ჰქონდა სამმაგად თეთრი ძაფის ხეუელი. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდის პირას წმინდა გიორგის საზარეა, რომელიც სოფელ არშას გადაჰყურებს. კლდის ნაპირი ამოშენებული და გამაგრებული იყო. საზარე წარმოადგენს ქვების ორ გროვას, რომლებზეც რკინის ჯოხია გადებული, ჯოხზე კი დიდი, გაბზარული ზარია ჩამოკიდებული. წმინდა გიორგის ნიშის თავი შემკული იყო ჯიხვის რქებით. შიგ ნიშში წმინდა გიორგის ჯვარი ესვენა. ჯვარი ხისა იყო, ვერცხლით შემოსილი (54 X 42 სმ). ჯვრის თავსა და გულზე გამოსახული იყო მხედარი, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს, მისი ცხენის ქვეშ კი წაქცეული მამაკაცია. ჯვრის შუატანის ორ მრგვალ რიხეტში მშვილდოსანი მხედარი იყო გამოსახული.²

60-იან წლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით ადრე, გაზაფხულზე, მაისში გიორგობას არშის ციხეში აღიოდნენ, ბოლო ხანებში კი მლოცავი იქ ვერ ადის და წმინდა გიორგის ნიში ძველ არშაში დადგეს. საკლავებს ციხის წმინდა გიორგიში დაკლავდნენ და შემდეგ წმინდა გიორგის ნიშთან ჩამოდიოდნენ.³

¹ Ibid, სძა, 438.

² Ibid, სძა, 438; სერგი მაკალათია, ხევი (ტფილისი, სახელგამი, 1934), 219; Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, ბარდაველიძე.

წმინდა გიორგის ახალი ხატი მდებარეობს სოფელ არშიდან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, სოფლის თავზე. იგი წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ ნიშს, რომელსაც მთავარი ფასადი აქვს დასავლეთის მხარეს. ამ მხარეს დატანებული აქვს შუკუნა, სადაც იდო წითელი და თეთრი ფერის ნაჭრები. თავზე ადევს ფიქალი ქვა, რომელზეც დევს გვირგვინის მსგავსი ფორმის ჯვარი. ქვის ჯვართან ერთად თავზე ადევს პატარა დროშა. დროშაზე დამაგრებულია თეთრი ფერის საწირი, რომელიც შუკუნაზეა ჩამოფარებული. ნიშს, რომელიც კირითაა შეთეთრებული, რამოდენიმე წყებად თეთრი ბაწარი ახვევია.¹

არშაში, რომელიც ერთ-ერთი უძველესი სოფელია ხევში, ოთხი უბანია და ოთხი გვარი ცხოვრობს (ბაზალი, ავსაჯანიშვილი, გოგბაიძე, სულიაური). წმინდა გიორგის სალოცავს ყანები ცალკე ჰქონდა და სათიბები ცალკე. სახატო მიწებს მორიგეობით ამუშავებდნენ. ვინც ამუშავებდა, სამხეთოს იხდიდა და მთელ სოფელს უმასპინძლდებოდა.²

არშის წმინდა გიორგის სახელზე ხატის ყანები შეწირული იყო სოფ. თოთშიც. იმის გამო, რომ ხატი, რომლის სახელზეც ყანები იყო შეწირული, სოფ. არშას ეკუთვნოდა, არშაველები თოთლებს ხატის ყანებით სარგებლობის გამო ახდევინებდნენ ყალანს – კომლზე ერთ ბატკანს და ორ თუნგ არაყს. არშის წმინდა გიორგის ხატში (არშის ციხეში) 8 კომლს უნდა მიეტანა 16 თუნგი არაყი და მიეყვანათ 8 ბატკანი. დეკანოზობდნენ არშაველები (ბაზალნი და გოგბანი). თავის საკლავს არშაველები არ კლავდნენ, ეს მათ არ ევალებოდათ. საკუთარ საკლავს მხოლოდ ის არშაველი დაკლავდა, რომელსაც შეთქმული ჰქონდა. შეს-

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, ბარდაველიძე.

ვეწილი კლავდა უნიშნო, მთლად თეთრ ბატკანს. ხატში ისინი ღამის თევით გადიოდნენ.¹

არშელები სალოცავში გიორგობას, ახალწელსა და აღდგომას აღნიშნავდნენ.

არშის წმინდა გიორგის ცხვარს ან ხბოს სწირავენ და მფარველობას შესთხოვენ. სადღესასწაულო საკლავის საყიდლად არშელები ოჯახებად, გვარებად ერთიანდებიან და საღვთოს ერთობლივად იხდიან. დაკლული საღვთო საკლავის ხორცს დაჭრიან და მთლიანად, გარდა თავისა, სახლში მიაქვთ მოსახარმად.

ხორცს დიდ ქვაბებში ხარშავენ, ლანგარზე აწყობენ და სუფრასთან მამაკაცები ჩამოატარებენ, ისევე როგორც სასმელს, მსუბუქ კერძებს კი ქალები. სადღესასწაულოდ მოიყვანენ ბეჭზე მცნობარს, აძლევენ მოხარშულ ბეჭის ძეაღს, რომელსაც იგი სინათლეზე გახედავს და ორიოდე საიმედო სიტყვას იტყვის. სუფრასთან პირამდე სავსე სასმისებს მონაცვლეობით სვამენ და მოიღხენენ. უმთავრესი ადგილი სუფრასთან გვარის უფროსს უკავია. ის უხუცესია და სუფრის წევრების განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს.

სადღეგრძელოს ჯერ გვარის უხუცესი წარმოსთქვამს და შემდეგ ახალგაზრდებს გადაულოცავს. უყვართ ცეკვა და სიმღერა, სიმღერებიდან მოხეურ დიდებას ასრულებენ, რომელიც უფრო მეტად უფროს თაობაშია პოპულარული.²

მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. **ფანშეტი**, ხევის ერთ-ერთი ძველი დასახლება. სოფლის ჩრდილოეთით შემორჩენილია ძველი ნასახლარი, რომელსაც ძველ ფანშეტს უწოდებენ და აქ სასოფლო დღეობებს მართავენ. ფანშეტს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროს დაცვაში. ფანშეტ-

¹ Ibid, ითონიშვილი, 193.

² სოფიო ბიწაძე, რელიგიური დღესასწაულები ხევში, ხელნაწერი, სადოქტორო დისერტაცია (თბილისი, 2015), 83-84 .

გერგეტის საძოვრების საზღვარზე შემორჩენილია ნასახლარები და საქონლის სადგომი ბაკის ნაშთები. გადმოცემით აქ ცხოვრობდნენ წმინდა სამების ამშენებელი კალატოზები, რომლებიც აქედან გაყვანილი „სახარმარხილე“ გზით ეზიდებოდნენ ქვას ეკლესიის ასაშენებლად. ფანშეტის ძველი დასახლება ჩონიაშიელების და სამქანაშიელების საგვარეულო კოშკების ირგვლივ იყო გაშენებული. საგვარეულო კოშკი ჰქონდათ სოფელში მცხოვრებ საბაურებსაც.¹

ფანშეტის ჩრდილოეთით, ყაზბეგის გზაზე, შვეულ კლდეში გამოკვეთილია ე. წ. „ცოდვილთ ქოხები“, სადაც ბეთლემის სავანის ბერები იზამთრებდნენ. ფანშეტის შემოგარენში, ჩხეტის მთაზე, ფანშეტის და მეზობელი სოფლების მოსახლეობის სახიზარი იყო.²

ფანშეტის მოსახლეობას ჩონიაშიელები, სამქანაშიელები და საბაურები წარმოადგენდნენ. სოფლის სალოცავები იყო კავთის წმინდა გიორგი და ყველაწმინდის ხატი.

კავთის წმინდა გიორგის სამქანაშიელები ღოცულობდნენ. სამქანაშიელები ძირად ცალქალამანიძეები ყოფილან და კავთისხევში წმინდა გიორგის ხატს ღოცულობდნენ. სამქანაშიელების წინაპარი, გაბრიელ ცალქალამანიძე ყოფილა. გაბრიელს ძმა ჰყოლია ავადმყოფი, ომიანობის დროს დაჭრილა და მომკვდარა. მღვდელი მოსულა დასალოცად, ამ დროს საცეცხლური მოხვედრია მიცვალებულის საკაცეს და სახეზე შეჰყრია. დედაკაცები ატირებულან, მღვდელმა გიორგი მოკლაო. გაბრიელი მთვრალი ყოფილა, ამოულია დამბაჩა, დაურტყამს მღვდლისათვის და მოუკლავს. ამის შემდეგ გამოქცეულა სიონში ცოლითა და შვილებით. ექვსი სული გადმოსულან. შემთხვევით გზაში ივანე ჩქარეულს შეხვედრიან. ივანეს გამოუკითხავს ვინ იყო და საიდან მოდიოდა. გაბრიელის

¹ Ibid, სძა, 478.

² Ibid, 478.

ამბავი რომ შეიტყო, დახმარებას დაპირებია, შემდგომ კი დამოყვრებულან.

ამგვარად, კავთის წმინდა გიორგი სამქანაშვილების ხატია, კავთისხევიდან გადმოტანილი. კავთის წმინდა გიორგის დეკანოზი სამქანაშვილია. გადმოცემით, როდესაც გაბრიელი კავთისხევიდან მოდიოდა, ხმიადი გამოუცხვია და შიგ წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვარი მოუთავსებია. ხმიადი უჩვენებია ხალხისათვის – ამის მეტი არაფერი არა მაქვსო.

კავთის წმინდა გიორგის ხატის მიწები ჰქონდა, რომელსაც რიგრიგობით ამუშავებდნენ. მორიგეს მნათეს ეძახდნენ. ვინც მიწას მოხნავდა, ახალწელს სამღვთოს გადაიხდიდა.¹

კავთის წმინდა გიორგი სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით, მთაზეა აგებული. იგი ნაშენებია ფიქლითა და რიყის ქვით, მშრალი წყობით. ნაგებობის მთავარი ფასადი ჩრდილოეთიდანაა. კედელში პატარა თახჩაა. ერთი თახჩა სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. დასავლეთის კედელში ჩადგმულია მრგვალდრმულიანი ოთხკუთხა ქვა, რომელშიც ჩამაგრებულია ქვის ჯვარი. სალოცავის ჩრდილო-დასავლეთით საუფროსოა.²

ფანშეტში კავთობას ღომისობის მეორე კვირის ბოლოს აღნიშნავდნენ.³

სოფლის მცხოვრებნი სალოცავში წინა დღეს სანთლებს ანთებენ და ღოცულობენ. მეორე დღეს დიასახლისებს ერბო-ყველიანი ქადა მიაქვთ და სალოცავთან ჭრიან. ქადის დაჭრის დროს სასმელს სვამენ. სალოცავში სამი სანთელი, ერთი ბოთლი არაყი ან ღვინო აუცილებლად უნდა მიიტანონ. თუ შეთქმული აქვთ, დღესასწაულზე საღვთო საკლავს კლავენ. დეკანოზი პირუტყვის დაკვლის წინ

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, სძა, 479.

³ Ibid, ითონიშვილი, 196.

ლოცვას კითხულობს, სალოცავის ნიშთან ანთებული სანთლით მარჯვენა ყურს შეუტრუსავს, მარჯვენა მხარზე გულაღმა წამოაქცევს, ოჯახის წევრებს (შემწირველებს) დალოცავს და დაკლავს.

პირუტყვის თავს იქვე სალოცავში ტოვებენ. საღვთო საკლავის ხორცს საგანგებოდ მხოლოდ მისთვის გამოყოფილ ქვაბში ხარშავენ და სადღესასწაულო სუფრასთან ლანგრებით ჩამოატარებენ. ხორცი მხოლოდ იხარშება, მისგან სხვა კერძი არ მზადდებოდა. სუფრასთან სანთელს დეკანოზის ან გვარის უფროსის წინ ანთებენ. დიასახლისები სხვადასხვაგვარ კერძებს ამზადებენ. სალოცავში ქადაა მთავარი ნამცხვარი, სუფრასთან კი ხაბიძგინა – მხლოვანი მოაქვთ, რომელიც ყველა სოფელში სხვადასხვანაირად მზადდება. სადღესასწაულო სუფრის მრავალფეროვნება ოჯახის, გვარის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. საქეიფოდ შუადღისპირს დამსხდარი ფანშეტლები საღამომდე ილხენენ, მღერიან და ცეკვავენ.¹

თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი **ყანობი**. საისტორიო წყაროებში სოფელი XIV საუკუნიდან მოიხსენიება. იგი სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო.

სოფელში ძველი გვარებია: კობიაშვილი, ჭიალაშვილი, ითონიშვილი, აგრეთვე ტატიშვილი, კურკუმული, ვარდიშვილი, აიდარიშვილი და სხვ.

ყანობის სალოცავები იყო მთავარანგელოზის (თარანგელოზის) ხატი, არყოვნის წმინდა გიორგი, კვირე (კვირეღვთიშვილი).

აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ, კვირა დღეს კვირაძლობა მოდიოდა, აღნიშნავდნენ როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის გიორგობას (გივარგობას), თარანგელოზობა კი პეტრე-პავლობიდან ორი კვირის შემდეგ – 26 ივლისს.²

¹ Ibid, ბიწაძე, 115.

² Ibid, ბარდაველიძე.

არყონის წმინდა გიორგი სოფლის სამხრეთით გორაკზე მდებარეობს. სალოცავი ოთხკუთხა სვეტის მსგავსი მასიური ნაგებობაა, ნაშენებია ფიქლის და რიყის ქვით, მშრალი წყობით. მთავარი ფასადი აღმოსავლეთითაა. ამ მხარეს მოწყობილია ოთხკუთხა თახჩა. ნიშს თავზე ადგას ქვის ჯვარი, რომელსაც ბაზალტის ბაზისი აქვს. ნიშიცა და ქვის ჯვარიც შეთეთრებულია კირით.

იმავე სახელწოდების ნიში სოფლის შუაშიც დგას. შენობა ოთხკუთხა პრიზმის ფორმისაა, ნაგებია ფიქალი ქვით, მშრალი წყობით. მთავარი ფასადი ჩრდილოეთითაა. ამავე კედელში დატანებულია სწორკუთხა თახჩა.

თახჩაში ასვენია ლითონის ხატი. მასზე გამოსახულია მხედარი ჯვრით ხელში. მხედარს გარშემოუყვება მზის შვიდი გამოსახულება. მათ შორის წარწერაა: „არყონის წმინდა გიორგი“. აქვე ძვეს ბიზანტიური ფორმის ორი ჯვარი და რუსულწარწერიანი ზარი. ნიშს ფიქლის გალავანი აქვს.

ნიშის შუკუნაში 60-იან წლებში ნანახი იქნა აგრეთვე ხის ჩარჩოზე დამაგრებული ფირფიტები წმინდანთა გამოსახულებით: 1. წმინდა გიორგი ღახვრავს გველეშაპს (ორი ერთნაირი გამოსახულება); 2. როზეტი, შიგ ოთხი რკალის გამოსახულებით; 3. გაურკვეველი ხატი. ქვედა ფირფიტაზე ამოკაწრული იყო რამდენიმე სტრიქონად წარწერა:

I სტრ. „კობის წმინდა

II სტრ.: გიორგი

III სტრ.: ყანობელთა

IV სტრ.: და ხურთელ

V სტრ.: თი“

შემდეგ მზის გამოსახულება და ქვემოთ კვლავ წარწერა ორ სტრიქონზე:

I სტრ.:“გაკეთებული

II სტრ.: 1889 წ.“

აქვე ხის ჩარჩოს დაკრული ჰქონდა ფირფიტა წარწერით: „ბლადონინ დეკანოზის გიორგი გუთოვ აღუზონისად“ (გუტოვი ყოფილა ბლადონინი, რომელსაც აღუზი ჰყოლია შვილი).

აქვე იღო ფირფიტა წარწერით „1889“.¹

ამავე სოფელში, მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას კიდევ ერთი საკულტო ძეგლი, სახელწოდებით წმინდა გიორგის ხატი, კვირიკე. (სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მას კვირე უწოდა). იგი ნაგებია ბაზალტისა და ფიქლის ქვით, ასევე მშრალი წყობით. ნიში კუბური ფორმის მასიური ნაგებობაა და დგას ფიქლითა და რიყის ქვით ნაგებ პოსტამენტზე. ნიშის მთავარი ფასადი ჩრდილო-დასავლეთითაა. ამავე კედელშია თახჩა.

ნიშს თავზე ადგას ქვის ჯვარი. ჯვარს ცალი მხარე ჩამომტვრეული აქვს. ჯვართან ჩამაგრებულია დროშა თეთრი ფერის მიტკლის ნაჭრით.²

გაზაფხულის გიორგობას ყანობლები ხურთისელებთან ერთად აღნიშნავდნენ. საკადრისი მასპინძლობისთვის სოფელი ყანობი გამოყოფდა სამ-ოთხ ოჯახს, რომელთაც ევალებოდათ კურატის ყიდვა. ყანობის სალოცავიდან ხატს რომ გამოაბრძანებდნენ, მას ჯერ ხურთისში მიაბრძანებდნენ, შემდეგ იქიდან ისევ ყანობში მობრუნდებოდნენ. თავის მხრივ ქურთისელი მლოცველებიც ყანობისკენ გამოემართებოდნენ, რომელთაც ყანობლები ხვდებოდნენ ყელზე ზარშებბული კურატით. ორივე სოფლის მკვიდრნი ხატს მიაბრძანებდნენ კობში, სადაც მათ სახნავი მამულები ჰქონდათ. კობში იქაური ოსები უმასპინძლებდნენ. ყანობში დაბრუნებისას კვირეს ხატში კურატს დაკლავდნენ. ღამისთევა ეწყობოდა აიდარაშვილების სახლში. დღეობა სამ-ოთხ დღემდე გრძელდებოდა.³

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, სძა, 486.

³ Ibid, ითონიშვილი, 172.

შემოდგომის გიორგობაზე სოფელი სამ საუბნო მნათედ იყო დაყოფილი. ერთი საუბნო მნათისათვის კლავდნენ ორ ფუთამდე წონის ყოჩხს. დაკლებულ წონას ერბოს დააწონიდნენ. არაყიც მხოლოდ ხარისხიანი მიიღებოდა. ყველა სხვა ხარჯიც მნათისა იყო. გვარების მიხედვით ხუთი მნათე იყო. საგვარო მნათეს ევალებოდა 1 ჭედილა და ყველა სხვა ხარჯი. თუ სასმელი დააკლდებოდათ, კომლობრივ აგროვებდნენ. მნათეობა მორიგეობით იმართებოდა. მასპინძლობდა ის, ვინც ხატის ყანებს ხნავდა.¹

„გივარგობას ყანა ჰქონდა. იმ ყანას მოხნავდეს და ყანის მომხნავმა სამხთოს გადახდა იცოდეს. გივარგობას ყანა ჰო ჰქონდა, მაგრამ მაინც კრეფდიან მათართ ქერსა ან რასაც ვინ მისცემდა... მერე იმას [მათართ მოკრეფილ მარცვლეულს] გაყიდდეს და სასოფლო საკლავს იყიდდეს – ან ცხორს, ან ხბოს. თხას არა, არ იყიდდნენ. მერე დაკვდიან და სამხთოს იმითი გააკეთებდეს. საკლავი სასოფლო იყო, გასტეხელს კი მლოცველი მოიტანდა [ხატში]. გივარგობის ყანას ორ-ორი კომლი ხნავდა. [კვირეძლობის მნათეები არ მოხნავდნენ ამ ყანას].

გამოხდიდნენ არაყს. გივარგობას ექვსი თუნგი არაყი უნდა მიეტანათ ხატში მნათეებს... გივარგობა ღამისთევით იყო. ხან ერთ კვირამდეც კი გასტანდა ქეიფი უწინ. ერთი კვირა მზადებას მაუნდებოდით უწინ“.²

„ხატის ყანა ჰქონდა გივარგობას ერთი დღიური. იმ ადგილს სითარხნეს ეძახოდენ. იმ ყანას მოვხნავდით. ორ-ორი კომლი ხნავდა მაგ ხატის ყანასა... ხუთშაბათ დღეს დადგამდა მნათე არაყსა. სიფროსათვის დადგამდა. სამხთო მოხეურად არის სიფრო. მეორე მნათე შაბათს დადგამდა არაყსა. ორი-სამი კაცი ამოირჩეოდა, რომლებიც მოუვლიდნენ სიფროსა. არაყსაც ესენი მოუვლიდეს. მნათეებისას მივიდოდნენ. თუ ცეცხლზე არ დახვდებოდათ არაყი [ესე

¹ Ibid, 173.

² Ibid, ბარდაველიძე.

იგი თუ არაყს არ ხდიდა მნათე დანიშნულ დღეს], იმ არაყს აღარ მიიღებდნენ. საიდანაც უნდოდა, იქიდან უნდა მიეტანე მნათეს ახალი არაყი. ორივე მნათეს მიტანილი ხორცი ცალ-ცალკე უნდა აწონილიყო. რომელსაც დააკლდებოდა, ერბო უნდა დეეწონა იმას. სითარხნეს ფერხისა იცოდეს. მღეროდნენ „დიდება ღმერთო“-ს.¹

სოფელი **ხურთისი** (ძველი სახელწოდება – ჭეჟე) მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე. სოფელი XV საუკუნისათვის უკვე დასახლებული იყო. იგი მოიხსენიება გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში. სოფლის სახელწოდებისა და დასახლების შესახებ არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მოხევე ხურთის სამი ვაჟი ჰყოლია, რომლებსაც აუკლიათ სტეფანწმინდელები. მათ თავიანთივე დეიდაშვილები გასწორებიან, რის შემდეგაც ხურთის ოჯახის ქალები მცირეწლოვანი ბავშვით თერგს გადმა დასახლებულან. ბავშვსაც ხურთი რქმევია და ახალი სოფლისთვისაც ხურთი დაურქმევიათ.²

ხურთისში შემდეგი გვარის ხალხი სახლობს: ტუჩაშვილი, ჩქარეული, წიკლაური, ბადაშვილი, ქემაშვილი, ჩოჩიშვილი. სოფელში განსაკუთრებით აღნიშნავდნენ გიორგობას, კვირესძლობას და პეტრე-პავლობას.

ხურთისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, ზღვის დონიდან 2115 მ-ზე, მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია. 60-იანი წლებისათვის იგი სანახევროდ ჩაქცეული იყო. ეკლესია ბაზილიკური ტიპისა იყო. ნაგებია ქვა-კირით. ჩრდილოეთის მხარეს მიდგმულია კლდეზე, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთის კედლები ზედ კლდის პირზეა ამოყვანილი, რაც ნაგებობას ამ მხარეებიდან სრულიად მიუვალს ხდის.

მთავარი ფასადი აღმოსავლეთის მხარესაა. აქ დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი, რომელიც

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, სძა, 488.

შიგნითა მხარისკენ ფართოვდება. კარის თავზე, როგორც გარედან, ისე შიგნიდან დევს კედლის წყობაში ჩატანებული უზარმაზარი გრძელი ქვები. შესასვლელის მარჯვენა მხარეს კედელში ჩამაგრებულია რკინის ანჯამი კარის დასამაგრებლად. ამავე მხარესაა საურდულე ხერელი. ნაგებობის სახურავი ჩაქცეულია, სავარაუდოდ გადახურვა ორფერდა იყო. იატაკი მოფენილი იყო ჩაშლილი ქვებითა და ხის ნაჭრებით. დასავლეთის მხრის კედელი უფრო ვიწროა, ვიდრე აღმოსავლეთისა. ორივე კედელი ცენტრისკენ აწვევრილია. ვიწრო კედელში დატანებულია საშუალო ზომის სარკმელი, რომელიც შიგნით უფრო განიერია, გარეთა მხრისკენ კი თანდათან ვიწროვდება. სარკმლის ქვემოთა ნაწილი საფეხურებად ეშვება დაბლა. სარკმლის მარცხენა მხარეს, კედლის შელესილ ნაწილზე ადამიანის ხელის მტევანია ამოღარული. სამხრეთის კედელში დატანებული აქვს ერთი შუკუნა, ხოლო ჩრდილოეთის მხარისაში კი ოთხი: სამი ქვემოთ (აქედან ორი კედლის შუა ნაწილში), ერთი კი ზემოთ, შესასვლელთან ახლოს. წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს, დგას მაღალი, სამხრეთის მხარეს მომრგვალებული ფორმის ციხე, რომელსაც გიორგობის ციხეს, ხატის ციხეს ეძახიან.¹

ხურთისშივე მდებარეობს ძლევის წმინდა გივარგის ხატი და ქაშეთის ანუ ბაღღების ხატი, რომელიც ასევე წმინდა გიორგის ხატს წარმოადგენს.

ქაშეტა სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყეთა-ნაში, ბორცვზე მდებარეობს. ხატი ოთხკუთხა პრიზმის მსგავსი ყრუ ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთის კუთხე მომრგვალებული აქვს. ნაშენია რიყის დიდი ქვით, მშრალი წყობით. სამხრეთ კედელში, მიწის პირას, მოწყობილია ოთხკუთხა თახჩა. ქაშეტობას დღესასწაულობენ გაზაფხულზე, კვირა დღეს.²

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, სძა, 489.

სავარაუდოდ ქაშეტა ქაშვეთის დამახინჯებული ფორ-
მაა, მით უმეტეს, რომ სალოცავი წმინდა გიორგის უკავ-
შირდება.¹

ხურთისისათვის გივარგობა გამორჩეულად მნიშვნე-
ლოვანი დღესასწაული იყო, გაზაფხულის გიორგობას
ხურთისი და ყანობი ერთობლივად აღნიშნავდნენ. შაბათს
ყანობის ეკლესიიდან გამოაბრძანებდნენ წმინდა გიორგის
ხატს და მიაბრძანებდნენ ხურთისის ციხესთან მდებარე
პატარა ეკლესიაში. ხალხის დამწყალობების შემდეგ დი-
დების სიმღერით ყანობისაკენ გაემართებოდნენ. ყანობლე-
ბი სოფლის მიერ ნაყიდი კურატით მიეგებებოდნენ. მის
დაკვლამდე ღამისთევა იცოდნენ. მეორე დილას ხატს სო-
ფელ კობში მიაბრძანებდნენ, სადაც მთელი თრუსოს მო-
სახლეობა დახვდებოდა. ეს დიდი თავყრილობა იმით იყო
გამოწვეული, რომ წმინდა გიორგის დიდ საბრძანისად კო-
ბი ითვლებოდა და ამიტომ დღეობაც სათემო ხასიათს
ატარებდა. კურატის დაკვლის შემდეგ სამხტო იმართებო-
და. პარალელურად ხურთისელები ციხესთან მდგარ ეკლე-
სიასთან კლავდნენ შეთქმულ საკლავებს და საწულებებს.
კობში ხურთისს წმინდა გიორგის სახელზე ორი დღიური
სახნავი მიწა ჰქონდა. შემდეგ ხურთისელებმა ყანა კობე-
ლებს გადასცეს კულუხის გადახდის პირობით. ამის შესა-
ბამისად როდესაც ხურთისელები კობში ღამისთევით გა-
დიოდნენ, კობელები მათ კომლობრივი მორიგეობით მას-
პინძლობდნენ.²

ხურთისის ყველაზე დიდი დღეობა პეტრეპავლობა
იყო. აღინიშნებოდა ძვ. სტილით მკათათვის 29- ში. ხურთი-
სის წვერის საბრძანისში არის ძლევის წმინდა გიორგის
ხატი. ადრე იქ მიდიოდნენ, საკლავსაც იქ დაკლავდნენ და
დღეობასაც იქ მართავდნენ. დეკანოზი ხალხს ამწყალობ-
ნებდა. ზოგი ღამისთევით მიდიოდა, ზოგი მეორე დღეს.

¹ Ibid, ბიწაძე, 123.

² Ibid, ითონიშვილი, 176-177.

აქედან ხალხი ეკლესიაში იკრიბებოდა. შემდეგ ეს ეკლესია ბოლშევიკებმა დაანგრიეს და მისი ქვებით სკოლა ააშენეს. ნაეკლესიარძე შემდეგ ძღვევის წმინდა გიორგის ნიში დადგეს. აქ საკლავი ბევრი იკვლებოდა. ხურთისიდან და ყანობიდან წასული ხალხიც ჩამოდიოდა. სამხთოს წვერის სოფელი იხდიდა. უფრო დიდი სამხვთო ძღვევის წმინდა გიორგის საბრძანისში იმართებოდა. მისი მინდორი ფერხისას და აბარბარეს შესრულებასაც ხელს უწყობდა.¹

წმინდა გიორგის სახელზე ყანები იყო შეწირული. იმ პირებს, რომლებიც ხატის მიწებს ხნავდნენ, მნათეს მოვალეობის შესრულება ევალებოდათ. წმინდა გიორგის სახელზე შეწირულ ყანებს მორიგეობით ხნავდა ორ-ორი კომლი. ამათგან ერთი კომლი მნათეობას იხდიდა საახალწელოდ, მეორე კი აღდგომას. მნათეს ევალებოდა საკლავი, სასმელი და სუფრისათვის საჭირო სხვა საწოვადე.

ძველად სოფლებს **ფხელშეს, გორისციხეს და ტყარშეტს** საერთო სალოცავი – მამაწმინდის ხატი ჰქონიათ. ტყარშეტებს და გორისციხელებს საერთო ნიში აქვთ. მათი დღეობა ივნისის ბოლო რიცხვებშია. საბრძანისი გორისციხეშია. გორისციხის ხატებია რუხის მამაწმინდა, ციხემცავი მამაწმინდა, წვერის მამაწმინდა, ქალთა სალოცავი.²

ტყარშეტში ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. აღნიშნული სამი სოფლის საერთო დღესასწაული საადგილმამულო დავის შემდეგ მოიშალა. ძირითადი სალოცავები ფხელშესა და გორისციხეს დარჩა, ტყარშეტში კი მამაწმინდის სალოცავი ნიში მოიწყეს ბოყოვინაში.³

¹ Ibid, 177.

² Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, ითონიშვილი, 180.

ფხელშეში კვირაძლობა იცოდნენ. ქალთა ხატი იყო, რომელსაც დაყაჭულს ეძახდნენ. კვირაძლობა ძირითადად შვილიერებას უკავშირდებოდა.¹

კაცების სალოცავია წმინდა გიორგის ხატი, რომლის მაგივრადაც შემდეგ ააშენეს წმინდა გიორგის პატარა საყდარი. იქვე ავედრებდნენ ბავშვებს, პატარძლებს, ქალ-დისწულს. აქ აღდგომას ერთობლივად იხდიდნენ ფხელშელები და გორისციხელები. შაბათ საღამოს გამოაბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატს. კვირა დილას საკლავს დაკლავდნენ. ბავშვებს ჯერ წმინდა გიორგიში ალოცებდნენ აღდგომას, შემდეგ კი მამაწმინდობას ალოცებდნენ.²

ფხელშეში ხატის ყანები წმინდა გიორგის სახელზე იყო შეწირული. ხატის ყანები ჰქონდათ ელოშვილებს და ჩქარეულებს. ელოშვილებს ყანა შეწირული ჰქონდათ წმინდა გიორგის და ლომისის სახელზე (რასაც იმითი ხსნიდნენ, რომ ელოშვილები ლომისის წილდებულად ითვლებოდნენ), ჩქარეულებს კი წმინდა გიორგის სახელზე.³

ტყარშეტში შემორჩენილი იყო ეკლესიის ნანგრევები – მამაწმინდის სალოცავი. გარდა ამისა კვირე, სადაც კვირესძლობა იმართებოდა და ბერი წმინდა გივარგი, სადაც სალოცავად ყველიერში მიდიოდნენ.

ამაღლებას მაისურაძეები და ჩაბაკაურები კარკუჩაში, ყანანახის წმინდა გიორგის ხატში მიდიოდნენ ნადარბაზევში. კარკუჩის ნაპირას ჯიხვისა და ირმის რქებით შემკული ნიშია. ნადარბაზევში რაჭიდან გადმოსახლებული მაისურაძეები ცხოვრობდნენ.⁴

სიონი ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა ხევში და სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ თავდაცვითი ნაგებობანი ადრე შუა საუკუნეებიდან

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, ბარდაველიძე.

⁴ Ibid, ითონიშვილი, 182, 184

ვე შენდებოდა. აქ ცხოვრობდნენ ღუდუშაურები, კობაიძეები, წამალაიძეები, ფაჯიშვილები, დავითაშვილები, კვირიკიშვილები, სისაურები, სეთურიძეები, ოჯიშვილები, წიკლაურები. სიონის სალოცავები ღვთისმშობელი, სამება, კვირე და წმინდა გიორგი იყო.

სოფლის მახლობლად, რიყეზე, დგას წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც XVIII ს-ით თარიღდება. შენობა გეგმით კვადრატულია, ნაგებია ანდეზიტის დამუშავებული ქვით. სწორკუთხა შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლელის მარჯვენა მხარეს, ქვაზე, ამოკვეთილია ბიზანტიური ჯვარი. აქვე კედელში პატარა ნიშია. ეკლესია უაფსიდოა. აღმოსავლეთ კედელში გარეთკენ შევიწროებული თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ მთლიანი ქვის ტრაპეზია. ეკლესიას გარს აკრავს ყორით ნაგები გალავანი.¹

გიორგობას დღესასწაულობდნენ აღდგომიდან მესამე კვირას და იხდიდნენ წმინდა გიორგის ხატში, რომელიც მდებარეობს სოფლის სათავეში მინდორში. დამისთევა იცოდნენ ხუთშაბათს ან კვირას, სადაც შემორჩენილი იყო ძველი ეკლესიის ნანგრევები. დამისთევაზე დეკანოზი საღამოხანს ღვთისმშობლის ეკლესიიდან გამოაბრძანებდა წმინდა გიორგის ხატს და დააბრძანებდა და დააბრძანებდა წმინდა გივარგის ხატში. დეკანოზები ამ სალოცავში რჩებოდნენ, ხალხი კი სოფელში ბრუნდებოდა. დამისთევისთვის ისევ ხატში ავიდოდნენ. დეკანოზი ხალხს ორჯერ ამწყალობებდა, ჯერ ღვთისმშობლის ეკლესიაში, ხოლო მეორედ სოფლის პირდაპირ, ე.წ. შარიგორასთან. დამისთევის შემდეგ ყველა მხვეწარი მიიყვანდა საკლავს – კურატს ან ყოჩს. თან მიჰქონდათ გასტეხელი და სანთელი. აქ ალოცებდნენ იმ წელიწადს დაბადებულ ბავშვებს. მავედრებელი ოჯახის დიასახლისი ამ დროისათვის გამოაცხობდა ე.წ. გასაზღლის ქადას. ამ ქადას დეკანოზი დაჭრი-

¹ Ibid, სძა,470.

და და ყველა დამსწრეს დაურიგებდა ასაკის მიუხედავად. რაც დარჩებოდა, დაურიგებდნენ იმ წელს არჩეულ მენახირეს, მეჯოგეს და მეველეს. სიონიდან გათხოვილი ქალი თუ სალოცავად ბავშვს მიიყვანდა, საკლავთან ერთად მიჰქონდა სანთელი, სასმელი და ქადა. ქალს თან მოჰყვებოდნენ დედამთილი და მამამთილი. გასაზღვლის ქადის მოტანა მას არ ევალებოდა. გიორგობა ხატში დადამებამდე გრძელდებოდა და ერთი დღე-ღამის თავზე დეკანოზის დამწყალობნებით მთავრდებოდა. სოფელში აღნიშნავდნენ აგრეთვე შემოდგომის გიორგობას.¹

სოფელი **გარბანი** თერგის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე ტერხენის შესართავთან მდებარეობს. სოფელი ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. მასზე გამავალი გზის გამო ამ სოფელს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სოფლის ზემოთ ტერასებზე ნასახლარები სჩანს, რომელსაც ძველ გარბანს უწოდებენ. მეწყერისა და ზვავის გამო მოსახლეობა თერგის პირას დასახლებულა და ამ ახალ დასახლებას ქვემო გარბანი ეწოდა. გარკვეული დროის შემდეგ დასახლებას უფრო ზევით აუწევია. შუა საუკუნეებში სოფელი ჩართული იყო ხევის სათავდაცვო სისტემაში.²

გარბანის სალოცავთა შორისაა მინდვრის წმინდა გიორგის ხატი, წვერის (სემლის) წმინდა გიორგის ხატი, წმინდა გიორგის ეკლესია, ციხემცავი ანგელოზი (სადაც გიორგობას ზეიმობენ).

წმინდა გიორგის ეკლესია IX-X საუკუნეებით თარიღდება. 1968-1970 წლებში ჩატარდა ეკლესიის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები. განახლდა ეკლესიის კამარა, კონქი, კედლებისა და გალავნის დანგრეული ნაწილები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია ნუსხური წარწერა „წმიდ გვრგის უქრუ“. სავარაუდოდ აქედან მომდინარეობს ეკლესიის სახელწოდება „ოქროს ბებერი (ბერი)

¹ Ibid, ითონიშვილი, 188.

² Ibid, სძა, 442.

წმინდა გივარგის ეკლესია“. ეკლესია დგას სოფლის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეკლესია დარბაზული (14,5 X 7,2 მ.), აგებულია თლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით. აქვს ორი შესასვლელი – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ორივე კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნით თაღოვანი. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში კარი იყო, მოგვიანებით ამოშენებული და ნიშად გადაკეთებული. ამ კარით ეკლესია ჩრდ. მინაშენს უკავშირდებოდა. ამ კარის დასავლეთის წირთხელზე ამოკაწრულია ძნელად წასაკითხი ნუსხური წარწერა. ეკლესიის აფსიდი ნახევარწრიულია, ასეთივე იყო მისი კონქის თაღი და კამარაც.

კონქის თაღს მხოლოდ სამხრეთ იმპოსტი და მასზე დაყრდნობილი თაღის ქუსლი შემორჩა. იმპოსტების დონეზე, აფსიდის მხრებთან, მცირედ შევირილი თითო კონსოლია, რომლებზეც საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი. ეკლესიის იატაკის მიმართ სამი საფეხურით შემადგენელი საკურთხევლის ბაქანი აფსიდის მიმართ რამდენადმე წინაა წამოწეული. აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია, სამხრეთისაში – ორი. ეკლესიის ფასადები სხვადასხვა ფერის თლილი სწორკუთხოვანი ქვების თარაზული რიგებითაა ნაწყობი. დასავლეთის სარკმლის გადამხურავ ქვას ადგას პატარა მომწვანო ფერის კვადრატული ქვა, რომელზეც ამოკვეთილია გრეხილი ლილვის წრიულ ჩარჩოში ჩასმული ტოლმკლავებიანი და ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება. ტაძრის კედლებზე დაქარაგმებული ასომთავრული და ნუსხური წარწერებია. ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები ეკვრის. ჩრდილოეთის მინაშენს ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის დაახლოებით ორი მესამედი უჭირავს და გვეგით სწორკუთხაა. სამხრეთის მინაშენისაგან ფრაგმენტებია შემორჩენილი. იგი ეკლესიის სამხრეთის კედელს მთელ სიგრძეზე ეკვროდა. თლილი ქვით

ნაგები ოთხკუთხა მოხაზულობის გალავნისაგან კი ფრაგმენტებია დარჩენილი.¹

ციხემცავი ანგელოზი მდინარე ტერხენის ხევის მარცხენა ნაპირზე დგას. ნაგებობა გეგმით ოთხკუთხა და ზემოთკენ შევიწროებული მასიური ნაგებობაა, ნაშენია მოწითალო და თეთრი ქვებით. გარედან შეთეთრებულია კირით. ნაგებობა დაზიანებულია. ნაწილობრივ შემორჩენილია ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები. დასავლეთის კედელში, კედლის მარცხენა მხარეს შეინიშნება მოგრძო ფორმის შეღრმავება, რომელიც ზემოთ თანდათან ვიწროვდება. შეღრმავების მარჯვენა კუთხეში, ქვებს შორის ჩამაგრებული იყო პატარა თეთრი მიტკლის საწირავი. ნაგებობის კედლების ძირში, მიწისპირა ქვები ნაგებობის გარეთაა გამოწეული და საყრდენს წარმოადგენს. შიგნით, ნანგრევებში, მიწიდან დაახლოებით მეტრნახევრის სიმაღლეზე მიწაყრილია, რომელზეც ყრია ჩამოქცეული კედლების ქვები. დიდ ქვებს შორის ჭაჭის ქვებიც ყრია. სალოცავი მთელი სოფლისა იყო და ამ ხატში გიორგობას ზეიმობენ.²

წვერის (სემდისას) წმინდა გიორგის ხატი სოფლის განაპირასაა და დანგრეულია. აქ ათენგენობას მიდიოდნენ სალოცავად. შემორჩენილია ფიქლის ქვით ნაგები კედლის ფრაგმენტები.

მთელი სოფელი მიდიოდა სამხვეწროდ. ალოცვინებდნენ პატარძლებს და ბავშვებს.³

წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთით უზარმაზარი, ნაწილობრივ ნათალი მოხეურად კანჭის ქვებით, მშრალი წყობით ნაგები და კირით შეთეთრებული მინდვრის წმინდა გიორგის ხატია. მინდვრის წმინდა გიორგის ხატის ნაგებობა წარმოადგენს კედელს, რომლის თავზეც დევს დიდი ზომის ფიქალი. ამ უკანასკნელზე კი, თავის მხრივ,

¹ Ibid, სძა, 443.

² Ibid, სძა, 442; Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, ბარდაველიძე.

აღმართულია ერთიანი ქვისგან გათლილი ქვა-ჯვარი, რომელიც შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ქვედა ნაწილი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის კვარცხლბეკს, ზედა კი კონუსის ფორმისაა. მასზე გამოსახულია წმინდა გიორგი, რომელიც გველეშაპს ღაბავრავს. ამ გამოსახულების ზემოთ თაღოვანი ორნამენტი. ორნამენტის ზემოთ ქვა-ჯვარია, რომელიც ვიწროდ ადის ოთხწახნაგოვანად და გადადის ბიზანტიური ფორმის ჯვარის გამოსახულებაში. ჯვარზე მიმაგრებული იყო თეთრი ბაირაღი.

მეორე ორნამენტირებული ქვა ოთხკუთხა ფორმისაა, ზემოდან მომრგვალებული თავით და შიგ ჩასმული პატარა ქვა-ჯვართ. ცალ მხარეს ზედაპირზე კვადრატული ფორმის ნათლია და ზედ მავთულის ჯვარია დამაგრებული.

მესამე ქვა გადაჭრილი ოთხკუთხედის მსგავსია. ამ ქვასაც, როგორც წინას, ოთხკუთხედად აქვს ჩატრილი და ასევე მავთულის ჯვარი აქვს ჩადგმული. ზემოდან ადევს უბრალო ქვა, ქვემოთ კი ფული აწყვია.

მეოთხე ქვა ჯვარია, ერთნაირი ზომის მხრებით. შუაში ამოზურცულია, მარცხნივ კი ხინჭრიკვა აქვს. ჯვარს თავზე ადევს მოგრძო ოთხკუთხა ფორმის ქვა, რომლის ზედაპირზეც ამოქანდაკებულია ჯვარი. აქვე ჩამაგრებულია დროშა. მეორე დროშა მოთავსებულია ქვედა დიდ ჯვარსა და ზემოდან დადებულ ქვას შუა. აქვე დაყუდებულია ეკლესიის თავიდან მოვარდნილი ორნამენტირებული ქვა. ისევე როგორც ხატის კედელი, აქ აღწერილი ყველა ქვა-ჯვარიც კირითაა შეთეთრებული. კედლის შუა ნაწილში, თავთან ორი თუჯის ჯვარია შერჭობილი, ერთი შედარებით დიდი ზომისა, მეორე კი პატარა. კედელში ჩამაგრებულია ექვსი მიტკლის საკადრისი. ხატის კედლის წყობაში კარი თუ სარკმელია დატანებული.

ხატის კედელს დასავლეთით და სამხრეთით საზღვრავს მეორე კედელი, რომელიც აგრეთვე ისევეა ნაგები მშრალად და შეთეთრებულია კირით.

ამ კედლის შუა ნაწილთან დიდი ზომის რკინის მილია, რომელიც ოვალურად არის გაჭრილი და ქვემოთ ამოვსებულია. ზემოდან ადევს ფიქლის ქვა. აქ დეკანოზი აკურთხებს და ჭრის ქადებს. მისგან დასავლეთის მხარესაა სასაკლაო ქვა, შუა ნაწილში მრგვალი ღრმულით, ხოლო აღმოსავლეთით ხატის კედლის გასწვრივ საუფროსოა მოწყობილი, ჩვეულებრივი ფიქლის მაგიდით და მის გვერდზე გაყოლებული ქვის დასაჯდომებით.

მინდვრის წმინდა გიორგის ხატის გვერდით მდებარეობს დაფარებული საჯარე. იგი ნაგებია მშრალად, ასევე დიდი ზომის, ნაწილობრივ ნათალი ქვისგან. საჯარე გეომეტრიული კუთხის ფორმისაა: ჯერ სამხრეთის მხრისკენაა მიმართული, შემდეგ კი კუთხეს აკეთებს და დასავლეთის მხარეს გასდევს. დასავლეთის მხარეს ნაგებობა დიაა. ჩრდილოეთის მხარეს კი კედელში დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის სარკმელი. საჯარე დაფარებულია. ჩრდილო და სამხრეთის კედლების თავზე გადებულია რკინაბეტონის ბოძი. მის მოპირდაპირედ, კედლის თავებზე დაწყობილია ხეები, რომლებზეც ფიცრებია დალაგებული. ზემოდან გადახურულია თუნუქით. საჯარეს შიგნით ბრტყელი და მოგრძო ქვისაგან გაკეთებული სკამები და მაგიდაა. სარკმლის გასწვრივ მოწყობილია კერა. კერის უკან პატარა შუკუნაა კედელში დატანებული. აქვე აწყვია რამდენიმე თუნუქის ჯამი და კედელზე ჩამოკიდებულია სპილენძის თუნგი. თუნგის გვერდით, მარცხნივ, კედელში არის შუკუნა, სადაც აწყვია თასები და ალუმინის თევზები.

მთხრობელთა სიტყვით, მინდვრის წმინდა გიორგის გვერდზე გადაფარებულს დარბაზს ეძახდნენ. დაშლილა

და შემდეგ ახლად გადაუხურავთ. აქ გიორგობას იხდინენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა უკვე აღწერილი მინდვრის წმინდა გიორგის ხატის დარბაზში მოწყობილი საუფროსოსი, საუფროსო ასევე იყო გარბნის წმინდა გიორგის ეკლესიის შიგნითაც. ნაგებობის მთელ სიგრძეზე, ტრაპეზის ამალღებულ ადგილამდე გაწყობილი იყო დიდი ზომის, დაახლოებით ოთხკუთხა ფორმის ქვები. ერთი მათგანი, შუაში, გრძელი და ვიწრო, მაგიდაა, რომლის გასწვრივ, აქეთ-იქით ეწყო ქვის დასაჯდომები.

გარბნის წმინდა გიორგის ეკლესიაში 60-იან წლებში ექსპედიციის წევრებმა ნახეს ხის ყუთი, რომელშიც იდო: სპილენძის ჯვარცმა სლავური წარწერით, თუნუქის ხატის ნაწილი და ბავშვების მიერ გაკეთებული ორი „ხატი“, ერთი ბიჭისა და მეორე კი ქალის. ერთ-ერთი ხატი წარმოადგენს ჯოხზე შემოკრულ ფერად ნაჭრებს, რომელზედაც უკვე შემდეგ დამაგრებულია ასევე უამრავი სხვადასხვა ფერის ნაჭერი – ხავერდი, ჩითი, აბრეშუმი, ფლანელი. აქვეა ბრჭყვიალა ქვებისგან გაკეთებული სამკაული, უამრავი მძივი, დილები, თუნუქის ჯვარი, მძივებისა და დილების რამდენიმე ასხმა, თითბრის ორი ჟღარუნა და სპილენძის ორი ზარი. მეორე ასეთივე „ხატი“ ასევე შემკულია უამრავი ფერადი ნაჭრით. აქვეა ჯვარი, ხმლის ვადის თავის მოსევადებული ვერცხლის ნაწილი, უამრავი ზანზალაკი, ზარები, ჟღარუნები, თაფლის სანთელი, სხვადასხვაგვარი მძივები. ყუთში ეყარა დილები, მძივები. ფულები, მაკრატლის ნაწილები, სანთელი, ფერადი ლენტები და ნაჭრები, ალბათ ჩაშლილი „ხატებიდან“. ყუთშივე იდო გადატეხილი შანდალი, სპილენძის თასები – პატარა დაზიანებული თასი, მეორე უფრო დიდი ზომისა, მესამე ტარიანი თასი, მეოთხე ფეხიანი. აქვე იყო სპილენძის ორი დაზიანებული ჭიქა. გარდა ამისა ვერცხლის მოვარაყებული და ყვავილის ორნამენტიანი თასი წარწერით და ვერცხლის ფეხიანი

სასმისი წარწერით. წარწერებიდან ჩანს, რომ ორივე შეწირული იყო წმინდა გივარგისათვის, ფეხიანი სასმისი სიმონ გეგოიძის მიერ.

წმინდა გიორგის დიდი ტყე ჰქონდა და იქ ხეს არავინ მოჭრიდა. თუ სოფელს ხის მოჭრა სურდა, სოფელი შეიყრებოდა, წაიყვანდნენ საკლავს, ჯვარს გაიტანდნენ, ილოცებდნენ და ისე მოჭრიდნენ.

მინდვრის წმინდა გიორგის ყანები ჰქონდა. სამხთოს ორჯერ იხდიდნენ. ერთხელ დიდ ხუთშაბათს, მეორედ გიორგობას საკლავი, არაყი, პურ-მარილი ვინც ხატის მიწას ამუშავებდა, იმისი იყო.

მინდვრის წმინდა გიორგის ხატის გვერდზე იღო დიდი ქვა, საკლავის საწონი. თუ ხორცი ამ ქვის წონისა არ გამოვიდოდა, დეკანოზს ერბო უნდა დაემატებინა.¹

გარბანში აღნიშნავდნენ როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის გიორგობას.

გაზაფხულის გიორგობისათვის ოჯახობრივ გროვდებოდა არაყი, ყველი და გასტეხელი. გიორგობის წინა კვირას იცოდნენ ღამისთევა. ერთი კვირის თავზე ხატებს გამოაბრძანებდნენ, შეგროვილი ფულით ნაყიდ ხარს ეკლესიის გალავანში დაკლავდნენ. იქვე დაკლავდნენ მხვეწარის მიერ მოყვანილ საკლავს, უმთავრესად ამ დღეობისთვის წინასწარ შეთქმულ ზვარაკებს.²

სერგი მაკალათიას მიხედვით, გარბანის წმინდა გიორგის ხატობა აღდგომის მესამე კვირას იცოდნენ.³

გარბანის მთავარ დღეობად შემოდგომის გიორგობა ანუ თავი გიორგობა ითვლებოდა. ეს დღეობა სათემო დღესასწაული იყო გარბანელთა მასპინძლობით. ამ დროს ხევის სხვა სოფლებიდან უამრავი მხვეწარი მოდიოდა. ვიდრე გარბანში ეკლესიას მთიდან წამოსული ზვაგი და-

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, მაკალათია, 218.

ანგრევდა, ხატებიც იქ იყო დაბრძანებული. ეკლესიის დანგრევის შემდეგ ხატები სიონის ეკლესიაში გადააბრძანეს, მაგრამ შემდეგ დაკარგულა.

გარბანის წმინდა გიორგის ხატობაზე სიონის ეკლესიიდან გამოაბრძანებდნენ გარბანის წმინდა გიორგის ვერცხლის ხატს, რომელზეც გამოსახული იყო ჯვარცმა, ღვთისმშობელი ყრმით, წმინდა გიორგი გველეშაპის დამლახვრელი, ჰქონდა ბერძნული წარწერა და ქვემოთ გრიფონებიანი არშია (ხატის ზომა 34 X 26 სმ.). ყოველ მეხუთე წელს გარბანელები საერთო ხარჯით კურატს ყიდულობენ და როდესაც დეკანოზები სიონიდან გარბანის წმინდა გიორგის ხატს გამოაბრძანებენ, სიონის ტყვესთან ამ კურატს მიაგებებენ, მუხლს მოიყრიან და იტყვიან: წმინდაო გიორგი, ეს შენი საწირიაო. კურატს იქვე გაუშვებენ და ის, მოხევეების თქმით, გარბანის ეკლესიაში თურმე გაიქცევა და იქ ეზოში დადგება ან დაწვებაო. დეკანოზები გარბანის ეკლესიაში რომ მივიდოდნენ, ხალხს დაამწყვლახებდნენ: „დიდებულო გარბანის წმინდა გივარგივ, შენ გაუმარჯვე ამათ ხარ-გუთანს, მოლაშქრე-მონადირეს, შინ მშიდილობა მიეცი, კარს გამარჯვება, ამათ ქალ ქენ ვაჟის ზედაო“ და სხვ. შემდეგ კურატს დაკლავდნენ და ხატობაც ჩვეულებრივი წესით იმართებოდა. გაშლიდნენ სუფრას და სასამელს სვამდნენ ჯიხვის ყანწებით.¹

ეკლესიის გაღავანში საამისოდ გაკეთებული იყო ქვის სკამები და მაგიდები. ამ დღეობაზე გამოჰქონდათ ჯიხვის ორი ყანწი, ე.წ. გამახარე და გამაგორე. სტუმართაგან, ვინც გამახარეს გამოცლიდა, კარგ გუნებაზე დადგებოდა ე.ი. გაიხარებდა. პრობლემა იყო მეორე ყანწის – გამაგორეს გამოცლა. მისი დამლევი შეიძლება წაქცეულიყო, რის გამოც მას გამაგორე შეარქვეს. ვინც გამახარეს დალევის შემდეგ გამაგორეზე უარს იტყოდა, იმას გარბანელი ზეზამდგმურები ჯოხს დაარტყამდნენ. თვითონ გარბან-

¹ Ibid, მაკალათია, 218.

ლები ორივე ყანწის დაღვევაზე უარს ამბობდნენ, რადგან მათ, როგორც მასპინძლებს, ფხიზლად ყოფნა ევალებოდათ.

როგორც წესი, ეკლესიის გაღვანში შესვლამდე იარაღს ყველა შეიხსნიდა და ზეზამდგმურებს ჩააბარებდა, რომ სიმთვრალეში მოსალოდნელი ხიფათი თავიდან აეცილებინათ. ზეზამდგმურები გზად გამგლელებსაც ეპატიუბოდნენ.¹

გარბანში ორი მნათე იყო, ერთი გელაძეების გვარისა, მეორე დანარჩენი გვარებისა (გუჯარაიძე, ქუქიშვილი, ხეთაგური, ქოჯური). ორივე მნათეს ხატის ყანები ჰქონდა წმინდა გიორგის სახელზე. გელაძეების ხატის ყანები ცალკე იყო, ხოლო დანარჩენი გვარებისა ერთად. ორივე მნათეს ოთხი სამხეთო უნდა გადაეხადა (ახალი წელი, აღდგომა, სთვლის გივარგობა, დიდი ხუთშაბათი). თითოეული მნათე ორ დღეობას იხდიდა. დიდ ხუთშაბათს და სთვლის გივარგობას კლავდნენ ორფუთიან ყოჩს. აღდგომას და ახალწელს კი საკლავი არ იწონებოდა. ჩვეულებრივ კლავდნენ ერთ ჭედილას ან ზორას. საკლავს კლავდნენ მნათეს სახლში. თითოეული მასპინძელი ერთი დღეობისათვის გამოხდიდა ათ თუნგ არაყს.²

გერგეტი თერგის მარცხენა შენაკადის, მდინარე ჩხერის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ხევის ერთ-ერთი ძველი დასახლებაა. გაშენებულია დარიალის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთის გასწვრივ. იგი ჩართული იყო ხევის თავდაცვის სისტემაში და იცავდა დარიალის გზას. გერგეტი და მისი სამების ტაძარი არა მარტო ხევის, არამედ ჩრდილო კავკასიელ ქრისტიანთა კულტურულ-რელიგიური ცენტრიც იყო. აქ არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. გერგეტის მიდამოებშია ქვიშაქვიანი უდაბნო „ნაბერაღნი“. გადმოცემით აქ მდგარა მცირე ეკლესია, საცხოვ-

¹ Ibid, ითონიშვილი, 191.

² Ibid, ითონიშვილი, 191.

რებელი ქოხები და ქვის ჯვარი. ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით, ჯვარი აქ ანდრია პირველწოდებულს დაუდგამს. გერგეტი 1966 წელს დაბა ყაზბეგს შეუერთდა.¹

გერგეტი უპირველეს ყოვლისა ცნობილია გერგეტის სამების ეკლესიის კომპლექტით. აქვეა მყინვარწვერის ფერდობზე მდებარე ბეთლემის კომპლექსი, შუასაუკუნეობრივი აკლდამები, კვირიკეს ნიში, ნინოწმინდის ნიში, ყველაწმინდის (ქალების)ხატი, აგრეთვე წმინდა გიორგის ეკლესია და ოხარეშის წმინდა გიორგის ეკლესია.

წმინდა გიორგის ეკლესია სავარაუდოდ თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით იგი სოფლის დასავლეთით, 1 კმ-ზეა. ეკლესია დარბაზულია (4,5 X 2,3 მ.). ნაგებია დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით. წყობა მშრალია.

ინტერიერში ჩანს შელესილობის კვალი. შესასვლელი სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში ჰქონდა (ამოქოლილია), ამჟამად შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი გადახურულია ქვით, რომელზეც ამოკვეთილია ბოლოებდაცოტვილი ჯვარი. უაფსილო საკურთხეველი დარბაზისაგან ერთი საფეხურითაა ამადლებული. აღმოსავლეთ კედელს გასდევს ფიქლის თარო (სიმაღლე – 90 სმ., სიგანე – 20 სმ.). აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლის კუთხეებში მოწყობილია ნიში. სამხრეთის მხრიდან ეკვრის ქვის მშრალი წყობით ნაგები მინაშენი (დანგრეულია).

1972 წელს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხევის რაზმმა მინაშენთან მიაკვლია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს და სამ სამარხს. ფრაგმენტებიც და სამარხიც განვითარებული შუა საუკუნეებისაა. სამარხები ქვისაა, კოლექტიური, უინვენტარო. დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მიცვალებულთა ძვლები არეულია.

ეკლესიის დასავლეთით 0,1 კმ-ზე გათხრილია ამავე პერიოდის აკლდამა. იგი გეგმით ოთხკუთხაა. დამხრობი-

¹ Ibid, სძა.

ლია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ნაგებია ქვიშაქვის დიდი ქვებით. წყობა მშრალია. აკლდამა გადახურულია ფიქლის ფილებით. აკლდამაში ჩასასვლელი სახურავიდანაა. გაძარცვულია. აღმოჩნდა თოთხმეტი თავის ქალა.¹

ოხარემის წმინდა გიორგი მდებარეობს სოფელ გერგეტიდან დასავლეთის მხარეს, ვერხვების ტყეში. იგი მოგრძო ოთხკუთხა ფორმის შენობაა, დიდი ქვებით მშრალად ნაგები. შიგადაშიგ კედლების წყობაში ჩატანებულია ფიქალი ქვაც. შენობის სახურავი და კედლები ნაწილობრივ ჩაშლილია. მთავარი ფასადი ნაგებობას უნდა ჰქონოდა დასავლეთის მხარეს. ამ მხარეს უნდა ჰქონოდა შესასვლელი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთის კედელშიც ჩანს ამჟამად ამოშენებული კარი თუ სარკმელი, სწორკუთხა ფორმის, ვიწრო. სარკმლის საწინააღმდეგოდ ღაპარაკობს ის, რომ იგი ძალიან დაბლაა დატანებული, ხოლო შესასვლელის საწინააღმდეგოდ ის, რომ იგი ვიწროა. სარკმლისა თუ კარის თავის ქვა ორნამენტირებულია. გამოსახულია ჯვარი, რომელსაც ფრთები კვლავ დაჯვარული აქვს. ჯვარი ჩასმულია ნახევარსფეროში. ჩრდილოეთის მხარის კედელს აქა-იქ კირის ხსნარის კვალი ეტყობა, აღმოსავლეთის კედელი კი ქვედა ნაწილში მთლიანად კირითაა შელესილი. კირით შელესილი ნაწილის ზემოთ კედლის მთელ სიგრძეზე წყობოდან გამოწეულია ფიქალი ქვა, შესაძლებელია სასანთლედ. ეს სასანთლე დღეისათვის დაზიანებულია. სასანთლის ზემოთ კედლის მთელ სიგრძეზე, წყობაში ჩატანებულია ერთი მთლიანი ბასრი ქვა.

საფიქრებელია, რომ დანარჩენი ზედა ნაწილი გვიან არის რესტავრირებული, დაშენებული. აქვე, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარის კედლების კუთხეში პატარა შუკუნაა დატანებული, რომელიც გაშვებულია სანთლების აღისაგან.

¹ Ibid, სძა, 449.

ნაგებობის აღმოსავლეთის მხარეს იატაკი აწეულია დიდი, ოთხკუთხა ფორმის ქვების წყობით, რაც ბადებს აზრს, რომ აქ უნდა ყოფილიყო საკურთხეველი. კანკელის კვალი მას არ ამჩნევია.

ეს ეკლესიის მსგავსი ნაგებობა მეორადი უნდა იყოს, ხალხის მიერ გვიან აგებული. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო უფრო დიდი ზომის შენობა და უფრო კაპიტალური. ამაზე მიუთითებს აღმოსავლეთის მხრის კედლის გაგრძელება სამხრეთის მხრისაკენ. ეს გაგრძელება ნაგები უნდა ყოფილიყო კარგად გათლილი მსხვილი ქვებით.

კიდევ უფრო გვიანი დროისა ჩანს აღმოსავლეთის მხარის კედლის თავზე დაყუდებული პატარა ქვა-ჯვარა, რომელსაც ქვემოთა ნაწილი – ფეხი უფრო გრძელი უჩანს და გვერდითი, ფრთები უფრო პატარა, თუ ისინი არ არის მომტვრეული ისევე, როგორც ჯვრის თავის ნაწილი.

ოხარეშის წმინდა გიორგის ხატი წიკლაურების (ეგვიეთ) სალოცავი ყოფილა.

სუჯაშვილების ეკლესიას გერგეტში კუთარას ეძახდნენ. მარკოზიანის სალოცავი კარის წმინდა გიორგი იყო (გადმოცემით მარკოზი მღვდელი ყოფილა, მარკოზს ყავდა შვილები, რომელთაგან ერთ-ერთს კუთარა რქმევია და კუთარის ეკლესიაში ყოფილა დასაფლავებული).

აქვე ყოფილა ოხარეშის წმინდა გიორგის ხატის სათიბები და სახნავი მიწა. ამ მიწას მორიგეობით ამუშავებენ. ადრე დეკანოზი ამუშავებდა, რომელიც თავის გვარს უმასპინძლებოდა საკლავით და სასმელით. უკანასკნელ წლებში ამ ხატს სათიბები და მიწა აღარ აქვს, მაგრამ მორიგეობა გრძელდება და, როგორც ამბობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ხელთ ჩაიგდონ ეს მორიგეობა. 60-იანი წლებისათვის ორი დეკანოზი მორიგეობდა და ორი საკლავი იკვლებოდა. მორიგესთან ინახება ხატის განძი ყუთით. ძველი დეკანოზი ხატის განძს გადასცემს ხოლმე ახალს, თავის მხრივ ის თავის შემცველს და ა.შ. (ასევე ყოფი-

ლა კვირიკეს ხატში, რომელიც ჩიბაშვილების (ჩიბეთ) სალოცავი იყო, კარის ყველაწმინდაში, რომელიც სუჯაშვილების (ნარკოზიენის) ხატი იყო, თარანგელოზში, რომელიც კალონის იქით მდებარეობდა და ქისტაურების სალოცავი იყო). საყურადღებოა, რომ საგვარო სალოცავების გარდა აქ, გერგეტში დამოწმებულია საგვარო სასაფლაოები.

ოხარემის წმინდა გიორგის ქვემოთ, აღმოსავლეთის მხარეს, არის სასაფლაო, რომელიც წიკლაურების გვარის განშტოების, ეგვიეთ, სასაფლაოა.

სოფლის ჩრდილოეთით, 2 კმ-ზე, მყინვარწვერის ფერდობზე, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე მდებარეობს ბეთლემის კომპლექსი. გამოკვეთილია ანდეზიტის კლდეში. გადმოცემით, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი და იოანე ბაგრატიონიშვილიც საუბრობდნენ, ბეთლემის ქვაბებში მხოლოდ იქიდან გადმოშვებული რკინის ჯაჭვით შეიძლება ასვლა და იქ ინახებოდა უფლის აკვანი, აბრაამის კარავი, უსვეტოდ და უსაბლოდ მდგომი და სხვა საოცრებანი.

კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ ნაპოვნი იქნა ლითონის ისრისპირები, ჭრაქები, სასანთლე, სასმისის ფრაგმენტები, ვერცხლის საკიდები და სხვ., რომლებიც, ისევე როგორც კედელზე ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტები, თარიღდება X-XI საუკუნეებით.

ბეთლემის შესახებ არსებულ თქმულებათაგან ერთი წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. მყინვარწვერის აღმოსავლეთის ფერდობზე ბუნებრივი კლდეა, რომელიც შორიდან თავისი მოყვანილობით წაწოლილ გრძელყურა ცხოველს წააგავს და მას გველაშაპს უწოდებენ. გადმოცემის მიხედვით, როდესაც გამარჯვებებით გათავსდებულმა ამირანმა ქრისტე ღმერთთანაც შეჯიბრება მოინდომა, ღმერთმა იგი ამისათვის მყინვარწვერის ფერდობზე მიაჯაჭვა. ამით უნდოდა ესარგებლა ამირანის დაუძინებელ

მტერს გველეშაპს, მყინვარის წვერიდან გადმოცოცდა და დაბმულ ამირანს შეჭმას უპირებდა, მაგრამ მისი ეს განზრახვა წმინდა გიორგის გაუგია და სწრაფად იქ გაჩენილა და გველეშაპისთვის უთქვამს: „შენერდი, ამირანი ცოდვების მოსანანიებლად დავაბით და არა შენს გასაძღომადო, მანდვე გაქვავდიო.“ ამ სიტყვებზე გველეშაპი იქვე გაქვავებულა.

მოსევებს ბეთლემის ორი ხატი სწამთ და ორივე ძლიერ ხატად ითვლება. ეს არის მყინვარის წმინდა გივარგი და ბეთლემის ყოვლადწმინდა. ახლად შექმნილ ვაჟს და პატარძალს პირველად ბეთლემის ყოვლადწმინდის ნიშთან აღოცებდნენ.

ხედენიშის წმინდა გიორგის ხატობას მკათათვის 20 რიცხვში დღესასწაულობდნენ. ხედენიშზე ნათქვამია: „განჯას თუშნი ცხენებს სჭედენ, იძახიან გალობას/ ბედნიერა შეესწრება ხედენიშთა ჯორობასა“-ო.

ხალხური თქმულებით ხედენიშში ღვინით წვიმდა და თეთრი პურით თოვდაო, მაგრამ ერთ უგუნურ დედაკაცს ხედენიშობას ეს ადგილი ბავშვისათვის წაუბილწინებია, ამაზე ხატი გაჯავრებულა და მიწაში ჩასულა. ხალხს იქაურობა გადაუთხრია, მაგრამ ხატი ვერ უპოვიათ. ბოლოს ხატს მიწიდან ამოუძახნია: ნუ იღლებით, რამდენ თოხს დაჰკრავთ, იმდენად მიწის სიდრმეში ჩავდივარო. ამ ნათხარს „გორაის ტბას უწოდებენ“ და იგი დიდ ორმოს წარმოადგენს.¹

სემღისას (წმ. გიორგის) ხატი დგას ს. გველეშაპის დასავლეთით, მთის წვერზე, ნაგებია მოზრდილი ზომის, უხეშად დამუშავებული ფიქლით დუღაბზე. შენობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაფართოებული ოთხკუთხედის ფორმისაა. დაზიანებულია, სახურავი და კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაქცეულია.²

¹ Ibid, ს. მაკალათია, 243.

² Ibid, სძა, 452.

ჭირს გადახურვის ფორმის აღდგენა. სხვა კედლებთან შედარებით კარგადაა შემონახული კედელი ჩრდილოეთის მხარეს რომლის სისქეც გაოცებას იწვევს. კედელი ნაწილობრივ დუღაბზეა ნაგები და შელესილია, როგორც გარედან ასევე შიგნიდანაც. აღმოსავლეთის მხრის კედელი, იქ სადაც ჩრდილოეთის მხრის კედელს ებმის, ასევე შემონახულია და ამ კედლის სიმაღლეს უთანასწორდება, იქ კი სადაც სამხრეთის მხრის კედელთან კუთხეს უნდა აკეთებდეს, ჩაქცეულია. ამ კედელში დატანებული უნდა ყოფილიყო სწორი ოთხკუთხა ფორმის საკმაოდ მოზრდილი სარკმელი. სამხრეთის მხრის კედელი სანახევროდ, ხოლო დასავლეთისა მთლიანად ჩაქცეულია. მთავარი ფასადი ნაგებობას უნდა ჰქონოდა სამხრეთის მხარეს. შესასვლელიც აქედან უნდა ყოფილიყო. აქ ახლაც ეტყობა ერთი მთლიანი ქვისაგან ორ საფეხურად გაკეთებული კიბე. საფეხურები ნაგებობის შიგნითა მხრისკენ ეშვება. აქვე, შესასვლელთან, სამხრეთის მხრის კედლის ბოლოზე ფიქალი ქვისგან დადგმული ოთხკუთხი ფორმის სასანთლე შუკუნაა, რომელსაც ფიქალის ქვებზე კირის ხსნარით ოთხი ჯვარი აქვს გამოსახული. შუკუნა ახალი გაკეთებული ჩანს, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრის კედლები ოდნავ წინ არის წამოწეული განსაზღვრული ადგილებიდან.

ნაგებობა შიგნით მოფენილია როგორც ფიქალი, ასევე თლილი ქვებით. შენობის ნანგრევებს შორის 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრთა მიერ ნაპოვნი იყო მოპირკეთებული კედლის ნანგრევი, რომელსაც ფრესკის კვალი ეტყობოდა.

სალოცავიდან ოდნავ ქვემოთ სამხრეთის მხარეს ფიქალი ქვით მშრალად ნაგები ორი ოთხკუთხა, ერთმანეთზე მიდგმული ნაგებობაა, რომლებსაც ერთმანეთთან გასასვლელი აკავშირებს.

მთხრობელთა სიტყვით სემდისა ზაგაშვილების სალოცავი იყო მას საკუთარი დღეობა არ აქვს, რადგანაც

იგი ნიშნა, თუმცა უწინ ხალხი აღდგომაზე (ვარ.: ახალკვირას) ადიოდა.¹

ზღვის დონიდან 1900 მ. სიმაღლეზე მდებარეობს სემხისაის ხატი ყაზბეგიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მხარეს, ყოდნის ვაკეზე. ეს არის კლდიდან მოგლეჯილ უზარმაზარ ლოდზე დიდი ფიქალი და ბაზალტის ქვისგან თავდაპირველად მშრალად ნაგები, შემდგომ კი კარისა და ფანჯრის ღიობებში კირით გამაგრებული ბაზილიკა, რომელიც 60-იანი წლებისათვის თითქმის სრულიად ჩამოქცეული იყო. შემორჩენილი იყო დასავლეთის კედელი, რომლის მოყვანილობის მიხედვით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ შენობა თაღოვანი იყო. მთავარი ფასადი დასავლეთის მხარესაა, სადაც დატანებულია ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი. მის ორივე მხარეს კედელში დატანებულია ოთხკუთხა ფორმის დრმულები. დასავლეთის კედლის წყობაშივეა ჩატანებული და კედლიდან გამოწეულია ფიქალი ქვა რომელთაგან შუა ფიქალი გახვრეტილია. ამავე კედელში, შესასვლელის მარჯვენა მხარეს დატანებულია ოთხკუთხა ნიში, რომელშიც სანთლის ნარჩენები ჩანს. შესასვლელის წინ, მთავარი ფასადის მხარეს, იმ ლოდის სიმაღლეზე, რომელსაც ნაგებობა ეყრდნობა, დიდი ბაზალტის ქვებითაა ამოშენებული და ნაგებობის წინ პატარა მოედანს ქმნის. აქვე შეიმჩნევა კიბის საფეხურების მსგავსი ნაშალი.

შიგნითა მხარეს ნაგებობა მთლად ჩაქცეულია. იატაკი მოფენილია უამრავი ქვით, რომელთაგან ზოგიერთი მოპირკეთებულია.

აღმოსავლეთის კედელში დატანებული იყო ვიწრო სარკმელი. სამხრეთ დასავლეთის მხრის კუთხეში სასანთლე ნიშია, სადაც ასევე ჩანს სანთლის ნამწვავები.

¹ Ibid, ბარდაველიძე.

ნაგებობის სამხრეთით, ლოდის გვერდით, დგას ფიქალი ქვისგან ნაგები ყორე – პატარა ნიში. ნაგებობას აქვს გალავანი. აქვე, გალავნის შიგნით, იყო საძვალე.¹

სემხისა ფიცხელაურების და ხაიკაშვილების სალოცავია, მაგრამ აქ მთელი სოფელი იყრიდა თავს. განსაკუთრებით ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებისათვის.

სემლისა ან სემხისა წმინდა გიორგის სალოცავია. რაც შეეხება სახელწოდებას, აქ რამოდენიმე ვარაუდია გამოთქმული – ერთის მხრივ მას უკავშირებენ ხევსურულ სომხოს წმ. გიორგის, მეორეს მხრივ, მთხრობლები აღნიშნავენ, რომ სწორი ფორმა სემლისა კი არა ემლისაა, ამ შემთხვევაში იგი ხევსურეთს – ამლის წმ. გიორგის სალოცავს უკავშირდება.

და ბოლოს ხევის ორი მთავარი სალოცავიდან ერთ-ერთის – სპარსანგელოზის შესახებ.

სპარსანგელოზის ხატი მთის მწვერვალზე, დაახლოებით ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მდებარეობს, თერგისა და სნოს ხეობათა შუა. გზა სტეფანწმინდიდან და სნოს ხეობიდან ადის. ბილიკი ძნელად ასასვლელია, ამიტომ, ვისაც ბოლომდე ასვლა არ შეუძლია, ქვემოთ არსებულ სპარსანგელოზის ნიშთან ლოცულობს.

წვერის სპარსანგელოზის კომპლექსი მდებარეობს მდინარე სნოსწყლის მარჯვენა ნაპირას, თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. კომპლექსი შედგება სალოცავის, შესაწირი ნიშის და 5 სათავისაგან. ნაგებია ფიქალი ქვით. სალოცავი გეგმაში ოთხკუთხაა (7,5 X 4 მ), ფიქლით ნაგები. კედლები მასიურია (1 მ. სისქის) დაზიანებულია, გადახურვა ჩაქცეულია. სწორკუთხა შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. სალოცავის ჩრდილოეთ კედელში (სისქე 2,5 მ.) ვიწრო, მაღალი შედრმავებაა, რომლის დასავლეთ კედელში ნიშია მოწყობილი. ჩრდილოეთ კედელშივეა გაჭრილი მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი. შე-

¹ Ibid, ბარდაველიძე.

საწირი ნიში (სიმ. 2,3 მ.) სალოცავის დასავლეთითაა, დაახლოებით 10 მეტრზე. ნიშის ფუძე ოთხკუთხაა (2,3 X 1,6 მ). მასზე აღმართულია სქელი კედელი. კედელში ერთი მეორის ზემოთ განლაგებულია ორი პატარა თახჩა. აღმოსავლეთით დგას თანამედროვე (შეწირული) ჯვარი. ორიოდ მეტრის დაშორებით სადროშე ქვაა. სათავსები თითქმის დანგრეულია.¹

სერგი მაკალათიას მიერ 30-იან წლებში აღწერილი იყო ხატის კომპლექსი. იგი შემკული იყო ჯიხვის რქებით. ხატის ნიშში ეწყო ბეჭდები, საყურეები, ზანზალაკები, ხატის უღლები და სხვ. იქვე ოთახებად დაყოფილი იყო ხატის გრძელი შენობა, სადაც წინათ დაცული ყოფილა, ხატის დროშები, ჭურჭელი, სალუდე ქვაბები, და ხატის საგანძური. აქვე ინახებოდა „სპარსანგელოზის ყოჩი“, რომელიც შემდეგ გადაუტანიათ სტეფანწმინდის ეკლესიაში. იგი უნახავს უვაროვას, რომლის აღწერითაც ყოჩი ხისაგან ყოფილა გაკეთებული და ვერცხლის ფირფიტებით შემკული.

ეს ყოჩი სტეფანწმინდის ეკლესიაში აღარ არის. ძნელია იმის გამორკვევა, ყოჩი დაკარგულია თუ გადაძალული. მხოლოდ ამ ყოჩის ზურგის ჯვარი სპარსანგელოზის სხვა ნივთებთან ერთად სოფ. სნოს ეკლესიაში ინახება. სპარსანგელოზის ჯვარი ვერცხლისაა, სიგრძით 20 სმ. ამ ჯვარს ორივე მხარეზე ჰკიდია თეთრი ლითონის სამკუთხა და დაფანჯრული საყურე. ჯვარი წინათ სპარსანგელოზის ყოჩზე ყოფილა მიმაგრებული, მაგრამ შემდეგ ყაზბეგელებსა და სნოელებს ამ ყოჩის დაუფლებაზე დავა მოსვლიათ და ის ასე გაუყვიათ: ყაზბეგელებს ყოჩი რგებიათ, სნოელებს კი მისი ჯვარი.²

სპარსანგელოზის დღეობა ათენგენობა იყო. სპარსანგელოზის ნიში ს. თარგმანის სალოცავია. ყაზბეგიდან სამ-

¹ Ibid, სძა, 474.

² Ibid, მაკალათია, 251-252.

ხრეთ აღმოსავლეთის მხარეს, მაღალ მთაზე მდებარეობს ქობციხე. ქობციხის ნაგებობა 60-იან წლებში უკვე სანახევროდ ჩაქცეული იყო. ციხეს გარს არტყია ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები უზარმაზარი სიმაღლის გალავანი, რომელიც მთის ფერდზე საფეხურებად ეშვება. შემორჩენილია ამ გალავნის სამხრეთისა და დასავლეთის მხრის ნაწილი. გარდა ციხის ნაგებობისა, გალავნის შიგნით კიდევ შეიმჩნევა სხვა ნაგებობათა ნაშაღები. სპარსანგელოზის ნიში ციხიდან დასავლეთის მხარესაა, ასევე გალავნის შიგნით. იგი წარმოადგენს მაღალ კედელზე ამოყვანილ ფიქალი ქვის მშრალ კედელს. კედლის ზემოთ ფერდობი დაფარულია ხავსითა და ბაღახით.¹

ქობციხის ტერიტორიაზე მდებარე მეორე სპარსანგელოზის ნიში ჩამოტანილია დაბლა, ვაკეზე, ციხე სიმაგრის ჩრდილოეთის მხარეს.

მთხრობელთა გადმოცემით, როდესაც მლოცველები მაღლა ასვლას ვერ ახერხებენ, აქ ჩამოტანილ ნიშთან ლოცულობდნენ.

სპარსანგელოზის ახალი ნიში ოთხკუთხა ფორმის ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები მილიონაა. მთავარი ფასადი დავასვლეთის მხარესაა, სადაც დატანებული აქვს სასანთლე შუკუნა, ოთხკუთხა ფორმისა. შუკუნაში სანთლის ნარჩენები და ნამწვავებია. შუკუნისაგან მარცხნივ კედელში ჩამაგრებულია ორი პატარა დროშა, თეთრი მიტკლის ნაჭრისა.

ნიშის თავზე 10 ბროლის ქვაა, ანუ „ბურბუხჭელა“, როგორც მას მოხვევები უწოდებენ. სპარსანგელოზის ეს ნიში ყოველი მხრიდან კირის ხსნარითაა შეთეთრებული.²

სპარსანგელოზში ათენგენობას აღნიშნავდნენ. მთავარი სალოცავი მთის წვერზეა, ნიში კი დაბლა მდებარეობს. სნოში, შინოს ხეობაში, მდებარეობს ნადარბასევი. ამ აღ-

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, ბარდაველიძე.

გიღს წვერის ძირს უწოდებდნენ. ყველა, ვინც ვერ ახერხებდა შაბათს წვერის სპარსანგელოზში ასვლას, ათენგენობას აქ მიდიოდა ღამისთევით. სპარსანგელოზში სალოცავად ყველა მიდიოდა მაგრამ განსაკუთრებით ყაზბეგის და სნოს სალოცავი იყო. მუდმივი დეკანოზები აქ არ იყვნენ. სპარსანგელოზში გაჰყავდათ ბავშვებიც და რძლებიც, ვისი გვარისაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ყველას შეეძლო აქ საკლავის დაკვლა.¹

სპარსანგელოზს თავისი ტყე გააჩნდა. სალოცავს ნანადირევის რქებს წირავდნენ. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, მისმა პაპამ „სპარსანგელოზს 100 ნადირის რქა შესწირა და რქების გაღავანი გააკეთა. შემდეგ თოფი დამარხა და აღარ გაუსვრია. ერთი ჯაბანი ყოფილა, რომელსაც იგივე გაუკეთებია, მაგრამ მის მიერ შეწირული რქები ისე კარგი და ღიდი არ იყო.“²

ყაზბეგელ გიგაურებს, გომიაშვილებს, ეფხოშვილებს და ალიბეგაშვილებს ერთი ხატი აქვთ სპარსანგელოზისა, ცდოვლებს კი თავიანთი სპარსანგელოზის სალოცავი აქვთ. სპარსანგელოზის ნიში სოფლის განაპირასაა. როგორც უკვე ითქვა, მთავარი დღეობა სპარსანგელოზში ათენგენობა იყო. ხატის კუთვნილი ყანა ათენგენობისთვის იყო შეწირული. მნათე მოხნავდა, ღალა რჩებოდა, დანარჩენი სასმელს ამზადებდა, პურმარილი და საკლავი ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი გვარის წარმომადგენლებს მიჰქონდათ.³

სპარსანგელოზის სახელწოდების შესახებ გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, იგი სპას უკავშირდება და წვერის სპასანგელოზი ან სპათანგელოზი ერქვა. საბრძოლოდ მიმავალ სპას-ლაშქარს ამ სალოცავში უნდა მიეღო

¹ Ibid, ბარდაველიძე.

² Ibid, ბარდაველიძე.

³ Ibid, ბარდაველიძე.

კურთხევა, რაც ბრძოლაში გამარჯვების საწინრად ითვლებოდა.

სხვა ვერსიით ხატი და დროშები საქართველოში შემოსეულ სპარსელებს მოუტაცნიათ, მოხევეები დიდხანს ამაოდ ეძებდნენ. ბოლოს ერთ-ერთი ომის დროს ქართველთა ლაშქარი სპარსეთში შეიჭრა. ომში მონაწილე სამმა მოხევემ მიაგნო იმ ციხეს, სადაც მოტაცებული ხატი და დროშები ინახებოდა და ისევ ხევში დაუბრუნებიათ. ესენი იყვნენ 3 გვარის – ღუდუშაურის, გოდერძიშვილის და კახალიკაშიელის წარმომადგენლები. მათ თემისგან ჯილდოები დაუმსახურებიათ. დახსნილი ხატი და დროშები გაუწმენდიათ და თავის ადგილზე დაუბრუნებიათ. მაშინ მთელ ხევს გაუღია საკლავი და საწირი, ხოლო დეკანოზებს მთელი ხევი დაუმწყალობებიათ.¹

კიდევ ერთი გადმოცემით, სპარსელებს საქართველოდან ტყვეები წაუყვანიათ. მათ შორის იყო ერთი მოხევე ქალიც, მზეთუნახავი სეენჯა გოდერძიშვილი. ტყვეობაში მას შვილი შესძენია. ათენგენობის წინა დღეს დაღონებული მჯდარა აკვანთან წვერის ანგელოზობაზე ოცნებობდა და საშინლად იტანჯებოდა. ღამე მას წმინდა გიორგი გამოცხადებია და უთქვამს ვერცხლის საყურეები აიღე და სამშობლოში დაბრუნდიო. ასე გამეორებულა 3 ღამის განმავლობაში: „ადექ, ნუტირი, თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და ხევის გზას გაუდექო. დღე მე გმაღავ და ღამე ჩემი შუქით გატერებო.“ იქვე ხარიც გაჩენილა. სპარსანგელოზი ხარის რქაზე დამჯდარა და ქალს წინ გასძღოლია. სნოში ქალი ათენგენობას მისულა, მაშინვე წვერის ანგელოზში ასულა, აქ მას საყურე ყოჩის ჯვრისათვის შეუბამს, ხარიც დაუკლავთ და სპარსანგელოზიც იქ დაფრენილა. გადმოცემით ამ დროიდან წვერის ანგელოზს „სპარსანგელოზი“ ეწოდა.²

¹ Ibid, ითონიშვილი, 218.

² Ibid, სძა, 474. Ibid, მაკალათია, 252. Ibid, ითონიშვილი, 218.

ყოველი გათხოვილი მოხვევე ქალი თავისი შვილითა და შვილიშვილებით, ერთხელ მაინც უნდა ასულიყო საწირ-საკლავით სპარსანგელოზში და ელოცა. შეხვეწილები წვერის სპარსანგელოზში ფეხშიშველა ადიოდნენ, ხატს სწირავდნენ ბეჭდებს, ჯვრებს, ყელის უდლებს და სხვ. აქვე იმართებოდა სხვადასხვა გასართობები: ფარხმლობა, ცხენის რბევა, ასრულებდნენ ფერხულებს: „აბარბარე-ბარბარეს“, „სამაია სამთაგანას“ და ა.შ.¹

როგორც არ უნდა იყოს ამ სალოცავის სახელწოდების წარმომავლობა, უკავშირდება იგი მეომართა და მგზავრთა მფარველობას, თუ დატყვევებული ქალის სამშობლოში დაბრუნებას, ორივე შემთხვევაში იგი თანხმობაშია წმ. გიორგის ფუნქციებთან, რომელიც ტყვეთა განმათავისუფლებელი და ლაშქრის წინამძღოლია. მსგავსი ეპიზოდები წმინდა გიორგის ცხოვრებიდანაც ცნობილია.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ წმინდა გიორგის სალოცავებთან დაკავშირებული ვითარება ხევეშიც ისეთივეა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის სხვა რეგიონებში და ზოგადად საქართველოში. აქ არსებობს წმინდა გიორგის სახელობის მრავალრიცხოვანი ეკლესიები, სალოცავები და ნიშები, ხოლო ხევის ორი ცენტრალური სალოცავიდან ერთ-ერთი წმინდა გიორგის სახელობისაა.

თუშეთის ცენტრალური სალოცავი ლაშარის წმინდა გიორგის ხატია. გარდა ამისა არსებობს წმინდა გიორგის სახელობის უამრავი სალოცავი თუშეთის თითქმის ყველა დასახლებაში. მათი უმრავლესობა ნაგებობათა მთლიანი კომპლექსის სახით არ არის შემორჩენილი. უფრო ხშირად ვხვდებით საკულტო კოშკებს – თუშური ტერმინოლოგიით მილიონას, რომლებიც აგრეთვე ხატის სახელით მოიხსენიება. ეს არის გეგმაში ოთხკუთხედი, მთლიანი მასის სახით

¹ Ibid, მაკალათია, 253.


წარმოდგენილი სვეტის მსგავსი, ხშირად თახჩიანი ნაგებობა.¹

გვინდა მოვიტანოთ მასალა წმინდა გიორგის სახელობის სალოცავების შესახებ თუშეთში.

თუშეთის მთავარი სალოცავი, ღაშარის ჯვარია. მას აქ აღარ შეევეხებით, ვინაიდან ხსენებულ სალოცავზე ზემოთ იყო საუბარი.

პირიქითის ხეობის სალოცავები

სოფ. დართლოს სალოცავთა შორისაა ხახმატის ჯვარი, სადაც დღეობა 19 ივნისს (ძვ. სტ.) აღინიშნებოდა. იგი სოფლის ბოლოს, ეკლესიის წინ დავაკებულ ადგილზეა და წარმოადგენს მილიონას ნანგრევს.



თუშეთი, სოფ. დართლო, იახსრის ხატი (An. Tush. 22)

¹ ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, II, თუშეთი, (თბილისი: მეცნიერება, 1985), 4, 7.

მის წინ, ამავე დავაკებაზე, ალაზნის მახლობლად საფრინდოა, სადაც თავს იყრიდნენ სადავო საქმეების გასარჩევად მთელი პირიქითი ხეობის უხუცესები.¹

სოფ. კვაველოს სალოცავებია: წმინდა გიორგი (დღეობა მოდის ღაშარობის მესამე დღეს), სადროშაეთანა (დღეობა იცის ღაშარობის მეოთხე დღეს), კარატიონი (იმართება ღაშარობის წინა დღეს, სადამოს), მარხვასახსნელთანაი (მარხვის გახსნის დროს).

ხენუბანში, კლდის წვერზე მოთავსებულია ჯვართშუა – წმ. გიორგის ხატი. აღმოსავლეთის მხარეს „დროშის შესანახი დარბაზია“, მის ახლოს კი დროშის გასატანი ადგილი.

წმ. გიორგის ხატში დღეობა ღაშარობის მესამე დღესაა, სამშაბათს. აქ დროშის შესანახი დარბაზია, ორფერდა სახურავიანი ფიქალით მშრალად ნაგები პატარა შენობა, რომელსაც აღმოსავლეთის კედელში ამჟამად ამოყორილი დაბალი შესასვლელი ჰქონდა. მთხრობელთა გადმოცემით დღეობის დასასრულს ყორის 5 სიპს ამოიღებდნენ და დროშებს შიგ ათავსებდნენ. გარდა ამისა, მოშორებით კლდეში მოწყობილი იყო თასების შესანახი ადგილი, სადაც შეწირულ ჯიხვის და ხის თასებს ინახავდნენ. დროშების შესანახ დარბაზში 60-იან წლებში ორი, თეთრი საწირით გაწყობილი დროშა და ერთიც მესამე, გაუწყობელი დროშა ინახებოდა. ნაჭრებზე ამოქარგული იყო შემწირველის სახელი, გვარი, თარიღი, ასევე ფრინველი, ქალი, სახლი და სხვ. დროშებზე ზარები იყო შემბული. დარბაზის ერთ კუთხეში ღვთისმშობლის ერთი ხატი იყო მოთავსებული.

დარბაზის ჩრდილოეთით კლდეზე ყორით ნაგები კედელია და ნაგებობა, რომელსაც ზემოდან ადევს მომრგვალებული ფიქალი შუაში ნახვრეტით დროშის ტარის დასამაგრებლად. იმავე კედლის დასავლეთ ნაწილში საკურ-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 29-30.

თხვევლია მოწყობილი, სადაც აწყვია შეწირული ქადა-კვერის ნაწილები, ცხოველთა ძვლები, ხშიადის ნაწილები.¹

კვაველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ჯვართანა, სავარაუდოდ იგივე ხახმატიონი. კვაველოს მთაზე, მთის წვერი გარშემო ყორით იყო გამაგრებული, მის ცენტრში აღმართულია ციხე-დარბაზის მსგავსი შენობა. იგი გეგმაში სწორკუთხედაა, ნაგლეჯი ქვებით მშრალად ნაგები. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების წყობაში დატანებული თითო-თითო ფიჭვის სქელი მორით და შესასვლელით აღმოსავლეთის კედელში. შენობის სამხრეთი კედელი, რომელიც მთავარი ფასადის შთაბეჭდილებას ტოვებს, შემკულია ჯიხვის და ირმის რქებით. შენობას თავი მორღვეული აქვს. მთის წვერის გარშემოვლებულ ყორეში სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანებულია სასანთლე სადრო-შითურთ – ყორიდან გამოწეული ბრტყელი ფიქალით, რომელსაც ცენტრში ნაჩვრეტი აქვს დროშის ტარის დასამაგრებლად.²

სოფ. დანოს სალოცავთა შორისაა წმინდა გიორგი წყაროგორისა, სადაც დღეობას აღდგომიდან 107-ე დღეს, კვირას, იხდიდნენ და ხახმატის ჯვარი, სადაც დღეობა გიორგობისთვის 10-ში (ძვ.სტ.) და 15 ივლისს იმართებოდა.

წმინდა გიორგი წყაროგორისა სოფ. დანოდან დასავლეთით, საკმაოდ მოშორებით მდებარეობს. ხატი შედგება საბრძანის (// დარბაზის), მილიონასა და მათ გარშემო შემოვლებული ყორის გალავნისაგან. აქვეა რაღაც გაურკვეველი შენობის ნანგრევები. საბრძანი ოთხკუთხა ფორმის ყორით ნაგები შენობაა, ფასადით სამხრეთის მხარეს, სადაც მარცხენა კედელთან, კარიბჭესთან მომრგვალებული შესასვლელი აქვს. ჩრდილოეთის კედლის შუა ნაწილის გასწვრივ დატანებულია ოთხთვლიანი თახჩა (შუკუმა). ამ მხარეს და მის პირდაპირ კედლები შუაზე ოდნავ აწვერი-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 35.

² Ibid, ბარდაველიძე, 36

ლია და წვერის თავზე გადებულია ყავრი – ხუთ-ხუთი ყავრი ორივე მხრივ – რომელიც თავის მოპირდაპირე ბოლოებით კედელს ეყრდნობა. აღმოსავლეთის კედელში დატანებულია ფიქალის თარო, სამხრეთის კედელში კიდევ ერთი თახჩაა. შენობა გადახურულია სიპებით. კეზისა და ყავრის გადახურვა ორფერდა სახურავს ქმნის.

საბრძანის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მილიონაა. ეს ოთხკუთხა, მაღალი და მკვრივი ნაგებობაა, ზემო ნაწილში მთავრდება ხუთი სანაწვითით და თავში ცენტრალურ ადგილას აღმართული ფიქალის კონუსის ფორმის ქვით. აქვე აწყვია ჯიხვის რქები. ჩრდილო-დასავლეთ მხარეს შუკუმაა. ქვედა სანაწვითის ქვეშ მარჯვენა მხარეს გა-

მოშვერილია სიპი, ცენტრში ნახვრეტით, რომელშიც ჩადგმულია ჯიხვის რქა. ამავე ფასადის მარცხენა მხარეს ასევე ნახვრეტიანი სიპებია დატანებული. ქვედა სიპის ნახვრეტში ჯიხვის რქაა, ზედა კი სადროშე ტარის სამაგრი უნდა იყოს. მსგავსი სიპი დატანებულია სამხრეთის კედელში მარცხენა ნაპირას, შუა ადგილას და აქაც ნახვრეტში ისევ ჯიხვის რქაა. მილიონას მთავარი ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი უნდა იყოს, რომელსაც წინ ფიქალისაგან ნაგები ზღვა აქვს, XX საუკუნის 40-იან – 60-იან წლებში შესრულებული. ხატის კომპლექსს შემოვლებული აქვს გადავანი.¹

სოფ. ჭემოს დასავლეთით, ჭემოს მთაზე, მდებარეობს წმინდა გიორგის ხატი. ეს არის მშრალად, ფიქალი ქვებით აშენებული დაბალი, ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა. წინ აქვს პატარა დაფერდება, გარშემოვლებულია ფიქალის ქვებით, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულიყო დასაჯდომად.

ამავე სოფლის სალოცავი იყო ხახმატის ხატი.²

¹ Ibid, ბარდაველიძე, 39-40.

² Ibid, ბარდაველიძე, 42, 43.


სოფ. ფარსმის სალოცავებია: წმინდა გიორგი, საგინ-
წყარო, წმინდა თევდორეს ხატი, კარატის ჯვარი და წმინ-
და ნინოს ხატი.

წმინდა გიორგის ხატის კომპლექსი ყორის გალავან-
შია მოქცეული. შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან
აქვს. შემორჩენილია მისი მარჯვენა კედელი. გალავნის
შიგნიდან მარჯვნივ კედელში დატანებული იყო შუკუმა-
სათოფური, გარედან კი, გალავნის შესასვლელთან ორივე
მხარეს გალავნის გასწვრივ მოწყობილი იყო სიპის ჩამო-
საჯდომები. წმინდა გიორგის ხატის კომპლექსი შედგება
ციხის (თუ კოშკის), სასანთლე თუ სადროშე კოშკის და
გაურკვეველი დანიშნულებისა და სახელწოდების ნაგებო-
ბისაგან. ციხე (4,15 X 4,3 მ., სიმაღ. 6,5 მ.) ორსართულიანია,
გეგმაში ოთხკუთხა. პირველ სართულზე შესასვლელი სამ-
ხრეთიდანაა, მიწის დონიდან 1,9 მ.-ზე. ამ სართულზე,
დასავლეთ კედელში სათოფურია, აღმოსავლეთ კედელში
ნიში. მეორე სართულზე, ოთხივე კედელში თითო სათო-
ფურია, სამხრეთის კედელში კი ერთი სარკმელი. სარ-
თულშუა გადახურვა ხისა იყო – შემორჩენილია კოჭების
ბუდეები. სახურავი ცალფერდაა და გადახურულია ფიქა-
ლის ფილებით. ციხეში ინახებოდა ორი დროშა – ერთი
ძალიან დიდი, მეორე შედარებით პატარა. დროშები გაწყო-
ბილია უამრავი საკადრისით. ციხის ერთ-ერთი ძირის ქვა-
ზე ამოკაწრულია სამი თავიანი ჯვარი. აღმოსავლეთის კე-
დელში მოთავსებულ ერთ-ერთ ქვაზე ამოდარულია რგო-
ლი ჯვარით შუაგულში. დანარჩენი კედლები სადაა. და-
სავლეთის კედელში შერჩობილია ჯოხი და ჯიხვის რქა.
ციხის დასავლეთის კედელი მაღალია, ხოლო მოწინააღ-
მდეგე მხარისა დაბალი. ციხეს დასავლეთის მხრიდან მი-
შენებული აქვს ყორის დაბალი კედლები, რომლებიც
ქმნის სწორკუთხა ნაგებობას სამხრეთის მხრიდან განიერი
შესასვლელით. ამ ნაგებობას დასავლეთის კედელში ჩრდი-
ლოეთის კიდიდან დატანებული აქვს ფიქალი ქვის წინ გა-

მოწეული სკამები. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კედლები გამურულია ცეცხლისაგან. ციხის ჩრდილოეთის კედელზე მიშენებული იყო სამოციანი წლებისათვის უკვე თითქმის დანგრეული ყორის კოშკი სასანთლე თუ სადროშე. გალაგნის შიგნით, ციხის აღმოსავლეთით, ყორით ნაგები მცირე შენობაა, შიგნიდან მომრგვალებული ფორმისა, გაურკვეველი დანიშნულებისა და სახელწოდების.¹

ჩადმის ხეობის სალოცავები

სოფ. ხისოს სალოცავი, ხახას წმინდა გიორგის ხატი, მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ე.წ. ხახას ადგილზე, ზღვის დონიდან 1900 მ-ზე.²



თუშეთი, სოფ. დანო, კარატეს ჯვარი (An. Tush. 18)

¹ Ibid, ბარდაველიძე, 46-47; თ. დვალი, კ. კახიძე, ა. რამიშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, II, (შემდგომ სტა) (თბილისი, მეცნიერება, 2004), 142.

² Ibid, ბარდაველიძე, 55.

ხატი საკმაოდ მოზრდილი ფიქალი ქვით მშრალად ნაგები შენობაა, რომელიც ამავე დროს სადროშესაც წარმოადგენს. მთავარი ფასადი სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. შენობა ჩრდ-აღმოსავლეთის მხარეს მიდგმულია მთის ფერდზე და გაცილებით დაბალია, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით. ნაგებობის დანარჩენი ორი მხარე ცერად მიემართება მაღლა, თავზე კი დატოტვილი ირმის რქა ადევს. სახურავი ფიქალი ქვისაა და სამხრ-აღმოსავლეთისაკენ ოდნავ დაქანებული. სამხ. დასავლეთის მხარეს კედელში ჩამაგრებულია ხუთი ირმის რქა. ერთ-ერთზე შებმულია თეთრი მიტკლის ნაჭერი. ამავე მხარეს, კედლის წყობაში დატანებულია დიდი ზომის რიყის ქვა, რომელიც მოზრდილ ღრმულს ფარავს, სადაც 60-იანი წლების ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს ვერა ბარდაველიძემ ნახა სპილენძის მრგვალი ქვაბი (კარდალა) სახურავზე არაბულ-წარწერიანი დალით, რომელშიც ეწყო თეთრი, წითელი და ჭრელი საწირავები, ზოგიერთ მათგანში ფული იყო გამოკვანძული. გარდა ამისა, ღრმულში იღო ხუთი ზარი, თორმეტი სპილენძის თასი, ზანზალაკი. სპილენძის პატარა თასზე 1962 წელს შესრულებულ წარწერის მიხედვით, იგი წარმოადგენს შესაწირავს ხახმატის წმ. გიორგისათვის. აქვე იყო სხვადასხვა ზომის სანთლები და წმ. გიორგის ხატი რუსული წარწერით.

ხახას წმინდა გიორგის ხატის გვერდით, მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს კარატის ჯვარი, ხოლო იმავე ხახას ადგილზე, წმინდა გიორგისა და კარატეს ნაგებობათა ქვემოთ, დასავლეთით, მთის ფერდობზე მდებარეობს ხახმატის წმ. გიორგის ჯვარი. იგი წარმოადგენს დიდი ზომის თეთრი ბროლის ქვას, რომელიც მთის ფერდობში ვერტიკალურად არის ჩასმული. მთხრობელთა მონაცემებით აქ კლავდნენ უშობლის პირველ ხბოს. გარდა ამისა, ერთ-ერთი მთხრობლის სიტყვით, ხისოში ხახას ადგილზე

სამი ნიში იყო: წმინდა გიორგი, თეთრი გიორგი და ხეცურთ სალოცავი კარატე.

სოფ. შტროლთას სალოცავები იყო გიორგი ბალაურთისა, გიორგი წყაროსთავისა, დავით მუხროვნისა, სახევესურო ნაფუძარა.

გიორგი ბალაურთის ხატი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ბორცვზე და წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ნიშს, რომელსაც შიგადაშიგ წყობაში ჩატანებული აქვს ხინჭრიკვის ქვები.

გიორგი წყაროსთავისას ხატი შტროლთას სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ჯვართანას მთის დავაკებაზეა. ესეც ფიქალი ქვით აშენებული მართკუთხა ფორმის ყორეა.¹

სოფ. ჟველურთას სალოცავია ზეჯვართანა (იგივე დავითის ჯვარი ანუ წმინდა გიორგის ჯვარი). იგი მდებარეობს მაღალ მთაზე, ზღვის დონიდან 2320 მ-ზე, სოფ ჟველურთიდან ჩრდილოეთით და წარმოადგენს ფიქალი ქვით მშრალად ნაგებ მაღალ და განიერ ნიშს. იგი სამხრეთის მხარეს უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთის მხარეს. სამხრეთის მხარეს წყობაში ჩატანებულია რამდენიმე ხინჭრიკვა. ნიში ზემოდან სწორია და ბრტყელი ფიქალი ქვებითაა დაფარული.

ასევე სოფლის ჩრდილოეთის მხარეს, ხახას ფერდობზე, მდებარეობს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები ოთხკუთხა ფორმის მილიონა. მისი მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა, სადაც დატანებული აქვს სამკუთხა ფორმის შუკუმა. მილიონას თავზე ადევს ჯიხვის დიდი ზომის რქა, სამი ხინჭრიკვა და ირმის რქები. ეს არის ე. წ. სახევესურო, ხახმატის წმ. გიორგის სახელობისა.

სოფ. ნაცისარში შემორჩენილია ერთი ძველი ეკლესია და ორი სალოცავი: გიორგი ნაცისრის ხატი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით, ბორცვზე, ორ სიპზე წა-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 55, 56, 58.

მომდგარ ორი დიდი ზომის ბროლის ქვას წარმოადგენს და გადმოცემით ხევესურების სალოცავი იყო. მეორე სალოცავი ხახას სახელობის იყო და ეკლესიის ზევით ფერდობზე იყო განთავსებული. აქ იდგა დაბალი, სიპით მშრალად ნაგები კოშკი. მის აღმოსავლეთ მხარეზე ორი სიპი ქვაა აფარებული, სადაც სანთლებს ანთებდნენ. აქ დღეობა ლაშარობის წინა პარასკევს იმართებოდა.

სოფ. ჩიგილაურთის სალოცავთა შორის იყო ხევესურთ სალოცავი-ხახმატის ჯვარი. ეს არის უბრალო ყორე, როლმის მახლობლად უზარმაზარი ხინჭრიკვაა. ხახმატის სალოცავს ეკუთვნის მეორე, უფრო დიდი ზომის, კედელივით წაგრძელებულ ყორე ხახმატის ჯვარის ქვემოთ. მის მახლობლად ამოყრილი კედელია, რომლის წინ დავაკებაა, სადაც სავარაუდოდ ხევესურთ სადგომი შეიძლება და ყოფილიყო¹.

სოფელ ბოჭორნის შუაგულში მდებარეობს წმინდა გიორგის ხატის ნაგებობა. ისევე როგორც მთელი სოფელი, ხატის შენობაც ნაგებია მთის ფერდზე, ფიქალი ქვისგან, მშრალად. მთის ფერდის დაქანების გამო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ნაგებობის ცალფერდა სახურავსაც ასეთი მიმართულებით მიუღია დაქანება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობების სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის წყობა უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთის კედლისა.

ხატის ნაგებობას შესასვლელი დატანებული აქვს დასავლეთის მხარეს. შესასვლელთან დევს დიდი ზომის ხინჭრიკვა. ნაგებობა შიგნით გრძელი ოთხკუთხა ფორმისაა.

ნაგებობის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთის მხრის კედლის წინ, ძირში მთელი კედლის სირგქეზე გაკეთებულია განიერი და გრძელი მერხი, ჩრდილოეთის მხრის კედლის დასავლეთი კუთხე და დასავლეთის მხრის კედელი მთლი-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 60-62.

ანად მომრგვალებულია. ჩრდილო-დასავლეთის კედელში დატანებულია შუკუნა, რომელშიაც ეწყო დოქი, ზარები და დაზიანებული, ეკლესიიდან გამოტანილი, მინანქრიანი ოთხკუთხა ფორმის თუნუქის საეკლესიო ნივთი, რომლის თავის ცალ კუთხეში თუნუქისავე წმინდანი იყო გამოსახული. ნივთის ოთხივე მხარე არშიებით იყო შემკული. არშიებში ჩასმული ყოფილა მომინანქრებული წმინდანის გამოსახულება. იმაჟამად შემორჩენილი იყო ორი გამოსახულება, ორი კი ამოღებული იყო. აქვე იდო საეკლესიო თუნუქის ჯვარცმის გამოსახულება. შუკუნაში შედგმული იყო მოჭიქული, მწვანე ფერის, ტუჩიანი, მშვენიერი ქართული ფორმის დოქი. აქვე იყო შედარებით მოზრდილი მეორე დოქიც, წითელი ფერისა. ნაგებობაში აღმოჩნდა ეკლესიიდან გამოტანილი ძველი ჭადის ნაწილი, დიდი რუსული ზარი, რუსული ხელობის ორი დიდი ზომის ხატი: ერთი ქრისტეს გამოსახულებით, მეორე კი ღვთისმშობლისა. აქვე იყო ეკლესიიდან გამოტანილი ფარჩის, ოქრომკედით შესრულებული ტრაპეზის გადასაფარებელი ნაჭერი. მიწაზე ეყარა თიხისა და თუნუქის ზარისა და ჭურჭლის ნაემტვრეები. ამას გარდა ხატის ნაგებობაში იყო ორი სადროშე ტარი და სამი გაწყობილი დროშა. სამი დროშიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი დიდი დროშა უამრავი საკადრისებით, ორი დიდი ბრინჯაოს ძველებური ქართული ზარით შემკული და თავზე შუბის წვერით დასრულებული. მეორე დროშა შემკული იყო უამრავი საკადრისით და მასაც შუბის წვერი ჰქონდა თავზე. მესამე დროშაც აგრეთვე შემკული იყო საკადრისებით. დროშებთან, იქვე, იყო ლუდის ქვაბის დამტვრეული ნაწილები. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლიდან, იქ, სადაც პატარა სარკმელია დატანებული, იდგა ხის საწდე, რომელშიაც ეწყო რვაღის ტარკოშა და ჯიხვის რქები (სამი). საწდესთან იდგა თუნუქის ჭურჭელი, რომელშიაც ეყარა სალუდე ქვაბის ნაწილები.

წმინდა გიორგის ხატის ნაგებობის გვერდით, დასავლეთის მხარეს მდებარეობდა ს. ბოჭორნის საქვაბე. საქვაბე ნაგებია დიდი ზომის ფიქალი ქვებისგან მშრალად და ოთხკუთხი ფორმისაა. იგი აგებულია იმავე მთის ფერდზე, რომელზედაც ნაგებია წმინდა გიორგის ხატის შენობა და დაქანებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მთავარი ფასადი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს საქვაბეში შესასვლელი. საქვაბის კარი მოტკეპნილი სწორი ადგილია. შესასვლელის გვერდით, აღმოსავლეთის მხრის კედლის პირად მთელ სირგქეზე დაწყობილია ფიქალის ქვისგან გაკეთებული დასაჯდომები.

დასავლეთის მხრის კედელი ნაგებია დაკიბულად ხუთსაფეხურად. ყოველ საფეხურზე იდო ძელის ნაჭრები, რომლებიც ეყრდნობიან აღმოსავლეთის მხრის კედლის ასეთსავე საფეხურებს. აღმოსავლეთის მხრის კედელზე ეს საფეხურები ნაწილობრივ შეიმჩნეოდა, ნაწილი კი მორღვეული იყო. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კედელი ამოშენებულია კლდეში. დასავლეთის მხრის კედლის კუთხეში, შესასვლელის პირდაპირ, ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებია საცეცხლური და შიგ ჩამაგრებულია კონუსის ფორმის სპილენძის ქვაბი. მეორე ქვაბი, ოდნავ დიდი ზომისა, იდო სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში. ქვაბის წინ მიწაზე იდო დიდი, ხისგან გათლილი ნავი, რომელიც ადრე ალბათ სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში უნდა მდგარიყო; ამაზე მიუთითებდა ამ მხარეს კედლის თავებზე გადებული დიდი ძელი, რომელზეც ალბათ ალუდის გასაწურ პაკებს ჰკიდებდნენ.

კედლის საფეხურებზე იდო ხის მორები, რომლებიც ამაგრებდნენ გვერდით ხეებს. გვერდით ხეთა რაოდენობა ხუთი იყო და ეყრდნობოდა საქვაბის შუა ადგილას სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრის კედლის თავებზე დადებულ დიდ თავხეს. გვერდით ხეებზე

დაწყობილი იყო ყავრი, რომელიც დაფარებული იყო დიდი ფიქალი ქვებით.

დასავლეთის კედელში ჩამაგრებული იყო 3 ხის ჯოხი, რომლებიც კედლიდან წინ იყო წამოწეული. საქვაბე შენობა მიტოვებული იყო და შიგნით ნახირის სკორით იყო მოსვრილი.

ხინჭრიკვა ბოჭორნის თავისა (ხახას სალოცავი) ზღვის დონიდან 2560 მეტრზეა. ეს არის სიპი ქვით მშრალად ნაგები ოთხკუთხედი კვრივი. მთავარი ფასადი მოქცეულია სამხრეთის მხარეს, სოფლისკენ. დასავლეთის კედელი შუა ადგილიდან კედლის თავამდე ნაგებობის სიღრმეში შეჭრილია გრძელი ოთხკუთხედის სახით, რომლის ძირი წარმოადგენს ბრტყელსა და გრძელ სიპს. აღნიშნული შეღრმავების მარჯვენა, ფასადის კედელზე, შიგნიდან შეიწინებება პატარა, ოთხკუთხედი ზომის შეკუმა.

ნაგებობის სახურავი არ არის შემორჩენილი (შენობის წინ ყრია სიპი ქვები). ნაგებობის ზემოთ, მარჯვენა მხარეს, ვერტიკალურად დაყენებულია დაახლოებით ოთხკუთხი, დიდი ზომის ხინჭრიკვა, გარდა ამისა, იქვე მიწაზე ყრია ხუთი სხვადასხვა ზომის ხინჭრიკვა. შენობის ჩრდილოეთ კედელზე აქა-იქ შეინიშნებოდა სანთლის ნამწვავები.¹

სოფ. ომალოს ოთხი სალოცავიდან ორი წმინდა გიორგის სახელობისა იყო, გადმოცემით ისინი ხევსურების სალოცავებად ითვლებოდა და დეკანოზებად აქ ხევსურები მოდიოდნენ

სოფ. შენაქოს რვა სალოცავიდან ასევე ორი ხატი წმინდა გიორგის სახელობისა იყო – ლაშარის წმინდა გიორგის ნიში და ხახმატის წმინდა გიორგის ხატი.

ხახმატის ჯვარი შენაქოს ბოსლების სამხრეთ-დასავლეთით, დიკლო-შენაქოს გზის ქვემოთ მდებარეობს. აქ სამი ქვა იდო-ორი დიდი და ერთი პატარა. რაც შეეხება ლა-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 66-67; Ibid, სძა, 71.

შარის ჯვრის ნიშს, იგი სოფელ შენაქოდან დასავლეთის მხარეს, სოფლიდან მოშორებით მთაზე მდებარეობს და წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგებ მილიონას. სამხრეთის მხრიდან მას სასანთლე შუკუნა აქვს. თავზე აწყვია ჯიხვის რქები და დიდი დროშა, თეთრი საწირეებით შემკული. ნიში ფიჭვისა და ნაძვის ტყეში დგას.¹

სოფ. დიკლოს სალოცავებია: კარატის ჯვარი, სანება, ბიჭები, თურსიები და მათ შორის წმ. გიორგის ორი სალოცავი – ხახმატი და დიდკალთოს წმინდა გიორგი.

დიდკალთოს წმინდა გიორგის ხატი მდებარეობს სოფ. დიკლოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ადგილ დიდკალთოში, ხახას ტყეში. ტყე არყისაა და ხატის საკუთრებას წარმოადგენს. ხატის ნაგებობა კვრივად ნაგები ოთხკუთხა ფორმის კოშკია, რომელიც ერთდროულად სასანთლესა და სადროშე კოშკის დანიშნულებას ასრულებს. კოშკი ბებერი ხის გარშემო იყო აღმართული. ვერა ბარდაველიძის თუშეთში ყოფნის დროს ეს ხე მთლიანად გადატეხილი იყო და შუაგულ კოშკში მხოლოდ მისი ჯირკილა შემორჩა, რომელიც მოგვიანებით სანთლის დასაკრავ ადგილს წარმოადგენდა. კოშკი გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული. გალავანი მრგვალია, მშრალად ნაგები. აქ წელიწადში ერთი დღეობაა დიდკალთობა ანუ ათენგეობა, რომელიც ერთდღიანია და აღდგომის მეასე დღეს მოდის. დიდკალთოს ხატში სასოფლო საკლავი არ იკვებოდა, იკვებოდა მხოლოდ კერძო. მაგალითად, სხვაგან გათხოვილი ქალი მოდიოდა მამის სალოცავში და მოჰყავდა საკლავი. საკლავი იკვებოდა კოშკის ძირში მზის ჩასვლამდე დღეობის წინა დღეს. „დღეობა დღეს შუღტა მოიტანს არაყს, ტიკს ლუდით, ამის გარდა მას მოაქვს სახატო დროშა; ეს უკანასკნელი მხარზე აქვს გადებული. დროშა აქ არის ტარზე მანდილითა და ზარით, ბიჭებსში კი ტარზე

¹ Ibid, ბარდაველიძე, 74.

ვიწრო ლენტისებური ნაჭრები იციან და ამას ბაირაღები ქვია.“¹

ხახმატის ჯვარი დიკლოს სამხრეთით, ბორცვზე ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები მილიონაა. ჩრდილოეთის მხარეს სასანთლე შუკუმა აქვს. მისი ქვედა ნაწილი წარმოადგენს ფიქალ ქვას, რომელიც მრგვალადაა გახვრეტილი. სამხრეთის მხარეს ქვები გამოღებულია და ორმოსებური სამაღლავი ჩანს. თავზე ადევს სიპები, ირგვლივ ყრია ხინჭრიკები და ქვები, რომლებიც შესაძლებელია დასაჯდომად გამოიყენებოდა.²

სოფ. ქუმელაურთის სამი სალოცავიდან ორი წმინდა გიორგის სახელობისაა. ესაა ხახმატის ჯვარი და წმინდა გიორგი ხახას ჯვარი. ხახმატისა და შაფურთის ჯვრის დღეობა ერთ დღეს იმართებოდა, ხახას წმინდა გიორგისა კი მის სწორზე, პირველ ორშაბათს. ხახას ჯვარი დაშლილი მილიონას ნაშთს წარმოადგენს, რომელიც სოფლის ბოლოს წყაროსთან პატარა ტყეში მდებარეობს.

ხახმატის ჯვარში ხევისურები მოდიოდნენ. იგი სოფლის თავში პატარა გორაკზე მდებარეობს. აქ ადრე დიდი ფიჭვის ხე მდგარა, რომელიც გამხმარა და მისი კვალიც არ დარჩენილა. გორაკზე ერთმანეთის გვერდზე ორი ყორით მშრალად ნაგები მილიონა დგას. ერთს ხემოდან ირმისა და ჯიხვის რქები აწყვია მრავლად, ზოგიერთს თეთრი საწირები აქვს შებმული, მეორე მილიონას ცენტრში დამაგრებული ხის ბოძის გარშემო ირმისა და ჯიხვის რქები იყო შემოწყობილი.

ბოძი პატარა რკინის ჯვრით მთავრდებოდა, ჯვარს ქვემოთ კი ბოძს გული ჰქონდა გამოღებული და შიგ უწარწერო ზარი იყო ჩამოკიდებული. მის ქვემოთ ბოძზე წარწერა იყო, რომელიც ვერა ბარდაველიძის თუშეთში ყოფნისას აღარ იკითხებოდა. ხახმატის ჯვრის ამ ორივე

¹ Ibid, ბარდაველიძე, 79.

² Ibid, ბარდაველიძე, 78, 79.

მილიონას ძირში სამსხვერპლო იყო, რომლის ნიშანი ახლა აღარ ჩანს. დღეობაზე საკლავის დაკვლის შემდეგ ქორბელაღას დააბამდნენ და სიმღერით („დღესამ დღეობა ვისია, წმინდისა გიორგისია“) ჩავიდოდნენ საკოდოში. მილიონების ქვემოთ, გორის ძირში, ყორით ნაგები საქვაბე იყო. საქვაბეს შესასვლელი კარი ჩრდილოეთის მხარეს აქვს. კარი აღარ იყო შემორჩენილი და მის მაგივრად მორები იყო მიწყობილი. საკოდო, იგივე საჯარე, სოფლის ცენტრში საცხოვრებელ ნაგებობათა შორის საქვაბესთან ახლოს პატარა მოედანს წარმოადგენდა.

კედლების თავზე გადებული იყო ხიდები. სულ ხუთი ხიდი იყო. მათზე ეწყო ყავარი და შემდეგ სიპებით იყო გადახურული. სახურავი ცალფერდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაფერდებული იყო. საქვაბის გვერდითი და უკანა კედლები მიწაში იყო ჩამჯდარი. აღმოსავლეთის კედლის გაყოლებაზე ჭერზე ხიდი იყო გადებული, რომელზეც ჯარჯები ეკიდა. საქვაბე სამივე ხატს ემსახურებოდა. სამხრეთი კედლის გაყოლებაზე დასავლეთის კუთხესთან სპილენძის დიდი ქვაბი იყო პირდამხობილი. ქვაბი ცოკალთოდან იყო მოტანილი, სადაც იმდროისთვის უკვე აღარავინ ცხოვრობდა. დასავლეთის კედელთან იღო საღუდე ქვაბი, რომელიც გარშემო მიწით იყო შემოტკეპნილი და ირგვლივ ამადლებულ ადგილს ქმნიდა. ეს ამადლება მთელი ნაგებობის უმეტეს ნაწილს მოიცავდა, გარდა საქვაბის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის.¹

გომეწრის ხეობის სალოცავები.

სოფ. ჯვარბოსლის სალოცავები იყო: ხითანას წმ. გიორგი – მთელი გომეწრის თემის სალოცავი („ათი სოფლისათვის იყო ეგ სალოცავი“), თევდორე ჯვარბოსლის თავისა – სასოფლო სალოცავია, ორციხე (აღრე აქ სოფელი ყოფილა ასეთივე სახელწოდებით, 60 კომლს უცხოვრია. ორი გვარის ხალხი ცხოვრობდა: ჭარედოვანი და და-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 80, 81.

ნიშინი), ბერბადური, მარიამწმინდა (დედა მარიამ ღვთისმშობელი), ხახმატის ჯვარი (ხახას არის, სოფლის ზემოთ. გადმოცემით ხახას სალოცავი კარდლიძეების გვარის სალოცავი ყოფილა. კარდლიძეები ხევესურები ყოფილან ძირად).

წმ. გიორგის დღეობა ხითანობა იყო. „ხითანობას გამოთვლიან აღდგომიდან. აღდგომა რა რიცხვშიც გამოვა, მესამე დღეს ხითანობაა. ხითანობა ორშაბათს არ სცდება. კვირას თვედორე ჯვარბოსლის დღეობაა, ორშაბათს – ხითანობა. მესამე დღეს ხახმატში ავაღთ. ჯერ ავაღთ ხახაში, ავანთებთ სანთელს ჩამოვალთ თვედორეში, იქაც ავანთებთ (სანთელს). კვირა საღამოს ხითანას ვათენებთ და ორშაბათს უკვე იქა ვართ.“

„ხატს ჯვარის მიწა ჰქონდა; ხითანას, თვედორეს (მიწა ჰქონდა), ჯვარის ყანებს ეძახიან. ნათე მოხნავდა და აღუდს გამოხდიდა. ხითანას ცალკე ჰქონდა (მიწა). მთელი გომეწარი მოხნავდა; ვინც ნათე იქნებოდა (აღებულ მოსავალს) დაბერტყავდა, წაიღებდა და მოხარშავდა აღუდს, გაუმასპინძლებოდა ხალხს, მლოცავს უნდა დახვედრიყო“. თუშეთში „ხატს მიწა ცოტა ჰქონდა. მოსულებს ხატის მიწიდან კი არ მისცემდნენ!“

სადროშე ციხე მდებარეობს ზღვის დონიდან 2000მ სიმაღლეზე. სოფ. ჯვარბოსლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, მაღალი მთის დავაკებაზე მდებარეობს ორი ციხე, რომელთაგანაც ერთი სადროშე ციხეა. სადროშე ციხეში ინახება ხითანის ჯვარის დროშა, ხოლო ძველად ინახებოდა საგანძურიც.

სადროშე ციხე ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალად. კედლების წყობაში აქა-იქ ჩატანებული ჰქონდა თეთრი ბროლის ქვები. სახურავი ჩაშლილი იყო, ციხე კი თავმორღვეული.

მას მთავარი ფასადი დასავლეთის მხარეს აქვს, სადაც დატანებულია შეისრული ფორმის შესასვლელი. შე-

სასვლელი შიგნითა მხრისკენ უფრო განიერია და ოთხკუთხა ფორმისაა. კარის თავზე კედელზე დატანებული იყო გათლილი თავხე, რომელსაც ნაპირებში კარის კოჭის ჩასასმელად თითო-თითო ნაჩვრეტი ჰქონდა. ზღურბლად ორი კეცი იყო ნაგები, რომლებიც კედლის წყობაში იყო ჩატანებული. შესასვლელის ორივე მხარეს კედელზე დატანებული იყო თითო-თითო დრმული ურდულისათვის.

სადროშე ციხის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს იყო. კუთხეში მიყუდებული იყო ძვირფასი საკადრისებით მორთული დროშა. დროშის ტარი 1,8 მ. სიგრძის იყო და წვერი და ქვედა ნაწილი წათლილი ჰქონდა. დაწვებული წვერიდან, ვიდრე ტარის შუა ნაწილამდე, გადაკრული ჰქონდა თეთრი, სახიანი აბრეშუმის საკადრისი. საკადრისს ბოლოზე სამი აბრეშუმისავე ლენტი ჰქონდა დამაგრებული, ნაპირზე ყვითელი ფერის, ხოლო შუაში ბაჯადლო ოქროსფერი. ყვითელი ფერის ლენტების სიგრძე თითოსი 47 სმ. იყო, ხოლო ბაჯადლოსფერისა – 46 სმ. დროშის წვერთან მეორე აბრეშუმის საკადრისი იყო დამაგრებული. ეს საკადრისიც ოთხკუთხიანი იყო და ორი კუთხით დროშაზე იყო დამაგრებული. ისევე, როგორც პირველ საკადრისს, სამი ლენტი ჰქონდა: ნაპირებზე თეთრი ფერის, ხოლო შუაში წითელი. სამივე ლენტის სიგრძე 94 სმ. იყო. გარდა ამ დიდი საკადრისებისა, დროშის ტარზე დამაგრებული იყო ჭრელი ჩითის ნაჭერი, რომლის ერთ კუთხეში გამოკრული იყო ვერცხლის ფული და ერთიც უფრო პატარა ჩითის ნაჭერი. იმ კუთხეში, სადაც დროშა იყო დაბრძანებული, ორი ხინჭრიკვა ეგდო, ხოლო სამხრეთის კედელზე ექსპედიციას სანთლის ნამწვის კვალი დახვდა.

ხითანას წმინდა გიორგის ჯვარის კომპლექსი მოიცავს 3 ნაგებობას, ორი მკვრივად ნაგები კონუსის ფორმის შენობას და მესამე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევს. ნაგებობათა ეს კომპლექსი მდებარეობს სოფ. ჯვარბოსლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხითანის მთის ძირას. მას სამ-

ხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ორციხე, დასავლეთით უბისთავის გორა, აღმოსავლეთით მწვერა რიყა და მდინარე ალაზანი.

ხითანის წმინა გიორგის მთავარი ნაგებობა წარმოადგენს კონუსის ფორმის მკვერთად ნაგებ შენობას, ქვედა ნაწილი განიერი კვარცხლბეკია, რომლის ზემოთ შენობა ოდნავ ვიწროვდება თავისკენ. მთავარი ფასადი დასავლეთითაა, აქ კვარცხლბეკის პირად შუაში სასანთლე შუკუმაა. ექსპედიციის ადგილზე ყოფნის დროს შუკუმას სანთლის ნამწვავების კვალი ემჩნეოდა. მთავარი ფასადის მხარეს შენობის ქვები ნაწილ-ნაწილ იყო მონგრეული, ზოგი მათგანი წყობიდან იყო გამოსული. თავზე ორი დიდი ხინჭრიკვა ედო, რომელშიც დამაგრებული იყო დროშა. უბრალო ხის ტოტის წვერთან ცალი ყურით დაკრული იყო ფაბრიკული წესით დამზადებული (თეთრ ფონზე წითელი ყვავილებით) ოთკუთხა ფორმის თავშალი (საწირავი). აქვე, მთავარი ფასადის მხარეს, დიდი ჯიხვის რქები შუბლით და აგრეთვე ორი ძველი, გამოფიტული რქა იყო. ორივე რქას მიტკლის ნაჭრები ჰქონდა შემოხვეული. ცალი რქა შერტობილი იყო კედლის ზემო ნაწილში (სამხრეთის კედელში). ჩრდილოეთის მხარეს კვარცხლბეკზე მიყუდებული იყო ფიქალის ბრტყელი ქვა, რომელიც მთხრობლის განმარტებით ნიშის მისაფარებელი იყო. ამავე მხარეს მიწაზე დიდი ფიქალის ქვები ეწყო. აღმოსავლეთის მხარეს,

კვარცხლბეკის წინ, ფიქალის ქვებით ამადლებული ფართი იყო, რომლის მარცხენა კუთხეში ძველი, გამოფიტული ჯიხვის წყვილი რქა ეგდო.

ამ მთავარი ნაგებობის ჩრდილოეთით მისი მსგავსი, აგრეთვე კონუსის ფორმის ნაგებობა იყო, ლამითა და ფიქალით მკვერთად ნაგები. ძირიდან ერთ მესამედზე ეს ნაგებობა უფრო განიერი იყო ზედა ნაწილთან შედარებით, და მთავარი ფასადის (დასავლეთი) მხარეს წინ წამოწეულ, შუაზე ამ წყობიდან გამოსულ ნაწილთან ჰქონდა ნიში,

რომლის თავზე კედელში დატანებული შედარებით გრძელი და სქელი ფიქალის ქვა იყო. ნიშში ჩაგდებული იყო ხის გათლილი ჩარჩო, რომელიც სიძველისგან შუაზე იყო გაპობილი და ნაწილობრივ დამწვარი. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებში დატანებული იყო თითო-თითო წვრილი ხე, თავზე ბრტყელი ფიქალის ქვებით. ამ ორი ნაგებობის მახლობლად მათგან ჩრდილოეთის მიმართულებით მოთავსებული იყო ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი. მისგან კედლების ნაწილია იყო შერჩენილი. კედლები ნაგები იყო მშრალად, ფიქალი ქვისაგან. დასავლეთის კედელი ნაგები იყო მიწის პირად, კედლები სამ მხარეს მომრგვალებული ჰქონდა, ხოლო დასავლეთის კედლის შუა ნაწილი, ოდნავ წინ წამოწეული. მიწის პირად დატანებული ჰქონდა სასანთლე ნიში. უფრო მცირე ნიში, იმავე ფორმისა, მოთავსებული იყო სამხრეთის კედელში. აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს კედლები იმ დროისთვის უკვე დაქცეული იყო. ნაგებობას კარი ჰქონია ჩრდილოეთის მხარეს, სახურავი ჩაქცეული იყო.

აღნიშნულ ნაგებობათა დასავლეთით, მთის დავაკებაზე მოწყობილი იყო დია საჯარე (სუფრა). ფიქალი ქვებისგან გაწყობილი გრძელი დასაჯდომები სამ მხარეს, მახლობლად მოწყობილი ცეცხლის დასანთები კერით.

კიდევ ერთი სალოცავი, ბერ-ბაადური, 2180 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, ორციხისა და მარიამწმინდის სამხრეთ-დასავლეთით. იგი წარმოადგენს სიპით მშრალად ნაგებ პატარა ოთხკუთხა ყორეს. ხატის წინ იდგა ნახევრად გამხმარი ფიჭვი, რომლის ფესვები ხატზე გადმოდიოდა. ზედ რამდენიმე თეთრი მიტკლის საკადრისი იყო. ხატი საშუალო ზომის სიპებითა იყო გადახურული.¹

სოფ. კოკლათის სალოცავი ხახმატის ჯვარი ჯავახეს მდებარეობს, სოფლიდან 200-300 მეტრის მოშორებით. ჯავახეს სამი სოფელი – კოკლათა, ვეძისხევი და ალისგორი

¹ Ibid, ბარდაველიძე, 89-91.

ლოცულობს. ჯავახე ადგილის სახელწოდებაა და სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ჯავახეს სალოცავებში ხევსურები გადმოდიოდნენ. ხახმატის ჯვარი 2320 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. იგი ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები დაბალი მილიონაა. ჩრდილო-დასავლეთ მხარეს სასანთლე შუკუმა აქვს, სადაც დამაგრებული იყო სანთლები და სამი საწირავი. თავზე ედო დიდი თეთრი ბროლის ქვა.¹

სოფ. ვერხოვანში ორი სალოცავია: კარატიონი და გიორგი ხახმატისა. ხახმატის წმინდა გიორგის ხატი სოფლის დასავლეთით ყორით გამაგრებულ შემადლებზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2118 მ-ზე. იგი წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაგებ ნიშს, მთავარი ფასადით სამხრ.-აღმოსავლეთისაკენ. ამ მხარეს დატანებული აქვს თალისებური ფორმის სასანთლე შუკუმა. მის წინ წყობიდან გამოსული სამი სიპი დახვდა ექსპედიციას. ორს თითო სადრო-შე ნახვრეტი ჰქონდა გაკეთებული. ამ სიპების წინ მთელ სიგრძეზე სქელი, ცალ მხარეს თეთრი ქვა იდო. მთავარი ფასადის და ჩრდილოეთის კედლის წყობაში ჩატანებული იყო ძველი ჯიხვის რქები.²

სოფ. გუდანთას სალოცავი, ხახმატის წმინდა გიორგი, წარმოადგენს მილიონას. აქ ხევსურები მოდიოდნენ სალოცავად. სოფ. გუდანთის სალოცავები იყო: სანება – სოფლის განაპირას ფერდობზე. სანება გუდანთის თავისა იყო გადახურული ქოხი შიგ „დაბრძანებული“ სამი დრო-შით. გვერდით ციხისთავი ედგა, რომელშიც ზარი ეკიდა. აქვე იდგა ორი მილიონა; სახეო – მთაში იყო.³ სოფ. ბიქიურთის სალოცავი იყო ისრიელის ხატი. გადმოცემით „წინა დროს ერთი მოისარი ყოფილა, ხატი თუ კაცი. ყოჩალი კი ყოფილა ეგ ანგელოზი თუ კაცი. მტერს ებრძოდაო, ნა-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 92, 94.

² Ibid, ბარდაველიძე, 96, 97.

³ Ibid, ბარდაველიძე, 98.

დირს ხოცავდაო. მაგის მშვილდი რომ დააწყებოდა თურმე, როგორც თოფს, ისეთი ხმა გაჰქონდა. ეს კაცი თუ ანგელოზი იმ დროს ყოფილა, ჩვენს მამა-პაპებს რომ უომიათ. ისრიელის ხატი სხვა ხატებსაც ებრძოდაო: ქაჯები რომ ყოფილან კიდევა, ეშმაკები და იმათაც ებრძოდაო. ნადირიც რომ უხოცია და მოისარიც რომ ყოფილა, ისრიელი უწოდებიათ.

იმ ადგილს, სადაც ისრიელის დროშა ინახებოდა, დარბაზი ეწოდებოდა. იქ კიდობანიც იდგა, სადაც ხატის განძი ინახებოდა.“ ხატს სოფელში ყანა ჰქონდა, რომლის მოსავალი დღესასწაულებს ხმარდებოდა. ნათეს გიორგობას ირჩევდნენ. გახაფხულზე ახალარჩეული ნათე ჯვარის ყანას მოხნავდა, მოსავალს აიღებდა და გალევავდა. ეს მოსავალი მხოლოდ ათენგენობას და გიორგობას ხმარდებოდა.¹

ისრიელის ხატიც წმ. გიორგის სალოცავი უნდა იყოს – ეს იყო მებრძოლი ხატი, მოისარი, რაც წმ. გიორგის გავრცელებული ეპითეტია, ქაჯებთან მებრძოლი (იხ. ხახმატის წმ. გიორგისთან დაკავშირებული გადმოცემები). ნათეს აქ გიორგობას ირჩევდნენ, ხატის მოსავალი კი გიორგობას და ათენგენობას ხმარდებოდა. ისრიელის ხატს სოფ. ვაკისძირიც ღოცულობდა, ბიჭურთასთან ერთად.

სოფ. დოჭუს სალოცავთა შორის იყო კოპალა ანუ წმ. გიორგი შავგვრემანი, ხახმატი, ხახა, სახეო წმ. გიორგი. სოფელში ჯვარის ყანები იყო. შუღტა და ნათე ხნავდნენ. მოსავალი დღეობებს ხმარდებოდა. დოჭუში მთავარი დღეობები ღამარობიდან იწყებოდა. ოთხშაბათობით დროშათ სადგომიდან (საქვებსა და კოპალას ხატს შუა, მთის აღმოსავლეთის კიდეზე, მშრალად ნაგები პატარა ნიში) გამოდიოდა დროშა, ხუთშაბათს მიდიოდა მარიამწმინდაში, პარასკევს ხახაში, შაბათს წმინდა გიორგიში, შემ-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 98-99.

დეგ დროშათ სადგომში ჩამოდიოდნენ, ღამეს ათევენენ და კვირას დაიშლებოდნენ.

სადროშე საქვაბესა და კოპალას ხატს შუა, მთის აღმოსავლეთის კიდეზე, მშრალად ნაგები პატარა ნიშია. აღმოსავლეთით აქვს სასანთლე შუკუმა. დასავლეთით, შუა წელზე, კედლიდან თხელი ფიქალი ქვა წყვილი მრგვალი ნაჩერტით – დროშის ტარის დასამაგრებლად. ნიშს თავზე ედო ხინჭრიკვა.

კოპალას ხატში ორი დროშა იყო დაბრძანებული. თოთოეულ მათგანს ტარზე ცალი წვერით მობმული ჰქონდა საწირები (საკადრისები), რომელთა დიდი ნაწილი თეთრი მიტკალი, სადა წითელი „ლენტი“ და ზოგიც ოთხკუთხა მოყვანილობის საკადრისი იყო, რომელსაც თეთრი ფონი და ჭრელი განიერი არშია ჰქონდა. ამას გარდა დროშაზე რამდენიმე ძველისძველი საკადრისი იყო. ორივე დროშის თავზე წამოცმული იყო შუბისწვერი და მის მახლობლად ტარზე დამაგრებული იყო პატარა ზარები.

სასანთლე-სადროშესა და კოპალას ხატს შუა ჩაღმრეპული ადგილია, რომელსაც დარბაზი ეწოდებოდა.

წმინდა გიორგი შავგერემანი ანუ კოპალა, მდებარეობს სოფლის თავზე, საქვაბიდან სამხრეთით. იგი წარმოადგენს მთის ფერდზე მშრალი წყობით ნაშენებ ოთხკუთხა ნაგებობას, ამიტომ ქვემო ნაწილი აღმოსავლეთის კედლისა უფრო განიერია და სამხრეთისაკენ მიწის პირს უსწორდება. ნაგებობის კედლის თავზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მრავალი ძველი ირმის რქა დახვდათ ექსპედიციის წევრებს. ჩრდილოეთის კედელზე მიყუდებული იყო ხე, რომელზეც ოდესღაც ჩამოკიდებული იყო ზარები. იმ დროს, როდესაც ვერა ბარდაველიძემ ნახა სალოცავი, მის თავზე ოთხი სხვადასხვა ზომის ზარი იყო დაწყობილი. ნაგებობაში მოთავსებული იყო ორი მდიდრულად გაწყობილი დროშა. ძველად ხატს სამხრეთის კედელში ჰქონდა შესასვლელი კარი. ეს კარი დაინგრა და

შესასვლელი ამოაშენეს. ამის შედეგად შენობას კარი აღარა აქვს და დროშები შენობაში შესანახად სახურავიდან ჩაჰქონდათ და ამოჰქონდათ სახურავზე დაფარებული დიდი ფიქალი ქვების მოხსნის გზით.

ხახმატის წმინდა გიორგის ნიში შუა სოფელში, პატარა შემადლებაზეა. ეს კონუსისებური შენობაა, მთავარი ფასადით დასავლეთის მხარეს. მთავარი ფასადის კედელში, დაბლა, დატანებულია საკმაოდ ღრმა სასანთლე შუკუმა, რომლის თავზე და ძირში წყობიდან გამოსული ვიწრო სადროშე სიპია ერთი ნახერეკით. შუკუმის თავზე ფასადის კედელი კონუსისებურადაა შედრმავეებული. ფასადის კედლის მარჯვენა მხარეს, ზემოთ, ოდნავ ჩაქცეულ წყობაში თეთრი პატარა ხინჭრიკვა იყო. სახურავი ბრტყელი სიპებით იყო გადახურული და ზედ ერთი დიდი ზომის ხინჭრიკვა და უამრავი ძველი, გამოფიტული ჯიხვის რქა ედო. სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან, ნაგებობის კედლების შუა ნაწილში პატარა შედრმავებანი (შუკუმები?) ჰქონდა დაყოლებული.

ხახა, რომელიც სოფლის თავზე აღმართულ მთის წვერზე მდებარეობს, ძველ დროს ციხეზე მდგარა. ამ ციხეში მაშინ ხატის ძვირფასეულს, ვერცხლეულს, თასგანძს ინახავდნენ. გვიან ხანში ციხე დაინგრა. ციხის ნაწილი ბარდაგელიძის ექსპედიციის დოსაც შეიმჩნეოდა.

სახეო წმ. გიორგი მადლა, მთის წვერზეა. იქ დგას მისი სალოცავი ნიში, რომელიც კარატეს მსგავსია. ძველად ეს ნიში შემკული იყო ჯიხვის რქებით.

საქვაბე მდებარეობს ზღვის დონიდან 2260 მ. სიმაღლეზე. საქვაბე შენობა ნაგებია ფიქალი ქვისაგან, მშრალად. საქვაბეს მთავარი ფასადი აქვს სამხრეთის მხარეს, სადაც დატანებული აქვს ფართო, ოთკუთხა ფორმის შესასვლელი. შესასვლელის მარცხენა და მარჯვენა მხარეს კედლებს დატანებული აქვს ღრმულები, თითო მხარეს

სამ-სამი, რომლებშიაც გაყრილი იყო ორი ხირხალი. შენობა გადახურული იყო ცალფერდად.

საქვებზე შიგნითა მხრიდან მოგრძო ოთხკუთხა ფორმისაა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები საფეხურებად მაღლდება ჩრდილოეთის მხრისკენ. ჩრდილოეთის მხარეს ნაგებობას კედელი არა აქვს ამოყვანილი. საქვებების სახურავი სამ ბოძს. აქვე, კლდეზე ამოყვანილია ფიქალი ქვის კედელი, რომელსაც ოთხკუთხედად გამოყვანილი დიდი ზომის შუკუმა აქვს. შუკუმის თავზე, კედლის წყობაში, დატანებულია გრძელი ძელი. მთხრობელის გამომოცემით შუკუმაში თასებს ინახავდნენ. დასავლეთის მხრის კედლების საფეხურზე დაწყობილი იყო შვიდი ხიდი. ხიდები ეყრდნობოდნენ ერთ, დიდი ზომის ხიდს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ერთი მხრიდან სამხრეთის მხრის კედლის თავს, ხოლო მეორე მხრიდან ჩრდილოეთის მხრის შუათანა ბოძს. ხიდებზე დაწყობილი იყო ყავრი, ყავრი კი დაფარებული იყო ბრტყელი ფიქალი ქვით.

საქვებზე შენობა შიგნით დედაბოძს ეყრდნობოდა. შენობის ჩრდილოეთის მხარეს გაკეთებული იყო ორი საცეცხლური, რომლებშიაც თითოში თითო ქვაბი იყო ჩასმული. საცეცხლურიდან ერთი – მარცხნივ, გაუქმებული ოყო, მეორეს კი ხმარობდნენ. იმ ქვაბს, რომელიც ხმარებაში ოყო, სამი ფიცარი ეფარა, ზემოდან გარდიგარდმო იდო ორი ჯოხი და დაფარებული იყო ბრტყელი ფიქალი ქვით. ქვაბების ტევადობა ასეთი იყო: ერთი შედარებით მცირე მოცულობის ქვაბი 50 თუნგის ტევადობის, მეორე – 60 თუნგის იყო. აღმოსავლეთის კედელთან ახლოს იდო ძველი ღახტბა, ანუ ნავი. აქვე იდო ორი ხის კოდი, რომელიც აღწერის მომენტში სავსე იყო ალუდით. კოდებს ეფარა ტომრები. აქვე, ერთ კოდზე აღმოჩნდა 1951 წელს გაკეთებული წარწერიანი თასი. ხის თასთან ერთად იყო ჯიხვის თასიც. აღმოსავლეთის მხრის კედელს დატანებული ჰქონდა მართკუთხა ფორმის შუკუმა, სადაც სპილენძის

თუნი, სპილენძის ავგარდენი (ხმარობენ ლუდის გადასაღებად, ფორმით წააგავს ტაფას) იდო. დასავლეთის მხრის კედელთან იდო ახალი ხის ნაღვი. ქსპედიციამ აქვე ნახა ორი სამჭირა, ამავე მხრის კედელში დატანებული ჰქონდა ორი ერთნაირი ზომის შუკუმა, ერთი უფრო მაღლა, მეორე უფრო ქვემოთ.¹

სოფ. გორგულთას ხატები იყო: ზედხახა, ქვედხახა, კარატი, ციხეთანა, ხახმატი.

ათენგობას დღეობა დაიწყოებოდა ორშაბათს კარატეში. სამშაბათს სანთელს დაანთებდნენ ციხეთანას, ოთხშაბათს – ზედხახას, მერე ხახმატში, ხუთშაბათს – ქვედხახას და პარასკევს ისევ კარატეში.

ხატს ჯვარის ყანა ჰქონდა. სოფლის ბოლოს იყო ყანები, რომლებსაც ჯვარის ყანებს ეძახდნენ.

სოფელში იყო ხატის ტყე, რომელსაც „ხახას ტყეს“ ეძახდნენ. ამ ტყიდან შეშის გამოტანა არ შეიძლებოდა, ხეს არ მოჭრიდნენ. რაც ყრია, მხოლოდ იმის აღება შეიძლება. შეშას ამ ტყიდან დღეობაში იყენებდნენ ალუდის მოსახარშად.

ზედხახა მდებარეობს ზღვის დონიდან 2415 მ. სიმაღლეზე, ს. გორგულთიდან დასავლეთის მხარეს, ე. წ. ხახას ტყეში, მაღალი მთის დავაკებაზე; იგი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელიც, უკვე იმ დროისთვის, თითქმის მთლად ჩაქცეული იყო. მთავარი ფასადი, სავარაუდოდ დასავლეთის მხარეს იყო.

შედარებით კარგად იყო შემორჩენილი ნაგებობის ჩრდილოეთის მხრის კედელი, რომელსაც მთავარი ფასადის მხარეს მიშენებული ჰქონდა პატარა სათავსოს მსგავსი შენობა, მთლიანად ჩაქცეული. ჩრდილოეთის მხრის კედელში ნაგებობას უნდა ჰქონოდა ორი სარკმელი. შენობის შიგნითა და გარეთა მხარე მოფენილი იყო ფიქალის ქვე-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 99 – 101.

ბითა და თეთრი ხინჭრიკებით. ზედხახას ნაგებობას თავზე დაჰქურებდნენ უზარმაზარი ფიჭვის ხეები. ერთ მათგანზე თეთრი საკადრისი იყო ჩამოკიდებული.

ქვედხახა მდებარეობს ზღვის დონიდან 20142 მ. სიმაღლეზე. ქვედხახა მდებარეობს ს. გოგერულთიდან დასავლეთის მხარეს. იგი წარმოადგენს ფიქალი ქვის დაბალ, ოთხკუთხა ფორმის ყორეს. ყორის დასავლეთის მხარეს მაღალ ფიჭვის ხეზე რკინის ჯაჭვით უზარმაზარი სპილენძის ზარი ეკიდა, ხოლო აღმოსავლეთით, ასევე ხეზე დამაგრებული იყო ორი თეთრი საკადრისი.

ხახას საქვაბე მდებარეობს სოფლის გარეთ, მისგან სამხრეთ – დასავლეთით, ხახმატის ჯვარიდან ერთი-ორი ნაბიჯის დაშორებით. შენობა ნაგებია მშრალად, ფიქალი ქვით. კარი სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში ჰქონდა. ამაზე მიუთითებს ამ კედლის გადარჩენილი ნაწილი. სამხრეთ-დასავლეთი კედლის ქვედა ნაწილი კლდეზეა ნაშენი, ასევე კლდეზე უსწორმასწორო ყორის კედელი იყო ნაგები ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მხოლოდ ამადლებული კლდე იყო, რომელზეც კედლის წყობა აღარა ჩანდა. საქვაბეს გადახურვა არა ჰქონდა, მაგრამ ორი შერჩენილი ხიდის მიხედვით და გადმოცემით, მას ჰქონია ცალფერდა გადახურვა. საქვაბეში გაწყობილი იყო ყორის ყვერფი, რომელშიც სპილენძის ფურცლებისგან შეკერილი ალუდის ქვაბი იყო. სამხრეთ – აღმოსავლეთისა და სამხრეთ – დასავლეთის კედლების კუთხეში ამ კედლების გასამაგრებელი სამი სიპი იყო. ქვედა სიპზე სპილენძის ერთი პატარა თასი იდო – გარედან სადა, ხოლო შიგნიდან ლამაზად მიჩუქურთმებული. იყო ბრინჯაოს მშვენიერი ზარი, რომელსაც გარედან არშიად ჰქონდა გამოყვანილი სახოვანი გეომეტრიული ორნამენტი, რომლის ქვემოთ გარედან ამობურცული ღარი იყო. თუნგის ცალ გვერდზე, გეომეტრიული ორნამენტის ზემოთ და ქვემოთ რგოლებში ამოტვიფრული

იყო აღმოსავლური წარწერა. ერთი მათგანი წაშლილი იყო, მეორეც ძნელად იკითხებოდა. აქვე კედელზე მიყუდებული იყო ხის დასარევი, გრძელ ჯოხზე მავთულით დამაგრებული დიდი რაოდენობის წვრილი ჩხირებით. კარის მახლობლად, სამხრეთ – აღმოსავლეთის კედელი შუკუმის მგავსად იყო ოდნავ ჩამორღვეული და შიგ შედგმული იყო უბრალო ზარაკი.

ხახმატის ჯვარი საქვაბიდან სამხრეთ-დასავლეთით, კლდეზე მდებარეობს. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის მილიონას. კლდე, რომელზედაც ეს მილიონა დგას, შემადღებულია და შემაგრებულია ყორით. ხახმატის ჯვარს მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს აქვს.¹

სოფ. საჩილოლოს სალოცავებია წმინდა გიორგის ხატი და ხახმატი.

გიორგი წმინდას ხატი სოფლიდან ჩრდ.-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 2390 მ.-ზეა და წარმოადგენს სიპერდებიან ნაგებობას. მის განიერ კვარცხლბეკზე სასანთლე შუკუმაა წყობის შიგნით შეწეული. ნიშის ზემო ნაწილი ნაშენებია სიპით, წყობა გამაგრებულია სილანარევი თიხით. სახურავი ბრტყელი სიპებითა იყო გადახურული. ნიშის აღმოსავლეთის ნაწილი მიწას ებჯინებოდა. ნიშის ჩრდილოეთით დიდი არყის ხე იდგა, რომლის ტოტები შემკული იყო თეთრი მიტკლის საკადრისებით. ხატის ჩრდილოეთით საქალებოა, გამაგრებული სიპებით აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ცოტა მაღლა კაცების საჯარეა, სადაც სიპები ორ-სამ პირად ეწყო.

ხახმატის წმ. გიორგი სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მთის ფერდობზე ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები პატარა მილიონა იყო. თავზე ეწყო 4

¹ Ibid, ბარდაველიძე, 104.

ბროლის ქვა და უამრავი ირმის რქა. ერთ-ერთ რქაზე შებ-
მული იყო თეთრი საკადრისი.¹

სოფ. ილიურთა გომეწრის ცენტრი იყო. აქ მთელი
გომეწარის და ივანაურთა იყრიდნენ თავს.

1960-იან წლებში ილიურთის ცენტრში წმ. გიორგის
სახელობის, 1870 წელს აგებული ეკლესია დახვდა
ექსპედიციას. ეკლესია ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებო-
ბაა, ნაშენები ფიქალით და თიხით, შელესილი და შეთეთ-
რებული გარედანაც და შიგნითაც. შენობის გეგმის გარე-
გან კვადრატში (6,9 X 6,9 მ.) ჩაწერილია ჯვარი. მისი
აღმოსავლეთი მკლავი, რომელიც დანარჩენ მკლავებთან
შედარებით ორჯერ უფრო დრმაა, ნახევარწრიული შვერი-
ლი აფსიდითაა დასრულებული. დანარჩენი მკლავები
სწორკუთხაა. გარედან აფსიდის გამონაშვერი შვიდწახნა-
გოვანია. დასავლეთის მკლავის დერძე განიერი და მაღა-
ლი თაღოვანი შესასვლელია. აფსიდში, სამხრეთის და
ჩრდილოეთის მკლავებში თითო თაღოვანი სარკმელია.
ჩრდილო და სამხრეთი სარკმლები აღმოსავლეთ სარკმელ-
თან შედარებით ორჯერ განიერია. საკურთხეველში ფიქ-
ლით ნაწყობი და შელესილი ტრაპეზი დგას. აფსიდის წინ

წყვილი პილასტრი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი
თაღია. შიგნით წრიული და გარედან რვაწახნაგა გუმბათი
ეყრდნობა მკლავების გადაკვეთაზე კედლის შვერილებს.
გუმბათის ყელში რვა სარკმელია. ეკლესიას დასავლეთით,
ჩრდილოეთით და სამხრეთით კარიბჭეები ეკვრის.²

ილიურთის სალოცავთა შორისაა ჯვარისკრის ხატი,
რომელიც ასევე წმინდა გიორგის სახელობისაა. იგი სოფ.
ილიურთის და სოფ. ბუხურთის საერთო სალოცავია. აქვეა
ჯვარისკარის ტყე.

ჯვარისკრის ხატი სოფლის დასავლეთით, მწვაქის
გორის ზემოთ მდებარეობს. ეს არის ფიქლით მშრალად

¹ Ibid, ბარდაველიძე, 105.

² Ibid, სძა, II, 95.

ნაშენები ოთხკუთხა ნაგებობა. მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა. ამავე მხარეს, კედლის შუა ნაწილში, მთელ სიღრმეზე დატანებულია სასანთლე შუკუმა, რომელშიც ეწყო ძველი ჯიხვის რქები. რქებზე თეთრი მიტკლის საწირავები იყო შებმული. ჯვარისკარის ხატს სიპი ქვით მშრალად ნაგები საქვაბე ჰქონდა.¹

ჯვარისკრის ხატი წვაქის გორის ზემოთ, სოფლის დასავლეთით მდებარეობს. იგი წარმოადგენს ფიქალით მშრალად ნაშენებ ოთხკუთხა ნაგებობას. მისი სამხრეთი ნაწილი მიწას ებჯინება. მთავარი ფასადი სამხრეთის მხარესაა. ამავე მხარეს, კედლის შუა ნაწილში მთელ სიღრმეზე დატანილია სასანთლე შუკუმა, რომელშიც იმუამად ძველი გამოფიტული ჯიხვის რქები ეწყო. რქებზე თეთრი მიტკლის საწირავები იყო.

ჯვარისკრის ხატის საქვაბე საფუარის ჩრდილოეთით მდებარეობს. მშრალად ნაგებია სიპი ქვისაგან, სახურავი ჩაქცეული იყო, მაგრამ კედლების მოყვანილობიდან ჩანდა, რომ ორფერდა იქნებოდა. მისი შესავალი კარი სამხრეთის მხარეზეა, შესავლის პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელზე აღმართული იყო კულა, ხოლო მის გვერდით კედელში პატარა ზომის ნიში იყო დატანებული. კულის ძირში სიპი ქვისაგან გამართული იყო თვით საქვაბე საცეცხლურით, რომელშიაც ჩაგდებული იყო პატარა ზომის სპილენძის ფურცლებისგან შეკერილი სალუდე ქვაბი, ქვაბზე სიპები იყო დალაგებული სახურავის ნაცვლად. სამხრეთის კედლის ძირში ორი პატარა ახლად გამართული საცეცხლური იყო. აღმოსავლეთის კედელში დიდი ცარიელი სივრცე იყო სარკმელივით დატანებული. აქედან ლუდის დუღებისას წყალს აწვდიდნენ თუნგით ქალები. შესავალ კართან კედელში ჩატანებულ ქვაზე გაკეთებული წარწერის მიხედვით ძველი საქვაბე სრულიად დანგრეული ყოფილა და მის ნაცვლად 1941 წელს ეს საქვაბე აუშენებიათ. საქვაბის

¹ Ibid, ბარდაველიძე, 111.

წინ მიწა მოსწორებული იყო და ზედ სიპების წყობა იყო გამართული. შუა სიპებისაგანვე ამალღებაა წარმოქმნილი.

სოფ. ბუხურთაში ერთი – ხახმატის წმინდა გიორგის სალოცავი იყო (ბუხურთის და ილიურთის საერთო სალოცავის – კარატის ჯვარის გარდა).

სოფ. ვესტმოს სალოცავები იყო ხახმატიონი, ჯვართანა და ხახას წმინდა გიორგი. წმინდა გიორგი (ხახა) ერთ ფიჭვის ხეს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, სოფლის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს მდებარე ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები ოთხკუთხა საქვაბეც გადმოცემით წმინდა გიორგის სახელობისა იყო და ხატად ითვლებოდა. საქვაბე ნაგები იყო ფიქალი ქვისაგან მშრალად და გეგმაში ოთხკუთხა ფორმის იყო. სახურავი ჩაქცეული ჰქონდა. სავარაუდოდ გადახურვა ცალფერდა ექნებოდა.

ამას ვერა ბარდაველიძეს აფიქრებინებდა ის, რომ ჩრდილოეთის მხრის კედელი, რომელიც კლდეში იყო ამოშენებული და სხვა კედლებთან შედარებით უფრო კარგად იყო შემორჩენილი, უფრო მაღალი იყო, ვიდრე სამხრეთის მხრის კედელი.

საქვაბის ყოველი კედლის წყობაში როგორც გარეთა, ისე შიგნითა მხრიდან, დატანებული იყო უამრავი თეთრი ბროლის ქვა. გარეთა მხრიდან სამხრეთის კედელთან ფიქალი ქვების ნაყარი ალბათ საჯდომად იხმარებოდა.

საქვაბე ნაგებობას მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს ჰქონდა, სადაც დატანებული იყო კარგა მოზრდილი შესასვლელი. შესასვლელის ორივე მხარეს, მარცხნივ და მარჯვნივ, კედელში სამ – სამი ღრმული იყო, რომლებშიც ალბათ ხირხალებს უყრიდნენ. დაბლა, შესასვლელის ზღუბლად დაგებული იყო ბრტყელი და დიდი ფიქალის ქვა, რომელიც სამხრეთის კედლის წყობაშია დატანებული. შესასვლელის მარცხნივ კედელში გარტობილი იყო ჯოხი.

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრის კედლის კუთხეში გამართული იყო საცეცხლური, რომელიც ფიქალი ქვით იყო ნაგები მშრალად. საცეცხლურში ჩადგმული იყო სალუდე ქვაბი, რომელსაც ზემოდან დაფარებული ჰქონდა ბრტყელი ფიქალი ქვა. საცეცხლურთან ახლოს, აღმოსავლეთის მხრის კედელთან გამართული კერა იყო ფიქალი ქვებისგან. საცეცხლურის თავზე, ჩრდილოეთის მხრის კედელში გარჭობილი იყო გათლილი ჯოხი ზედ თეთრი საკადრისით. დროშის ქვემოთ კედლის წყობაში დატანილი იყო სამი თეთრი ბროლის ქვა: ორი დიდი, ერთი კი პატარა. თეთრი ბროლის ქვა იდო აგრეთვე საცეცხლურზედაც, სალუდე ქვაბის მარცხნივ. აღმოსავლეთის მხრის კედელში, დაახლოებით შუა ნაწილში, დატანებული იყო სარკმელი, ხოლო დასავლეთის მხრის კედელში ორი ოთხკუთხა ფორმის შუკუმაა. ერთ მათგანში იდო ხის ლიტრიანი და სამჭირა. ამავე მხარეს კედლის მთელ სიგრძეზე, მის გასწვრივ, გადადებული იყო ხიდი, რომელიც ერთი ბოლოთი სამხრეთის მხრის კედელს ეყრდნობა, მეორე ბოლოთი კი ჩრდილოეთის კედლის წყობაში იყო ჩასული. ხიდზე ორი ჯაჭვი იყო ჩამოკიდებული (შემოსვეული). მათზე აღუდის გასაწურ ტომრებს ჰკიდებდნენ. საქვაბე შენობაში არ იყო ნავი (ლახტა), მაგრამ ივარაუდება, რომ იგი სწორედ ამ ხიდის ქვეშ უნდა მდგარიყო.

მთხრობელთა გადმოცემით საქვაბე წმინდა გიორგის სახელობის იყო და ნაგებობა ხატად ითვლებოდა.

ჯვართანას (დედა მარიამწმინდის) და წმინდა გიორგის (ხახას) დღეობა ერთად იყო. მკათათვის ცამეტში ათენგენობა იყო. მიდიოდნენ ჯერ ჯვართანას, შემდეგ ხახაში. მეორე დღეს კი სახახმატოში.

ხახმატის წმინდა გიორგის ნიში ვესტმოს ჩრდილო-დასავლეთი მთის ფერდზე, ზღვის დონიდან 2335 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და ფიქალი ქვითაა მშრალად ნაგები. მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. ამავე მხა-

რეს ნიშს დატანებული აქვს პატარა ოთხკუთხედი სასან-
თლე შუკუმა. მის თავზე წყობაში ორ ფენად ჩატანებული
იყო ხინჭრიკვები. ნიშის თავზე იღო დიდი, ბრტყელი სიპი,
რომელიც ამაგრებდა ჯოსს თეთრი საწირავებით. ნიშს
ჩრდილო-დასავლეთის მხარეს აგრეთვე შუკუმა აქვს დატა-
ნებული. ნიშის დასავლეთით დავაკებაზე სიპებით მოფენი-
ლი საჯარე იყო.¹

წოგათას სოფლების მოზართას და ინდურთას სალო-
ცავია წმინდა გიორგის ხატი, რომელიც მდებარეობს სანე-
ბის მთის წვერზე და წარმოადგენს ფიქალი ქვისაგან
მშრალად ნაგებ მრგვალი ფორმის მილიონას, რომელიც
ზევითკენ ვიწროვდება. წყობაში შიგადაშიგ ჩატანებული
ჰქონდა ხინჭრიკვები. თავზე დიდი ბრტყელი ფიქალი ქვა
ედო, რომელსაც თავის მხრივ საშუალო ზომის ხინჭრიკვა
ედო.²

როგორც ვხედავთ, წმინდა გიორგის სალოცავებთან
დაკავშირებული ვითარება თუშეთშიც აღმოსავლეთ საქარ-
თველოს მთიანეთის სხვა რეგიონების ანალოგიურია. აქაც
ცენტრალური სალოცავი წმინდა გიორგის სახელობისაა,
გარდა ამისა არსებობს მისი სახელობის არა ერთი სალო-
ცავი, ნიში და ეკლესია. აქვე განსაკუთრებით უნდა აღი-
ნიშნოს ის ფაქტი, რომ თუშეთში დიდი მნიშვნელობა ენი-
ჭებათ ხევსურულ ხატებს. ხევსურთა ხატები თუშებს ძლი-
ერ სწამდათ და მათ დეკანოზებსაც გავლენა ჰქონდათ.
განსაკუთრებით სწამდათ კარატისა და ხახმატის ჯვარი.
ამ ხატებს თუშეთში თავიანთი სალოცავი ნიშები ჰქონ-
დათ. ათენგენობას თუშეთში კარატიონი და ხახმატიონი
დეკანოზები გადმოდიოდნენ, თავიანთი ხატის ნიშთან დგე-
ბოდნენ და ხალხს ამწყალობებდნენ. ხახმატის ჯვარის
ჯვარიონი „გიორგი ნაღვარ მშვენიერის“ ბორაყის წინამ-
ძღოლობით თუშეთში მიემგზავრებოდა და იქ ხახმატის

¹ Ibid, ბარდაველიძე, 112-114.

² Ibid, ბარდაველიძე, 119.

სახელობის ნიშ-სალოცავებს მოილოცავდა იმავე წესით, როგორც კარატის ჯვარის ჯვარიონი.

ვინაიდან კარატისა და ხახმატის ჯვრების ნიშები თუშეთში მრავლად იყო, ამ ჯვრების პროცესია თითქმის მთელ თუშეთს მოივლიდა ხოლმე.¹ ხეგსურები და თუშები ერთმანეთს ბიძაშვილებად თვლიდნენ და შეხვედრისას ერთმანეთს „გამარჯობა ბიძაშვილო“-თი ესალმებოდნენ. ომისა და ლაშქრობის დროს კი თუშები ხახმატის წმინდა გიორგის ხატის დეკანოზებს იწვევდნენ, რომლებიც ლაშქარს წინ მიუძღოდნენ.²

ამჯერად, გვინდა გუდამაყრის წმინდა გიორგის სალოცავებს შევეხოთ და სანიმუშოდ რამდენიმე მათგანი მიმოვიხილოთ.

თავის ნაშრომში, სადაც მთიულეთ-გუდამაყრის საკულტო ძეგლებია აღწერილი, სერგი მაკალათია აღნიშნავდა, რომ აქ ყველაზე გავრცელებული წმინდა გიორგის თაყვანისცემაა, ხატების უმრავლესობა ამ წმინდანის სახელს ატარებს და მას უპირველესი ადგილი უკავია მოსახლეობის რწმენაში.³

გუდამაყრის სალოცავთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პირიმზე ფუძის ანგელოზი სოფ. ჩოხში, ზეგარდის წმ. გიორგი სოფ. დუმაცხოში და ჩოხის წმ. გიორგი.

პირიმზე ფუძის ანგელოზი მთელი გუდამაყრის საერთო სალოცავია. იგი მდებარეობს სოფ. ჩოხში, ფერდობზე, იქ, სადაც ბოსლისა და ბურსაჭირის წყლები ერთდებიან. ეს არის ქვითკირის პატარა ეკლესია, სიბი ქვით გადახურული, რომელსაც ზედ ქვის ჯვარი აქვს. მას აკრავს ტყე.

¹ ვერა ბარდაველიძე, ბარბალ დოლაში, „ენიმკის“ მოამბე, V-VI(1940), 561.

² Ibid, მაკალათია, 218-219.

³ Ibid, მაკალათია, მთიულეთი.

თვით პირიმზის ხატი ვერცხლით მოჭედილი ჯვარია და ზედ წმინდა გიორგია გამოსახული მხედრული წარწერით:

1. ქ. ეს. ბექაურ. წიკლაურების. წმინდის. გიორგის. პირი. მზის.

2. ბოვრაცაის. თავი. მე. იასონ. ერისთვის. შვილმა. სახლთხუცესამ.

3. თეიმურაზი: გაგაკეთე: სამწყალობლათ: ჩვენთათვის ქკ სტუვ. (1707 წ.); წარწერაში მოხსენიებული თეიმურაზი შემდგომ არაგვის ერისთავად იყო (1724-1735 წწ.). ეს ხატი ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესიაში ინახებოდა.

შერგი მაკალათიას თქმით, ეკლესიის გალავანი და მესრებზე გადებული ჭოლოკი სავსე იყო ზარებით, ზანზალაკებით, ხატის უღლებით და სხვა შარნებით. აქვე იყო შარნებით შემკული ირმის რქები. ხატის მახლობლად სალუდე იყო, სადაც მოთავსებული იყო ორი დიდი სპილენძის სალუდე ქვაბი. გვერდით კი საბერო, სადაც დეკანოზები წმინდობდნენ. აქვე იყო მესხატეებისათვის ღამის სათევი ბინა.

ადგილობრივთა სიტყვით, „წინათ დევ-კერპობა ყოფილა. ფუძის ანგელოზი ცეცხლითა და ხმლით ეხმარებოდა ხალხსა. ხმაღშაბმული ვერ შევალთ ფუძის ანგელოზში, იმიტომ რომ ის თავად ხმლიანია.“ ხატი იწყენდა იმასაც, თუ მგზავრი ცხენით მის მახლობლად გაივლიდა. ყველაფერზე შველის, სნეულზე, ავადმყოფობას.¹

თუ გავითვალისწინებთ პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატზე არსებულ წარწერას, სადაც მოიხსენიება „წმინდის გიორგის პირიმზის ბოვრაცი“, აგრეთვე დეკანოზის დამწყალობებისას მის მიერ მოხსენიებული „ხელმწიფე წმ. გიორგი პირიმზე ახალციხისა“ (ან „პირიმზე ახალციხით მობრძანებული“), შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გუდამაყრის

¹ ვერა ბარდაველიძე, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, 1945 წლის საექსპედიციო მასალები.

ეს საერთო სალოცავი წმ. გიორგის სახელობისაა. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ხატის მთავარი დღეობა მარიამობისთვის ბოლოს მოდის. შესაძლებელია აქ ისეთივე მოვლენასთან გვექონდეს საქმე, როგორც, მაგალითად, ლაშარის წმ. გიორგისა და თამარ აქიმ დედუფალის, ან ხახმატის წმ. გიორგისა და სამძიმარის თავჯანისცემის შემთხვევაში.

ჩოხის წმ. გიორგის ხატი გუდამაყარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სალოცავია. ესაა ქვაკირით ნაგები და თუნუქით გადახურული პატარა ბაზილიკა, დასავლეთის კედელთან ხის ხარაჩოებისაგან შექმნილი სამრეკლოთი და ორი ზარით. როგორც 1967 წელს ხატის დეკანოზი ამბობდა, ამ საყდრის საფუძვლები ძველია, მისი პატარაობისას საყდრის კედლები შეაკეთეს და გადახურეს. საყდარში საეკლესიო დაუთრები ინახებოდა. საყდრიდან რამდენიმე ნაბიჯზე ჩრდილოეთის მიმართულებით მიწაში ჩასმულია ჭოლოკი, რომლის კაპებზე ჩამოკიდებულია უამრავი პატარა ზარი. თუმცა ამ ჭოლოკთან „საკურატეა“, მაგრამ დეკანოზი საკლავებს საბეროს გვერდით კლავდა, რომელიც ჭოლოკიდან 5-6 ნაბიჯის დაშორებითაა. საკურატედან ჩრდილოეთით და საბეროდან აღმოსავლეთით (მათ შორის) პატარა ბორცვია, რომელშიც ჩასმულია „სამნები“. ბორცვს ზემოთ ჩრდილოეთისკენ კვლავ ჭოლოკია, პირველზე გაცილებით დიდი და ორკაპა. ესაა მოზრდილი ორად გაყოფილი ხე, მადლა სწორად აზრდილი და კაპებიანი. მის წვერზე დამაგრებულია ირმის რქა და კაპებზე ჩამოკიდებულია უამრავი ზარი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. ქვემო კაპებზე ორი დიდი ზარია, დანარჩენი ზარებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მწვანე პატინით დაფარული ბრინჯაოს სადა, მაგრამ მეტად საყურადღებო მოყვანილობის ზარი. ამ ჭოლოკთან დეკანოზები და წმინდა კაცებიც კი ვერ მიდიან ახლოს, იმდენად საკრძადავ ადგილად არის მიჩნეული. ჭოლოკის გვერდით ყორით ნაგები

მოგრძო ოთხკუთხა ფორმის ბეკია, რომელზეც აღმართულია ქვის ჯვარი. ბორცვიდან რამდენიმე ნაბიჯზე აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარეობს ე.წ. „იასაულთი“-ორი პატარა ლოდი, რომელთაგან ერთზე, როგორც მიუთითებენ, დევის ხელის ანაბეჭდია: ოთხი თითისა – მომრგვალო ჩაღრმავებანი და ერთიც თითქოს ხელის ნების მოყვანილობისა. გადმოცემით, ჩოხის წმ. გიორგის სამი დევი ჰყავს იასაულებად. ეს დევები მას ქაჯავეთიდან მოუხხამს. სხვა ვარიანტით, წმ. გიორგი ადრე დევეკერპებს ებრძოდა. იმ ხანაში ერთმა დევემა წმ. გიორგის კარის წინ ეს ორი ლოდი დადგა და ჩოხის წმ. გიორგის ვალად დაადო დევეებისთვის თიკანი შეეწირა ხოლმე. მას შემდეგ მლოცველები მოდიან და „დევის ქვებთან“ ამ დევეების ანუ ჩოხის წმ. გიორგის იასაულთა სახელზე თიკნებს კლავენ (1945 წელს ვერა ბარდაველიძემ ნახა ბავშვები, რომლებსაც მოყვანილი ჰყავდათ შესაწირად ბატკანი და თიკანი: ბატკანი წმ. გიორგის სახელზე, თიკანი კი მისი იასაულებისათვის დასაკლავად აღნიშნულ ლოდებთან). ბორცვიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით აღმოსავლეთისაკენ აგებულია ერთმანეთის გვერდით საბერო და საქვაბე – ყორით ნაგები დაბალი ბანიანი შენობები.¹

ჩოხის წმინდა გიორგი ჩოხელების სალოცავია. ჩოხელების თქმით, ისინი ჩოხის წმ. გიორგის „მესამე ყმები“ არიან. პირველი ყმები თათრები იყვნენ, მეორენი „განაყარიათი“, რომელნიც აზნაურები იყვნენ და რომელთა ნასახლარიც ჩოხის წმ. გიორგის ხატში ჩანს, მესამენი კი ჩოხელები არიან. გადმოცემით წმ. გიორგი ხორციელი იყო, თათარი. პირველი მისი ყმებიც თათრები იყვნენ. წმ. გიორგი კი, თურმე, მაშინ თათრებს უქადაგებდა და ასწავლიდა როგორ უნდა ეცხოვრათ. ამისათვის იგი დაიჭირეს, ურმის თვალს მიაბეს და მაღალი მთიდან დააგორეს. წმ. გიორგი მაშინ 363 ნაწილად დაიშალა და სადაც მისი ნა-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 1945.

წილი დაეცა, იქ წმ. გიორგის ხატი გაჩნდა. ჩოხის წმ. გიორგიც მისი ერთ-ერთი ნაწილთაგანია, ისევე როგორც გუდამაყრის სხვა ხატები. ჩოხის წმ. გიორგის ხატში მისი ენაა, ამიტომ „ჩოხის წმ. გიორგი ენას მისდევს. თუ დასწყველა ვინმე, ის აღარ იხეირებს. ჩოხელმა რომ ვინმეს ქალი სთხოვოს და არ მისცენ, ის ქალი ვეღარ გაიხარებს – დაცდილი აქვს ხალხს. დასწყველიან ჩოხელები და მორჩა.“¹

მაჩაგნის ჯვარიც წმ. გიორგის ნაწილად ითვლება. აქ მისი გულია – „მაჩაგნის ხატმა თუ გული გაიფუჭა, არც ქადაგთან მიდის. ოჯახს მთლიანად ამოწყვიტავს.“²

მაჩაგნის ჯვარს კიტოხში და მაქართაში ღოცულობენ.

მაქართაში მაჩაგნის წმ. გიორგის ეკლესია ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მაქართიდან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, მაღალი მთის დავაკეზაზე. ესაა ქვითკირით ნაგები, გეგმაში მართკუთხედის ფორმის პატარა შენობა. მთავარი ფასადით მიმართულია სამხრეთისაკენ, საითაც დატანებული აქვს ოთხკუთხი ფორმის დაბალი შესასვლელი ხის კარით. შესასვლელის თავზე, კედლის წყობაში ჩატანებულია დიდი ქვა, ქვემოთ, ზღურბლად კი ფიქალი ქვა აქვს დადებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ცენტრისკენ აწვერილია. შენობის სახურავი ორფერდაა. სახურავის ფერდები დაქანებულია: ერთი სამხრეთისაკენ, მეორე კი ჩრდილოეთის მხრისკენ. შიგნით, აღმოსავლეთის მხარის კედელში, ნაგებობას დატანებული აქვს პატარა ვიწრო სარკმელი, სამკუთხა ფორმის. გარეთა მხრისკენ სარკმელი ვიწროვდება, შიგნით კი ფართოვდება და ხუთ საფეხურად ეშვება. ასეთივე სარკმელი ნაგებობას აქვს დასავლეთის მხარესაც, მხოლოდ უფრო ვიწრო. სარკმელის ქვემოთ გრძელი ქვის

¹ Ibid.

² Ibid.

დასაჯდომია გაკეთებული. სარკმლის ქვემოთ კედელთან მიშენებულია ხის საკურთხეველი, რომელსაც გარშემო ცემენტის სქელი ფენა ჰქონია წასმული. ეს ფენა სანახევროდ ჩამონგრეულია. საკურთხეველიდან მარცხნივ, ქვისა და ცემენტისაგან ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველის მსგავსი ნაგებობაა. ორფერდა ჭერი, რომელიც გაღესილი ყოფილა ცემენტითა თუ გაჯით, ჩამონგრეულია და თავისა და მასზე პერპენდიკულარულად დამაგრებული ფიცრების ნაწილი მოჩანს.

ეკლესიიდან ჩრდილოეთის მხარეს მიწაში ვერტიკალურად დამაგრებულია გრძელი, დაახლოებით 1,5 მ. სიმაღლის, ბოლოში შუბის წვერის მსგავსი მოყვანილობის ქვა. მასზე ჩამოცმულია ძელი, რომელზეც ჰკიდია ორი დიდი, სამი საშუალო და სამი პატარა ზარი. ზარებზე წარწერებია ამოკაწრული. დიდ ზარზე წარწერაა: „შევსწირეთ ოჯახობის სადღეგრძელოთ მაჩაგნის წმ. გიორგის მერე-ბაშვილებმა 1911 წ. 12.1/2.“ მეორე ზარზე კი შემდეგი წარწერაა: „შევ.წმი.გიორგის. ისაკამ და ბასილამ წიკლაურებმა 1909 წ.“ მესამე ზარზე წარწერაა: „ქ. შევწირე მაქართელს წმინდა გიორგის მე ანდრია წიკლაურმა ბიასლამიშვილმა ჩვენი ოჯახის სამწყალობლოთ წელსა 1879.“¹

გადმოცემით მაჩაგანი წინათ დევეების ხელში იყო. როცა მაჩაგნის ჯვარი ჩამობრძანდა, მაშინ მას დევეებთან ბრძოლა დაუწყო. ამ დროს არის ცხრათავიანი დევი დაბმული. ეს დევი მან თავის იასაულად გაიხადა.²

სოფ. დუმაცხოს სალოცავთა შორისაა დუმაცხოს წმინდა გიორგი (აფციაურების სალოცავი). იგი მდებარეობს მადლა, სოფლის უკან. აქ არის დარბაზი, საქვაბე, საზარე და საჯარე – მინდორი.

¹ ვერ ბარდაველიძე, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, 1967 წლის საექსპედიციო მასალები.

² Ibid, 1945.

მასთან ახლოს მდებარეობს ზეგარდის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც წინ საჯარე აქვს, სადაც ხალხი იკრიბება.

დუმაცხოს წმ. გიორგის სახნავი მამული ჰქონდა, რომელსაც დასტურები ხნავდნენ. ხარებს სოფელი გამოიყვანდა, დასტურები მოხნავდნენ, დათესავდნენ, სოფელი მოშვიდა. წმ. გიორგის სათიბი ჰქონდა, აგრეთვე ტყე. ტყიდან ხმელს გამოიყენებდნენ ხატობაზე, სხვა შემთხვევაში არ შეიძლებოდა. თუ საზარე ან სხვა რამ ხატისა ჩამოიქცეოდა, მხოლოდ მაშინ მოსჭრიდნენ.

ძირითადი დღეობები, რომლებსაც სოფელში აღნიშნავდნენ, იყო ზეგარდობა, გიორგობა, სამხთომადლობა, წვერობა, ამადლება.

მთხრობლის სიტყვით, „დუმაცხოს ხატები ამ წმინდა გიორგის განაყრებია.. მაგათ დედაბოძი ეს წმინდა გიორგია.“

ზეგარდის წმ. გიორგი დუმაცხოს სალოცავია. ამავე სოფლის სალოცავია დუმაცხოს საღმრთო, რომელიც მაღლა მთის წვერზეა. ადგილობრივთა სიტყვით „ეხლა დუმაცხოს საღმრთო ზეგარდის წმ. გიორგიშია, ეგ ორივე ერთია.“ ამ ორივე სალოცავში ათნოხელებიც ღოცულობენ, რადგან ამ ორივე სოფელში ორი ძმის შთამომავლები ცხოვრობენ და სალოცავიც ერთი ჰქონდათ.¹

დუმაცხოს წმინდა გიორგის ნიში მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კმ-ზე. იგი შუა საუკუნეების ძეგლია. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ძლიერ დაზიანებულია, ჩამოშლილია გადახურვა. კედლები შემორჩენილია 1,3-1,6 მ. სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნაგებობა უაფსიდოა, აღმოსავლეთ კედელში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.²

¹ Ibid, ბარდაველიძე, 1967.

² Ibid, სძა, II, 246.

დუმაცხოს ზეგარდის წმ. გიორგის ნიშის საქვაბე აშენებულია შუა საუკუნეების ნასოფლარის ტერიტორიაზე, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 მ-ზე. ნაგებობათა ნაშთები განლაგებულია ტერასებად. კედლები ნაგებია ლოდებით, მშრალად. შემორჩენილია ერთი მოზრდილი დარბაზისა და ზურგიანი კოშკის ნაშთი.¹

დუმაცხოს ზეგარდის წმ. გიორგის ხატი ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავია გუდამაყარში, ჩოხში პირიმიზე ფუძის ანგელოზთან ერთად. ზეგარდობას განსაკუთრებით აფციაურები დღესასწაულობენ, რადგან ეს მათი საგვარეულო ხატია. ზეგარდობას (5-10 აგვისტო) დეკანოზები სათემო ხატსა და დროშას დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ და „სამღვთო მაღალის“ წვერზე ავლენ. წინ მეზარეები მიუძღვით, რომლებიც ორფუთიან ზარებს მხრებით ეზიდებიან. მეზარე ბიჭები ამას ნებაყოფლობით ასრულებენ იმ რწმენით, რომ ხატი მათი მწყალობელი იქნება იმ წელიწადს. მეზარეებმა მხრების შეუცვლელად და ზარების განუწყვეტელი რეკით ეს ზარები მაღალ წვერზე უნდა აიტანონ. სამღვთო მაღალზე დეკანოზები ორი დღე-ღამე რჩებიან, ლოცულობენ და შემდეგ ზარების რეკით და სიმღერა-ფერხულით ისევ დუმაცხოს ეკლესიაში ჩამოვლენ. ახლა იმავე წესით ზეგარდის მეორე „ათნოხის წვერზე“ ავლენ, სადაც ზეგარდის ხატის ნიშია. აქ ღამეს ათენებენ და უკანვე ბრუნდებიან. ამის შემდეგ ხატებს დროშებით და ზარებით დუმაცხოს ეკლესიიდან უკანასკნელად გამოასვენებენ, რომლის წინ მღვდელი პარაკლისს გადაიხდის და ისევ ზეგარდის სამღვთო მაღალის წვერზე ავლენ. მლოცავიც თავს აქ იყრის. დეკანოზი საკლავებს ხოცავს და მლოცავებს ამწყალობებს. ზეგარდობას ჩხუბი და აყალმაყალი ყველას ეკრძალებოდა – ხატი იწყენსო. ვინც ამას დაარღვევს და აქ ჩხუბს გამართავს, მას „ჯურუმში“ ქამარ-ხანჯალს ან ქუდს ართმევენ

¹ Ibid.

და სანამ ჯარიმას არ გადაიხდის, უკან არ უბრუნებენ. ჯარიმა ხატის „საკადრისის“ განახლებას ხმარდება (დროშის განახლება, ქვაბების მოკალვა და სხვ.). ზეგარდის წვერზე ხატის ნიშის მახლობლად ერთი დიდი ლოდია. ხატის წამობრძანების წინ პარასკევს ამ ლოდს გადააბრუნებენ და მის ქვეშ დატანებულ ფულებს ხატის სასარგებლოდ დეკანოზი აკრევს. შემდეგ დეკანოზი ამ ადგილს დროშის წვერით ჯვარულად ღარავს და ვინც უშვილოა, ან ვისაც ვაჟი არ ებადება, ის დროშის ამ კვალში თეთრ ფულს ჩაყრის, რომელსაც დეკანოზი ასე დაამწყალობნებს: „ზეგარდის წმ. გიორგი, გაანაწილიანე (იტყვის მლოცავის სახელს), მიეცი მას შვილი, თუ უვაჟოა, ვაჟით გაანაწილიანე“ და სხვ. დასტურები ზარებს რეკენ და ხალხიც ამინს შეეწევა. დასასრულ, ლოდს ისევ იქ დადებენ. ზეგარდობას ყველა საკლავი ერთ ქვაბში იხარშება და აფციაურები მზარეულობენ.¹

ღაცხევში (დუმაცხოს ადგილი), რომელიც სოფ. დიდებანის საძოვრებს წარმოადგენდა, მღებარეობს რეტის წმინდა გიორგის ნიში. ცხვარი თუ გარეტიანდა, მეცხვარეები წაიღებენ სანთელს და რეტის წმ. გიორგის ევედრებიან. აქ მოდიან მხოლოდ ის მეცხვარეები, რომელთა ცხვარი ღაცხევის საძოვრებით სარგებლობს, ე.ი. დუმაცხოს და დიდებანის მეცხვარეები. როდესაც მათ ცხვარი საძოვრებზე მიჰყავთ და როდესაც უკან ბრუნდებიან, გზა რეტის წმ. გიორგის ნიშთან უდევთ. ავლისას და ჩამოვლისას მეცხვარეები რეტის წმ. გიორგის ნიშთან სანთელს დაანთებენ და შეევედრებიან: ჩემს ცხვარს რეტი ააცილეო.²

სოფ. დიდებანის სალოცავია საბურთველოს წმ. გიორგი//ადგილის დედა – ნიში და საქვაბე და უკვე ნახსენები რეტის წმ. გიორგის ნიში (ღაცხევში). საბურთველოს მინდორი სათემო ადგილია, სადაც იღვა ნიში და საქვაბე

¹ Ibid, მაკალათია.

² Ibid, ბარდაველიძე, 1945.

წმინდა გიორგისა, რომელიც თავის თემს – გუდამაყრელებს სწეულებისაგან იცავდა.¹

სოფ. ათნოსში რამდენიმე სალოცავია, მათ შორის წმ. გიორგის ხატი, სადაც გიორგობას აღნიშნავენ. ეს ხატი სოფლის თავს მდებარეობს, სოფ. ათნოხიდან დასავლეთის მხარეს, მაღალი მთის დაფერდებაზე, წიფლისა და ნეკერჩხლის ტყეში. ხატს პატარა მოედანი აქვს. 1967 წლისათვის ეს იყო ფიქალი ქვის ნახევრად დანგრეული ყორე.²

ბაკურხევის ორი სალოცავიდან ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატია. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1935 მ-ზე, სოფ. გორულიდან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. აქ არის ფიქალი და უბრალო ქვისაგან მშრალად ნაგები, გეგმაში ოთხკუთხი ფორმის საკმაოდ მოზრდილი საქვაბე შენობა. სამი კედელი საქვაბისა, გარდა სამხრეთ-დასავლეთის მხარის კედლისა, მთლიანად მიწაშია ამოყვანილი და მათი თავი მიწის ზედაპირს უსწორდება. საქვაბის სახურავი სანახევროდ ჩაქცეულია, მაგრამ შემორჩენილი ნაწილიდანაც აშკარაა, რომ ნაგებობა ცალფერდად ყოფილა გადახურული. სახურავი დაქანებული ყოფილა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. შენობის შუა ნაწილიდან ამ მიმართულებით 1967 წელს გადებული იყო ხეები და ზედ ფიქალი ქვები ეწყო. მთავარი ფასადით ნაგებობა მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, საითაც დატანებული აქვს ძალიან მაღალი შესასვლელი და მის მარცხნივ სარკმელი. შესასვლელისა და სარკმლის ზემოთა (თავეები) ღიაა, არაა ამოყვანილი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის კედლის მთელ სიგრძეზე გადებული ხე ჰეკტავს. სარკმელში დევს 7 სპილენძის ფეხიანი თასი, 2 ალუმიინის და ერთი სპილენძის სახელურიანი თასი. შესასვლელის წინ გაკეთებულია ქვის კერა. საქვაბის შიგნით, სარკმლის ქვემოთ გაკეთებულია საცეცხლური, ასევე ფიქალი ქვისა-

¹ Ibid, ბარდაველიძე, 1967.

² Ibid.

გან. საცეცხლურთან დევს უზარმაზარი, სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი ქვაბი. საცეცხლურის ზემოთ ქვაბის ჩამოსაკიდებელი მავთულია დამაგრებული ბოძზე, რომელიც ერთი ბოლოთი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის კედლის წყობაშია შესული, მეორე ბოლოთი კი ჩრდილო-დასავლეთის მხარის კედლის თავს ეყრდნობა. საცეცხლურის თავზე, კედელში უფორმო შუკუშია გამოჭრილი, რომელშიც სამი სპილენძის თასი დევს. ჩრდილო-დასავლეთის მხარის კედელზე ჩამოკიდებულია რქის ყანწი, რომელსაც თევზის კუდის ფორმის ლითონის ბოლო აქვს. ამავე კედლის თავზე დევს ერთმანეთში ჩაწყობილი ორი სპილენძის თასი. საქვაბის იატაკი სახურავიდან ჩამოშლილი ფიქალი ქვითაა მოფენილი. საქვაბისაგან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს სამი ერთად ამოსული მიტყუპებული ხეა, რომელთა ძირში, დაბლა ტოტზე ჩამობმულია დიდი ზომის სპილენძის ზარი ზედ თეთრი მიტკლის ნაჭრებით.¹

სოფ. თორელანიდან ბაკურხევისკენ მიმავალ გზაზე, თორელანიდან დაახლოებით 2,5 კმ-ზე, მდებარეობს ფუძის ანგელოზის ნიში, მისგან მარჯვნივ, რამოდენიმე ნაბიჯის დაშორებით კი ხახმატის მგზავრი წმ. გიორგის ნიშია, გუდამაყრელთა საერთო სალოცავი. იგი დაბალი, ოთხკუთხი ფორმის, ფიქალისა და რიყის ქვისაგან მშრალად ნაგები კოშკია, რომელსაც თავზე ქვის ჯვარი აქვს დამაგრებული. მთავარი ფასადით ხეობის მხარესაა, სადაც დატანებული აქვს შუკუში, რომელშიც სანთლის ნამწვის კვალია. კოშკის გვერდით დგას გამხმარი, ტოტებიანი ნაცრისფერი ხე.²

ხახმატის ჯვარი გუდამაყარში საქონლის მფარველად ითვლება. ვისაც საქონლის ზარალი მოსდის, ის მკითხავის რჩევით სალოცავად ხახმატის ამ ჯვარში მიდის და მას მფარველობას შესთხოვს.³

¹ Ibid, ბარდაველიძე, 1967.

² Ibid.

³ Ibid, მაკალათია.

სოფ. თოთიაურნის სალოცავები: ადგილის დედა, წმინდა სანება და კანჩხის წმინდა გიორგის ნიში მაღლა მთაზე. კანჩხის წმ. გიორგის საჯარე ჰქონდა. ადგილის დედასა და კანჩხის წმინდა გიორგის სალოცავებში ერთი და იგივე დღეობები იმართებოდა (მარიამობა, გიორგობა, ამალღება, ახალი წელი). ამ ორ სალოცავს საერთო მამული აქვს.

სოფ. დიხნოს სალოცავთა შორისაა მაღაწლის წმ. გიორგის ხატი. მაღაწალი მთაა დიხნოსთან, სადაც ასვენია კახეთიდან მობრძანებული წმ. გიორგის ხატი, რომელიც ფშარაველის მოძმედ ითვლება. დეკანოზის დამწვალობებაში იგი მოსხენიებულია შემდეგნაირად: „გაუმარჯოს მაღაწალ წვერის ანგელოზს, ჩვენის ფშარაველის მოძმე მომხრესა დიდ იალბუხზე ბრძანებულს ძმათა და ყმათ მოიძედესა.“

გადმოცემით ორივე ამ ხატს დევეები ებრძოდნენ და სდევნიდნენ. ორივენი ძმად გაფიცულან და ამ წვერებზე გამაგრებულან. ბრძოლაშიც ერთმანეთისთვის მხარი მიუციათ და დევეებს მათთვის ვერაფერი დაუკლიათ.¹

მაღაწლის ეკლესია მდებარეობს სოფლიდან აღმოსავლეთით, მაღაწლის ქედზე. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია (4 X 3 მ.), ნაგებია ნატეხი ქვითა და დულაბით. დანგრეულია. შემორჩენილია 1 მ. სიმაღლის კედლები. შესასვლელი დასავლეთიდანაა. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ეკლესიის სამხრეთით 10 მ-ზე, კლდოვან ტერასაზე მცირე ზომის სათავსთა ნაშთებია.²

წმ. გიორგის ნიში მდებარეობს სოფლიდან აღმოსავლეთით, ქედზე. ნიში გეგმით ოთხკუთხაა (0,8 X 0,7) ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაშენი მასიური ნაგებობაა (სიმაღ. 1,5 მ), იქვე ახლოს სახარეა (0,8X0,8X მ., სიმაღ. 1,9 მ.). მასზე

¹ Ibid, მაკალათია.

² Ibid, სძა, II, 246.

რამდენიმე ზარი კიდია. ზოგიერთზე შემომწირველის სახელია ამოკვეთილი.¹

სოფ. ლუთხუბში ფშარავლის მაღალი მთის წვერზე წმ. გიორგის ხატი, რომელიც ბაზალეთიდან მობრძანებულად ითვლება. დეკანოზი მას მოიხსენიებს, როგორც „ფშარაველს მთას ღაღსა წვერის ყარაულსა თავის ძმათა და ყმათა ზედამხედველსა, ჩვენის ბატონ-პატრონის შამნახავსა.“²

სოფ. წინამხრის სალოცავია წმ. გიორგი, რომელსაც ქოჩორთ წმინდა გიორგის ეპახიან (ადგილის მიხედვით). იგი მაღლა, მთის წვერზე მდებარეობს, სოფლიდან ჩრდილოეთით. აქ იმართება „ქოჩორთობის“ სახელით ცნობილი დღესასწაული.

ქოჩორთ წმ. გიორგის ეკლესია შუა საუკუნეების ეპოქას მიეკუთვნება. ეკლესია დარბაზულია (5,2 X 3,3 მ.), ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, აღმოსავლეთით მცირე სიღრმის აფსიდია, რომლის ღერძზე სწორკუთხა, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელია. აფსიდის გვერდებში თითო მცირე ზომის ნიშია. ეკლესიის აღმოსავლეთით, ათიოდე მეტრის მანძილზე, შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი.³

წმინდა გიორგის ზემოთ ჩამოთვლილ სალოცავთა გარდა შეიძლება დასახელდეს ბროლისკალოს წმ. გიორგის ხატი (სოფ. ბოსელი), ბზიანის წმ. გიორგის ხატი (სოფ. საჩალისჭალა), განძის წმ. გიორგის კოშკი (სოფ. გამსი), ფიტავის წმ. გიორგის ეკლესია (სოფ. ფახვიჯი), კანჩხის წმ. გიორგი (სოფ. ფახვიჯი), საბურთველოს წმ. გიორგის ნიში (სოფ. გამსი), ზანდუკის წმ. გიორგი (სოფ. ზანდუკიანი//კოტორიანი//ლაგაზიანი) და ა.შ.

¹ Ibid.

² Ibid, მაკალათია.

³ Ibid, სძა, II, 349.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგის სალოცავების მნიშვნელობისა და სიმრავლის თვალსაზრისით, არც გუდამაყარი წარმოადგენს გამონაკლისს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებთან შედარებისას. თითქმის ყველა სოფელში არსებობს წმინდა გიორგის სალოცავი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მთიელთა ცხოვრებაში. გუდამაყრის ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი, გუდამაყრელთათვის საერთო სალოცავებიც სწორედ წმ. გიორგის სახელს უკავშირდება.

დასკვნა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული მდიდარი მასალის ერთი ნაწილის, კერძოდ, გრაფიკული ანაზომების უკეთ დამუშავება, შესწავლა, დიგიტალიზაცია და წარმართული კვლევის შედეგად მონოგრაფიის შექმნა. ვრცელი მასალიდან, რომელიც არქივში გრაფიკული ანაზომების სახითაა წარმოდგენილი, ხსენებული პროექტის ფარგლებში დამუშავდა სამი რეგიონი: გუდამაყარი, ხევი, თუშეთი. მონოგრაფიაც ამ სამი რეგიონის სალოცავებს და მათ დღესასწაულებს, მათთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს ეხება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე წარმართულმა კვლევამ აჩვენა, რომ გუდამაყარის მთავარი სალოცავი, პირიმზე ფუძის ანგელოზი, გამორჩეულად სინკრეტული ხასიათის სალოცავი უნდა იყოს. აქ ძალიან ბევრი ფენა ერთმანეთთან ისეა შერწყმული, რომ საკმაოდ ჭირს მათი გამიჯვნა. ერთი მხრივ, როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავდა, პირიმზე ქალური ბუნების ღვთაებაა და ქართულ პანთეონში ცნობილი ტრიადის მესამე პირია. გუდამაყარში მისი დღესასწაული ღვთისმშობლობას ემთხვევა. მას ქალად აღიქვამდნენ, თუმცა ზოგჯერ ფუძის ანგელოზს მისგან გამოყოფდნენ და იგი კარგ ყმად, მამრობით, მებრძოდ, კოპალასა და იახსრის ძმობილ ღვთაებად წარმოედგინათ. არადა, სალოცავის სრული სახელწოდება პირიმზე ფუძის ანგელოზია. ვფიქრობთ, პირიმზე ფუძის ანგელოზის რაობის საკითხი მომავალი კვლევის საქმეა.

ხალხური და საისტორიო გადმოცემების შეჯერების შედეგად ხევის მთავარ სალოცავ, გერგეტის წმ. სამებასა და სოფ. გერგეტთან დაკავშირებით შემდეგი სურათი იკვეთება:

წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობის მარშრუტში ხევიცაა. იგი მიდის გერგეტის მთაზე და იქაც, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა და თავად მცხეთის მოპირდაპირე ბორცვისა, აღმართავს ჯვარს. ხალხური გადმოცემა სოფ. გერგეტშიც მიუთითებს ანდრიას მიერ აღმართულ ჯვარზე. წმ. ნინო, მას მერე, რაც, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, მირიან მეფემ მის სამეფოში ანუ ქართლში ყველა კერპი შემუსრა და მათ ადგილას ჯვრები აღმართა, წმ. ნინო ქართლის სამეფოს მთიანეთის გაქრისტიანებას შეუდგა. მან ხევშიც მიაღწია და გააქრისტიანა ეს მხარე. ჯვარი გერგეტის წვერზე წმ. ნინომაც აღმართა. ორივე წმინდანი – წმ. ანდრია და წმ. ნინო – გადმოცემის მიხედვით, ჯვრების აღმართვის თუ დაგანების ადგილებად მცხეთის გოლგოთას და მყინვარის ძირში მდებარე მაღალ მთას ირჩევენ.

ვახტანგ გორგასალი აარსებს მცხეთის ჯვრის დღესასწაულს, რომელიც ქართლის სამეფოს ეროვნული ქრისტიანული დღესასწაულია. ამაგრებს სამეფოს საზღვრებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთისას, თერგისა და არაგვის (დარიალის) კარს. ხევში დაცული ხალხური გადმოცემა წმ. სამების აგებას მას უკავშირებს.

VIII ს. სტეფანოზ II-ს ვაჟი, არჩილი, ქართლის სამეფოს ცენტრის, მცხეთის ერთ-ერთ შესასვლელთან, მცხეთის არაგვის კართან, აშენებს წმ. სტეფანე პირველმოწამის ეკლესიას, რომელიც საფორტიფიკაციო ნაგებობებთან სიახლოვეში მდგარა. ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვართან, სადაც ასევეა არაგვის კარი, ამ კუთხის მთავარი დასახლებული პუნქტი სტეფანწმინდის სახელს ატარებს. საისტორიო წყაროების მიხედვით, XVIII ს. გერგეტის მთაზე, სამებასთან წმ. სტეფანეს მონასტერი ყოფილა. ჩვენი აზრით, გარკვეულ პერიოდში, წმ. სტეფანე საზღვრის, კარის თუ კარიბჭის მფარველ წმინდანად უნდა ყოფილიყო მიჩნეული ქართლის სამეფოში. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ შესაბ-

ლოა არა მარტო მცხეთა და თბილისი იყო იერუსალიმის მოდელით მოწყობილი, არამედ მთელი ქართლის სამეფო.

ვიზიარებთ რა ასმათ ოქროპირიძის შეხედულებას, ვფიქრობთ, რომ გერგეტის წმ. სამება ფერისცვალების სახელზე უნდა აგებულიყო. შესაძლოა, ფერისცვალების დღესასწაულში, წმ. სამების ძლიერი ფიგურირების გამო, ტაძრისთვის სამება ეწოდებინათ.

გერგეტის სამებასთან დაკავშირებული დღესასწაულების შესწავლის შედეგად გაჩნდა თვალსაზრისი, რომ შესაძლოა მასში შემდეგი ფენები გამოიყოს: ჯვრის აღმართვა და მისი თაყვანისცემა, ღვთისმშობელთან დაკავშირებული დღესასწაული, შესაძლოა ვარდობა, აღდგომის მესამე დღე, ფერისცვალება და მარიამობა.

ქალთა სალოცავებისა და მათთან დაკავშირებული დღესასწაულების შესწავლამ გვაფიქრებინა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონებს შორის შესაძლოა, ხევში ქალებს რელიგიურ ცხოვრებაში, მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე სხვა კუთხეებში.

ლაშარის წმ. გიორგის დღესასწაული, რომელიც ფშავის, თუშეთის და ერწო-თიანეთის მთავარი სალოცავის დღესასწაულია, სამი ისტორიული ფენისგან შედგება. ორი ქრისტიანულის და ერთი წინაქრისტიანულის.

წინაქრისტიანულ პერიოდში, შესაძლოა იგი დიდი დედა ნანასთან დაკავშირებული მცენარეული სამყაროს დაბადება-აღორძინების გაზაფხულ-ზაფხულის დღესასწაული ყოფილიყო, რომელსაც *ვარდობა* ერქვა და რომელსაც ქრისტიანობის პერიოდში, საეკლესიო კალენდრის ორი პერიოდის გამყოფი დღესასწაულის, ათენგენობის სახელი დაუკავშირდა.

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, „*ჯვრის პერიოდში*“ იგი ძლევით შემოსილი ჯუარის დღესასწაული ხდება, რომელიც იდღესასწაულებოდა აღდგომიდან მესამე კვირას. როგორც ჩანს, მოგვიანებით, იგი პეტრე-პავლობას-

თან დაკავშირებული, სერობა/საღმურთობის სახელით ცნობილი დღეობა ხდება. პეტრე-პავლობა საქართველოში, ძირითადად სვეტიცხოველთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც მოციქულთა სახელობის უმნიშვნელოვანეს ტაძართან.

ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ მთიანეთის სალოცავების ზოგადი სახელწოდება –*ჯვარ-ხატები-ჯვრის პერიოდს* და მცხეთის ჯვარს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის სახელობისაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მთავარი სალოცავების უმრავლესობა. მთიულეთის მთავარი სალოცავი ლომისის წმ. გიორგი, რომლის დღესასწაულია სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათი ანუ მცხეთის ჯვრის სასწაულის დღესასწაული; ფშავის, თუშეთის და ერწო-თიანეთის მთავარი სალოცავი ლაშარი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული იყო *ახალკვირე*, ადღგომის მესამე კვირა, *ძლევით შემოსილი ჯვრის* ანუ *მცხეთის ჯვრის* აღმართების დღესასწაული და პეტრე-პავლობა-სვეტიცხოველთან დაკავშირებული *სერობა/საღმურთობა*. სვეტიცხოველთან, სადაც აღიმართა ჯვრები. გერგეტის სამება, რომელიც გადმოცემის მიხედვით, წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. ნინოს მიერ ჯვრების აღმართვის ადგილად იყო გამორჩეული; სადაც ბოლო დრომდე ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ღვთისმშობლის ვარდობის კვალი (სოფ. სიონის სამების მარიამობას ვარდობა ერქვა).

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად, ქრისტიანობაზე მოქცეული საქართველოს ეკლესია ჯვარცმასთან და შესაბამისად, მკედრეთით ადღგომის სიმბოლოებთან დაკავშირებულ წმინდა ნაწილებზე ფუძნდება: კვართზე ანუ უფლის სხეულზე, ხელთა ორ სამსჭვალზე, ფერხთა ფიცარზე და წმ. ჯვრის ნაწილზე. ყოველი სიწმინდე თავის ადგილს იკავებს და იკვეთება ერთიანი, ნათელი სურათი ჯვარცმისა, რომელიც ადღგომით გვირგვინდება და რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ეკლე-

სიის არსის გამომხატველი და ქართველთა ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველი ხდება. ახალი შინაარსით ავსებს ეროვნულ ხასიათს. ჯვარცმა – აღდგომა და მარადიული სიცოცხლე ყველა ქრისტიანი ხალხის რელიგიური აზროვნების საფუძველია, მაგრამ ქართველი ხალხისთვის იგი ეროვნული ხსიათის განმსაზღვრელი და განსხვავებული აქცენტების მქონე გახდა.

მესამე პერიოდია *წმინდა გიორგის პერიოდი*, როდესაც ლაშარი ამ წმინდანის სახელობის გახდა.

უფიქრობთ, პერიოდების მონაცვლეობა და დღესასწაულის გარკვეულ წმინდანთან თუ მოვლენასთან კავშირი, უმთავრესად ღვთისმახურების ხასიათზე უნდა იყოს დამოკიდებული.

ვინაიდან, წმ. გიორგი საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული წმინდანია, წინამდებარე წიგნში მის სალოცავებს გუდმაყარში, ხევში და თუშეთში ცალკე თავი ეთმობა.

საქართველოში წმინდა გიორგის თაყვანისცემის შესახებ არა ერთი ნაშრომია დაწერილი.

წმინდა გიორგის განსაკუთრებულ პოპულარობას საქართველოში აღნიშნავდნენ როგორც უცხოელები, ისე ქართველები, ძველი ავტორებიდან, პილიგრიმებიდან თუ მოგზაურებიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომებით დამთავრებული. საქართველოში წმ. გიორგის სახელობის უამრავი დიდი თუ მცირე ეკლესია და სალოცავი არსებობს. ცნობილია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ჩვენთან 363 წმინდა გიორგის სახელობის სალოცავია ანუ ყოველი დღე სადღაც, მისი სახელობის რომელიმე ეკლესიაში აღველინება ღოცვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა გიორგის სალოცავები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. აქ ცენტრალური სალოცავები სწორედ წმ. გიორგის სახელს უკავშირდება. ასეთია მაგალითად, გუდანის და ხახმატის

წმინდა გიორგის სალოცავები, ლაშარის წმ. გიორგი, ლომისის წმ. გიორგი. ამ მხრივ გამონაკლისს არც ხევი, გუდამაყარი და თუშეთი წარმოადგენს.

ხევში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში, თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს, მაგრამ მთავარ სალოცავებად ითვლება გერგეტის წმინდა სამება და სპარსანგელოზი, რომელიც სწორედ წმინდა გიორგის სახელობის სალოცავია. გარდა ამ მთავარი სალოცავისა, არსებობს წმინდა გიორგის სახელობის მრავალრიცხოვანი ეკლესიები, სალოცავები და ნიშები. მისი სახელობის სალოცავები არის თითქმის ყველა დასახლებაში ან მათთან ახლოს.

ანალოგიური ვითარებაა გუდამაყარშიც. აქაც სალოცავთა უმრავლესობა მისი სახელობისაა და უპირველესი ადგილი უჭირავს მოსახლეობის რწმენაში. გუდამაყრის ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი, გუდამაყრელთათვის საერთო სალოცავებიც, სწორედ წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა აღინიშნოს პირიმზე ფუძის ანგელოზი ჩოხში, ზეგარდის წმინდა გიორგი დუმაცხოში და ჩოხის წმინდა გიორგის ხატი.

თუშეთის მთავარი სალოცავი ლაშარის წმინდა გიორგის ჯვარია (სოფელ ჩილოს ჩრდილო აღმოსავლეთით). გარდა ამისა არსებობს წმინდა გიორგის მრავალრიცხოვანი დიდი თუ მცირე სალოცავი მთელი თუშეთის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თუშეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხევსურულ სალოცავებს. განსაკუთრებით სწამდათ კარატისა და ხახმატის ჯვრების ძალისა. ამ ხატებს თუშეთში თავიანთი სალოცავი ნიშები ჰქონდათ. დღესასწაულების დროს კარატისა და ხახმატის ჯვრების დეკანოზები ხევსურეთიდან გადმოდიოდნენ თუშეთში, თავიანთი ხატის ნიშთან დგებოდნენ და ხალხს ამწყალობებდნენ. ომის შემთხვევაში კი თუშები ხახმატის წმინდა გიორგის

ხატის დეკანოზებს იწვევდნენ, რომლებიც ლაშქარს წინ მიუძღოდნენ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგობის დღესასწაულს, რომელსაც უფრო ხშირად წელიწადში ორჯერ აღნიშნავდნენ. სალოცავებს ხშირად თავისი ყანა და სათიბი გააჩნდათ, რომელსაც რიგ-რიგობით ამუშავებდნენ.

TRADITIONAL CULTURE OF THE EAST GEORGIAN HIGHLAND (SHRINES OF GUDAMAKARI, KHEVI, TUSHETI)

ABSTRACT

The Javakhishvili Institute of History and Ethnology since the 1930es was permanently arranging the scientific expeditions in different regions of Georgia and the North Caucasus. In the result of these expeditions precious textual and graphical historical and ethnographic materials were accumulated in the institute. Because of its variety and antiquity these archive materials have unique importance for the study and preserving of Georgian and the Caucasus cultural heritage. One part of the textual archive materials of the institute (Alexsi Ochiauri, Natela Baliauri, etc.) fortunately is published and is available for the readers. There are numerous researches about the different spheres of the East Georgia highlanders' traditional culture. The contribution of Georgian ethnologists and foreign anthropologists in the investigation of the East Georgia highlanders' religious and social life, mythology and social aspects of the religion are worth of the special mention. The significant scientific works were dedicated to folk medicine, musical culture, economy, social and material culture. Scientific-popular works that are based on unique ethnographic materials about the different spheres of the East Georgia highlanders' life are also written.

Though the serious activity was carried out at the institute, still because of different kinds of reasons we had not got neither complete description of the archive materials preserved in the institute, nor the entire catalog. That is why the part of the unique historical and ethnographic archive material preserved in the institute was inaccessible for wide circles of society who are interested in the cultural heritage of Georgia and the Caucasus until now. The significant amount of these preserved historic-ethnographic archive materials are a great number of graphic materials (plan drawings,

sketches, etc.). This graphic material mainly consists of the monuments of the cultural heritage of Georgia and the Caucasus. These are: shrines and fortification buildings, houses, ancillary facilities, mean of transportation, items connected with every-day life. The graphic archive materials we possess are unique as they are made in the 30es-80es of the twentieth century. They are made by well-known architects and painters (Ucha Japaridze, Nino Brailashvili, Giorgi Zamtaradze, Marta/Matiko Kakabadze, Tengiz Alaverdashvili, Nana Teneishvili, Giorgi davitashvil-Bagratiioni....).

The given book is based on aforementioned archive materials, old and new ethnographic data and modern scientific achievements.

Within the frames of the given project we have chosen three regions connected with the East Georgia highland (Gudamakari, Khevi and Tusheti). The chosen materials are worked out and studied in two directions: 1. the graphic archive materials are processed, transferred to digital media, cataloged and computerized. 2. The graphic materials, preserved at the archive of the institute giving us the valuable information, have been worked out with the help of the suitable ethnographic materials and scientific literature that gave us possibility to reveal the entire picture, function and essence of the shrines of the aforementioned regions and rituals connected with them. It also gave us possibility to study ethnic peculiarities of the religious outlook of Georgians and in particular, the East Georgia highlanders.

Description and cataloging (gathering information about each plan drawing according to numerous parameters), transferring of the graphic materials to digital media, cataloging and computerization (formation of data base) was carried out.

As it was mentioned, this book is written on the basis of scientifically studied, reconstructed and worked out unknown for wide circles of society graphic materials preserved at the archive of the Javakhishvili Institute of History and Ethnology in the light of modern scientific achievements, on the basis of old and new ethnographic data. In the process of writing the book today's burning scientific

issues concerning the East Georgia highland were studied in the light of the given archive materials. We, authors of the book contributed with different chapters, but tried to give an entire picture of the religious believes and rituals connected with the shrines of the aforementioned regions.

Gudamakari, one of the mountain regions of eastern Georgia, in comparison with other regions of Georgia, ethnologically is less studied. In the given book we tried to gather all possible ethnographic materials collected during the field and all researched materials we possess concerning the issue. It must be mentioned that the field materials collected by Eliso Chubinishvili and Nino Ghambashidze in 1989 are for the first time published that, in our opinion, will be helpful and promote further study of the region.

The festival of the main shrine of Gudamakari, Pirimze Pudzis Angelozi, is in August 28, when the Orthodox Church celebrates Dormition of the Mother of God. Field works conducted in 1989 recorded the same date of the holiday. But Sergi Makalatia, who witnessed this festival no later than 1930, writes that the festival was held in August 30-31.

It must be mentioned that the full name of the festival is Pirimze Pudzis Angelozi – Akhooba. The name of the holiday, its cycle and the ritual attached to this cycle obviously show the migration story of the people who venerates this shrine. The families of the Tsiklauries and the Bekauries who lived in Khevsureti village of Ukanakho took a part of their shrine Pudzis Angelozi and brought it in village Chokhi when they migrated in Gudamakari. After these families settled, in the meantime one part of the local Gudamakarian families left Gudamakari and moved to the plain regions of the country. One part of the local families joined the Tsiklauries and the Bekauries. In our opinion it might be the reason why Pirimze Pudzis Angelozi became the main shrine of Gudamakari. As we know, before the main shrine was St. George of Saburtveli. The ritual of the Pirimze Pudzis Angelozi festival had preserved the history of its origin and migration story of its congregation. Once in every year, at a certain date this

story is performed in a ritual. Congregation passes the same way which was passed by their ancestors, but now they go back to the village of their previous settlement, from Gudamakari to Khevsureti. But this “pass” has deeply ritual character. In this ritual, like in a myth, history of the society, history of its establishment is preserved and reactivated. This real geographical rout through ritual journey is filled with mythical, sacred geography.

In people’s imagination Pirimze is a deity of a feminine nature and Pudzis Angelozi of masculine. As if the masculine nature of this deity, which it has in Khevsureti (Pudzis Angelozi), transformed in Gudamakari into feminine one (Pirimze Pudzis Angelozi). The date of the festival is also connected with the Holy Virgin. People imagined Pirimze Pudzis Angelozi as a bull as well.

On the basis of the ethnographic material we possess, it is peculiar that animals, which are chosen for sacrifice, offer themselves by their own will for slaughtering. According to the mentioned materials both sheep and bull should be offered to Pirimze Pudzis Angelozi. Such a custom is met at the shrines of other regions as well, but here it is more emphasized.

Pirimze is one of the main personages of the well-known mythological story which is preserved in the highland of East Georgia; mainly a story of deities’ struggle against evil creatures Devis. In this case Pirimze is a strong warrior of masculine nature. This story was still preserved in 1989 but obviously was mixed with Iakhsari and Abudelauri lake passage, the mythological story about deities’ struggle against Devis.

On the basis of the materials we possess Pirimze Pudzis Angelozi seems to be deity of quite syncretic character. There are unified so many layers of religious mentality of different periods that it is quite difficult to separate them from one another. From the one side, as Vera Bardavelidze mentioned, Pirimze is a deity of feminine nature and is the third member of the triad of the Georgian pantheon. Its festival in Gudamakari is on Dormition of the Mother of God.

Pirimze Pudzis Angelози was imagined as woman as well as man. This issue still waits for investigation.

It also must be mentioned that the shrine of Pirimze and its festival was a stumbling block to agreement between people and church as well as government in the Soviet and Tsar's Russia periods. At the end of the nineteenth century people manage to protect it with a certain support of clergy. It peacefully co-existed with the official church traditions within the realm of the Orthodox Christianity. In the Soviet period, as a result of the atheistic policy, its holy relic, cross, was officially damaged, but people could manage to protect and save the shrine and its festival.

Among the graphical sketches which are preserved in the archive of the Javakhishvili Institute of History and Ethnology there are four on which three sanctuaries of the village Gergeti (Khevi, one of the regions of the East Georgia highland) are depicted. These are: Okhareshi St. George, Ninotsminda and Kvelatsminda/Women's Shrine.

We studied the above mentioned shrines with the help of the sketches and in the context of the historical and ethnographic data. Village Gergeti and its shrines are forming one holy space together with the famous Gergeti Trinity church, which determined history, ethnography and spiritual meaning of the whole sacred site. According to folk and historical traditions St. Andrew the disciple erected cross and planted a tree on the mount Golgotha, in front of Mtskheta, where now is Jvari (the Holy Cross of Mtskheta) Monastery. When this tree grew, it became miracle working. After preaching in Kakheti and the North Caucasus the disciple went to the mount Gergeti and there as well, where now is a famous Trinity church, erected a cross. The folk tradition says that St. Andrew erected cross in the village Gergeti as well.

If we follow historical and folk traditions, later on in the fourth century St. Nino converts Georgians into Christianity. Georgians cut miracle working tree planted by St. Andrew and made crosses out of it. One of them and most distinguished cross was erected on that very

place where now is Jvari (the Holy Cross) Monastery in Mtskheta, where St. Andrew planted the tree and erected a cross. After erecting of the Mtskheta cross, all idols in the Kingdom of Kartli fell down. King Mirian, who was converted by St. Nino destroyed all idols in his Kartli Kingdom and erected crosses instead. St. Nino continued her missionary activity in the mountain regions of Kartli. Historical chronicles tell us that she erected a cross on mount Gergeti, where now is the Trinity church. Thus, according to the chronicles and folk traditions both apostles – St. Andrew and St. Nino – erected crosses and thus sanctified Golgotha and Gergeti mountains. Both geographical points have the similar location. They are divided from the main residential place, spiritually devoted to the mountain, by river (Mtkvari/Kura and Tergi). Mtskheta is the centre of the Kingdom of Kartli and Stephantsminda, in fact, of the northern frontiers of this kingdom. We believe that these erected crosses and later on constructed churches were spiritual fortresses against enemies. They also show us spiritual boundaries of the kingdom of Kartli.

King Vakhtang Gorgasali (the fifth century) is a founder of the feast of Jvari (the Holy Cross) of Mtskheta. He strengthened the northern border (Dariali, entrance of R. Tergi and R. Aragvi) of the kingdom. According to one of the folk traditions of Khevi, king Vakhtang had built St. Trinity Church.

In the seventh century Stephanoz II presiding prince of Kartli finally brings to an end building of the Jvari Monastery, enriches Georgian liturgical practice with three church festivals and together with other saints glorifies St. Stephan Protomartyr.

In the eighth century son of Stephanoz II, Archil, at one of the entrances of Mtskheta, at the R. Aragvi entrance, at the fortress, constructed a church of St. Stephan Protomartyr.

One of the main residential places in the northern boundaries of the kingdom was named after St. Stephan Protomartyr (Stephantsminda). Besides, in the eighteenth century, according to the chronicles, on the mount Gergeti, where the church of the Holy Trinity is, was St. Stephan Protomartyr' monastery. We believe that

at a certain period in the kingdom of Kartli St. Stephan should have been a patron saint of the entrances. As it is well known, he was stoned out of the gate of Jerusalem nearby an entrance of the town. As it is known this entrance is called Lion's or St. Stephan's gate. We also believe that after spreading Christianity not only Mtskheta, spiritual and cultural centre of the Kingdom of Kartli and later Tbilisi, the capital of Georgia, was designed after Jerusalem but the whole kingdom.

What was happening from the fifth –eighth centuries until the fourteenth century, when the Gergeti Holy Trinity church was built, historical sources and tradition say nothing. We only can mention that folk tradition besides king Vakhtang attributes construction of the church to Queen Tamar. But it can be mentioned that for some period Khevi and the holy site of Gergeti was within the frames of the entire religious outlook of the country and besides served the security and defense problems of the country.

We share the opinion of Asmat Okropiridze and think that the Holy Trinity church initially was dedicated to the feast of Transfiguration. Supposedly, we may think that because the Holy Trinity strongly participates in the feast of Transfiguration, later the church might be renamed in the name of the Holy Trinity. We also think that this holy place before might be connected with the Holy Virgin. The Holy Cross and the Virgin are definitely linked as it has sound grounding in theology. This link is obvious in Georgian tradition as well. The feasts of the holy cross in Kartli were followed by weekly festival of the Holy Marry that was called *Wardoba* (the feast of rose of the Holy Virgin Marry). It is worth of mentioning that there is a shrine of the Gergeti Trinity church in Sioni (Zion), village in Khevi, the feast of which is the same day as of Gergeti Trinity (August, 28, Dormition) but is called *Wardoba* (feast of rose). The Tuesday after Easter, one more feast day of Gergeti Trinity, which was dedicated to the Holy Trinity, by church calendar is a day of Holy Virgin and myrrhbearers. Maybe, later feast of the Holy Trinity of

Gergeti moved to the Holy Virgin's another feast day and became the feast of the Dormition of the Mother of God.

Women's shrines are in all mountainous regions of West Georgia but their presence is so obvious in Khevi that the issue became the focus of the investigation. In the archive of the Javakhishvili Institute of History and Ethnology among different kinds of materials graphical sketches are preserved as well. There are five sketches from Khevi (one of the West Georgian highland regions) on which four shrines dedicated to women are depicted. Elia's /Women's shrine from village Akhaltsikhe (An. X. 5), Okhreshi Kvelatsminda/Women's shrine from village Gergeti (An. X. 15), Women's shrine from village Tkarsheti (An. X. 38) and Women's shrine from village Pkhelshe (An. X. 47, An. X. 48).

We tried to answer questions that even never have been put before. In the book we tried to show how these shrines are depicted on the sketches, what kind of shrines they are and which festivals were celebrated in these shrines, if obvious presence of women's shrines is linked with gender issue.

Women's shrines were and are either small orthodox churches or traditional West Georgian shrines.

In connection with women the research mainly outlined two groups of festivals: those connected with Antipascha and the Myrrhbearers Sunday. It must be mentioned that there are women's shrines connected with some other Saints as well. Antipascha and Myrrhbearers' Sunday often were considered as one day, one festival. The day was famous by a ritual of bringing newly married young ladies to a village spring. The ritual performed only by women.

The study of the shrines dedicated to women and their festivals brought us to a conclusion that among the regions of the East Georgia highland women in Khevi had more rights in religious life of the region and in conducting rituals at shrines than in other regions of western Georgia highland. In our opinion it might be because of the strong presence of St. Nino in this region.

The study also showed that Lasharoba festival which is the main shrine of the three East Georgia regions: Pshavi, Tusheti, Ertso-Tianeti reflects three periods of the history of Georgians' religion; One pre-Christian and two of Christian era.

In pre-Christian period it might be connected with sun goddess, the Great Mother Nana, the festival of the goddess of plants, flowers, especially roses and violets, earth, rebirth and fertility of Spring-Summer, which was called Wardoba (festival of rose). According to Georgian mythological narrates, fairy tales and ritual songs, in the Georgians' beliefs one of the pictures of Eden looked like great mother Nana's place of residence. In legends this is called the land of *batonebi* (masters); in songs – the garden of masters and in fairy tales – the garden of the Sun. In this garden also appear other mythological characters: mother of the Sun and Moon, three daughters of Sun, Elia – the Deity of Thunderstorm, wolf and Golden ram. In this garden simultaneously some tress bloom, some have ripe fruits and leaves are falling from some tress.

The land of masters is hard to get to, beyond nine mountains and nine seas, beyond thorny forest. According to some legends the masters came from the White Sea. Their country is located on rocky coast, overlooking the sea or on the island in the sea. The country is surrounded by high fortress with big doors, locked beyond the fortress walls. In the land of masters there are springs with crystal pure water, rivers of honey and milk, a lot of waterfalls. The Sun sheds rainbow colors on everything. Here there are masters' towers and big houses. In this country and garden together with masters live the souls of the deceased who passed away due to infectious diseases. According to Svan version on the rock where the master's country is located, overlooking the sea there is meadow covered with flowers. There is a large river on the meadow, where there is great mother, masters' mother. She is naked with white body and big breast. According song verses great mother Nana lives together with masters in the garden of violets, roses and white mulberry. Open *marani* was the one near which grew a poplar tree. Birds sit and chirp in this tree. In folk verse

grapes grow on the top of the tree, he who eats these grapes will be protected from all harm. The *marani* of the masters' land and the poplar tree belong to great mother Nana, with different kinds of wine kept there: red, white and pink.

In the Christian period Wardoba might have become connected with the festival of St. Athenogenes the Holy Martyr of Heracleopolis, which divides two periods of the Orthodox Church calendar and also, because it coincided with Wardoba period. In the Christian period both festivals might have in fact become identical because they shared theological meaning of martyrdom and of spreading Christianity.

Together with spreading Christianity, in the "period of the cross" it becomes the festival of the Victorious Cross with the feast day in the third Sunday after Easter. As it seems, later it was connected with the festival named Seroba/Saghmurtoba. In its turn this festival, up to now, is connected with the day of St. Peter and St. Paul (29.06/12.07). It also seems that St. Peter's and St. Paul's day should be connected with Svetitskoveli cathedral as the church dedicated to the disciples, which has the special meaning for Georgians. It must be mentioned that if the feast day of St. Peter and St. Paul is on Sunday, Lasharoba festival (Seroba/Saghmurtoba), which is always held next Monday after disciples feast day, will be next day, in 30.06/13.07, the feast day of Svetitskhoveli.

In our opinion, general name of the East Georgia highland shrines-Jvari (cross)/Khati (icon)-is strongly connected with the *period of Cross* and the Holy Cross church of Mtskheta. Most of the main shrines of the East Georgia regions such as: Mtiuleti, Khevi, Pshavi, etc. are dedicated to the feast days of the Holy Cross of Mtskheta. For instance: the feast day of the main shrine of Mtiuleti Lomisa St. George is the next Wednesday after Pentecost which is the day of the Mtskheta Holy Cross (Jvari church) miracle. One of the feast days, among four of the Pshavi main shrine-Lashari St. George-which used to be celebrated supposedly, until the II half of the twentieth century, was Akhalkvira. Its feast day was the third Sunday after Easter, the day of the *Victorious Cross*, the day of the Holy Cross of Mtskheta.

This was the day among other four days, distinguished with its special festivity and rituals, in which all twelve communities of Pshavi, with their own flags, participated. The processions walked to Lashari, the main meeting place. It was like a litany with icons and crosses. One more festival, which co-existed with the mentioned one is Seroba/Saghmurtoba linked to St. Peter's and St. Paul's day and Stvetitskhoveli. The date of the festival is the next Monday after disciples feast day which is the main feast of Pshavi, Tusheti and Ertso-Tianeti untill now. In Tusheti Lasharoba is feasted on the 100th day after Easter and in Ertso-Tianeti on June, 12, St. Peter's and St. Paul's day.

In the context of the Holy Jvary festival we want to come back to its date, the third Sunday after Easter in Khevi. As it was mentioned, this day, Myrrhbearers' Sunday, used to be very popular all over Khevi and was connected with women. But, hypothetically from the begining it might have been one of the festivals of the Holy Cross of Mtskheta, of *the Victorious Cross*, the feast of the erection of crosses in Svetitskhoveli, Mtskheta as was Lasharoba from the begining.

In this context it also should be notist that one of the cardinal relics of the Christian Church which were brought to the newly established Church of Georgia according tradition: Christ's Holy Tunic, two nails, a part of the Holy Cross and Christ's feet rest upon a ledge became the foundation of our church. Thus, the entire spiritua picture, where each relic gets its own palce, is shaped and the image of the crusified and thus resurected Christ comes forward. This image in many following centuries will determine religious outlook, mentality and national character of Georgians. The festivals of the Holy Cross of Mtskheta and Myrrhbearers' which are held on the third Sunday after Easter are also linked by one cardinal theological meaning: crusifiction and resurection. The same date of celebration, the theological meaning and a speical importance for Georgians of the *Victorious Cross/ the Holy Cross of Mtskheta* festival might have promoted signifcint popullarity of Myrrhbearers' Sunday in Khevi.

In Georgian historiography, while speaking about pre-Christian and Christian periods, there was an acknowledged viewpoint that veneration of pagan moon deity transformed into the veneration of St. George. The study showed that in this context the first period of Georgians' religion after Christianisation found itself beyond the scientific interest of historians. In the given book a special chapter (the author Nino Ghambashidze) is dedicated to this omitted period which is named the "period of cross" by the author. According to the same study, this period was followed by the "period of St. George". Thus, the veneration of the pagan moon deity could not be transformed into St. George's veneration.

In the same chapter the opinion, that common name of the East Georgian highland shrines-Jvari/Khati (cross/icon) originated from the "period of cross" and was determined by this period, is put forward.

The third layer of the Lasharoba feast is connected with the St. George's period, when the shrine was named after this saint.

In our opinion the alternation of the periods and the link of the festival with certain saint, might be determined by the alternation of liturgy.

St. George is one of the most popular saints in Georgia. He is so popular that, according to one of the opinions, after him our country is called Georgia. That is why we decided to dedicate one special chapter (the author Ketevan Alaverdashvili) to him in this book. St. George is one of the most distinguished and beloved saints for the Georgians. It is believed that the churches dedicated to him appeared in the middle of the ninth century. However, the tenth century chronicle of the conversion of Kartli, writes that King Mirian constructed St. George church on the Mount Tkhoti in the fourth century. In Georgia St. George bas-reliefs and earliest frescos date back to sixth-seventh centuries. The Georgian editions of St. George's life were created in the middle of the sixth century. They tell us that St. George was tortured during Diocletian's rule. Basing on this, ethnologist Irakli Surguladze believes that St. George's cult was introduced in Georgian church from this period, as well as his images

as a warrior and a rider. From the beginning of the ninth century, St. George became so important that Georgian kings since the eleventh century (Giorgi I, born in 1002) were named after him.

It is known that the Orthodox world celebrates St. George's Day on 23 April/6 May. We, Georgians, also celebrate the day of the breaking on the wheel of the Holy Great Martyr George on 10/23 November, which in Georgia is much more popular than 23 April/6 May. This day is not celebrated in other Christian countries. According to the legend, the day of the breaking on the wheel of St. George was introduced by St. Nino _ the enlightener of Georgia.

The popularity of St. George in Georgia has been stated many times by both Georgian and foreign authors: starting from old travelers to modern scholars. In Georgia, many researches were dedicated to St. George. For a long time, special popularity of St. George has been attracting the attention of many researchers. Our special interest is focused on eastern mountainous regions of Georgia, where almost everywhere the central shrines are dedicated exactly to St. George. Considering the importance and great number of St. George's shrines, Gudamakary is not an exception in this respect. Here the shrines of St. George are attested almost in every village that played important role in the life of the mountaineers. The most important and well-known shrines are associated with the name of St. George. Among these shrines, at first must be mentioned Pirimze Pudzis Angelozhi in the village, called Chokhi, St. George of Zegardni in the village of Dumackho (where as the saying goes St. George's tongue is kept after suffered martyrdom on the wheel), St. George of Machagani (here is St. George's heart). Besides this, in every village there were big or small shrines dedicated to St. George.

In Khevi, as in other regions of the eastern Georgia highland each community has its own guardian shrines but the main shrines are Gergeti Holy Trinity and Sparsangelozhi, later named after St. George. Besides them, there are a lot of churches, shrines and "nishes" in this region. St. George's shrines are nearly in each settlement or near them.

The central shrine of Tusheti is St. George of Lashari. Besides, one can find big or small shrines dedicated to St. George in almost every settlement of Tusheti. Most of them are survived as entire complexes. In most cases they represent cultic towers, called *milliona*.

In this chapter the special attention is paid to the fact that the shrines of Khevsurs are of great importance in Tusheti. The Tushetians had a special reverence of Khevsurs' shrines and often were under the influences of their servants of sanctuaries called *dekanози*. In that respect, special reference is made to the shrines of *Karati* and *Khakhmati*. During the feast of *Atengenoba*, the servants of *Karati* and *Khakhmati* visited Tusheti's "nishes"(shrines) and blessed people. As the "nishes" were scattered all over Tusheti the procession headed by these servants of shrines traversed Tusheti. Khevsurs and Tushetians considered themselves close relatives and when meeting each other, they greeted with the following words: "hello, brother ". During war time and military expeditions Tushetians invited the *dekanози* of khevsurs to lead their horde.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია ნინო, ჩხარტიშვილი მარიამ (რედ), ლელა პატარიძე, ქართველთა გაქრისტიანება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კრ., ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ ეთნოლოგიური გამოკვლევები (თბილისი: მემატთანე, 2000).
2. აბდალაძე გვანცა, ლაშა-გიორგი-ხეცსურთა შვილობილი, ცისკარი, 4(1999).
3. ალავერდაშვილი ქეთევან, საკრალური გეომეტრია, (თბილისი: უნივერსალი, 2007).
4. ალექსიძე ზაზა, მოქცევაჲ ქართლისაჲ, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2007).
5. ანაზომები An. X. 15, An. X. 16, An. X. 7, An. X. ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.
6. არქიტექტურული ლექსიკონი, Dzeglebi. ge, http://www.dzeglebi.ge/leqsikoni/leqsikoni_s.html, 16.02.2018.
7. ბაგრატიონი გ., მაცაბერიძე ბ., კვირას (კვირას) ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2t. (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
8. ბარდაველიძე ვერა, ბარბალ დოლაში, “ენიმკის“ მოამბე, V-VI(1940).
9. ბარდაველიძე ვერა, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდი, 1945 და 1967 წლების საექსპედიციო მასალები.

10. ბარდაველიძის ვერა, პირადი ფონდი, ვ.ბ. 661, ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.
11. ბარდაველიძე ვერა, საარქივო მასალა, ვ.ბ. 661, საერთო სალოცავები ფშავლებისა, ხელნაწერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.
12. ბარდაველიძე ვერა, ვ.ბ. 664, ხელნაწერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.
13. ბარდაველიძე ვერა, პირადი ფონდი, 1966 წლის ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.
14. ბარდაველიძე ვერა, ვ.ბ. 231, ხელნაწერი, ხევის 1966 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.
15. ბარდაველიძე ვერა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი (თბილისი: მეცნიერება, 1974).
16. ბარდაველიძე ვერა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II₁, ხევსურეთი (თბილისი: მეცნიერება, 1982).
17. ბარდაველიძე ვერა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II₂, თუშეთი (თბილისი: მეცნიერება, 1985).
18. ბედოშვილი გ., „მწყემის“ კორესპონდენცია, სოფ. გერგეტიდან, ჟურ. მწყემის, 22(1898).
19. ბერიაშვილი ლიანა, ღია მედიქიშვილი (რედ.), ნათია ჯალაბაძე, ხალხური (ჩვეულებითი) სამართალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ქართველები (თბილისი: პალიტრა L, 2016).

20. ბერიძე ვახტანგ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (თბილისი: ხელოვნება, 1974).
21. ბერიძე ვახტანგ, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება (თბილისი: კანდელი, 1994).
22. ბოჭორიძე გიორგი, თუშეთი (თბილისი: მეცნიერება, 1993).
23. ბუბულაშვილი ელდარ, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები (თბილისი: ახალი ივერიონი, 2007).
24. გერგეტის სამების მატთანე მოსაჯსენებელი სულთაძ. დოკუმენტები ხევის ისტორიისათვის. ხელახლა გამოქვეყნებული ვაჟა მარსაგიშვილის მიერ, (თბილისი, მწიგნობარი, 2009).
25. გორგაძე დალი, კახეთის ეთნოგრაფიული ესპედიციის მასალები, ხელნაწერი, ავტორის პირადი არქივი, 1985.
26. გორგი მთაწმინდელი, დიდი სვინაქსარი (თბილისი: გამომცემლობა არაა მითითებული, 2017).
27. გოგოლაშვილი გიორგი, არაბული ავთანდილ (red.), ახალი ქართული ენა. წიგნი I – სალიტერატურო ენის მორფოლოგია: ზოგადი. სახელი (თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016).
28. გუდამაყარი, (უავტორო), ივერია, 195(1888).
29. გუდაური (დუშეთის მაზრა), (უავტორო), ივერია, 201(1888).
30. დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III (თბილისი: მეცნიერება, 1970).
31. ელიაძე მირჩა, მითის ასპექტები (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009).
32. ელიავა გივი, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა) (თბილისი: ცოდნა, 1962).
33. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969).

34. ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული ნაწერები, IX (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964).
35. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, (თბილისი: მეცნიერება, 1973).
36. ვირსალაძე ელენე, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 8 (1953).
37. თეიმურაზი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა (სანქტ პეტერბურგი: სამეცნიერო აკადემიის სტამბა, 1848).
38. თოფურია ნინო, 1947წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ნ. თ. 39.
39. თოფჩიშვილი როლანდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XXსს. (თბილისი: მეცნიერება, 1984).
40. თოფჩიშვილი როლანდ, მთიულეთისა და გუდამაყრის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2(1985).
41. თოფჩიშვილი როლანდ, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თბილისი: მემატიანე, 2002).
42. თოფჩიშვილი როლანდ (რედ.), საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (თბილისი: უნივერსალი, 2010).
43. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თბილისი: საჩინო, 2017).
44. თუმანიშვილი დიმიტრი, წერილები, ნარკვევები (თბილისი: „წმიდა ნინო“, 2001).
45. იანეთელი კ., სოფელი იანეთი, მოგზაური, 8/9(1901).

46. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, An. Tush 77, An. Tush 78, An. Tush 79, An. Tush 80, An. Tush 81, An. Tush. 166, An. Tush. 167.
47. ითონიშვილი ვალერიან, ხევი, გზამკვლევი (თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1984).
48. ითონიშვილი ვალერიან, ხევის ტოპონიმია (თბილისი: მეცნიერება, 1971).
49. ითონიშვილი ვალერიან, ალექსანდრე ყაზბეგი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები (თბილისი: მემატთანე, 2006).
50. ითონიშვილი ვალერიან, თუშეთი და თუშები (თბილისი: უნივერსალი, 2012).
51. ითონიშვილი ვალერიან, მოხვევების ყოფა-ცხოვრება (თბილისი: ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი, 2015).
52. ინგოროყვა პავლე, ძველქართული წარმართული კალენდარი მე-5 – 8 საუკუნის ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, (1931).
53. იოსელიანი ხათუნა, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში (თბილისი: მემატთანე, 2005).
54. კალანდაძე-მახარაძე ნინო, ქართული „ნანა“: ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები, დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი, 2009.
55. კარბელი, აღავერდობა (14 სექტემბერი), „სახალხო ფურცელი“, №383(1915).
56. კაპანაძე ოთარ, ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბილისი, 2014.
57. კახაძე კ., ჩიმაკაძე თ., გერგეტი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2 ტ. (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).

58. კეკელიძე კორნელი, ქართული ერა და ეორტოლოგიური წელიწადი, ენიმკის მოამბე V–VI (1940).
59. კეკელიძე კორნელი, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.), ეტიუდები V (თბილისი: საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის გამომცემლობა, 1957).
60. კვაჭატაძე ეკატერინე, წმინდა გიორგის რელიეფი ნიბიდან, კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა, (ბათუმი: უნივერსალი, 2015).
61. კიკვიძე იაზო, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) (თბილისი: მეცნიერება, 1976).
62. კიკნაძე ზურაბ, შუამდინარული მითოლოგია (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979).
63. კიკნაძე ზურაბ, ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო (ქუთაისი: ნეკერი, 1996).
64. კიკნაძე ზურაბ, მამისიმედიშივილი ხვთისო და მახაური ტრისტან, ჯვარ-ხატთა სადიდებლები (თბილისი: ნეკერი 1998).
65. კიკნაძე ზურაბ, ქართული მითოლოგია (თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007).
66. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1991).
67. კოჭლამაზაშივილი ექვთიმე, სულთმოფენობა თუ სამეობობა? ჯვარი ვაზისა, 2(1991).
68. ლომთათიძე ქეთევან, კვლავ „ლაშარის ჯვარის“ შესახებ, მნათობი, 8(1985).
69. ლორთქიფანიძე ოთარ, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002).
70. ლოცვანი, ლოცვაჲ ნათელ არს სულისა (თბილისი: ალილო, 2013).

71. მათე (მათე იანქოშვილი), დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი), „ივერია“, 203(1900).
72. მაისურაძე ნინო, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები (თბილისი: მეცნიერება, 1989).
73. მაისურაძე, ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება. ნინო ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ურთიერთმიმართება და მათი ერთობის პრობლემა (თბილისი: ემ-პი-ჯი 2015).
74. მაკაღათია მზია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1985).
75. მაკაღათია სერგი, ფშავური წაწლობა და ხევესურული სწორფრობა (ეთნოგრაფიული მასალები) (ტფილისი: ს.მ.უ.ს. პოლიგრაფიკის განყოფილება მე-3 სტამბა, 1925).
76. მაკაღათია სერგი, მთიულეთი (ტფილისი: სახელგამი, 1930).
77. მაკაღათია სერგი, ხევი (ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1934).
78. მაკაღათია სერგი, თუშეთი (თბილისი: ნაკადული, 1983).
79. მაკაღათია სერგი, ფშავი (თბილისი: ნაკადული, 1985).
80. მარუაშვილი ლევან, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (თბილისი: ცოდნა), 1964.
81. მაჩაბელი კიტი, ძველი ქრისტიანული სიმბოლიკა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე, ლიტერატურა და ხელოვნება, 6 (1991).
82. მგოსანნი გლოვისანი, ტექსტები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნაწული აზიკურმა (თბილისი: მეცნიერება, 1986).
83. მოწონელიძე ლ., ლაშარის ჯვარი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2ტ.

- (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
84. მუსხელიშვილი დავით, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, (თბილისი: მემატიანე, 2003).
85. მჭედლური დავით, ჩარჩოებს ნუ დავავიწროებთ, ცისკარი, 1(1985).
86. ნადირაძე ელდარ, საქართველოს მემორიალური კულტურა (თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001).
87. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (თბილისი: მერანი, 1991).
88. ოქროპირიძე ასმათ, გერგეტის სამების სახისმეტყველებისათვის, ლოგოსი, 7(2013).
89. ოჩიაური ალექსი, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი) (თბილისი: მეცნიერება, 1991).
90. ოჩიაური ალექსი, რელიგიური ამბები ფშავში, რვ. 30, ხელნაწერი, X, 1947წ., ივ. ჯავახისვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.
91. ოჩიაური თინათინ, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თბილისი: მეცნიერება, 1967).
92. პატარიძე ლელა, „ცხოვრება წმიდისა ნინოისა“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ – ისტორიული საკითხები) (თბილისი: მეცნიერება, 1993).
93. სანკიძე თამაზ, გერგეტი, (თბილისი: მეცნიერება, 1975).
94. რუსიშვილი თ., კვირეღვთისშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2. (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).

95. რუსიშვილი თ., ნინოწმინდის ნიში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
96. რუსიშვილი თ., ოხარემის წმ. გიორგის ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
97. რუსიშვილი თ., ყველაწმინდა (ქალების ხატი), საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2 (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
98. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, გამომცემლობა არ არი მითითებული, 1997.
99. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979).
100. სახოკია თედო, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (თბილისი: მერანი, 1979).
101. ს-ი ა., ტფილისი, 24 სექტემბერი, ივერია, 201(1888).
102. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი, 1955).
103. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://www.ena.ge/explanatory-online>, 16.02.2018.
104. ქართული ხალხური პოეზია, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4318/1/Qartuli_XalxuriPoezia.pdf, 6.02.2018.
105. დამბაშიძე ნინო, ხევის (ყაზბეგის რ.) 1988w. ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რვეული #1.
106. დამბაშიძე ნინო, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური (შავი ხელნაწერი), 1988.

- 107.ღამბაშიძე ნინო, გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 1989, ხელნაწერი.
- 108.ღამბაშიძე ნინო, ლომისობის დღესასწაულის თარიღის რაობისათვის, საქრთველოს სპატრიარქო, 1(1998).
- 109.ღამბაშიძე ნინო, სკვნილის გენეზისი და განვითარების ისტორია, რელიგია, 7 – 8 – 9(2001).
- 110.ღამბაშიძე ნინო, წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები, საქართველოს სიძველენი, 4-5(2003).
- 111.ღამბაშიძე ნინო, მღვდელმოწამე ათინოგენის თაყვანისცემის საკითხისათვის საქართველოში, მასალები საქრთველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI (2004).
- 112.ღამბაშიძე ნინო, სტუმარი ღვთისაა, მასალები საქრთველოს ეთნოგრაფიისათვის XXV (2005).
- 113.ღამბაშიძე ნინო, მცხეთის ჯვარი და საქართველოს გაქრისტიანების სამი ეტაპი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1/2008.
- 114.ღამბაშიძე ნინო, 2008 წლის საველე დღიური, კახეთი, ხელნაწერი.
- 115.ღამბაშიძე ნინო, კიდევ ერთხელ სწორფრობა-წაწლობის წესის შესახებ, ანალები, №5(2009).
- 116.ღამბაშიძე ნინო, ფშავის 2010 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ხელნაწერი.
- 117.ღამბაშიძე ნინო, აღავერდობა და მასთან დაკავშირებული ქართული ტრადიციები, ACADEMIA, 1(2010).
- 118.ღამბაშიძე ნინო, მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 2016, ხელნაწერი.
- 119.ღამბაშიძე ნინო, კიდევ ერთხელ ალილოსა და ჭონას ურთიერთკავშირის შესახებ, ანალები, 11(2015).
- 120.ღამბაშიძე ნინო, „მზე შინა და მზე გარეთა“ (ეთნოლოგიური ძიებანი), ანალები, 11(2015).
- 121.ღამბაშიძე ნინო, კალ ანდაძე-მახარაძე ნინო, წმ. გიორგი ქართულ მითოლოგიაში, რელიგიასა და მუსიკალურ

- ტრადიციაში, ინგლისურ ენაზე, ხელნაწერი, გადაცემულია დასაბუქდად.
122. დედუშაური ბ., წერილი ხევიდგან, ივერია, 224(1900).
123. ყვარლის რაიონის ისტორიული ძეგლები, <http://saunje.ge/index.php?id=326&lang=en>, 15.02.2018.
124. ყიფიანი გურამ, წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2004).
125. ყრუაშვილი იობა, დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი), ივერია, 76(1890).
126. შარაბიძე თამარ (რედ.), ზურაბ კიკნაძე, ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში, კრ. ვაზი სიცოცხლის ხე (თბილისი: ასოციაცია ქართული ღვინო, 2014).
127. შარაშიძე ქრისტინე, გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 30(1954).
128. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1979).
129. შველიძე მზია, ზაფხულის ხალხურ დღეობათა კალენდარი ქვემო ქართლში, „ქვემო ქართლი“, (1990).
130. ჩუბინაშვილი გიორგი, ქართული ხელოვნების ისტორია (თბილისი, სახელგამი, 1936).
131. ჩუბინიშვილი ელისო, გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე დღიური, 1989, ხელნაწერი.
132. ციციქოშვილი ქრისტეფორე მღ., დღეობანი და ხატობანი ხეფინიხევში, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 2100, №1, საქ. 60.
133. ცოცანიძე გიორგი, გიორგობიდან გიორგობამდე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1987).
134. ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, (თბილისი, მეცნიერება, 1990)

135. ძველთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს კულტურის, ძველთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, 2006.
136. ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ნ. გოგუაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1986).
137. წმინდა გიორგი ძველ ქართულ ლიტერატურაში ტექსტი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ენრიკო გაბიაშვილმა (თბილისი: არმაზი-89, 1991).
138. რუსუდან წურწუშია, იოსებ ჟორდანიას (რედ.), ნინო ღამბაშიძე, ჭონას ტრადიცია და მისი გენეზისის ზოგიერთი საკითხი, ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2005).
139. რუსუდან წურწუშია, იოსებ ჟორდანიას (რედ.) ნინო ღამბაშიძე, ნინო კალანდაძე-მახარაძე, ჭვენიერობის დღესასწაული და მასთან დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა, ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2014).
140. ჭელიძე ედიშერ (რედ.), მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, I გამოცემა (თბილისი: გამომცემლობა არ არის მითითებული, 2001).
141. ჭელიძე ედიშერ, მცხეთის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულის შესახებ, მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაული და მსახურება (სულთმოფენობის შემდგომი ოთხშაბათი) (თბილისი: საპატრიარქოს გამომცემლობა, 2002).
142. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი (თბილისი: „ქართული ენა“, 2005).

143. ხარაძე რუსუდან, თემური მართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 2, 1959.
144. ხელმოუწერელი (პეტრე გელეიშვილი), ჯაჭვის-წმ. ჯვრის მონასტერი, მოგზაური, 1(1901).
145. ხიზანიშვილი ნიკო (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები (თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1940).
146. ხოშტარია დავით, ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში, ACADEMIA, 1(2001).
147. ხუციშვილი ქეთევან, მინდაძე ნინო (რედ.), ზურაბ კიკნაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, <http://saunje.ge/index.php?id=1435&lang=ka>, 24.03.2018.
148. ჯალაბაძე ნათია, რელიგიური სინკრეტიზმის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ადგილის დედა ღვთისმშობელი), 1988 წ., დისერტაცია, ხელნაწერი.
149. ჯალაბაძე ნათია, რელიგია და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ლოგოსი, 2(2004).
150. ჯალაბაძე ნათია, ღია მედიქიშვილი, ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ანალები, 11(2014).
151. ჯამბურია ზ., კვირღეთისშვილი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, (თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2004).
152. 1932 წლის კალენდარი, https://www.google.ge/search?q=1932+calendar&rlz=1C1CHBD_enGE721GE721&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=k7XbTV_FQDtWBM%253A%252Ce1ud3ErBe_XWs

[M%252C &usg= g5ozeMfv3TJW6G ty-9MZh4-vCI%3D&sa=X&ved=0ahUKEwi62Z77gM7ZAhUS16QKHTPtDxcQ9QEIU DAG&biw=1008&bih=467#imgrc=ZkCCUENdITaHeM:](http://www.moscow-patriarchate.ru/ru/1008&bih=467#imgrc=ZkCCUENdITaHeM;), ამოღებულია 02.03.2018.

153. Архимандрит Никифор, Библейская энциклопедия (Москва, 1891).
154. Бардавелидзе Вера, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен (Тбилиси : “Caucasian House”, 2007).
155. Библейская энциклопедия (Москва Типография А. И. Спестиревой, 1891).
156. Булгаков С. В., Настольная книга для священно-церковно-служителей (Москва: Издательский отдел Московского Патриархата, 1993), 654-655.
157. Великовский А. Н., Избранные статьи (Ленинград: “Художественная литература”, 1939).
158. Глушаков М. В., Памятники народного творчества Кутаисской губернии, Имеретинские сказки, СМОМПК, отд. III, 33(1904).
159. Еврейская Энциклопедия, т.8 (СПБ: Издательство Брокгауз-Ефрон, 1911).
160. Елиаде Мирче, История веры и религиозных идей, т. 1, Женщина и произрастание. Сакральное пространство и периодическое обновление мира [https://www.e-reading.club/chapter.php/86513/15/Eliade - Istoriya very i religioznyh ideii. Tom 1. Ot kamennogo veka do elevsinskih misteriii.html](https://www.e-reading.club/chapter.php/86513/15/Eliade_-_Istoriya_very_i_religioznyh_ideii._Tom_1._Ot_kamennogo_veka_do_elevsinskih_misteriii.html), retrieved in 29.03.2018.
161. Кекелидзе Корнели, Иерусалимский канонар (грузинская версия) (Санкт Петербург: Типография императорской академии наук, 1912).
162. Машурко, М. Предания основание Мартвильского монастыря, СМОМПК, , от. III, 18(1894).

163. Мен Александр, История религии. т. 2, http://www.alexandrmn.ru/books/tom2/2_gl_01.html, ამოღებულია 29.03.2018.
164. Мухелишвили Давид (ред.), Иракли Сургуладзе, Святой Георгий в грузинских религиозных верованиях, в “Очхари” (Тбилиси: Мематиане, 2002).
165. Натроев Антон, Мцхета и его собор Светицховели (Тифлис, 1900).
166. Н. ски, Горская легенда, Кавказ, 99(1905).
167. Реальный Словарь Классических древностей по Любкеру, Роза, Венец (С-Петербург: Тип. А. С. Суворина, 1885).
168. Стрижов А., Цветы и храм (Москва: 1996).
169. Толковая библия, т. 1, Петербург, 1904-1907 (Стокгольм: Второе издание Института перевода Библии, 1987).
170. Толковая библия, т. 2, Петербург, 1908-1910 (Стокгольм: второе издание Института перевода Библии, 1987).
171. Топоров В. Н., Роза, Мифы народов мира, т. 2 (Москва: Советская энциклопедия, 1982).
172. Чернявская Ю., Народная культура и национальные традиции, <http://www.gumer.info/bibliotek/Buks/Culture/Chern/15.php>, retrieved in 26.02.2011.
173. Ad de Vries, Dictionary of Symbols and Imagery (Amsterdam, London: North-Holland Publishing Company, 1981).
174. Dzeglebi. ge, http://www.dzeglebi.ge/mxareebi_qalaqebi/tusheti/tusheti_chigo.html, ამოღებულია ინტერნეტდან 3.10.2017.
175. Dictionnaire D’Archeologie chretienne at de Liturgie, 13 (Paris: Letouzey et Ané , 1939).
176. Dictionnaire D’Archeologie chretienne at de Liturgie, 15 (Paris: Letouzey et Ané, 1950).
177. Ghambashidze Nino, Women’s Position in Religious Life of Georgia and Its Peculiarities, in USA Journal of Literature and Art Studies, Volume 7(2017).

178. Ghambashidze Nino, Makharadze Nino, St. George in Georgian Mythology, Religious and Musical Traditions, manuscript.
179. Ghambashidze Nino, Bakhsoliani Nana, Migration of the Cultural Phenomenon and its Influence on Different Traditions (Ethno-Historical Research) in Modern Tendencies of Forming the Global Community (Tbilisi: Universal, 2016).
180. Hiebert Paul G., Shaw R. Daniel, Tienou Tite, Understanding Folk Religion, A Christian Response to Popular Beliefs and Practices, (Michigan: Baker Books, 1999).
181. McGowan Andrew, Bible History Daily, 08/12/2014, How December 25 Became Christmas, [http://www. biblicalarchaeology.org/daily/biblical-topics/new-testament /how-december-25-became-christmas](http://www.biblicalarchaeology.org/daily/biblical-topics/new-testament/how-december-25-became-christmas), retrieved in 20.02.2015.
182. Wikipedia, Old City (Jerusalem), map of old Jerusalem, [https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/e/eb/Map_of_Jerusalem - the old city - EN.png](https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/e/eb/Map_of_Jerusalem_-_the_old_city_-_EN.png)., retrieved in, 6.04.2016.

სარჩევი
CONTENT

წინათქმა.....5
FORWARD.....5

ქეთევან ალავერდიაშვილი
გუჯამაყრის, ხევის, თუშეთის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა.....8
Ketevan Alaverdashvili
HISTORICAL AND ETHNOGRAPHIC REVIEW OF
GUDAMAKARI, KHEVI, TUSHETI.....8

ნინო ღამბაშიძე
გრაფიკული ანახორებები.....28
Nino Ghambashidze
GRAPHICAL SKETCHES.....28

ნინო ღამბაშიძე
გუჯამაყარი
პირიმზე ფუძის ანგელოზი – გუჯამაყრის
მთავარი სალოცავი.....34
Nino Ghambashidze
GUDAMAKARI
PIRIMZE PUDZIS ANGELOZI-MAIN SHRINE
OF GUDAMAKARI.....34

ნინო ღამბაშიძე
ხევი
სოფელ გერგეტის სამი სალოცავი.....62
Nino Ghambashidze
KHEVI
THREE SHRINES OF VILLAGE GERGETI.....62

ნინო ღამბაშიძე
ქალების სალოცავები ხევაში.....100
Nino Ghambashidze
WOMEN'S SHRINES IN KHEVI.....100

<i>ნინო ღამბაშიძე</i>	
თუშეთი	
ლასარობა და ქართველთა სარწმუნოების	
ისტორიის ერთი გამოტოვებული პერიოდი.....	118
<i>Nino Ghambashidze</i>	
TUSHETI	
LASHAROBA AND ONE OMITTED PERIOD OF THE	
HISTORY OF GEORGIAN'S RELIGION.....	118
<i>ქეთევან ალავერდაშვილი</i>	
წმინდა გიორგისთან დაკავშირებული სალოცავები	
გუდამაყარში, ხევსა და თუშეთში.....	252
<i>Ketevan Alaverdashvili</i>	
SHRINES CONNECTED WITH ST. GEORGE	
IN GUDAMAKARI, KHEVI, TUSHETI.....	252
დასკვნა.....	340
CONCLUSION.....	340
TRADITIONAL CULTURE OF THE EAST GEORGIAN	
HIGHLAND (SHRINES OF GUDAMAKARI,	
KHEVI, TUSHETI).....	347
გამოყენებული ლიტერატურა.....	361
REFERENCES.....	361